

⑩

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სულხან-საბა ორბელიანის სახელობის
თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტი
იოჰან ვოლფგანგ გოეთეს სახელობის
ფრანკფურტის უნივერსიტეტი

ადიშის ოთხთავი

897 წლისა

ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და
ლექსიკონი დაურთეს ელგუჯა გიუნაშვილმა,
დარეჯან თვალთვაძემ, მანანა მაჩხანელმა,
ზურაბ სარჯველაძემ და სოფიო სარჯველაძემ

ზურაბ სარჯველაძის საერთო რედაქციით

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“
თბილისი
2003

სარედაქციო საბჭო:

ც. ბარბაქაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
ვ. ბოედერი, თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
ი. გიპერტი, გ. კარტოზია, რ. მეტრეველი,
აღ. ონიანი, ვ. სართანია,
† ზ. სარჯველაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
პ. ფეინრიხი, კ. შ. შმიდტი

ტომის რედაქტორი:

† ზურაბ სარჯველაძე

ადიშის ნუსხა წარმოადგენს ყველაზე ძველ თარიღიან ხელნაწერს, რომელიც შეიცავს ქართული ოთხთავის უძველეს ტექსტს. იგი ქმნის ცალკე რედაქციას. ადიშის ოთხთავი რამდენჯერმე გამოიცა. ყველა გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული. ახალი გამოცემის საჭიროება შეაპირობა იმანაც, რომ ბოლოხანს მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ქართული ოთხთავის აკადემიური ტექსტის დასადგენად, რაც ახლებურად სვამს ადიშურ რედაქციასთან სხვა რედაქციების მიმართების საკითხს.

ნიგნის დაკაბადონება და ყდის დიზაინი:

გიორგი ბაგრატიონი

© ე. გიუნაშვილი, დ. თვალთვაძე, მ. მაჩხანელი,
ზ. სარჯველაძე, ს. სარჯველაძე; 2003.

სარჩევნი

წინასიტყვაობა	4
ადიშის ოთხთავის ხელნაწერი და გამოცემები (დ.თვალთვაძე)	6
ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის ოთხთავის სხვა რედაქციებთან (ს.სარჯველაძე)	15
ადიშის ოთხთავის ტექსტისა და ენის საკითხები (ზ.სარჯველაძე)	71
Preface	132
ტექსტისათვის	143
ადიშის ოთხთავის ტექსტი	145
ლექსიკონი (ე.გიუნაშვილი).....	440

წინასიტყვაობა

ამ ორი ათეული წლის წინ პროფესორმა ზურაბ სარჯველაძემ შექმნა ჯგუფი, რომელსაც მიზნად დაუსახა უძველესი ხელნაწერების მიხედვით ქართული ოთხთავის კრიტიკული ტექსტის დადგენა და მისი აკადემიური გამოცემის მომზადება. თავდაპირველად ჯგუფში შედიოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გულნარა (დოდო) ნინუა, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ელგუჯა გიუნაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული ქართული ხელნაწერების შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია „ორიონის“ მეცნიერ-თანამშრომლები – ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა მაჩხანელი და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დარეჯან თვალთვაძე. მოგვიანებით ჯგუფს შეუერთდა „ორიონის“ მეცნიერ-თანამშრომელი სოფიო სარჯველაძე.

წლების მანძილზე ჯგუფი ინტენსიურად მუშაობდა, რის შედეგადაც გამოსაცემად მომზადდა ქართული ოთხთავის წინარეათონური და გიორგი ათონელისეული რედაქციის 40-მდე ხელნაწერის მიხედვით დადგენილი ტექსტი. ადიშის სახარება, როგორც რედაქციულად ცალკე მდგომი თარგმანი, ჯგუფის მიერ მომზადებული პირველი პუბლიკაციაა, რომელსაც მალე უნდა მოჰყვეს მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა წინარეათონური და გიორგი ათონელისეული რედაქციების კრიტიკული ტექსტი ვარიანტების ჩვენებით.

1999 წელს ქართული ოთხთავის აკადემიურ გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის ("NT") საქმიანობით დაინტერესდა გოეთეს სახელობის ფრანკფურტის უნივერსიტეტის პროფესორი იოსტ გიპერტი; მისი ინიციატივით შეიქმნა პროექტი "AR-

MAZI", რომელიც სხვა მრავალ სამუშაოსთან ერთად ქართული ოთხთავის უძველესი ხელნაწერების მიხედვით დადგენილი ტექსტის კომპიუტერულ დამუშავებასა და ინტერნეტის ქსელში მის განთავსებასაც ითვალისწინებდა. პროექტს "Volkswagen"-ის ფონდი აფინანსებდა. სამწლიანი მუშაობის შედეგად მომზადდა და ინტერნეტის ქსელში განთავსდა ქართული ოთხთავის სამი რედაქციის (ადიშის, წინარეათონური, გიორგისეული) ტექსტი, დადგენილი 8 უძველესი ხელნაწერის მიხედვით (პარალელურ ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან ერთად).

წინამდებარე გამოცემა ადიშის ოთხთავისა, რომელსაც გამოკვლევა და ლექსიკონი ახლავს, ჯგუფის ხელმძღვანლის, პროფ. ზ. სარჯველაძის, დაულალავი შრომით შეიქმნა. ტექსტის დადგენა და გამართვა დაფუძნებულია მის მიერ ჩამოყალიბებულ ენობრივ და ორთოგრაფიულ ნორმებზე.

დიდი გულისტკივილი ახლავს ამ გამოცემას. ეს წიგნი დასტამბული სახით ვეღარ იხილეს ვერც მისმა შემქმნელმა, ზურაბ სარჯველაძემ და ვერც დოდო ნინუამ – ამქვეყნიდან უდროოდ გადასულებმა მარადისობაში.

გამომცემლები მადლობას უხდიან კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორს – ბატონ ზაზა ალექსიძეს, დირექტორის მოადგილეს – ბატონ მიხეილ ქავთარიას, ხელნაწერთა დაცვისა და კონსერვაციის განყოფილების გამგეს – ქალბატონ ლამარა ქაჯაიას და ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს – ქალბატონ მანანა დოლაქიძეს მუშაობაში ხელშეწყობისათვის, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“, "Volkswagen"-ის ფონდს და თსუ რექტორს – ბატონ როინ მეტრეველს, საქართველოს პარლამენტის წევრს – ბატონ თამაზ გელაშვილს, ხელოვნებათმცოდნეს – ქალბატონ მარინე თაბუკაშვილს გაწეული დახმარებისათვის.

ადიშის ოთხთავის ხელნაწერი და გამოცემები

ქართულ ოთხთავათა შორის ადიშის ოთხთავი ყველაზე ძველი თარიღიანი ძეგლია. ის შექმნილია IX საუკუნის ბოლოს, 897 წელს, რასაც გვაუწყებს წიგნის ბოლოს მოთავსებული გადაწერის ანდერძი (387r): „დაიწერა წმიდაჲ ესე ოთხთავი დასაბამითგანთა წელთა ხჳა, ქრონიკონსა რიოზ. შობითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა წელთა ჩა. ქრისტე მეუფეო, შგვწყალენ ყოველი ერთობით, ამენ. მწერალი ამისი მიქაელ ლოცვასა მომიტანეთ და შემინდვეთ სოუცბე ჩემი. და მმოსელიცა მიქაელ დიაკონი მომიტანეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა. უფალო, მფარველ გუექმენ ყოველთა ერთობით, ამენ“. ანდერძის მიხედვით, წიგნი გადაუწერია მიქაელს, მისი შემოსვა კი თავს უდვია მიქაელ დიაკვნს.

ოთხთავის ტექსტი ასომთავრული ანბანით, ოქროსფერი მელნით ორ სვეტად არის გადაწერილი. თითოეულ სვეტში 16 სტრიქონია (სვეტის ზომა 22X8სმ.). ტექსტის ძირითად ნაწილთან შედარებით უფრო მუქი მელნით და მომცრო ასოებითაა შესრულებული ანდერძები.

მთლიანად ხელნაწერი შეიცავს 393 ფურცელს, აქედან, ოთხთავის ტექსტს უჭირავს 388 ფურცელი, დანარჩენი ხუთი ფურცელი კი მინიატურებს და კანონებს ეთმობა. საწერ მასალად გამოყენებულია ეტრათი. ფურცლის ზომაა 30,5X28 სმ. ხელნაწერი ჩასმულია ტყავ-გადაკრულ ხის ყდაში, რომელიც ამჟამად დაზიანებულია. მანუსკრიპტს აქვს ტექსტის გადაწერისდროინდელი რვეულებრივი პაგინაცია, შესრულებული ქართული ასომთავრული ასოებით. აქა-იქ, შიგ ტექსტში ან აშიაზე, გვიანდელი ნუსხურით მიწერილია საკითხავებზე მითითება. რამდენიმე ათეულ ფურცელს, რომელზედაც მოთავსებული იყო სვანური მინაწერი ისტორიული საბუთები, აშები შემოჭრილი აქვს¹.

წიგნის გადაწერის თარიღს და გადაწერის ადგილსაც ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძებით არკვევენ. გადაწერის ანდერძში (387r) თარიღი საშაირადაა დასახლებული (დასაბამითგანით, ქრონიკონით და ქრისტესით). მათგან დაუზიანებლად შემონახულია მარტო ორი: ქართული ქრონიკონი რიოზ (117) და ქრისტესით ჩა (1001), ქვეყნის გაჩენიდან (დასაბამითგანი) დათარიღების აღმნიშვნელ ციფრთაგან კი მარტო ორი

¹ სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ. 1986, გვ. 47.

ასო შემორჩენილი ხვ (6500). ქრონიკონის 117 გვადღევს 897 წელს (780+117). როგორც კ. კველიძემ გარკვევა, ქრისტესითი დათარიღება (1001 წელი) ალექსანდრიული სათვალავის მიხედვით არის ნაანგარიშევი, რომელიც ქართულ სათვალავს 104 წლით ჩამორჩება და იმავე 897 წელზე მიანიშნებს (1001-104=897). ამის გათვალისწინებით ადვილად აღადგინეს დასაბამითგანით დათარიღების დაკარგული ბოლო ასო ა. დღეს საბოლოოდ დადგენილია, რომ ანდერძში დასახელებული სამივე თარიღი ზუსტია და ჩვენი წელთაღრიცხვის 897 წელს შეესაბამება.¹

წიგნს გადამწერის ანდერძის გარდა მომგებლის ანდერძიც ერთ-ვის: „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისაჲთა. მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა და წმიდისა იოჲანე ნათლისმცემელისაჲთა და წმიდათა მახარებელთაჲთა და ყოველთა წმიდათა მისთაჲთა, ღირს ვიქმენ მე, გლახაკი სოფრონ, აღსრულებად წმიდასა ამას წიგნსა სახარებასა ოთხთავსა ფრიადითა მოღუაწებითა სულიერთა ძმათა ჩემთაჲთა, სალოცველად ყოველისა ამის კრებულსათვის და ყოველთა ნათესავთა ჩუენთა კორციელად და სალოცველად მეფეთა ჩუენთა: ღმრთივდიდებულისა ადრნესე კურაპალატისა და ღმრთივ ბოძთა (!) ნაშობთა მათთა, დავით ერისთავისა და მეუღლეთა და ნაშობთა მათთათჳს. და სალოცველად სულთა გარდაცვალებულთათჳს – სულისა მამისა გრიგოლისა, სულისა მამისა გაბრიელისა და ყოველთა ძმათა ჩუენთა გარდაცვალებულთათჳს. და სულთა მეფეთა ჩუენთათჳს: არსენისა, დავითისა, აშოტისა და ყოველთა თჳსთა გარდაცვალებულთათჳს. ვინცა ღირს იქმნეთ აღმოკითხვად და მსახურებად წმიდასა ამას სახარებასა, მოგვკსენეთ წმიდათა შინა ლოცვათა თქუენთა ჩუენცა ყოველნი, რომელნი წერილ არიან. რაჲთა თქუენცა მოგანიჭოს ღმერთმან კეთილი საუკუნოჲ(!), ყოველნი ერთობით ღირსმცა ვართ სასუფეველსა ცათასა ქრისტეს ღმრთისასა, უფლისა ჩუენისა მიერ, ამენ“ (387v). ამ ანდერძში მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მიხედვითაც აშკარაა, რომ წიგნი დაწერილია IX საუკუნის ბოლოს. ვარაუდობენ, რომ ანდერძში დასახელებული წიგნის

¹ აღიშნის ოთხთავის დათარიღების შესახებ იხ. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, თბ. 1945. ა. შანიძის წინასიტყვაობა, გვ. 014; ე. თაყაიშვილი, აღიშნის სახარების წინასიტყვაობა. Материалы по археологии Кавказа, XIV, 1916. გვ. 14; კ. კველიძე, როდისაა გადაწერილი აღიშნის სახარება? ტუმ. II, გვ. 392-397.

მომცემელი სოფრონი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ხანძთელი მამის ერთ-ერთი მოწაფეთაგანია, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე წერს: „დიდი სოფრონი, სანატრელი მამაჲ, შატბერდისა ეკლესიას განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვინისი“¹. წიგნის გადაწერის ადგილადაც შატბერდის საფანეა მიჩნეული². როგორც ჩანს, იქვე ინახებოდა ის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, შემდეგ კი ადიშის ოთხთავი რამდენიმე სხვა წიგნთან ერთად შატბერდიდან წამოუღია ჯუმათის მონასტრის ყოფილ მამასახლისს, ნიკოლაოსს, რომლის ნუსხურად შესრულებული ანდერძიც მოთავსებულია გადაძწერ მიქაელის ანდერძის ქვემოთ (387r). ანდერძში ნიკოლაოსი გვაუწყებს: „სახელითა არსებადაუღებელისა, ყოვლადწმიდისა სამებისაჲთა, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, შეწევნითა და წყალობითა წმიდათა მთავარანგელოზთაჲთა, მეოხებითა და შეწევნითა ყოველთა წმიდათაჲთა, მე, ნიკოლაოს, ოდესმე ჯუმათისა მამასახლისყოფილმან, უღირსმან და სულითა საწყალობელმან, ფრიადითა ხარკებითა (აშენენ ღმერთმან კლარჯეთისა მონასტერნი), შევიარენ და შევკრიბენ წმიდანი ესე წიგნი: პირველად, წმიდაჲ ესე სახარებაჲ ოთხთავი, და მრავალთავი, და კელთკანონი, მამათა წიგნი და კითხვა-მიგებაჲ. უმეტესად აღაშენენ ღმერთმან შატბერდი. ესე ოთხთავი და კელთკანონი და მამათა წიგნი მათსა ეკლესიასა...“ ფურცელი ძლიერ დაზიანებულია და ანდერძის ბოლო აღარ იკითხება, რის გამოც ვერ ხერხდება ზუსტად გარკვევა იმისა, თუ სად მიიტანა ნიკოლაოს ჯუმათელმა შატბერდიდან წამოღებული ხელნაწერები. სავარაუდოა, რომ ნიკოლაოსმა ისინი ჯუმათის მონასტერში მიიტანა.

ექვთიმე თაყაიშვილი ამ ანდერძს XVII საუკუნის II ნახევრით ათარიღებდა⁴, ა. შანიძის თვალსაზრისით, მინაწერი XVI საუკუნისაა⁵; ხოლო ზ. ჭუმბურიძის მიხედვით. XV-XVI საუკუნეების.⁶ რამდენიმე საუკუნით გადასწია ამ ანდერძის თარიღი ვალერი სილოგავამ და იგი

¹ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 012; ზ. ჭუმბურიძე, ქართული ხელნაწერების კვლადკვალ, თბ., 2002, გვ. 112-114.

² გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, წიგნი I, თბ., 1967.

³ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 012; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 11

⁴ ე. თაყაიშვილი, იქვე

⁵ ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 015.

⁶ ზ. ჭუმბურიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 116-117.

XI საუკუნეს მიაკუთვნა¹ ეს მოსაზრება გაიზიარა და დამატებითი არ-გუმენტებით განამტკიცა აკად. ე. მეტრეველმა,² რომლის დაკვირვებითაც ნიკოლაოს ჯუმათელის მინაწერი ადიშის სახარების ფურცლებზე შესრულებულია იმავე ხელით, რომლითაც გიორგი მცირის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების“ უძველესი ნუსხა (S 353). ე.ი. ამ ნუსხის გადამწერიც ნიკოლაოს ჯუმათელია. თუ ასეა, ნიკოლაოსი მართლაც XI საუკუნის II ნახევრის მწიგნობარი და სასულიერო მოღვაწე ყოფილა, რომელსაც კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებიდან წამოუღია და ამით დაღუპვას გადაურჩენია ხუთი უძველესი ხელნაწერი, მათ შორის ადიშის სახარება, რომელსაც ეს სახელი სვანეთის იმ სოფლის მიხედვით დაერქვა, სადაც დღემდე ინახება. როდის და როგორ მოხვდა ადიშის ოთხთავის სახელით ცნობილი ხელნაწერი სვანეთში, კერძოდ კი, სოფელ ჰადიშში, ძნელი სათქმელია, მაგრამ მის ფურცლებზე გაკეთებული გვიანდელი მინაწერებიდან ამკარად ჩანს, რომ დაახლოებით XIV საუკუნიდან ეს წიგნი უკვე სვანეთში ინახება³. 1855 წელს ადიშის ეკლესიაში ეს ხელნაწერი უნახავს რუს მკვლევარს ივანე ბართლომეის⁴, რომელიც თავისი მოგზაურობის აღწერისას ახსენებს ჰადიშში დაცულ ძვირფას სახარებას, მაგრამ ამ ცნობისთვის მაშინ ყურადღება არავის მიუქცევია.

1892 წელს სვანეთში დაცული ხელნაწერები და მათ შორის ადიშის სახარება შეუსწავლია სვანეთის ცნობილ მკვლევარს, დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძეს, რომელიც „თავისუფალი სვანის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა იმდროინდელ პრესაში, მაგრამ მისი ნაშრომი მხოლოდ 1903 წელს გამოქვეყნდა⁵. 1904 წელს რუსულ ენაზე დაიბეჭდა პროფ. ალ. ხახანაშვილის გამოკვლევაც სვანეთში დაცული

¹ ესილოვაეა, დასახ. წიგნი, გვ.48

² ე. მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1976, გვ.251.

³ XIV-XV საუკუნით ათარიღებს ადიშის ოთხთავის 295 v-ზე და 312r-ზე ნუსხურით გაკეთებულ მინაწერებს ე. სილოვაეა. (იხ. დასახ. ნაშრ., გვ.48), სადაც მოხსენიებული „ფრიად ცოდვილი ათანასე“. ა. შანიძის აზრით, სვანი უნდა იყოს (იხ. ა. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ.116)

⁴ Поездка в Вольную Сванетию полковника Бартоломея в 1853 году. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, кн. VI. 1864.

⁵ ბესარიონ ნიჟარაძე, სვანეთის მანუსკრიპტები, გაზეთი „ივერია“ № 194. 12.IX. 1903.

სახარებების ხელნაწერთა შესახებ¹ და პრ. უვაროვას ნაშრომი, რომელიც ადიშის ოთხთავის მინიატურებს შეეხებოდა².

1910 წელს სვანეთში მოუწყო სამეცნიერო ექსპედიცია ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით. მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, ფოტოგრაფმა დ. ერმაკოვმა, გადაიღო ადიშის ოთხთავის მთელი ტექსტი. ამ ფოტოსურათების მიხედვით მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოებამ დაიწყო ადიშის ოთხთავის ფოტოტიპური გამოცემის მომზადება. გამოცემას თავდაპირველად პროფ. ალ. ხახანაშვილი ხელმძღვანელობდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი — ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც გამოცემას ვრცელი გამოკვლევაც წაუძღვარა. 200 ტაბულაზე მოთავსებული ტექსტი ადიშის ოთხთავისა 1916 წელს გამოქვეყნდა МАК-ის XIV ნომერში³. ამ გამოცემით ადიშის ოთხთავი ხელმისაწვდომი გახდა მკვლევართა ფართო წრისათვის. შემდეგ ის სამჯერ სტამბურადაც გამოიცა. ერთი გამოცემა ეკუთვნის ამერიკელ ქართველოლოგს, რობერტ ბლეიკს, მეორე — აკად. ა. შანიძეს, მესამე კი — ი. მოლითორს. ბლეიკმა ადიშის სახარების ტექსტი დაბეჭდა ოპიზისა და ტბეთის სახარებათა ვარიანტებითურთ და დაურთო ლათინური თარგმანიც. ასე გამოსცა მან ჯერ მარკოზის თავი (1928 წ.)⁴, შემდეგ მათესი (1933 წ.)⁵, უფრო გვიან — იოანესი (1950 წელს მ. ბრიერთან

¹ А.С. Хаханов, Сванетские рукописные евангелия, Материалы по археологии Кавказа, X. 1904. Приложение.

² П.С. Уварова, Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию, Материалы по археологии Кавказа, X. 1904. ст. 148-149.

³ Адишское евангелие, 200 фототипических таблиц и предисловие Е.С. Такашвили, Материалы по истории Кавказа, вып. XIV, под редакцией П.С. Уваровой, А.С. Хаханова и Е.С. Такашвили, Москва, 1916. ერმაკოვის მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ ფოტოტიპურ გამოცემას, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ფოტოპირების კოლექციაში (№ 62)

⁴ The Old Georgian version of the Gospel of Mark. From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet' Gospels, Edited with a Latin translation by Robert P. Blake. Patrologia Orientalis, t. XX: fasc.3. Paris, 1928.

⁵ The Old Georgian version of the Gospel of Matthew, from Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet' Gospels. Edited with a Latin translation by Robert P. Blake. Patrologia Orientalis, t. XXIV: fasc.3. Paris, 1933

ერთად)¹. რ. ბლეიკის გარდაცვალების შემდეგ მ. ბრიერმა გამოსცა ლუკას სახარებაც (1955 წ.)².

ადიშის ოთხთავის ახალი ლათინური თარგმანი გამოაქვეყნა აგრეთვე გერმანელმა მეცნიერმა იოზეფ მოლითორმა.³

1945 წელს აკად. ა. შანიძემ გამოსცა ადიშის ოთხთავის ტექსტი შატბერდული წარმოშობის X საუკუნის ორ სხვა (ჯერუჭისა და პარხლის სახარებები) ხელნაწერთან ერთად.⁴ ამ გამოცემაში ადიშის სახარების ტექსტი, როგორც რედაქციულად ცალკე მდგომი, დაბეჭდილია ჯერუჭ-პარხლის ოთხთავების ტექსტის (DE) პარალელურად, ცალკე სვეტად (C).

ადიშის ოთხთავს მიეძღვნა არაერთი სპეციალური გამოკვლევა: აკად. კ. კეკელიძემ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაადგინა მისი გადაწერის თარიღი.⁵ აკაკი შანიძის ნაშრომმა „ჰაემეტობა ადიშის სახარებაში“ ცხადი გახადა, რომ ადიშის ოთხთავი გადაწერილია ჰაემეტი დედნიდან⁶. პროფ. ივანე იმნაიშვილმა გაარკვია ადიშის ოთხთავის რედაქციული შედგენილობა⁷ და დაადგინა, რომ ადიშის ოთხთავის გადამწერს ნაკლები ჰაემეტი დედანი ჰქონია, რომელსაც აკლდა საკმაოდ დიდი მონაკვეთი ლუკას სახარების ნაწილში (კერძოდ. 3,9 – 15,6 და 17,25 – 23,2). გადამწერს ეს ადგილი შეუფსია სხვა წიგნის მიხედვით, რომელიც სახარების განსხვავებული რედაქციის ტექსტს შეიცავდა. იმნაიშვილმავე შეადგინა „ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი“ (ა. შანიძის გამოცემის მიხედვით), რომელშიც სრულად აისახა ადიშის

¹ The Old Georgian version of John from Adysh Gospels, with the variants of the Opiza and Tbet Gospels, edited with a Latin translation by Robert P. Blake and Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVI: fasc. 4. Paris, 1950.

² La Version géorgienne ancienne de l'Évangile de Luk, d'après les évangiles d'Adysh avec les variantes des évangiles d'Opiza et de Tbet, Ed. avec une trad. Latine par Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVII, fasc. 3. Paris, 1955.

³ Molitor J. Synopsis latina Evangeliorum ibericorum antiquissimorum secundum Mattheum, marcum, Lucam, Desumpta e codicibus Adysh, Opiza, Tbeth. Necnon e fragmentis biblicis et patristicis quae dicuntur chanmeti et haemeti. Louvain. 1965. Corpus Scriptorum Christianorum Orientalium. vol. 256, Subs. 1.24.

⁴ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897,936 და 973 წ. წ.), გამოსცა ა. შანიძემ. თბ. 1945.

⁵ კ. კეკელიძე. როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება? ტუმ II, გვ. 392-397.

⁶ ა. შანიძე. ჰაემეტობა ადიშის სახარებაში. თხზულებანი. ტ. II, თბ., 1981.

⁷ ი. იმნაიშვილი. ადიშის ოთხთავი რედაქციულად. თსუ შრომები. ტ. 28, თბ. 1946: ტ. 30-B. 1947

სახარების ლექსიკა. აკად. ს. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის გამოკვლევა ადიშის ოთხთავში დადასტურებულ ბერძნიზმებზე, ხოლო თ. გონიაშვილმა საგანგებოდ შეისწავლა ამ ძეგლის დიალექტიზმები¹. ადიშის ოთხთავის ტექსტი სომხურ და ბერძნულ ოთხთავებს შეუდარა პროფ. ე. დოჩანაშვილმა². წიგნის მხატვრული სამკაულები შეისწავლა რენე შმერლინგმა³. ხელნაწერის მანამდე უცნობი ერთი ფურცელი იპოვა და გამოაქვეყნა ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომელმა ც. ჭანკიევმა⁴. ფურცელი უნებლიედ გამორჩენიათ ოთხთავის ფოტოტიპურ გამოცემაში, შესაბამისად, ის გამორჩენილია ა. შანიძისეულ პუბლიკაციაშიც, რომელიც ფოტოტიპურ გამოცემას ეყრდნობა. ც. ჭანკიევის მიკვლეულ ერთ გვერდზე აღმოჩნდა ლუკას მე-19 თავის მე-9 მუხლის დასასრული, 10-13 მუხლები და მე-14 მუხლის დასაწყისი, მეორეზე კი – ლუკას მე-20 თავის 36-ე მუხლის დასასრული, 37-42 მუხლები და 43-ე მუხლის დასაწყისი.

ადიშის ოთხთავის დეტალური აღწერილობა და ხელნაწერის აშიებზე მიწერილი ისტორიული საბუთები ვრცელი გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა ვალერი სილოგავამ⁵. ადიშის სახარების, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქართული ხელნაწერის, ისტორიას აცნობს მკითხველს ზ. ჭუმბურიძე წიგნში „ქართული ხელნაწერების თავგადასავალი“.

ადიშის ოთხთავის ჩვენებას სათანადო ადგილი ეთმობა ყველა გამოკვლევაში, რაც ბოლო დროს იწერება ძველი ქართული ენის სა-

¹ ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები, ენიმკის მოამბე, ტ. XIV. 1944. გვ. 93-116.

² თ. გონიაშვილი, დიალექტიზმებისათვის ადიშის ძეგლში, ენიმკის მოამბე, IV, 1938.

³ ე. დოჩანაშვილი, ადიშის ოთხთავის კომპოზიტები (ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტთან მიმართებისათვის), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 29. 1951; მისივე, მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავლობის საკითხისათვის. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32. 1955.

⁴ P. Шмерлинг. Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI в.в. Тб., 1979

⁵ ც. ჭანკიევი, ადიშის ოთხთავის ორი გამოუქვეყნებელი გვერდი, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II. 1960, გვ. 225-227.

⁶ სიანთოს წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ. 1986.

⁷ ზ. ჭუმბურიძე. ქართული ხელნაწერების თავგადასავალი, თბ., 1975; მისივე, ქართული ხელნაწერების კვლევა, თბ., 1983, 2000.

კითხვებზე, რადგანაც ამ ძეგლის ენის გაუთვალისწინებლად ძველი ქართული ენის შესახებ სრულფასოვანი ნაშრომი ვერ დაიწერება.

ამჟამად ძველი ქართული ენის ეს შესანიშნავი ძეგლი მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება (M 22). ხელნაწერი თავიდანვე ცუდად ყოფილა აკინძული, ამიტომ ტექსტი იწყება არა მათეს სახარების პირველი თავის პირველი მუხლით, არამედ ლუკას 23-ე თავის 46-ე მუხლით, რომელსაც უჭირავს ხელნაწერის ერთი გვერდი (1r), 1v მთავრდება ლუკას 24-ე თავის პირველი მუხლით, 2r-დან კი იწყება მათეს თავი, რომელიც სრულადაა წარმოდგენილი (2r-121r). მას მოსდევს მარკოზის (121v-270v), ლუკას (271r-297r) და იოვანეს თავები (297v-386r). ხელნაწერი შემკულია მინიატურებით, რომლებიც მოთავსებულია ტექსტის წინ: საწინამძღვრო ჯვარი მახარებლების წელსზევითი გამოსახულებებით (1v); წმ. მარკოზის (2r), წმ. ლუკას და წმ. იოანეს გამოსახულებებით (2v). ბ. ნიჟარაძის ცნობით, ყოფილა მათე მახარებლის მინიატურაც, მაგრამ 1895 წლისთვის, როდესაც ეს ხელნაწერი შეისწავლა პრ. უეაროვამ, ის უკვე დაკარგული ჩანს. ხელნაწერის 3r-5v გვერდები ეთმობა კანონებს.

ადიშის ოთხთავის მინაწერთაგან აღსანიშნავია რამდენიმე:

1. „აღდგომასა მკუდართასა, ღმერთო და მამაო, ძეო და წმიდაო სულო, მადლო ოთხთავთაო და მადლო აღდგომისაო(!). ღირს გუყუენ მარჯუენით მართალთათა ცოდვილი ათანასე და ტიმოთე, ჩემი და ჩუენნი მშობელნი; ვინ მოგვკენოს, მოიჯსენე წყალობათა შინა აქა და მას საუკუნესა; ამენ“ (5v; XIV-XV საუკუნის ნუსხური; შავი მელნით).
2. „ღმერთო, გვედრია სული ათანასესი, ფრიად ცოდვილისა, დღესა მას განკითხვისასა და სულსა ბრძოლისა ჩემისასა ნუ მისცემ მავნებელთა ჩემთა, არამედ შემიწყალე სახიერებისათვის შენისა; წმიდათა ანგელოზთა შენთა ოხითა განმარინე მტერისა საბრკეთაგან; ვინ აღმოიკითხოს, მასცა მოწყალე ექმენ“ (295 v; პირველი სტრიქონი ასომთავრულით, დანარჩენი ნუსხური; შავი მელანი XIV-XV სს. I მინაწერის ხელი)
3. „ღმერთმან ადიდოს ადიშისა სუფელი, ღმერთმან შეუნდოს ივანეს მუბერჩვიანსა, ამენ“ (312r; ნუსხური, შავი მელანი, ძირითადი ტექსტის სვეტებს შორის განივად; XIV-XV სს.).

4. „ღმერთმან აღდას ადიშოას საოფელა, ღმერთმან მიქაელა აბრეგიანს დღესა მას დიდსა, განკითხოასასა სულისა დღესა, ვინცა ბრძანოს, მას ღმერთმა აკურთხოს“ (345v-346r; ნუსხური, დ, ლ, ნ ასოები – ასომთავრულით; შავი მელანი, ქვედა აშიებზე; XV-XVI სს).

ადიშის ოთხთავის მიმართებისათვის ოთხთავის სხვა რედაქციებთან

სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ერთგვაროვანი აზრი ოთხთავის ქართული თარგმანის წარმომავლობის შესახებ. ზოგი მკვლევარი ქართულ თარგმანს ბერძნულიდან, ზოგი სომხურიდან, ზოგი კი სირიულიდან მომდინარედ თვლის. ადიშის ოთხთავის წარმომავლობის შესახებაც განსხვავებული აზრებია გამოთქმული. ადიშის ნუსხაში ლექსიკური ხასიათის არმენიზმების არსებობის გამო ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ადიშის რედაქცია სომხური დედნიდან მომდინარეობს. აკ.შანიძე და ს.ყაუხჩიშვილი კი ადიშის ჩელნაწერით ჩვენამდე მოღწეულ რედაქციას ბერძნული დედნიდან თარგმანილად მიიჩნევენ.

აკ. შანიძე უთითებს, რომ მათეს 17,21, მარკოზის 7,16. 16,9-20 (ე.წ. მარკოზის ვრცელი დასასრული დასტურდება ზოგიერთ სომხურ ხელნაწერში და მას არისტონ ხუცესის კალამს მიაწერენ). ლუკას 17,36; იოანეს 7,53-8,1-11 მუხლები აკლია ადიშის ოთხთავს, ხოლო სომხურ თარგმანში კი ისინი დასტურდება (შანიძე 1945, 040-42). ეს მუხლები აკლია მრავალ უადრეს ბერძნული ოთხთავის ხელნაწერსა თუ მის თარგმანს, რაც თავად ბერძნული დედნისათვის მეტად მნიშვნელოვან რედაქციულ სხვაობად არის მიჩნეული (GNT, 65; 67). ოთხთავის სომხურ თარგმანში იოანეს სახარების ბოლოს დასტურდება 7,53 8,1-11 მუხლები, როგორც ეს ერთადერთ ბერძნულ XII ს-ის ნუსხაშია წარმოდგენილი (GNT, 406). მსგავსი რამ არც ერთ ქართულ ხელნაწერში არ გვხვდება.

ჩვენ შევადარეთ ადიშის ოთხთავის ტექსტი ბერძნული ოთხთავის კრიტიკულ და სინოპტიკურ გამოცემებსა და ოთხთავის სომხურ თარგმანს, რის შედეგადაც გამოვლინდა მრავალი რედაქციული ტიპის სხვაობა.

მათეს სახარების პირველივე თავის 10; 11; 25 მუხლებში გვხვდება რედაქციული სახის სხვაობა ადიშისა და სომხურ ოთხთავებს შორის:

მთ. 1,10 C: 10. ეზეკია შვა მანასე; მანასე შვა ამონი; ამონ შვა იოსია;

სცხსქჲა ბჲაჲ კჲანაჲაჲქ : შარაჲაჲაჲქ ბჲაჲ კჲამოჲქ : შამოჲქ ბჲაჲაჲ კჲოჲოჲქჲა :

Μανασσῆς δὲ ἐγέννησεν τὸν Ἀμῶν, Ἀμῶν δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰωσῖαν.

ბერძნული დედანის მრავალ ხელნაწერში გვხვდება წაკითხვა: ამონ. როგორც ეს აღიშის ოთხთავშია დადასტურებული Ἀμῶν. Ἀμῶν LWf³ 28 180 565 579 (700 892 / 211 Ἀμμῶν, Ἀμμῶν) 1006 1010 1241 1243 1342 1424 1505 Byz[EZ] Lect და ა.შ. და ამონ – Π.Π.Π.Π., რომელსაც სომხური ოთხთავი იმეორებს¹: Ἀμῶν, Ἀμῶν κ Β C (D^{Lukc}) ΔΘ f¹ 33 157 205 1071 1292 (GNT, 1-2).

მთ. 1,11 C: იოსია შვა იოაკიმ, იოაკიმ შვა იექონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილოვნისასა.

Ἰωσῖαν δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰωακίμ, Ἰωακίμ δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰεχονίας καὶ τοὺς ἀδελφοὺς αὐτοῦ ἐπὶ τῆς μετοικεσίας Βαβυλῶνος.

ბერძნული დედნის რიგ ხელნაწერებში სწორედ ეს წაკითხვა დასტურდება – Θ Σ f¹ 33 205 1006 1342 1505. ბერძნული ნუსხების უმრავლესობაში კი გვხვდება სრულიად განსხვავებული ვარიანტი. სადაც იოსიას მიერ იოაკიმის შობა და ამ უკანასკნელის მიერ კი იექონიასი გამოტოვებულია და იოსია იექონიას მამად გვევლინება Ἰωσῖαν δὲ ἐγέννησεν τὸν Ἰεχονίας καὶ τοὺς ἀδελφοὺς αὐτοῦ ἐπὶ τῆς μετοικεσίας Βαβυλῶνος. (GNT, 2). სწორედ ამგვარი დედნით სარგებლობდნენ სომხური ოთხთავის მთარგმნელები:

Մովսիս ծնաւ Եղիքոնիս, եւ Եղիքայրս նորսա սաւ Եբրու՛միսա՛րն Բաբելոնացոց :

მთ. 1,25 C: და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძმ. და უწოდეს სახელი მისი იესუ. აღიშის ოთხთავი მისდევს ბერძნული ნუსხების ვარიანტს:

καὶ οὐκ ἐγίνωσκεν αὐτὴν ἕως οὗ ἔτεκεν υἱόν καὶ ἐκάλεσεν τὸ ὄνομα Ἰησοῦν დასტურდება κ Β Ζ f¹ f³ 33 ნუსხებში. ამგვარივე წაკითხვა დასტურდება იტალიურ სირიულ და კოპტურ თარგმანებში, სომხურ ოთხთავში კი გვაქვს: შვა ძმ მისი პირმშომ, რაც ბერძნულ τὸν υἱόν αὐτῆς τὸν πρῶτότοκον-ს შეესაბამება. *և ոչ գիտէր զնա, մինչև ծնաւ զորդին իւր զանդրանիկ. եւ կոչեաց զանուն նորսա Միսուս:* მუხლში ამგვარი ჩანართი დაცულია მრავალ

¹ ულრმეს მაღლობას მოვასხენებთ პროფ. ელენე დოჩანაშვილს დახმარებისათვის ოთხთავის სომხური თარგმანის ჩვენთვის ამ და შემდგომი ადგილების განმარტებისას.

4) ὑμῶν, εὐλογεῖτε τοὺς καταρωμένους ὑμᾶς, καλῶς ποιεῖτε τοῖς μισοῦσιν ὑμᾶς (see Lk 6.27-28) D^c (D^c ὑμῶν for first ὑμᾶς) LWA Θ f^{1,2} 28 33 157 180 565 579 597 700 892 1006 1010 1241 1243 1292 1342 1424 1505 arm^{ness} eth^{pp.} (TII) geo² slav Byz [EΣ] Lect it^{c.d.t.h} syr^{h. (pal)} (syr^l τὸν καταρώμενον) cop^{mcē} (Chrysostom); (Lucifer) (Speculum) (GNT, 16)

ოთხთავის ქართულ და სომხურ ტექსტებში მთ. 5,47 მუხლი სხვაობს. განსხვავება ისევ ბერძნული დედნის ორი სხვადასხვა რედაქციული ვარიანტის თარგმანით შეიძლება ავხსნათ.

მთ. 5,47 XC: და თუ მოიკითხვიდეთ (მოხიკითხვიდეთ X) მეგობართა თქვენთა ხოლო, რაჲ უმეტეს (ხუმეტეს X) ჰყოთ? არა წარმართთაცა ვგრევე ყვიან (ყვიან X)?

καὶ ἐὰν ἀπαύσησθε τοὺς ἀδελφοὺς ὑμῶν μόνον, τί περισσοῦν ποιεῖτε; οὐχὶ καὶ οἱ ἐθνικοὶ τὸ αὐτὸ ποιοῦσιν;

ხანმეტსა და აღიშის ოთხთაებში დასტურდება წარმართთაცა, რაც შეესაბამება ბერძნულ καὶ οἱ ἐθνικοὶ-ს². ასე იკითხება მრავალ ადრეულ თუ გვიანდელ ბერძნულ ხელნაწერში, უადრეს თარგმანებსა თუ წმინდა მამებთან: A B D Z f¹ 33 (205) 892 1071 1241 1424 it^{a.ar.b.c.d.f.f.f.g.l} vg syr^{c.h.pal} cop^{sa. mcē. bo. fay} eth Basil; Cyprian Lucifer Chromatius Augustine (GNT, 17). ქართული ოთხთავის მრავალ წინარეათონურ ნუსხასა და გიორგი ათონელისეული რედაქციის ხელნაწერში ამავე ადგილას ვკითხულობთ – მეზუერეთაცა, რაც ბერძნულ καὶ οἱ τελῶνα-ს შეესაბამება და დასტურდება LWAΘ f^{1,2} 28 157 180 565 579 597 700 1006 1010 1243 1292 1342 1505 Byz [EΣ] Lect it^h syr^p slav ნუსხებში.

სომხური თარგმანში კი ვკითხულობთ: *մաքսաուրք եւ մեղաւորք գ'նոյն գործին*: ანუ მეზუერეთაცა და ცოდვილთა ვგრევე ყვიან? ეს წაკითხვა ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში არ დასტურდება, მაგრამ გვაქვს ქართული ოთხთავის ურბნისულ და პალესტინურ ნუსხებში.

ს.ყაუხჩიშვილმა აღნიშნა, რომ მათე 8,28 მუხლში აღიშის ოთხთავსა და სახარების სომხურ თარგმანში განსხვავებულად არის წარმოდგენილი სოფლის სახელწოდება, რაც ისევ ბერძნული დედნის ორი სხვადასხვა ვარიანტული წაკითხვით შეიძლება ავხსნათ (ყაუხჩიშვილი 1944, 108).

² აღიშის ოთხთავში წარმართთაცა (ἐθνικοὶ) ბერძნულის გავლენით რომ გვხვდება, პირველად ს.ყაუხჩიშვილმა მიაქცია ყურადღება (ყაუხჩიშვილი 1944, 110-111).

მათე 16,20 მუხლი თავად ბერძნულ ხელნაწერებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. ზოგ მათგანში ეკითხულობი ὁ Χριστός, როგორც ეს სომხურ თარგმანსა, წინარეათონურსა და გიორგი მთაწმიდლისეულ ნუსხებშია წარმოდგენილი (მაშინ ამცნო მოწაფეთა თჳსთა, რაათა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს ქრისტე), ხოლო ზოგში კი – Ἰησοῦς ὁ Χριστός (GNT. 62). აღიშის ოთხთავის მთარგმნელს სწორედ ამგვარი ხელნაწერი ჰქონია ხელთ:

C: მაშინ ამცნო მოწაფეთა, რაათა არავის უთხრან, რამეთუ იგი არს იესუ ქრისტე.

τὴντε διεστειλάτο τοῖς μαθηταῖς ἵνα μηδενὶ εἴπωσιν ὅτι αὐτός ἐστιν ὁ Ἰησοῦς Χριστός.

მათეს თავის 22,35 მუხლში აღიშის ოთხთავში ეკითხულობთ:

C: და ჰკითხა ერთმან მან მათგანმან შჯულისმდებელმან გამოცდით.

გიორგი ათონელის მიერ რედაქტირებულ ტექსტში ამ ადგილას შჯულისმობღუარს ეხვდებით: და ჰკითხა ერთმან მათგანმან შჯულისმობღუარმან, გამოსცდიდა მას და ეტყოდა. ხოლო წინარეათონური რედაქციის ხელნაწერებში კი ეს მუხლი ასეა წარმოდგენილი: და ჰკითხა ერთმან მან მათგანმან, და გამოსცდიდა მას.

აღიშის ოთხთავსა და გიორგისეულ ნუსხებში წინარეათონურისაგან განსხვავებით კითხვის დამსმელი შჯულისმდებელი ან შჯულისმობღუარია, ასევეა ბერძნული დედნის უმრავლეს ხელნაწერებშიც - σομικὸς:

καὶ ἐπρωτήσεν εἰς ἐξ αὐτῶν σομικὸς πειράζων αὐτόν. & B D L W Δ Θ 0102 0161 1^a 28 33 157 180 565 579 597 700 892 1006 1010 1071 1241 1243 1342 1424 1505 Byz [E^c OΣ] Lect (GNT. 86). σομικὸς, ანუ შჯულისმდებელი გამოტოვებულია ბერძნული დედნის მხოლოდ 1^a ჯგუფის ხელნაწერებსა და 205-ში, ხოლო თარგმანებიდან კი თითო იტალიურსა და სირიულ ნუსხასა და ყველა სომხურ ხელნაწერში, აგრეთვე წინარეათონური რედაქციის ქართულ ხელნაწერებში (GNT. 87).

მათეს სახარების 26,28 მუხლი სხვადასხვაგვარად იკითხება მრავალ ბერძნულ ხელნაწერში და აქ შინაარსის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანი რედაქციული ვარიანტები არის წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში ქრისტე ამბობს, რომ დღინო არის სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – სისხლი ჩემი აღთქმისაჲ. იმის მიხედვით, თუ დედნად რომელი რედაქციის ხელნაწერი ჰქონდა ხელთ მთარგმნელს, ნაწილდება ეს წაკითხვებიც

ქართულ, სომხურ თუ სხვ. ოთხთავის თარგმანებშიც. ადიშის ოთხთავში ვკითხულობთ:

C: რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი აღთქმისაჲ, რომელ მრავალთათჳს დაითხევის მისატყვებელად ცოდვათა.

τοῦτο γάρ ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς διαθήκης τὸ περὶ πολλῶν ἐκχυσνόμενον εἰς ἄφεσιν ἁμαρτιῶν. P¹⁷ & B L Z Θ 33 0298^{vid} c^{op} ^{ms. lat.} (GNT, 102). ეს ტექსტი დასტურდება ისეთ უძველეს ხელნაწერში, როგორცაა P¹⁷ – III-IV საუკუნეებით დათარიღებული პაპირუსი, IV ს.-ის სინურ და ვატიკანურ კოდექსებში და სხვ. ამგვარივე წაკითხვა მარკოზის სახარების იმავე შინაარსის 14,24 მუხლში: როგორც ბერძნული დედნის რიგ ხელნაწერებში, ისე ადიშის ოთხთავში:

მრკ.14,24 C: და პრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი შჯულისაჲ, რომელ მრავალთათჳს დაითხევის.

καὶ εἶπεν αὐτοῖς, Τοῦτό ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς διαθήκης τὸ ἐκχυσνόμενον ὑπὲρ πολλῶν. & B C D² L Θ Ψ 565 2427 it^k c^{op} ^{ms. lat.} (GNT, 178).

ადიშის სახარების ჩვენთვის საინტერესო ორივე მუხლში (მთ.26,28; მრკ.14,24) აკ.შანიძემ აღადგინა ტექსტში არარსებული სიტყვა ახალი, რადგან შესაბამის მუხლებში ჯრუჭისა და პარხლიის ოთხთავებში იგი დასტურდება. საქმე ის არის, რომ წინარეათონური და გიორგიისეული ოთხთავების ხელნაწერები ისევე, როგორც სომხური ოთხთავი, მისდევს ბერძნული დედნის იმ რედაქციის ხელნაწერებს, სადაც აღნიშნულ მუხლებში დასტურდება სიტყვები καινῆς διαθήκης ანუ ახლისა აღთქმისაჲ და ახლისა შჯულისაჲ:

მთ.26,28 წინარეათ.: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისაჲ, (+თქუნ OADEB) მრავალთათჳს დათხეული მისატყვებელად ცოდვათა.

τοῦτο γάρ ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς καινῆς διαθήκης τὸ περὶ πολλῶν ἐκχυσνόμενον εἰς ἄφεσιν ἁμαρτιῶν. ACDWA f¹/f³ 28 157 180 205 565 579 700 892 1006 1010 1071 1241 1243 1292 1342 1424 1505 B₁z [EFGHΣ] Lect it vg syr c^{op} ^{sa. bn} arm eth slav (GNT, 102).

მრკ.14,24 წინარეათ.: და პრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა შჯულისაჲ, მრავალთათჳს დათხეული.

καὶ εἶπεν αὐτοῖς, Τοῦτό ἐστιν τὸ αἷμά μου τῆς καινῆς διαθήκης τὸ ἐκχυσνόμενον ὑπὲρ πολλῶν E 157 579 828 892 1006 1006 it vg syr c^{op} ^{ms. lat.} arm eth (GNT, 178).

მათეს თავის კიდევ სხვა მუხლების დასახელებაც შეიძლება, სადაც ადიშის ოთხთავის ტექსტი მიჰყვება ბერძნული დედნის გარკვეული ხელნაწერების ჩვენებებს და უპირისპირდება სომხურ ოთხ-

თავს. რომლის მთარგმნელიც უთუოდ დედნად იყენებდა სხვა ბერძნულ ნუსხებს: მთ. 2,18; 7,14; 9,14; 18,19; 20,26; 22,23; 23,9; 26,71; 27,16-17 (ორივე მუხლში აღიშის და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ოთხთავებში დასტურდება ბარაბა Βαραββάν, ხოლო ქართულ წინარეკატონური ვერსიის ხელნაწერებსა და სომხურ თარგმანში კი – ისუ ბარაბაჰსი Ἰησοῦν Βαραββάν); 28,6.

მარკოზის სახარების 1,11 მუხლი აღიშის ოთხთავში ამგვარად არის წარმოდგენილი:

მრკ.1,11 C: და კმაჲ ცით გარდამო ესმა: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ მთნავ.

καὶ φωνῆ ἐγένεστο ἐκ τῶν οὐρανῶν, Σὺ εἶ υἱὸς μου ὁ ἀγαπητός. ἔν σοι εὐδόκησα.

შაკუნ ხეხი კხრქსიყ ხე საჲ, დო ხე ირქი ქა' სქრსქი. რ'იყ კხე ჯაბხეჲაჲ:

წინათ.: და კმაჲ იყო ზეცით: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიჲაჲ.

καὶ φωνῆ ἐγένεστο ἐκ τῶν οὐρανῶν, ანუ და კმაჲ იყო ზეცით – *შაკუნ ხეხი კხრქსიყ ხე საჲ*, დასტურდება ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაში, ხოლო აღიშის ოთხთავის მთარგმნელს კი ამ შემთხვევაში ხელთ ჰქონდა კესარიული ტიპის (Θ 565) ბერძნული დედანი. სადაც ეწერა: καὶ φωνῆ ἐκ τῶν οὐρανῶν ἰκαιοσθη Θ 28 565 (GNT, 118) და თარგმნა ის დედნის მიხედვით, ანუ: და კმაჲ ცით გარდამო ესმა.

ბერნარ უტიემ მიაქცია ყურადღება, რომ მარკოზის 2,1 მუხლში ბერძნული V ს.-ის ვამინგტონური ნუსხის მსგავსად აღიშის ოთხთავშიც მოვიდა გვაქეს ερχεται W, სხვა ხელნაწერებში კი ამავე ადგილას εἰσελθών, ანუ შევიდა წერია (Oultier 1999. 71).

მხოლოდ ბერძნული დედანით აიხსნება აღიშის ოთხთავში მარკოზის 2,15 მუხლში დადასტურებული ინაკით-დგმაჲ. რაც სუფრასთან წამოწოლას ნიშნავს. გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტში იმავე მნიშვნელობის ინაკით-ჯდომა წერია ამ ადგილას, ხოლო წინარეკატონურ ქართულ ხელნაწერებსა და სომხურ თარგმანში გვაქეს ჯდომა. ბერძნულ დედანში ამ ადგილას წერია κατακεισθαι, მისი საწყისია κατάκειμαι, რაც ლოუსა და ნაიდას ლექსიკონში სინონიმურ ἀνάκειμαι-სთან ერთად განმარტებულია, როგორც საკვების მიღება დაბალ მაგიდასთან წამოწოლილ და მაგიდისაკენ გადახრილ მდგომარეობაში. აქვე ავტორები შენიშნავენ, რომ მრავალ ენაში ეს

ზმნები არ ითარგმნება როგორც წამოწოლით საკვების მიღება, რადგან ამგვარად მრავალ ქვეყანაში მხოლოდ ზარმაცები და ავად-მყოფები იკვებებიან და ეს მინიშნება რომ არ გამოსვლოდათ მთარგმნელებს, ისინი თავს არიდებენ წამოწოლის ხსენებას და მხოლოდ ისეთ გამოთქმებს ხმარობენ, როგორცაა საკვების მიღება. ან საკვების მისაღებად დაჯდომა (Louw & Nida, 251-52). ამავე მუხლში მეორე ზმნა $\sigma\upsilon\nu\alpha\nu\acute{\alpha}\kappa\epsilon\iota\mu\alpha\iota$ ნიშნავს ერთად ჭამას (Louw & Nida, 447), და სრულიად გასაგებია, თუ რატომ არის ადიშის ოთხთავში აქ ინაქ-ედგა.

მრკ.2,15 C: და იყო ინაკის-ღვმასა მისსა შინა სახლსა მისსა, და მრავალთა მეზუერეთა და ცოდვილთა ინაქ-ედგა იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა,

გიორგისეული: და იყო ვითარცა ინაკით-ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა.

$\text{Καὶ γίνεται κατακεῖσθαι αὐτὸν ἐν τῇ οἰκίᾳ αὐτοῦ, καὶ πολλοὶ τελῶναι καὶ ἄμαρτωλοὶ συνανέκειντο τῷ Ἰησοῦ καὶ τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ}$

შდრ: წინარეთ: და იყო, ვითარ ჯდა იგი სახლსა შინა მისსა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალნი და მის-ლედექს მას.

ბერძნული დედნის მათეს სახარების 9,10 ანალოგიური შინაარსის მუხლში სწორედ $\acute{\alpha}\nu\acute{\alpha}\kappa\epsilon\iota\mu\alpha\iota$ და $\sigma\upsilon\nu\alpha\nu\acute{\alpha}\kappa\epsilon\iota\mu\alpha\iota$ სწერია, რაც ადიშის ოთხთავში ისევ ინაქ-ედგა და ინაქ-ედგა თანა-თი არის თარგმნილი. წინარეთონურ ნუსხებსა და გიორგისეულ რედაქციაში კი იკითხება — ჯდა რაჲ იგი ინაკით და თანასხდეს ინაკით.

მთ.9,10 C: და იყო, რაჟამს ინაქ-ედგა მას სახლსა მას შინა, მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი მოსრულ იყვნეს და ინაქ-ედგა იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა.

$\text{Καὶ γίνεται αὐτοῦ ἄνακειμένου ἐν τῇ οἰκίᾳ, καὶ ἰδοὺ πολλοὶ τελῶναι καὶ ἄμαρτωλοὶ συνανέκειντο τῷ Ἰησοῦ καὶ τοῖς μαθηταῖς αὐτοῦ.}$

მარკოზის სახარების 3,7-8 მუხლებში ორი განსხვავებაა ადიშის ოთხთავის იკითხვისებსა და სომხურ ტექსტს შორის. აქ. შანიძემ ადიშის ოთხთავის ტექსტის გამოცემაში მრკ. 3,7 მუხლში აღადგინა სიტყვები: შეუდგეს მას. ისინი არ დასტურდება არც ადიშის, და არც ე.წ. პროტოვეულგატის არც ერთ ხელნაწერში და

ამდენად, არც ვერუკისა და პარხლის ოთხთავებში, მაგრამ გვაქვს გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტში.

C: ხოლო იესუ მოწაფითურთ თყსით წარვიდა ზღუად კერძო. და მრავალი ერი გალილეამთ და ჰურიასტანით.

წინარეთ.: ხოლო იესუ მოწაფითურთ განემორა მათგან და მივიდა ზღუესკიდელ. და მრავალი ერი გალილეამთ და ჰურიასტანით.

გიორგისეული: ხოლო იესუ მოწაფითურთ განემორა მათგან და მოვიდა ზღუესკიდელ. და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეამთ და ჰურიასტანით.

καὶ πολὺ πλῆθος ἀπὸ τῆς Γαλιλαίας [ἡκοιούθησαν], καὶ ἀπὸ τῆς Ἰουδαίας.

სე წაგვიძ მოიქიორე ქი გალილესაგითყ ხერქაქისი გჳსით ზოიას. ხე ქი ჳრქასათანს :

ზმნა ἡκοιούθησαν აკლია აგრეთვე ბერძნული დედნის D (პარიზული ნუსხა, VI ს.) 1³ 28 ხელნაწერებსა და მათ მიხედვით თარგმნილ მრავალ იტალიურ და ზოგიერთ კოპტურ ნუსხას (GNT, 127). აღიშნისა და წინარეთონური ხელნაწერების ტექსტიც სწორედ ასეთ დედანს მისდევს. სახარების სომხური თარგმანი და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტი კი მისდევს ბერძნული დედნის იმ ხელნაწერთა ჩვენებებს, სადაც დასტურდება ზმნა ἡκοιούθησαν (GNT, 127).

მომდევნო, 3,8 მუხლში აღიშნის ოთხთავში ისევე, როგორც გიორგი მთაწმიდლისეულ ტექსტში დასტურდება და იდუმიამთ, რაც აკლია წინარეთონური ნუსხის ხელნაწერებსა და არც სომხურ ოთხთავში დასტურდება. ამგვარი წაკითხვა ბერძნული დედნის მხოლოდ K*— IV ს.-ის სინურ კოდექსში დასტურდება K* arm omit καὶ ἀπὸ τῆς Ἰδουμαίας (GNT, 127) დანარჩენ ბერძნულ ხელნაწერებში καὶ ἀπὸ τῆς Ἰδουμαίας დასტურდება, მაგრამ თანმიმდევრობა ყველგან ერთგვარი არ არის (GNT, 127).

C: და იერუსალმით და იდუმიამთ და წიად იორდანისამთ გიორგისეული: იერუსალმით და იდუმიამთ და წიად იორდანისამთ

წინარეთ: და იერუსალმით და წიად იორდანით

სე ქერიასაგინქ, ხე კაქსიქი კორქასანთი

მარკოზის სახარების 3,14 მუხლი აღიშნის ოთხთავში განსხვავდება როგორც წინარეთონური და გიორგისეული ნუსხების. ისე სახარების სომხური ტექსტისაგან:

C: და ყვნა იგინი ათორმეტ, რაათა იყვენენ იგინი მის თანა, და მოციქულ სახელი დასდვა მათ და რაათა წარავლინნოდის იგინი ქადაგებად.

წინარეათ. და გიორგი: და ყვნა ათორმეტნი იგი, რაათა იყვენენ მის თანა და რაათა წარავლინნეს იგინი ქადაგებად.

Ἦ ἀρχαὶ ἑρμηνευομένων ἐκ τῶν ἐν ἑσχατῶν, ἢ ἐκ ἀποκρῶν, ἢ ἑσχατῶν :

ადიშის და მოციქულ სახელი დასდვა მათ მცირედი სხვაობით დასტურდება ბერძნული ოთხთავის ორ ხელნაწერში W-Vლ.-ის ვაშინგტონურ კოდექსსა და Δ Δ სენტ-გალის IX ს-ის ნუსხაში. სადაც მაჰიძაც გამოტოვებულია ისევე, როგორც ადიშის ოთხთავში:

δὲδεκα μαθητὰς ἵνα ᾄσιν μετ' αὐτοῦ οὐκ καὶ ἀπιστόλους ὀνόμασεν καὶ ἵνα ἀποστελλῇ αὐτοὺς κηρῦσσειν W (Δ μετ' αὐτὸν δὲδεκα ἢ οὐκ ἀπιστῶν) (GNT, 128). ოთხთავის სომხური თარგმანი და ქართული წინარეათონური და გიორგისეული რედაქციის ტექსტები კი მისდევს ბერძნული დედნის უმრავლეს ხელნაწერთა და მის სხვადასხვაენოვან თარგმანთა ჩვენებას: καὶ ἐποίησεν δὲδεκα ἵνα ᾄσιν μετ' αὐτοῦ καὶ ἵνα ἀποστελλῇ αὐτοὺς κηρῦσσειν (GNT, 128).

მარკოზის სახარების 4,15 მუხლის ბოლო ოთხთავის ძველ ქართულ თარგმანებში ისევე იკითხება, როგორც ბერძნული დედნის IV ს-ის ვატიკანურ, V ს-ის ვაშინგტონურ კოდექსებში, *ქქქ* ჯგუფის და კიდევ რამდენიმე ნუსხაში:

C: მოვიდის ეშმაკი და მოულის სიტყვაჲ იგი დათესული მათდა მიმართი.

წინარეათ.: მოვიდის ეშმაკი და მოულის მათ სიტყვაჲ იგი დათესული მათა მიმართ.

ἔρχεται ὁ Σατανᾶς καὶ αἶρει τὸν λόγόν τὸν ἐσπαρμένον εἰς αὐτοὺς B W *ქქქ* 28 205 2427 (GNT, 132).

ზოგიერთ ბერძნულ ხელნაწერში ავტოსტან-ის მაგივრად ვკითხულობთ ἐν ταῖς καρδίαις αὐτῶν D Θ 33 257 180 565 700 1006 1010 1071 1241 1243 1342 1424 1505 Byz. [EFGHΣ] Lect და იტალიურ. ლათინური უულგატას, სლავურ, ზოგიერთ სირიულსა და კოპტურ ხელნაწერებში (GNT, 132). ასევე არის წარმოდგენილი ეს მუხლი ქართული ოთხთავის გიორგისეულ რედაქციასა და სომხურ ოთხთავში:

გიორგი: მოვიდის ეშმაკი და მოულის მათ სიტყვაჲ იგი გულთაგან მათთა.

დაჲ ასათნაჲ ἢ ჳანსჲ ექსანსი სხრქანსხაჲ | სქრთა ჳიფა :

მარკოზის სახარების 6.3 მუხლში აღიშის სახარებაში მრავალი სხვა ბერძნული ხელნაწერისა და თარგმანის მსგავსად (GNT. 139) იესოს შესახებ კითხულობდნენ, ეგ ხურო არ არისო, მარიამის ძე?:

C: არა იგი არს ხუროჲ, ძმ მარიამისი, და ძმაჲ იაკობისი და იოსისი და იუდაისი და სიმონისი?

οὐχ οὐτός ἐστιν ὁ τέκτων, ὁ υἱὸς τῆς Μαρίας καὶ ἀδελφὸς Ἰακώβου καὶ Ἰωσήτου καὶ Ἰούδα καὶ Σίμωνος;

ზოგიერთ ბერძნულ დედანსა და მის თარგმანებში იესოს შესახებ ასე სვამენ შეკითხვას: ეგ ხუროსა და მარიამის ძე არ არის? ასევე არის აღიშის ოთხთავისაგან განსხვავებით წინარეაღიშურ და გიორგისეულ ნუსხებსა და სომხურ თარგმანშიც:

წინარეაღ. გიორგი: ანუ არა ესე არსა ხუროჲსა მის ძმ მარიამისი...

οὐχ οὐτός ἐστιν τὸν τέκτωνος, υἱὸς καὶ τῆς Μαρίας ...

იგ სა ზ მარიამისი ზე იაკობისი...

აღიშის ნუსხის მარკოზის სახარების 6,44 და 45 მუხლები განსხვავდება ოთხთავის სომხური და ქართული თარგმანების სხვა ხელნაწერთა წაკითხვებისაგან.

მრკ.6.44 C: ხოლო იყენეს მჭამელნი იგი მის პურისანი, ხუო ათას კაც.

შდრ: და იყენეს, რაოდენთა-იგი ჭამეს, ვითარ ხუთ ათას მამაკაცი ხოლო.

καὶ ἦσαν οἱ φαγοντες [τους ἄρτους] πεντακισχίλιοι ἄνδρες. ABLΔ13 33 157 180 579 597 828 892 1006 1010 1071 1241 1243 1292 1342 1424 1505 2427 Byz [EFGHNΣ] Lect (GNT, 143). თსუც ἄρτους ანუ პურისანი არ დასტურდება P⁴⁵ ἄDWΘ f¹ f³ 28 205 565 700 და ამავე მუხლის იტალიური თარგმანის მრავალ ნუსხაში, ეულგატასა, სირიულ, კოპტურ და სომხურ თარგმანებში (GNT, 143).

იმავე ვითარებასთან გვაქვს საქმე შემდგომ, 6.45 მუხლშიც. აღიშის ოთხთავისა და რიგ ბერძნულ ხელნაწერებში გამოტოვებულია εις τὸ πέραν P⁴⁵W f¹ 205 il¹sy¹ (GNT, 143).

C: და მუნქუესვე აძულა მოწაფეთა თჳსთა აღსლევად ნავსა და წარძლუანვად ბეთსაიდად, ვიდრე განტეეებადმდე ერისა მის.

DE: და მცესულად აწუედა მოწაფეთა შესლევად ნავსა, რამთა წინაწარუძღუნ მას წიაღ კერძო ზღუასა მას ბეთსაიდად, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.

*სა ზოგნი ძამიჯნი ნსიხიყე ყაგაკხირათნი მითინიჯ ზაჲ. ხა კათო-
ღაოქნი ჟანი ყზა ხერხსაჲ კაქსიკიჲ ო ქხმსაჲიჲჲ. მიწეჲ ქსერნი
ყმოქოქოქოქიანი არძასიქიქი :*

როგორც ვხედავთ, ქართული და სომხური ოთხთავის თარგ-
მანები ერთსა და იმავე ბერძნულ ტექსტებს არ მისდევენ. აქ ჩვენ
ვერც გამოვყოფთ რომელიმე ერთ ხელნაწერს, რომლის წაკითხვასაც
შეიძლება თანმიმდევრულად მიჰყვეს ადიშის ნუსხა ან სომხური
ოთხთავის თარგმანი. თუ 6,44 მუხლის შემთხვევაში სომხური
ოთხთავის და ქართული ოთხთავის წინარეათონური ნუსხები
ბერძნული ხელნაწერების უმრავლესობაში დადასტურებულ წაკითხვას
ეთანხმებიან და ადიშური ნუსხა კი P⁴⁵ – III ს.-ის პაპირუსის, W –
V ს.-ის ვაშინგტონური ნუსხის, 205 და 1¹ ჯგუფის ხელნაწერთა
ჩვენებებს ემყარება, 6,45 მუხლში საპირისპირო ვითარება გვაქვს:
ჩამოთვლილ ბერძნულ ნუსხებს სომხური და წინარეათონური ხელ-
ნაწერების რედაქციული ვარიანტი ეთანხმება, ხოლო ადიშის ვარი-
ანტი კი უმრავლეს ბერძნულ ხელნაწერშია დაცული.

მარკოზის სახარების 7,4 მუხლში ადიშის ოთხთავში ორჯერ
წერია განბანა, სხვა ქართულ ნუსხებში კი მათ ფარდად ერთხელ
განბანა დასტურდება და მეორეჯერ კი განრცხაჲ. სომხურ თარგ-
მანში ამ მუხლში ორსავე შემთხვევაში წყალში ჩაყურყუმალაება
გვაქვს. ეს სხვაობანი მხოლოდ განსხვავებული ბერძნული ტექსტის
თარგმნით შეიძლება აეხსნათ.

C: და სავაჭრომთლა შეველენდ. ვიდრე არა განიბანნიან. არა
ჭამიან. და სხუამცა მრავალი არს, რომელი უსწავეს მარხვად:
განბანამ სასუმელთამ და სტამანთამ და ქუაბთამ და ცხედართამ.

DE: და უბანთაგან რამ შევიდიან, უკუეთუ არა იბანიან, არა
ჭამიან. და სხუამცა მრავალი არს, რომელი მოელოჲ კყრობად:
განრცხამ სასუმელებისამ და სტამნებისამ და ქუაბებისამ და ცხე-
დრებისამ.

καὶ ἀπ' ἀγογᾶς ὅταν ἔλθωσιν ἐὰν μὴ ῥαντίσωνται σὺκ ἐσθίουσιν.
καὶ ἄλλα πολλὰ ἔστιν ἃ παρέλαβον κρατεῖν. βυπτισμοὺς ποτηρίων καὶ
ξέστῶν καὶ χαλκίων [καὶ κλιθῶν].

ქართული თარგმანები მისდევენ იმ ბერძნულ ხელნაწერთა ჩვე-
ნებას, სადაც ῥαντίσωνται წერია. ῥαντίζω გაწმენდას, გაპრიალე-
ბას ნიშნავს. ლოუ და ნაიდა მრკ.7,4 მუხლს ასე განმარტავენ: თუ
არ გაიწმინდებოდნენ (დაიბანდნენ), არ ჭამდნენ (Louw & Nida, 536).
ῥαντίσωνται წერია ბერძნული ოთხთავის სინურ და ვატიკანურ
კოდექსებსა და კოპტურის საპიდური დიალექტის თარგმანის

ტექსტებში (GNT, 145). სომხური ძეგლები ნიშნავს ნათლისღებას. ნათლისღებას, წყალში ჩაყურყურებას (ხუდაბაშინი, II ტ., 164) და აქ ბერძნული βαπτίζω-ს ფარდია.

Եւ ի հրապարակէ մտեալ չիմէ ոչ նախ մկրտիցին, ոչ ուսին: և ալ ինչ բազում է զոր ընկալան ունի. մկրտութիւնս լատակայ, և ստոմանայ, և սղնձնայ, և մաճնայ:

καὶ ἀπ' ἀγογᾶς ἐὰν μὴ βαπτίσωνται οὐκ ἐσθίουσιν. καὶ ἄλλα πολλά ἐστὶν ἃ παρέλαβον κρατεῖν, βαπτισμοὺς ποτηρίων καὶ ξεστῶν καὶ χαλκίων [καὶ κλινῶν].

Βαπτίζω ლოუ და ნიდას განმარტებით გარეცხვას. დაბანას (ზოგიერთ კონტექსტში შესაძლებელია წყალში ჩაყურყურებადებით). ნივთის სარიტუალოდ გამოყენებისათვის გარეცხვას, განბანას, გაწმენდას ნიშნავს (Louw & Nida, 536). ბერძნულში ზმნა Βαπτίζω, ხოლო სომხურში კი ძეგლები ნათლობის რიტუალს უკავშირდება ქრისტიანობის შემოღების შემდეგ.

ადიშის ოთხთავში მარკოზის სახარების 8,26 მუხლის მოკლე ვარიანტია დაცული, როგორც ეს ზოგიერთ ბერძნულ ნუსხაშია წარმოდგენილი:

C: და წარავლინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა მას: ნუცა დაბასა მას შეხუალ.

καὶ ἀπέστειλεν αὐτὸν εἰς οἶκον αὐτοῦ λέγων. Μηδὲ εἰς τὴν κώμην εἰσέλθῃς (κ* Wm) κ² BL l¹ 205 579, 2427^{vid} syr^s cop^{sa} boip. f:ay (GNT, 151:?)

ოთხთავის ქართული თარგმანის წინარეაოთხურ და გიორგისეულ ნუსხებში ისევე, როგორც ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაში (მცირე ვარიანტული სხვაობით) მრკ. 8,26 მუხლის ვრცელი ვარიანტი არის წარმოდგენილი.

წინარეთ. გიორგი: და წარავლინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხვდე, ნურას ვის უთხრობ დაბასა შინა.

Μηδὲ εἰς τὴν κώμην εἰσέλθῃς] ὑπαγε εἰς οἶκον σου καὶ ἐὰν εἰς τὴν κώμην εἰσέλθῃς μηδὲν εἶπῃς ἐν τῇ κώμῃ Θ (l¹³ τὸν οἶκον and εἶπες μηδὲ) (28 1243 μηδὲν μηδὲν εἶπῃς) (565 τὸν οἶκον) (it^{fl2} l) (it^(a) aut. b. f. l. vg omm) ἐν τῇ κώμῃ) ge² (GNT, 151-152).

სომხურ ოთხთავში კი დაცულია მუხლის ოდნავ განსხვავებული ვრცელი ბოლო: არის როგორც ადიშისეული ნუცა დაბასა მას შეხუალ, ისე წინარეაოთხური და გიორგისეული ვარიანტიც.

C: არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაკისაჲ. ὁὐκ ἔστι ὁὐ μὴ πίω (GNT.179). ხოლო სომხურ თარგმანში კი *„უ ხს კახელიც უწახე ქ ჩხრიკ ირქი გვაქს, რაც ὁὐ μὴ პროთმ πειν-ის თარგმანია D (565 ὁὐκ ἔστι ὁὐ პროთმ πειν) it^{a,d,h} arm* ნუსხების ვარიანტს იმეორებს (GNT.179).

მარკოზის სახარების 14,30 მუხლში ადიშის ოთხთავის მიხედვით ქრისტე ეუბნება პეტრეს:

C: დღეს ღამესა ამას ვიდრე ქათმისა ორგზის ყივიდმდე სამგზის უვარ-ყო მე.

ამგვარი წაკითხვა დასტურდება ἀλέκτορα δίδ φωνῆσαι Θ Ϝ' 565 700 it¹ v^{g'} ხელნაწერებსა და წინარეათონურ და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებში (ქათმისა მეორედ კმობადმდე) სომხურ თარგმანში კი ამ აღვილას ორგზის (მეორედ) გამოტოვებულია ἄ C* D W 579 / 950 it^{a,b} ნუსხების მსგავსად და (GNT,179)

წერია: *კაკამ ვჩუხიქ მქსჯჯხ ჯაიო ქაოხაქ ქცქ, ხრქყა იკაოაყხა ყქა:*

ლუკასა და იოანეს სახარებათა ადიშისეული ნუსხის ტექსტშიც მრავალი მუხლი მოიპოვება, რომელიც რედაქციულად სხვაობს ოთხთავის სომხური თარგმანის იკითხვისებისაგან.

ადიშის ოთხთავის ტექსტის შედარებამ ბერძნული დედნის რედაქციებთან, ქართული თარგმანის სხვა ნუსხებთან და სომხურ თარგმანთან ცხადყო, რომ ადიშის ტექსტი სშირად სხვაობს როგორც წინარეათონური და გიორგისეული ნუსხების, ისე სომხური ოთხთავის ტექსტისაგან იმდენად, რამდენადაც ადიშის ნუსხის მთარგმნელს განსხვავებული ბერძნული ხელნაწერები ჰქონდა დედნად.

ადიშის ოთხთავის ლუკას სახარების ძირითად ტექსტში (1.1-3.8; 23,3-24,53) საკმაოდ ვრცელი ჩანართი გვხვდება. როგორც ეს იემნაიშვილმა გამოარკვია, ადიშის ოთხთავის ჩანართის ტექსტი (3,9-15,6; 17,25-23,2) ე.წ. პროტოველგატის რედაქციისაა (იმნაიშვილი 1946, 232).

იემნაიშვილმა რედაქციულად შეისწავლა X ს-ის ქსნის ოთხთავის ნუსხა. „მთელ რიგ შემთხვევებში ქსნის ოთხთავი გვაწვდის სწორედ ისეთ რედაქციულ წაკითხვებს, ცალკე ლექსიკურ მასალასა და სხვა ენობრივ თავისებურებათ, რომელნიც ვერჯერობით მხოლოდ ადიშის ოთხთავის დამახასიათებელ თვისებებად ითვლებიან“ (იმნაიშ-

ვილი 1949, 213). ქსნის ოთხთავის გადამწერ-რედაქტორის სამუშაო შეიძლება დავახასიათოთ როგორც ორი რედაქციის შერწყმის ერთ-გვარი ცდა. ქსნის ოთხთავის მუხლებში ალაგ-ალაგ გვხვდება ადიშის რედაქციის წაკითხვები (ცალკეული ფრაზები თუ სიტყვები). ნუსხაში არ არის ამა თუ იმ მუხლის ადიშისეული გაბმული ტექსტი.

ადიშის რედაქციის არქტივის ტექსტი ჩვენამდე მოღწეულ ორ ოთხთავში გვხვდება, ესენია ხანმეტი ოთხთავი და XI ს-ის H-124) ოთხთავის შემცველი ხელნაწერი. ამ ორი ხელნაწერის ადიშის ნუსხასთან საერთო ტექსტის შედარება გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ, თუ რა ცვლილებები შეიძლება შეეტანა ჩვენთვის საინტერესო ნუსხის რედაქტორს.³

ლამარა ქაჯაიამ დაადგინა, რომ ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტში გამოიყოფა ორი ფენა: მათეს სახარების დასაწყისი ნაწილი ემსგავსება ადიშის ხელნაწერისას (მთ. 5,18-11,6), ხოლო ფრაგმენტთა ძირითადი ტექსტი კი პროტოვულგატისეული, ანუ A ტიპის ხელნაწერების რედაქციისაა (ქაჯაია 1984, 304). მან შეისწავლა ხანმეტი ოთხთავის ადიშის ნუსხის ტექსტთან თანხედრილი მონაკვეთი და დაასკვნა, რომ „სახარების ტექსტის ეს ნაწილი ორსავე ვერსიაში ერთნაირია, არის განსხვავებანიც, მაგრამ ისინი ძალზე მცირეა და არც არის მოულოდნელი, ვინაიდან სულ მცირე სამი საუკუნის მანძილზე ძველი არაერთხელ გადაწერილა და არ შეიძლება ამ პროცესში მას ცვლილება არ განეცადა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოთხთავის ტექსტს ბევრჯერ განუცდია რევიზია. მიუხედავად ამისა, ხანმეტ და ადიშის ტექსტებს ბევრი რამ აქვს საერთო“ (ქაჯაია 1984, 304-305).

ლამარა ქაჯაიას მოაქვს მრავალი მაგალითი იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ უპირისპირდება ხანმეტი და ადიშის ოთხთავების ტექსტი პროტოვულგატისეულ თარგმანს (ქაჯაია 1984, 306-308). ეს განსხვავებანი შეიძლება ორი მიზეზით იყოს განპირობებული: 1) ამ მონაკვეთში ადიშისა და ხანმეტი ოთხთავის ტექსტი სხვა თარგმანია და 2) ადიშისა და ხანმეტ ოთხთავში დაცული ტექსტი სხვა ბერძნულ დედანს მისდევს და მისი თარგმანია, ხოლო პროტოვულგატა კი სხვა დედნისეული ვარიანტის თარგმანია (ჩვენ ქვე-

³ ადიშის რედაქციის ტექსტი ე.წ. პროტოვულგატისეულის გვერდით გვხვდება ლექციონარებშიც, რაც ცალკე შესწავლის საგანს წარმოადგენს.

მომთმევეცდლებით ეს დებულება მრავალი მაგალითის მოხმობით გან-
ვამტკიცოთ).

ხანმეტი ოთხთავისა და აღიშის ტექსტებს შორის არსებულ
განსხვავებათა განხილვა საშუალებას მოგვეცემს გავარკვიოთ. ოუ რა
სახის ცვლილებები შეიტანა აღიშის ოთხთავში მისმა შემდგომმა
რედაქტორმა.

აღიშისა და ხანმეტი ოთხთავების მათეს სახარების 5,18 - 11.6
მუხლების ტექსტის შედარებამ გვაჩვენა, რომ ამ ორ ნუსხას შო-
რის არის 1) მინიმალური განსხვავებანი, ანუ თითო სიტყვის
კლება, მატება, ან შეცვლა და 2) არსებითი, ხშირად რედაქციული
სახის განსხვავებანი. მინიმალურ განსხვავებებად შეიძლება
ჩავთვალოთ შემდეგი ტიპის სხვაობები:

მთ 5,28 ხოლო C] რამეთუ X; 5,30 მოიკუეთე + იგი X: გა-
ნაგდე + იგი C; 5,32 ცოლი + თუსი X; 5,42 პირსა + შენსა X; 5,45
კეთილთა + ზედა X; ცოდვილთა + ზედა X და ა. შ.

ხანმეტ ოთხთავისა და აღიშის ნუსხების ტექსტებს შორის
განსხვავებას აგრეთვე ქმნის გადამწერთა მიერ დაშვებული შეც-
ლომები. ლ. ქაჯაია წერს: ხანმეტი ტექსტის ზოგიერთ მუხლს (მთ.
5,19; 6,22; 7,6; 8,9) აკლია წინადადება. იგი გადამწერის მიერ უნე-
ბლიედაა გამორჩენილი. აღიშის ნუსხაში კი ეს შეცდომები არ
დასტურდება (ქაჯაია 1984; 308-309). მაგალითისათვის მოვიხმობთ
მათეს 7.6 მუხლს:

C: ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუდებთ მარ-
გალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, რაათა არა დათრგუნონ იგი
ფერკითა მათითა და მოგექცენ და განგხეთქდენ თქუენ.

X: ნუ მისცემთ სიწმინდეთა ძაღლთა, ნუცა დახუდებთ მარ-
გალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, და მოგექცენ და განგხეთქდენ
თქუენ.

ფრაზა რაათა არა დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა აკლია
ხანმეტ ოთხთავს. ფრაზა $\mu\eta\rho\sigma\tau\epsilon\ \kappa\alpha\tau\alpha\pi\alpha\rho\tau\eta\sigma\upsilon\sigma\iota\upsilon\varsigma\ \alpha\upsilon\tau\eta\sigma\iota\varsigma\ \acute{\epsilon}\nu\ \tau\eta\varsigma\ \rho\alpha\iota\sigma\iota\upsilon\varsigma\ \alpha\upsilon\tau\omega\upsilon\varsigma$ ბერძნული დედნის ყველა ხელნაწერში დასტურდება
(GNT, 22; SQE, 93).

ხანმეტ ოთხთავში მთ.5,48 მუხლში გამოტოვებულია სიტყვები:
ცათა შინა.

C: იყვნით სრულ, ვითარცა მამამ თქუენი ცათა შინა სრულ
არს.

X: ხიყვნით სრულ, ვითარცა მამამ თქუენი სრულ არს.

ბერძნული დედნის ყველა ხელნაწერში ამ ადგილას ვკითხულობთ: ὁ πατήρ ἴσους ὁ υἱὸς τοῦ θεοῦ.

ორ შემთხვევაში ხანმეტ ოთხთავში აღიშნის რომელ არს ცათა შინა-ს საპირისპიროდ ზეცათაჲსა და ზეცათაჲმან დასტურდება მაშინ, როცა აქ ბერძნულ დედანში განსხვავება არ არის:

მთ. 6,1 C: სასყიდელ არა გაქუნდეს მამისა თქუენისაგან. რომელ არს ცათა შინა.

X: სასყიდელ არა გაქუნდეს მამისა თქუენისა, ზეცათაჲსა.

მთ. 6,14 C: უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი. მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან, რომელ არს ცათა შინა.

X: უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი. მოგიტევნეს თქუენცა მამამან თქუენმან, ზეცათაჲმან.

ამის საპირისპიროდ, სამჯერ აღიშნისა და ხანმეტ ოთხთავებში რომელ არს ცათა შინა ერთნაირად დასტურდება:

მთ. 5,40 XC: რამთა იყენეთ (ხიყენეთ X) შვილ მამისა თქუენისა (თქუენისა C), რომელ არს ცათა შინა,

მთ. 10,32 XC: ყოველმან რომელმან აღმიაროს (ამიაროს C) მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა⁷

მთ. 10,33 XC: ხოლო რომელმან უვარ-ყვოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ყვო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა.

ლ. ქაჯაია აღნიშნავს, რომ ხანმეტის ოთხთავის ტექსტის ფრაზა: ამენ გეტყვ თქუენ (ἀμήν λέγω ὑμῖν) აღიშნის ოთხთავში, მთელი ტექსტის მანძილზე, წარმოდგენილია მართლიად გეტყუ თქუენ ფორმით (ქაჯაია 1984, 308). ლუკას თავის აღიშნისეულ ჩანართში, რომელიც პროტოკოვულგატის რედაქციისაა კი ვკითხულობთ: ამენ გეტყვ თქუენ (ქაჯაია 1984, 321-322) – სულ 9 შემთხვევა. აღიშნის მთელს ოთხთავში ფრაზა მართლიად გეტყუ თქუენ 41-ჯერ არის დადასტურებული, იოანეს თავში კი ეს ფრაზა 27-ჯერ ასე გვხვდება – მართლიად მართალსა გეტყუ თქუენ (ἀμήν ἀμήν λέγω ὑμῖν). აღიშნის ოთხთავის მათეს თავში ოთხ შემთხვევაში (6.5. 16: 8,10; 10,15 მუხლებში) მართლიად-ს ხანმეტ ოთხთავში ამენ შეესაბამება. ოთხთავის სომხურ თარგმანში ყველა შემთხვევაში (როგორც იოანეს თავში, ისე მთელი ოთხთავის მანძილზე) ეს გამოთქმა უთარგმნელად გვხვდება – Ա.ՄԷՆ ԿԱՄԷՆ და ამდენად, აღიშნისეულ მართლიად-ს ვერ ჩავთვლით სომხურ დედანზე დამოკიდებულად.

მათეს სახარების 5,21 მუხლი ხანმეტსა და აღიშის ოთხ-
თავებში ასე არის წარმოდგენილი:

X: გასმიეს სამე, რამეთუ თქმულ არს პირველთა მათ: არა
კაც-ხკლა: რამეთუ რომელმან კაც-კლას, თანამდებ არს საშჯელისა.

C: გასმიეს სამე, რამეთუ თქმულ არს პირველთა მათ მიმართ:
არა კაც-ჰკლა, ზოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს საშ-
ჯელისა.

Ἐκούσατε ὅτι ἐρρέθη τοῖς ἀρχαίοις· οὐ φονεύσει. ὃς δ' ἄν φονεύσῃ,
ἐνοχοῦς ἔσται τῇ κρίσει.

წინარეათონური და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ხელ-
ნაწერები უფრო აღიშის წაკითხვას უჭერენ მხარს:

გასმიეს, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც-ჰკლა:
ზოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს საშჯელისა.

ზოლო რომელმან მოკლას გამოტოვებულია ოპიზის, ჯრუჭისა
და პარხლის ოთხთავებში. საშჯელისა-ს მაგიერად კი სიკუდილისა
წერია Sin 15, Sin 16, Sin 30, ბერთის, ტბეთის, ურბნისის, მესტიის
და ალავერდის ოთხთავებში.

ამავე თავის 40-ე მუხლში ხანმეტ ოთხთავში, რომლის
წაკითხვასაც ეთანხმებიან წინარეათონური და გიორგისეული ნუსხები,
აღიშის ტექსტთან შედარებით გადასმულია სიტყვები:

X: და რომელსა ხუნდეს საშჯელად და მიღებად კუართისა
შენასა. მიხუტვეე მას ფიჩუცა შენი.

C: და რომელსა უნდეს სასჯელად შენდა და კუართისა შენისა
მიღებად. მიუტვეე მას ფიჩუცა შენი.

წინარეათონურ და გიორგისეულ ხელნაწერებში ფიჩუ-ს
მაგიერად გამოხელია გვაქეს.

აღიშის ოთხთავის სიტყვების წყობა ამ მუხლში მიჰყვება
ბერძნულ დედას. ზოლო ხანმეტისა და სხვა ქართულ ნუსხათა კი
საშჯელად თარგმანის მსგავსად გადასვამს მიღებად-ს პირველ
დღეებზე.

καὶ ὁ μὴ φονεύσει σὺν τῷ χιτῶνα σου λαβείν. ἀφεὲς αὐτῷ
τὸν ἄσπιλον.

ხე ირ კამჩიხი ირ ფათიხი ხე ათიზილ ეჯააიქისი კო, ქილ ქი ზოა ხე
ფრანკისი კო:

ხანმეტის ოთხთავისა და აღიშის ნუსხის ტექსტებს შორის
მათეს სახარების 5,18-11,6 მუხლებში რედაქციული სხვაობებიც
შეინახება. რაც რედაქტორის მიერ თავდაპირველი ტექსტის ჩას-
წერვის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ.

მათეს სახარების 5,41 მუხლში ხანმეტ ოახთავეში გამოტოვებულია სიტყვები: მის თანა. აღიშისა და წინარეათონურ, აგრეთვე გიორგისეულ ნუსხებში ისევე, როგორც ბერძნულ დედანსა და მის სომხურ თარგმანში დასტურდება მის თანა (μετ' αὐτῶν).

მათეს 5,44 მუხლის ბოლოს ხანმეტსა და აღიშის ოთხთაების ტექსტებს შორის რედაქციული სხვაობა უნდა იყოს:

X: ხოლო მე გეტყვ: ხეუარობლით მტერთა თქუენთა. ხაკურთხეთლით მწყევართა თქუენთა და ზლოცევილით, რომელნი მიგხუეჭლენ და გღევილენ თქუენ.

C: ხოლო მე გეტყვ თქუენ: ჰეუარობლით მტერთა თქუენთა, აკურთხევილით მწყევართა თქუენთა და ულოცევილით, რომელნი [მიგხ]უეჭლენ თქუენ.

ἐγὼ δὲ λέγω ὑμῖν ἀγαπᾶτε τοὺς ἐχθροὺς ὑμῶν καὶ προσεχεσθε ὑπὲρ τῶν ἐπιηραζόντων ὑμᾶς – ამგვარად იკითხება ბერძნული დედნის გარკვეულ ხელნაწერებში, რომელთაც აღიშის ოთხთაეც მოსდევს (GNT, 16), ხოლო ხანმეტ ოთხთავსა და სხვა ქართულ ხელნაწერებში დაცული წაკითხვა კი გვხვდება სხვა ბერძნულ ხელნაწერებსა და იტალიურ, სირიულ, სომხურ, ეთიოპურ თუ სლავურ თარგმანებში:

მიგხუეჭლენ თქუენ და გღევილენ თქუენ X / გმძლავრობდნენ თქუენ, გღევილენ თქუენ (წინარეათონური და გიორგისეული ნუსხები) ὑπὲρ τῶν ἐπιηραζόντων ὑμᾶς καὶ διωκόντων ὑμᾶς (GNT, 16).

ლ. ქაჯაია ყურადღებას ამახვილებს ხანმეტი და აღიშის ოთხთაების ტექსტებს შორის განსხვავებაზე მთ. 6,2 მუხლში. მუხლის ბოლოს ხანმეტ ოთხთავეში ისევე, როგორც წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში, ბერძნულ დედანსა და მის სომხურ თარგმანში იკითხება:

ἀμὴν λέγω ὑμῖν, ἀπέχουσις τὸν μισθὸν αὐτῶν.

X: ამენ გეტყვ თქუენ: იგი არს სასყიდელ მათა.

წინარეათონ. გიორგი: ამენ გეტყვ თქუენ: მიუღებთეს სასყიდელი მათი.

აღიშის ოთხთავეში კი მუხლის ბოლო სხვაგვარად არის წარმოდგენილი, რის გამოც ლ. ქაჯაია წერს: „ეს უკანასკნელი სხვა თარგმანი ჩანს“ (ქაჯაია 1984, 309).

C: რამეთუ მათგან მიიღიან სასყიდელი მათი.

მათეს 6,18 მუხლში აღიშის ოთხთავის გადამწერის მიერ უნებლიედ გამორჩენილია ფრაზა – „და მამამ შენი, რომელი ხედავს დაფარულთა“ (ქაჯაია 1984, 309). ამავე მუხლის ბოლოს აღიშის

ოთხთავსა და წინარეათონურ ნუსხებში ემატება სიტყვა შენ + ცხადად C, რაც ბერძნული დედნის ზოგიერთ ხელნაწერშიც დასტურდება $\sigma\iota\iota \acute{\epsilon}\nu \tau\acute{\omicron}\mu \phi\alpha\nu\epsilon\rho\acute{\omicron}$ და მის იტალიურ, სირიულ, სომხურ თარგმანებში (GNT, 19-20; ქაჯაია 1984, 309). ამდენად, აქ რედაქციულ სხვაობასთან გვაქვს საქმე. აღიშნის ნუსხის რედაქტორმა დაამატა ცხადად, თუ ხანმეტი ოთხთავისამ წაშალა, ამის გარკვევა დღეს ძნელია, მაგრამ წაკითხვის ერთი და მეორე ვარიანტიც დადასტურებულია ბერძნული დედნის რიგ ხელნაწერებში. ლ. ქაჯაიას შენიშნული აქვს, რომ გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ხელნაწერთა წაკითხვა აქ ხანმეტს ემთხვევა (ქაჯაია 1984, 309).

მათეს სახარების 6,21 მუხლის ბოლო სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი ხანმეტსა და აღიშნის ოთხთავებში:

X: რამეთუ სადაც არიან საფასენი თქუენნი, მუნცა გულნი თქუენნი ხიყენდ.

C: რამეთუ სადა არიან საფასენი თქუენნი, მუნცა არიან გულნი თქუენნი.

$\mu\pi\omicron\upsilon \gamma\acute{\alpha}\rho \acute{\epsilon}\sigma\tau\iota\nu \acute{o} \theta\eta\sigma\alpha\upsilon\rho\acute{o}\varsigma \acute{\upsilon}\mu\acute{\omega}\nu. \acute{\epsilon}\kappa\epsilon\iota \acute{\epsilon}\sigma\tau\alpha\iota \kappa\alpha\iota \eta \kappa\alpha\rho\delta\iota\alpha \acute{\upsilon}\mu\acute{\omega}\nu.$
ბერძნული დედნის უმრავლეს ხელნაწერებში ორივე თქუენი-ს მაგიერ შენი ($\sigma\omicron\upsilon\varsigma$) გვაქვს. თქუენი ($\acute{\upsilon}\mu\acute{\omega}\nu$) დასტურდება L W Θ $f^{1,13}$ 33 892 1006 1342 1506 M f ნუსხებსა და სირიულსა და სომხურ თარგმანებში (SQE, 88).

აღიშნის ოთხთავის მათეს 6,5 მუხლში არ დასტურდება ხანმეტისეული ვერსია.

X: და რაჟამს თაყუანის-ხცემდეთ, ნუ ხიყოფით, ვითარცა ორგულნი, რამეთუ ხუყუარან მათ შოვრის შესაკრებელთა და ვურეთა ურაკპარაკთასა თაყუანის-ცემამ, რამთამცა ხაცნობეს კაცთა.

C: და რაჟამს თაყუანის-სცემდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა ორგულნი, რამეთუ უყუარან მათ შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა თაყუანის-ცემამ, რამთამცა აუცნეს კაცთა.

$\kappa\alpha\iota \acute{o}\tau\alpha\nu \pi\rho\omicron\delta\epsilon\sigma\chi\eta\theta\sigma\epsilon. \omicron\upsilon\kappa \acute{\epsilon}\sigma\epsilon\sigma\theta\epsilon \acute{\omega}\varsigma \omicron\iota \acute{\upsilon}\pi\omicron\kappa\rho\iota\tau\alpha\iota, \acute{o}\tau\iota \phi\iota\lambda\omicron\sigma\upsilon\iota\nu \acute{\epsilon}\nu \tau\alpha\iota\varsigma \sigma\upsilon\nu\alpha\gamma\omega\gamma\alpha\iota\varsigma \kappa\alpha\iota \acute{\epsilon}\nu \tau\alpha\iota\varsigma \gamma\omega\nu\acute{\iota}\alpha\iota\varsigma \tau\acute{\omega}\nu \pi\lambda\alpha\tau\epsilon\iota\omega\nu \acute{\epsilon}\sigma\tau\acute{\omega}\tau\epsilon\varsigma \pi\rho\upsilon\sigma\epsilon\upsilon\chi\epsilon\sigma\theta\alpha\iota. \acute{o}\pi\omega\varsigma \phi\alpha\nu\acute{\omega}\sigma\iota\nu \tau\omicron\iota\varsigma \acute{\alpha}\nu\theta\rho\acute{\omega}\pi\omicron\iota\varsigma.$

აღიშნის ოთხთავში გამოტოვებულია ვურეთა, რომელიც ბერძნული დედნის ყველა ხელნაწერში დასტურდება, ასევე გვხვდება სომხურ თარგმანშიც, სადაც $\kappa\alpha\nu\sigma\iota\chi\iota\nu\sigma\alpha$ – კუთხვებში წერია.

სიტყვის ვურეთა დაკლება აღიშნის ოთხთავში შეიძლება გადამწერის უნებლიე შეცდომად მიგვეჩნია, მაგრამ ამავე მუხლში არც წინარეათონურ, არც გიორგისეული რედაქციის ოთხთავის ხელნაწ-

ერებში ეს სიტყვა არ დასტურდება. ქართველ მთარგმნელებს უთუოდ ექნებოდათ ბერძნული ხელნაწერი, სადაც ἐν ταῖς γωνίαις (ყურეთა) არ ეწერა. წინარეათონურსა და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებში ამ ადგილას ვკითხულობთ:

და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ვერე, ვითარცა-იგი ორგულნი, რამეთუ უყუარნ შესაკრებელთა შორის და უბანთა ზედა ღვომაჲ და ლოცვაჲ, რამთა უჩუენონ კაცთა.

თუ ხანმეტი და ადიშის ოთხთავის ამ მუხლის წაკითხვას შევადარებთ წინარეათონურსა და გიორგისეულ ტექსტებს, შევამჩნევთ, რომ წინარეათონურსა და გიორგისეულ ნუსხებში დადასტურებულია სიტყვები: ზედა ღვომაჲ, რაც ბერძნული ἐστῶτες თარგმანია. ἐστῶτες არ დასტურდება ერთადერთ ბერძნულ ხელნაწერში, K – IX ს-ის პარიზულ ნუსხაში (SQE, 85). ზედა ღვომაჲ არ გვაქვს არც ადიშისა და ხანმეტ ოთხთავებში. სომხურ თარგმანში კი ἐστῶτες თარგმანილია – կալ. ამდენად, ხანმეტი და ადიშის ოთხთავების ტექსტი აქ დამოკიდებულია მხოლოდ ბერძნულ და არა სომხურ ტექსტზე.

ამავე მუხლში ბერძნული ὁπὰς τοῖς ἀσπίροις ხანმეტ ოთხთავში წარმოდგენილია როგორც: რამთამცა ხაცნობეს კაცთა, ადიშის ოთხთავში – რამთამცა აუცნეს კაცთა, ხოლო წინარეათონურსა და გიორგისეულ ტექსტებში კი გვაქვს – რამთა უჩუენონ კაცთა. სამივე თარგმანი სწორია, რადგანაც ამ ზმნას ბერძნულში აქვს როგორც ცნობების, ისე რაიმეს ჩვენების, დანახვების მნიშვნელობა (Louw & Nida, 279; 338-9).

სომხური დედნის ზეგველენით ვერ ავხსნით ხანმეტისა და ადიშის ოთხთავების ტექსტებს შორის სხვაობას მთ. 6,24 მუხლის დასაწყისში:

X: ვერეინ ხმონოს ორთა უფალთა.

C: ვერ ხელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად.

აქ ადიშის ოთხთავი სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულ დედანს: οὐβῆις δὴναται δῆσι κερῖος δῖσλεῦειν. ადიშისა და ხანმეტ ტექსტებში ბერძნული დედნის ერთი და იგივე წინადადება სხვადასხვაგვარად არის თარგმნილი. მუხლის მეორე ნაწილში ხანმეტ ოთხთავში ვკითხულობთ:

X: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი იგი შეიყუაროს. ადიშის ოთხთავში ამავე ადგილას იკითხება:

C: და სხუად იგი შეიყუაროს, რაც ბერძნული τὸν ἔτερον-ის თარგმანია. სომხურშიც აქ միսի, ანუ სხვა გვაქვს.

ასევე ვერ ავხსნით მათეს სახარების 7,13 და 19 მუხლებში დადასტურებულ განსხვავებებს ხანმეტი ოთხთავისა და აღიშის ნუსხის ტექსტებს შორის სომხური დედნის გავლენით.

მთ. 7,13 C: მრავალ არიან, რომელნი ვლენან მიერ; / X: და მრავალნი შევლენან მიერ.

καὶ πολλοὶ εἰσιν οἱ εἰσερχόμενοι δι' αὐτῆς. ხ მ რ ა ვ ა ლ ა რ ი ა ნ ი ს ი მ ი ე რ ; / X : და მ რ ა ვ ა ლ ნ ი ს ი მ ი ე რ .
მთაწახნა რწი რა :

მთ. 7,19 C: ყოველი ხმ, არგამომღებელი ნაყოფისა კეთილისაა, მოიკუეთოს...

X: ყოველი ხმ არა ნაყოფისა კეთილისაა, მოხიკუეთოს...

სომხურ თარგმანში ამ ადგილას პირიანი ზმნა დასტურდება, ხანმეტ ოთხთავში კი ποιοῦν გამოტოვებულია და მხოლოდ არა გვაქვს.

πάν δένδρον μὴ ποιοῦν καρπὸν καλὸν ἐκκόπτεται...

მათეს სახარების 8,8 მუხლში ხანმეტ ოთხთავში მიმღობა დასტურდება, ხოლო აღიშის ხელნაწერში პირიანი ზმნა:

X: მეტყუელმან ასისთავმან და პრქუა... C: მიუგო მან ასისთავმან და პრქუა... καὶ ἀποκριθεὶς ὁ ἑκατόνταρχος ἔφη.

როგორც ლოუ და ნაიდა განმარტავენ, ἀποκριθεὶς ოთხთავის ბერძნულში ძირითადად „თქმა“ ზმნასთან ერთად გვხვდება და რაიმეს თქმას, განცხადებას ნიშნავს (Louw & Nida, 392-3). მისი მეორე მნიშვნელობაა პასუხის გაცემა, მიგება (Louw & Nida, 409), როგორც ეს აღიშის ოთხთავშია დადასტურებული, აგრეთვე მრავალ წინარეათონურსა თუ გიორგისეული რედაქციის ნუსხაში. სომხურ თარგმანშიც ამ ადგილას გვაქვს: უპასუხა.

მათეს სახარების 10,3 და 4 მუხლებში ხანმეტსა და აღიშის ოთხთავებს შორის მცირედი განსხვავებანი გვაქვს.

მთ. 10,3 X: ლებოს, რომელსა ზერქუა თადეოზ. C: ლებოს, რომელსა ეწოდა თადეოზ. Ααββαῖος ὁ ἐπικληθεὶς Θαδδαῖος. ამგვარი წაკითხვა დასტურდება უმრავლეს ბერძნულ ხელნაწერში და მის იტალიურ, სირიულ, ქართულ, სლავურ და ზოგიერთ სომხურ და ეთიოპურ თარგმანებში (GNT, 33). სომხურ თარგმანში ამ ადგილას სწერია: առուսանցաւ, ანუ იწოდა, ვნებითი გვარის ზმნა გვაქვს

წყვეტილში. ადიშის ეწოდა დასტურდება აგრეთვე წინარეთონურსა და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებში.

მთ. 10,4 X: იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მიხცა იგი. C: იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი. 'Ιουδας ὁ Ἰσκαριώτης ὁ καὶ παραδίδὸς αὐτόν.

მთ. 10,3 და 4 მუხლებში ხანმეტი ოთხთავისა და ადიშის ნუსხის ტექსტებს შორის ამ ორი ზმნის სხვაობას თუ რედაქციულად ჩავთვლით, ამ ვარიანტებს სომხური დედნის ზეგავლენად მაინც ვერ მივიჩნევთ. ხანმეტიეული წაკითხვა მიხცა/მისცა დასტურდება ურბნისულსა და პალესტინურ ნუსხებში, ხოლო ადიშის განსცა კი სხვა დანარჩენ ქართულ ხელნაწერებში. ამგვარივე განსხვავებებია მთ. 10, 5; 6; 7 მუხლებში ხანმეტსა და ადიშის ოთხთავების ტექსტებს შორის.

წინარეთონური

	X	C	გიორგი	
მთ. 10,5	ხეტყოდა	პრქუა	პრქუა	λέγων
მთ. 10,6	არამედ მიველით	მიველით	არამედ მიველით	πορεύεσθε δὲ
მთ. 10,7	X: რ-ეს მიხჯლოდით, ქადაგებდით...	C: და მი-რამ-ხჯდეთ, ქადაგებდით...	πορεύσθαι δὲ κηρύσσετε. მი-რამ-ხჯდეთ	დასტურდება აგრეთვე წინარეთონურსა და გიორგისეულ ყველა ნუსხაში.
მთ. 10,8	მუხლი განსხვავდება ხანმეტსა და ადიშის ოთხთავებში:			

X: სნეულთა განჰკურნებდით, განბოკლებულთა განხწმედდით, ეშმაკთა განხკდიდით, უსასყიდლოდ მოგიღებოდა, უსასყიდლოდცა მიხცემდით.

C: უძლურთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებოდა, უსასყიდლოდცა მისცემდით.

წინარეთონურ ხელნაწერებში ეს მუხლი ემთხვევა ადიშის ოთხთავის წაკითხვას, ხოლო გიორგი მთაწმიდლის რედაქციის ტექსტში კი მკუდართა აღადგინებდით ჩამატებულია უძლურთა განჰკურნებდით-ის შემდეგ. ოთხთავის სომხურ თარგმანში თანმიმდევრობაცა და შინაარსიც იგივეა, რაც ხანმეტ, ადიშისა და წინარეთონურ ქართულ ხელნაწერებში:

შეჩანანჲს რძქჲხჲგჲ, ყციოითჲს სრჩხჲგჲ, გღხსა ჳანჲგჲ. ბრქ
ითჲგჲ. ბრქ თოი. გ:

ბერძნული დედნის რიგ ხელნაწერებშიც ამგვარსავე წაკითხვას ვხვდებით (SQE, 140).

მთ. 10,14 მუხლის ქართული და სომხური თარგმანები ერო-
მანეთისაგან განსხვავდება. სომხურ თარგმანში ისევე, როგორც ერ-
თადერთ ბერძნულ ხელნაწერში, D – VI ს-ის პარიზულ ნუსხაში,
აკლია τῆς οἰκίας (SQE, 140). ხანმეტ და აღიშის ოთხთავესა და
წინარეათონურსა და გიორგისეული რედაქციის ხელნაწერებში კი
დასტურდება „მიერ სახლით“. ამ მუხლში ხანმეტი და აღიშის
ოთხთავეს ტექსტებს შორის არის რამდენიმე მცირედი განსხვავება,
მაგრამ რომელიმე მათგანის სომხურ დედანზე დამოკიდებულებაზე
ვეღარ ვილაპარაკებთ, ვინაიდან სომხური თარგმანი სხვა ბერძნულ
დედანს მისდევს.

X: ხოლო რომელმან არა შეგიწყნარნეს. არცა ისმინნეს
სიტყუანი თქუენნი, რაჟამს გამოხჯლოდით მიერ სახლით, ანუ
ქალაქით, დახიყარეთ მტუერი ფერკთა თქუენთაჲ.

C: ხოლო რომელმან არა შეგიწყნარნეს თქუენ და არცა ისმინ-
ნეს სიტყუათა თქუენთაჲ, რაჟამს გამოხჯლოდით მიერ სახლით, ანუ
ქალაქით, დაიყარეთ მტუერი ფერკთაგან თქუენთა.

καὶ ὁ δὲ ἄν μὴ δέξῃται ὑμᾶς μὴδὲ ἀκούσῃ τοὺς λόγους ὑμῶν. ἐξερ-
χόμενοι εἰς τὴν οἰκίαν ἢ τῆς πόλεως ἐκείνης ἐκτινάξατε τὸν κονιορτὸν
τῶν ποδῶν ὑμῶν.

მათეს სახარების 11,2 მუხლში დადასტურებული მცირედი
განსხვავება ხანმეტისა და აღიშის ოთხთავეების ტექსტებს შორის
ვერ აიხსნება სომხურ დედანზე დამოკიდებულებით. ამ მუხლს
ბერძნული დედნის ხელნაწერებში სამი რედაქციული ვარიანტი აქვს:

Ὁ δὲ Ἰωάννης ἀκούσας ἐν τῷ δεσμοτηρίῳ τὰ ἔργα τοῦ Χριστοῦ
πέμψας διὰ τῶν μαθητῶν αὐτοῦ.

διὰ τῶν μαθητῶν αὐτοῦ დასტურდება N B C* D W Z Δ Θ Σ 0233
f³ 33 it syr cop slav და სომხურ თარგმანებში ἱ ἀκίον αἰμακίοναჲ

ქრიოჲ რაც ბერძნულ ძნის ἱ μαθητῶν-ს შეესატყვისება, რაც დას-
ტურდება C³ L¹ 13 28 157 180 205 565 579 597 700 828 892 1006 1010
1071 1243 1292 1342 1424 1505 Byz[EFG] Lect. ლათინურ ვულგატასა
და ზოგიერთი იტალიური, სირიული და კობტური თარგმანის ნუსხ-
აში (GNT, 37). ამგვარივე წაკითხვა, ანუ: მიაველინა ორნი მოწაფენი
თუსნი დასტურდება წინარეათონურ V T* O* 1 ნუსხებსა და გიორგი
მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტში, ხოლო მიაველინა მისა
ორნი მოწაფენი თუსნი კი – ODEbim ხელნაწერებში.

ხანმეტ და აღიშის ოთხთავეებში, აგრეთვე წინარეათონური რე-
დაქციის მრავალ ნუსხაში დადასტურებული მიაველინა მოწაფენი

მისნი (მოწაფეთაგანნი X) არ გვხვდება ჩვენამდე მოღწეულ არც ერთ ბერძნულ ხელნაწერში, მაგრამ იგივე წაკითხვა დასტურდება ზოგიერთ იტალიურ ხელნაწერში, ასევე ლათინური ვულგატის ზოგ ნუსხაში, აგრეთვე IV-V საუკუნეების ორი წმინდა მამის თხზულებაში (Hilary 367 წ.; Jerome 419/420 წწ.) (GNT, 37).

მთ. 11,6 მუხლი ერთგვარად არის წარმოდგენილი როგორც ხანმეტ, ისე ადიშის ოთხთავებსა და სომხურ ტექსტში და ბერძნული დედნის: *καὶ μακάριός ἐστιν ὁς ἐὰν μὴ σκαυδαλισθῆι ἐν ἐμοί-*ს თარგმანია, მაგრამ აქ ხანმეტის დაპკოლდეს ადიშისეული სცთეს ენაცვლება, რაც შინაარსით ერთი და იგივეა. ხანმეტი ოთხთავის წაკითხვას ეთანხმება ყველა სხვა ქართული ხელნაწერიც (დაბრკოლდეს).

X: და ნეტარ არს, რომელი არა დაპკოლდეს ჩემდა მომართ.

C: და ნეტარ არს, რომელი არა სცთეს ჩემდა მომართ.

ს. ხრანსიკ ქ ირ ոչ գալქისაդღեսիქ კის.

ბერძნული კრიტიკული გამოცემის (GNT) სქოლიოში მითითებულია, რომ მათეს სახარების 6,25 მუხლში ზიგიერთი სომხური ხელნაწერის წაკითხვა ეთანხმება ადიშური ნუსხისას (GNT, 20-21). თუ დავაკვირდებით ამ მუხლის ტექსტს, დავინახავთ, რომ ბოლომდე ეს ორი თარგმანი იდენტური არ არის. ეს მუხლი დასტურდება ნაწილობრივ ხანმეტ ოთხთავშიც:

C: ამისთვის გეტყვ თქვენ: ნუ ზრუნავთ თავთა თქვენთათვის, რაჲ სჭამოთ, ანუ რაჲ სუათ; ნუცა კორცთა თქვენთათვის, რაჲ შეიმოსოთ, არა სული უფროჲს არს საზრდელისა და კორცნი სამოსლისა?

თქვენთათვის (2) სიტყვაზე ხანმეტი ოთხთავის ფრაგმენტი წყდება.

Διὰ τοῦτο λέγω ὑμῖν, μὴ μεριμνᾶτε ἢ ψυχῆ ὑμῶν τί φάγητε [ἢ τί πίητε] μὴδὲ τῷ σώματι ὑμῶν τί ἐνδύσθησθε. οὐχὶ ψυχὴ πλεῖον ἐστὶν τῆς τροφῆς καὶ τὸ σῶμα τοῦ ἐνδύματος.

როგორც ამ მუხლის სქოლიოშია მითითებული, ზოგიერთ სომხურ ხელნაწერში ისევე, როგორც B W^{f1} 33 157 205 1342 / 547 ბერძნულ ხელნაწერსა და ზოგ იტალიურ, კობტურ და სლავურ თარგმანში, ასევე ორიგენესთან, ბასილი დიდისა და სხვა წმინდა მამათა თხზულებებში დასტურდება წაკითხვა *ἢ τί πίητε* /ანუ რაჲ სუათ (ხსუათ X) XC (GNT, 20). ზოგიერთ სომხურ ხელნაწერს კი ეს სიტყვები აკლია ისევე, როგორც *Ⲡⲉ*¹ 892 ბერძნულ ნუსხებსა და

ზოგიერთ იტალიურ, სირიულ, კოპტურ ხელნაწერსა და ათანასეს, იოანე ოქროპირის, კირილე ალექსანდრიელის და სხვა წმინდა მამათა ოხზულებებში (GNT, 21).

ამავე მუხლში ქართული და სომხური ხელნაწერების ტექსტებს შორის ერთი განსხვავებაც დასტურდება: ხანმეტსა და ადიშის ოთხთავებში კვითხულობთ: ნუ ზრუნავთ (ხზრუნავთ X) თავთა თქუენთათჳს, ხოლო სომხურ ტექსტში იკითხება: ნუ ზრუნავთ თქვენი სულებისათვის. როგორც ეს წინარეათონურ და გიორგი მთაწმიდლისეულ ხელნაწერებშია: ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისათჳს.

როგორც ვხვდავთ, ხანმეტი და ადიშის ოთხთავების მათეს სახარების 5,18 - 11,6 ტექსტში ჩვენს მიერ შენიშნული რედაქციული სხვაობები განპირობებულია ბერძნული დედნის რედაქციების არაერთგვაროვნებით და არა სხვა რომელიმე სათარგმნ ენაზე დამოკიდებულებით. ხოლო იქ, სადაც ადიშისა და ხანმეტი ოთხთავის ტექსტების წაკითხვები ემთხვევა ოთხთავის სომხურ თუ სხვა ენაზე შესრულებულ თარგმანების იკითხვისებს, მრავალ ბერძნულ ნუსხაში იმავე ვარიანტულ წაკითხვებს ვხვდებით.

XI საუკუნის ოთხთავის H-1240-ის ხელნაწერში, რომელიც მეტად ადრეულ ტექსტს შეიცავს და მასში ხანმეტი ფორმებიც დასტურდება (ს. სარჯველაძე 2002, 79-89), მარკოზის სახარების ტექსტში, რომელიც ე. წ. პროტოვულგატის რედაქციისაა, აღმოჩნდა ადიშის არქტიპის ჩანართი (მრკ. 14,60-15,47) (ს. სარჯველაძე 2003, 108). ადიშის ოთხთავის ამ მუხლების შედარებისას H-1240 (h)-ის ტექსტთან გამოვლინდა, რომ ადიშის რედაქციისათვის დამახასიათებელი ლექსიკის ნაწილი h-შიც დასტურდება: მკუსოლარე (შდრ. წინარეათონ. და გიორგისეული: ტფებოდა რაჲ 14. 67); მუნქუესვე (მუნთქუესვე h). ძჳრის თქუმა, ძჳრის ქმნა; კორცნი (შდრ. წინარეათონ. და გიორგისეული გუამი); მტარვალი; არდაგი; ბასრობაჲ (ერთ შემთხვევაში h-შიც ბასრობა გვაქვს, ხოლო 14,64 მუხლში კი - გამობაჲ), შექმნული (შეთხზული - წინარეათონ. და გიორგისეულ ნუსხებში).

აღსანიშნავია, რომ ადიშის ოთხთავს აკლია მარკოზის თავის 14,72-15,1-18 მუხლები. H-1240-ის ჩანართის მიხედვით შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა, თუ როგორი იყო ამ ადგილას ადიშის ტექსტი.

იმის გამოსავლენად, თუ რამდენად არის დამოკიდებული ადიშისა და h-ის საერთო არქეტიპის ტექსტი ბერძნულ თუ სომხურ დედანზე და რა რელაქციული განსხვავებანი შეიძლება იყოს მათ შორის, ჩვენ შევადარეთ ამ ნუსხათა მრკ. 14.60-15.47 მუხლები როგორც ბერძნული ტექსტის კრიტიკულ (GNT) ისე მის სინოპტიკურ გამოცემას (სადაც ბევრად მეტი ვარიანტული წაკითხვებია მოცემული) (SQE), ოთხთავის სომხური თარგმანის ტექსტს და წინარეათონურ და გიორგი მთაწმიდლისეული ნუსხების ჩვენებებს.

მრკ. 14,61 მუხლის ტექსტში რამდენიმე განსხვავებაა:

Ch: ხოლო იგი ღუმნა და არას მიუგებდა მათ (მათ - h). და (და - C) მერმე მღღელთმოძღუარი იგი ჰკითხვიდა მას სიტყუასა მეორედ და ჰრქუა მას (მას - C): შენ ხარ ქრისტს (ქრისტე h). ძმ (ძე h) კურთხეულისაჲ?

ὁ δὲ ἐσίωπα καὶ οὐκ ἀπεκρίνατο οὐδέν. πάλιν ὁ ἀρχιερεὺς ἐπιρῶτα αὐτὸν καὶ λέγει αὐτῷ. Σὺ εἶ ὁ Χριστὸς ὁ υἱὸς τοῦ ἐβλῳγητοῦ;

წინარეათონურ და გიორგისეული რელაქციის ტექსტებში კითხვობით: ხოლო იესუ ღუმნა, ὁ δὲ Ἰησοῦς ἐσίωπα დასტურდება ბერძნულ κ A 565 (579)al ხელნაწერებში, ხოლო ὁ δὲ ἐσίωπα კი ბერძნული ხელნაწერებისა და თარგმანების უმრავლესობაში (SQE. 464). ოთხთავის ყველა ქართულ ხელნაწერში ამ მუხლის ბოლოს გვაქვს: ძმ კურთხეულისაჲ, სომხური თარგმანი კი მისდევს ბერძნული A 346, 1342^c, al აგრეთვე v^g^{f1}-ის წაკითხვას: τοῦ θεοῦ εβλῳγητοῦ (SQE. 465) ანუ ძმ ღმრთისაჲ კურთხეულისაჲ - ირქს Ἀποστολική ὀρθόδοξη.

მრკ. 14,62 მუხლი ადიშისა და H-1240 ხელნაწერებში ასეა წარმოდგენილი:

Ch: ხოლო იესუ მიუგო და ჰრქუა მას: შენ სთქუ, ვითარმედ მე ვარ.

ბერძნული დედნის უმრავლეს ხელნაწერებში ამ ადგილას კითხება: ὁ δὲ Ἰησοῦς εἶπεν. Ἐγώ εἰμι. Ch, აგრეთვე XOD-AERPSBTLFmGwI წინათონური ნუსხების ტექსტიც (შენ იტყ; (ხიტყუ X, სთქუ A), ვითარმედ (-L) მე ვარ (+ ქრისტს RP. ქრისტე I)) მისდევს ბერძნული Θ f³ 565 700 2542 pc ხელნაწერების და ორიგენეს თხზულებებში დადასტურებულ ვარიანტს: ὁ δὲ Ἰησοῦς

Εἶπεν· τὸ εἶπας ὅτι ἐγὼ εἰμι (SQE, 465). ამგვარადვეა სომხურ ოთხ-
თავშიც: Պատասխանի ხո թխուս ხւ սսէ ցնա. դու սոսսյկ լի; հս հմ

მრკ. 14,63 Ch: ხოლო მღვდელთმოდღარმან მან (მან – C)
დაიპო კუართი (სამოსელი h) თუსი და თქუა: რაასალა გჯკმან
(გჯკმს მერმე h) მოწამებ?

h-ში ადიშის კუართი სამოსელით არის შეცვლილი, როგორც
ეს წინარეათონურსა და გიორგისეულ ნუსხებში დასტურდება. მერმე
(ἔτι) მხოლოდ h-ში გვხვდება, ἔτι-ს შესატყვისი არც სომხური და
არც ქართული თარგმანის სხვა არც ერთ ხელნაწერში არ დას-
ტურდება, მაგრამ ის გვაქვს ყველა ბერძნულ ნუსხაში (SQE, 465).

ὁ δὲ ἀρχιερεὺς διαρρηξάς τοὺς χιτῶνας αὐτοῦ λέγει. Τί ἔτι χρεῖ
αὐ ἔχοιμεν μαρτυραῦν:

მრკ. 14,64 მუხლში ადიშისა და H-1240 ხელნაწერების
ტექსტებს შორის რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვაობაა:

C: გესმა ყოველთა ბასრობაჲ იგი მისი. ვითარ გიჩს თქუენ?
ღა ყოველთა დასაჯეს იგი – ყვეს თანამღებ სიკუდილისა.

h: გესმა ყოველთა გმობაჲ მაგისი. რაჲ გნებაჲს თქუენ? და
ყოველთა დასაჯეს იგი და ყვეს თანამღებ სიკუდილისა.

ადიშის ბასრობაჲ-ს მაგიერად h-ში გმობაჲ დასტურდება,
როგორც ეს წინარეათონურსა და გიორგისეულ ნუსხებშია, ხოლო
ვითარ გიჩს-ს კი რაჲ გნებაჲს ენაცვლება h-ში. ამ ადგილას წი-
ნარეათონურ და გიორგისეულ ხელნაწერებში ვითარ გნებაჲს სწერია.
ბერძნული დედნის უმრავლეს ხელნაწერებში ეს მუხლი ასეა წარ-
მოდგენილი:

ἦκούσατε τῆς βλασφημίας· τί ὑμῖν φαίνεται· οἱ δὲ πάντες κατέκ-
ριναν αὐτὸν ἔνοχον εἶναι θανάτου.

Ահա լուսայք ամենեքին գհայհուլթիւն ի բերանոյ դորս. զիարդ
թուի ձեզ: Եւ ամենեքեան դատապարտեցին զնա՝ թէ՛մահապարտ է:

ἦκούσατε + παντες (გესმა ყოველთა) როგორც ეს Ch-სა და
სხვა ქართულ ნუსხებშია, დასტურდება G W f¹ 205 565 al d (syr^o) sa^{ms}
ხელნაწერებში. τῆς βλασφημίας του στοματος (– D G f¹ 205 pc)
αυτου D G W Θ f^{1,3} 205 (565) pc Syr^(h)ms^g ანუ გმობაჲ + პირისაგან
მაგისისა (SFmGaowr), მისისა (ODAERPBTli) მრავალ ქართულ
ხელნაწერშია (წინარეათ. ODAERPSTLfmGwic) დაცული ისევე.
როგორც ოთხთავის სომხურ თარგმანში. ბერძნული φαίνομαι – 1)
ხილულად ქმნას, გამოჩენას; 2) გაცხადებას; 3) რაიმეს შესახებ

წარმოდგენის შექმნას ნიშნავს (Louw & Nida, 279; 338-9; 342). φαί-
νεται-ს DΘ 565 2542 რც sa^{msc} ნუსხებში დოკეი ენაცვლება. რაც
ჩათვლას, ფიქრს ნიშნავს (Louw & Nida, 370). დოკეი-ს თარგმანი
უნდა იყოს სომხური ქოხს.

მრკ. 14,65 მუხლის ტექსტიც მნიშვნელოვნად სხვაობს აღი-
შურსა და H-1240 ნუსხებში:

C: და იწყებს რომელთაზე ნერწყუვად პირსა მისსა და ფიქრ
დაპბურიან პირსა მისსა, პრეკედ მას და ეტყუედ: გვწინაწარ-
მეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? და
მსახურნი იგი სცემდეს ლაწუსა მისსა.

h: და იწყებს რომელთაზე ნერწყუვად პირსა მისსა და და-
პბურიან თავსა მისსა, სცემედ მას და ეტყუედ: გვწინაწარ-
მეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? და
მსახურნი იგი სცემდეს ლაწუსა მისსა.

ხს იმანჲ აცსან *ქ.განხლ რნჲ ხრესა ზორა: ძირჲ დღესიჲ არ-
კანხლ კოჲხლ ხს ანხლ, მარცაარხაგ მხგ ჟრისთიოჲ იჲ ზ აკნ ირ
ხნარნ დ.გხგ: ხს საყასაღორჲს საყათაქს ზანხქნ ზმა:*

ბერძნულ ხელნაწერთა უმრავლესობაში მრკ. 14,65 მუხლის
დასაწყისი ასე იკითხება:

Καὶ ἦρξαντὸ τινες ἐμπτύειν αὐτῷ καὶ περικαλύπτειν αὐτοῦ τὸ
πρόσωπον

მრავალ ბერძნულ ნუსხაში დასტურდება Καὶ ἦρξαντὸ τινες
ἐμπτύειν αὐτῷ, ანუ და იწყებს ვიეთმე ნერწყუვად მისა. როგორც
ეს გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებშია. აὐτῷ-ს
მაგიერად τῷ προσώπῳ αὐτοῦ (*and omitt* καὶ περικαλύπτειν
αὐτοῦ τὸ πρόσωπον) წერია ანუ ნერწყუვად პირსა მისსა (პირისა
მისისა E) (და დაბურვად პირსა მისსა – აკლია) ბერძნული
დედნის D და ზოგიერთ იტალიურ თუ სირიულ თარგმანში (GNT.
182) და ქართული წინარეათონური რედაქციის ODAERPS
BTLFmGwi ხელნაწერებში. აὐτῷ-ს მაგიერად αὐτοῦ τῷ προσώπῳ Θ
565 700 ბერძნულ ხელნაწერებში გვხვდება (GNT, 182) და ჩვენის
აზრით, ოდნავ შეცვლილი, ასეთივე უნდა ყოფილიყო სომხური
ოთხთავის, აღიშის, H-1240-ისა, Voa წინარეათონური ნუსხებისა და
გიორგი მთაწმიდლის ბერძნული დედანი, რადგანაც ამ ხელნაწერებში
ნერწყუვად სიტყვას ემატება პირსა მისსა და დასტურდება
(მართალია, სხვადასხვაგვარად) იესოს თავის დაბურვის შესახებ
სიტყვები.

ოთხთავის სომხურ თარგმანში ნათქვამია, რომ (იესოს) ნაჭრებს ახვევდნენ თავის გარშემო: როგორც ეს აღიშის ოთხთავშიც დასტურდება: ფიჩუ დაჰბურიან პირსა მისსა.

περικαλύπτω ნიშნავს რაიმეს გარშემო შემოხვევას (Louw & Nida, 705). სომხურ ოთხთავსა და აღიშის ტექსტში განმარტებულია, თუ რა შემოახვიეს თავის გარშემო იესოს, რაც არც ბერძნულ დედანში, არც მის სხვა თარგმანებში არ დასტურდება. შესაძლოა, აქ სწორედ არქეტიპული ტექსტის რედაქტორის მიერ ჩასწორებასთან გვაქვს საქმე, რადგანაც ფიჩუ ან რაიმე სხვა სიტყვა არ დასტურდება H-1240-ის ტექსტში და გიორგი მთაწმიდელსაც შესაძლოა H-1240-ის მსგავსი ტექსტი ჰქონდა ხელთ, რადგან ამგვარი რამ არც მასთან დასტურდება: დაბურვად პირსა მისსა NIK.

აღიშის ტექსტის ამავე მუხლში ვხვდებით ჰრეკედ ზმნას, რომლის შესატყვისიც H-1240-ში არის სცემედ, ხოლო სხვა დანარჩენ ქართულ ხელნაწერებში კი – კურთითა ცემად მისა – გვაქვს. უნდა აღვნიშნოთ, რომ არც სომხურ თარგმანშია დაკონკრეტებული, თუ რითი სცემდნენ ქრისტეს, ბერძნულ დედანში სწერია: κολαφίζειν αὐτὸν. κολαφίζω – მუშტით ცემას ნიშნავს (Louw & Nida, 223).

მრკ. 14,67 მუხლში აღიშისა და H-1240 ხელნაწერებში გვხვდება მკუსოლარე, ხოლო მის შესატყვისად კი წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში ტფებოდა რაჲ დასტურდება.

Ch: და იხილა იგი მკუსოლარე, მიხედა მას და პრქუა: შენცა ნაზარეველისა (ნაზორეველისა C) იესუმს (იესუს C) თანა იყავ.

ბერძნულ დედანში ამ ადგილას θερμαίνόμενον იკითხება, ხოლო სომხურ თარგმანში კი პირიანი ზმნაა.

მრკ. 14,68 მუხლის ბოლოს მრავალ ბერძნულ ხელნაწერსა და ოთხთავის თარგმანში დასტურდება: καὶ ἀλέκτωρ ἐφώνησεν, ანუ ქათამიან კმა-ყო. ასევე წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებსა და სომხურ თარგმანში. აღიშისა და H-1240 ხელნაწერებში ეს სიტყვები გამოტოვებულია ისევე, როგორც ბერძნულ « B L W Ψ* 579 892 247 / 75 ხელნაწერებსა და ზოგიერთ იტალიურ, სირიულ თუ კოპტურ ნუსხაში (GNT, 183).

მრკ. 14,69 და 70 მუხლებში აღიშსა და H-1240-ში იკითხება:

რომელ (რომელნი h) ღგეს მუნ და რომელნი-იგი (რომელი-იგი h) გარემოჲს ღგეს, ხოლო წინარეთონურ და გიორგისეულ ნუსხებში კი შესაბამის ადგილებში წინაშემდგომელთა დასტურდება. 16.69 მუხლში უმრავლეს ბერძნულ ხელნაწერებში $\tau\omicron\iota\varsigma \pi\alpha\rho\epsilon\sigma\tau\acute{\alpha}\mu\omicron\varsigma$ გვაქვს, პირიანი ზმნა კი $\pi\alpha\rho\epsilon\sigma\tau\eta\kappa\omicron\sigma\iota\varsigma$ დასტურდება A D W f¹ 33 1006 Byz.[EFH] 205 700 შრ ბერძნულ ნუსხებში (SQE.467). პირიანი ზმნა დასტურდება შესაბამის სომხურ თარგმანშიც.

მრკ. 14,71 მუხლში Ch ნუსხებისაგან განსხვავებით წინარეთონურ და გიორგისეულ ნუსხებშია: პეტრე იწყო შეჩუენებად, Ch: მან იწყო წყვეად. პეტრე არც რომელიმე ბერძნულ ნუსხაში დასტურდება ($\acute{\omicron} \delta\acute{\epsilon} \eta\acute{\rho}\zeta\alpha\tau\omicron \acute{\alpha}\nu\alpha\theta\epsilon\mu\alpha\tau\iota(\zeta\epsilon\iota\upsilon)$) და არც სომხურ თარგმანში.

მრკ. 15,21 მუხლში ადიშის ოთხთავში პრუფისი დასტურდება, ხოლო h-ში კი როფესი, როგორც წინარეთონურ ნუსხათა უმრავლესობაშია (როფესი, როფისი).

მრკ. 15,22-23 მუხლებში ადიშის ოთხთავის გადამწერმა უნებლიე შეცდომები დაუშვა. 15,22 C: და მოიღეს იგი გოლგოთასა, ადგილსა, რომელ გამოთარგმანებით: „თხემისა ადგილი“. აკ. შანიძემ გამოცემაში აღადგინა რომელ არს გამოთარგმანებით და სქოლიოში დაურთო შენიშვნა: ან ეგრე უნდა გაიძარტოს: რომელ გამოთარგმანების (შანიძე 1945, 174), სწორედ ეს წაკითხვა დასტურდება H-1240 ხელნაწერში:

h: და მოიყვანეს იგი ადგილსა გოლგოთასა, რომელ გამოთარგმანების „თხემის ადგილი“. 15,23 მუხლში ადიშის ოთხთავის ნუსხაშია:

C: და მისცეს სუმუროვანი ღუნოჲ და მან არა მიიღო.

H-1240-ში კი გვაქვს: h: და მისცეს მას სუმაღ მუროვანი ღუნოჲ, და მან არა მიიღო. ასევე უნდა ყოფილიყო ადიშის ღედანშიც. აკ. შანიძეს ჰქონდა ხელთ ბერძნული ახალი აღთქმის ტიშენდორფისეული გამოცემა, სადაც დაფიქსირებულია, რომ ზოგ ბერძნულ ხელნაწერში ამ ადგილას $\pi\acute{\iota}\epsilon\iota\upsilon$ (სუმაღ) არ წერია და ამდენად, მან დაუშვა, რომ ადიშის გადამწერმა მართებულად დაწერა ამ ადგილას სუმუროვანი. აკ. შანიძემ უარყო მის მიერვე გამოთქმული მართებული ახსნა, რომ სუმუროვანი ორი სიტყვის შეერთებისაგან: სუმაღ მუროვანი არის წარმომდგარი და გადამწერის კალმისეული შეცდომაა. მრვალ ბერძნულ ხელნაწერში დასტურდება ამგვარი წაკითხვა: $\kappa\alpha\iota \acute{\epsilon}\sigma\mu\alpha\rho\upsilon\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\nu \omicron\iota\upsilon\nu\omicron$ A C² (D) Θ f¹ 33 892

1006 1342, 1506 შ. ასევე ლათინურ, ზოგიერთ სირიულ და სა-ჰიდრას ნუსხებში (SQE, 482). ამდენად, H-1240 ხელნაწერის ტექსტის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია გავასწოროთ ადიშის ოთხთავში დადასტურებული გადამწერის უნებლიე შეცდომები და დაეასკენათ, რომ ზედსართავი სახელი სუმუროვანი ძველ ქართულ ენაში არც არსებობდა, ვინაიდან ამგვარი ფორმა მხოლოდ ადიშის ოთხთავში დასტურდება და ლექსიკონებშიც (იმნაიშვილი აბულაძე, ზ. სარჯველაძე) მხოლოდ ამ ადგილის მიხედვით იყო შესული (ს. სარჯველაძე 2003, 110).

მრკ. 15,30 მუხლში ადიშისა და H-1240 ხელნაწერებში თავის განრიხება დასტურდება, წინარეათონურსა და გიორგისეულ ნუსხებში კი თავის კსნა გვაქვს:

Ch: განირინე თავი შენი და გარდამოკედ მაგიერ ჯუარით.

წინარეათ. გიორგი: იქსენ თავი თუსი და გარდამოკედ მაგიერ ჯუარით.

მრკ. 15.31-32 მუხლებში ადიშისა და H-1240 ხელნაწერების წაკითხვა განსხვავდება წინარეათონური და გიორგისეული რედაქციის ტექსტებისაგან:

Ch: 31. სხუანი აცხოვნა, თავი თუსი ვერ იცხოვნოს. 32. ქრისტე (ქრისტე h), მეუფს (მეუფე h) ისრამლისაჲ, გარდამოკედნი აწ ჯუარით, რამთა ვიხილოთ და გურწმენეს იგი.

წინარეათ. გიორგი: 31. სხუანი აცხოვნა, თავი თუსი ვერ ძალ-უცა ცხოვნებად ქრისტესა, მეუფესა ისრამლისასა? 32. გარდამოკედნი აწ ჯუარით, რამთა ვიხილოთ იგი და გურწმენეს.

- ვიხილოთ და გურწმენეს იგი DAESFmG.

როგორც ვხედავთ, ადიშისა და H-1240-ში აქ მიმართვაა. ხოლო სხვა ხელნაწერებში კი არა. მიმართვაა აგრეთვე ბერძნულ ხელნაწერებშიც 15.32 მუხლში:

31. Ἄλλους ἔσωσεν. ἑαυτὸν οὐ δύναιται σῶσαι· 32. ὁ Χριστὸς ὁ βασιλεὺς Ἰσραὴλ καταβῆτω νῦν ἀπὸ τοῦ σταυροῦ. ἵνα ἴδωμεν καὶ πιστεύσωμεν.

ადიშისა და H-1240-ის ტექსტი მისდევს ბერძნულ დედანს და განსხვავდება სომხური თარგმანისაგანაც, სადაც ნათქვამია: ქრისტე, მეუფე ისრამლისაჲ, გადმოვიდეს ახლა ჯერიდან -

31. ... *გაკუს საიხნეიეე განბჳნ იჯ ლარასაჲე საიხნეიეგანიჩქ. 32. ჳრჩათითჲ არჲაკჲე ჩარაკიჩქ. ჩღჲე აკძმ ჩ ქსაჯჲ აკითქ, ექ სახეიო.ე*

ხ ზოათათაიუიჲ ვაძა: სე იჲ ენიჲ ზამა ჲ ქათაჲ სესაჲ ჲჲს ზაქათათჲჲს ვნა:

მრკ. 15,44 და 45 მუხლში აღიშისა და H-1240 ხელნაწერებში მტარვალი დასტურდება, ხოლო სხვა ქართულ ხელნაწერებში კი - ასისთავი. სომხურ ოთხთავშიც ამ ადგილას ჯაჲჲ-ჲჲჲჲჲჲ გვაქვს, რაც ასისთავს ნიშნავს, ბერძნულ დედანშიც ΚΕΨ-ΤΥΡΙΩΝ, ანუ ასისთავი წერია.

მრკ. 15,46 მუხლის აღიშისა და H-1240 ნუსხების წაკითხვა განსხვავდება როგორც სხვა ქართული ხელნაწერების, ისე ოთხთავის სომხური თარგმანის ტექსტისაგან:

Ch: და იყიდა მუნქუესვე (მუნთქუესვე h) არდაგი და დადვა იგი სამარესა (საფლავესა h) შინა, რომელ იყო გამოკუეთილ (გამოკოდილ იყო h) კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა მას სამარისასა (საფლავისასა h).

και ἀγοράσαζ σινδόνα καθελών αὐτὸν ἐνείλησεν τῆ σινδόνι καὶ ἔθηκεν αὐτὸν ἐν μνημείῳ ὃ ἦν λελατομημένον ἐκ πέτρας καὶ πρῶσεκ ὑλισεν λίθον ἐπὶ τὴν θύραν τοῦ μνημείου.

აღიშისა და H-1240-ის ტექსტში ბერძნული დედნის καθελών αὐτὸν ἐνείλησεν τῆ σινδόνι გამოტოვებულია. ჩვენს ხელი არსებულ ახალი აღთქმის გამოცემებში მსგავსი რამ არ დასტურდება ბერძნულ ხელნაწერებში. ეს ფრაზა არ არის გამოტოვებული არც სხვა ქართულ თუ სომხურ ხელნაწერებში:

წინარეთ. გორგი: და მან იყიდა ამრენაკი და გარდამოქსნა იგი ჯუარისაგან და შემოსა იგი ამრენაკითა მით და დადვა იგი საფლავესა, რომელ გამოკუეთილ იყო კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი და დასდვა იგი კართა ზედა მის საფლავისათა.

ამრენაკი|არდაგი ASVFmG acowr HIK; შემოსა|წარგრაგნა Vr HIK; ამნაკითა T] არდაგითა ASVFmGacowr HIK; გამოკუეთილ] გამოკოდილ L

სე შილქაჲი ფინახჲ კათაჲ, ხე ჲღიცხაჲლ ენაჲ აქათხიჲჲ კათალიქო, ხე სიქ ჲ ეხრხეჲძანსჲს ვიჲრ ჲჲ იჲირხაჲლ ჲ ქჲძაჲ. ხე [სასაჲლგჲიჲჲჲ ოქძაჲ ოქჲჲჲჲჲჲჲჲ ეხრხეჲძანსჲს.

H-1240 ხელნაწერში არ დასტურდება აღიშისეული სამარე, ის გადამწერს თუ მის წინამორბედს საფლავით შეუცვლია. გამოკუეთილ გვხვდება როგორც აღიშის, ისე სხვა ქართულ ხელნაწერებში,

ხოლო H-1240-სა და ტბეთის ოთხთავეებში (L) კი მის მაგიერ გამოკოდილ წერია.

მრკ. 15,47 მუხლში აღიშისა და h-ის ტექსტი მისდევს ბერძნულ დედანს:

Ch: ხოლო მარიამ მაგდანელი (მაგდალენელი h) და მარიამ იაკობისი და იოსისი (იოსესი h) ხედვიდეს, სადა დასდებდეს.

ή δὲ Μαρία ἡ Μαγδαληνὴ καὶ Μαρία ἡ Ἰωσήφοτος ἔθεάρισεν αὐτὴν τέθειται.

წინარათ. გიორგი: იყო მუნ მარიამ მაგდალენელი და მარიამ იოსიტოსი და ჰხედვიდეს, სადა დასდებდეს მას.

მაგდალენელი DAEG; მაგდანელი OSBTfawtr, მაგდალენელი V(HIK), მადალელი c; იოსიტოსი OL, იოსისტოსისი m, იოსტოსისი DEScw, იოსტოსესი G, იოსტოსისი BT, იოსტესი A. იოსესი Vao(HIK)] იაკობისი r; და² მარიამ იაკობისი A; ხედვიდეს ASTowt] კკითხვიდეს DEFG.

როგორც ვხედავთ, წინარეთონურ ტექსტში საკუთარი სახელები სხვადასხვა დაწერილობებით გვხვდება. მხოლოდ ქსნის (A) ოთხთავეში ემატება მარიამ იაკობისი ამ მუხლში ტექსტს. როგორც ივ. იმნაიშვილმა გამოარკვია, მარკოზის სახარების ზოგიერთი მუხლში ქსნის ოთხთავი აღიშის ნუსხის წაკითხვებს მისდევს (იმნაიშვილი 1949, 211-3). იოსიტოსის ნაცვლად იაკობისი დასტურდება A-411, XVI-XVII სს. ხელნაწერში (r). მარიამ + იაკობისი და იოსისი ემატება აგრეთვე ბერძნული დედნის Θf¹³ 565 2542 pc(c) ხელნაწერების ტექსტებშიც (SQE, 493). Ἰωσηφ კი დასტურდება ბერძნულ C W Ψ 33 892 1006 1506 შრ ნუსხებში. სწორედ ამგვარი წაკითხვა დასტურდება აღიშისა და H-1240 ოთხთავეებში, აგრეთვე Vao(HIK) ხელნაწერებში.

ამრიგად, აღიშის და H-1240 ოთხთავის მარკოზის სახარების 14.50-15.47 მუხლების ტექსტის შედარებამ ბერძნულ დედანთან და სომხურ, აგრეთვე ქართულ წინარეთონურ და გიორგისეული რედაქციის თარგმანებთან ცხადყო, რომ აღიშისა და H-1240 ხელნაწერების ამ მონაკვეთის ტექსტი ხშირად სხვაობს როგორც სომხური, ისე სხვა ქართული თარგმანებისაგან. ერთი გამონაკლისის (მრკ. 15,46) გარდა აღიშისა და H-1240-ის ყველა წაკითხვა ბერძნული დედნის გარკვეული ხელნაწერების ვარიანტებს მისდევს, ხოლო წინარეთონური, გიორგისეული და სომხური ოთხთავის მთარგმნელები

კი დედნად სხვა ბერძნულ ხელნაწერებს იყენებდნენ. აღიშისა და H-1240-ს შორის არის განსხვავებებიც (რამდენიმე ლექსიკური თუ ორთოგრაფიული, არის სხვაობა გამოთქმებშიც და სიტყვების კლება-მატებაც).

ივ. იმნაიშვილმა შეადარა ერთმანეთს აღიშის ოთხთავისა და პროტოვულგატიისეული ხელნაწერები და მრავალი ლექსიკური სხვაობა გამოავლინა. „სხვანაირად თარგმნის სათანადო დედნის სიტყვას ერთი რედაქცია და სულ სხვანაირად – მეორე. ზოგჯერ ასეთი განსხვავებული წაკითხვა ორივე ტიპის ხელნაწერებს ბოლომდე გასდევს, როგორც წესი, როგორც სისტემა. მაგალითად, ბერძნული λειπρόν-ის (λειπρον) შესატყვისად ოპიზური რედაქციის ხელნაწერებში „კეთროვანი“ გვხვდება, აღიშურ რედაქციაში კი – „განბოკლებული“ (მთ. 8,2 და სხვ.) და ეს შეფარდება ასე ტარდება ბოლომდე“ (იმნაიშვილი 1946, 126). ივ. იმნაიშვილის მიერ ჩამოთვლილი ლექსიკური ერთეულებიდან ნათლად ჩანს, რომ აღიშის ოთხთავში ხმარებული ლექსიკა უმრავლეს შემთხვევაში შედგება საკუთრივ ქართული სიტყვებისა, თუ ისეთი ნასესხობებისაგან, რომლებიც არ მიუთითებენ ძველის დამოკიდებულებას სათარგმნ ენაზე, ანუ მთარგმნელი იმ ლექსიკური მარაგის მატარებელია, რომლითაც ის თარგმნის. ვერცერთი დედნის ენაზე დამოკიდებულად ვერ ჩავთვლით ამგვარ სიტყვებს. ხშირად პროტოვულგატასა და აღიშის ლექსიკას შორის განსხვავება მხოლოდ სინონიმურ წყვილებამდე დადის, მაგ: ამაოდ – ცუდად, ამბორის-ყოფა – მოკითხვა, ამენ – მართლიად, არაწმიდებანი – ბილწებანი, არსობისაჲ – სამარადისოჲ. ასისტავი – მტარვალი, აღრეული – შეზავებული, აღუვარება – ქმადლობა, ბადე – სათხვეელი, სათრომელი, ბასრობა – კიცხევა, ბერი – მოხუცებული, ბოროტი – უკეთური, ძური, ბრალი – მიზეზი, ბრძენი – გონიერი, გამოთარგმანება – განმარტება, გამოთრევა – გამოზიდვა, გამორჩევა, გამოვარჩიოთ – მოვპარგლოთ, გამოჩინება – გამობრწყინება, გამოცხადება – ჩუენება, გამოძიება – კლომა, გან-რაჲ-აგებდეს – განკერვიდეს (ბადესა), განგოზილი – განგორწილი, განთიადი – დილა, განთესული – მიმოგანბნეული. განთხევა – განბნევა, განკითხვა – დასჯა. განმსყიდელი – მოფარდული, განპება – განხეთქა, განრინება – ცხორება, განსპეტაკება – განთეთრება, სულისა განტეეება – სულის აღმობერვა, განტეხა – დამუსრვა, საფლავეი – სამარე, სავაჭრო – მოფარდული, სამოსელი – ფიჩუ, სართული – გოდოლი, საუნჯე – საფასე, საყური – ნესტუ, საყოფელი – ვანი, სადგური, საფრქმ – მახე, სახიერი –

ქველისმოქმედი, სიღრმე - სიზრქე, სიცრუე - ზაკუვა, სიძვა მრუშობა, ტილო - მწუარი, ტვობა, ტყვობა - იკუსოდა, ტყვი ბოდა რაა - მკუსოლარე, ტყვობდეს - ჰიკუსოდეს, ტყვობდა ჰიკუსოდა, ტყუეილსა - ცრუსა, უძღური - სნუელი, დაფარვა მალვა, ფარულად - იღუმალ, შეთხზვა - შექმნა, შემკობა - გან-შუენება, შემოსა - შემკობა, შემოსა - შთაცუმა, ცისკარი - გან-თიადი, ცეცხლი - მგზებელი, ჩუენება - გამოცხადება, დანჩკან მოლობიან, ჩუენებაჲ იხილა - ხილვაჲ იხილა, ძმარი - ღწროჲ. წიგნი - წერილი, ცომი - თბე, ხატი - ელვა, ჭირი - მწუხ-არება, ხე - ძელი, ხენეში - ჯერკუალი, თაფლუჭი - იყი, ფა-რისველი - თარგმანი და სხვა მრავალი (იმნაიშვილი 1946. 125-162).

ლ. ქაჯაიას მოჰყავს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ხან-მეტსა და აღიშის ოთხთავებში საერთოა და უპირისპირდება სხვა წინარეათონური ხელნაწერების ჩვენებებს:

XC: სასწაული. შეურაცხ, შესულებულ, განთეთრებად. შემძლე-ბელ ხარ, ეშმაკისაგანი, ფიჩუ, თაყუანის-სცემდე (პროტოვეულგატა: ილოცვიდე მთ. 6,6), ორგული, კორცთაჲ, ჯერკუალი, ბრძენი, სწავლა. განბოკლებული, მსხუერპლი, ყრმა (მონაჲ - პროტოვეულ-გატაში მთ. 8,6), ნაშობნი (პროტოვეულგატა - ძენი მთ. 8,12), კუართი, არგანი, მოქმედი (პროტოვეულგატაში - მუშაკი მთ. 10,10), საზრდელი, ჭირვეული (პროტოვეულგატა - გლახაკი მთ. 11,5). მკვლევარი მართებულად ასკენის, რომ ამ ორი რედაქციის ლექსი-კური სხვაობანი მიანიშნებს, რომ ისინი სხვადასხვა მთარგმნელის ხელიდან უნდა იყოს გამოსული. ზოგჯერ მთარგმნელი უთარგმნე-ლადაც ტოვებს რომელიმე სიტყვას. ამის კარგი ნიმუშია ხანმეტ ტექსტში და აღიშის ოთხთავში დადასტურებული სიტყვა შესულე-ბულ. რომელსაც პროტოვეულგატაში რაკა შეესატყვისება. და ბერძნული დენიდან უთარგმნელად არის გადმოტანილი. რაკა-ს ბერძნულშიცა და ქართულშიც მოსდევს განმარტება: „რაკა, რომელ არს საძაგელ“ (მთ. 5,22). რაკა არამეული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ცარიელ ადამიანს, სულელს (ქაჯაია 1984, 305-306).

აღიშის ოთხთავში ისევე, როგორც წინარეათონურსა და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის სახარების ტექსტში, დასტურ-დება სხვადასხვა ენიდან ნასესხები სიტყვები, რომლებიც საერთო ქართველურ ლექსიკასთან ერთად ენის ლექსიკურ მარაგს შეადგენს.

სიმონ ყაუხჩიშვილს მრავალი მეტად საგულისხმო მაგალითი მოაქვს იმის დასტურად, რომ ადიშის ოთხთავი ითარგმნა ბერძნული ენიდან.⁴

ს. ყაუხჩიშვილი ყურადღებას ამახვილებს ადიშის ოთხთავის მთ. 19,24; მრკ. 10,25 და ლ. 18,25 მუხლებზე. სადაც ორჯერ დასტურდება ზომსაბელი, ზომთსაბელი და მანქნისსაბელი. ამ ადგილას ვსვდებით ცნობილ ანდაზას აქლემისა და ნემსის ყუნწის შესახებ. თავად ბერძნულ დედანში ორი ვარიანტი გვაქვს: κάμηλος (აქლემი) და κάμιλος (მეზღვურთა თოკი, ბაგირი). εὐκοπώπερον ἔστιν κάμηλον διὰ τήματατος ῥαφίδος εἰσελεθεῖν ἢ πλουσίον εἰς τὴν βασιλείαν τοῦ θεοῦ (უფრო ადვილია აქლემი გაძვრეს ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შვიდეს სასუფეველში).

გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებში ამ მუხლებში აქლემი დასტურდება, ხოლო წინარეათონურ ხელნაწერებში კი – მანქანისსაბელი (ადიშის ოთხთავის მესამე ადგილი, სადაც მანქანისსაბელი გვხვდება (ლ. 18,25) მის არაორგანულ ნაწილშია მოხვედრილი, ე. წ. პროტოვულგატისეულ ტექსტში და ამდენად, აქაც პროტოვულგატის სხვა ნუსხების მსგავსად მანქანისსაბელი გვხვდება).

სომხურ რედაქციაში ყველგან იკითხება „მალხო“, რაც ხუდაბაშინის ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს «верный или канат». ლექსიკონის ავტორისათვის, როგორც ჩანს, სიტყვა უცნობია და მას მხედველობაში აქვს სწორედ ჩვენი ადგილი, სადაც ბერძნული ტექსტის მიხედვით შესაძლებელია როგორც κάμηλος, ისე κάμιლს (როგორც „აქლემი“, ისე „საბელი“). თუ გაეთვალისწინებთ იმას, რომ სომხური ოთხთავის სხვა სამ ადგილას, სადაც κάმილს გვხვდება (მთ. 3,4; 23,24; მრკ. 1,6) არის არა „მალხო“, არამედ „უხტ“ (= აქლემი), მივიღებთ, რომ ჩვენთვის საინტერესო მუხლებში „მალხო“ მხოლოდ „საბელს“ ნიშნავს და არა „აქლემს“ (ყაუხჩიშვილი 1944, 103-106).

რას ნიშნავს ადიშის „ზომ“ („ზომთ“) და „მანქანისა“? ს. ყაუხჩიშვილს (ტიშენდორფზე დაყრდნობით) მოჰყავს სქოლიო, რომელიც ორიგენეს (185-254) მიეწერება: „κάμηλος -ად აქ ცხოველს კი არ იტყვის, არამედ მსხვილ საბელს, რომლითაც მეზღვაურები

⁴ ს. ყაუხჩიშვილის ნაშრომი ვერცლად მიმოხილულია ზურაბ სარჯველაძის გამოკვლევაში „ადიშის ოთხთავის ტექსტისა და ენის საკითხები“, იხ. ამავე წიგნის გვ. 113-118.

ლუზებს აბამენ ხოლმე“. მეორე სქოლიოში წერია: „ἀνάμιας -ად ერთნი მანქანის საბელს თელიან, მეორენი - ცხოველს) (ყაუხჩიშვილი 1944, 106).

ლ. ქაჯაიას შენიშნული აქვს, რომ ხანმეტ ოთხთავში, მთ. 19,24 მუხლში წერია „ნავისა მანქანისა საბელი“ (ქაჯაია 1984, 324). ამავე ადგილას H-1240-ში, XI საუკუნეში გადაწერილ ოთხთავშიც, „ნავის მანქანის საბელი“ დასტურდება და ასევე X ს-ის ლატალის ლექციონარშიც (ნავისა მანქანისა საბელი) (ს. სარჯველაძე, 2002, 84-85). ეს კომენტარი ხანმეტი ოთხთავის გამამწერსა თუ მის წინამორბედს უთუოდ უნდა სცოდნოდა და აზრის ნათელსაყოფად მანქანის საბელს ნავი დაურთო (რადგან, სქოლიასტების აზრით, აქ ლაპარაკია ნავის ღუზის მისაბმელ თოკზე) (ქაჯაია 1984, 324). „ზომ“ ნახმარი აქვთ სომეხ მწერლებს სებიოსს.

ლევონდსა და ასოლიკს „ნავის მისაბმელი [საბელის] მნიშვნელობით („ნავაკამურჯ“), წერს ს. ყაუხჩიშვილი აჭარაინის სომხური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე დაყრდნობით (ყაუხჩიშვილი 1944, 106) და. ამდენად, ცხადი ხდება აღიშის ზომსაბელისა და ზომთსაბელის მნიშვნელობა. იგი იმავეს ნიშნავს, რაც ხანმეტი ოთხთავისა და მისი ტექსტიდან მომდინარე ხელნაწერებში დადასტურებული ნავის მანქანისა საბელი, ანუ ბაგირი, მეზღვაურების თოკი.

რ. ბლეიკი კი ზომ-ს მცდარად თარგმნიდა ლათინურად როგორც mensura („საზომი“) და, ამგვარად ფიქრობდა, რომ აქ თანამედროვე ქართული (ზომა, ზომიერი, საზომი და სხვ.) ძირის სიტყვასთან კჭონდა საქმე (ყაუხჩიშვილი 1944, 106).

მრკ. 7,3 მუხლი აღიშის ხელნაწერში ასე იკითხება:

C: წუსწუთ თუ არა დაიბანინან კელნი, არა ჭამიან. სხვა ქართულ ხელნაწერებში კი გვაქვს: „უკუეთუ არა იდაყუთგან დაიბანინან კელნი, არა ჭამიან“. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „აღიშისეული წუსწუთ უნდა წარმოადგენდეს სახენაცვალს ფორმისა წუთ-წუთ. რაც ქართულში მიღებული კონსტრუქციით უდრის წუთობით, ყოველ წუთს. მკვლევარი შემდეგ განმარტავს, რომ აღიშისეული გაგება ამ ადგილისა შეიძლება მომდინარეობდეს ბერძნული πσυμῆ-ს ქართველი მთარგმნელის მიერ πσυμῆ-დ ამოკითხვის შედეგად, რაც π და π ლიგატურის ერთმანეთში აღრევით აიხსნება. რაც შეეხება πσυμῆ-ს, რომელიც ჩვეულებრივ „წერტილს აღნიშნავს, მისი ხმარება „წუთის“ მნიშვნელობით ხალხურ ენაში დადასტურებულია როგორც საღმრთო წერილით (ლ. 4,5 ἐν πσυμῆ χροῖου), ისე ახალი ბერძნულით, სადაც ის ცალკეულ უ-χροῖου-დ იხმარება“ -

იოჰან კომპერნასის შრომაზე დაყრდნობით უთითებს ს. ყაუხჩიშვილი. სომხურ თარგმანში ამ ადგილას „ბრანალირ“ სწერია, რაც პეშვს ნიშნავს (ს. ყაუხჩიშვილი 1944, 107).

ს. ყაუხჩიშვილს მოჰყავს მაგალითები ადიშის ოთხთავიდან. სადაც ბერძნიზმები დასტურდება წინადადების კონსტრუქციაშიც. იმ დროს, როდესაც ოთხთავის სხვა ქართულ ხელნაწერებში ნაცვალ-სახელიან კონსტრუქციებს ეხვდებით, ადიში მისდევს ბერძნულ მიმ-ლეობიან კონსტრუქციას. სომხურ თარგმანში ამ შემთხვევებში ყველ-გან არამიმლეობრივი კონსტრუქცია გვაქვს.

მთ. 9,9 C: იხილა კაცი მჯდომარე საზუერესა ზედა (καθη-
μενον).

მთ. 11,16 C: მსგავს არს იგი ყრმათა მსხდომარეთა შორის
უბნებსა (καθημενοις).

მთ. 13,24 C: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მათეს-
ვარსა კეთილისა თესლისა (ἀνθρῶπων σπείραντι καλὸν σπέρμα).

მთ. 13,36 C: მთესვარი იგი თესლისა მის კეთილისაჲ
(σπείρων) (ყაუხჩიშვილი 1944, 107-8).

საყურადღებოა, – წერს ს. ყაუხჩიშვილი, – რომ ასეთი კონ-
სტრუქცია გვხვდება ჩვენ იმ ადგილებშიც, რომელთა შესახებ
მკვლევარნი თითქოს სხვა ნიშნების მიხედვით ამბობენ, რომ
სომხური რედაქციის კვალს ხელავენ, მაგალითად:

მთ. 8,28 C: მოვეგებოდეს მას ორნი ეშმაკეულნი სამარობნით
გამომავალნი ἐκ τῶν μυημείων ἐγγερχόμενοι. სადაც „სამარობნით“-ში
სამარე ნაცვლად „საფლავისა“ ს. კაკაბაძის აზრით (იხ. მისი
„საისტორიო ძიებანი“, გვ.23) არმენიზმია. სამარე-ს არმენიზმად მიჩ-
ნევა გაუმართლებელია (სომხურში მას უდრის „გერეზმან“). ამავე
მუხლში გვაქვს ტექსტუალური განსხვავებაც სომხურსა და ადიშის
ოთხთავის ტექსტებს შორის (ყაუხჩიშვილი 1944, 108)¹.

ἀποέρχεται ნიშნავს „ხელქეითს“, რომელიც უფროსს ან
ოსტატს ემსახურება („მსახური“). ოთხთავში ეს არის სასამართლოს
მოხელე, სინაგოგის მსახური, მეფის ამალა და სხვ. ქართულ
თარგმანში ყველგან მის აღსანიშნად „მსახური“ იხმარება (7-ჯერ).
ერთადერთი ადგილია მთ. 5,25, სადაც ადიშის ხელნაწერში ვკითხ-
ულობთ: C: ნუჟუე მიგცეს მსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა და
მსაჯულმან მან მიგცეს შენ მტარვალსა და საპყრობილედ შეგაგდონ

¹ მთ. 8,28 მუხლს სპეციალურად ვეხებით ზემოთ.

შენ“. ამ ადგილას ბერძნულ ტექსტში ΣΠΗΡΕΤΟΥΣ სპეციალური მნიშვნელობით არის ნახმარი და ნიშნავს „მტარვალს“. „ჯალაოს“ (ყაუხნიშვილი 1944, 113-4).

ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ, რომ მტარვალი სულ სამჯერ არის დადასტურებული ადიშის ოთხთავის ტექსტში. განხილული მაგალითის გარდა ორჯერ ის ბერძნული ΚΕΥΤΥΡΙΩΝ-ის (ასისთავი) თარგმანია მრკ. 15,44 და 45 მუხლებში.

მრკ. 15. 44 C: ხოლო პილატეს უკერდა, ვითარმედ აღრე მოკუდა. და მოუწოდა მტარვალსა მას და ჰკითხა, თუ აღრე მოკუდა? 45. და ვითარ აგრძნა მტარვალისა მისგან. მიჰმალდნა ჯორცნი იგი ოსიევს.

წინარეათონურსა და გიორგისეული რედაქციის ნუსხებში ორივე ადგილას ასისთავი წერია. ასისთავითევა ἄσπιτος თარგმნილი ΚΕΥΤΥΡΙΩΝ სომხური ოთხთავის შესაბამის მუხლებში. ერთ შემთხვევაში (იმავე ეპიზოდის) მრკ. 15,39 ადიშის ოთხთავში ΚΕΥΤΥΡΙΩΝ-ის შესატყვისად ასისთავი დასტურდება.

ელ. დოჩანაშვილმა სპეციალურად შეისწავლა ადიშის ლექსიკა, შეუდარა ადიშის ხელნაწერის ტექსტი წინარეათონურსა და გიორგისეული რედაქციის ნუსხებს, ბერძნულ დედანსა და ოთხთავის სომხურ თარგმანს. მან გამოყო ადიშურ ნუსხასა და სომხურ ხელნაწერებს შორის „ტექსტობრივ შემსვედრი საერთო ხმარების სიტყვები“ და წარმოშობის თვალსაზრისით დააღაგა ისინი. აქ გვხვდება: ბერძნულიდან, ირანულიდან, სემიტურიდან, სომხურიდან, ქართულ-ქართველური ენებიდან სომხურში შესული სიტყვები და უცნობი მომდინარეობის სიტყვები (დოჩანაშვილი 1955, 178). მის მიერ ჩამოთვლილი ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკიდან უმრავლესი სიტყვები არა მარტო ადიშის ნუსხაში გვხვდება, არამედ ისინი ასევე წინარეათონურსა და გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებშიც დასტურდება.

ელ. დოჩანაშვილი აღნიშნავს, რომ „ადიშის ხელნაწერით დაცულ ქართულ-სომხური საერთო ხმარების ლექსიკაში მხოლოდ ერთ, შედარებით მცირე, ნაწილს შეადგენს უშუალოდ სომხურიდან ანდა სომხურის გზით ქართულში შემოსული სიტყვების ნაკადი. მაგრამ ამ უკანასკნელი რიგის სიტყვების არსებობაც თავისთავად არაფერს ლაპარაკობს ქართული ტექსტის სომხურზე დამოკიდებულების შესახებ: ამ ტიპის სიტყვათა უდიდესი ნაკადი ქართულ ენას არა მწიგნობრული, არამედ ზეპირი გზით უნდა ჰქონდეს შეი-

ვისებული. აქვე მოსატანია ის გარემოება, რომ ამა თუ იმ ქართულ ტექსტში სომხურთან საერთო ხმარების სიტყვების არსებობა წარმოუდგენელია იმ გარემოების გარეშე, რომ მომხმარებელია (მკითხველთა) იმ წრეს, რომლისთვისაც განკუთვნილი იყო ეს ქართული ძეგლი, ესმოდა ეს სიტყვები, წინააღმდეგ შემთხვევაში. ავტორი (თუ მთარგმნელი) მათ ვერ იხმარდა“ (დოჩანაშვილი, 1955. 204).

ადიშის ოთხთავში შეიძლება გამოვყოთ ფენა, რომელიც მისი არქეტიპის შემდგომ რედაქტორს სომხურ ოთხთავთან შედარების შედეგად ჩაუსწორებია. სწორედ აქ შეიძლება გამოვყოთ არმენიზმები, რომლებსაც მკვლევრები მიიჩნევენ იმის დასტურად, რომ ადიშის ნუსხა სომხური თარგმანიდან მომდინარეობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს „არმენიზმები“ ადიშის ნუსხაში მხოლოდ ლექსიკურ დონეზეა წარმოდგენილი, რედაქციული თვალსაზრისით კი ადიშის ოთხთავის მრავალი მუხლი უპირისპირდება სომხურ თარგმანს და ნათლად ჩანს, რომ ადიშის ტექსტი მისდევს სულ სხვა ბერძნულ დედანს, ხოლო სომხური კი სხვას. ადიშის ნუსხის ტექსტი რომ სომხური ოთხთავიდან ყოფილიყო თარგმნილი, მაშინ ის უნდა გაჰყოლოდა მთლიანად სომხურ ტექსტს და მათ შორის რედაქციული სხვაობები არ უნდა გვექონოდა. ადიშის ოთხთავში არსებული არმენიზმები კი მხოლოდ რედაქტორის მიერ ლექსიკურ დონეზე ჩასწორების შედეგია და არ არის რედაქციული ტიპისა.

ელ. დოჩანაშვილი გვაძლევს ცხრილს, სადაც ადიშის ნუსხაში წარმოდგენილი სიტყვები: ბლარჯობა, დანგი, ვარშამაგი, ჰარი, რეზი, სტევი, ტაკუკი, შიში, ჩორორდი უპირისპირდება წინარეათონურსა და გიორგისეული რედაქციის ნუსხათა ლექსიკას. სომხური თარგმანის შესატყვის ადგილას ადიშის ოთხთავში დადასტურებული ძირის სიტყვას ვხვდებით:

ადგილი	სომხური	ადიში	ოთხთავის სხვა ქართული ხელნაწერები (V-უელგატა, A-ოპიზის B-ტბეთის, D-ჯრუჭის, E-პარხლის, X-ხანმეტი ლექციონარი, Y-ივ.ჯავახიშვილის მიერ გამოცემული ხანმეტი სახარების ფრაგმენტები).
მთ. 26.17 მრკ. 14.12	ჩაყალ- ჯსაქირჲ	ბალარჯობა	V ABDE უცომოება (ბერძნ. ἄζσαμσ)
მთ. 5.26	ყასიღ	დანგი	V AB ასარი (ბერძნ. ἀσθάρισ)
ი. 20.7	ქსარჯამასკ	ვარშამაგი	V DEX სულარი (ბერძნ. σισδάρის)
ლ. 15.25	ყსარ	პარი	V DEY განცხრომა
ი. 11.14	ხრქყ	რეზი	V ABDE სახუეველი
მრკ. 1.6	ასოს	სტევი	V ABDE თმა
ი. 2.6:7	ქსაქიქ	ტაკუკი	V DE სარწყული
მთ. 26.7 მრკ. 14.3	ჯქ2	შიში	V ABDE ალბასტრი (ბერძნ. ἄλβασტრის)
მთ. 14.1	ჯიიიიი- ყსაყხთ	ჩოროროლი	V ABDE ოთხთა სამთავ- როთა მთავარი

(დოჩანაშვილი 1955. 206).

აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ადიშის ოთხთავში ერთხელ ცომის აღსანიშნად გვხვდება „თბე“ მრკ. 8,15 C: ეკრძალენით... თბისა მისგან ჰეროდინთამსა, ზოლო ყველა სხვა შემთხვევაში კი ბერძნულიდან ძველ ქართულ ენაში უთუოდ ზეპირი გზით შემოსული „ცომი“ დასტურდება (ჯსმღ – საფუარი). სომხურ თარგმანში შესაბამის ადგილზე გვხვდება ქამიი (ხმორ). მხოლოდ უცომოების (პურის ცომის უსაფუეროდ მომზადება) აღსანიშნავდ იხმარება ორჯერ ადიშის ოთხთავში ბალარჯობა ისევე, როგორც ეს სომხურ ტექსტში დასტურდება. ბალარჯობა უცომოების დღესასწაულის

მნიშვნელობით გვხვდება სინურ მრავალთავში, იერუსალიმურ და ოშკის ბიბლიებშიც; მოიწია დღესასწაული იგი ბალარჯობისამ. *სინ. მრავალთ. 149,3.* განპშადეს ზატიკი იგი ბალარჯობათამ, *II ეზრა 1,10 J*; ყვეს ზატიკი იგი ბალარჯობისამ შუდ დღე, *იქვე 7,14 OJ.* დანგი გვხვდება ოშკის ბიბლიაში, I მეფეთა წიგნში: თაყუანი-სცენ მას დანგისა ერთისა ეცხლისათუს და ქუეზისა პურისა. *I მეფ. 2,36 O*; ვარშამაგი დასტურდება ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში; დაპბურა ვარშამაგი თავსა მისსა და დასდვა ვარ-შამაგსა მას ზედა წინაშე პირისპირ კეპელი იგი ოქროსსაა. *ლევიტ. 8,9 O*; მივიდა წინაწარმეტყუელი და დაუდვა მეფესა ისრა-მლისასა გზასა ზედა და მოხუა ვარშამაგი იგი თუალთა მისთა. *III მეფ. 20,38 O*; ამას იტყვს აღონა უფალი: აღიძარცუე ვარშამაგი და აღიკადე გურგუნი, *ეზეკ. 21,31 OJ*; მოხუა ვარშამაგი იგი თუალთა მისთა. *III მეფ. 20,38 O*; კაცნი ესე შეიკრნეს ნიფხავ-კუართითურო მათით და ვარშამენგით და საწმართულით და ყოვლითურთ სამოსლით მათით, *დანიელ 3,21 J.* პარი დასტურდება უდაბნოს მრავალთავსა და ოშკის ბიბლიაში: შენ პართთ მემღერნი და მაქებელნი შეგასხმიდეს, *უდაბნ. მრავალთ. 105r*; შეგემთხვოს შენ დასი წინაწარმეტყუელთამ, გარდამომავალი ბამათ, და წინაშე მათსა პართთ მემღერნი, *I მეფ. 10,5 O*; დავით როკეიდა წინაშე კიდობნისა მის პართთ, *II მეფ. 6,14 O*; სტევი დასტურდება სინურ და უდაბნოს მრავალთავების ტექსტში: სამოსლად ემოსა სტევისაგან აქლემისა, *სინ. მრავალთ. 86,7-8*; რომელსა-იგი შეუმოიეს სტევისა აქლემისამ, *იქვე 208,3-4*; რომელსა-იგი შეემოსა სტევისაგან აქლემისა, *უდაბნ. მრავალთ. 177r.* ტაკუკი დასტურდება სინურ მრავალთავსა და ოშკის ბიბლიაში: რომლისაგან ტაკუკი ოქროსსაა საესმ მანანამთა გამოჩნდა, *სინ. მრავალთ. 52,14-15*; უკმ შენი – ტაკუკ წახნაგებულ, მოუკლებულ, ზავებულ, *ქებ. ქებ. 7,3 O*; საწყლე ჭურჭელი სამნი ტაკუკნი, გამოსახულნი გოვზაკებად, ერთსა მას რტოსა გარემო ბირთუ და შროშანი, *გამოსლე. 25,33 O.*

ზემოთ ჩამოთვლილ ლექსემათაგან შიში, ჩოროროდი და რეზი, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ძველი ქართულ ენის სხვა ძეგლებში არ დასტურდება.

ბერნარ უტიე უთითებს, რომ ოთხთავის სომხურ თარგმანში *ԾԼԷԼԹԱՄԵՎ* არის თარგმნილი როგორც *ხსկაქ ანწყიւք კაკუნ կոյլն* ადიშის ოთხთავში კი ამ ადგილას ვკითხულობთ: მოედით და

წილვედეთ მიერ. ხოლო წინარეაიონურ სხვა ნუსხებში კი გვაქვს: წილვედეთ მიერ კერძო (Outtier 1999, 71). მარკოზის 5,14 მუხლში ოი βισκοντε ατუს სომხურის მსგავსად აღიშის ოთხთავშიც თარგმნილია როგორც მეღორენი იგი, ხოლო წინარეაიონურ ნუსხებში კი ვკითხულობთ: მწყემსნი იგი მათნი (Outtier 1999, 71).

ოსებ მოლითორმა შეადარა აღიშის ოთხთავის იოანეს სახარების ტექსტი სომხური ოთხთავის თარგმანს და მის მიერ აღმოჩენილი „არმენიზმებისა“ და „სირიზმების“ საფუძველზე დაასკვნა, რომ აღიშისული ტექსტი სომხურიდან არის თარგმნილი. მის მიერ წარმოდგენილი „არმენიზმებიდან“ მხოლოდ რამდენიმეს შეიძლება დაეთანხმოთ და ისინიც მხოლოდ ლექსიკურ დონეზე გვხვდებათ და ამდენად, შეიძლება მივიჩნიოთ რედაქტორის მიერ შემდგომ ჩასწორებულად. მაგალითად, იოანეს სახარების 7,49 მუხლში აღიშის ოთხთავში „ამბოხებაა აღრეული“ დასტურდება.

რაც უფრო [αααααα]αα αααααα-ს შეესატყვისება და არა ბერძნულ ὁ ὄχλος-ს (Molitor 1958, 58); ი. 15,4 და 5 მუხლებში აღიშის ნუსხაში „დამტკიცებულ“ დასტურდება სომხური ღაათათათაჲ-ის შესატყვისად.

ი. მოლითორი წერს, რომ აღიშის ოთხთავის ი. 15,4 და 5 მუხლებსაც სომხური და სირიული თარგმანების გავლენა ემჩნევა. რადგან ი. 15,4^a მუხლში აღიშის ნუსხაში manete წერაო. სომხურში ამ ადგილას state გვაქვს, სირიულში კი permanete (qeve). 15,4^b აღიშისული confirmatus est არისო სიტყვა-სიტყვით თარგმანი სომხურისა და პეშიტასი (permanere)! 15,4^c-ში კი confirmati eritis (=სომხურს) პეშიტასი მიხედვით (permanebitis), 15,5 მუხლში ისევ confirmatus erit (=Armenier) დასტურდებაო - წერს მკვლევარი (Molitor 1958, 59).

სომხურ თარგმანში 15,4 მუხლში ორჯერ და 15,5 მუხლში ერთხელ ღაათათათაჲ დასტურდება. ღაათათათაჲ ნიშნავს утврдити. доказать. подкрепить. подтвердить, укреплять, уверять, удостоверять; свидетельствовать, постановить, учредить, назначить, определить. положить. решить; за благо принять, ратифицировать; утвердить подписью; основать, установить, воздвигнуть; сделать договор; кончить, довершить (ხუდაბაშიანი, II ტ, 54).

ი. 15,4 მუხლი აღიშის ოთხთავში ასე იკითხება:

C: დაადგერით ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა კენ-
 ნაქმან ვერ გამოიღოს ნაყოფი თავით თუსით, არა თუ დამტკიცე-
 ბულ არნ ძირსა ზედა, ეგრეცა თქუენ, არა თუ ჩემ თანა
 დამტკიცებულ იყვენით.

μείνατε ἐν ἐμοί. καὶ γὰρ ἐν ὑμῖν. καθὼς τὸ κληῖμα οὐ δύναται καρ-
 πὸν φέρειν ἄφ' ἑαυτοῦ ἐὰν μὴ μένη ἐν τῇ ἀμπέλω, οὕτως οὐδὲ ὑμεῖς
 ἐὰν μὴ ἐν ἐμοὶ μένητε.

საყჲ.ქ კჲა ხს ხს ქ ძხყ. ირჲქჲ ილჲნ იჯ ჲარქ: იყოიღ მხრქ
 კანძან ქლმქ, ხქქ ჳჲქ ჳაათათჲილ კრქჴ. სოქოქჲ ხს ჲლ.ქ სქქ, იჯ
 კჲა ჳაათათჲილ ქჲქ.ქ.

მაგრამ ამავე მუხლში ბერძნული თბ კლῖμα. რაც რტოს. ვაზის
 რტოს ნიშნავს (Louw & Nida, 35) სომხურ ოთხთავში ითარგმნება
 როგორც ილჲნ, რაც ვაზის რტოს, ვაზს ნიშნავს (ხუდაბაშიანი, II
 ტ., 296). წინარეთონურ და გიორგი მთაწმინდლისეულ ნუსხებში
 ამ ადგილას ნასხლევი დასტურდება, აღიშის ხელნაწერში კი ვენაკი
 გვაქვს და არა მისი რტო, როგორც ეს ყველა სხვა ნუსხაში
 დასტურდება. ბერძნული ἀμπέλω კი აღიშის ოთხთავში პირდაპირი.
 მნიშვნელობით (ვენაკი) აღარ არის თარგმნილი, როგორც ეს წი-
 ნარეთონურ და გიორგიისეულ ნუსხებშია (C: არა თუ დამტკიცე-
 ბულ არნ ძირსა ზედა, ἐὰν μὴ μένη ἐν τῇ ἀμπέλῳ) სომხურში ამ
 ადგილას იქქ დასტურდება, რაც ვაზს, ვაზის რტოს ნიშნავს (ხუდა-
 ბაშიანი, II ტ., 285).

ი. მოლიტორი წერს, რომ აღიშის ოთხთავში იონანეს თავის
 1,40 მუხლში „შეუღევს კუალსა მისსა“ ოთხთავის სომხური თარგ-
 მანის გავლენით არის წარმოდგენილი (Molitor 1958, 57). უნდა
 აღენიშნოთ, რომ სომხური თარგმანის ეს მუხლი ამჟამად სხვა
 დედანს მისდევს, სადაც ანდრეა არა პეტრეს, როგორც აღიშის
 ნუსხაში დასტურდება, არამედ სიმონ-კლდის ძმა არის.

C: იყო ანდრია, ძმაჲ პეტრესი, ერთი ორთა მათგანი, რო-
 მელთა ესმა იოჰანესაგან, და შეუღევს კუალსა მისსა.

ქრ Ⴊ.ს.ი.რ.ქ.ს.ა ხეჲაქრ Ⴚ.რ.ი.ლ.ჩ.ი. ქ.ჩ.ჩ.ჩ. ი.ჩ. ქ.რ.ი.ო.ყ. თ.ს.ი.ჩ. ი.ქ
 ჲლ.ან.ჩ. ქ. მ.ი.ი.ღ.ან.ჩ. და Რ.ს.ა.ყ.ქ.ს. Რ.ჩ.ჩ.ჩ. ს.ი.რ.ა.

¶ Ἐν Ἀνδρέᾳ ὁ ἄδελφὸς Σίμωνος Κηφᾶ – ეს წაკითხვა გვაქვს
 სირიულ codex Curetonianus-ში (SQE, 35), ხოლო აღიშის ვარი-
 ანტი კი ეთანხმება ლათინური ვულგატის ზოგიერთი ნუსხისა და
 სირიული codex Sinaiticus-ისა * და Peshitta-ს წაკითხვებს, სადაც სი-

მონი გამოტოვებულია (SQE, 35). რაც შეეხება „შეუღვეს კულსა მისსა“, ის ბერძნული ἀκολοιουθησαν αὐτῷ-ს თარგმანია. სომხურ თარგმანში წერია „წაიღვენ მის უკან“ – დასაყენ ἑλπίσιν ἡσίου. ხოლო იმის მტკიცება, რომ სომხური უნდა იყოს ადიშის ნუსხის დედანი, ამ მუხლის მიხედვით საფუძველს მოკლებულია მხოლოდ იმიტომაც, რომ აქ ჩვენ რედაქციულ სხვაობასაც ხვედავთ ამ ორ თარგმანს შორის. ის ბერძნული ხელნაწერები, რომლებიც ადიშისა და სომხური თარგმანის დედნები იყო, დღეს დაკარგულია. ვერც რომელიმე სირიულ თარგმანს მივიჩნევთ ამოსავლად მათთვის, რადგან თვით მოლითორი აღნიშნავს, რომ სირიულ თარგმანებში მუხლის ბოლო გამოტოვებულია (Molitor 1958, 57).

ი. მოლითორი წერს, რომ ადიშის ოთხთავში ი. 11,55; 18,28 და 19,14 მუხლებში, სომხური თარგმანის მსგავსად ზატიკი დასტურდება და ამდენად, აქ ტექსტი სომხურ დედანზე არისო დამოკიდებული. იგივეს ამტკიცებს მკვლევარი ი. 18,39 მუხლში დადასტურებული დღესასწაულ-ის შესახებაც. ი. 11,55 მუხლში ადიშის ოთხთავში მართლაც ზატიკი იკითხება წინარეათონური და გიორგისეული პასექ-ის პარალელურად, მაგრამ ეს მუხლი ადიშის ნუსხაში სხვაობს როგორც ბერძნული, ისე სომხური და სხვა ქართული ხელნაწერების ტექსტებისაგან.

C: და მახლობელ იყო ზატიკი იგი ჰურიათაჲ, და მრავალნი აღვიდეს წინაჲსწარ ზატიკისა მის იერუსალჲმდ, რაჲთა განიწმიდონ თავი თუსი.

ადიშის ოთხთავში არ კონკრეტდება, თუ საიდან „აღვიდეს მრავალნი წინაჲსწარ ზატიკისა“, ხოლო ბერძნულ ტექსტში ამ ადგილას წერია: καὶ ἀνέβησαν πολλοὶ εἰς Ἱεροσόλυμα ἐκ τῆς χῆρας πρὸ τοῦ πᾶσχα. ἐκ τῆς χῆρας-ის თარგმანია სოფლებისაგან წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში, ხოლო სომხურ თარგმანში კი ამ ადგილას ἰ φασίყαι იკითხება.

ბერძნულ πᾶσχα-ს წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში პასექი, პასქაჲ შეესატყვისება, ხოლო ადიშის ოთხთავში კი მრკ. 14,12 და 14 მუხლებში ვნება, ი. 18,39 მუხლში – დღესასწაული, ხოლო ი. 11,55; 18,28; 13,1; 19,14, აგრეთვე ლ. 2,41 მუხლებში ზატიკი დასტურდება (ივ. იმნაიშვილი 1946, 144). πᾶσχα ნიშნავს ებრაელების დღესასწაულს, პასექს (Bauer, 1256; Louw & Nida. 529). ამდენად, დღესასწაული ადიშის ოთხთავში ი. 18,39 მუხლში სომხურის ზეგავლენით არ შეიძლება აეხსნათ, რადგან ამ ადგილას

სომხურში ისევ ზატიკი დასტურდება. მარკოზის სახარების 14,12 და 14 მუხლებში აღიშის ოთხთაეში ვნების არსებობა კი აიხსნება ბერძნული *πᾶσχα* ზმნის შინაარსით, რაც ტანჯვას, ვნებას ნიშნავს (Bauer. 1256-1257; Louw & Nida, 285).

ი. მოლითორი წერს, რომ ი. 9,2 (აქ მის სტატიაში კორექტურული შეცდომაა და 9,22 წერია) 9,3 და 9,41 მუხლებში აღიშის სახარებაში სომხური ოთხთაეის გავლენით წერია ბრალი. ი. 9,2 მუხლში *cuis culpa est* ვისი ბრალია დასტურდება აღიშში ისევე, როგორც სომხურ დედანშიო, ხოლო 9,3 მუხლში კი *neque hic peccavit: non istius culpa est* (Molitor 1958, 58).

ი. 9,2 C: ჰრაბი, ვისი ბრალი არს? 'Ραββί. τίς ἥμαρτεν
წინარეათ. გიორგი: რაბი, ვინ ცოდა?

ბერძნულ დედანში ი. 9,2 და 3 მუხლებში ἥμαρτεν დასტურდება. *ἄμαρταν* ნიშნავს როგორც ცოდვას, ისევე არასწორად მოქცევას, ღმერთის მიერ დაწესებული კანონების დარღვევას (Louw & Nida, 773), ხოლო *ἄμαρτια* კი ნიშნავს ცოდვას, ავ საქციელს და აგრეთვე ბრალს (Louw & Nida, 776). ამდენად, ვფიქრობთ, ვინ ცოდა-ს მაგიერ ვისი ბრალი არს რომ დაწერა აღიშის ნუსხის მთარგმნელმა, ეს ბერძნული დედნის მიხედვითაც გამართლებულია.

ი. 9,3 C: მიუგო იესუ: არა მაგისი ბრალი არს და არცა მშობელთა მაგისთაჲ. ἀπεκρίθη Ἰησοῦς. Οὐτε οὐτος ἥμαρτεν οὔτε οἱ γονεῖς αὐτοῦ.

წინარეათ. გიორგი: ჰრქუა მათ იესუ: არცა მაგან ცოდა, არცა მშობელთა მაგისთა. სომხურ თარგმანში ისევე, როგორც აღიშის ნუსხაში ამ მუხლში დასტურდება: «*Կայստայսանի ხո Մկառու. ի յորս լ՛նաս է, անუ մացისի ბրალი ար արիսո. აღիშիս նუსხիս ի. 9,3 մუხլի რომ սոմխურ ოտხთაეზე ար արის დამოკიდებული, იქიდან ჩანს, რომ სომხურ თარგმანში აღიშისა და სხვა ხელნაწერების არცა მშობელთა მაგისთაჲ-ს ნაცვლად, რომელიც ბერძნული ὄυτε οἱ γονεῖς αὐτοῦ-ს თარგმანია. დასტურდება: არც მამის და არც მისი დედის – ხւ ոչ հօր ხւ մօր խրոյ.*

ი. 9,41 მუხლის შესახებ ი. მოლითორი წერს, რომ აღიშის ოთხთაეში აქ ვხვდებით სომხური და სირიული გავლენის ტიპიურ მაგალითს, რადგან მუხლის ბოლოს აღიშსა და სომხურ თარგმანში *confirmatum est* – წერია, რაც სირიულის თარგმანიაო, მაგრამ სირიულში მრავლობით რიცხვშია *peccata vestra stabi lia sunt* (Molitor

1958. 58). აქ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ბერძნული დედნის უპრავლეს ხელნაწერებში მუხლის ბოლოს ისევე, როგორც ადიშის ოთხთავში. „ცოდვამ თქუენი თქუენ თანა დამტკიცებულ არს“ მხოლოდით რიცხვშია როგორც სუბიექტი, ისე ზმნა: ἡ ἀμαρτία ὑμῶν μένει, ხოლო სირიულ, სომხურ და ქართულ თარგმანთაგან წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში კი სუბიექტი და ზმნა მრავლობით რიცხვში დგას: „ცოდვანი თქუენნი ჰვიან“ – αι αμαρτια υμων μενουσιν №¹ D L W 33 at (syri^{s.100c} bo^{ms}) (SQE, 331). ამდენად, აქ ორ სხვადასხვა რედაქციულ ვარიანტთან გვაქვს საქმე და არა ადიშის ნუსხის დამოკიდებულებასთან სომხურ თუ სირიულ ოთხთავზე.

რაც შეეხება მუხლის დასაწყისში ბრალ-ის (არამცა ბრალ-გება C) დადასტურებას ადიშის ნუსხაში, ეს არც არის გასაკვირი. რადგანაც შესაბამის ადგილას ბერძნულში σὺκ ἂν εἶχτε ἀμαρτίαν იკითხება.

ხ. იხილ. კნ. ბერ. ქ. ბიკ. ჯაიითაისილ. ხნ. :

ოთხთავის სომხურ თარგმანში იქსაა 10-ჯერ დასტურდება: მთ. 19,3; 19,10, მრკ. 15,26 ლ. 23,4; 23,14; 23,22; ი. 9,2; 9,3; 19,4; 19,6. იქსაა ხუდაბაშიანის განმარტებით ნიშნავს: вред, уныток, трата, урон, потеря, ущерб, лишение, повреждение. изъят, наклад, беда; предосуждение, оскорбление; вина, погрешность (ხუდაბაშიანი, II ტ., 423). ადიშის ოთხთავში ბრალი 18-ჯერ დასტურდება: მთ. 19,10; 27,37; მრკ. 15,26; ლ. 8,47; 23,4; 23,14; 23,22; ი. 9,2; 9,3; 9,41 (ბრალ-გება): 15,22; 15,24; 18,38. 19,4. 19,6; 19,11. წინარეათონურსა და გიორგისეულ ნუსხებში ბრალი დასტურდება მთ. 19,3; 19,10; 27,37; მრკ. 5,33; 15,26; ლ. 8,47; 23,4 (ლ. 23,14 მხოლოდ გიორგი); 23,22; ი. 18,38, 19,4; 19,6 მუხლებში. ბერძნულ დედანში ამ ადგილებზე αἴτιον და αἰτία დასტურდება, რაც ნიშნავს როგორც მიზეზს (Louw & Nida, 779), ისე ბრალს (Louw & Nida., 776).

ლუკას სახარების 23,14 მუხლის ბოლო ადიშის ოთხთავში ასეა წარმოდგენილი: C: ... აჰა, ესერა, თქუენ წინაშე ვიკითხე და ბრალ არაა ეჰოე კაცისა მაგის თანა, რასა-იგი შეასმენთ მას.

გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციამაც ამ ადგილას ბრალი დასტურდება მიუხედავად იმისა, რომ მუხლი ძირითადად წინარეათონურ რედაქციას მისდევს.

გიორგი: და მე წინაშე თქვენსა განვიკითხე და არარაა ეპოე ბრალი კაცისა ამის თანა, რასა-იგი შესამენდით მას.

წინარეთონურ ნუსხებში ეს ადგილი ასე იკითხება:

და მე წინაშე თქვენსა განვიკითხე და არარას ეპოე კაცისა ამის თანა, რასა-იგი შესამენთ მას. ბერძნულ დედანში αἴτιον გვხვდება ლ. 23,14 მუხლში:

καὶ ἰδοὺ ἐγὼ ἐνώπιον ὑμῶν ἀνακρίνας οὐθὲν εἶπον ἐν τῷ ἀντι-
ῶπα τοῦτα αἴτιον ἂν κατηγορεῖτε κατ' αὐτοῖν.

მათეს სახარების 19,3 მუხლში წინარეთონური და გიორ-
გისეული ნუსხების ბრალისა-ს ნაცვლად აღიშის ოთხთავში
მიზეზითა დასტურდება, რაც ბერძნული αἰτίαν-ის კანონზომიერი
შესატყვისია. სომხურ თარგმანში ამ ადგილას ისევ ქ̄ნაჲ დას-
ტურდება.

C: ჯერ-თუ-არს ვისამე განტეებაა ცოლისა თვისსაა ყოვლითა
მიზეზითა?

წინარეთ. გიორგი: უკეთუ ჯერ-არს კაცისა განტეებაა
ცოლისა თვისსაა ყოვლისათჳს ბრალისა?

ამდენად, იმ მუხლებში, სადაც აღიშის ოთხთავში ვხვდებით
სიტყვა ბრალს, იგი ბერძნული დედნის სათარგმნ სიტყვას შეესატყ-
ვისება და აქ სომხური ქ̄ნაჲ-ის კვალი არ უნდა ვეძიოთ. მით
უმეტეს, რომ აღიშის ნუსხაში ბრალი უფრო ხშირად იხმარება (8-
ით მეტი შემთხვევა დასტურდება), ვიდრე სომხურ ოთხთავში
თითქოსდა სათარგმნი ქ̄ნაჲ.

ი. მოლიტორი აღნიშნავს, რომ აღიშის ნუსხაში ი. 11,6 მუხ-
ლში დადასტურებული ადგილ-იპყრა სომხური გავლენაა, მეტიც,
სირიული, რადგან სირიულშიც აქ prestitit in loco დასტურდება
(Molitor 1958, 59).

C: ვითარცა ესმა, ვითარმედ სნეულ არს, ადგილ-იპყრა მუნ,
სადა იყო, ორ დღე.

წინარეთონურ და გიორგისეულ ნუსხებში ამ ადგილას და-და-
ადგრა (დაადგრა) ადგილსა მას, სადაცა იყო ორ დღე - დას-
ტურდება. სომხურ თარგმანში კი ფოხიქს კაქსაქ იკითხება, ფაიქს
აიხიოქ ხუდაბაშიანის განმარტებით შეჩერებას ნიშნავს (იიქს-
ადგილი, მხარე, შემთხვევა, იაზხ - პყრობა, ჭერა, ქონა) (ხუდა-
ბაშიანი, II ტ., 442).

ადგილი ამ მუხლში ბერძნულ დედანშიც დასტურდება:

ὁὐδὲ οὖν ἵκουσεν ὅτι ἀσθενεῖ. τότε μὲν ἔμεινεν ἐν ᾧ ἦν τόπῳ δύο ἡμέρας.

მენა ნიშნავს დარჩენას; იმავე ადგილზე დარჩენას (L. OSA & Nida, 159) ἔμεινεν აორისტის ფორმა III პ. მხ. რიცხვი, ამდენად, ბერძნული დედანი თავისუფლად იძლევა საშუალებას ნებისმიერ ენაზე ითარგმნოს ეს ადგილი, როგორც იმავე ადგილზე დარჩა. შეჩერდა, ანუ ადგილ-იპყრა ან დაადგრა ადგილსა მას ბერძნული დედნის სრულიად კანონზომიერი თარგმანია ქართულად. ადგილ-იპყრიან შერეების მნიშვნელობით ოშკის ბიბლიაშიც გვხვდება:

რაჟამს მოიწინიან ადგილსა მას, სადა-იგი მოკლული იღვა ასაელ. ადგილ-იპყრიან და არღარა სდევედ, II მეთ, 2,23 ო.

ამდენად, ი. 11,6 მუხლში დადასტურებული ადგილ-იპყრა უპირობოდ სომხურ დედანზე (ან სირიულზე) დამოკიდებულებით კერაიხსნება.

ი. მოლიტორი წერს, რომ ადიშის ოთხთავის ი. 16,21 მუხლში მწუხარება სომხური თარგმანის გავლენით დასტურდება, რაც სირიულ უპირობად „doluit ei“-ზე შეიძლება იყოს დამოკიდებული (Molitor 1958, 59).

C: დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარება არნ მისა, რამეთუ მოწევნულ არნ ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყრმაჲ, არღარა მოიკსენის მწუხარებაჲ იგი სიხარულისა მისთვის, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა.

ადიშისეული პირველი მწუხარება აქ ბერძნული λέναι-ს ზუსტი თარგმანია, ხოლო მეორე მწუხარებაჲ θλιψις-ს შეესაბამება, რაც აგრეთვე განსაცდელთან ერთად ტანჯვას ნიშნავს. წინარეათონურ და გიორგისეულ ნუსხებში აქ ჭირი გვხვდება. სომხურ ოთხთავში ამ ადგილას ხილიქიქი დასტურდება. ხილიქიქი ნიშნავს ზეწოლას. ძალდატანებას, ტყვეობას, შევიწროვებას, მწუხარებას, წუხილს. შფოთვას, დათრგუნვას, უკმაყოფილებას.

იონეს სახარების 17,11 მუხლის ადიშისეულ წაკითხვას ი. მოლიტორი ისე მცდარად უკავშირებს სომხურს.

Հայր՝ սուրբ պահես պնոսս յանուն քո, որով ხսուրն ինձ. վի հլիցին մի, որպէս եւ մեք մի եմք :

C: ...მამაო წმიდა, დაიკვენ ესენი სახელითა შენითა, რომელთა მომცენ მე, რამთა იყვენ იგინი ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ.

ადიშის ოთხთავის ხელნაწერში ამ ადგილას წერია მამაო წმიდა, დაიკვენ. ი. მოლიტორი კითხულობს არა როგორც მამაო

*წმიდაო, არამედ *წმიდად დაიცვენ და უკავშირებს სომხურ და სირიულ წაკითხვებს, სადაც მართლაც იკითხება: მამაო, წმიდად დაიცვენ (Molitor 1958, 59-60). სამწუხაროდ, ადიშის ოთხთავის გადამწერის უნებლიე შეცდობა (რომელიც აკ. შანიძემ მართებულად გაასწორა და აღადგინა გამოცემაში მამაო წმიდა(ო)) მკვლევარმა სულ სხვა ტიპის წაკითხვად მიიჩნია, შინაარსიც შეუცვალა და მიუსადაგა სომხურ თუ სირიულ ვარიანტებს.

ი. მოლიტორი აღნიშნავს, რომ იოანეს სახარების 21,8; 9 და 11 მუხლებში ადიშის ოთხთავში terra-ს (მიწა) მაგიერ arida (კმელი) დასტურდება, რასაც აქ ის ძველი სირიული თარგმანის გავლენად მიიჩნევს (Molitor 1958, 62). ძველი ქართული ენისათვის მეტად ბუნებრივია სემანტიკური ოპოზიცია წყალი - კმელი (კმელეთი). მოლიტორის მიერ დასახელებულ მუხლებში ადიშის ოთხთავში კმელი სრულიად კანონზომიერად არის ნახმარი და სწორედ შინაარსის გათვალისწინებით გვხვდება სამჯერვე ეს სიტყვა, რადგანაც აქ საუბარია ნაპირიდან დაშორების შესახებ მაშინ, როცა მოწაფეებმა ნავით შეცურეს წყალში (ი. 21,8), წყლიდან კმელეთზე გადასვლის (ი. 21,9) და სიმონ-პეტრეს მიერ ბადის ნაპირზე ამოთრევის შესახებ (ი. 21,11). მართალია, სამივე მუხლში წინარეკითონურსა და გიორგისეული რედაქციის ნუსხებში ქვეყანა გვხვდება, რაც ბერძნული γῆ-ს თარგმანია, მაგრამ ადიშისეულ კმელს ვერაფრით ვერ ჩავთვლით სირიულზე დამოკიდებულად. ოპოზიცია წყალი - კმელი გვხვდება აგრეთვე ძველი ალექსის წიგნებშიც, მაგალითად, შესაქმის 1,9; 10 და შემდგომ მუხლებშიც, სადაც ღმერთის მიერ წყლისაგან კმელის (ხმელეთის) გამოყოფაზეა საუბარი და შემდეგ მის სახელდებაზე და სხვ. ამდენად, ადიშისეული კმელი შინაარსს უფრო ზუსტად გამოხატავს დასახელებულ მუხლებში, ვიდრე ქვეყანა.

ადიშის ოთხთავში გამოიყოფა ფენა, სადაც არმენიზმებიც შეინიშნება, მაგრამ მასში დადასტურებული ბერძნიზმები რომ უფრო ადრეულია, ამას ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვება ადასტურებს. მათეს 5,18 და ლუკას 16,17 მუხლებში ადიშის ოთხთავში გვხვდება „სასწაული“.

მთ. 5,18 DE: ამენ გეტყვ თქუნ, რამეთუ ცანი და ქუეყანაა წარკდენ და იოტა ოდენი ერთი რქაა არა წარკდეს შჯულისაგანი.

ამენ გეტყვ თქუნ ე'ღე წარკდეს ცაჲ და ქუეყანაჲ იოტა მარტო ერთი რქაჲ არა წარკდეს შჯულისაგან (ტ).

გიორგი: ამინ გეტყვ თქვენ, ვიდრემდე წარჩხდეს ცა და ქუეყანა, იოტა ერთი, გინა რქა ერთი არა წარჩხდეს სჯულისაგან.

C: ხოლო მართლიად გეტყვ თქვენ: ვიდრეც წარსვლამდე ცისა და ქუეყანისა, იოტა [...სა] სწაულნი [ა]რა...

... ἵνα ἐν ἡμῖν κεραιά. ...ἰοῦτα ἰσ, ἡζαῦσῶσῖσῖ ἰσ ἰ;

ლ. 16,17 DE: უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ ვიდრელა სჯულისაგანი ერთი მოხატული დაერდომად.

გიორგი: უადვილეს არს ცისა და, ქუეყანისა წარსლვაჲ. ვიდრელა სჯულისა ერთი რქა დაერდომად.

C: ხოლო უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ. ვიდრე არა სჯულისაგან ერთისა სწაულული დაერდომად.

...ἡ τὸν μίαν κεραιάν πεσεῖν. ...ἡζαῦσῶσῖსῖსῖ...

ადიმური ვარიანტი „სასწაული“ მთ 5,18-ში სრულიად უადგილოა. ისევე როგორც გაუგებრობაზეა აგებული ლ. 16,17-ის „სწაულული“.

საქმის ვითარება ნათელია. ორივე ადგილას ლაპარაკია „იოტის ოდნად სჯულისაგან გადახვევაზე“ და ამ აზრის („იოტის ოდენ“, „კინოდენ“) გამოხატავად ნახმარია ἵνα და κεραιά. Κεραιά ან κέραια ნიშნავს „რქას“, ხოლო κεραιά სპეციალურ ტერმინს წარმოადგენს გრამატიკაში და ნიშნავს ასოსთან ნახმარ პატარა დიაკრიტულ ნიშანს, მახვილის ან სპირიტუსის გამოხატველს; ოთხოთავის ამ ადგილებში კი (მთ. 5,18 და ლ. 16,17) ის ნიშნავს „უმნიშვნელოს“, „კინის“ (Bauer 1971, 671). ქართველ მთარგმნელს κέραια („რქა“) აღურევია სიტყვასთან τέρας („სასწაული“), ან იქნებ მის ხელნაწერში მართლაც ეწერა ასე. ქართული ოთხოთავის შემდეგდროინდელმა რედაქტორებმა შენიშნეს ეს შეუსაბამობა. შეასწორეს და „სასწაულის“ მაგიერ დასწერეს მართებული „რქა“.

ასევე ყოფილა ადიმურ რედაქციაში გაგებული მათეს პარალელური ადგილი ლუკათან (ლ. 16,17), ხოლო იქ მერმინდელ რედაქტორს ერთი გაუგებრობის ნიადაგზე „სასწაულის“ მაგიერ გაუკეთებია „სწაულული“. ეს გაუგებრობა შეიძლება სომხურთან შედარების შედეგი იყოს. საფიქრებელია, რომ ადიმის რედაქტორს სომხურის ἡζαῦσῶσῖსῖსῖ („იოტა“, „რქა“) აერიოს რაღაც სიტყვასთან, რომლის დასაწყისი იყო ἡζαῦ... („სწაულა“, „მეცნიერება“). ხოლო იმის კვალი, რომ იქ „სასწაული“ ეწერა, დღესაც არის დარჩენილი:

სწერია: „სჯულისაგან ერთი სა სწაულული“

ყოფილა: „შეგულისხმავან ერთი სასწაული (→ სა სწაელული)“
ამგვარად ცხადია, რომ ლ. 16,17-ის არმენიზმი („სწაელული“), ოუ
კი მართლაც არმენიზმთან გვაქვს საქმე, უფრო გვიანი წარმოშობისაა.
ვიდრე მისი ბერძნიზმი („სასწაული,“) (ყუხჩიშვილი 1944, 115-116).

მეტად საგულისხმოა აგრეთვე ელ. დოჩანაშვილის მიერ ადიშის
ოთხთავისა და სომხური ტექსტის ცალკეული გამოთქმებისა და
სინტაქსური მოვლენების განხილვის შეკვდად მიღებული დასკვნა:
„წინადადების კონსტრუქციაში სომხური ტექსტის გავლენის კვალის
შემჩნევა ვერ შეეძლებოდა, არ შეინიშნება არც ძველი ქართული ენის
ნორმებიდან რაიმე ისეთი გადახვევები, რომლებიც შეიძლება
სომხური ტექსტის გავლენით აიხსნას“ (დოჩანაშვილი 1945, 170).

ადიშის ნუსხის ტექსტის მრავალი მუხლი სხვაობს როგორც
ოთხთავის სომხური თარგმანის, ისე სხვა ქართულ ხელნაწერთა
შესაბამისი ადგილებისაგან, რაც უმთავრესად იმით აიხსნება, რომ
ადიშისეული რედაქციის მთარგმანელს ხელთ განსხვავებული
ბერძნული დედანი ჰქონდა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება
დაეასკვნათ, რომ ადიშის ოთხთავში დაცული რედაქცია თარგმნილია
ბერძნული დედნიდან, ხოლო მასში ალაგ-ალაგ დადასტურებული
არმენიზმები კი მხოლოდ ლექსიკური ხასიათისაა და არა რედაქციული
და ამდენად, მეორეულია და იმ ფენაში გვხვდება, რომელიც ნუსხის
რედაქტორმა ჩაასწორა ოთხთავის სომხური ტექსტის მიხედვით.

დამოწმებული ლიტერატურა

დოჩანაშვილი 1945: მასალები ადიშის ოთხთავის არმენიზმების
საკითხისათვის, (სადისერტაციო ნაშრომი), ხელნაწერის უფლებით.

დოჩანაშვილი 1955: მასალები ადიშის ოთხთავის წარმომავ-
ლობის საკითხისათვის, მასალები საქართველოსა და კავკასიის
ისტორიისათვის, ნაკ.32, თბილისი.

იმნაიშვილი 1946: ივ. იმნაიშვილი, ადიშის ოთხთავი რედაქ-
ციულად, თსუ შრომები, ტ.28, თბილისი.

იმნაიშვილი 1949: ივ. იმნაიშვილი, ქსნის ოთხთავის თავისე-
ბურებანი მარკოზის თავის მაგალითზე, პუშკინის სახ. თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, თბილისი.

ს.სარჯველაძე 2002: ს.სარჯველაძე, ხანმეტი დედნიდან გადაწე-
რილი ოთხთავის ერთი XI საუკუნის ხელნაწერის შესახებ. ენათ-
მეცნიერების საკითხები, 2, თბილისი.

ს.სარაჯველაძე 2003: ს.სარაჯველაძე, იყო თუ არა ძველ ქართულში სიტყვა სუმუროვანი, ენათმეცნიერების საკითხები, 1, თბილისი.

ქაჯაია 1984: ხანმეტი ტექსტები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი 1944: ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენმკის მოამბე, IV, თბილისი.

შანიძე 1945: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი.

ხუდაბაშანი: Худабашев, Армяно-русский словарь, составленный по лексикону изданному в Венеции и умноженный вновь веденными словами Александром Худабашевым, ч. I, II. Москва, 1838.

Bauer 1971: Walter Bauer, Wörterbuch zum Neuen Testament, Berlin, New York.

GNT: The Greek New Testament, Fourth Revised Edition edited by Barbara Aland, Kurt Aland, Johannes Karavidopoulos, Carlo M. Martini, and Bruce M. Metzger, D-Stuttgart, 1994.

Louw & Nida: Greek-English Lexicon of the New Testament based on Semantic Domains, Editors Johannes P. Louw and Eugene B. Nida, vol I, II, New York, 1989.

Molitor 1958: Eigenart und Bedeutung des altgeorgischen Hadisch-Tetraevangeliums, Bedi Karthlisa, Revue de Karthvélogie, No. 30-31, Paris.

Outtier 1999: Bernard Outtier, Les versions géorgiennes de Marc, Évangile de Marc Recherches sur led versions du texte, Revue Trimestrielle Tome 56, N° 3.

SQE: Synopsis Quattuor Evangeliorum, Locis parallelis evangeliorum apocryphorum et patrum adhibitibus edidit Kurt Aland, Stuttgart, 1985.

ოთხთავის სომხურ თარგმანს ვიმოწმებთ იოსტ გიპერტის მიერ შექმნილი ელექტრონული ვერსიის მიხედვით: TITUS Quattuor evangelia armeniace, On the basis of the edition by B.O. Künzle, Das altarmenische Evangelium / L'évangile arm,nien ancien, Bern: Lang 1984 (Europäische Hochschulschriften, 21) prepared (with corrections) by J. Weitenberg, supported by the Leiden-Jerusalem Armenian Database Project, Leiden 1993; TITUS version by J. Gippert, Frankfurt a/M, 28.2.1998 / 20.6.1998 / 12.2.2000 / 1.6.2000 da TITUS Novum testamentum armeniace Quattuor evangelia, On the basis of the bible edition by Hovhannēs Zōhrapan, Astowacašownc^c matean hin ew nor ktakaranac^c, Venetik 1805, (the so-called Zohrab-Bible) entered by H. Palanjan, München 1991-1992; TITUS version by J. Gippert, Frankfurt a/M, November 1996 / 28.2.1998 / 20.6.1998 / 12.2.2000 / 1.6.2000

ადიშის ოთხთავის ტექსტისა და ენის საკითხები

აკაკი შანიძის მიერ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქციის გამოცემა (1945 წ.) უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენი ფილოლოგიური მეცნიერებისათვის. ეს ფაქტი საყოველთაოდ არის აღიარებული.

ა. შანიძის გამოცემაში ოთხთავის ერთ-ერთი ძველი რედაქცია წარმოდგენილია ერთადერთი ნუსხით – ადიშური ხელნაწერით (897 წ.). ლ. ქაჯაიამ ცხადყო, რომ ამ რედაქციის ტექსტის ფრაგმენტები ხანმეტ ხელნაწერშიც არის დაცული (ქაჯაია 1985, 304-309).

ადიშის ოთხთავში დასტურდება ხანმეტობისა და ჰემეტობის გადმონაშთები, რაც მიუთითებს, რომ ტექსტი თარგმნილია უძველეს დროს და შემდეგ არაერთხელ არის გადაწერილი: ხ-ითხოვლით, და მოგეცეს თქუენ (მ. 7,7); ხ-იფოსმე ვინ თქუენგანი კაცი...? (მ. 7,9); ხ-აცადეთ მათ (მ. 15,14); ხ-ეკრძალენით (მ. 18,10); ხ-იყო იოვანე ნათლისმცემელი უდაბნოსა (მრკ. 1,4); ვითარცა შეხუდეთ მუნ, ხ-პოოთ კიცუ დაბმული (მრკ. 11,2); ხ-იყო დღეთა მათ ჰეროდე მეუფისა მის ჰურიასტანისათა (ლ. 1,5); ხ-ეკრძალენით თავთა თქუენთა (ლ. 17,3); ხ-იყო ნათელი იგი (ი. 1,9); ხ-უფრომს ამისსა სიყუარული არა ვის აქუნ (ი. 15,13).

თავ-ჰუყოს მამასა თყსსა (მ. 15,6); ჰუფუნთან (მ. 20,24); ნუ ჰირქუამთ თავთა თქუენთა მოძღუარს (მ. 23,10); ჰეროდე ჰემტერა მას (მრკ. 6,19); რამსათყს განჰიზრახავთ (მრკ. 8,17); ჰუყვეს მას (მრკ. 9,13); ამას ჰყქმ (მ. 21,27); შიშუელ ჰყყავ და შემოსეთ მე (მ. 25,36); საჰყრობილეს ჰყყავ და მოხუედით ჩემდა (მ. 25,36); დგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი, და ეგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და ჰიკუსოდეს. დგა მათ თანა ჰეტრეცა და ჰიკუსოდა (ი. 18,18); ჰევედრებოდეს ჰილატეს (ი. 19,31); ჯურთითა ჰცემდეს (მ. 26,67); ცოდვილთა ჰჭამთ (მრკ. 2,16); ნაყოფი არა გამოჰცა (მრკ. 4,7); საწყაულითა ჰწყვიდეთ (მ. 4,24); ვერცა პურის-ჭამად ჰცალნ (მრკ. 6,31); თქუენ ჰთქუთ (მრკ. 7,11); ლედუ

იგი, რომელსა ჰწყევ, განკმა (მრკ. 11,21); ჰცენ სასწაულებ და ნიშებ (მრკ. 13,22); ჰჭამო ზატიკი იგი (მრკ. 14,12); განჰძარცუეს ძოწეული იგი (მრკ. 15,20); წარჰძლუე წინაშე პირსა უფლისასა (ლ. 1,76); მოწაფენი მისნი მოჰჭრიდეს თავსა კოილისასა (ლ. 6,1); რაჲ ჰჭამოთ (ლ. 12,22; 12,29); რომელნი შეჰჭამენ სახლსა ქურიეთასა (ლ. 19,47); ჰჭამეთ პურისა მისგან (ი. 6,26); არა თუ ჰჭამოთ კორცი ძისა კაცისაჲ (ი. 6,53); ჰწყურის თუ ვისმე (ი. 7,37); რომელსა ჰუეტყოდე, მან დასაჯოს იგი (ი. 12,48); თქუენ ჰწუხდეთ (ი. 16,20); ერთი იგი მოწაფჲ წინაწაჰბოქრა უადრეს პეტრესა (ი. 20,4)¹.

როგორც ცნობილია, ყოველ ნუსხაში შეიძლება გვხვდებოდეს (და პრაქტიკულად გვხვდება კიდევ) შეცდომები, რომელთაგან ნაწილი მექანიკურ ცთომილებებს განეკუთვნება (ასოთა, მარცვალთა, სიტყვათა, ფრაზათა კლება, ან ზედმეტად დაწერა, ასოთა შენაცვლება ...), ნაწილი კი გადამწერისა და მისი გარემოს ცოცხალ მეტყველებას ასახავს. არის შეცდომები, რომლებიც დედნის არასწორად წაკითხვის შედეგად არის წარმომდგარი. აქ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ შეცდომათა ნაწილი, შესაძლოა, მომდინარეობდეს დედნიდან და შესაბამისად, მათი წარმოშობა დიდად უსწრებდეს საანალიზოდ აღებული ხელნაწერის შექმნის დროს.

ყოველი კონკრეტული ძეგლის გამოცემის დროს ისმის საკითხი ტექსტში გამოვლენილი შეცდომების შესახებ. დღეს პრაქტიკულად აღარაინ სცემს ძეგლს ზუსტად ისე, როგორც ხელნაწერშია. გამომცემელი თავისი ენობრივი ცოდნის მიხედვით ასწორებს იმ ფორმებს, რომლებიც, მისი თვალსაზრისით, არასწორია და ტექსტის სწორ გაგებას აბრკოლებს. ცხადია, გასასწორებელი ფორმა უთუოდ უნდა აისახოს სქოლიოში. საკითხი შედარებით მარტივად წყდება, როცა გამომცემელს ერთი და იმავე ტექსტის რამდენიმე ნუსხა აქვს ხელთ. მას შეუძლია ორი ან მეტი ვარიანტიდან აირჩიოს ენობრივად და

¹ზოგი ნიმუში განხილული აქვს ა.შანიძეს (შანიძე 1922-23. 417-420; Шанидзе 1940, 237-240).

ტექსტუალურად უფრო შესაფერისი ფორმა, ხოლო არაძირითადი სქოლიოში ჩაიტანოს. უფრო რთულია ვითარება, როცა ესა თუ ის ტექსტი შემონახულია ერთადერთი ხელნაწერით. საკითხი ეხება იმას, თუ რა ტიპის შეცდომები უნდა გასწორდეს. შესაძლოა, გამოძეგვლმა გაასწოროს ტექსტში დაშვებული ყოველგვარი (მექანიკური, ენობრივი, აზრობრივი) ციომილება. არის სხვა გზაც: გასწორდეს მექანიკური და აზრობრივი შეცდომები, ხოლო ის შეცდომები, რომლებიც გადაწერის ცოცხალ მეტყველებას ასახავს, უცვლელად დავტოვოთ. ვფიქრობთ, რომ მეორე მიდგომა უფრო მართებულია. არ იქნებოდა სწორი, ძირითად ტექსტში ხან აღგვედგინა ნორმატული ფორმა, ხოლო სხვა შემთხვევაში კი ხელნაწერისეული ჩვენება (თუნდაც იგი მოცემული ეპოქის სალიტერატურო ენის ნორმებს უპირისპირდებოდეს) გაუსწორებლად დავტოვებინა.

აკაკი შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ადიშის სახარებას ჩვენ განვიხილავთ იმ თვალსაზრისით, თუ: ა) რამდენად არის გამოიჯნული ერთმანეთისაგან მექანიკური და ენობრივი ხასიათის შეცდომები; ბ) რამდენად თანმიმდევრულად არის გატარებული ენობრივი შეცდომების ასახვა ძირითად ტექსტსა და ვარიანტებში.

გამოცემაში გასწორებულია მექანიკური შეცდომები: რომელ თქ-ს (მ. 2,15 - თქუა); არცა შურებინ, არცა სთესავნ (მ. 6,28 - სთავნ); ანქრევედეს ქარნი და ეცნეს სახლსა მას, და ვერ დაეცნეს (მ. 7,21 - დაეცა). ზუსტად ანალოგიურია: აღდგეს მდინარენი, და ქრიოდეს ქარნი, და ეცნეს სახლსა მას და დაეცნეს (მ. 7,27); პრქუ (მ. 8,9 - ვპრქყ); მოზუდეთ (მ. 25,43 - მოზუდით); სასწაული (ლ. 6,38 - საწყაული); მიექცეს, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს, სახიდ თესა (ლ. 7,19 - მიიქცეს); განმრავლდა (ლ. 7,35 - განმართლდა); აქუნდეს (ლ. 8,18 - ჰგონიეს); პირველიმცა (ლ. 10,13 - პირველვემცა); უმზადებდეს (ლ. 14,1 - უმზირდეს); სმენით (ლ. 17,20 - ზმნით); პრქოს (ლ. 20,24 - პრქუეს); ეტყოდეს მისთვის (ლ. 22,65 - იტყოდეს); მათ (ლ. 23,9 - მას); მაშინ (ლ. 24,18 - მას შინა); პატივისა-უყოფდეს (ი. 5,23 - უყოფდენ); კაპრანაუმდ (ი. 6,24); მამათა (ი. 6,49);

ჰურისატანდ (ი. 7,3); თუსნი (ი. 7,7 - მისნი); რაათაცა (ი. 7,7,32 - რაათამცა); თუ იპაროს, დაკლან (ი. 10,10 - დაკლას); მოვაცსენო (ი. 14,26 - მოვაცსენოს); იხილეს და მომიძულეს (ი. 15,24 - მიხილეს); ერთისა კაცნი (ი. 19,32 - ერისა); შეასხნენ (მ. 26,50 - შეასხნეს); შესამესა დლესა სხუამ, კელითქმული აღვაშენო (მრკ. 14,58 - კელით-უქმული).

გასასწორებელი იყო: დავდვა სული ჩემი მის ზედა და სამართალნი წარმართთა მიუთხრნენ (მ. 12,18). ზმნა II კავშირებითშია და უნდა ყოფილიყო: მიუთხრნეს (მან მათ იგი): შდრ.: შრ̄თა თბ̄ πνεῦμᾱ μοῡ ἐπ̄ ἀντὸν, καὶ αὐτὸν σὺν τοῖς ἐμῶν ἀπαγγεῖλαι. წინარეათონურსა და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს: სამართალი წარმართთა მიუთხრას². ასევე უნდა შესწორებულიყო: სულგრძელ მექმენ ჩუენ ზედა (მ. 18,29); შდრ.: წინარეათონური და გიორგისეული რედაქციების: სულგრძელ იქმენ ჩემ ზედა; აგრეთვე: Μεγαρισιμῶτησιν ἐπ̄ ἔμοῡ.

ნუსხაში გვაქვს ასოთა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები: იოქონია (მ. 1,11 - იექონია); იაკაბ ზებედესი (მ. 4,21); განუსხემლით (მ. 7,22 - განვასხემლით); მითნი (მ. 13,15, - მათნი); გამოერჩინა (მრკ. 13,20 - გამოირჩინა); გეშინან (ლ. 1,30); შაბადსა (ლ. 4,31); თქუენ გეტყუ, რომელთა გესმეს (ლ. 6,27 - გესმის); ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაათა გეყოს კაცთა (ლ. 6,31 - გიყონ); ფერდთა (ლ. 8,28 - ფერქთა); მიემართა (ლ. 8,33 - მიიმართა); გოდოლი (ლ. 9,17 - გოდორი); იტყუს (ლ. 11,18 - იტყუთ); აღდგეს (ლ. 11,32 - აღდგენ); დასჯიდეს (ლ. 11,32 - დასჯიდენ); იწამებით (ლ. 11,48 - ეწამებით); სათნო-იყოფით (ლ. 11,48 - ეყოფით); მსაკუევარნო (ლ. 12,56); დაუტევნით (ლ. 13,35 - დაუტევნეთ); შემიწყნაროს (ლ. 16,4 - შემიწყნარონ); წოწეულითა (ლ. 16,19 - ძოწეულითა); უნანი (ლ. 17,4 - ვინანი); მას (ლ. 19,33; 23,9 - მათ); ვაშკარანისა (ლ. 22,36 - ვაშკარანიცა); მეტყოდე (ი. 1,30 - გეტყოდე); აღავსენის (ი. 2,7 - აღავსენით); ჩურღუმული (ი. 4,11 -

² DE ხელნაწერებში გვაქვს: სამართალი წარმართთა მან მიუთხრას.

ჯურღმული); ასწარობდა³ (ი. 5,18 – ასწორობდა); ეშმაკეულნი (ი. 10,21 – ეშმაკეულნი); ითხოვეს (ი. 14,13 – ითხოვედეთ); სპეტაკიცა (ი. 20,12 – სპეტაკითა); დასდეს (ი. 20,15 – დასდევ); ბჭელა (ი. 20,26 – ბჭეთა); გამოცემაში მცდარი ფორმები სქოლიოში არის ჩატანილი. ამასთან. გაუსწორებელი დარჩა: ტებერიაძასა (ი. 6,1); ტებერიათ (ი. 6,23); ფანაკისაჲ (ი. 12,13 – ფინიკისაჲ); გალილეელთაჲთ (ი. 12,21).

ასოთა კლების შემთხვევები: მოვედით თაყუნის-ცემად მისა (მ. 2,2); ნუსხაშია: შენ გამოვიდეს დიდი იგი მთავარი (მ. 2,6); ა. შანიძემ ტექსტი მართებულად გაასწორა: შენ(გან) გამოვიდეს დიდი იგი მთავარი; ქვათამათგან აღდგინებად (მ. 3,9); გამომცემელმა გაასწორა: ქვათა ამათგან აღდგინებად: ცოდვა (მ. 3,6 – ცოდვათა); მრქუა მე (მ. 7,21 – მრქუას); მიერ (მ. 4,6 – ამიერ); თქუნისა (მ. 5,45); ჰრქუა (მ. 7,23; – ვჰრქუა), ეკრალე (მ. 8,4); ზუასა (მ. 8,24); იგინ (მ. 8,32); მოძუარი (მ. 9,11); მოწყუდად (მ. 10,28); მსსუებლა (მ. 5,24; 9,13); მარლიად (მ. 11,11); ჩჩლთა (მ. 11,25); მუცელ მას ვეშაპისასა (მ. 12,40; 12,41); თვზი (მ. 14,19); ზლუსა (მ. 14,26); ჯოცთა (მ. 16,17); მღღელთომოდურთაგან (მ. 16,21); ჯუა (მ. 16,24); ცა შინა (მ. 18,10 ორჯერ); მეზურშ (მ. 18,17); თანადები (მ. 18,27); თა-უყავ (მ. 19,19); გნებავ (მ. 19,21); თესთ (მ. 20,20 – თესით); ღაიმრხნიან (მ. 9,17); ითხოლა (მ. 20,20); დიდებლ (მ. 21,9); კელმწიფებითამას (მ. 21,24; 21,27 – კელმწიფებითა ამას); ჩინებუნი (მ. 22,8); მათაებრ (მ. 23,3); მოძლუარ (მ. 23,10 – მოძლუარს); წინამძლურნო (მ. 23,24); განწმიდე (მ. 23,26 – განწმიდეთ); ჩან (მ. 23,27 – ჩანან); ზიარ იყენით (მ. 23,30 – ზიარ ვიყენით); ესრა (მ. 23,34); წყულანი (მ. 24,7); მღღელთომოდლუარნი (მ. 26,12); ჯურს-ეცუნ (მ. 27,22; 27,23); სისაგან (მ. 27,24 – სისხლისაგან); ჰნეწყედეს (მ. 27,30); ჯურცუმულ (მ. 27,44); ჯურცუმულსა (მ. 28,5); იგი (მ.

³ ა. შანიძემ ეს ფორმა ძირითად ტექსტში დატოვა.

28,11. მრკ. 2,14; ლ. 2,6; 13,4; ი. 10,27; 17,12 – იგინი¹; ინაკის-ღემა (მრკ. 2,15 – ინაკის-ღემასა); იორდანისაათ (მრკ. 2,8); მეუფემან (მრკ. 3,24 – მეუფებაჲმან); კუზაი (მრკ. 6,38); ქუბთაჲ (მრკ. 7,4); ნათესავი (მრკ. 7,26 – ნათესავით); რომელნი (მრკ. 8,3 – რომელნიმე); იგიცა (მრკ. 8,7 – იგინიცა); განჰზრახავთ (მრკ. 8,17 – განჰიზრახავთ); შემწყწაროს (მრკ. 9,37); მოძ (მრკ. 10,17 – მოძლუარ); მომართ (მრკ. 11,16 – მომართუთ); შენი (მრკ. 12,36 – შენნი); მოკითვას (მრკ. 12,38); ეძიებნ (მრკ. 12,38 – ეძიებენ); ღაგ (მრკ. 12,42 – ღანგ); მოწაფეთ მისაჲგანმან (მრკ. 13,1); წყულაჲ (მრკ. 13,8); დამოცვენებუ (მრკ. 13,25); განბოკლებულისა (მრკ. 14,3 – განბოკლებულისასა); ცითა (მრკ. 14,62 – ცისათა); გარდამჰსნად (მრკ. 15,36); იხი (ლ. 1,12 – იხილა); იაკობისა (ლ. 1,33 – იაკობისსა); განწებულნიცა (ლ. 3,14 – განწესებულნიცა); ეშმკისგან (ლ. 4,2); თქუმლ (ლ. 4,12); არაწმიდა (ლ. 4,36 – არაწმიდათა); დავშურით (ლ. 5,5 – დავშურით); ნადირობა (ლ. 5,9 – ნადირობასა); უჩუნე (ლ. 5,14); მათაგან (ლ. 5,15); შენ (ლ. 5,23 – შენნი); შათსა (ლ. 6,2 – შაბათსა); მათა (ლ. 6,18; 8,3 – მათთა); გამოგასნენ (ლ. 6,22); ალაბასრი (ლ. 7,37); მოექცა დედაკაცსა მას და სიმონ ეტყოდა (ლ. 7,44 – სიმონს); ლოცვასა მისა (ლ. 9,18); წარწყმედ (ლ. 9,56 – წარწყმედად); ბეთსაიდ (ლ. 10,13); ზეცაო (ლ. 11,2 – ზეცათაო); იყავ ნებაჲ (ლ. 11,2 – იყავნ ნებაჲ). ქადაგებასა მას იონასა (ლ. 11,32); გიყურს (ლ. 11,43); ყოვლისაგა (ლ. 12,15); უფრო (ლ. 12,23 – უფროჲს); ნათესავი (ლ. 12,30 – ნათესავნი); თქუენ (ლ. 12,30 – თქუენმან); ინაკ-იგმიდენ (ლ. 13,30); ეზოჲსმოძლურ (ლ. 16,2); საუჯე (ლ. 18,22); დაას (ლ. 19,35 – დაასხეს); მოძლურ (ლ. 20,21; 20,39); იყო (ლ. 20,46 – იყოს); შენი (ლ. 20,43); შესრწუნდებით⁵

¹ გამოცემაში გაუსწორებელია: დამასწორენ ჩუენ იგი (მ. 20,12 – უნდა იყოს იგინი).

⁵ თუმცა არაა გამორიცხული, ამ შემთხვევაში ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმა იყოს.

(ლ. 21,9); სახე (ლ. 21,12 - სახელისა); ილტოდედ (ლ. 21,21); ვარსკულათა (ლ. 21,25); განსაცდელთ (ლ. 22,28); ფერქთშესახმელისა (ლ. 22,35); პილა (ლ. 23,13); რომელ (ლ. 23,33 - რომელსა); იქმნ (ი. 1,3 - იქმნა); განათილებს (ი. 1,9); მომალსა (ი. 1,9); მხოლოდბილი (ი. 3,16 - მხოლოდშობილი); სქუ (ი. 4,18 - სთქუ); თაყუნისმცემელთა (ი. 4,23); ჭემარიტებითა (ი. 4,24); სარწული (ი. 4,28); რომელ (ი. 4,29 - რომელმან); გალილეაჲსა (ი. 4,46 - გალილეაჲსასა); მრქუ (ი. 5,11, - მრქუა); მამან (ი. 5,21; 6,27; 6,32; 8,28; 14,26); ისნენ (ი. 5,28 - ისხნენ); ჩე (ი. 5,30 - ჩემი); მოცნა (ი. 5,36 - მომცნა); გაქუნეს (ი. 5,40); ზლასა (ი. 6,1; 6,25); თითუულად (ი. 6,7); გარდაოკდეს (ი. 6,16); მათ (ი. 6,17 - მათა); თქუნ (ი. 6,26); ზეტო (ი. 6,51); მრთლიად (ი. 6,53); გეტ (ი. 6,53 - გეტყ); მოწდეს (ი. 6,58); მოწაფენ (ი. 6,61); მოვიდე (ი. 6,65 - მოვიდეს); ჰურიასტას (ი. 7,1) მომავლინებელის (ი. 7,18 - მომავლინებელისა); მკლვად (ი. 7,25 - მოკლვად); ასწაველა (ი. 7,28); მომვლინა (ი. 7,29); მღდელთმოდურთა (ი. 7,32); დიდის (ი. 7,37 - დიდისა); წინაწარმეტყულო (ი. 7,40); მთართა (ი. 7,48); კორცთა (ი. 8,15 - კორცთაებრ); თავიუფალ (ი. 8,36); ას (ი. 9,25 - არს); უწყით (ი. 9,30); სიტყუა (ი. 10,19 - სიტყუათა); დაკრებთ (ი. 10,33 - დაკრებთ); იყა (ი. 11,21 - იყავ); გიწეს (ი. 11,28 - გიწესს); გულს-გვა (ი. 12,6); სახლსა მამისა ჩემისა (ი. 14,2); ყოფდმდე (ი. 14,29); მიყურს (ი. 14,31); განკადნენ (ი. 16,2 - განგკადნენ); გიყვენ (ი. 16,3); პრქუს (ი. 18,7 - პრქუეს); ბრალ (ი. 19,6 - ბრალსა); კელ-მწიფების (ი. 19,10 - კელ-მეწიფების); მღდელთმოდურთა (ი. 19,21); დედაკო (ი. 19,26 - დედაკაცო); ისნეს (ი. 20,6 - ისხნეს); ძისაბრაჰამისი (მ. 1,1 - ძისა აბრაჰამისი); ვიდრეღარა (მ. 18,13 ვიდრეღა არა); არაჲდეს (მ. 25,3 - არა აჲდეს); დპრქუა (მ. 25,22 - და პრქუა); ერთსამას (მ. 25,40 - ერთსა ამას); მამისასა (ი. 2,16 - მამისა ჩემისასა); დამას (ი. 4,27 - და ამას); ჩემიმცა (ი. 11,21 - ჩემი არამცა); იონაჲსა ფორმის ადგილას ხელნაწერში არის: სა (მ. 12,41).

მაგრამ გაუსწორებლად არის დარჩენილი: რა.ათა აღესრულოს თქმული იგი უფლისა მიერ წინარმეტყუელისაგან (მ. 2,15), წინარმეტყუელი (მ. 10,41); წინარმეტყულსა (მრკ. 1,2)⁶; ხელნაწერში იკითხება: ამას პრქუ: წარვედ! და წარვიდის (მ. 8,23). ა. შანიძემ სამართლიანად აღადგინა ვ (ვპრქუ), ოღონდ შევნიშნავთ, რომ შეუსწორებელი დარჩა უ ჯ-ს ნაცვლად. გამოცემაში გაუსწორებლად არის წარმოდგენილი: ქადაგება და იტყოდა, ვითარ: მოვალს უძლიერესი ჩემსა (მრკ. 1,7, უნდა ყოფილიყო: ვითარმედ); ასევე გაუსწორებელია: გადრუცი (ი, 12,6; 13,29).

ხელნაწერშია: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანისცე (მ. 4,10). ნორმა: თაყუანის-სცე. ამ შემთხვევაში საკითხის ცალსახად გადაწყვეტა რთულია. შესაძლოა, გადამწერმა ორი იდენტური გრაფემის ნაცვლად ერთი დაწერა, მეორე მხრივ, არაა გამორიცხული ორი იდენტური ფონემის უშუალო მეზობლობის გამო ერთის დაკარგვა. ანალოგიურია: თაყუანისცემდა მას (მ. 9,18; ასევე: თაყუანისცემდა — მ. 20,20); ნუგეშინისცეს (ი, 11,19); სახლსა მას იაკობისა (ლ. 1,33); თქსა (ი, 11,38 — თქსსა); ამასთან, გაუსწორებლადაა დატოვებული ბართლომეოს (მრკ. 3,18 — ბართლომეოსს), თადეოს (მრკ. 3,18 — თადეოსს); კუმილდეს კუმილვათა (ლ. 2,8, უნდა ყოფილიყო: კუმილვიდეს).

გვხვდება სიტყვათა კლების შემთხვევები: ხელნაწერში იკითხება: სადუკ შვა აქიმ; შვა ელიუდ (მ. 1,14); გადამწერს ერთხელ დაუწერია აქიმ. ა. შანიძემ გაასწორა ტექსტი: სადუკ შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ (აქ შევნიშნავთ, რომ შესაძლებელი იყო აქიმმან ფორმის აღდგენაც). ნაშობნი იგი სასუფეველისანი ბნელსა მას გარესკნელსა (მ. 8,12). ა. შანიძემ ტექსტი ასე შეასწორა: ნაშობნი იგი სასუფეველისანი განთხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. ასევე მართებულად აღადგინა გამოცემებელმა უჩს ზმნა: მელთა კურელი უჩს და მფრინველთა ცისათა სადგური (მ 8,20). სწორია ა. შანიძისეული: ესე არარაათა განკქლის ეშმაკთა მათ, გარნა ბელ-

⁶ გამოცემებელმა აღადგინა ე.

ზებულთა (მ. 12,24). ასევე გადამწერს გამორჩენია და ფრაზაში: მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა (მ. 15,9). ნუსხაში გვაქვს: მოძღუარმან ვერე (მ. 26,18). ა. შანიძემ აღადგინა გამოტოვებული თქუა ზმნა. აღიშის ოთხთავის ხელნაწერს აკლია ფრაზა: სოლომას თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნნეს, შენ შორის (მ. 11,23). გამოცემაში გასწორებულია სხვა სიტყვათა და ფრაზათა კლებაც: რობოამ (მ. 1,7); ვითარცა (მ. 28,6); და (მრკ. 7,7; მრკ. 14,3; ლ. 14,15); ზოლო იესუ ჰრქუა მას (მრკ. 7,29); და უმეტესად განუკურდებოდა და იტყოდეს (მრკ. 7,37); ნათელს-ილოთ (მრკ. 10,38); არს (მრკ. 12,35; 15,22; ლ. 11,29); ყოველთა ვეტყუ (მრკ. 13,37; ა. შანიძემ აღადგინა: ყოველთა ვეტყუ); თქუა (მრკ. 14,14); ძმ კაცისაჲ (მრკ. 14,41, თუმცა შესაძლებელი იყო ძე კაცისაჲ-ს აღდგენაც); ცოდვათა (ლ. 3,3); ძმ (ლ. 9,35); დღეთა (ლ. 9,51); ასწავა (ლ. 11,1); და³ (ლ. 11,37); და პოვნეს (ლ. 12,38); არცა ქუეყანასა (ლ. 14,35); სარგებელ არს (ლ. 14,35); ესე (ლ. 16,25); აქა (ლ. 17,23); რომელმან არა (ლ. 18,30); მათ და ჰრქუა (ლ. 20,17); თაყუანისმცემელთა (ი. 4,23); ძმამან (ი. 6,8); ჩუენთა (ი. 6,31); არა (ი. 12,39; 20,14).

მ. 10,19: ნუ ზრუნავთ, ვითარმე, ანუ რასამე იტყოდით, რამეთუ მიგცეს თქუენ მას უამსა შინა, რაჲ სთქუათ. გამომცემელმა შეავსო ტექსტი: მიგცეს თქუენ მამამან, რაც აუცილებელი არ იყო (შდრ.: *δὲν ἴσθεταὶ ὅτι ἄνθρωπος ἐστὶν ὁ ἀποστόλος καὶ ἀλλήθως*. აღსანიშნავია, რომ ა. შანიძის მიერ აღდგენილი მამამან არ გვხვდება არც წინარეათონური, არც გიორგისეული რელაქციების ხელნაწერებში. ყველგან გვაქვს ვნებითი გვარის მოგვეცეს. ჩვენ აღიშის ნუსხის ჩვენებას (მიგცეს) ვტოვებთ. რადგანაც ასეთივე წაკითხვა გვაქვს ხანმეტ ხელნაწერშიც. მ. 13,51-ის დასაწყისში გამომცემელმა აღადგინა ფრაზა: ჰრქუა მათ იესუ. აღდგენა ემყარება წინათონური რელაქციის (DE)

ხელნაწერთა ჩვენებას⁷. ბერძნულ ხელნაწერებში ეს ფრაზა არ არის.

ა. შანიძემ აღადგინა: შეუღბა მას (მრკ. 3,7). ვფიქრობთ, რომ ამ ფრაზის აღდგენა არ იყო აუცილებელი.

ნუსხაში გვაქვს: უკუე ვიქმ, და ლათუ ჩემი არა გრწამს. საქმეთა ამათ თუ გრწმენინ, რაათა უწყოდით და გულისკმაპყოთ, რამეთუ მამათ — ჩემდა, და მე — მამისა (ი. 10,38). უნდა გასწორებულიყო: უკუეთუ.

განვიხილოთ ასოთა, სიტყვათა ზედმეტად დაწერის შემთხვევები:

ხელნაწერშია: და შენ ბეთლემდ, ქუეყანაჲ იუდაჲსი (მ. 2,6); გამოცემელმა ტექსტი გაასწორა: ბეთლემ. ნუსხაში იკითხება: გალილეაჲ წარმარმართთაჲ (მ. 4,15). გამოცემაში, ბუნებრივია, ეს ფორმა გასწორებულია. ასევე შესწორებულია ასოთა და სიტყვათა ზედმეტად დაწერის სხვა შემთხვევები: მტარვარლსა (მ. 5,25); ო-ასა (მ. 5,33 — ო-სა); დაფარულთად (მ. 6,6); იგინი (მ. 7,21); იყენენ (მ. 10,36); მისინ (მ. 12,46); შეკრიკბნეს (მ. 13,41); იგინინი (მ. 15,39); ჩუენენებად (მ. 16,21); ნათესავოო (მ. 17,17); მეეცხრესა (მ. 20,5); მოსრრნეს (მ. 22,6); მოუკუდა (მ. 22,27); მოონანი (მ. 21,36); აღესრულაა (მ. 27,9); ბარაბა (მ. 27,16; 27,20; 27,21; 27,26); ბარაბაჲ (მ. 27,17; ლ. 23,18; 23,25); უყუარნ მათი მენისთაობაჲ (მ. 23,6); მიმიელო (მ. 25,24); ლალადებდესდეს (მ. 27,23); სარწუმუნობაჲ (მრკ. 4,40); თქუმუული (მრკ. 5,36); მომკუდარაარს (მრკ. 5,39); დაბნებნებსა (მრკ. 6,6); თუსისისათუს (მრკ. 6,36); ამპარტავანებანებანი (მრკ. 7,22); განიკუუას (მრკ. 8,36); აგარაკი (მრკ. 10,29); გოლგოლთასა (მრკ. 15,22); სხუეებიცა (მრკ. 15,41); ლოდიდი (მრკ. 15,46); თუსისისაჲ (ლ. 1,32); მამამათა (ლ. 1,55); განირართხ (ლ. 6,10); სიმონმონ (ლ. 6,15); გისუტუნევიდით (ლ. 7,32); მამათთა (ლ. 11,48); გამოცდადმოცდად (ლ. 12,56); მოოუწოდა (ლ. 16,2); თითოელულად (ლ. 16,5 —

⁷ ასევეა სხვა წინარეაქტონურსა და გიორგისეული რედაქციის ნუსხებში.

თითოეულად); სასწავლული (ლ. 16,17); შერირატყ (ლ. 17,8); მეზრუერე (ლ. 18,11); აღღკა (ლ. 19,4); ნამეტავისასაგან (ლ. 21,4); სახესახელისა (ლ. 21,12); შეიძრნენ (ლ. 21,26); მიუგოთ (ი. 5,17 – მიუგო); მამამან (ი. 5,37); ქეტელ (ი. 9,22); მივსემ (ი. 13,26); მიუგო (ი. 18,20); ბარნაბა (ი. 18,40); გოლგოლთა (ი. 19,17); ფართო არს არს ბჳმ (მ. 7,13); თუალთა მათთა მათთა (მ. 20,34); სახიერიერთ (ლ. 18,19); სასამარესა (ი. 11,17); ჭურიაკარაკსა (ი. 11,47); ვესძულდე (ი. 15,23); რარაფჳამს (ი. 16,25); მოწაწაფენიცა (ი. 18,1); გოლგოლთა (ი. 19,17); მისისი (ი. 19,25); შეზღუდა იგი შეზღუდა იგი (მ. 21,33); სისხლი მართალი, დათხეული დათხეული ქუეყანასა ზედა (მ. 23,35); რომელთა ესმა და იტყოდეს (მ. 27,47); სიტყუად იწყო იწყო (მრკ. 6,50); ყოველივე იგი სნეულები იგი განკურნა (მ. 8,16). ღალატ-ყო კმითა დიდითა დიდითა (მრკ. 1,26); გუალე და გამოკდა (მრკ. 7,29); და და (მრკ. 7,33; 8,11; ლ. 8,24; ი. 4,53; 14,11; 14,21); რომელსა ლოცვასა შინა რომელსა ლოცვასა შინა (მრკ. 11,24); თუსი თუსი (მრკ. 12,44); და გგუემდენ (მრკ. 13,9); წინაშე ღმრთისა მიერ (ლ. 1,30); და მი-რამ-ვიდეს მისა კაცნი იგი, და ჰრქუეს (ლ. 7,20); აღღგა და და შე-ჰრისხნა (ლ. 8,24); ჭამადი მას ჭამადი (ლ. 8,55); იყენენ ამიერთგან იყენენ (ლ. 12,52); განყოფილ და სამნი (ლ. 12,52); და რომელ (ლ. 15,8); მკუდრეთით თუ (ლ. 16,31); ჰრქუეს ჰრქუეს (ლ. 19,33); ამისთვის ამისთვის (ლ. 19,44); მისნი მისნი (ლ. 23,49); აღიმრღეეს და (ი. 5,7); ჰრქუეს მას ჭურიათა მათ განკურნებულსა მას (ი. 5,10); ლაზარეცა ხოლო (ი. 129); ნუ რამ რამ (ი. 13,29); თავისა თავისა (ი. 13,32).

გამოცემაში გაუსწორებელი დარჩა: შენ დაჰბანია ფერკთა ჩემთა? (ი. 13,6), უნდა იყოს: დაჰბანა.

ადიშურ ხელნაწერში გვაქვს: მართლიად მართალსა გეტყვ თქუნენ (მ. 19,23). მართალსა სიტყვის დატოვება ძირითად ტექსტში შესაძლებელი უნდა იყოს.

ხელნაწერში არის: ფილიპეს (ი. 6,7); ფილიპე (ი. 6,7).
 ა. შანიძემ შეასწორა, თუმცა არ არის შეუძლებელი, ამ

შემთხვევებში ბერძნული $\Phi\iota\lambda\lambda\iota\alpha\pi\omicron\varsigma$, $\Phi\iota\lambda\lambda\iota\alpha\pi\omicron\varsigma$ ფორმების ტრანსლიტერაცია გვქონდეს, შდრ.: ფილიპე (ი. 14,8; 14,9).

/ემ/ ღიფთონგის მოშლას ასახავს ე გრაფემის გამოყენება იქ, სადაც სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით Θ უნდა იყოს, ასევე Θ გრაფემის ისეთ შემთხვევებში დაწერა, სადაც ე უნდა იყოს (აქ არსებითი ისაა, რომ პირველი ჯგუფის ფაქტები ცოცხალ მეტყველებას ასახავს, ხოლო მეორე ჯგუფისა — მხოლოდ წერით მეტყველებას განეკუთვნება): ქრისტესამდე (მ. 1,17); ქრისტეს შობამ (მ. 1,18); ქრისტეს შობასა ... დღეთა პეროდეს მეფისათა (მ. 2,1); ქრისტესთვის (მ. 22,42); ქრისტესი (მრკ. 1,1); ვნებად ქრისტესა (ლ. 24,26); შდრ.: ვნებად ქრისტჳსა (ლ. 24,46); ქრისტესნი (მ. 11,2; მრკ. 9,41)⁸; უმრწემეს (მ. 2,6); მიაქციონ პეროდესა (მ. 2,12); უღარესი (მ. 2,16); პეროდეს წილ (მ. 2,22); მოვიდა ... იოჰანესა (მ. 3,13); ორმოცი დღე და ორმოცი ღამე (მ. 4,2); იაკობ ზებედესი (მ. 4,21; 10,2; მრკ. 1,19); ზებედეს თანა (მ. 4,21); სიმართლე თქუენი (მ. 5,20); მარჯვენე პელი (მ. 5,30); მზე მისი (მ. 5,45); უმეტეს (მ. 5,47; მრკ. 6,51; ლ. 21,3; ლ. 7,26; 21,3; ი. 4,41; 10,10; 21,15); მარცხენე შენი (მ. 6,3); მარჯვენე შენი (მ. 6,3); ქველისსაქმე იგი (მ. 6,4); ღირე იგი (მ. 7,5); სახიდ პეტრესა (მ. 8,14); იოჰანესნი (მ. 9,14); უძურეს (მ. 9,16); იაკობ ალფესი (მ. 10,3; ლ. 6,15); ულხინულეს (მ. 10,15); იოჰანესთვის (მ. 11,7); იოჰანესა ნათლისმცემელისა (მ. 11,11); უმცირესი (მ. 11,11); დღეთა მათგან იოჰანეს ნათლისმცემელისათა (მ. 11,12); სიბრძნე იგი (მ. 11,19); უმრავლესნი (მ. 11,20; 21,36); უმჯობეს (მ. 5,30; 6,26; 10,31; 12,12; 19,10; მრკ. 9,42; 9,43; 9,47; 14,21; ლ. 12,7; 12,24; ი. 11,50); უმოლხინეს (მ. 11,22; 11,24; ლ. 10,14); ტურთი მძიმე (მ. 11,28); ნათესავი უკეთური და მომრუშე (მ. 12,39); უბოროტესნი (მ. 12,45; ლ. 11,26); უძყრეს (მ. 12,45; მრკ. 2,21; 5,26; ლ.

⁸ ამიტომ ქ-სი (მ. 1,1); ქ-ს მიერ (ი. 1,17) დაქარაგმებულ ფორმებში შეიძლება ვივარაუდოთ Θ (როგორც ეს მიჩნეული აქვს ა. შანიძეს), ან ე.

11,26); სიღრმე მიწისაჲ (მ. 13,5; ლ. 8,6); სიბრძნე ესე (მ. 13,54); უმცირეს (მ. 13,32; მრკ. 4,31); ფილიპეს ძმისა თყისაჲსა (მ. 14,3; მრკ. 6,17); ჰეროდესნი (მ. 14,6); ნათესავი ბოროტი და მემრუშე (მ. 16,4); ძე კაცისაჲ (მ. 16,13; 16,28; 17,12; 17,22; 19,28; 20,28; 24,30; 24,44; 25,31; 26,24 ორჯერ; 26,45; მრკ. 9,9; 9,31; 10,33; 14,21 ორჯერ; ლ. 7,34; 11,30; 17,24; 17,30; 18,8; 21,27; ი. 3,13; 5,27; 8,28; 12,23; 12,34⁹); ძე ღმრთისა ცხოველისაჲ (მ. 16,16); ძე ჩემი (მ. 17,5; მრკ. 9,7; 9,17); უდიდეს (მ. 18,4; 22,36; 23,19; ლ. 9,46; ი. 4,12; 8,53; 10,29; 14,28); საქმე იგი (მ. 18,31 ორჯერ; ლ. 8,56); უადვილეს (მ. 19,24; მრკ. 2,9; 10,25; ლ. 5,23; 16,17; 18,25); სიმძიმე ღლისაჲ (მ. 20,12); ზებედეხთაჲ (მ. 20,20; 27,56); ძე თყისი (მ. 21,37; ი. 1,17; 3,16); სიმრავლე ერისაჲ (მ. 21,8; ლ. 23,27); იოჰანესი (მ. 21,25); მეორე მსგავსი ამისი (მ. 22,39); ქრისტესთყს (მ. 22,42); ვისი ძე არს (მ. 22,42); ძე მისი (მ. 22,45; ლ. 20,44); მოსესთა (მ. 23,2); ტურთები მძიმე (მ. 23,4); უმჯობესი (მ. 23,23); ვერეთ (მ. 24,27; ლ. 11,30; 12,54; 13,5; 19,32); ნოესნი (მ. 24,37); ესრეთ (მ. 24,46; 28,13; მრკ. 2,8; 2,12; ლ. 7,43; 10,21; 12,28; 12,37; 12,38; 12,43; 15,7; 15,10; 19,31; ი. 11,48); სიძე იგი (მ. 25,10; მრკ. 2,19); დღე იგი (მ. 25,13; ლ. 23,54; ი. 5,9; 19,31); საქმე კეთილი (მ. 26,10; ი. 10,32); ზებედეხნი (მ. 26,37; მრკ. 10,35; ლ. 5,10; ი. 21,2); ბჭე იგი (მ. 27,15); ძე ... ღმრთისაჲ (მ. 27,40); მეუფე ჰურიათაჲ (მ. 27,42; ლ. 23,38; 19,21¹); ძე ღმრთისაჲ (მ. 27,43; 27,54; მრკ. 15,39; ი. 9,35; 10,36); შეკრბეს ... ჰილატესა (მ. 27,62); ქრისტესი (მრკ. 1,1); უძლიერესი (მრკ. 1,7; ლ. 3,16; 11,22); იოჰანესგან (მრკ. 1,9); იოჰანეს საპყრობილელ მიცემისა (მრკ. 1,14); კელმწიფე და არა ვითარ მწიგნობარნი (მრკ. 1,22); იოჰანეთურთ (მრკ. 1,29); ლევი აღფესი (მრკ. 2,14); იოჰანესნი (მრკ. 2,18 ორჯერ; ლ. 5,33; 7,24); იაკობ ზებედეხსა (მ. 3,17); იაკობ აღფესსა (მრკ. 3,18); სისქე მიწისაჲ (მრკ. 4,5); ცოლისა

⁹ შდრ.: ძმ კაცისაჲ (ი. 13,31).

ფილიპეს, ძმისა თვისაჲსა (მრკ. 6,17); პეროდეს ეშინოდა
 იოვანესა (მრკ. 6,20; ლ. 7,28; ი. 4,1; 5,33; 5,36); თავი
 იოვანესი (მრკ. 6,25); უმეტესად (მრკ. 7,36; 14,31); სამი
 დღე (მრკ. 8,2); გოდორი სავსე (მრკ. 8,8); საფქულე ლოლი
 (მრკ. 9,41); უკეთეს (მრკ. 9,45); იოვანესთვის (მრკ. 10,41;
 ლ. 3,15; 7,24); ძე კაცისაჲცა (მრკ. 10,45); იოვანესი (მრკ.
 11,30); მოსესსა (მრკ. 12,26; ლ. 24,44); მეორე, მსგავსი
 ამისი (მრკ. 12,31); ძე ... დავითისი (მრკ. 12,35); საქმე თვისი
 (მრკ. 13,34); კეთილი საქმე (მრკ. 14,6); ალექსანდრესი (მრკ.
 15,21); ჟამი მესამე (მრკ. 15,25); მეექუსე ჟამი (მრკ. 15,33);
 ზუთვან (მრკ. 15,38); იოსეს დედაჲ (მრკ. 15,40); იკარა
 შესლვად პილატესა (მრკ. 15,43); ყოველი იგი სიმრავლე (ლ.
 1,10; 23,1; 23,18); ძე იგი (ლ. 2,7; ი. 4,50); სიმრავლე
 ერთა ზეცისათაჲ (ლ. 2,13); მოსესისა (ლ. 2,22); სიბრძნე
 მისი (ლ. 2,47); პეროდესსა და ფილიპეს, ძმისა მისისა (ლ.
 3,1); იოჰანესთვის (ლ. 3,15); ძე თუ ხარ ღმრთისაჲ. (ლ.
 4,9); ელისეს ზე (ლ. 4,27); ბადე თქუენი (ლ. 5,4);
 სიმრავლე დიდი (ლ. 5,6); უდიდესი (ლ. 5,26; 22,26);
 უტკბილეს (ლ. 5,39); სიმონ მოშურნე (ლ. 6,15); სხუაჲ
 ერისა სიმრავლე (ლ. 6,17); იოვანესნი (ლ. 7,24); უმცირესი
 (ლ. 7,28; 9,48); იოვანესითა (ლ. 7,29); ეროდესი (ლ. 8,3);
 საქმე ესე (ლ. 8,34; 22,49); სიმრავლე სოფლებისაჲ (ლ.
 8,37); ძე მშუდობისაჲ (ლ. 10,6); უმეტესი (მ. 5,37; მრკ.
 12,40; ლ. 10,35; 12,5; 12,48; 20,47); ვერეთვე (ლ. 10,37;
 17,28); გარეშე (ლ. 11,40, შდრ: გარეშჳ E); უმცირესსა (ლ.
 12,26); ქველისსაქმე (ლ. 12,33); საუნჯე თქუენი (ლ. 12,34);
 მნე იგი (ლ. 12,42; 16,8); ძე (ლ. 12,53; ი. 5,23);
 უპატოოსნესი (ლ. 14,8); უმრწემესმან (ლ. 15,12; 15,13);
 უზუცესი (ლ. 15,25); უგონიერეს (ლ. 16,8); მოსესი (ლ.
 16,31; ი. 5,46; 7,23); უადვილესმცა (ლ. 17,2); ნოესთა (ლ.
 17,26); ნოესა (ლ. 17,27); ერთი მეზუერე (ლ. 18,10); ესე
 მეზუერე (ლ. 18,11); მეზუერე იგი (ლ. 18,13); რაჲ საქმე (ლ.
 18,18; ი. 18,35); საუნჯე (ლ. 18,22); მესამე იგი (ლ. 19,20);
 მომავალი მეუფე (ლ. 19,38); მესამე (ლ. 20,12); პირი და
 სიბრძნე (ლ. 21,15); ყური მისი მარჯუენე (ლ. 22,50);

მოიყვანეს იგი პილატესა (ლ. 23,1); ქრისტე იგი (ლ. 23,2; ი. 11,25); პეროდესი (ლ. 23,7); წინაშე პილატესა (ლ. 23,52); მესამე დღე (ლ. 24,21); კელითა მოსესითა (ი. 1,17); ქრისტე, კრავი ღმრთისაჲ (ი. 1,36); სავანე შენი (ი. 1,38); სავანე მისი (ი. 1,39); პეტრესი (ი. 1,40); იოჰანესგან (ი. 1,40); ძე იონამსი (ი. 1,42); პეტრესით (ი. 1,44); ფილიპეს მიწოდებადმდე (ი. 1,48); უდიდესილა (ი. 1,50); იოვანესთა (ი. 3,25); უმრავლესთა (ი. 4,1); ძე შენი (4,53); მეორე სასწაული (ი. 4,54); უადრეს (ი. 5,7; 20,4); უძყრესი (ი. 5,14); უდიდესლა (ი. 5,20; 14,12); ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ (ი. 6,69; 11,27); მოსესგან (ი. 7,22); უმეტესსა (ი. 7,31); მოსეს მოწაფენი (ი. 9,28); მეუფე შენი (ი. 12,15); სიმონ-პეტრესა (ი. 13,6; 20,2); უსანატრელეს (ი. 13,17); უდიდესლა (ი. 14,12); ცხორებაჲ საუკუნე (ი. 17,2); ჭეშმარიტი ღმერთი და ... იესუ ქრისტე (ი. 17,3); მეუფე იგი (ი. 18,33); სამარე ახალი (ი. 19,41); სამარე იგი (ი. 19,42); უადრეს პეტრესა (ი. 20,4); მეტტილე იგი (ი. 20,15); ბადე იგი (ი. 21,8; 21,11); მოწაფე იგი (ი. 21,23).

აქ უნდა აღინიშნოს, რომ უფროობითი ხარისხის ფორმებში საერთოდ არ გვხვდება მ. ამიტომ არ ჩანს მართებული მისი აღდგენა ხელნაწერის დაზიანებულ ნაწილში: უძლიერ(მს) (მ. 3,11).

ტექსტში დარჩა ემ დაწერილობა: მარჯუემ (მრკ. 6,21)

2) მოწაფენი (მ. 5,1; 9,14; 13,36; 24,1; ლ. 5,33; 6,1; ი. 4,27), გეჰმნიასა (მ. 5,22; 5,29); ბრძანა მოსმ (მ. 8,4); კელმწიფმ არს (მ. 9,4); ჰმ არს (მ. 9,28); ჰმ (მ. 9,28; 11,9; 13,51; 17,25; ლ. 7,26; 10,21; 11,51; ი. 21,15; 21,16); იოჰანმ (მ. 11,18; მრკ. 1,19); შთაჰკლმ (მ. 11,23); გამოუცხადმ (მ. 11,25); ეგრმ (მ. 12,40); ვიდრემდმ (მ. 13,2); სასუფშველი (მ. 13,38; 22,2); ძმმან (მ. 13,41); დამოწაფმებული (მ. 13,52); ესმ (მ. 13,54); ჰმროდეს (მ. 14,1); ბირმბულ (მ. 14,8); მოწაფმთა (მ. 14,22; მრკ. 3,9; ლ. 7,19; 9,54; 10,23; 12,22; ი. 13,23); ძმო (მ. 15,22); კელმეწიფმბის (მ. 20,15); სუფშვეასა (მ. 20,21); ძმსა (მ. 21,15); ბმთანია (მ. 21,17); ორ ძმ (მ. 21,28); მოსმ (მ. 22,24; მრკ.

7.10; ლ. 9,30); გეჰმნიასასა (მ. 23,33); მეუფშმან (მ. 25,40); პეტრშ (მ. 26,35; მრკ. 10,28; ლ. 9,33; 12,41); გარეშმ (მ. 26,69; ლ. 20,15); პილატშ (მ. 27,13; 27,17; ი. 18,35; 19,1; 19,4; 19,6; 19,15; 19,19); საზუერშსა (მრკ. 2,14); ესრშ (მრკ. 4,26); მეფშსა (მრკ. 6,14); ჰსროლიასი (მრკ. 6,22); განგშხუნედ (მრკ. 7,34); შლოა (მრკ. 9,12; 9,13; 15,36); გუწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტშ (მრკ. 14,65); ძშ ღმრთის (ლ. 1,35); სუფშვანი (ლ. 4,5); ძმნი (ლ. 5,10); იოვანშ (ლ. 6,14; 20,6; ი. 10,40); ეხარშბის (ლ. 7,22); სასუფშველსა (ლ. 7,28; 8,1); სპეტაკ და ელვარშ (ლ. 9,29); მეფშთა (ლ. 10,24); კელმწიფშთა (ლ. 12,11); სამკუდრშბელსა (ლ. 12,13); გარშ (ლ. 12,28; ი. 19,13); მორეწშთა (ლ. 15,19); ვქმნშ (ლ. 18,18); გარშშე (ლ. 20,15); განამტკიცნშ (ლ. 21,32); პშტრესით (ი. 1,44); ფილიპშ (ი. 1,43; 1,46); სიმონ-პეტრშ (ი. 13,24); მეინაკშთა (ი. 13,28); გიზილნშ (ი. 16,22); კელმწიფშბაა (ი. 17,2); შესაკმედმდშ (ი. 17,24); მოწაფშთაგანი (ი. 18,17); მეუფშბაა¹ (ი. 18,36); ალილშ² (ი. 19,15); წშრილი (ი. 19,36); გარშშე (ი. 20,11); ბჰჰშთა (ი. 20,19).

ასეთი ფორმები საესებით მართებულად არის გასწორებული, თუმცა შეუსწორებლად დარჩა: ფარშზ (მ. 1,3¹, შდრ.: Φάρσε); ვერშცა (მრკ. 14,59).

3) /ეა/ დიფთონგის მოშლის ამსახველია ეშ კონტამინირებული დაწერილობა: დღეშს (მ. 6,11); ძემ (მ. 9,6; 11,19; 12,8; 17,15; მრკ. 1,11; ლ. 3,22; 11,11; 20,13; ი. 3,17; 4,47); მოქმეშდნი (მ. 9,38); შთაჰქდეშ (მ. 11,23); გამოუცხადემ (მ. 11,25); ხემ (მ. 12,33 ორჯერ); ლ. 13,19); დღემ (მ. 12,40; მრკ. 5,5); მზეშ (მ. 13,6; 24,29; ლ. 23,45); მოსემ (მ. 19,7; მრკ. 10,3); მეუფემ (მ. 22,7); სიძემ (მ. 25,6; მრკ. 2,20); მჯღომარემ (მ. 26,64); ზებელემ (მრკ. 1,20); რომელთა-ეგემ (მრკ. 4,24); ჰეროდემ (მრკ. 6,21); მეხარბემ (მრკ. 6,27); გარემემ (მრკ. 8,23); დღემ და ღამემ (ლ. 2,37); საუნჯემ (ლ. 12,24); შემწნებად (ლ. 14,31); მრწემმ (ლ. 22,26); სიკუდილისსაქმემ (ლ. 23,15); უკუემთუ

(ი. 11,9); მივსცემ (ი. 13,26); პილატემ (ი. 18,33); მეუფემ² (ი. 18,37); ეგემ² (ი. 19,6);

ასევე კონტამინირებული ფორმებია: შელია (მ. 11,14; 16,14; 27,49; მრკ. 9,4); შელიაჲსად (მრკ. 9,5); შელიაჲლა (მრკ. 9,11); შელიაჲსთა (ლ. 4,25); შელიაჲსა (ლ. 9,33); შესაია (მ. 13,14).

ვფიქრობთ, გასასწორებელი არ იყო: რომელსა კრქჳან ქრისტმ (მ. 1,16; ი. 4,25); ნუმცა ესე არს ქრისტმ, ძმ იგი დავითისი? (მ. 12,23); ან კიდევ: იგი არს იესუ ქრისტმ (მ. 16,20); ერთ არს მოძღუარი თქუენი ქრისტმ (მ. 23,10); შენ ხარ ქრისტმ (მრკ. 8,29; 14,61); აქა არს ქრისტმ (მრკ. 13,21); ქრისტმ, მეუფმ ისრაჲლისაჲ (მრკ. 15,32); იგი არს ქრისტმ (ლ. 3,15); ესე არს ქრისტმ (ლ. 4,41); ქრისტმ იგი (ლ. 23,39); მე არა ქრისტმ ვარ (ი. 1,20); შენ არა ხარ ქრისტმ (ი. 1,25); გამოითარგმანების ქრისტმ (ი. 1,41); არა ვარ მე ქრისტმ (ი. 3,28); ქრისტმ იგი (ი. 4,29; 7,26; 7,27; 7,31; 7,41); მოსლვად არს ქრისტმ (ი. 7,41; 7,42); ქრისტმ უკუნისამდე დგეს (ი. 12,34). ქრისტე საკუთარი სახელი არ არის, ამიტომ სახელობითში ბრუნვის ნიშანი სავესებით კანონზომიერია. ბუნებრივია, ასევე არ იყო შესასწორებელი: შენ გერქჳას კეფა, რომელ ითარგმანების: კლდმ (ი. 1,42); მეუფმ ხარ შენ (ი. 18,37); მეუფმ ვარ (ი. 18,37); ამჲნ (მ. 6,13, შდრ.: ἀμήν); ნათანაშლი (ი. 1,47, რადგანაც ბერძნულში გვაქვს: Ναθαναήλ); მაგდალშენელი (ი. 19,25; 20,18; შდრ.: Μαγδαληνή). შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად სახელობითის ფორმა სავესებით დასაშვებია. როგორც ეს არის ხელნაწერში: კელმწიფმ არს ძმ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა მიტეკებად ცოდვათა (მ. 9,6); იყო კაცთა მონადირმ (ლ. 5,10); იყვნეთ ჩემდა მოწაფმ (ი. 15,8); მეუფმ ხარ შენ (ი. 18,37) და ასეთი ფორმები არ უნდა შესწორებულიყო. ცალკე განსახილველია: მოსრულ იყო მისა ღამმ (ი. 8,50).

საერთოდ, აღიშნის ოთხთავში მ გრაფემა 473 შემთხვევაში იხმარება: 164-ჯერ იგი მოსალოდნელ /ემ/ დიფთონგს გადმოხცემს; 65 შემთხვევაში დასტურდება იერუსალმ ფუძის შემად-

გენლობაში, 28-გზის ისრაშლ ფუძეში, 3 შემთხვევაში შშნ-ფუძეში, 6 სიტყვაში ბერძნული ო გრაფემის ტრანსლიტერაციას წარმოადგენს. 161 შემთხვევაში შ გრაფემა აშკარად მცდარად არის დაწერილი: იგი იხმარება ე-ს ადგილას (109 შემთხვევა), ან გვხვდება ეშ კონტამინაციურ დაწერილობაში (52 მაგალითი).

მართებულია ძირითად ტექსტში: ადღეთ (მ. 11,29) ფორმის დატოვება. არ არის გასწორებული /აჲ/ დამავალი დიფთონგის მოშლის ამსახველი შემთხვევები: იოსეფ, ქმარი მარიამისი, მართალი იყო და არა უნდა განმზილება მისი (მ. 1,19); ქალაქი არს დიდისა მეუფისა (მ. 5,35); უფროსლა (მ. 6,30); მოვიდა ი-უსა (მ. 14,29); იესუსთა (მ. 15,30); იესუს თანა (მ. 26,71); იესუსი (მ. 26,75; ლ. 19,3; ი. 18,32); იესუსთუს (მ. 27,1; მრკ. 14,55; 12,9); მოწაფე ... იესუსა (მ. 27,57); იესუსნი (მ. 27,58; მრკ. 15,43; ი. 6,22; შდრ.: იესუფსნი ი. 19,39; 19,40); წარვიდოდა ზღესკიდესა გალილეასასა (მრკ. 1,16); შეკრბეს იესუსა (მრკ. 6,30); ჰეროდისთუს (ლ. 3,19); უფროს (ლ. 7,28); ი-უსი (მ. 14,1; ლ. 19,3); იესუსა (ლ. 23,26); მოიყვანნა იგინი იესუსა (ი. 1,42); იესუსთა (ი. 12,3); იესუსთუს (ი. 12,9); იესუსსა (ი. 13,25; 19,25); იგი იყო სიმამრი კააფუამსა (ი. 17,13); მოვიდეს იესუსა (ი. 19,33; შდრ.: იესუფსა ი. 19,39).

/აჲ/ დიფთონგის მოშლას ასახავს ე. წ. იოტამეტობის შემთხვევები: რაჲჲამს (მ. 6,2; 6,3; 6,5; 6,6; 6,7; 8,2; 8,23; 10,12; 10,14; 12,43; 13,26; 18,15; 20,8; 25,31; მრკ. 1,37; 2,20; 4,10; 6,11; ლ. 16,4; ი. 16,25); ნიჭისა კეთილისაჲ მიცემაჲ შვილთა თქუნთაჲ (მ. 7,11); არაჲ მიუგო მას სიტყუაჲ (მ. 15,23); არაჲვისთუს (მ. 22,16); იცით ნიჭისა კეთილისაჲ მიცემაჲ შვილთა თქუნთაჲ (მ. 7,11); რომელსა კელ-ეწიფების სულთაჲ კორციტურთ წარწყმედად (მ. 10,28); ყოვლისაგან თესლად-თესლადისაჲ შეკრიბიან (მ. 13,47); პირითა ჩჩულთაჲ მწოვართათა დაამტკიცე ქებაჲ (მ. 21,16); (მ. 27,17); არაჲ (მრკ. 4,22; ლ. 13,6; 13,7; ი. 4,48¹; ი. 16,30); ეშმაკეულისაჲ მისთუს (მრკ. 5,16); წყაროჲ იგი სისხლისაჲ მის მისისაჲ (მრკ. 5,29); ზოგადმდე სამეუფოჲსა

ჩემისამ (მრკ. 6,23); ლ-მასას (მრკ. 9,47; ლ. 9,2; 11,42);
 ი-უმს ეძიებთ (მრკ. 16,6); ლ-მასათა (ლ. 1,6; 12,9);
 ლ-მასანი (ი. 1,51); მოქცევად გულთა მამათამ შულთა მიმართ
 (ლ. 1,17); ნათელი გამობრწყინებად წარმართთამ (ლ. 2,32);
 დიდებამ ერისა შენისამ ისრაჲლისამ (ლ. 2,32); იწყო
 მოსსითგან და ყოველთა წინაწარმეტყველთამ, რომელთამ
 წერილ არს მისთვის (ლ. 24,27); ესე ყო დასაბამ
 სასწაულთამ (ი. 2,11); კანამს გალილეამასას (ი. 2,11; 4,46);
 პილენძი თესლისმოფარდულთამ მათ განუბნია (ი. 2,15);
 იტყოდა იუდაამ სუმონის სკარიოტელისთვის (ი. 6,71);
 ცხოვართამ მათ ემისა მისისამ ესმინ (ი. 10,3); მართამს
 ვითარცა ესმა (ი. 11,20); ჰრქუა მართამ იესუს (ი. 11,21);
 ჰრქუა მას მართამ (ი. 11,24); რამსა ეძიებთ (ი. 18,4);
 უყუარდა ი-უმს (ი. 21,20). ასეთი ფორმები მართებულად
 არის შესწორებული. ხელნაწერის იმ ფრაგმენტში, რომელსაც
 ც. ჭანკიევა მიაგნო, გვხვდება ლ-მ (=ლმერთი) (ლ. 20,38).

გაუსწორებლად არის დარჩენილი: რომელთამ არა ჯერ-იყო
 ჭამად, გარნა მღდელთამ ხოლო? (ლ. 6,4), უნდა შესწორე-
 ბულიყო: მღდელთა (= მღვდლებისათვის - დანიშნ. ბრუნვა);
 გწადოდის თქვენ ხილვად დღე ერთი დღეთაგან ძისა კაცისა-
 თამ (ლ. 17,22 - კაცისათა).

შესწორებულია უ გრაფემის მცდარი დაწერილობები:
 ტყუობასა (მ. 1,11-12 ორჯერ); ტყუობადმდე (მ. 1,17);
 წინამსწარმეტყველისა მიერ (მ. 2,5); ქუყანამ (მ. 2,6);
 თაყვანის-სტეს მას (მ. 2,9); მოართუეს (მ. 2,11; 9,32; 12,22;
 14,11; 14,35; 19,13; 22,19; მრკ. 8,22; 9,20; 12,16; ი. 2,8);
 ჩვენებით (მ. 2,13); გრქუა (მ. 2,13); წინაწარმეტყველისა (მ.
 3,3; 21,4); ნუუკვე (მ. 5,25; 25,9; ლ. 11,11; 14,12); თვალი
 (მ. 5,29; 18,9; მრკ. 9,47; ლ. 11,34); მარჯვენე (მ. 5,30;
 ლ. 22,50); [წინაწა]რმეტყველთა (მ. 5,17); წველი (მ. 7,5);
 მოიკუეთოს (მ. 7,19); მუნქესვე (მ. 8,27; 8,34; 17,5; მრკ.
 1,42; 2, 12); გვემად (მ. 8,29; 20,19; ლ. 12,45); ჰრქუა (მ.
 8,32; 9,2; 20,23); მუნქეს (მ. 9,3); უკუეთუ (მ. 9,17;
 10,23; 12,10; 12,27; 18,15 ორჯერ; 18,16; 19,17; 21,26; ლ.

10,6; 20,28; 22,67; 22,68; ი. 8,24; 8,31; 8,36; 8,46);
 პრქევს (მ. 8,28; 9, 28); ხვალთ (მ. 10,5); მოსწყუდდენ (მ.
 10,28); სიტყვად (მ. 11,7; ლ. 23,20); მეზერეთა (მ. 11,19;
 მრკ. 2,15; 2,16; ლ. 7,29); ყვედრებად (მ. 11,20); განგისუნო
 (მ. 11,28); მსხერპლი (მ. 12,7); უკვე (მ. 12,12; 13,21;
 13,26; 13,48; 17,10; 19,6; 19,22; 19,25; 19,27; 20,9; მრკ.
 4,10; 5,27; ლ. 10,2; 22,70); თვალნი (მ. 9,30; 13,15;
 20,33; 26,43; ლ. 4,20; 6,20; 9,16; 10,23; 16,23; 18,41;
 21,28; 24,16; 24,31; ი. 4,35; 9,14; 9,17; 9,21; 9,26; 9,30;
 11,37; 11,41; 12,40); თვალთა (მ. 13,15); მარცვალსა (მ.
 13,31); წინამწარმეტყველი (მ. 13,57); კეზამ (მ. 16,10);
 მუნქევსე (მ. 8,29; 8,34; 17,5); იგუემების (მ. 17,15);
 მოიკეთე (მ. 18,8); სიტყვამ (მ. 12,36; 18,16; მრკ. 11,29;
 ლ. 20,3; 20,20; ი. 4,49); ჩვენებად (მ. 16,21); მოყასთა (მ.
 18,28; 18,31); შესვა (მ. 18,30); მგუემელთა (მ. 18,34); სუამ
 (მ. 19,10); უკუნა (მ. 19,30; მრკ. 5,27); უკუნანი (მ. 19,30;
 20,16); უკუნამსენლთაგან (მ. 20,8); მოყასო (მ. 20,13;
 22,12); უკუნამსენლსა (მ. 20,14); ახვალთ (მ. 20,18);
 გუემად (მ. 20,19); მარჯვენით (მ. 20,21; 20,23; ლ. 22,69);
 პრქვა (მ. 20,23); ჩვენ (მ. 20,30; 20,33); ჩვენნი (მ.
 20,33); წინამწარმეტყველი (მ. 21,11; ლ. 13,33; ი. 1,21; 4,44;
 9,17); წინამწარმეტყველად (მ. 21,26; მრკ. 11,32);
 მღელთმოძღვარნი (მ. 21,23); გუემინის (მ. 21,26); მეზერენი
 (მ. 21,31); მეზერეთა (მ. 21,32); შემოხუედ (მ. 22,12); ესვა
 (მ. 22,25); ქეყანასა (მ. 23,9); წინამძღვარნო (მ. 23,24);
 მართენი (მ. 23,37; ლ. 13,34); დაირლეს (მ. 24,2);
 განკეთოს (მ. 24,51); სხვამ (მ. 25,16; მრკ. 12,4; ლ. 6,17;
 19,16; 22,59; ი. 4,37; 5,32); შიშუელ (მ. 25,36); შიშუელი
 (მ. 25,44); მოხუდით (მ. 25,43); თუ (მ. 26,33); შემხუედეს
 (მ. 26,35); კურთთა (მ. 26,67); განსძარცვეს (მ. 27,31);
 ჯუარს-აცვეს (მ. 27,35; მრკ. 15,24; ლ. 24,20); გვაცადე
 (მრკ. 1,22); მსთვად (მრკ. 1,35; ლ. 24,1); ზღუსკიდელ (მრკ.
 2,13); ძუელთა (მრკ. 2,22); ძუელთა (მრკ. 2,22); სხურტად
 (მრკ. 2,23); ზღუსასა (მრკ. 4,1; 5,13); ზღუამცა (მრკ. 4,41);
 მგუემ (მრკ. 5,7); გუემისა (მრკ. 5,29); მარჯუემ (მრკ. 6,21);

წარმდევანად (მრკ. 6,45); ატყუებს (მრკ. 7,37); თვალთა (მრკ. 8,23; 12,11; ი. 9,6; 9,11; 9,15); წინაწარმეტყველთაგანი (მრკ. 8,28; ლ. 9,8); მღვდელთმოდუართაგან (მრკ. 8,31); სხვაფერ (მრკ. 9,2); დაჰკუეთის (მრკ. 9,18; ლ. 9,39); დაჰკუეთა (მრკ. 9,20); შეგუეწიე (მრკ. 9,22); შესვალ (მრკ. 9,25); მოძლარ (მრკ. 9,38; 10,20; 11,21; 12,19; ლ. 11,45; 16,1); ძვრისსიტყვად (მრკ. 9,39); გასვას (მრკ. 9,41); მოიკუეთე (მრკ. 9,43); ერთთვალისა (მრკ. 9,47); სხვასა (მრკ. 9,11); მომრთუმელთა (მრკ. 10,13); სიტყვასა (მრკ. 10,22); წარუძლვა (მრკ. 10,32); შემთხვევად (მრკ. 10,32; ლ. 8,19); გუემეს (მრკ. 12,3; ლ. 20,11); გუემნეს (მრკ. 12,5); მოკვდა (მრკ. 12,21; 12,22); სუეს (მრკ. 14,23); შე-ღათუ-მხედეს (მრკ. 14,31); გულისსიტყვად (მრკ. 14,33); განისუენეთ (მრკ. 14,41); თაყვანის-სცემედ (მრკ. 15,19); განჰმარცუეს (მრკ. 15,20); ხუელა (მრკ. 15,24); თქუა (მრკ. 15,28); დაარღუევლა (მრკ. 15,29); აყუედრებდეს (მრკ. 15,32); მოგვასწავეს (ლ. 1,2); წარმოუძლუეს (ლ. 1,17); თთუესა (ლ. 1,26); თთუე (ლ. 1,36; 1,56); წინადაცუეთად (ლ. 1,59); მართუენი (ლ. 2,24); თუე (ლ. 4,25); მოხუედ (ლ. 4,34; ი. 16,30); უჩუენე (ლ. 5,14); საზუერესა (ლ. 5,27); წინაწარმეტყველთა (ლ. 6,23); თვალსა (ლ. 6,41); საშუებელითა (ლ. 7,25); ქუეშე (ლ. 8,16); სხვასახე (ლ. 9,29); საყუარელი (ლ. 9,35); გულისსიტყუაჲცა (ლ. 9,46); მიხვალ (ლ. 9,57; 12,58; ი. 14,5); განისუენოს (ლ. 10,6); სუემდით (ლ. 10,7); მიხვალთ (ლ. 10,7); მტუერი (ლ. 10,11); აღგუეკრა (ლ. 10,11); განმარცუეს (ლ. 10,30); ილუაწა (ლ. 10,34); ნატყუენავი (ლ. 11,22); რქუა (ლ. 11,27); შე-არა-ხვალთ (ლ. 11,52); გიჩუენო (ლ. 12,5); იგუემოს (ლ. 12,48); ვსუემდით (ლ. 13,26); წინაწარმეტყუელნი (ლ. 13,28); რჩულისმოდუართა (ლ. 14,3); ვიშუებდეთ (ლ. 15,23); შუებად (ლ. 15,24); ეზო.მ.ს.მოდუარ (ლ. 16,2); სათუელი (ლ. 16,7); წუერი (ლ. 16,24); პრცხუენოდა (ლ. 18,2); მრცხუენის (ლ. 18,4); მახუედრებს (ლ. 18,5); მეზუერე (ლ. 18,10; 18,13); თვალთაჲცა (ლ. 18,13); მეზუერეთაჲ (ლ. 19,2); დასუეს (ლ. 19,35); თვალთაგან (ლ. 19,42); თვალთ-აღებ (ლ. 20,21); მიჩუენეთ (ლ. 20,24);

მიმთხვევად (ლ. 20,35); წარიტყვენენ (ლ. 21,24); გვესმა (ლ. 22,71; ი. 12,34); სიტყვათა (ლ. 23,9; ი. 3,34; 8,47; 14,10); სხვანთა (ლ. 23,32); სხვანი (ლ. 23, 35); სიტყვანი (ლ. 24,11; 24,17; ი. 8,51); წინაწარმეტყველ (ლ. 24,19); წინააღწარმეტყველნი (ლ. 24,25); წინაწარმეტყველთა (ლ. 24,27); წინაწარმეტყველთასა (ლ. 24,44); გჳრენო (ი. 2,18); მართთა (ი. 4,33); თელა (ი. 4,35); შეხვედით (ი. 4,38); გვესმის (ი. 4,42); აღმრლვეასა (ი. 5,3); აღმრლვეს (ი. 5,7); უკეთუმტა (ი. 8,39; 8,42); გიყვარდი (ი. 8,42); შემეტყუების (ი. 8,46); წინაწარმეტყველნიცა (ი. 8,52); თქუეს (ი. 9,23); დახვეულ (ი. 11,44); თვალ-უყვნა (ი. 13,24); უყვარდე (ი. 14,21); გვეტყუეს (ი. 16,17); ჳუარს-აცუ (ი. 19,15); ჳუარს-ვაცუა (ი. 19,16); გვერდსა (ი. 19,34).

უ დაწერილია უ-ს ადგილას: ეგუპტელ (მ. 2,14); ეგუპტით (მ. 2,15); მოწყულა (მ. 2,16); გუვის (მ. 3,9; ი. 19,15); თუსით (მ. 3,3); თუსი (მ. 3,12; 5,2; 6,34; 7,9; 7,24; 7,26; 16,26; მრკ. 12,44); სიტყუთა (მ. 4,1; 4,4; 22,15; მრკ. 12,13; ი. 17,20); შენთუს (მ. 4,6; 5,23); ზღუსკიდესა (მ. 4,13; 13,1; 13,2; 15,29; მრკ. 1,16; 5,21; ი. 6,16; 21,4); ზღუსა (მ. 4,15); კუმირსა (მ. 5,15); თუსსა (მ. 5,22 სამჯერ; 6,27; 9,21; 9,38; ლ. 7,16; ი. 11,38); შენისათუს (მ. 5,25); წუმნ (მ. 5,45); შეგუყვანებ (მ. 6,13); ამისთუს (მ. 6,25); თქუნთათუს (მ. 6,25); სამოსელისათუს (მ. 6,28); ხვალისათუს (მ. 6,34); თუსისათუს (მ. 6,34); ღურესა (მ. 7,3); ლელუ (მ. 7,16); წუმამ (მ. 7,25; 7,27); მქუშასა (მ. 7,26); ტურ-ტურად (მ. 8,6); დაუკურდა (მ. 8,10; 21,19; მრკ. 1,27; 5,42; 12,17; 16,5; ლ. 8,25; ი. 4,27); სიტყუთ (მ. 8,16); თუსთა (მ. 8,20); განალუქეს (მ. 8,25; მრკ. 4,38; ლ. 8,24); უკურდა (მ. 7,28; 8,27; ლ. 4,32; 11,14; 11,38; 24,41); ტურსა (მ. 9,4); უბურეს (მ. 9,16); ღუნო (მ. 9,17; 27,34; მრკ. 2,22; ლ. 5,37 ორჯერ; 5,38; 10,34; ი. 2,3; 2,10¹); ღუნომან (მრკ. 2,22); დაკურვებულ (მ. 9,33; მრკ. 1,22; 10,32; ლ. 1,21; 2,33); მი-რამ-ხუდეთ (მ. 10,7); მშუდობისა (მ. 10,34 ორჯერ; ლ. 1,79); ჰრქუან (მ. 11,17; 27,17; 27,22; ლ. 2,4; 9,10; 22,25; ი. 9,11; 19,17); იტყუან

(მ. 11,19); ტუროსი (მ. 11,22); დაუკურდებოდა (მ. 12,23; 13,54; 27,14; მრკ. 6,51; 10,26; 11,18; ლ. 2,18; 2,47); თქუან (მ. 12,36; 16,14; 17,10; 22,23; მრკ. 8,27; 12,18; 12,35; ლ. 2,47; 9,18); შუდნი (მ. 12,45; ლ. 8,2); სიტყუსა (მ. 13,21; მრკ. 1,45; 4,17; ლ. 11,53); შეგუდგს (მ. 15,23); გარდამონაცუენებსა (მ. 15,27); უკურდაცა (მ. 15,31); შუდი (მ. 15,36; 15,37); სფურიდი (მ. 15,37); სიტქუთ (მ. 16,3; ლ. 12,54); მრქუან (მ. 16,13); მლოგუსმარცუალ (მ. 17,20); შუდგზის (მ. 18,22); კიცუ (მ. 21,2; მრკ. 11,2; 11,4); ლელუ (მ. 21,20); მკუდრი (მ. 21,38; მრკ. 12,7; 12,20); თქუან (მ. 22,23); მოსწყუდენ (მ. 23,37; ლ. 13,34); მოგწყუდენ (მ. 24,9); მლუძარე (მ. 24,42; 25,13; 26,38; მრკ. 13,35; 13,37; 14,38); დაგუშრტებიან (მ. 25,8); განგულე (მ. 25,11); შეხუდეთ (მ. 26,41; ლ. 9,4; 19,30; 22,46); მახული (მ. 26,52 ორჯერ); მახულითაცა (მ. 26,52); მახულითა (მ. 26,55; ლ. 22,49; 22,52); გუქმს (მ. 26,65); ნერწყუდეს (მ. 26,67); ძური (მ. 27,23; მრკ. 7,23); გურგუნი (მ. 27,29; ი. 19,2; 19,5); ეტყუედ (მ. 27,29; ი. 19,3); უძურეს (მ. 27,64); წინაგიძლუს (მ. 28,7); შეემთხუა (მ. 28,9); იტყუს (მრკ. 2,7); ზლუსკიდედ (მ. 2,13); შეემთხუის (მრკ. 4,17); კუძირსა (მრკ. 4,21); მლოგუსაჲ (მრკ. 4,31); განილუძა (მრკ. 4,39); მოხუდე (მრკ. 5,23); საკურველითა (მრკ. 5,42); ტუროსისათა (მრკ. 7,24; 7,31); ფუნიკელი (მრკ. 7,26); სიტქუთ (მრკ. 8,29); საფქულე (მრკ. 9,42); გუძლავს (მრკ. 10,39); მშუდობაჲ (მრკ. 11,10; ლ. 2,14; ი. 20,19); საკურველ (მრკ. 12,11; ი. 9,30); შუდთავე (მრკ. 12,23); მოწყუდენ (მრკ. 13,12; ლ. 12,4); ლელუსაგან (მრკ. 13,28); ილუძებლით (მრკ. 13,33); დაგუმზადეთ (მრკ. 14,15); მახულოსნები (მრკ. 14,43); მახული (მრკ. 14,47); კურენელი (მრკ. 15,21); დამკურდებულ (ლ. 1,65; ი. 15,2); მახულძან (ლ. 2,35); განკურებამან (ლ. 5,9; 5,26); ლუნოსა (ლ. 5,39); თქუს (ლ. 5,39); ზლუსკიდისაჲთ (ლ. 6,17); შთაცუვენ (ლ. 6,39); შემოხუდე (ლ. 7,6); ვძრქუ (ლ. 7,8 ორჯერ); ჩრულითა (ლ. 7,25); თუსთა (ლ. 7,32); გისუტუნეველით (ლ. 7,32); მშუდობით (ლ. 7,50); განუკურდებოდა (ლ. 8,56;

9,43); გამო-რა.ა-ხულოდით (ლ. 9,5); არცხუნოს (ლ. 9,26); გან-რა.ა-ილუქეს (ლ. 9,32); სიტყუსათყს (ლ. 9,45); მოწყუდნეს (ლ. 11,47; 11,48); სამკუდრსბელსა (ლ. 12,13); მლუძარენი (ლ. 12,37); ილუქებდამცა (ლ. 12,39); თუსისა.ა (ლ. 12,39); მოწყუდნა (ლ. 13,4); მკუდრ (ლ. 13,4); მლოგუსასა (ლ. 13,19); დაიმკუდრეს (ლ. 13,19); შუდგზისვე (ლ. 17,4); შეემთხუნეს (ლ. 17,12); შეგუწყალებენ (ლ. 17,13); დავიმკუდრო (ლ. 18,18); სიტყუს-გებაა¹ (ლ. 20,26); ზლუსაგან (ლ. 21,25); კურინელი (ლ. 23,26); ტურისმოქმედნი (ლ. 23,33); ტურისმოქმედთა.ა (ლ. 23,39); დაკურვებასა (ლ. 24,4); დაემკუდრა (ი. 1,14); ლუნისასა (ი. 2,3); ლუნოდ (ი. 2,9); დაარღუეთ (ი. 2,19); გიკურნ (ი. 3,7); გუთხრას (ი. 4,25); მოხუდეთ (ი. 8,21); განვალუძო (ი. 10,11); თუსითა (ი. 11,33); გუთხარნ (ი. 11,57); დაიმკუდროს (ი. 12,25); მშუდობასა (ი. 14,27); ტურისსაქმესა (ი. 18,29); ი. 19,2); წუენი (ი. 19,32); მისთუს (ი. 19,42). იშვიათად გვაქვს უი დაწერილობა: მშუილობა.ა (ლ. 2,14).

ნუსხაში გვაქვს: შვირტყი სარტყელი და მიხუდი, ვიდრეცა გნებავენ (ი. 21,18). ა. შანიძემ შეასწორა: მიხუედი. თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს (ხოლმეობითებს) და უ გრაფემით უ ნიშნის ხშირ შენაცვლებას, უფრო მართებული იქნებოდა მიხუდი ფორმის აღდგენა.

ამავე დროს გაუსწორებლად დარჩა: ნუ ჰკონებთ და იტყუთ (მ. 3,9, თუმცა იქვე გასწორებულია: თუსით და გუვის ფორმები); გეტყუ (მ. 5,26, მაგრამ იქვე შესწორდა: გამოხუდე); მე გეტყუ თქუენ (მ. 3,9; 5,32, 5,34, 5,39; 5,44); გეტყუ (მ. 6,5; 6,16, 6,25; 8,10; 8,11; 10,15; 11,9; 12,36; 17,20; 18,19; 19,9; 21,31; 22,34;23,36; 24,2; 24,34; 24,47; 25,12; 25,40; 25,45; 26,13; 26,21; 26,29; 26,34; 26,64; მრკ. 9,21; 10,29; 13,29; 13,37; 14,18; 14,25; ლ. 3,8; 7,26; 9,27; 11,8; 11,51; 12,4; 12,5; 12,8; 12,22; 12,27; 12,37; 12,44; 13,35; 15,10; 18,8; 18,14; 19,26; 21,3; 22,34; ი. 1,51; 3,11; 4,26; 13,38); ეტყუ ძმასა შენსა (მ. 7,4); იტყუთ (ლ. 3,8); მეტყუ (ლ. 18,19); თქუთ (მ. 15,5, უნდა ყოფილიყო – თქუთ); ლაგუნითა (მრკ. 14,13);

თუმცა ზოგჯერ თვით ასეთი ფორმებიც შესწორებულია: ვიტყუთ (ი. 3,11 – ვიტყუთ); ვიტყუ (ი. 8,28; 12,50 – ვიტყუ); გუჩენე (ი. 14,8); არის ისეთი შემთხვევა, როცა გამოცემულ ტექსტში ერთსა და იმავე წინადადებაში ერთი და იგივე სიტყვა განსხვავებულად არის წარმოდგენილი: სიტყუათა რომელთა გეტყუ, არა თავით ჩემით გეტყუ (ი. 14,10).

გასწორდა ო და უ გრაფემების ურთიერთშენაცვლების შემთხვევები: მუხუალ (მ. 3,14); ყუ (მ. 25,19); ნურწყოვად (მრკ. 14,65); მიუგუ (ლ. 4,12; ი. 7,21); დაიყუნეს (ი. 1,39); ეგულებულა (ი. 5,6); ცხურებად (ი. 6,54); ეტყულა (ი. 6,59); გეტყულდე (ი. 6,63); მიოგო (ი. 8,49); დავაწუ (ი. 13,26); დამოსრნენ (ი. 19,31);

ხელნაწერში დასტურდება ვ/ჟ თანხმოვანთა მონაცვლეობის ამსახველი ფაქტები: გულისკმა-ყუს (მ. 13,19), წარიყუნონ (მ. 24,40); ყუნა (მრკ. 3,14); წარიყუნეს (მრკ. 4,36); იყუნეს (მრკ. 10,24; ლ. 1,21); შულთა (ლ. 1,17); შულო (ლ. 16,25); ასეთი შემთხვევები, ვფიქრობთ, არ უნდა გასწორებულიყო ისე, როგორც ძირითად ტექსტში არის დატოვებული: ყუეს (ი. 6,15).

ხელნაწერში იკითხება: აღიყუანა იგი ეშმაკმან (მ. 4,8). აღიყუანა კონტამინირებული ფორმა (აღიყანა – სალიტერატურო ენის ნორმა – + აღიყუნა – ცოცხალი მეტყველების ამსახველი ფორმა). იგი ცოცხალ მეტყველებაში გამორიცხულია. ა. შანიძისეული გასწორება სავსებით მართებულია. მსგავსი ფორმებია: ქუველისსაქმესა შენსა (მ. 6,2); ყუნეს (მ. 7,24); იყუნეს (მ. 14,6; მრკ. 10,32); თავყუნისცემდა (მ. 20,20); იყუნენ (მ. 24,40; მრკ. 3,14); წარიყუანონ (მ. 24,41); იყუნენით (მ. 24,42; 25,13); იშუვნეს (ი. 1,13); კერმისმცუვალეებელნი (ი. 2,14); იყუნეთ (ი. 8,31; 15,4); იშუვა (ი. 9,2; 9,20); იყუნეთ (ი. 15,4).

ცნობილია, რომ ძველი ქართული ენის უძველეს ძეგლებში (ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები) არ გვხვდება ხ და კ გრაფემათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები. პირველად ეს მოვლენა სინურ მრავალთავში გამოვლინდება (იმნაიშვილი 1975, 27): სინურ მრავალთავში გულისხმა- ფუძე 73-გზის

დასტურდება, მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს ჯ გრაფემა, დანარჩენ შემთხვევებში – ხ. აღიშის ხელნაწერში საპირისპირო ვითარებაა: გულისკმა- 53-გზის დასტურდება: გულისკმითა (მრკ. 12,33); უგულისკმოვე (მ. 15,16); უგულისკმოლა (მრკ. 7,18); გულისკმა-ყო (მ. 9,4; 12,14; 16,8; 22,18; მრკ. 8,17; ლ. 20,23; ი. 4,1; 13,28); გულისკმა-ყვიან (მ. 13,13); გულისკმა-ყონ (მ. 13,14; 13,15; მრკ. 4,12; ლ. 8,10; 9,45; ი. 12,40; გულისკმა-ყვის (მ. 13,19; 13,23); გულისკმა-ყვით (მ. 13,51; 15,10; მრკ. 6,52; 7,14; 13,28; 13,29; ლ. 21,20); გულისკმა-გიყოფიეს (მ. 16,9; მრკ. 7,18; 8,17; 8,21); გულისკმა-ჰყავთ (მ. 16,11); გულისკმა-ყვეს (მ. 16,12; 17,13; 21,45; მრკ. 6,52; 12,12; ლ. 1,22; 18,34; 20,19; ი. 8,27); გულისკმა-ჰყენეთ (მრკ. 4,13); გულისკმა-ყეო (მრკ. 5,33); გულისკმა-ჰყო (ლ. 1,4); გულისკმა-ჰყოფდა (ლ. 2,19); გულისკმა-ყენა (ლ. 5,22); გულისკმა-ჰყავ (ლ. 19,44); გულისკმა-ჰყოთ (ი. 8,28; 8,32; 9,38); გულისკმა-ჰყენით (ი. 8,43); გულისკმის-ყოფად (ლ. 24,45). გულისხმა- ოთხ შემთხვევაში დასტურდება: გულისხმა-ყო (ი. 6,15; 6,61); გულისხმა-ყავნ (ი. 7,17); გულისხმა-ყონ (ი. 7,51). მიუხედავად ამისა, ძირითად ტექსტში უნდა აღდგენილიყო ხ-ს შემცველი ფორმები, როგორც ენის (მეტყველების) ამსახველი და კანიანი ფორმები სქოლიოში უნდა ყოფილიყო ჩატანილი ისე, როგორც გასწორებულია უ გრაფემის მცდარი დაწერილობანი.

ხელნაწერში გვაქვს: იყო მუნ ვიდრე აღსრულ(ებადმდე) პეროდსსა (მ. 2,14). ა. შანიძემ მართებულად გაასწორა: პეროდესა.

ხელნაწერშია: უკუნადასკნელ შეემშია (მ. 4,2). გამომცემელმა სამართლიანად გაასწორა – შეემშია, თუმცა მცდარი ფორმა სქოლიოში არ აისახა.

კონტამინირებული ფორმაა: არასადა გიცნოდენ თქუენ (მ. 7,23). ა. შანიძემ შეასწორა: გიცნოდე.

ა. შანიძემ შეასწორა ენობრივი თვალსაზრისით მიუღებელი ფორმები: ნუსხაში არის: ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოილენ (მ. 7,17 – გამოილის); მისცა მათ კელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდეს მათ

და განკუთრებულს ყოველთა სენტა (მ. 10,1 - მისცა მათ კელმწიფებაჲ სულთა ზედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განკუთრებდენ ყოველთა სენტა); სშჯული (მ. 11,13 - შჯული); კაცნი ნინეველნი აღღგეს (მ. 12,41 - აღღგენ): ევერებოდეს მას, რაჲთა შე-ხოლო-ახოს ფესუსა სამოსლისა მისისასა (მ. 14,36 - შე-ხოლო-ახონ). ცრუწინაწარმეტყუელნი აღღგენ და ატუნენს (მ. 24,11 - ატუნენ); ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა პილენძისა სარტყელთა თქუნთა (მ. 10,9 - პილენძსა); სასუფეველი ცათაჲ ეიძულების (მ. 11,2 - იიძულების); მისცემდა მოწაფეთა თჳსთა პური (მ. 14,19 - მისცა მოწაფეთა თჳსთა პური); აღვიდეს ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალამსათა (მ. 15,39 - აღვიდა); ერმან მან შეპრისხნა მათ, რაჲთა დადუმნეს (მ. 20,31 - დადუმნენ); იყიდეთ თქუნდად (მ. 25,9 - თქუნდა); შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიენ (მ. 25,26 - განმიბნევიან); ნუ პური, ნუცა სარტყელსა შინა პილენძსა (მრკ. 6,8 - პილენძი); რომელსა შინა ლოცვასა ითხოვდეთ (მრკ. 11,24 - რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ); ჟამი რომელი არა იცის (ლ. 12,46 - ჟამსა).

ასევე შესწორებულია სიტყვათა ჩვეულებრივი შეხამების სხვა დარღვევებიც: რამეთუ გეტყვ თქუნ (მ. 11,24 - ხოლო გეტყვ თქუნ); მრგულიად ყოელთა დასაწუველთა (მრკ. 12,33 - ყოელთა მრგულიად დასაწუველთა); ესრეთ იყოს ნათესავსაცა ამს უკეთურსა (მ. 12,45 - ეყოს); ხედავთ ამათ დიდითა შენებულთა (მრკ. 13,2 - დიდ-დიდთა); რომელ-იგი დაარლევდა ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშმნებდ (მრკ. 15,29 - დაარლევდ); ესმოდა სიბრძნე მისი და სიტყვს-გებასა მისსა (ლ. 2,47 - სიტყვს-გებაჲ მისი); თქუნ ვინ გგონიეს მე (ლ. 9,20 - გგონიე). წარწყმიდა (ლ. 11,51 - წარწყმდა); თქუა ვენაკისმოქმედსა მას (ლ. 13,6 - ჰრქუა); თქუა მას (ლ. 19,5 - ჰრქუა მას); სოფლისა ერთსა (ლ. 15,15 - სოფელსა ერთსა); რომელნი ველსა იყვნედ, ნუ შეველენედ მუნ (ლ. 21,21 - იყვნენ); განუყავთ თავისა თქუნისა (ლ. 22,17 - განიყავთ); წარგავლინენ (ლ. 22,35 - წარგავლინენ); დამფარენინ ჩუენ (ლ. 23,30 - დამფარენით);

ჯუარს-აცუნეს იგი და ძკრისმოქმედი იგი, რომელნიმე მარჯუენით და რომელნიმე მარცხენით ჯუარს-აცუნეს (ლ. 23,33 – რომელიმე); იქსნა (ლ. 24,21 – იქსნეს). შენ საჰსა დღესა ავჰმართო ესე (ი. 2,20 – აჰმართო); მოვიდეს ჟამნი (ი. 5,28 – ჟამი); თუალნი ბრმისანი, შობითგან ბრმად შობილისაჲ (ი. 9,32 – შობილისანი); ხეღვიდენ (მ. 13,14; ი. 9,39 – ხეღვიდეს). ი. 15,10: ვჰგიეს (ი. 15,10 – ვჰგიე); რაჲთა იყუარობდით (ი. 15,17 – იყუარობდეთ); სიტყჳსაჲ მისი (ი. 15,20 – მის); აჰამდენ (ი. 16,24 – აჰამომდე); რაჲთა იგინიცა ჩუენ თანა იყვენეს (ი. 17,21 – იყვენენ).

არ იყო შესასწორებელი: მწიგნობარნი იგი ფარისეველთანი (მრკ. 2,18); შდრ.: οἱ ἱεραμαχεῖς τῶν Φαρισαίων. გასწორებულია: მწიგნობარნი იგი და ფარისეველნი; ჰკითხვიდა მათ: რასა-იგი მგ ზავრ იტყოდეთ ურთიერთას (მრკ. 9,33). ა. შანიძემ გაასწორა: იტყოდეს. შესწორება საჭირო არ იყო, შდრ.: Τί ἐν τῇ ἰδῆ διελθοῦντες; წინათონური რელაქციების ხელნაწერებშიც უპირატესად მეორე პირის ფორმები გვაქვს (გამონაკლისია EVO ნუსხები). გიორგისეულ რელაქციაში აგრეთვე მეორე პირის (იცილობდეთ) ფორმა გვაქვს.

ასევე შესწორებულია: მისსა დაწერილობა მისა-ს ნაცვლად: უბოროტესნი მისსა (მ. 12,45); იწყეს ვედრებად მისსა (მრკ 5,17); ცდებოდეს მისსა მიმართ (მრკ. 6,3); მარცხენით მისსა (მრკ. 15,27); რომელნი მოვიდეს მისსა (ლ. 8,4); მოყუას მისსა (ლ. 10,35); მისსა ჯერ-არს აღორძინებაჲ (ი. 3,30): მოვიდეს მისსა (ი. 4,40) მაგრამ გაუსწორებელია: უბოროტესნი მისსა (ლ. 11,26, DE ნუსხებში სწორედ მისა გვაქვს); წინაშე მისსა (ი. 3,28; შდრ.: მისა DE); უფროჲს ამისსა (ი. 15,13; შდრ.: ამისა DE).

გასწორებულია: აღსრულ[ებადმდე] ჰეროდმსსა (მ. 2,14 – ჰეროდმსა); თუთე (ლ. 1,24); რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცის მას (მ. 23,20 – ფუცის); მათ მიუწონოს მას ოცდაათი ვეცხლი (მ. 26,15 – მიუწონეს); ესე (ლ. 14,21 – იგი); მას (ლ. 15,3 – ამას); ყრმეებისა (მ. 15,39); შენდად (მ. 17,4); ისმოლის (მრკ. 4,12 – ესმოლის);

დაამტკიცეთ (მრკ. 7,9 - დაამტკიცეთ); იქორწინებოდნ (მრკ. 12,25); ამისი (მ. 21,32 - მისი); პატივსა უყოფდეს (ი. 5,23 - უყოფდენ); რომელი დაარღუევდა ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ მას (მ. 27,40).

ხელნაწერშია: რაჟამს აღორძნდის, უფრომს ყოველთა მხალთასა არნ, და იქმნის ხმ, ვიდრე მოსლვადმცა მფრინველთა ცისათა და დადრგომად რტოთა მისთა (მ. 13,32). ა. შანიძემ შეასწორა: მოსლვადცა. ვფიქრობთ, გასწორება საჭირო არ იყო.

ამასთან ერთად, გაუსწორებელია: წინაშე მსაჯულთა და მეუფეთა წარგიდგინენ თქუენ ჩემოუს (მ. 10,18), უნდა ყოფილიყო: წარგადგინენ. ამ შემთხვევაში გამომცემელი დაკმაყოფილდა შენიშვნით: ასეა. მ. 14,25: მოვიდა მათდა იესუს ღვით. ნანაიესაობითარი მიმართულებითია და უნდა ყოფილიყო: მათა, როგორც არის წინარეათონური რედაქციის ODEARPBsVaocFGtr¹⁰ და გიორგისეული რედაქციის ნუსხებში. გაუსწორებელი დარჩა აგრეთვე: დასხეს იგი (მ. 15,30); უნდა ყოფილიყო: დასხნეს იგინი. გამოცემაში შეუსწორებელი დარჩა კონტამინირებული ფორმები: ჰსთქუთ (მ. 16,2), მოჰსთხოვნა (მ. 27,58); ჰსწყევე (მრკ. 11,21); თაყუანის-ჰსცეს (ლ. 24,52); მოჰსცა (ი. 5,27); ჰსწყუროდის (ი. 6,35); ნუგეშინის-ჰსცემდეს (ი. 11,31); ჰსცა (ი. 18,22); მაშინ როცა სხვა ტიპის კონტამინირებული ფორმები (ეშ, უვ, სშ) სამართლიანად არის გასწორებული. შესასწორებელი იყო ბრალ არაჲ ვპოე კაცისა მაგის თანა (ლ. 23,14), უნდა ყოფილიყო არა; გამოცემაში გაუსწორებლად არის წარმოდგენილი დაჩჩიან ფორმა (მ. 23,32), აგრეთვე: პურისმტებმან (მრკ. 6,40); დასდგმიდეს სნეულებს (მრკ. 6,56); ესევითრითა (მრკ. 4,33); ესევითრისა (ი. 9,16).

ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა შესწორებულიყო: უკუეთუ მარილი განწბილდეს, რამჲ შეიმარილოს? (მრკ. 9,50). უნდა

¹⁰ აღიშური ხელნაწერის წაკითხვას მხოლოდ I⁰ უჭერენ მხარს, ხოლო წყაროსთაის ხელნაწერში (T) ეს სიტყვა აკლია.

ყოფილიყო: რამათმე (= რითი). ასევე შესასწორებელი იყო: კუალსა იესუსა (ლ. 23,26 – იესუსსა).

ფიქრობთ. საეცებით მართებულად აქვს გამომცემელს ძირითად ტექსტში დატოვებული იმ ეპოქის სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევები (თუმცა ისინი ცოცხალ მეტყველებას ასახავენ):

აბრაჰამ შვა ისაკი; ისაკმან შვა იაკობი; იაკობ შვა იუდა და ძმანი მისნი (მ. 1,2); ღვით მეფემან შვა სოლომონი (მ. 1,6); აბია შვა ასაფი (მ. 1,7); მანასე შვა ამონი (მ. 1,10); იექონია შვა სალათიელი; სალათიელმან შვა ზორობაბელ (მ. 1,12); აბრაამმან (ი. 8,35); მარიამი (მ. 27,61; 28,1; ლ. 1,56; 2,16; 2,19; ი. 11,5; 11,20; 11,32); ელისაბეთი (ლ. 1,40); იოსები (ლ. 2,16); აბრაამი, ისაკი და იაკობი (ლ. 13,28); აბრაამი (ლ. 3,8; ი. 8,52; 8,57); ნათანასლი (ი; 1,47); მაგრამ შესწორებულია: მართამ (ლ. 10,38; 10,40); ბარაბააი (მ. 27,17; ბეთანიაი (ი. 11,18);

იგი იყო სიმამრი კამაფამსა (ი. 17,13); მიველი პირველად და ღვეე ძმასა შენსა (მ. 5,24). ძირითად ტექსტშია დატოვებული მესამე ობიექტური პირის და მეორე სუბიექტური პირის ნიშნების კლების შემთხვევები: ზადოდეს (მ. 10,25); მოზადეთ (მ. 22,9); ზადის (მ. 22,43; 22,45; ლ. 20,44); ზადა (ლ. 7,39; 14,12); ზადი (ლ. 14,12); ზადე (ლ. 14,13); მოზადეს (ი. 9,24); მოზადა (ი. 11,28); მოზადიან (მ. 11,16); ზადის (მ. 22,43; 22,45; ლ. 20,44); მიზადეს (ი. 2,2); მოზადე (ი. 4,16)¹¹; მიხედეთ (მ. 6,26; 6,28); მიხედა (მ. 19,26; მრკ. 3,5; 3,34; 10,21; 10,23; 10,27; 14,67; ლ. 6,10; 19,5; 20,17; 21,1; 22,61; ი. 1,42); ხეღვიდენ (მრკ. 4,12; ლ. 8,10; 8,16; 11,33; 14,29; ი. 9,39; 12,40; 17,24; შდრ.: ჰხეღვიდენ ი. 19,37); ხეღვიდეს (მ. 5,26; 15,31; მრკ. 5,16; 15,40; 15,47; ლ. 4,20; 23,49; 23,55; ი. 2,23; 6,2; 6,19; ი. 9,39 ორჯერ; შდრ.: ჰხეღვიდეს მ. 15,31); ხედავ (მ. 7,3; 22,16; მრკ. 8,23; ლ. 6,41; ი. 9,15; შდრ.: ჰხედავ ლ. 6,42); ხედავთ (მ. 11,4; 13,17; მრკ. 13,2; ი. 12,19); ხედავა (მ.

¹¹ ჰხად- ამ ნუსხაში არ დასტურდება.

5,31; ლ. 5,44); ხედველით (მრკ. 13,33); მოხედნა (ლ. 1,48; 1,68); ხედველ (ლ. 2,48; 7,44); ხედავ (ლ. 9,62); ხედვენ (მ. 13,6 ორჯერ; 13,16; ლ. 10,23; შდრ.: ჰხედვენ ი. 21,9); ხედავთა (ლ. 21,6; ი. 12,19); ხედვილა (მრკ. 12,41; ლ. 23,35; ი. 1,29; 1,36; 6,22; 9,7); შთახედნა (ლ. 24,12; ი. 20,11); შთახედა (ი. 20,5); ხედავს (მ. 6,4; 6,6; ი. 9,19; 11,9)¹²; მატლეს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართასა და ფარისეველთასა (მ. 5,20); რქუა (მ. 14,28; ლ. 11,27; ი. 6,5; 6,8; 18,22); რქუეს (ლ. 17,5; 22,38); კითხვიდეს (მრკ. 9,28); ვრწმენე (ი. 11, 25; 12,44¹; შდრ.: ვპრწმენე ი. 12,44²); განმზადოს (მ. 11,9; მრკ. 1,2); განმზადეთ (მ. 3,3; მრკ. 1,3; შდრ.: განმზადეთ ლ. 3,4); განმზადნეს (ლ. 7,27)¹³; აღტყდებით (მ. 24,6; მრკ. 13,7); თქეთ (მ. 16,15)¹⁴; მოწყყდნეთ (მ. 23,34); ჭამთ (ლ. 5,30); სუამთ (ლ. 5,30); სუათ (მ. 6,25; ლ. 12,29; ი. 6,53); შესუათ (მ. 20,23); განქსნეთ (მ. 18,18); ზრუნავ (ლ. 11,41); ზრუნავთ (მ. 6,25; 6,28; 6,31; 6,34; მრკ. 13,11; ლ. 12,11; 12,22); ზრახავთ (მ. 9,4; 16,8; მრკ. 2,8; ლ. 5,22); ზრახავ (მ. 16,23; შდრ.: ჰზრახავ მრკ. 8,33).

ცოცხალ მეტყველებას ასახავს ზმნისწინთა გამარტივების შემთხვევები, რომლებიც გამოცემაში დაცულია: აუვარებდეს (მ. 3,6); ამიაროს (მ. 10,32); ავიარებ (ლ. 10,21); აჰმალლდები (მ. 11,23); აგზებულისასა (მ. 13,42); ახუალთ (მ. 20,18); აღვინებაჲ (მ. 18,23); აქლა (მრკ. 4,1; ი. 3,13; 6,1); აქსენით (მ. 21,2; ლ. 19,30); აეხუნეს (მ. 27,52); აღგომისა (მ. 27,53); აღგომად (ი. 20,9); აქსენით (მრკ. 11,5; ლ. 19,31; 19,33); აქოცად (ლ. 1,25); ახილვად (ლ. 4,18; ი. 10,21); აქოცნეს (ლ. 9,54); აქვიდით (ლ. 11,46); ზეახილვად

¹² აღიშურ ნუსხაში ხედ- ზმნურ ძირთან მხოლოდ 4 შემთხვევაში იხმარება ჰ- პრეფიქსი.

¹³ ჰ- პრეფიქსი ამ ზმნასთან მხოლოდ ერთხელ გვაქვს.

¹⁴ ა. შანიძემ გაასწორა (სთქეთ). უმჯობესი იქნებოდა. ეს ფორმა არ შესწორებულიყო და დარჩენილიყო ძირითად ტექსტში. როგორც გვაქვს სხვა ანალოგიურ შემთხვევებში.

(ლ. 13,11; 18,13); აქსნისა (ლ. 13,15); აქსენით (ლ. 19,30); აქსნიდეს (ლ. 18,33); ამლღდეს (მ. 23,12; ლ. 5,35; 14,11; 18,14); აკლა (ი. 3,13); ამლღებად (ი. 3,14); აიღეს (ი. 20,2); აიღეს (ი. 20,13); ასრულ (ი. 20,17); გავთულ (მ. 12,25; 12,26; მრკ. 3,26); გაქსნა (მ. 16,19); გასჯიღეთ (მ. 19,28); გა-რე-იყვანა (მრკ. 7,33); გა-რე-იღგინა (მრკ. 8,32); გაველ (ლ. 4,35); გასაცდელსა (11,5); გარაცხილ (ლ. 12,7); გარყუნის (ლ. 12,33); გაჰყავთ (ლ. 22,53); გავიდა (ლ. 22,62); გასრულებულ (ი. 9,21; 9,23); წინაწაპოქრა (ი. 20,4).

ა. შანიძემ ძირითად ტექსტში დატოვა სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენების ამსახველი დაწერილობანი: ასიმილაციისა – შეგითქო (მ. 19,27; ლ. 18,28); შემოგუთქს (ლ. 9,49); განსთქლიან (მ. 9,17); განსთქდეს (მ. 27,51); განსთქდებოდეს (ლ. 5,6); განსთქდენ (ლ. 5,37); განსთქდა (ი. 21,11); შაჯეთ (ი. 7,24); ჟუჟთა (ი. 3,31); ლალატ-ყო (მ. 14,30; მრკ. 1,26; 5,7; 9,24; 9,26; 15,40; ლ. 1,42; 4,33; 9,38; ი. 1,15; 7,28; 11,43); ლალატ-ყვეს (მ. 8,29; 14,26; 20,30; მრკ. 6,49; ი. 18,40; 19,6); ლალატ-ყვის (ლ. 9,39); სისქე (მრკ. 4,5, შდრ.: სიზრქს იქვე); ესთენი (ი. 12,37); ესთენ (ი. 14,9); ესთენითა (ი. 21,11); შდრ.: ესოდენი (მ. 15,33 ორჯერ); დისიმილაციისა – ცხოზლა (ლ. 15,24); ბგერათდაკარგვისა – ვიზიღეთ ვასკულავი (მ. 2,2); მარხველად (მ. 6,16; შდრ.: მმარხველად მ. 6,18; მმარხველ მ. 23,28); გაქსოს (მ. 16,9); წუსწუთ (მრკ. 7,3); მსახურებენ მე (მ. 15,9; მრკ. 7,7); მსახურე (ლ. 17,8); მე მსახურებს (ი. 12,26); მე მსახუროს (ი. 12,26); განკურნე იგინი (ი. 12,40); განევთის (ლ. 11,17); განევთა (ლ. 11,18); თუე (ლ. 4,25); ვითა (მ. 7,29); ყოელ (მ. 20,6); ყოელნი (მ. 25,31); ყოელსა (მ. 26,13); ყოელთა (მ. 4,23; მრკ. 12,33); მოედ (მ. 19,21; ლ. 18,22); მოედით (მ. 11,28; 21,38; მრკ. 1,17; 4,35; 6,31; ი. 4,29; 21,12); გამოედით (მ. 25,6; ლ. 9,4); შდრ.: მოვედით (მრკ. 1,38); პოეს (მ. 26,60; 27,32; მრკ. 1,37; 11,4; 14,16; ლ. 2,16; 2,45; 2,46; 7,10; 24,2; 24,24; ი. 6,25); კპოე (ლ. 1,30); კპოოთ (მ. 2,8; 7,7; 11,28; 21,2; 22,9; ლ. 2,12; 11,9;

19,30; ი. 21,6); კპოლ (მ. 17,17,27); პოონ (ლ. 6,7; 20,20); ვპოე (ლ. 7,9; 23,14; შდრ.: ვპოვე ლ. 23,22); პოს (მ. 10,39 ორჯერ; 16,25; 18,13; 24,46; ლ. 9,24; 11,10; 12,43; 15,4; 15,5; 15,8; 15,9; ი. 10,9; 14,30); პოს (მ. 7,8; 12,43¹⁵; 13,46; ლ. 11,24; 11,25); პოსმე (ლ. 18,8); მპოთ (ი. 7,36; 8,21; შდრ.: მპოვთ ი. 7,34); პოთ (ი. 7,35); ვპოეთ (ლ. 23,2; ი. 1,45); ვპოებ (ლ. 23,4); ვპოებ (ი. 18,38; 19,4; 19,6); ვიპოლ (ი. 8,55)¹⁶; პერიონ (მრკ. 9,18; ლ. 9,39); პერიოლა (მრკ. 9,20); აწოებდენ (ლ. 21,23); აწოეს (ლ. 23,29); ცხოელთაჲ (მ. 22,32; ლ. 20,38; შდრ.: ცხოველთაჲ მრკ. 12,27); ცხოელისა (მ. 26,63); ცხოელსა (ლ. 24,5); ცხოელისაჲ (ლ. 4,41); ცხოელი (ი. 4,10; 4,11); ცხოელ-ყენეს (ი. 5,21 ორჯერ); ცხოელ (ლ. 20,38; ი. 14,19 ორჯერ); ასწაოს (ი. 6,45); გასწაოს (ი. 14,26; შდრ.: ასწავოს მ. 5,19); ისწაოს (ი. 6,45); სთხოოს (მ. 14,7); ითხოონ (მ. 18,19); მოითხოონ (მ. 27,20); მთხოო (მრკ. 6,23); ვსთხოო (მრკ. 6,24); გთხოოთ (მრკ. 10,36); ითხოე (ი. 4,10); სთხოო (ი. 11,22); ითხოოთ (მ. 21,22; ი. 15,16; 16,23); ითხოეთ (ი. 16,24); თხოილ (მ. 1,18; ლ. 2,5); გამოქსოილ (ი. 19,23); მიუტეოთ (მ. 6,11; 18,35); მიგიტეო (მ. 27,21; ი. 18,39 ორჯერ); მიეტეოს (მ. 3,28; 12,31 ორჯერ; 12,32 ორჯერ; მრკ. 3,28; 3,29; ლ. 7,47; 12,10 ორჯერ; შდრ.: მიეტევეოს მრკ. 4,12); განუტეოს (მ. 14,22; ლ. 16,18; ი. 12,25); დაუტეოს (მ. 5,31; 18,12; 19,5; 19,9; ლ. 18,29; შდრ.: დაუტევეოს მ. 5,32); მიუტეო (მ. 18,21); დაეტეოს (მ. 19,29; მრკ. 10,7; 10,12); და-თუ-უტეოს (მრკ. 10,11); განმიტეოთ (ლ. 22,68); განუტეო (ლ. 2,29; 23,16; 23,22; შდრ.: განუტევეო ი. 19,12); განუტეოს (ი. 12,25); დამიტეოთ (ი. 16,32); შეურდიან (მრკ. 3,11); შეურდა (მრკ. 5,22; 5,33; 7,25; ლ. 5,8; 8,28; 8,47; ი. 11,32); ყოლად (მ. 5,34); ცხონდების (მ. 4,4; ლ. 4,4); ცხონდეს (მ. 9,18; 10,22; 14,36; 24,13; მრკ. 5,23; 13,13; ლ. 8,50; ი. 6,51;

¹⁵ შდრ.: პოვის (მ. 12,44); კპოვებდეს (მრკ. 14,55).

¹⁶ პოლ ტექსტში 32-გზის დასტურდება, პოვო - ერთხელ.

6,58; 10,9; 11,12; 11,25); ვცხონდე (მ. 9,21; მრკ. 5,28);
 ცხონდებოდეს (მრკ. 6,56); ცხონდენ (ლ. 8,12; ი. 5,25);
 სცხონდე (ლ. 10,28; 10,37); ცხონდა (მ. 9,22; ლ. 8,36);
 ცხონდებოდა (ლ. 15,13); შდრ.: ცხოვნებად (მ. 18,11; 27,42);
 ცხოვრებად (მ. 19,23; 19,25; მრკ. 10,26; ლ. 9,56; ი. 5,24);
 ცხოვრებაჲ (მ. 16,25; 19,16; 19,29; მრკ. 3,4; 10,17; 10,30;
 ლ. 6,9; 10,25; 18,18; 18,30; 19,8; ი. 1,4 ორჯერ; 3,16;
 3,36 ორჯერ; 5,24; 5,26 ორჯერ; 5,40; 6,40; 6,47; 6,53;
 6,54; 10,10; 10,28; 11,25; 14,6; 17,2; 20,31); ცხოვრებისაჲ
 (ლ. 1,69; 1,77; ი. 6,35; 6,48; 8,12); ცხოვრებულ (ლ. 2,36);
 საცხოვრებელი (მრკ. 12,44; ლ. 15,12; 15,30; 21,4); ცხოვრების
 (ლ. 18,26); ცხოვრებისად (ი. 5,29); ცხოვრებისა (ლ. 1,75; ი.
 5,39 ორჯერ; 6,68); ცხოვრებასა (მ. 19,17; 25,46; მრკ. 9,43;
 9,45; ლ. 16,25; ი. 4,14; 6,27; 6,33; 6,68; 12,25);
 ცხოვრებულნი (ლ. 13,23); შდრ.: ცხოვრებასა მ. 18,8);
 ცხოვრებისათჳს (ი. 6,51); ცხოვრება (ი. 6,63; 12,50); გაკოს
 (მ. 16,9; მრკ. 8,18); ზაკვით (მრკ. 12,15); გშის (ლ. 5,21);
 გშოდის (ლ. 6,25); შოდის (ი. 6,35)¹⁷; მოსლვამდე (მ.
 10,23); დღემდის (მ. 11,23; 28,15); მიმკამდის (მ. 13,30);
 მიმეშყდემდე (მ. 22,26); მი-მუნ-დღემდე (მ. 24,38; 26,29);
 დასავალამდე (მ. 24,17); ქათმის-ყივილამდე (მ. 26,75); მი-
 ცხრა უამამდე (მ. 27,45); დღემდის (მ. 27,8; 28,15);
 აღსასრულამდე (მ. 28,20); გამოსლვამდე (მრკ. 6,10); ზოგამდე
 (მრკ. 6,23); კიდემდე (მრკ. 13,27); ეზომდე (მრკ. 14,54);
 მიდღემდის (ლ. 1,19); მისისხლამდე (მ. 23,35); ცამდე (ლ.
 10,15); ჯოჯოხეთამდე (ლ. 10,15); სადილობამდე (ლ. 11,38);
 ყოფამდე (ი. 8,58)¹⁸; ფრინველთა (ლ. 10,58); ყმები (მ.
 21,15); აწოლებდა (ლ. 9,42); საქმეთა ჩუენთაებ (ლ.
 23,41); მოსულ (ი. 8,14); ეგდენ (მრკ. 4,40, შდრ.: ეგოდენ მ.

¹⁷ აღიშურ ნუსხაში საერთოდ არ დასტურდება გშშის, მშშის, მშშის ტიპის ფორმები, ამიტომ დაზიანებულ ნაწილში მშშოდის (მ. 5,6) ვარიანტის აღდგენა არაა მართებული.

¹⁸ ა. შანიძემ აღადგინა დ კიდე[დმ]დე ფორმაში. უფრო გამართილ-
 ბული იქნებოდა კიდე[მ]დე ფორმის დაშვება.

26,40); ესდენსა (ი. 6,9); გუაკლა (ლ. 22,35); რასაც (ი. 5,20); განკურნა ივინი (მ. 4,25; 19,2; მრკ. 6,5); შდრ.: განკურნა ივი ყოველნი (მ. 11,15); განკურნა ივინი (მ. 15,30; 21,14)¹⁹; მრავალნი განკურნა (მრკ. 3,10); იქმნეთ (მ. 18,3; ი. 8,33); შექმნა ივინი (მ. 19,4); ჩინებულნი ივი არა ღირს იქმნეს (მ. 22,8); შეძრწუნდეს მცველნი ივი და იქმნეს, ვითარცა მკუდარნი (მ. 28,4); გქმნე (მრკ. 1,17); ტუროსს და სიღონს თუმცა ექმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის (ლ. 10,12); უჩთ (მ. 23,28); გიჩს (მ. 26,66; მრკ. 14,64); უჩს (ლ. 9,58); შდრ.: უჩნს (იქვე); უარცხლობერკია (მ. 5,35); მაიგანივეა (მრკ. 14,69); თქუენია (ლ. 6,20); მადლია (ლ. 6,34); ბგერათგანვითარების – სარწმუნოებათ (ლ. 18,8); მეტათეზისის – ათურამეტი (ლ. 13,16; ი. 5,5); ბგერათ-შენაცვლების – შაფათსა (მ. 12,1; 12,2; 12,5; 12,10; 12,11; 12,12; 24,20; 28,1; მრკ. 2,23; 3,2; 3,4; ლ. 4,16; 6,1; 6,6; 6,7; 6,9; 13,10; 13,14 ორჯერ; 13,16; 14,3; 14,4; 18,12; 23,56; ი. 5,16; 7,22; 7,23 ორჯერ); ერთშაფათად (მ. 28,1); შაფათი (მ. 12,5; მრკ. 2,27; 6,3; 16,1; ი. 5,9; 5,10; 9,14); შაფათისათჳს (მრკ. 2,27); შაფათსაცა (მრკ. 2,28); შაფათისა (მრკ. 15,42; ი. 19,31); ერთშაფათსა (მრკ. 16,2; ლ. 24,1; ი. 20,1); შაფათისაცა (მ. 12,8; ლ. 6,5); შაფათა[დ] (ლ. 23,54); შაფათთა (ი. 5,18); შაფათისაჲ (ი. 19,31); ერთშაფათისასა (ი. 20,19)²⁰; მოსულად (მრკ. 9,11); შესულაჲ (მრკ. 10,23); შესულად (მრკ. 10,25); რავდენი (მ. 16,9; 18,18 ორჯერ; მრკ. 6,30; 6,38; 8,19; ლ. 4,23; 8,39; 9,10; 11,8; 14,28; ი. 14,26; 16,13; ი. 20,31; 21,25); შდრ.: რაოდენი (მ. 15,34; 25,40; მრკ. 5,19; 5,20; 8,20); რავდენ (მ. 7,11; 10,25; მრკ. 10,24; ლ. 11,13; 12,24; 12,28); რავდენიცა (მ. 22,9); რავდენთაცა (მრკ. 6,56); რავდენადმდე (ლ. 4,13); რავდენსა (ლ. 4,40; 9,5; 9,11; 15,17); რავდენგზის (ლ. 13,34; შდრ.:

¹⁹ არ უნდა შესწორებულიყო: ცრუწინაწარმეტყველნი აღდგენ და აცთუნენ მრავალნი (მ. 24,11).

²⁰ შაბათ- ფუძე ხელნაწერში მხოლოდ ოთხჯერ გამოვლინდება, შაფათ- 52-გზის.

რაოდენგზის მ. 18,21); რავდენნი (ლ. 15,29); რავდენ-რაჰ (ლ. 16,6; 16,7; შდრ.: რაოდენი-რაჰ ი. 11,22); რავდენცა (მრკ. 3,28; ი. 6,11); შდრ.: რაოდენმე (მ. 6,23; 12,12); რაოდენიცა (მ. 17,12; მრკ. 9,13); რაოდენსა (მ. 27,13); რაოდენ (მრკ. 2,19; 4,33; 7,36; 9,21); რაოდენსა-იგი (მრკ. 3,8); ძულა (მ. 26,47; 27,3); აძულეს (ლ. 24,29); აძლეს (ი. 20,13); მარჯუენაჲ (ლ. 6,6; ი. 18,10).

ძირითად ტექსტში არის შენარჩუნებული პირველი თურმეობითის -ა დაბოლოება დაუპყრია (ლ. 13,7); პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ასახვის მოშლის შემთხვევები: არამე დაუტეოს ოთხმოცდაცხრამეტნი (მ. 18,12); შთახელა (ი. 20,5; შდრ.: შთახელნა ლ. 24,12; ი. 20,11); ოლონდ შეასწორა: განხეთქის ღუნომან (ნუსხაშია; ღუნომან) თხიერნი იგი (მრკ. 2,22). სავსებით მართებულია სუბიექტის მრავლობითობის მოშლის ასახვის შემთხვევის ძირითად ტექსტში დატოვება: ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა შეცოდებანი და გმობანი (მრკ. 3,28).

მკურცხილნი (მრკ. 6,33) ფორმა ისტორიული ლ სონან-ტის რეფლექსს გადმოსცემს.

ამასთან, ძირითად ტექსტში არ უნდა შესწორებულ იყო მეტათეზისის ამსახველი ფორმა: დადრგომად (მ. 13,32; ლ. 19,7); ასევე ასიმილაციის შედეგად მიღებული: მიქცე (ლ. 4,6); მოქცეს (ლ. 16,12); ქცა (ი. 4,10); მოქცა (ი. 7,19); ბევრათდაკარგვის (ვიქციქ ი. 10,37) ამსახველი ფორმები.

ფიქრობთ, უმართებულოა გასწორება: აღეხუნეს თუალნი მათნი (მ. 9,30; ნუსხაშია: მათ).

ხელნაწერში იკითხება: და უმზადა ლევი პური დიდი იესუს (ლ. 5,29). ა. შანიძემ შეასწორა: და დაუმზადა. ეს გასწორება საჭირო არ იყო.

ასევე არ იყო აუცილებელი ინაკითმსხლომარეთაჲ ფორმის გასწორება: იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ და სხუათაჲ, რომელნი იყვნეს მათ თანა, ინაკითმსხლომარეთაჲ (გამოცემაშია: ინაკითმსხლომარეთანი).

ნუსხაშია: რავდენტა აქუნდა უძლურები იგი თითოსახეთაგან სენტა, მოიყვანნეს მისა (ლ. 4,40). ა. შანიძემ შეასწორა:

მოიყვანეს. ეს გასწორება ემყარება ცნობილ სინტაქსურ წესს, რომელიც არაერთხელ არის დარღვეული (იხ. ზ. სარჯველაძე 1984, 543-557). ასევე: მაშინ მიგცენ (მ. 24,9 – მიგცენ).

ასევე არაა მართებული შესწორება: გუაქუს (მ. 14,17), ხელნაწერშია: გუაქუნს; გაქუს (მ. 15,34; 27,65; მრკ. 4,40; 8,5; ლ. 12,19), ნუსხაშია: გაქუნს. ასევე შესწორებულია: გუაქუნს (მ. 16,7; 16,8); აქუნს (მ. 21,26; მრკ. 8,2; ლ. 8,18; 12,24; 14,14; 22,25; ი. 2,3).

ხელნაწერში იკითხება: აღვიდა იგი მთათ (მრკ. 3,13). ა. შანიძემ გაასწორა: მთად. ეს შესწორება არ იყო საჭირო. ასევე ცოცხალ მეტყველებას ასახავს მიოთხისა (ლ. 3,1 ორჯერ).

ხელნაწერში იკითხება: გულისკმა-ყავთ ესე ყოველი? პრქუეს მას: ჰე, უფალო (მ. 13,51). ა. შანიძე შენიშნავს: მოსალოდნელი იყო თხრობითი კილო და კითხვა („გულისკმა-ჰყავთ“), მაგრამ აქ ბრძანებითი კილოს ფორმაა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სუბიექტური მეორე პირის გამომხატველი ჰ- ამ ეპოქის ძეგლებში საკმაოდ ხშირად იკარგვის და იმასაც, რომ კითხვითობის ა ნაწილაკი ყოველთვის არ ახლავს ზმნას²¹, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გასწორება არ არის აუცილებელი. ჩვენი აზრით, ასევე არ უნდა შესწორებულიყო: თქუთ (მ. 16,15, მრკ. 8,29; გამოცემაშია: სთქუთ). არ იყო შესასწორებელი: მამამან ზეტათამა (მ. 15,13); ყრმისამა (მრკ. 9,24); კაცებმა (ი. 6,10), მამამა (ი. 12,50); თუმცა გაუსწორებლად არის დატოვებული: იაკობისმა (მრკ. 16,1);

ხელნაწერში იკითხება: მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგომად ა (მ. 17,23). აღდგომად ა მავრცობხმოვნიანი

²¹ მაგალითად: მოძღუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი დრამისამ? (მ. 17,24); არასადა აღმოგიკითხავს წიგნსა (მ. 21,42); მკუდართა აღდგომისათჳს არა აღმოგიკითხავს თქუმული იგი თქუნდა მომართ ღმრთისა მიერ (მ. 22,31); არას მიუგებ, რასა ესენი გასმენენ შენ? (მ. 26,62).

ფორმა კი არ უნდა იყოს, როგორც ა. შანიძეს მიუჩნევია და ამიტომაც შეუსწორებია, არამედ აქ ა მეშველი ზმნის ნაშთია (შდრ.: უადვილესა ზომთსაბლისაჲ კურელსა ნემსისასა განსლვაჲ, მ. 19,24; შენი ჩემია, ი. 17,10). არს>ა პროცესი უკვე ხანმეტ ტექსტებში (VII ს.) იჩენს თავს. ამდენად, ალდგომად ა ნიშნავს: ალდგომად არს („აღდგება“).

ხელნაწერში გვაქვს: თული შენი უკეთურ არს, ხოლო მე უხ ვარ (მ. 20,15). უხუ სიტყვის ბოლოკიდური უ იკარგვის ვარ ზმნის ვ თანხმოვნის ზეგავლენით. გამოძეგმელმა ტექსტი შეასწორა, რაც, ჩენი აზრით, საჭირო არ იყო.

ნუსხაშია: შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუათა (მ. 18,6).

ა. შანიძემ შეასწორა: უფსკრულთა ზღუსათა. ვფიქრობთ, შესაძლებელი იყო ხელნაწერისეული წაკითხვის მიღება.

არ უნდა შესწორებულყო: ჰეუფლნიან მათ (მ. 20,25); რადგანაც სხვა შემთხვევებში ჰაემეტი ფორმები უცვლელად არის დატოვებული.

ასევე არ უნდა გასწორებულყო: შემხუედა (მ. 27,19); შე-ლათუ-მხუედეს (მრკ. 14,31); ხუედა (მრკ. 15,24; ლ. 1,9); ჰქუა (მ. 28,9; ი. 2,10; 20,19); თუმცა ვგევე ფორმა სხვაგან ძირითად ტექსტში არის შეტანილი (მ. 20,4; ლ. 13,8; იხ. აგრეთვე ჰქუეს ი. 4,52; 6,25; 6,30);

ხელნაწერშია: თქუენდა მოცემულ არს ცნობაჲ სასუ-ფეველისა ღმრთისაჲ (ლ. 8,10). ა. შანიძემ გაასწორა: თქუ-ენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ. შესწორება, ვფიქრობთ, საჭირო არ იყო.

ა. შანიძემ გაასწორა ხელნაწერისეული წაკითხვა: ნუ გიხარის (ლ. 10,20) — ნუ გიხარინ. ამ დროისათვის ნუ გიხარის/გიხარინ ფორმათა მონაცვლეობა საეკლესიო დასაშვებია (ზ. სარჯველაძე 1984, 427-432). ასევე არ იყო აუცილებელი შემდეგი შესწორება: მიმოდაზრუნვიდა მრავლისათვის მსახუ-რებისა (ლ. 10,40), ხელნაწერშია: მსახურებასა (სხვათა შო-რის ასეთივე წაკითხვა გვაქვს პარხლურ ოთხთავში).

ლ. 23,38: იყო წიგნი წერილი ბერძლითა და ფრომინე-ბრითა (ა. შანიძემ შეასწორა: ბერძულითა); შდრ.: berZl იცია? საქმ. მოციქ. 21,37.

ნუსხაში არის: უნდა მღვდელთმოდღუართა მათ და ქწიგ-
ნობართა დასხმად კელთა მათთა მას უამსა შინა, რამეთუ
ემინოდა ერისა მის, და გულისკმა-ყვეს, ვითარმედ მათთჳს
თქუა იგავი ესე (ლ. 20,19). ა. შანიძემ გაასწორა რამეთუ.
რამდენადაც, და კავშირს ძველ ქართულში მაქვემდებარებელი
კავშირის მნიშვნელობაც აქვს, შესწორება საჭირო არ იყო.

ხელნაწერშია: მიეახლა იესუს, ამბორის-ყოფად მისა,
რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათ (ლ. 22,47). ა. შანიძემ
გაასწორა: მათა. შესწორება საჭირო არ იყო.

ადიშურ ნუსხაშია: იხილეს რამ მისთანათა საქმე ესე,
პრქუეს მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახყლითა? (ლ.
22,49). გამოცემაშია: იხილეს რამ მისთანათა საქმე ესე,
პრქუეს მას: უფალო, უკუეთუ გნებავს, მოვსრნეთ ესენი
მახყლითა? მართალია, ასეთი წაკითხვა გვაქვს ჯრუჭისა და
პარხლის ხელნაწერებში, მაგრამ ადიშის ოთხთავის ჩვენებას
მხარს უჭერს ბერძნული ტექსტი (Κύριε, εἰ πράξειμεν ἐν
μαχάρι);).

ნუსხაში გვაქვს: უკუეთუ გუამი შენი ყოველი ნათქელ
არს და არარად აქუნდეს ადგილი რამე ბნელისაჲ. იყოს
იგი ყოვლად ნათელ, ვითარ-ცა-იგი ყოვლად სანთელი ელვთა,
განგანათლოს შენ (ლ. 11,36). ა. შანიძემ ზედმეტად მიიჩნია
ყოვლად სიტყვა. ვფიქრობთ, ეს სიტყვა ძირითად ტექსტში
უნდა დარჩენილიყო.

არ არის დასაბუთებული შესწორება: გარეწარმკადე მე
სასუმელი ესე (მრკ. 14,36). ნუსხაშია: გარეწარმცოდე (შდრ.:
ტურთისა ჩუენისა აღკიდებაჲ არა გარეწარიცოდეთ, აგ. ძეგლ.
I 172,9). გარეწარცოდება ამბებავს, აცილებავს ნიშნავს და
მოცემულ კონტექსტში იგი სავსებით კანონზომიერია.

ერთი შეხედვით მექანიკური შეცდომის შთაბეჭდილებას
ტოვებს მოუწენდ ფორმა: მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა
მსხლომარეთა, რომელნი მოუწენდ მოყუასთა თჳსთა (ლ. 7,32).
ა. შანიძემ ეს ფორმა ასე შეასწორა: მოუწესედ. აქ შეიძლება
დაისვას კითხვა, ხომ არ შეიძლებოდა დედანში ყოფილიყო
მოუწენედ? ძირად ამ შემთხვევაში წენ- გვექნებოდა. მეგრულში
ქართ. წენ- ძირის კანონზომიერი ჭან- შესატყვისი გვაქვს: ჭან-

აფ-ა „მიწვევა, დაბარება“, ი-ჭან-უ-ან-ს „იბარებს“, ქი-ჭან-უუ „დაიბარა“, მა-ჭან-აფ-ალ-ი „დამბარებელი“, ჭან-აფ-ილ-ი „დაბარებული“, ო-ჭან-აფ-ალი „დასაბარებელი“ და სხვ. (ჭარაია 1997, 374).

ადიშის ხელნაწერში იკითხება: და მისცეს მას სუმუროვანი ღუნოჲ (მრკ. 15,23). ამ ადგილთან დაკავშირებით ა. შანიძე შენიშნავს: „ნაწარმოები „სუმუროვანი“ ძირეულად „სუმურ“-ს გულისხმობს, მაგრამ ასეთი არ გვაქვს. გამოსავალია ან $\mu\sigma\upsilon\rho\omicron\varsigma$ [საიდანაც (უშუალოდ თუ შუალობით) მიღებულია მურ-ი (მ. 2,11; ი. 19,39)] ან $\sigma\mu\rho\upsilon\gamma$; აქედან $\acute{\epsilon}\sigma\mu\sigma\upsilon\sigma\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\sigma\upsilon\sigma$ $\omicron\iota\varsigma\omicron\upsilon\sigma$ („დასმირნული ღვინო“). ოგან სუფიქსით პირველი მოგვცემდა მუროვანს, ან სმურნოვანს (ან კიდეც: ზმურნოვანს). ნ-ს თუ არ მივაქცევდით ყურადღებას, გვეჩნებოდა სმუროვანი ან ზმუროვანი (მ μ =ზმ). მაინც ის არ არის, რაც ქართულშია. არას გვშველის არც სომხურთან დაპირისპირება: $\text{ԼԳԻ-ს თანახმად ԳԻՌԻՍԻԱԿ ან (როგორც Ա.-ში იკითხება) ԿԻՐԻՍԿ (შანიძე 1944, 043-44)}^{22}$. აქედან კარგად ჩანს, რომ ა. შანიძეს ზემოთ წარმოდგენილი ახსნა არ აკმაყოფილებდა და იგი სხვაგვარ შესაძლებლობასაც უშეებს: „მეორე მხრით, შეიძლება გვეფიქრა, რომ „სუმუროვანი“ წარმოდგა ორი სიტყვის შერთებისაგანაო: „და მისცეს სუმ(ად მ)უროვანი ღუნოჲ“, მაგრამ, როგორც ტიშენდორფის გამოცემიდან ჩანს, ზოგ ბერძნულ ხელნაწერში არც ყოფილა „სუმად“ ($\pi\rho\epsilon\upsilon$)“ (შანიძე 1944, 044). ს. სარჯველაძემ H-1240 ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნით თარიღდება და უთუოდ ხანმეტი ხელნაწერიდან იღებს სათავეს, რასაც მასში დადასტურებული ხანმეტი ფორმები მოწმობს (ს. სარჯველაძე 2002), იპოვა ფრაზა სუმად მუროვანი, რაც ნათლად მიუთითებს, რომ სუმუროვანი გრაფიკულ ნიდაგზე წარმოშობილი მცდარი ფორმაა (ს. სარჯველაძე 2003).

ყურადღებას გავამახვილებთ, ჩვენი აზრით, საინტერესო ზოგ ენობრივ მოვლენაზე. ადიშის ოთხთავში დასტურდება სახე-

²². შანიძისული წაკითხვა აისახა ი. აბულაძის (აბულაძე 1973) და ზ. სარჯველაძის ლექსიკონებში (ზ. სარჯველაძე 2001a).

ლობითისა და წრფელობითის ურთიერთშენაცვლების ნიმუშები: დაიმარხა ორმეოცი დღე და ორმეოცი ღამე (მ. 4,2 CSVo; აგრეთვე გიორგისეული რედაქცია); იმარხვიდა ორმეოც დღე და ორმეოც ღამე DRBLGmac; მოართუეს მას ეშმაკეულებ მრავალ (მ. 8,16); შდრ.: ეშმაკეულები მრავალი, რაც გვაქვს წინათონური და გიორგისეული რედაქციების ნუსხებში; არა აქუნ მწყემსი (მ. 9,36; მრკ. 6,34); შდრ.: მწყემს D: არა არს დაფარულ (მ. 10,26); დაფარული არის წინარეთონური და გიორგისეული რედაქციების ხელნაწერებში; გკითხო მეცა თქვენ სიტყუა ერთ (მ. 21,24); შდრ.: სიტყუაჲ ერთი (წინარეთონურსა და გიორგისეულ რედაქციებში); ერთ არს (მ. 23,9); შდრ.: ერთი არს (წინარეთონური და გიორგისეული რედაქციები); ხუთ ქუეზა და ორ თევზ (მრკ. 6,38); შდრ.: ხუთი პური და ორი თევზი (წინარეთონურსა და ათონურ რედაქციებში). იხ. აგრეთვე: მრკ. 8,5; 8,12; 9,5; 12,20; ლ. 1,7; 2,25; 16,1; 17,16; 23,47; 23,50; 23,54; 24,19; ი. 1,1; 1,6; 3,6; 4,7; 4,17; 4,19; 4,48; 6,9; 6,22; 7,43; 9,5; 9,16; 9,25; 10,12; 10,33; 10,38; 10,41; 11,1; 11,9; 11,49; 11,51; 12,15; 15,22; 20,30; 21,3.

ვითარებითში დასმული საწყისი + მეშველი ზმნა გამოხატავს მომავალ დროს შობად არს ქრისტე (მ. 2,4; ლ. 1,35); რომელ-იგი მოსლვად არს (მ. 11,14; 17,10; 17,11; 18,7; მრკ. 11,10); ვნებად არს (მ. 17,12); მიცემად არს (მ. 17,22; 26,2; მრკ. 9,31; 10,33); ყოფად არს (მ. 19,27; 24,3; 24,6; 26,2; მრკ. 13,7); შესუმად არს (მრკ. 10,38; 10,39); მისლვად არს (მრკ. 14,21); ყოფად ხარ (ლ. 16,2); მოსლვად ხარ (ი. 11,27); ყოფად ხართ (ი. 14,19).

თავისებურია კომპოზიციის შემადგენელი ნაწილების მიმდევრობა: დედა-მამათა (მ. 10,21). წინარეთონური და გიორგისეული რედაქციების ხელნაწერებში მამა-დედათა გვაქვს.

დასტურდება მიმართულებითის ფორმა არაადამიანის აღმნიშვნელ სახელთან: ი[ხ]ილა ლეღუ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა (მ. 21,19).

ადიშის ოთხთავში დასტურდება ისტორიული აწმყოს ნიმუშები: პრაქელ სტიროდა შვილთა თესთა და არა უნდა ნუ-

გეშინის-ცემის. რამეთუ არა არიან (მ. 2,18); შდრ.: 'Ραχὴλ κλαίουσα τὰ τέκνα αὐτῆς, καὶ οὐκ ἤθελεν παρακληθῆναι, ὅτι οὐκ εἰσὶν. ზოგ ხელნაწერში (D) იყვნეს ფორმა გვაქვს. მოვალს დედაკაც ერთ სამარიათ ვსებად წყლისა (ი. 4,7); შდრ.: Ἐρχεται γυστὴ ἐκ τῆς Σαμαρείας ἀντλήσαι ὕδωρ. მოვალს სიმონ-პეტრესა; და მან პრქუა მას: უფალო, შენ დაჰბანა ფერჯთა ჩემთა? (ი. 13,6); შდრ.: ἔρχεται οὖν πρὸς Σίμωνα Πέτρον. λέγει αὐτῷ. Κύριε, σὺ μου ἔπιτες τὴν πέδιον.

ერთშაფათისა მას მარიამ მაგდანელი მოვალს განთიად რი-ქურაჟუ ოდენ სამარესა მას და იხილა ლოდი იგი აღლებული კარისა მისგან საფლავისაჲსა (ი. 20,10); მოვალს მარიამ მაგდალსნელი და ახარებს მოწაფეთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი, და ესე პრქუა მას (ი. 20,18); ვითარცა გამოვიდეს კმელად, ჰხვდვენ: ნაკურცხალი იდვა და თევზი ერთი მის ზედა და პური (ი. 21,9).

III სერიის ზმნასთან შეწყობილი ირიბი დამატება მიცემით ბრუნვაშია:

ანგლოზთა მისთა უბრძანებიეს შენთჳს (მ. 4,6); შდრ.: τῆς ἀγγέλους αὐτοῦ ἐνετέλειται περὶ σοῦ. ასევე არის წინარე-თონური რელაქციის ხელნაწერთა უმრავლესობაში, ხოლო Vo⁴¹ და გიორგისეული რელაქციები წარმოგვიდგენენ მისთადა ვარიანტს (სადაც ირიბი დამატება უბრალო დამატებად არის გარდაქმნილი).

ადიშის ოთხთავის ტექსტში დასტურდება სინტაქსური ასიმილაციის შემთხვევები: ყოველმან ხემან რომელმან არა გამოილოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს. და ცეცხლსა დაედვას (მ. 3,10; ლ. 3,10); მამაჲ შენი რომელი ხელავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად (მ. 6,4); ყოველი რომელი ითხოვნ, მიიღის (მ. 7,8); ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხედეს მას და სცემდეს (ლ. 22,63); რაჲთა ყოველი რომელი მიეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნე (ი. 17,2) და მისთ.

გერპარდ დეეტერსი სავსებით სამართლიანად მიუთითებდა, რომ ქართული ბიბლიის თარგმანები ან უშუალოდ ბერძნულიდან მომდინარეობენ, ან ნასწორებია ბერძნულის მიხედვით

ისე, რომ მათში სრულიად არ ჩანს სხვა ენებიდან მომდინარეობის კვალი (Deeters 1937, 271). ადიშის ოთხთავის ბერძნულთან მიმართებას საგანგებოდ შეეხო ს. ყაუხჩიშვილი. იგი წერს: „ადიშის ხელნაწერში, რომელიც ოთხთავის ქართული თარგმანის უძველეს სახეს წარმოგვიდგენს სრულად. მოიპოვება ელემენტები ბერძნული ენისა და ელინური სამყაროს გავლენისა მთარგმნელზე. გარდა ამისა ჩვენ გვსურს მკვლევართა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას რომ, რომ ყველაფერი ის, რაც ამ ქართულ ძეგლში სომხურს ენათესავება, კატეგორიულად არ ღაღადებს *via armeniaca*-ს აუცილებლობაზე. საჭიროა ამის მითითება მით უმეტეს დღეს, როდესაც დასავლეთ ევროპის მეცნიერნი, რომელნიც უკანასკნელ ათწლეულებში სამართლიანად დაინტერესდნენ ქართული მწერლობის უძველესი ძეგლებით, უკვე დამტკიცებულად იჩნევენ იმ დებულებას, რომ ქართული ოთხთავი – სწორედ მისი ადიშური რედაქციით, – სომხური ორიგინალიდან მომდინარეობს“ (ყაუხჩიშვილი 1944, 93).

ს. ყაუხჩიშვილს მოჰყავს უდავო არგუმენტები იმის საჩვენებლად, რომ ქართული ტექსტი ბერძნულიდან არის თარგმნილი. კერძოდ, ი. 5,2: იყო იერუსალმს ცხოვართსაბანელსა მას, რომელსა ერქუმის ბეთისდა. ხუთ სტოად იყო. იგი წერს: „აზრი გაუგებარია ადიშის რედაქციაში: არა ჩანს, თუ რა იყო იერუსალემს? ამ ადგილის შემდეგდროინდელ შემსწორებლებს გასააზრიანებლად ჩაუმატებიათ „ტბა“ და, რადგან ხელმეორე შესწორება ხდებოდა ბერძნულის მიხედვით, „ეზოც“ შეუცვლიათ „სტოვათი“. ამ ადგილს, რასაკვირველია, არავითარი „ტბა“ არ ესაჭიროება, სიტყვები ყველა თავის ალაგას იყო გადმოცემული, ხოლო მთარგმნელს ვერ გაუგია იქ ერთი სიტყვა და აქედან წარმოსდგება მთელი ბუნდოვანება: ἔστιν δὲ ἐν τῷδ Ἱεροσολύμοις ἓτι τῆ περιβαταῖν χολυμᾶνῖρα, ἡ ἐπιλεγομένη Ἐβραϊστὴν Βεβζᾶνιᾶ, πέντε στοιὰς ἔχουσα. περιβαταῖν აქ წარმოადგენს საკუთარ სახელს: ასე ეწოდებოდა იერუსალემის ერთ ადგილს, ქალაქის ჩრდილო კედლის კარიბჭეს (ἡ περιβαταῖν sc. πύλη). ქართველ მთარგმნელს ეს როგორც ჩვეულებრივი περιβαταῖნიდან („ცხოვარი“) წარმოებული ზედსართავი სახელი გაუგია

(„საცხოვარო“, „ცხოვართა“) და, რადგან ცალკე ადიექტივის აზრი არ ჰქონდა, ამ სიტყვის მეზობელი არსებითი სახელი მისთვის მიუკუთვნებია („ცხოვართა საბანელსა“), იმ დროს, როდესაც ეს ადგილი ასე უნდა გაეგო: იყო ი-მძს პრობატიკესა მას (ან: ცხოვართა ბჭესა მას) საბანელი, რ-ლსა ერქუმის ...). სომხურში სწორად არის. სომეხ ავტორს ეს სიტყვა, როგორც საკუთარი სახელის გამომხატველი, გადმოუთარგმნელად დაუტოვებია: *Մր* ი პრობატიკეს ავაზანი (Լ, ... | սլոբայիսիւն սպաւանին: „იყო პრობატიკესა მას საბანელი“) (ყაუხჩიშვილი 1944, 102-103).

ასეთივე ადიშის ოთხთავის ზოგი სხვა ადგილებიც: ლ. 1,3: *ჯერ-ძინდა მეცა ... მიწერად შენდა, მკნეო ღმრთის-მოყუარეო*; ლ. 10,34: *მოიყვანა იგი ყოველთასა მას მას სადგურსა*; ლ. 10,35: *ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოღუაწესა*. ს. ყაუხჩიშვილი ამის შესახებ წერს: „ცხადია, ამ წინადადებათა დამწერს ბერძნული დედანი უნდა ჰქონოდა ხელთ. ბერძნული სიტყვები *Θεοφιλε, εἰς πᾶντοχῆιον* (*πᾶντοχῆιον*), *τῷ πᾶντοχῆι* დაშლილია აქ შემადგენელ ნაწილებად და ისეა გადმოთარგმნილი, იმ დროს როდესაც პირველი საკუთარ სახელსაც კი წარმოადგენს. შემდგომდროინდელ შემსწორებლებს უგრძენიათ ეს უხერხულობა და მიუწერიათ აქ, ალბათ აშიაზე, „თეოფილე“ და ამით აიხსნება, რომ ჩვენს ვულგატაში ამ ადგილას იკითხება: „მიწერად შენდა ღმრთის მოყუარეო თეოფილე“. რაც შეეხება მეორე სიტყვას (*πᾶντοχῆιον*), რომელიც „სასტუმროს“, „უცხოთა შესაფარს“ უდრის, სადაც ყველას შეუძლია დაიჭიროოს ბინა, ჩვენს მთარგმნელს ესეც სიტყვა-სიტყვით გადმოუცია: *πᾶν* – „ყოველთა“. „ყოველთასა სადგურსა“ შეეძლო დაეწერა მას. ვისაც *πᾶντοχῆιον* ჰქონდა თვალწინ. რომ მთარგმნელს ამ ადგილის სომხური შესატყვისი ჰქონოდა „პანდოკი მი“ (ლ. 10,34) და „პანდოკაპეტ“ (ლ. 10,35), ის ამას სომხურის მიხედვით ვერ გაიგებდა და ამ ბერძნულ ნასესხებ სიტყვას დასტოვებდა გადმოუთარგმნელად“ (ყაუხჩიშვილი 1944, 103). ს. ყაუხჩიშვილს ამ ტიპის სხვა არართი საინტერესო

შემთხვევა აქვს კიდევ გაანალიზებული (ყაუხჩიშვილი 1944, 103-107).

ადიშურ ნუსხაში დასტურდება რიგი ბერძნული ლექს-მებისა: სანდალნი (მრკ. 6,9); შდრ.: σαυδαλον; ტაბლა (მრკ. 7,28; ლ. 22,21; 22,30); შდრ.: τάλβα; ლანკა (მ. 14,8); შდრ.: λανκνη; მილიონი (მ. 5,41); შდრ.: μιλιον; პინაკი (მ. 26,23; მრკ. 14,20; ლ. 11,39); შდრ.: πινάκι; კლიტე (მ. 16,19; ლ. 11,52; შდრ.: κλεις; სტოა (ი. 10,23); შდრ.: στωα და სხვ. (იხ. ყაუხჩიშვილი 1944, 108-109). ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს: „ამ სიტყვებს ჩვენთვის არა აქვს გადამწვევტი მნიშვნელობა თარგმნის სადაურობის საკითხის გამოსარკვევად, ვინაიდან: 1. ჯერ ერთი, მათ ბერძნულ დედანში ხშირად სხვა ბერძნული სიტყვა შეესატყვისება და 2. მეორეც, ისინი ისეთი ფორმით არიან მოცემული, რომ ზეპირად შეთვისებულად მოჩანან (კლიტენი, კეისარი, ლამპარი და სხვ.). ამ სიტყვებით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ ოთხთავის მთარგმნელები ელინური სამყაროს გავლენას განიცდიან, რამდენადაც ბევრი ცნებისათვის ისინი ხმარობენ ბერძნებთან კულტურული და სხვა ურთიერთობის დროს შექმნილ სიტყვებს“ (ყაუხჩიშვილი 1944, 109).

ს. ყაუხჩიშვილს გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნია ისეთი შემთხვევები, სადაც ბერძნული დედნის ზეგავლენა აშკარაა: იქედნე (ნაშობნო იქედნეთანო მ. 3,7; 12,34; მრკ. 23,33; ლ. 3,7); შდრ.: γενοματα χενδαν. ს. ყაუხჩიშვილი წერს: „ყველა ამ ადგილებში სომხური იძლევა სულ სხვა სიტყვას: იმიც. ასეთი ბერძნისში გარეშე ბერძნულ ტექსტის გავლენისა წარმოუდგენელია“ (ყაუხჩიშვილი 1944, 109). დედაკაცსა ... აქუნდეს დრაქმშ ათი (ლ. 15,8); შდრ.: ბრეჯმაც ჭოთათა ბეჯა; სომხურ თარგმანშია: დრაქმ ტასნ. ს. ყაუხჩიშვილი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ბერძნული ბოიძა სიტყვის თარგმანზე ქართულ²¹ და სომხურ ტექსტებში. იგი წერს: „ბოიძა მხოლოდ ორჯერ არის გადმოცემული „სავაჭროთი“ იმ დროს, როდესაც სომხურში ყველგან არის

²¹ქართულში ბერძნულ ბოიძა სიტყვას ორჯერ შეესაბამება სავაჭრო, ოთხგზის — უბანი.

„პრაპარაკ“. ორივე რომ ქართველს თავისუფლად შეეძლო „სავაჭროთი“ გადმოეცა, ცხადია, ვინაიდან ცოცხალ სალაპარაკო ბერძნულში ორივე „სავაჭროს“ ნიშნავდა (ორივე — ვყიდულობ). მაგრამ აქ საყურადღებოა სწორედ ის, რომ ოთხთავში მხოლოდ აქ შეიძლება ჰქონდეს ორივე-ს „სავაჭროს“ მნიშვნელობა (შდრ. Preuschen-Bauer s. v. ორივე). გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ მუხლი მრკ. 7,4 თვით დედანში იწვევს უთანხმოებას: გამოცემულ ტექსტებში სწერია: $\alpha\pi\theta$ ორივე $\delta\epsilon\nu$ $\mu\eta$ $\beta\alpha\tau\iota\sigma\alpha\nu\tau\alpha\iota$ ($\rho\alpha\nu\tau\iota\sigma\alpha\nu\tau\alpha\iota$), ხოლო ზოგიერთებს გაუგებლად მიუჩნევიათ მარტივად დაწერილი $\alpha\pi\theta$ ორივე, უძველესი ხელნაწერები უმატებენ $\theta\tau\alpha\upsilon$ $\xi\lambda\theta\iota\sigma\alpha\upsilon\varsigma$ ან $\delta\epsilon$ $\theta\tau\alpha\upsilon$ $\epsilon\iota\sigma\epsilon\lambda\theta\iota\sigma\alpha\upsilon\varsigma$, ხოლო სომხური, როგორც Tischendorf-ი შენიშნავს, ამბობს: *et redeuntēs a foro*. ქართული „და სავაჭრობთა შეველენე“ ზედმიწევნით გადმოგვეცემს $\alpha\pi\theta$ ორივე $\theta\tau\alpha\upsilon$ $\epsilon\iota\sigma\epsilon\lambda\theta\iota\sigma\alpha\upsilon\varsigma$ (ყაუხჩიშვილი 1944, 110).

ბერძნულზე ქართული ტექსტის უშუალო დამოკიდებულება ჩანს სხვა ადგილასაც (მ. 5,47): არა წარმართთაცა ეგრევე ყვიან; შდრ.: $\text{οὐχὶ καὶ οἱ ἔθνη αὐτὸ πρὸς οὐρανὸν. σ. ყაუხჩიშვილი შენიშნავს: ბერძნული ძირითადი ხელნაწერები იძლევიან სწორედ იმავე კითხვას, რომელსაც ადიშის ხელნაწერი იძლევა“ (ყაუხჩიშვილი 1944, 111). ასეთი შემთხვევები სხვაგანაც დასტურდება.$

ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს: „ოთხთავის ადიშის რედაქციის შედარება ბერძნულ დედანთან გვარწმუნებს იმაში, რომ ადიშის რედაქციის ავტორს თვალწინ ჰქონდა ძირითადად ბერძნული დედანი (და არა რომელიმე სხვა). ამ ნიადგზე ავხსენით ჩვენ ზოგიერთი შეუსაბამობაც, რომელიც ქართულ თარგმანს ახასიათებს. მაგრამ, მეორე მხრით, არის შემთხვევები, როდესაც ადიშში ნახმარია ისეთი გამოთქმა, რომელიც განსხვავდება ქართული ოთხთავის სხვა რედაქციების გამოთქმისაგან, თუმცა ეს უკანასკნელი რედაქციებიც ბერძნულთან შედარების შედეგადაა მიღებული. ეს განსხვავება აიხსნება იმით, რომ ერთი და იგივე ბერძნული გამოთქმა გაგებულია სხვადასხვაანირად, იმიტომ რომ ესა თუ ის ბერძნული გამო-

თქმა გვიან საუკუნეში უკვე აღარ ესმოდათ იმ მნიშვნელობით, რომელიც მას ჰქონდა ძველ საუკუნეებში. სხვანაირად რომ ვთქვათ, გვიანი საუკუნეების მთარგმნელმა და რედაქტორმა კარგად იცოდნენ ბერძნული სალიტერატურო ენა, ხოლო ცოცხალი ბერძნული სალაპარაკო ენა მისი ძველი იდიომატიზმებით მათთვის უცნობი იყო. ადიშის რედაქციის ავტორი კი, თვითონ უფრო ძველ საუკუნეში მცხოვრები და ხალხური ენის მცოდნე, უკეთ ერკვევა ამა თუ იმ სიტყვის სპეციფიკურ მნიშვნელობაში მოცემულ ადგილას და მის სხვა მნიშვნელობაში სხვა ადგილას“ (ყაუხჩიშვილი 1944, 111). ავტორს ამ ტიპის ნიმუშებად მიაჩნია: იგულეთ, ნუმცა ვინ აგრძნობს (მ. 9,30); შდრ.: იხილეთ DE²⁴; ბერძნულშია: ὄρναι μῆδεις ἤσασθαι. გამოიღლიძის დგმულმან მან სამოსლისა მისგან (მ. 9,16); შდრ.: აღილის საესებაჲ სამოსლისა მისგან (ასევეა OARPSViseBTMLFmGacolw ხელნაწერებში, რომლებიც წინათონურ ტექსტს შეიცავენ, აგრეთვე გიორგისეულ რედაქციაში). ბერძნულში გვაქვს: ἄρει τὸ πλῆραμα ἀστὴν ἀπὸ τῆς ἰματίου. ამ შემთხვევის გამო ს. ყაუხჩიშვილი წერს: „იმ დროს, როდესაც სხვა ნუსხებს πλῆραμα ესმით მისი ძირითადი მნიშვნელობით „საესებაჲ“ (მთ. 9,16), ადიშის ხელნაწერი ითვალისწინებს მის საგანგებო მნიშვნელობას „საკერებელი“, „სადგმელი“ (ყაუხჩიშვილი 1944, 113). ბერძნული πταχός ქართულ თარგმანში, როგორც წესი, გადმოცემულია სიტყვით: „გლახაკი“. ადიშის ოთხთავში ერთგან (მ. 11,5) სხვა ხელნაწერთა საპირისპიროდ ამ სიტყვის ეკვივალენტად გვხვდება ჭირვეული (ყაუხჩიშვილი 1944, 113) და სხვ.

ცნობილია, რომ ადიშის ოთხთავში დასტურდება სომხური სიტყვებიც: ჩოროროდი (მ. 14,1); შიში „ნელსაცხებლის ჭურჭელი“ მრკ. 14,3); ბალარჯობა (მ. 27,17); რეზი (ი. 11,44); ვარშამავი (ი. 20,7); ბოროტი (მ. 12,38 ...); როჭიკი (მ. 3,4; ლ. 3,14); ურაკპარაკი (მ. 6,5 ...) და სხვ. ს. ყაუხჩიშვილმა სამართლიანად მიუთითა, რომ ამგვარი შემთხვევების არსებობა უცილობლად არ მიუთითებს, რომ ქართული

²⁴ასევეა წინათონური რედაქციის სხვა ხელნაწერებში.

ტექსტი სომხურიდან მომდინარეობს. მაგალითად, ქართულ ტექსტში უთუოდ სომხურიდან ნასესხები ბოროტი გვხვდება, მაგრამ სომხური ოთხთავის შესაბამის ადგილებში უფიქსირდება. ასევეა ზოგ სხვა შემთხვევაში (ყაუხჩიშვილი 1944, 98-100).

მიუხედავად იმისა, რომ აღიშნის ოთხთავის ბერძნული ორიგინალიდან მომდინარეობა უდავოა, ს. ყაუხჩიშვილი არ გამოირიცხავს სომხური ტექსტის გათვალისწინების შესაძლებლობასაც: „ქართველ მთარგმნელებს, ცხადია, გათვალისწინებული ექნებოდათ მთელი სიდიადე და სირთულე იმ საქმისა, რომელსაც ისინი იწყებდნენ, და განსაკუთრებულის სერიოზულობით და წინასწარი მოფიქრებით შეუდგებოდნენ მას; გათვალისწინებული ექნებოდათ ის, რომ საჭირო იყო დედნიდან გადმოთარგმნა, თუ ასეთი მათთვის ხელმისაწვდომი იყო, ე. ი. თუ ბერძნულის ცოდნა ჰქონდათ. რომ ბერძნული იცოდნენ ბიზანტიის მოსაზღვრე კუთხეებში მაინც, ამას მტკიცება არ სჭირდება (ეს ცხადია აგრეთვე ცოცხალ ნიადაგზე შემოსული ბერძნიზმებით). გარდა ამისა, სწავლული მთარგმნელები გამოიყენებდნენ ყველა იმ თარგმანსაც, რომელზეც ხელი მიუწვდებოდათ, და სრულიად ბუნებრივია, რომ ბერძნულიდან მთარგმნელნი მიმართავდნენ ხოლმე სომხურსაც და ასურულსაც“ (ყაუხჩიშვილი 1944, 101-102; იხ. აგრეთვე გვ. 114). რა თქმა უნდა არ გამოირიცხება სომხური სიტყვების გვიან შეტანა ზოგი გადამწერის მიერ (შდრ.: ყაუხჩიშვილი 1944, 114).

ბერძნული დედნის გავლენას ასახავს ინფინიტიური კონსტრუქცია:

ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა (მ. 1,20); შდრ.: μη φοβηθήσ παραλαβείν Μαρίαμ τήν γυναικά σου. მოველით თაყუანის-ცემად მისა (მ. 2,2); შდრ.: ἡλπιόμεν προσηύχασαι αὐτῷ. ეგულების ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმელად ეგე (მ. 2,13); შდრ.: μέλλει γὰρ Ἱερῶνης ζῆταις τὸ παιδίον τοῦ ἀπολέσαι αὐτό. არა ჰნებავენ შეძრვად იგი (მ. 23,4); შდრ.: αὐτοὶ δὲ τῷ δαχτύλῳ αὐτῶν οὐ μίλουσιν χιτῆσαι αὐτά. არა კეთილ არს მოლებად პური (მრკ. 7,27); შდრ.: οὐ

γάρ ἐστιν καλὸν λαβεῖν τὸν ἄρτον. დაავიწყდა თანამიღებელ პური (მრკ. 8,14); შდრ.; ἐπελάθοντο λαβεῖν ἄρτους.

ვინაჲ შეუძლო შენ მათ აქა განძლებად პურითა (მრკ. 8,4); შდრ.: Πόθεν τούτους δυνήσεται τις ἄνε χορτάσαι ἄρτων. შეეშინა მისლვად მუნ (მ. 2,22); შდრ.: ἐφοιήθη ἐκεῖ ἀπελθεῖν. ესრე შეუენის ჩუენდა აღსრულებად ყოვლისა სიმაართლისა (მ. 3,15); შდრ.: οὕτως πρέπει ἐστὶν ἡμῖν πληρωσάμενοι πᾶσαν δικαιοσύνην. ვერ შეუძლეს განკურნებად მისა (მ. 17,16); შდრ.: καὶ οὐκ ἠδυσήθησαν αὐτὸν ψεραπεύσαι. (იხ. აგრეთვე მ. 17,19; 18,11; 26,61; 27,15; 27,58; 28,20; მრკ. 1,7; 1,45 ორჯერ; 2,2; 2,4; 2,7; 2,9 ორჯერ; 2,10; 4,1; 4,3; 4,9; 4,11; 14,5; 14,11; 14,16; ლ. 1,17 ორჯერ და სხვ.)²⁵.

ბერძნულის გავლენის შედეგი არის პასიური კონსტრუქცია არაერთ შემთხვევაში: რომელი-იგი მაგისგან იშვეს (მ. 1,20); შდრ.: τὸ γὰρ ἐν αὐτῇ γυνεῦσιν. წერილ არს წინაჲსწარმეტყუელისა მიერ (მ. 2,5); შდრ.: οὕτως γὰρ γέγραπται διὰ τοῦ προφήτου. მოიკიცხა მოგუთა მათგან (მ. 2,16); შდრ.: ἐνεπαύθη ὑπὸ τῶν μάγων. ესე არს, რომელი-იგი თქუმულ არს ესაჲა წინაწარმეტყუელისა მიერ (მ. 3,3); შდრ.: οὕτως γὰρ ἔστιν ὁ ῥῆμεις διὰ Ἰησοῦ τοῦ προφήτου. ასევე პასიური კონსტრუქცია გვაქვს წინარეათონური (თქუმულ არს – RPSBVMmoa ; ითქუა FG) და გიორგისული რედაქციების ხელნაწერებში. ერთადერთი გამონაკლისი აქაც ჯრუჭის ნუსხაა, სადაც ქართულისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია გამოვლინდება: ესე არს, რომლისათვის-იგი თქუა ესაჲა წინაწარმეტყუელმან. მომავალნი ნათლის-ლებად მისგან (მ. 3,7); შდრ.: ἔρχομένους ἐπὶ τὸ βάπτισμα αὐτῶν. იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან (მ. 4,1); შდრ.: ὁ Ἰησοῦς ἀνήχθη εἰς τῆν ἔρημον ὑπὸ τοῦ πνεύματος πει-

²⁵ ინფინიტიური კონსტრუქციის შესახებ ძველ ქართულში იხ. ჩხუბიანიშვილი 1972.

ρασπιῆναι ἵπτο τῶν διαβόλου. არლარას შემძლებელ არს იგი, გარნა განგლებად გარე და დათრგუნვად კაცთაგან (მ. 5,13); შლრ.: εἰς οὐδὲν ἰσχύει ἔτι μὴ βληθῆν ἕξω κατὰπαταῖσιν ἵπτο τῶν ἀνυῖράπων. რაფთა ილიდენ იგინი კაცთაგან (მ. 6,2); შლრ.: ὅπως διῆξασιμῶσιν ὑπὸ τῶν ἀνυῖράπων. ყოველივე მომეტა მე მამისა ჩემისა მიერ (მ. 11,27); შლრ.: Πάντα μοι παρεδὸνῆ ἵπτο τῶν πατρὸς μου. მოკითხვაჲ უბნებსა ზელა და რქუმად მათდა კაცთაგან (მ. 23,7); შლრ.: καλῆσιν ἵπτο τῶν ἀνυῖράπων (იხ. აგრეთვე 20,23; 24,9; 24,15; მრკ. 1,9; 1,12; 1,13; 8,31; ლ. 1,26)²⁶.

აღიშურ ხელნაწერში ზოგჯერ დასტურდება უშემასმენლო წინადადება, რაც უთუოდ ბერძნულის გაკლენაა²⁷: ჩუენ თანა ღმერთი (მ. 1,23); შლრ.: μεν ἡμῶν ὁ θεός. ყოველი ნათესავი აბრაამითგან ვიდრე დავითისა[მღე] ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმღე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილონისაფთ ვიდრე ქრისტესამღე ნათესავი ათოთხმეტ (მ. 1,17); შლრ.: Πασαι οὖν γενεαὶ ἄπὸ Ἀβραάμ ἕως Δαυὶδ γενεαὶ δεκατέσσαρες, καὶ ἀπὸ Δαυὶδ ἕως τῆς μετοικεσίας Βαβυλωνος γενεαὶ δεκατέσσαρες. καὶ ἀπὸ τῆς μετοικεσίας Βαβυλωνος ἕως τοῦ Χριστοῦ γενεαὶ δεκατέσσαρες. სარტყელი ტყავისა წელთა მისთა (მ. 3,4); შლრ.: ζώνην δερματίνην περὶ τῆν ὀσφύν αὐτοῦ. ასევეა წინარეათონური და გიორგისეული რედაქციების ყველა ნუსხაში, გარდა ვრუჭუნლისა, სადაც გვაქვს: სარტყელი ტყავისაჲ ერთყა წელთა მისთა. ხ-იყო დღეთა მათ ჰეროდე მეუფისა მის ჰურიასტანისათა მღდელი ვინმე, სახელით ზაქარია, დასისა მისგან აბიასი, და ცოლი მისი ასულთაგანი აპრონისთაჲ, და სახელი მისი ელისაბედ (ლ. 1,5); შლრ.: Ἐγένετο ἐν ταῖς ἡμέραις Ἡρώδου βασιλέως τῆς Ἰουδαίας ἱερεὺς τις ὀνόματι Ζαχαρίας Ἀβιά, καὶ γυνὴ αὐτῷ ἐκ τῶν θυγατέρων Ἀαρῶν καὶ τὸ ὄνομα αὐτῆς

²⁶ იხ. შანიძე 1973, გვ. 300.

²⁷ ამ მოვლენის შესახებ ძველ ქართულში იხ. გიგინეიშვილი. კიკ-ვიძე 1966, გვ. 186.

Ἐλισάβετ. ესე სასწაულ თქუენდა (ლ. 2,11); შდრ.: τοῦτο τὸ σημεῖον.

ცნობილია, რომ ბერძნულის ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს მიმღებობური კონსტრუქცია²⁸: ყოველი ხმ, არაგამომღებელი ნაყოფისა კეთილისაჲ, მოიკუეთოს (მ. 7,19); შდრ.: πᾶν θένθρον μὴ ποιῶν καρπὸν καλὸν ἐκάρπεται, აგრეთვე წინარეათონური და გიორგისეული რედაქციები, სადაც ქართულისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია გვაქვს: ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს. მსგავს არს იგი ყრმათა, მსხლომარეთა შორის უბნებსა (მ. 11,16); შდრ.: ὁμοίᾳ ἔστιν παιδίος καρμίνος ἐν ταῖς ἀγροῖς. წინარეათონურსა და გიორგისეულ რედაქციებში გვაქვს: რომელნი სხენედ.

ბერძნული ბიბლიური წიგნების თარგმანის ზეგავლენით ყალიბდება ნაცვალსახელოვანი პლეონასტური კონსტრუქცია²⁹: უწოდეს სახელი მისი იესუ (მ. 1,24); შდრ.: ἐκάλεσεν τὸ ὄνομα αὐτοῦ Ἰησοῦν. უკუეთუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი (მ. 6,14); შდრ.: Ἐὰν γὰρ ἀφῆτε τοῖς ἀνθρώποις τὰ παραπτώματα αὐτῶν. უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მიგიტევნეს შეცოდებანი თქუენნი (მ. 6,15); შდრ.: Ἐὰν δὲ μὴ ἀφῆτε τοῖς ἀνθρώποις τὰ παραπτώματα αὐτῶν, οὐδὲ ὁ πατήρ ἡμῶν ἀφήσει τὰ παραπτώματα ἡμῶν. იცხე თავსა შენსა და პირი შენი დაიბანე (მ. 6,17); შდრ.: ἄλειψαι σὺς τὴν κεφαλὴν καὶ τὸ πόδι σου σὺς νῖψαι. შეუკრებით მაგისნი ფერკნი და კელნი (მ. 22,13); შდრ.: Δῆσαντες αὐτοῦ πόδας καὶ χεῖρας. (იხ. აგრეთვე მ. 20,33; 28,9; ი. 11,37).

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა: უკუეთუ ვინმე მისმინნეს სიტყუანი ჩემნი (ი. 12,47; შდრ.: რომელმან ისმინნეს სიტყუანი ჩემნი DE).

ბერძნულის ზეგავლენით არის ჩამოყალიბებული თანდებულისანი სინტაქსური კონსტრუქცია³⁰: განაგდე იგი შენგან (მ. 5,29; 5,30); შდრ.: βάλε ἄπὸ σοῦ. განმეშორენით ჩემგან (მ.

²⁸ყაუხჩიშვილი 1944, გვ. 108.

²⁹შანიძე 1973, გვ. 347.

³⁰დანელია 1975, 80.

7,23); შღრ.: ἀποχαρῆϊτε ἀπ ἔμοῤ. იხ. აგრეთვე მ. 18,8; 18,9; მრკ. 7,6; იკითხვილა მათგან (მ. 2,4); შღრ.: ἐπισυῖνεται παρ ἀτῶν. (აღსანიშნავია, რომ ზოგ ნუსხაში ქართული სათავის ბუნებრივი კონსტრუქცია გვაქვს: ჰკითხვილა მათ DB). გამოიკითხა მათგან (მ. 2,7); შღრ.: ἡχρῖσασεν παρ ἀτῶν. გამოიკითხა მგუთა მათგან (მ. 2,16); შღრ.: ἡχρῖσασεν παρὰ τῶν μάγων. სულგრძელ მექმენ ჩუენ ზელა (მ. 18,29); შღრ.: Μιαχρῖσμησον ἐπ ἔμοῤ აღთქმა-ყო მოქმედლა მათ მიმართ თითოჲ სატირი (მ. 20,2); შღრ.: συμφωνήσας δὲ μετὰ τῶν ἔργων ἐκ θησαρίου τῆν ἡμέραν. რაჲ გნებავს ჩემგან ყოჲად თქუენლა? (მრკ. 10,36); შღრ.: τί θέλετε ποιῆσαι με რაჲ გნებავს ჩემგან და გიყო თქუენ (წინაათონური რედაქცია); რაჲ გნებავს ჩემგან, რაჲთა გიყო თქუენ? (გიორგისეული რედაქცია). სიტყუათა შენთაგან განჰმართლღე და სიტყუათა შენთაგან ღისაჯო (მ. 12,37); შღრ.: ἔκ γὰρ τῶν λόγων σου δικαιοσῖησῃ. καὶ ἐκ τῶν λόγων σου κατανδισσῖησῃ.

უთუოდ ბერძნული დედნის ზეგავლენის შედეგია ადგილობითი ზმნისწინების შემცველი ფორმები³¹: ხოლო თანაწარმავლნი იგი ჰბასრობღეს მას (მ. 27,39); შღრ.: Οἱ δὲ παραιορεσῖμενοι ἐβλασφήμους αὐτῶν; თანაწარჰვიდოლა იგი ყანობირსა (მრკ. 2,23); შღრ.: παραιορεῖσθαι διὰ τῶν σπορίμων; თანაჲვიდოლა მას ერი მრავალი (მრკ. 10,1); შღრ.: συμπορεύονται πάντι ὄχλοι πρὸς αὐτῶν; თანაჲვიდოღეს მოწაჲენი მისნი (ლ. 7,11); შღრ.: συνπορεύονται αὐτῶν οἱ μαθηταὶ; ნუ გარეზიიქვევ პირსა (მ. 5,42); შღრ.: μή ἀποστραφῆς; გარეწარმცოღე მე სასუმელი ესე (მრკ. 14,36); შღრ.: παρένεχε τὸ ποτήριον τοῦτο ἀπ ἔμοῤ; ზელამიადღა და ჰრქუა (ლ. 10,40); შღრ.: ἐπιστᾶτα καὶ εἶπεν; ოღეს უძლოერესი მის ზელამოუქღეს (ლ. 11,22); შღრ.: ἰσχυρότερος αὐτοῤ ἐπελθὼν νικήσῃ αὐτοῤ; ვარსკულავი იგი, რომელი იხიღეს აღმოსავალით, წინაუძღლა მათ (მ. 2,9); შღრ.: ὁ ἀστῆρ, ὅν εἶδον ἐν δὲ τῇ ἀνατολῇ; პროჲენ ანთის; მეესეულად აიძულა მოწაჲეთა

³¹ადგილობითი ზმნისწინების შესახებ იხ. ვეშაპიძე 1967; დანელია 1981.

შესლვამ ნავსა და წინაწარმდღუნვად მისა წიაღკერძო (მ. 14,22); შდრ.: *Καὶ ἐσθῆδας ἠνάγκασεν τοὺς μαθητὰς ἐμψῆσαι εἰς τὸ πλῆθον καὶ προόγειν εἰς τὸ πέρας*; ერთი იგი მოწაფე წინაწაპოქრა უადრეს პეტრესა (ი. 20,4); შდრ.: *ἄλλος μαθητῆς προεδόραμεν τὰ χιὼν τοῦ Πέτρου* და სხვ.

ზოგჯერ ქართულში არაბუნებრივი კონსტრუქციაა მაშინ, როცა ბერძნულის პირდაპირი თარგმანი ქართულისათვის მისალბ წყობას მოგვცემდა: ეგრეთა თქუენ ჰყოფდით მათლა მიმართ (მ. 7,12); შდრ.: *οὐτως καὶ σήμερ πεινῆτε ἀπὸ τοῦ*.

ბერძნულის ზეგავლენით ჩამოყალიბდა კონსტრუქცია, რომელსაც ზოგი სპეციალისტი სემიტიურად თვლის. ეს კონსტრუქცია სემიტიურისათვის მართლაც დამახასიათებელია. მაგრამ ქართულში იგი ბერძნულის ზეგავლენით არის შემოსული³²: რომლისაა ნიჩაბ(ი კ)ელსა მისსა (მ. 3,12); შდრ.: *ὅτι τὸ πῆθος ἐν τῇ χεῖρὶ ἀπὸ τοῦ*. (ასევე არის წინარეათონურსა და გიორგისეულ რედაქციებში). რომლისაა მოვიდეს უფალი მისი (მ. 24,46); მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს კამლთა მისთა ტურთვად (ლ. 3,16); შდრ.: *ἔρχεται δὲ ὁ ἰσχυρότερός μου, ὁμὶς ἔμεινεν ἵνα ἴδωμαι τὸν ἰμάντα τῶν ἰπποκρίτων ἀπὸ τοῦ*. რომლისა ნიჩაბი კელთა შინა მისთა (ლ. 3,17); შდრ.: *ὅτι τὸ πῆθος ἐν τῇ χεῖρὶ ἀπὸ τοῦ*; მუნ იყო სეფეწულ ერთ, რომლისა ძმ თვისი იდვა სნეული კაფერნაომს (ი. 4,46).

ზოგი სიტყვის ევფემისტურად გამოყენება ბერძნულის ზეგავლენას წარმოადგენს: არა იცოლა იგი (მ. 1,25); შდრ.: *οὐκ ἔγνωσθεν ἀπὸ τοῦ*.

აღესრულა ჰეროდე (მ. 2,19); შდრ.: *τελευτήσαστος δὲ Ἡρῶδης*. ასეა წინათონურ და გიორგისეულ რედაქციებშიც, ერთადერთი გამონაკლისია ჯრუჭის ნუსხა, სადაც მოკულა იკითხება.

³²სარჯველაძე 2001.

ბერძნულის ზეგავლენას უნდა მივაწეროთ სახელობითის წოდებითის ფუნქციით გამოყენების შემთხვევები³³: და 'შენ ბეთლემ, ქუყანამ იუდაისი, არასადა უმრწემეს ხარ მთავარსა შორის იუდაისთა (მ. 2,6); შლრ.: Καὶ σὺ Βηθλέεμ, γῆ Ἰουδα. οὐδὲ μᾶς ἔλαχίστη εἶ ἐν ταῖς ἡγεμόσις Ἰουδα. ხოლო იესუ პრქუა: მ, ნათესავი გულარძნილი! (ლ. 9,41); შლრ.: ἀποκριθεὶς δὲ ὁ Ἰησοῦς εἶπεν, Ἴδε γενεὰ ἀπιστος καὶ διεστραμμένη; მიუგო და პრქუა თომა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი! (ი. 20,28); შლრ.: ἀπεκριθεὶς Θამᾶς καὶ εἶπεν. αὐτῶ, Ὁ κύριός μου καὶ ὁ θεός μου.

ბერძნულის ზეგავლენით არის ჩამოყალიბებული წინდებულებანი კონსტრუქცია: წინაშე კაცთა (მ. 5,16); შლრ.: ἔμπροσθεν τῶν ἀνθρώπων. წინაშე საკურთხეველსა 'შენსა (მ. 5,24); შლრ.: ἔμπροσθεν τοῦ θυσιαστηρίου. წინაშე 'შენსა (მ. 6,2); შლრ.: ἔμπροσθεν σου. წინაშე ღორთა (მ. 7,6); შლრ.: ἔμπροσθεν τῶν χοίρων; რომელმან ამიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა (მ. 10,32); შლრ.: ὅστις ὁμολογήσει ἐν ἐμοὶ ἔμπροσθεν τῶν ἀνθρώπων, ὁμολογήσῃ καὶ ἐγὼ ἐν αὐτῷ ἔμπροσθεν τοῦ πατρὸς μου. (იხ. აგრეთვე მ. 27,11; მრკ. 1,2 ორჯერ; 1,33; 9,2; 12,11; 13,9; ლ. 1,6; 1,8; 1,17; 5,25)³⁴; შორის შესაკრებელთა და შორის უბნებსა (მ. 6,2); შლრ.: ἐν ταῖς συναγωγαῖς καὶ ἐν ταῖς ῥύμαις. შორის შესაკრებელთა და ურაკპარაკთა (მ. 6,5); შლრ.: ἐν ταῖς συναγωγαῖς καὶ ἐν ταῖς γωνίαις τῶν πλατειῶν; შორის მათსა (მ. 18,20); შლრ.: ἐν μεσῶ αὐτῶν, შლრ.: მათ შორის ADEBVL (იხ. აგრეთვე მ. 23,35); დაუტევოს ცოლი თუნიერად სიტყუსა სიძვისაჲსა (მ. 5,32); შლრ.: ἀπολίσσω τῆν γυναικα αὐτοῦ παρεχτὸς λόγου πορνείας. თუნიერ მამისა თქუენისა (მ. 10,29); შლრ.: ἄνευ τοῦ πατρὸς ἡμῶν. თუნიერ ყრმებისა და ღედებისა (მ. 15,38); შლრ.: χωρὶς γυναικῶν καὶ παιδῶν; წიად ზღუასა (მ. 8,18); შლრ.: εἰς τὸ πέρας; განაგდეს იგი გარეშე საყურძენსა მას (მრკ. 12,8);

³³ეს მოვლენა ახასიათებს ბერძნული ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს (იხ. Blass, Debrunner 1976, 121-122).

³⁴ადიშის ოთხთავში წინაშე 90-გზის გვხვდება. 78 შემთხვევაში იგი წინდებულის ფუნქციით გვხვდება, 12-ჯერ უკუღებულად.

შღრ.: ἐξέβαλον αὐτὸν ἔξω τοῦ ἀμπελωνος. გარეშე ეზოსა (მრკ. 14,68); შღრ.: ἔξω εἰς τὸ προσῦλιον.

ბერძნულის გავლენით იხმარება ვითარებითში დასმულ საწყისი მიზნის გარემოების გამოსახატავად: მომავალნი ნათლის-ლებად მისგან (მ. 3,7); შღრ.: ἐρχομένους ἐπὶ τὸ βᾶπτισμα αὐτοῦ; მე ნათელ-გცემ თქვენ წყლითა სინანულად (მ. 3,11); შღრ.: ἐγὼ μὲν ἰμᾶς βαπτίζω ἐν ὕδατι εἰς μετάνοιαν; იესუ აღიყვანა სულისა მისგან უდაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან (მ. 4,1); შღრ.: ὁ Ἰησοῦς ἀνῆρχθη εἰς τὴν ἔρημον ὑπὸ τοῦ πνεύματος περιρρασθῆναι ὑπὸ τοῦ διαβόλου; არ[ა] მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულებად (მ. 5,17); შღრ.: οὐκ ἤλθιν καταλοῦσαι ἀλλὰ πληρῶσαι; რომელი ხედიდეს დედაკაცსა გულისთქუმად მისა (მ. 5,28); შღრ.: ὁ βλῆπων γυναῖκα πρὸς τὸ ἐπισημεῖσαι αὐτήν; გამოვიდა მთესვარი თესვად (მ. 13,3); შღრ.: ἐξῆλθιν ὁ σπεῖραν τοῦ σπείρειν (იხ. აგრეთვე მ. 20,28; 21,34; 22,3; 22,11; 23,23; 25,27; 26,15; 27,49; 28,1; მრკ. 1,24...).

ბიბლიური წიგნების ბერძნულიდან თარგმნის შედეგს წარმოადგენს ვიდრე წინდებულისანი კონსტრუქცია³⁵: ყოველი ნათესავი აბრაამითგან ვიდრე დავითისა[მდე] ნათესავი ათოთხმეტ, და დავითისითგან ვიდრე ტყუეობადმდე ბაბილონისა ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენითგან ბაბილონისათ ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ (მ. 1,17); შღრ.: Παῖσαι οὖν γενεαὶ ἀπο` Ἀβραάμ ἕως Δαυὶδ γενεαὶ δεκατέσσαρες, καὶ ἀπὸ Δαυὶδ ἕως τῆς μετοικεσίας Βαβυλωνος γενεαὶ δεκατέσσαρες, καὶ ἀπο τῆς μετοικεσίας Βαβυλωνος ἕως τοῦ Χριστοῦ γενεαὶ δεκατέσσαρες; იყო მუნ ვიდრე აღსრულ[ებადმდე] ჰეროდესა (მ. 2,15); შღრ.: καὶ ἦν ἔχει ἕως τῆς τελευτῆς Ἡρώδου; ძრვაჲ იყო დიდ ზღუასა შინა ვიდრე დაფარვადმდე ნავისა მის ღელვათაგან (მ. 8,24); შღრ.: σεισμὸς μέγας ἐγένετο ἐν τῇ θιאלάσση. ὥστε τὸ πλοῖον καλύπτεσθαι ὑπὸ τῶν κυμάτων. (იხ. აგრეთვე მ. 20,8; მრკ. 14,54; ლ. 11,38...).

ასევე უნდა აისხნას უფროჲს ზმნიზედიანი კონსტრუქცია: არა თუ მატლეს სიმართლე თქუენი უფროჲს მწიგნობართასა

³⁵დანელია 1979, გვ. 93-97.

და ფარისევლთასა (მ. 5,20); ἔὰν μὴ περισεύσῃ ἡμῶν ἢ διαχοισύσῃ πλεῖον τῶν γράμματάων καὶ φαρισαῖων.

უფროობითი ხარისხის ფორმასთან სახელი ნათესაობითში ბერძნულის ზეგავლენით დგას: მოიყვანის მის თანა სხუანი სულნი შუღნი, უბოროტესნი მისა (მ. 12,45); შდრ.: παραλαμβάνει μεν ἑαυτὸν ἔπειτ' ἔπειρα πνεύματα πονερότερα ἑαυτοῦ.

კარგად არის ცნობილი, რომ და კავშირი ძველ ქართულში ბიბლიურ წიგნთა თარგმანის ზეგავლენით ძალიან ხშირად იხმარება³⁶. აღიშნის ოთხთავიდან მაგალითებს არ მოვიხმობთ, რადგანაც ტექსტის გადახედვაც კი ადვილად დავარწმუნებს ამ დებულების სინამდვილეში. წინადადების დასაწყისში და იყო უფუნქციო ფრაზის არსებობა აგრეთვე ბერძნულის ზეგავლენის შედეგს წარმოადგენს: და იყო, რაჟამს წარასრულნა იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28; 19,1); შდრ.: καὶ ἐγένετο ὅτε ἐτέλεσεν ὁ Ἰησοῦς τοὺς λόγους τοῦτους (იხ. აგრეთვე მ. 11,1; 13,53; 26,1; მრკ. 2,23; ლ. 1,23; 1,41; 2,1; 2,6; 2,46; 5,1).

ყურადღებას გავამახვილებთ და კავშირის არამაჯგუფებელ კავშირად გამოყენების შემთხვევებზე; და = რომ: რაჲ გნებაჲს, და გიყო თქუენ? (მ. 20,32; მრკ. 10, 51); შდრ.: Τὶ μὲλλετε ποιῆσαι ἡμῖν; რაჲ გნებაჲს, და გიყო შენ? (ლ. 18,41); შდრ.: Τὶ σοὶ μὲλλεις ποιῆσαι. და = ხოლო: და იყო ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისასა გენესარეთისასა (ლ. 5,1); შდრ.: Ἐγένετο δὲ ἐν τῷ ὄχλῳ ἐπιχεῖσθαι αὐτῷ καὶ ἀχοῦειν τὸν λόγον τοῦ θεοῦ καὶ αὐτοῦ ἦν ἕσταις παρα τῆς λίμνης; მიიღე კეთილი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ვერვე ძყრნი იგი (ლ. 16,25); ἀπέλαψεν τὰ ἀγαθὰ σου ἐν τῇ ζαῆ σου, καὶ Ἀλέξανδρος ὁμοῖος τὰ κακά.

ბერძნულის გავლენის შედეგია ზედა თანდებულის ქართულისათვის უჩვეულო გამოყენება: კელთა ზედა ალგიქუან შენ (მ. 4,6, ასეთივე კონსტრუქცია არის წინარეათონური და

³⁶ კაჭელმაძე 1948, გვ. 255; ქურციკიძე 1964, გვ. 251-255; ნა-
დარეიშვილი 1970, გვ. 506; დანელია 1979a, გვ. 50 და შმდგ.;
Boedcr 1983.

გიორგისეული რელაქციების ხელნაწერების უმრავლესობაში; (მხოლოდ Dm ნუსხებში გვაქვს: მკლავითა მათითა); შდრ.: ἐπὶ χείρων ἄρσιν σὲ; თუ მეუფება თვისა თავსა ზედა განიყოს (მრკ. 3,24); შდრ.: ἐὰν ἡ βασιλεία ἐφ' ἑαυτῆς μερισθῆ. ქართულისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია არის წინარეათონურსა (უკუეთუ მეუფება მეუფებასა განევთა/განველთა/განველთას) და გიორგისეულ (უკუეთუ მეუფება მეუფებასა განველთას) რელაქციებში. თუ სახლი თავსა თვისა ზედა განიყოს (მრკ. 3,25); შდრ.: ἐὰν οὐκία ἐφ' ἑαυτῆς μερισθῆ (წინარეათონურში – უკუეთუ სახლი სახლსა განვეთა/განველთა/განველთას; გიორგისეულში – უკუეთუ სახლი სახლსა განველთას).

ბერძნულის ზეგავლენის შედეგია ნათესაობითი ბრუნვის ზომის ერთეულად გამოყენება: ანუ არა ზუთი სირი განიყიდების ორის დანგის? (ლ. 12,6); შდრ.: οὐχὶ πέντε στρούθια παλῶσνται ἀσσοῦρων δῖο; რაღასა არა ნელსაცხებელი ეგე განიყიდა სამასის ღრაჰქნის (ი. 12,5); შდრ.: Δὶά τί τοῦτο τὸ μῦρον οὐκ ἐπράμῃ τριακοσίων δηνάριων.

ბერძნულის გავლენის შედეგია თანდებულობითი ნათესაობითი გამოსვლითის ფუნქციით ხმარება: ყოვლითა სიტყუთა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისაგან (მ. 4,4; ასევეა წინარეათონურსა და გიორგისეულ რელაქციებში); შდრ.: ἐπὶ πάντι ῥήματι ἐκπορευομένηα διὰ στόματος υἱοῦ; აღმო-ლა-ილე პირველად დირე იგი თუალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოლუბად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა (მ. 7,5); შდრ.: ἐκβαλε πρῶτον ἐκ τοῦ ἔμφυαλμοῦ σοῦ τῆν διόχον, καὶ τότε διαβλέψεις ἐκβαλεῖν τὸ κάρφος ἐκ τοῦ ἔμφυαλμοῦ τοῦ ἀδελφοῦ σοῦ არაწმიდათ იგი სული გამოვიდეს კაცისაგან (მ. 12,43); შდრ.: τὸ ἀκάθαρτον πνεῦμα ἐξέλμῃ ἀπὸ τοῦ ἀνθρώπου. ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდა მას მკურცხილ ქალაქებისაგან (მ. 14,13); შდრ.: ἀκούσαντες οἱ ὄχλοι ἠχοῦσῃσιν αὐτῶ περὶ τὸν πόνεων რომელი გამოვალს პირისაგან (მ. 15,11); შდრ.: ἐκπορευόμενον

³⁷ შდრ.: ქართულისათვის ბუნებრივი კონსტრუქცია: აღმოვიღო წუელი ეგე თუალით შენით (მ. 7,4).

ἐκ τοῦ στόμα χριστοῦ τὸν ἀντίπαπον. წინარეაოინურსა³⁸ და გიორგისეულ რელაქციებში პირით გვაქვს (იხ. აგრეთვე მ. 15,19; 15,27; ლ. 5,2; ი. 8,59).

ებრ თანდებულებანი კონსტრუქცია ბერძნულის გავლენის შედეგია:

ორით წლისათგანნი და უდარესი. ჟამისა მისებრ. ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან (მ. 2,16); შდრ.: ἀπὸ θεοῦ καὶ κατὰ ἐξουσίαν, κατὰ τὸν χρόνον ὃν ἠκρίβασεν παρὰ τὸν μᾶλλον. საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ (მ. 23,3); შდრ.: κατὰ θεῶν ἐργα ἀπάντων μὴ ποιείτε.³⁹

ამავე კონსტრუქციაში ებრ თანდებულს მსგავსად ენაცვლება: მსგავსად სარწუნობისა თქუენისა გეყავნ თქუენ! (მ. 9,29); შდრ.: Κατὰ τὴν πίστιν ἡμῶν γενεθίῃα ἡμῖν.⁴⁰ რაისათვის მოწაფენი შენნი არა ვლენან მსგავსად მოძღურებისა მის მღელთაჲსა? (მრკ. 7,5); შდრ.: Διὰ τί οὐ περιπατοῦσιν οἱ μαθηταί σου κατὰ τὴν παράδοσιν τῶν προφητῶν (იხ. აგრეთვე ლ. 1,9; 2,22; 2,24; 2,27 ...).

ბერძნული ტექსტის გავლენის შედეგია ფრაზეოლოგიური კალკები. მაგალითად: რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა (მ. 2,20); შდრ.: οἱ ζητοῦντες τὴν ψυχὴν τοῦ παιδίου.

აღიშნის ოთხთავში საკმაოდ ხშირია სიტყვა-სიტყვითი თარგმანის შემთხვევები: დაეშენა ქალაქსა მას (მ. 2,23); შდრ.: κατὰκτισεν εἰς πόλιν. დაეშენა კაფარნაომლ (მ. 4,13); შდრ.: κατὰκτισεν εἰς Καφαρναοῦμ; რომელმან დაუტევოს ცოლი თუნიერად სიტყუსა სიძვისაჲსა, ამრუმოს იგი (მ. 5,32); შდრ.: ὁ ἀπολίσσας τὴν γυναικα αὐτοῦ παρεχόμενος λόγῳ πορνείας ποιεῖ αὐτὴν μοιχευμένην. და იყო, რაჟამს წარასრულნა იესუ სიტყუანი ესე (მ. 7,28); შდრ.: καὶ ἐγένετο ὅτε ἐτέλεσεν ὁ Ἰησοῦς τοὺς λόγους

³⁸ ჯრუჭის ხელნაწერში (D) ეს სიტყვა აკლია.

³⁹ ბიბლიურ წიგნთა თარგმანებში ამ ტიპის ნიშნითა შესახებ იხ. ცინდელიანი 1975.

⁴⁰ ებრ თანდებულებანი კონსტრუქცია გვაქვს წინარეაოინურსა (სარწმუნოებისაებრ თქუენისა) და გიორგისეულ (სარწმუნოებისა თქუენისაებრ) რელაქციებში.

τούτους. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყველი სახელად
 წინაწარმეტყველისა, სასყიდელი წინააღმართმეტყველისა.⁴¹
 მოიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად
 მართლისა, სასყიდელი მართლისაა. მოიღოს (მ. 10,41); შლრ.:
 ὁ δεχόμενος προφήτην εἰς ὄνομα προφήτου μισθὸν προφήτου λήμψεται.
 καὶ ὁ δεχόμενος δίκαιον εἰς ὄνομα δικαίου μισθὸν δικαίου λήμψεται.
 რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელ ერთ წყალი
 გრილი სახელად მოწაფისა (მ. 10,42); შლრ.: ὅς ἂν ποτίσῃ ἕνα
 τῶν μικρῶν τούτων ποτήριον ψυχροῦ μόνον εἰς ὄνομα μαθητῶν;
 ἰθὺν τούτου αἰῶνος ματῆρτα ματῆρτα ἔσται, რომელ განუმზადე
 წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა (ლ. 2,30-31); შლრ.: εἶδον οἱ
 ὄφθαλμοί μου τὸ σατήριόν σου, ὃ ἦτοίμασας κατὰ πρόσωπον πάντων
 τῶν λαῶν და სხვ.

აქვე დავიმოწმებთ კომპოზიტთა კალკებს: მრავლისმეტყველებითა
 (მ. 6,7); შლრ.: πολυλογίᾳ. მცირედმორწმუნენო (მ. 8,26;
 16,8); შლრ.: ἱλιγόπιστοι. მცირედმორწმუნეო (მ. 14,31); შლრ.:
 ἱλιγόπιστε; მრავალსასყიდლისა (მ. 13,46); შლრ.: πολύτιμον;
 შლრ.: ცილისწამებანი (მ. 15,19); შლრ.: ψευδομαρτυρία.
 მცირედმორწმუნეობისა (მ. 17,20); შლრ.: ἱλιγοπιστίαν
 ერთთუალისა (მ. 18,9; მრკ. 9,47); შლრ.: μονόφθαλμον;
 გულფიცხელობისა (მ. 19,8; მრკ. 10,5); შლრ.: σκληροκαρδίαν.
 ვერშესაძლებელ (მ. 19,26); შლრ.: ἀδύνατον; ცრუწინა-
 წარმეტყველნი (მ. 24,11) შლრ.: ψευδοπροφήται და სხვ.⁴¹

⁴¹ადიშის სახარების კომპოზიტებს საგანგებოდ შეეხო ე. ლოჩანაშ-
 ვილი (ლოჩანაშვილი 1951), რომელმაც მათი დიდი ნაწილი
 ბერძნულის მიხედვით შექმნილად მიიჩნია.

დამოწმებული ლიტერატურა

- ახულაძე 1973: ი. ახულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.
- გიგინეიშვილი, კიკვიძე 1966: ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ბიბლიის თარგმანი (ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი), თბილისი.
- დანელია 1975: კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში: „მაცნე“, №4, თბილისი.
- დანელია 1979: კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში: II. ვიდრე უდეტრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში: „მაცნე“, №1, თბილისი.
- დანელია 1979a: კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 3. *vav consecutivum*-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით: „მაცნე“, №3, თბილისი.
- ლოჩანაშვილი 1951: ე. ლოჩანაშვილი, ადიშის ოთხთავის კომპოზიციები (ოთხთავის სომხურ და ბერძნულ ტექსტთან მიმართებით): მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 29, თბილისი.
- ვეშაბიძე 1967: ი. ვეშაბიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბილისი.
- კეჭელაძე 1948: ნ. კეჭელაძე, პროკლე დიადოხოსი, კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი, ძველი ქართული თარგმანი, თბილისი (ხელნაწ.).
- ნადარეიშვილი 1970: ი. ნადარეიშვილი, „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის პროცესში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 57, №2, თბილისი.
- ზ. სარჯველაძე 1984: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი.
- ზ. სარჯველაძე 2001, ზ. სარჯველაძე, რომელ ენაზე დაიწერა „მოქცევა ქართლისაჲ“: მწიგნობარი, თბილისი, 2001.

- ზ. სარჯველაძე 2001a: ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი.
- ს. სარჯველაძე 2002: ს. სარჯველაძე, ხანმეტი დედნიდან გადაწერილი ოთხთავის ერთი XI საუკუნის ხელნაწერის შესახებ: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი.
- ს. სარჯველაძე 2002a: ენათმეცნიერების საკითხები, 2, თბილისი.
- ქურციკიძე 1964: ც. ქურციკიძე, ერთი სტილისტური თავისებურებისათვის ძველ ქართულში: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, 36, №1, თბილისი.
- ყაუხჩიშვილი 1944: ს. ყაუხჩიშვილი, ადიშის ხელნაწერის ბერძნიზმები: ენიმკის მოამბე, IV, თბილისი.
- შანიძე 1922-23: ა. შანიძე, ჰაემეტობა ადიშის სახარებაში: ტუმ, II, ტფილისი.
- შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი.
- ჩხუბიანიშვილი 1972: დ. ჩხუბიანიშვილი, ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში, თბილისი.
- ცინდელიანი 1975: უ. ცინდელიანი, აააა წინდებულის ეკვივალენტები „მეფეთა წიგნების“ ქართულ თარგმანებში: მრავალთავი, IV, თბილისი.
- ჭარაია 1997: პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი.
- Шанидзе 1940: А. Шанидзе, Переживания ханмэтных форм в рукописях IX-X-XI веков: საქ. მეცნ. აკად. მოამბე, I, 1940, №3, თბილისი.
- Blass, Debrunner 1976: F. Blass, A. Debrunner, Grammatik des neutestamentlichen Griechisch, Göttingen.
- Boeder 1983: W. Boeder, Über einige Verwendungen von da „und“ in der altgeorgischen Literatursprache: Folia Linguistica, T. XVII/1-4.
- Deeters 1937: G. Deeters, Greaco-Georgica, I: Annuaire de l'Institut de philologie et d'histoire orientales et slaves, 5.

Preface

The Manuscript of the Adyshi Gospels and its Editions.

Of all the Georgian quadrateuchs the one from Adyshi is the oldest dated monument. It was created at the end of the 9th century, in the year 897, which is attested by the scribe's adscript (387r). According to the adscript the book was copied by Michael, and the deacon Michael undertook the binding of the book.

The text of the Gospels is written in the Asomtawruli (uncial) script in two columns with golden ink. Each column contains 16 lines (the size of the column 22 x 8 cm). The whole manuscript consists of 388 leaves; the other five leaves are for miniatures and canons. The material used for the manuscript is parchment. The size of the leaf is 30,5 x 28 cm. The book was copied in the Shatberdi Lavra at the end of the 9th century. It must have been kept there for some centuries. Subsequently the former steward of the Jumati Monastery Nicholaos took the Adyshi Gospels, together with other books from Shatberdi. He, evidently, took the manuscript to the Jumati Monastery. It is presumed that since the 14th century the manuscript, known as Adyshi Gospels, has been kept in Svaneti, namely in the village of Adyshi. Now this it is kept at the Mestia Ethnographic Museum (M-22).

In 1910 Ermakov photographed the whole text of the Adyshi Gospels. On the basis of the photographs the Moscow Archaeological Society began to prepare a phototype edition. The 200 tables of the text of the Adyshi Gospels were published in MAK N° 14 in 1916. Subsequently two printed editions followed it. One of the editions belonged to Robert Blake, an American Kartvelologist, (The Old Georgian version of the Gospel of Mark, From the Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet´ Gospels, Edited with a Latin translation by Robert P. Blake, *Patrologia Orientalis*, t. XX: fasc.3. Paris, 1928; The Old Georgian version of the Gospel of Matthew, from Adysh Gospels with the variants of the Opiza and Tbet´ Gospels, Edited with a Latin translation by Robert P. Blake, *Patrologia Orientalis*, t. XXIV: fasc.3. Paris, 1933; The Old Georgian version of John from Adysh Gospels, with the variants of the Opiza and Tbet´ Gospels, edited with a Latin translation by Robert P. Blake

and Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVI; fasc. 4, Paris, 1950).

After R. Blake's death M. Brière published Luke's Gospel too (*La Version géorgienne ancienne de l'Évangile de Luk, d'après les évangiles d'Adysh avec les variantes des évangiles d'Opiza et de Tbet*, Ed. avec une trad. Latine par Maurice Brière, *Patrologia Orientalis*, t. XXVII, fasc. 3. Paris, 1955).

A new Latin translation of the Adyshi gospels was also published by the German scholar Joseph Molitor (*Molitor J. Synopsis latina Evangeliorum ibericorum antiquissimorum secundum Matthaem, Marcum, Lucam, Desumpta e codicibus Adysh, Opiza, Tbeth. Necnon e fragmentis biblicis et patristicis quae dicuntur chanmeti et haemeti*, Louvain, 1965, *Corpus Scriptorum Christianorum Orientalium*, vol. 256, Subs. t. 24).

In 1945 acad. A. Shanidze published the text of the Adyshi Gospels together with the two other (Jruchi and Parkhali Gospels) 10th century manuscripts of the Shatberdi origin (Two Old recensions of the Georgian Gospels, according to three Shatberdi manuscripts, Tbilisi, 1945). In this edition the text of the Adyshi Gospels, as quite different in recension, is published as a separate column (C) in parallel with the text of the Jruchi and Parkhali quadranteuchs (DE).

The leaf, unknown until then, was found and published by Ts. Chankiev. The leaf was missed quite by chance in the phototype edition of the Gospels; hence it was missed in A. Shanidze's and other publications as well, for they were based on the phototype edition. On one page of the leaf, discovered by Ts. Chankiev, there is the end of the 9th verse of the 19th chapter of Luke's Gospel, the 10th – 13th verses and the beginning of the 14th verse; on the other side there is the end of the 36th verse, the 37th-42nd verses and the beginning of the 43rd verse of chapter 20 of Luke's Gospel.

The Problems of the determining the Critical Text of the Adyshi Gospels; the Linguistic Analyses of the Text.

In the present edition the problems of determining the critical text according to only one manuscript are viewed in a quite new way; as it is known mistakes may occur in any copy of which some are mechanical, others reflect the live speech of the scribe and his milieu. There are errors that result from the incorrect reading of the original. It should be taken into consideration that part of these

mistakes may have come down from the original and they must have emerged long before the manuscript under analysis was created. In this edition, when determining the text, the mechanical and linguistic mistakes are differentiated and distributed in the main text and its variants. In the study the attention is focused on such linguistic phenomena, which facilitate the determination of the authentic text.

In this edition the problem of tracing the provenance of the Georgian translation of the Adyshi manuscript on the basis of a consistent linguistic analysis of the text was raised.

In the study attention is paid to revealing the influence of the Greek original on the Georgian translation: the influence of the Greek original is indicated by the infinitive construction: $\mu\eta\ \phi\sigma\iota\tau\eta\mu\iota\varsigma\ \pi\alpha\rho\alpha\lambda\alpha\beta\epsilon\iota\nu\ \text{Μαρίαμ}\ \tau\eta\gamma\ \gamma\upsilon\nu\alpha\iota\kappa\acute{\alpha}\ \sigma\upsilon\varsigma\ \epsilon\nu\ \gamma\epsilon\sigma\eta\iota\nu\ \text{მიყვანებად}\ \text{მარიამისა, ცოლისა შენისა}\ \text{nu gešinin moq'vanebad Mariamisa, colisa šenisa (...fear not to take unto thee Mary, thy wife) (Matt. 1,20);}\ \eta\lambda\theta\mu\epsilon\nu\ \pi\rho\sigma\kappa\acute{\upsilon}\nu\eta\sigma\alpha\iota\ \alpha\upsilon\tau\omega\ \mu\omicron\upsilon\epsilon\lambda\epsilon\iota\sigma\tau\ \tau\alpha\upsilon\tau\eta\varsigma\ \text{მისა}\ \text{movedit taq'uaniscemad misa (...And are come to worship him) (Matt. 2,2);}\ \omicron\upsilon\ \gamma\acute{\alpha}\rho\ \epsilon\sigma\tau\iota\nu\ \kappa\alpha\lambda\acute{\omicron}\nu\ \lambda\alpha\beta\epsilon\iota\nu\ \tau\omicron\nu\ \acute{\alpha}\rho\tau\omicron\nu\ \text{არა}\ \text{კეთილ არს მოღებად პური}\ \text{ara k'etil ars miyebad p'uri (...for it is not meet to take the bread) (Mark 7,27) etc.}$

In many cases the use of the passive construction is also caused by the influence of the Greek original: $\acute{\omicron}\ \text{Ιησο\upsilon\varsigma}\ \acute{\alpha}\nu\eta\chi\omega\eta\ \epsilon\iota\varsigma\ \tau\eta\nu\ \epsilon\pi\eta\rho\mu\omicron\nu\ \acute{\upsilon}\pi\omicron\ \tau\omicron\nu\ \pi\nu\epsilon\upsilon\mu\alpha\tau\omicron\varsigma\ \pi\epsilon\iota\rho\alpha\sigma\theta\eta\iota\nu\ \acute{\upsilon}\pi\omicron\ \tau\omicron\nu\ \delta\iota\alpha\beta\acute{\omicron}\lambda\omicron\ \text{იესუ}\ \text{აღიყვანა სულისა მისგან უღაბნოდ გამოცდად ეშმაკისაგან}\ \text{Iesu ayiq'vana sulisa misgan udabnod gamocdad ešmak'isagan (Then was Jesus led up of the spirit into the wilderness to be tempted of the devil) (Matt. 4,1);}\ \delta\pi\omega\varsigma\ \delta\omicron\chi\alpha\sigma\mu\acute{\omega}\sigma\iota\nu\ \acute{\upsilon}\pi\omicron\ \tau\omega\nu\ \acute{\alpha}\nu\eta\rho\acute{\alpha}\pi\alpha\nu\ \text{რაჲთა იდიდნენ იგინი კაცთაგან}\ \text{rajta ididen igini k'actagan (...that they may have glory of men) (Matt. 6,2);}\ \text{Πάντα μοι}\ \text{παρεδ\acute{\alpha}\theta\eta\ \acute{\upsilon}\pi\omicron\ \tau\omicron\nu\ \pi\alpha\tau\rho\acute{\omicron}\varsigma\ \mu\omicron\varsigma\ \text{ყოველივე მომეცა მე მამისა}\ \text{ჩემისა მიერ}\ \text{q'ovelive momeca me mamisa čemisa mier (All things are delivered onto me of my Father) (Matt. 11,27) and so on.}$

In the Adyshi Manuscript there are sentences without predicates which must be due to the Greek influence: $\mu\epsilon\theta\ \eta\mu\acute{\omega}\nu\ \acute{\omicron}\ \nu\epsilon\acute{\omicron}\varsigma\ \text{ჩუენ}\ \text{თანა ლმერთი}\ \text{čuen tana γmerti (God with us) (Matt. 1,23) etc.}$

It is known that the use of the participle construction is due to the Greek influence: πᾶν δένδρον μὴ ποιῶν καρπὸν καλὸν ἐκκόπεται ყოველი ხმ, არაგამომღებელი ნაყოფისა კეთილისაჲ, მოიკუე-თოს q'oveli xe, ara gamomyebeli naq'opisa k'etilisaj, moik'uetos (Every tree that bringeth not forth good fruit is hewn down) (Matt. 7,19); ὁμοία ἐστὶν παιδῖος καμήμενοις ἐν ταῖς ἀγοραῖς მსგავს არს იგი ყრმათა, მსხლომარეთა შორის უბნებსა msgavs ars igi q'rmata, msxdomareta šoris ubnebsa (It is like unto children sitting in the markets...) (Matt. 11,16) and so on.

The pleonastic construction with a pronoun is formed in the Old Georgian by the influence of the translation of the Greek Gospels: ἐκάλεσεν τὸ ὄνομα αὐτοῦ Ἰησοῦν უწოდეს სახელი მისი იესუ uc'odes saxeli misi Iesu (...and they called (him) his name Jesus) (Matt. 1,25); Δῆσαντες αὐτοῦ πόδας καὶ χεῖρας. შეუკრებთ მაგისნი ფერკნი და კელნი šeuk'renit magisni perqni da qelni (Bind (him) his feet and hands) (Matt. 22,13) and so on.

The Greek influence caused the formation of postpositional syntactical constructions: βάλε ἀπὸ σοῦ განავლე იგი შენგან ganagde igi šengan (...Cast it from thee) (Matt. 5,29; 5,30); ἀποχωρεῖτε ἀπ' ἐμοῦ. განმეშორებთ ჩემგან ganmešorenit čemgan (depart from me) (Matt. 7,23); ἐπυθάνετο παρ' αὐτῶν იკითხვიდა მათგან ik'itxvida matgan (...he demanded of them...) (Matt. 2,4) and so on.

(9) მრ. 2,14.
ლ. 5,27.

9. და წარვიდოდა იესუ მიერ, იხილა კაცი მჯდომარე საზუერესა ზედა, მატთოს ერქუა სახელი, და ჰრქუა მას: შემომიდეგ მე! — და აღდგა და მისდევდა მას.

10. და იყო, რაჟამს ინაჯ-ედგა მას სახლსა მას შინა, მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი მოსრულ იყვნეს და ინაჯ-ედგა იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა.

11. და ვითარ იხილეს ფარისეველთა მათ, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათუს მეზუერეთა თანა და ცოდვილთა ჭამს მოძღუარი თქუენი?

34. მუნქუესვე C. 2. პრქუა C. 3. მუნქუეს C. 4. გულისხმა- C: ძურსა C. 6. ტერ C. 11. მოძუარი C.

12. ხოლო იესუს ვითარ ესმა, პრქუა მათ: არა უკვს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.
13. მივედით და იკითხეთ, რაა არს: წყალობაჲ მნებავს, და არა მსხუერპლი. რამეთუ არა მოსრულ ვარ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა. (13) ოს. 6,6. მ. 12,7. მრ. 2,17. ლ. 5,32.
14. მაშინ მოუკდეს მოწაფენი იოჰანესნი და პრქუეს მას: რად ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შეენი არა იმარხვენ? (14) მრ. 2,18. ლ. 5,33.
15. და პრქუა მათ იესუ: ნუთუ ეგების შვილთა საქორწინისათა გლოვაჲ ვიდრე სიძე მათ თანა არს? არამედ მოვიდენ დღენი, რაჟამს წარვიდეს მათგან სიძე, და მაშინ იმარხვიდენ.
16. არავინ დაადგის სადგმელი ნახევისა უმურკველისაჲ სამოსელსა ზედა ძუელსა, რამეთუ გამოიღლიძის დგმულმან მან სამოსლისა მისგან, და უძვრეს განხეთქილება იქმნის. (16) მრ. 2,21. ლ. 5,36.
17. არცა შთაასხიან ღვინოჲ ახალი თხიერთა ძუელთა; უკუეთუ არა, განსთქდიან თხიერნი იგი, და ღვინოჲ იგი დაითხიის, და თხიერნი იგი წარწყმდიან. არამედ შთაასხიან ღვინოჲ ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან.
18. ამას რაჲ ეტყოდა მათ, აჰა, მთავარი ვინმე მოუკდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, რამეთუ: ასული ჩემი აწლდა, ესერა, მოკუდა; არამედ მოვედ და დასდევ კელი შენი მის ზედა და ცხონდეს. (18) მრ. 5,22. ლ. 8,41.
19. და აღდგა იესუ და შეუდგა მას და მოწაფენი მისნი მის თანა.
20. და, აჰა, ესერა, დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ზედა ათორმეტ წელ, მოუკდა ზურგიტ კერძო, შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. (20) მრ. 5,25.
21. რამეთუ იტყოდა გულსა თვისსა: შე-ხოლო თუ-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხონდე.
22. ხოლო იესუ მოიქცა, იხილა იგი და პრქუა: ნუ გეშინინ, ასულო! სარწმუნოებაჲმან შენმან გაცხოვნა შენ. — და ცხონდა დედაკაცი იგი მიერ ჟამითგან.
23. და იესუ ვითარ მივიდა სახლსა მის მთავრისასა, იხილა მუნ მგოსნები და ერი აღშფოთებული,

13. მსხუერპლი C. 14. მოწაფენი C. 16. უძვრეს C. 17. ღვინო C. უკუეთუ C. დაიმარხნიან C. 18. თაყუანის-ცემდა C. 21. თუხსა C.

24. და პრქუა მათ: განეყენებით, რამეთუ არა მოკუდა ქალი ესე, არამედ სძინავს. -- და ეკიცხევდეს მას.
25. ხოლო ოდეს გარდაასხეს ერი იგი, შევიდა და უპყრა კელი მისი, და აღდგა ქალი იგი.
26. და განჯდა ჰამბავი ესე მისი ყოველსა მას ქუეყანასა.
- (27) მ. 20,30. 27. და ვითარ წარვიდოდა მიერ იესუ, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, ლაღადებდეს და იტყოდეს: მიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!
28. და რაჟამს შევიდა იგი სახიდ, მოუკდეს მას ბრმანი იგი, და პრქუა მათ იესუ: გრწამს, ვითარმედ შემძლებელ ვარ ყოფად ესე? -- პრქუეს მას: ჰე, უფალო.
29. მაშინ შეახო თუალთა მათთა და პრქუა: მსგავსად სარწუნობისა თქუენისა გეყავნ თქუენ!
30. და აღეხუნეს თუალნი მათ. და შეპრისხნა მათ იესუ და პრქუა: იგუღეთ, ნუმცა ვინ აგრძნობს!
31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადვეს იგი ყოველსა ქუეყანასა მას.
- (32) ლ. 11,14. 32. და ვითარ იგინი გამოვიდეს, აჰა, მოართუეს მას კაცი ყრუჲ ეშმაკეული.
33. და ვითარ განეყენა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუჲ იგი, და დაკრვებულ იყო ერი იგი და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ვინ ესრეთ ისრაჴლსა შორის გამოჩნდა.
- (34) მ. 12,24. მრ. 3,21. ლ. 11,15. 34. ხოლო ფარისეველნი იგი იტყოდეს: მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.
- (35) მრ. 6,6. ლ. 13,22. 35. და მოჰვლიდა იესუ ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისასა და განჰკურნებდა ყოველთა სენთა და უძლურებათა ერსა შორის.
- (36) ეხ. 53,6. მრ. 6,34. 36. და ვითარცა იხილა ერი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს დამაშურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი.
- (37) ლ. 10,2. ი. 4,35. 37. მაშინ პრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი -- მცირედ.
- (38) 2 თეს. 3,1. 38. ევედრენით უფალსა სამკალისასა, რაჲთა გამოავლინნეს მიქმედნი სამკალსა თჳსსა.

28. პრქ-უხ C; 30 C. 30. ოჯალნი C; 32. მთართუეს C; 33. დაკრვებულ C; 36. მსრქმედნი C; თესსა C.

10

1. და მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თვსთა და მისცა მათ ჳელმწიფებაჲ სულთა ჴედა არაწმიდათა, რაჲთა განასხმიდენ მათ და განჰკურნებდენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძღურებათა. (1) მრ. 3,14. ლ. 9,1.
2. ხოლო ათორმეტთაჲ მათ მოციქულთაჲ არს სახელები ესე: პირველად სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმაჲ მისი, იაკობ ჴებედესი და იოჰანე, ძმაჲ მისი,
3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მათეოზ მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებეოს, რომელსა ეწოდა თადეოზ.
4. სიმონ კანანელი და იუდა სკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.
5. ესე ათორმეტნი წარავლინნა იესუ, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარმართთასა ნუ ხუალთ და ქალაქსა სამარიტელთასა ნუ შეხუალთ.
6. მივედით უფროდს ხოლო ცხოვართა წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა. (6) მ. 15,24.
7. და მი-რაჲ-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ. (7) ლ. 9,2.
8. უძღურთა განჰკურნებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით: უსასყიდლოდ მივილებიეს, უსასყიდლოდცა მისცემდით.
9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა პილენძსა სარტყელთა თქუენთა, (9) მრ. 6,8. ლ. 9,3.
10. ნუცა გუდაჲ გზასა, ნუცა ორი კუართი, ნუცა კამლნი, ნუცა არგანი, რამეთუ ღირს არს მოქმედი საზრდელისა თვისისა. (10) ლ. 10,7. 1 ტმ. 5,18.
11. რომელსა ქალაქსა შეხვდეთ ანუ დაბასა, გამოიკითხეთ, რომელი მას შინა ღირს იყოს, და მუნ დაიყოვნეთ ვიდრე გამოსლვამდე.
12. ხოლო რაჟამს შეხვდოდით სახლსა, მოიკითხეთ იგი და თქუთ: მშჳდლობაჲ სახლსა ამას! (12) ლ. 10,5.
13. და თუ ღირს იყოს სახლი იგი, მოვედინ მშჳდლობაჲ იგი თქუენი მას ჴედა: უკუეთუ არა ღირს იყოს, მშჳდლობაჲ იგი თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.

1. განასხმიდენს C. განჰკურნებდენს C. 5. ხუალი C. 7. მო-ათა-ხედუო C. 9. პილენძისა C. 12. რაჟამს C.

- (14) მრ. 6, 11.
ლ. 9, 5. სქ
13, 51.
14. ხოლო რომელმან არა შეგიწყნარნეს თქვენ და არცა ისმინნეს სიტყუათა თქუენთაჲ, რაჟამს გამოხვდოდით მიერ სახლით, ანუ ქალაქით, დაიყარეთ მტუერი ფერჯთაგან თქუენთა.
15. მართლიად გეტყვ თქუენ: ულხინულეს იყოს ქუეყანაჲ სოდომისაჲ და გომორისაჲ დღესა საშჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.
- (16) ლ. 10, 3.
რომ. 16, 19. 2
კორ. 1, 2.
16. აჰა, ესერა, მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყვენით თქუენ მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.
17. ხოლო ეკრძალებოდეთ კაცთაგან, რამეთუ მიგცნენ თქუენ კრებულებსა, და შორის ურაკპარაკთა მათთა გგუემდენ თქუენ.
18. და წინაშე მსაჯულთა და მეუფეთა წარგადგინენ თქუენ ჩემთს, საწამებელად მათა და წარმართთა.
- (19) მრ. 13, 11.
ლ. 12, 11.
19. ხოლო რაჟამს მიგცემდენ თქუენ, ნუ ზრუნავთ, ვითარმე, ანუ რასამე იტყოდით, რამეთუ მიგცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რაჲ სთქუათ.
20. რამეთუ არა თქუენ ხართ, რომელნი იტყოდით, არამედ სული იგი მამისა თქუენისაჲ, რომელი იტყოდის თქუენ თანა.
21. რამეთუ მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ, და მამამან — შვილი; და აღდგენ შვილნი დედა-მამათა ზედა თსთა და მოკლენ იგინი.
22. და იყვენთ თქუენ მოძულეებულ ყოელთაგან სახელისა ჩემისათს. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.
23. ხოლო რაჟამს გდევნიდენ თქუენ ქალაქსა ამას შინა, მიივლტოდეთ სხუად. უკუეთუ მიერცა გდევნიდენ თქუენ, წარივლტოდეთ მიერ მერმესა. მართლიად გეტყვ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჴლისაჲ მოსლვადმდე ძისა კაცისაჲსა.
- (24) ლ. 6, 40.
ი. 13, 16; 15, 20.
24. არა არს მოწაფჴ უფროჲს მოძღურისა თსისა, არცაღა მონაჲ უფროჲს უფლისა თსისა.

15. ექვეყნ. 18. წარვიდგინენ. 19. ვიტყოდით. 20. რაჟამს. 22. ცხონდეს. 23. უკუეთუ. 24. მოსლვადმდე.

25. კმა არს მოწაფისა, იყოს თუ ვითარცა მოძღუარი თუსი, და მონაჲ იგი, ვითარცა უფალი თუსი. სადა მამასახლისსა ბერზებულით ხადოდეს, რაოდენ უფროჲს სახლეულთა მათ მისთა? (25) მ. 9,34.
26. ნუ გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარულ, რომელ არა განცხადნეს, არცა საიდუმლოჲ, რომელი არა გამოინდეს. (26) მრ. 4,22. ლ. 8,17; 12,2.
27. რომელსა გეტყვ თქუენ ბნელსა შინა, თქუთ ნათელსა, და რომელ ყურთა გესმეს, ქადაგებდით მას ერდოებსა ზედა. (27) ლ. 12,4.
28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელნი-იგი მოსწყუედდენ ჯორცთა თქუენთა, ხოლო სულთა თქუენთა ვერშემძლებელ იყვნენ მოწყუედად. არამედ გეშინოდენ მისა უფროჲს, რომელსა კელ-ეწიფების სულთა ჯორცითურთ წარწყმედად გეჰენიასა შიდა. (28) ლ. 12,4.
29. არა ორი სირი ერთის დანგის განიყიდის? და ერთიცა მათგანი არა დავარდის ქუეყანასა ზედა, თვნიერ მამისა თქუენისა. (29) ლ. 12,6.
30. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი აღრაცხილ არიან. (30) ლ. 12,6.
31. ნუჟკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ. (31) ლ. 12,6.
32. ყოველმან რომელმან აღმიაროს მე წინაშე კაცთა, აღვიარო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა. (32) მრ. 8,38. ლ. 9,26; 12,8.
33. ხოლო რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგი მეცა წინაშე მამისა ჩემისა, რომელ არს ცათა შინა. (33) 2 ტმ. 2,12.
34. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშუდობისა ქუეყანასა ზედა; არა მოვედ მიფენად მშუდობისა, არამედ მახვლისა. (34) ლ. 12,51.
35. რამეთუ მოსრულ ვარ განყოფად კაცისა მამისა თუსისაგან და ასულისა - დედისა თუსისაგან და ძისცოლისა -- დედამთილისაგან. (35) ლ. 12,51.
36. და იყვნენ მტერ კაცისა სახლეულნი თუსნი. (36) მიქ. 7,6.

26. რაუდენს. 28. მოსწყუედდენს' მოწყუედადს. სულთაჲს. 29. ერთიცა. 32. აღვიაროსს. 34. მშუდობისა'ს; მშუდობისა'ს. 36. იყვინესს.

- (37) ლ. 14,26. 37. რომელსა უყუარდეს მამაჲ თჳსი გინა თუ დედაჲ თჳსი ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძმ თჳსი, გინა თუ ასული თჳსი ჩემსა უფროჲს, იგი არა არს ჩემდა ღირს.
- (38) მ. 16,24. 38. და რომელმან არა აღილოს ჳუარი თჳსი და არა მრ. 8,34. შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.
- (39) მრ. 8,35. 39. რომელმან პოს თაჳი თჳსი, წარიწყმიდოს იგი; ლ. 9,24. ი. 12,25. და რომელმან წარიწყმიდოს თაჳი თჳსი ჩემთჳს, მან პოს იგი.
- (40) ლ. 10,16. 40. რომელმან შეგიწყნარნეს თქუნენ, მე შემიწყნარა; ი. 13,20. და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.
41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაჲსწარმეტყუელისაჲ მოიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისაჲ მოიღოს.
- (42) მრ. 9,41. 42. და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელ ერთ წყალი გრილი სახელად მოწაფისა, მართლიად გეტყჳ თქუნენ, არავე წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

11

1. და იყო, რაჟამს დაასრულა იესუ ბრძანებაჲ ესე ათორმეტთა მიმართ მოწაფეთა თჳსთა, წარიძრა მიერ სწავლად და ქადაგებად ქალაქებსა მათსა.
- (2) ლ. 7,18-19. 2. ხოლო იოჰანეს ესმა საპყრობილეს შინა საქმენი იგი ქრისტჳსნი, მიავლინნა მოწაფენი მისნი
- (3) 2მჯ. 18,15. 3. და პრქუა მას: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?
4. მიუგო იესუ და პრქუა მათ: მივედით და უთხარიო იოჰანეს, რომელ გესმის და ხედავთ:
- (5) ეხ. 29,18; 35,5. 5. ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, განბოკლებულნი განწყმიდნებიან, და ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან, და ჭირვეულთა ეხარების.
- (10) მალ. 3,1. 6. და ჩეტარ არს, რომელი არა სცითეს ჩემდა მომართ.

7. ხოლო ესენი რაჲ წარვიდეს, იწყო იესუ სიტყუად იოჰანესთჳს: რაჲსა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა ქარისაგან რორინებულისა?

8. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩვლითა სამოსლითა შემკულისა? აჰა, ესერა, რომელნი ჩჩვლითა მოსილ არიან, სახლთა შინა მეუფეთასა არიან.

9. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაჲსწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუენ, და უფროჲსღა წინაწარმეტყუელისა.

10. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს-იგი წერილ არს: აჰა, წარვაჲვლინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირსა შენსა, და განმზადოს გზაჲ შენი წინაშე პირსა შენსა.

მრ. 1,2.ლ.7,27.

11. მართლიად გეტყვ თქუენ: არა აღდგომილ არს შობილი დედათაგანი უფროჲს იოჰანესა ნათლისმცემელისა; ხოლო უმცირესი იგი სასუფეველსა მას შინა ცათასა უფროჲს მისა არს.

12. და დღეთა მათგან იოჰანეს ნათლისმცემელისათა მოაქამდე სასუფეველი ცათაჲ იიძულების, და მძლავრნი მიიტაცებენ მას.

(12) ლ. 16,16.

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და შჯული იოჰანშსამდე წინაწარმეტყუელებდეს.

14. და თუ გნებავს შეწყნარებად, ეგე თავადი არს ელია, რომელ-იგი მოსლვად არს.

(14) მალ. 3,23.

15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

16. რასამე ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს იგი ყრმათა, მსხდომარეთა შორის უბნებსა, რომელთა მოხადიან მოყუასთა მათთა

(16) ლ. 7,31.

17. და პრქჳან: გისტუნევედით, და არა პროკევედით: გიგოდებდით თქუენ, და არა ეტყებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოჰანე, არცა ჭამდა და არცა სუმიდა, და იტყჳან, ვითარმედ: ეშმაკეულ არს.

19. მოვიდა ძჳ კაცისაჲ, ჭამდა და სუმიდა, და იტყჳან: აჰა. კაცი მჭამელი და ღუნისა მსუმიელი, მეზუერეთა მეგობარი და ცოდვილთაჲ! და განმართლდა სიბრძნე იგი ნაშობთაგან მისთა.

(19) ლ. 7,34-35.

7. სავაჲჲლ. 9. მრ. 11. მართლიად. 12. კითხულების. 13. სხუელად. 14. მკლავად. 17. პრქჳან. 18. თანსწრ. 19. მტრ: იტყჳან. მკლავად.

20. მაშინ იწყო იესუ ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს:
- (21) ლ. 10,13. 21. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა! ვითარმედ ტუროსს თუმცა და სიდონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამემცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.
22. ხოლო გეტყვ თქუენ: ტუროსი და სიდონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქუენ.
23. ხოლო შენ, კაფარნაომ, ნუ ცადმდე აჰმალდეგი, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჰკდე, ვითარმედ სოდომს თუმცა იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღემდის.
24. რამეთუ გეტყვ თქუენ: ქუეყანაჲ იგი სოდომისაჲ და გომორისაჲ უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ.
- (25) ფს. 8,3. 25. მას ჟამსა შინა იტყოდა იესუ და თქუა: აგიარებ ლ. 10,21. 1 შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ კორ. 1,27. 2 დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და კორ. 11,3. გამოუცხადე ესე ჩჩულთა.
26. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე.
- (27) მ. 16,17. 27. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და არა ნ. 3,35; 6,46. ვინ იცის ძმე, გარნა მამამან; არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან; და რომლისაჲ უნდეს ძესა, გამოცხადების.
28. მოედით ჩემდა ყოველნი დამაშურალნი და რომელთა ტურთი მძიმე გეტურთა, და მე განგისუენო თქუენ.
- (29) იერ. 6,16. 29. ადღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსუენებაჲ სულთა თქუენთა.
- (30) 1 ი. 5,3. 30. რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტურთი ჩემი მცირე არს.

20. ყუედრებად C. 22. ტუროსი C. 23. შთაჰკდე C. სოდომს C. ძალნი. რომელნი იქმნეს C. 25. გამოუცხადე C. ჩჩულთა C. 28. განგისუენო C.

12

1. მას უამსა შინა წარვიდოდა იესუ დღესა შაფათსა ყანობირსა მათსა. ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია, და იწყეს მუსრვად თავისა ჯოვილისა და ჭამად. (1) 2შჯ. 23,25. მრ. 2,23. ლ. 6,1.
2. ხოლო ფარისეველთა მათ რაჲ იხილეს, პრქუეს მას: აჰა, ესერა, მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ-არს შაფათსა შინა საქმედ.
3. ხოლო თავადმან პრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რაჲ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია, და მისთანათა მათ?
4. ვითარ-იგი შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა, რომელთაჲ არა ჯერიყო ჭამად მისა, არცა მისთანათა მათ, გარნა მღდელთა ხოლო? (4) გამ. 29,32. 1 მფ. 21,7. მრ. 2,26. ლ. 6,4.
5. ანუ არა აღმოგიკითხავს შჯულსა, რამეთუ შაფათსა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაფათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო არიან?
6. ხოლო მე გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროჲს არს აჰა.
7. უკუეთუმცა გეცნა, რაჲ არს: წყალობაჲ მნებავეს და არა მსხუერპლი, არცამცა შჯიდით უბრალოთა. (7) ოს. 6,6. მ. 9,13.
8. რამეთუ უფალ არს ძმ კაცისაჲ შაფათისაცა.
9. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა შესაკრებელსა მათსა. (9) მრ. 3,1. ლ. 6,6.
10. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჯელი განკმელ ედგა. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკუეთუ ჯერ-არს შაფათსა კურნებაჲ? — რაჲთამცა შეასმინეს იგი.
11. ხოლო იესუ პრქუა მათ: ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი, და შთავარდეს იგი შაფათსა შინა ჯნარცუსა, არამე უპყრას და აღადგინოს იგი?
12. აწ უკუე რაოდენმე უმჯობეს არს კაცი ცხოვრისა? აწ ჯერ-არს შაფათსა შინა კეთილისა საქმე.
13. მაშინ პრქუა კაცსა მას: განირათხ ჯელი შენი! — და მან განირთხა, და განცოცხლდა, ვითარცა ერთი იგი.

14. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-
ყვეს მისთვის, რადთამცა წარწყმიდეს იგი. და იესუ,
ვითარ გულისხმა-ყო, წარვიდა მიერ.

15. და მისდევდეს მას ერნი მრავალნი, და განკურნა
იგი ყოველნი.

16. და შეპრისხნა მათ, რადთა არა გამოაცხადონ იგი.

17. რადთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, ესაია
წინაწარმეტყუელისა თქუმული.

18. აჰა, ესერა, ძმ ჩემი, რომელი გამოვირჩიე, რომელ
სთნავს სულსა ჩემსა. დაედვა სული ჩემი მის ზედა და
სამართალნი წარმართთა მიუთხრნეს.

19. არა უკდებოდის, არცა ღალადებდეს, არცა ესმეს
ვის უბნებსა ვმად მისი.

20. ლერწამი დასხერილი არა შემუსროს, და
პატრუკი აღნთებული არა დაშრტეს, ვიდრემდის
გამოიღოს მძლედ სასჯელი.

(21) ეს. 42,1-4.

21. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.

(22) ლ. 11,14.

22. მაშინ მობართუეს მას ეშმაკეული ბრმაჲ და ყრუჲ,
და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუჲ იგი და ბრმაჲ
იტყოდესცა და ხედვიდესცა.

23. და დაუკვრდებოდა ყოველსა მას ერსა და
იტყოდეს: ნუმცა ესე არს ქრისტჳ, ძმ იგი დავითისი?

(24) მ. 9,34. მრ.
3,22. ლ. 11,15.

24. ხოლო ფარისეველთა მათ ვითარ იხილეს, თქუეს:
ესე არარადთ განჰკდის ეშმაკთა მათ, გარნა
ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთადათა.

(25) მრ. 3,24.
ლ. 11,17.

25. ვითარ ცნა იესუ ზრახვაჲ იგი მათი, ჰრქუა მათ:
ყოველი სამეუფოჲ, გავთული თავსა ზედა მისსა,
ალოკრდის; და ყოველი ქალაქი ანუ სახლი,
განყოფილი თავსა ზედა თქსსა, ვერ დადგეს.

26. და თუ ეშმაკი ეშმაკსა განჰკდის, თავსა ზედა
თქსსა გავთულ არს; ვითარმე უკუე ეგოს მეუფებაჲ
იგი მისი?

27. უკუეთუ მე ბელზებულითა განჰკვდი ეშმაკთა,
ძენი თქუენნი რომლითა განასხმენ? ამისთვის იგინი
მსაჯულ თქუენდა იყვნენ.

11. გულისხმა-ყო. 17. ესაია C. 18. მიუიხრნენ C. 22. მობართუეს C. 23.
დაუკვრდებოდა C. 24. გარნა C. 27. უკუეთუ C.

28. უკუეთუ სუღითა ღმრთისაჲთა განვჰკდი მე ეშმაკთა, უკუე მოწევენულ არს თქუენ ზედა სასუფეველი იგი ღმრთისაჲ.

29. ანუ ვითარმე ვინ უძლის შესღვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭრისა მისისა იავარის-ყოფაჲ, ვიდრე არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მაშინღა სახლი იგი მისი იავარ-ყოს?

30. რომელი ჩემ თანა არა არს, იგი ჩემდა მტერ არს; და რომელი არა შეპკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევეს.

31. ამისთვის გეტყვ თქუენ: ყოველივე ცოდვაჲ და გმობაჲ მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისათჳს გმობაჲ არა მიეტეოს.

(31) მრ. 3.28.
ლ. 12, 10. 1
ი. 5, 16.

32. და თუ ვინმე თქუას სიტყუაჲ ძისა კაცისაჲსათჳს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათჳს, არა მიეტეოს მას არცა ამას საუკუნესა, არცა მერმესა.

33. ანუ ყავთ ხმ იგი კეთილ და ნაყოფიჯა იგი მისი კეთილ; ანუ ყავთ ხმ იგი ჯერკუალ და ნაყოფი მისი ჯერკუალ; რამეთუ ნაყოფისაგან ხმ საცნაურ იქმნის.

34. ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ უძლოთ კეთილისა სიტყუად? რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ, რამეთუ ნამეტავისაგან გულისა პირი იტყვს.

(34) ლ. 6, 45.

35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი.

36. ხოლო მე გეტყვ თქუენ: ყოველი სიტყუაჲ ცუდი, რომელი თქვან კაცთა, მისცენ მისთვის სიტყუაჲ დღესა მას სასჯელისასა.

37. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.

(37) ლ. 19, 22.

38. მაშინ მიუგეს მას რომელთამე მწიგნობართაგანთა და ფარისეველთაგანთა და პრქუეს: მოძღუარ, გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ.

(38) მ. 16, 1. 1
კორ. 1, 22.

39. ხოლო მან მიუგო მათ და პრქუა: ნათესავი უკეთური და მომრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა სასწაული იონაჲს წინაწარმეტყუელისაჲ.

(39) ლ. 11, 29.

33. ზეშ' C. ზეშ' C. 36. ვეღვეუ C. ხორევაჲ C. თქუენ C. 37. შენთაგ' C.

- (40) იონ. 2,1. 40. რამეთუ ვითარცა იყო იონა მუცელსა მას ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრე იყოს ძმ კაცისაჲ გულსა შიდა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე.
- (41) იონ. 3,5. ლ. 11,32. 41. კაცი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავსა ამას თანა და დასაჯონ იგი, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა იონაჲსსა; და, აჰა, ესერა, უფროჲს იონაჲსა არს აჰა.
- (42) 3 მფ. 10,1. 2 მჭ. 9,1. ლ. 11,31. 42. დედოფალი იგი ბლუარისაჲ აღდგეს სასჯელსა მას ნათესავსა ამას თანა და დასაჯონ იგი, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნისა სოლომონისა; და, აჰა, უფროჲს სოლომონისა არს აჰა.
- (43) ლ. 11, 24. 43. ხოლო რაჟამს არაწმიდაჲ იგი სული გამოვიდეს კაცისაგან, განვიდეს იგი ურწყულთა ადგილთა, ეძიებნ განსასუენებელსა ადგილსა და არა პოის.
44. მაშინ თქვს: მივიქცე სახიდ ჩემდა, ვინაჲთცა-იგი გამოვედ. და მოვიდის და პოვის იგი ცალიერი, მომართებული და განშუენებული და შემკული.
- (45) 2 პეტ. 2,20. ებრ. 6,4. 45. მაშინ წარვიდის და მოიყვანის მის თანა სხუანი სულნი შუდნი, უბოროტესნი მისა, და მოვიდის და დაემკვდრის მუნ. და იქმნის უკუანაჲსკნელი კაცისაჲ მის უძრეს პირველისა მის. ესრეთ ეყოს ნათესავსაცა ამას უკეთურსა.
- (46) მრ. 3,31. ლ. 8,19. 46. და ვიდრე იგი ეტყოდალა ერსა მას, აჰა, ესერა, დედაჲ მისი და ძმანი მისნი ღგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად.
47. მაშინ პრქუა ვინმე მას: აჰა, დედაჲ შენი და ძმანი შენნი დგანან გარე და უნებს რამეჲ სიტყუად შენდა.
48. ხოლო იესუ მიუგო მეტყუელსა მას და პრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი, ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი?
49. და მიყო კელი მისი მოწაფეთა თვსთა და თქუა: აჰა, დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!
- (50) ი. 15,14. 50. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ მამისა ჩემისა ზეცათაჲსაჲ, იგი არს ძმაჲ, დაჲ და დედაჲ.

40. მუცელსა C: ეგრე C: დღე C. 41. აღდგეს C: იონაჲსსა C. 43. რაჟამს C. 45. შუდნი C: მისსა C. და' C: ეკოსიყოს C. 46. მხო' მისნი C.

13

1. მას დღესა შინა გამოვიდა იესუ სახლისა მისგან და დაჯდა ზღვსკიდესა.
2. და შეკრბა მისა ერი მრავალი, ვიდრემდე შესღვად მისა ნავად და დაჯდომად. და ყოველი იგი ერი ზღვსკიდესა დგა.
3. და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით და პრქუა: (3) მრ. 4,2. ესერა, გამოვიდა მთესვარი თესვად. ლ. 8,4.
4. და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა. და მოვიდეს მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი.
5. და სხუაჲ დაჯარდა კლდესა ზედა, სადა არა იყო მიწაჲ ფრიად; და მეყსეულად აღმოსცენდა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაჲ.
6. მზე აღმოჰკდა, დასცხა და, რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განკმა.
7. და სხუაჲ იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.
8. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა: რომელიმე — ასსა, და რომელიმე — სამეოცსა, და რომელიმე — ოცდაათსა.
9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
10. და მოუკდეს მოწაფენი და პრქუეს მას: რაჲსათჳს იგავით ეტყჳ მათ?
11. ხოლო იესუ პრქუა მათ: რამეთუ თქუნდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ სასუფეველისა ცათაჲსაჲ, ხოლო მათდა არა მიცემულ არს.
12. რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელღა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მას. (12) მ. 25,29. მრ. 4,25. ლ. 8,18; 19,26.
13. ამისთჳს იგავით ვეტყჳ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, და ესმის და არა ესმის, და არცა გულისხმა-ყვიან.

- (14) მრ. 4, 12.
ლ. 8, 10. ი. 12, 40.
სქ. 28, 26.
რომ. 11, 8.
14. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყუელება იგი ესაია წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: სმენით ესმოდის და არა გულისხმა-ყონ, და ხედვით ხედვიდენ და არა იხილონ.
- (15) ეს. 6, 9-10.
15. რამეთუ განზრქნა გული ერისაჲ ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუკუე თუალითა იხილონ და ყურითა ისმინონ და გულითა გულისხმა-ყონ, და მოიქცენ და განიკურნენ იგინი.
- (16) ლ. 10, 23.
16. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი თქუენნი, რამეთუ ესმის.
- (17) 1 პეტ. 1, 10.
17. ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინააღწარმეტყუელთა და მართალთა გული ეტყოდა ხილვად, რომელსა ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და ვერ ესმა.
- (18) მრ. 4, 15.
ლ. 8, 11.
18. თქუენ აწ ისმინეთ იგავი იგი მთესვარისაჲ.
19. ყოველსა რომელსა ესმინ სიტყუაჲ იგი სასუფეველისაჲ და არა გულისხმა-ყვს, მოვიდის უკეთური იგი და მიიტაცის დათესული იგი გულსა მისსა. ესე იგი არს, რომელი-იგი გზასა თანა დაეთესა.
20. ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელსა სიტყუაჲ იგი ესმინ, წუთ ერთ სიხარულით შეიწყნარის იგი.
21. და რამეთუ ძირი არა აქუნ გულსა მისსა, არამედ საწუთრო არნ. რაჟამს უკუე არნ ჭირი ანუ დევნულებაჲ სიტყუსა მისთჳს, მეყსეულად ცთის.
22. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შიდა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშდვის სიტყუაჲ იგი, და უნაყოფო იქმნის.
23. ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესე იგი არს: რომელმან სიტყუაჲ იგი ისმინის და გულისხმა-ყვის და გამოიღის ნაყოფი და ყვის: რომელმანმე -- ასი, რომელმანმე -- სამეოცი, რომელმანმე -- ოცდაათი.

14. გულისხმა-ყ. - მესაჲ. 15. გულისხმა-ყ. - მითნი. თუალთა. 19. გულისხმა-ყვს. 21. უკუე. ხილვასა. 23. გულისხმა-ყ.

24. სხუამ იგავი დაუდგა მათ და პრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მთესვარსა კეთილისა თესლისა აგარაკსა თვსსა.
25. და რაჟამს დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მისი მტერი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა და წარვიდა.
26. რაჟამს უკუე აღმოსცენდა ჯეჯელი და ნაყოფი გამოილო, მაშინლა გამოჩნდა ღუარძლი იგი.
27. და მოვიდეს მონანი იგი მამასახლისისანი და პრქუეს მას: უფალო, არა კეთილი თესლი დასთესე აგარაკსა ამას შენსა? აწ ვინაჲ პრთავს ღუარძლი ესე?
28. ხოლო მან პრქუა მათ: მტერმან კაცმან ყო ესე. მონათა მათ პრქუეს მას: გნებავს, თუ მივიდეთ და მოვპმარგლოთ იგი?
29. ხოლო მან პრქუა მათ: არა, ნუუკუე მომარგლასა მას ღუარძლისასა აღმოჰფხურათ მის თანა იფქლიცა.
30. აცადეთ თანად აღორძინებად ორთავე მიმკამდის; და ჟამსა მკისასა უბრძანო მომკალთა: შეკრიბეთ ღუარძლი იგი პირველად და დაკართ იგი ძნეულად დასაწუველად; ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.
31. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და პრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ მარცუალსა მდოგვსასა, რომელ მოილო კაცმან და დასთესა აგარაკსა თვსსა, (31) მრ. 4,30. ლ. 13,18.
32. რომელ უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძნდის, უფროჲს ყოველთა მხალთასა არნ, და იქმნის ხმ, ვიდრე მოსლვადმცა მფრინველთა ცისათა და დადრგომად რტოთა მისთა.
33. სხუასა იგავსა ეტყოდა მათ: მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ ცომსა, რომელ მოილის დედაკაცმან და შეპრია ფქვილსა სამსა გრივსა, ვიდრემდის განაფუენა ყოველი. (33) ლ. 13,20.
34. ამას ყოველსა ეტყოდა იესუ იგავით ერსა მას, და უიგავოდ არას ეტყოდა მათ. (34) მრ. 4,33.

26. რაჟამს: უკუეც. 31. მარცუალსა. 32. ვიდრე; ლც: მისლვადმცა.

(35) ფს. 48,4;
77,2.

35. რაათა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისა თქუმული: აღვალო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა სოფლისდაბადებითვანთა.

36. მაშინ დაუტევა ერი იგი და მოვიდა სახიდ თუსა იესუ. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი და პრქუეს: გუთხარ ჩუენ იგავი იგი ღუარძლისაჲ და აგარაკისაჲ.

37. მან მიუგო მათ და პრქუა: მთესვარი იგი თესლისა მის კეთილისაჲ ძმ კაცისაჲ არს.

38. აგარაკი არს ესე სასუფეველი, ხოლო კეთილი იგი თესლი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ღუარძლი იგი არიან ძენი უკეთურისანი.

(39) იელ. 4,13.
გცხ. 14,15.

39. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესნა იგინი, ეშმაკი არს; და მკაჲ იგი არს აღსასრული ამის სოფლისაჲ; და მომკალნი იგი ანგელოზნი არიან.

40. ვითარცა-იგი შეკრიბიან ღუარძლი და ცეცხლითა დაწვან, ეგრე იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ.

41. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თსნი და შეკრიბნეს სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უშჯულოებისანი.

42. და შესთხინენ იგინი საკუმილსა მას ცეცხლისა აგზებულისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

(43) სბრ. 3,7.
დან. 12,3.

43. მაშინ მართალნი გამობრწყინდენ, ვითარცა მზმ, სასუფეველსა ცათასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

44. კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ საუნჯესა, დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით წარვიდა, და განყიდა ყოველი, რაჲცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.

45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა.

46. და პოის რაჲ ერთი მრავალსასყიდლისა მარგალიტი, წარვიდა და განყიდა ყოველი, რაჲცა ედვა, და მოიყიდა იგი.

36. მოწაფენი C. 38. სასუფეველი C. 41. შეკრიბნეს C. 41. ძმმან C. შკერიკნეს C.

47. მერმე კუალად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ სათრომელსა, რომელ სდვიან ზღუასა და ყოვლისაგან თესლად-თესლადისა შეკრიბიან.

48. რაჟამს უკუეადივისის, გამოილიანი იგი ზღვსკიდედ და დადვიან და განარჩიიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჯერკუალი იგი გარეგანაბნიან.

49. ეგრე იყოს აღსასრულსა ამის სოფლისასა: განვიდენ ანგელოზნი და განარჩიენ უკეთურნი მართალთაგან.

50. და შთასთხინენ იგინი საკუმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.

51. გულისხმა-ყავთ ესე ყოველი? პრქუეს მას: ჰე, უფალო.

52. ხოლო მან პრქუა მათ: ამისთვის ყოველი მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს კაცსა მამასახლისსა, რომელმან-იგი გამოილის საფასისა თვისისაგან ახალი და ძუელი.

53. და იყო, რაჟამს დაასრულა იესუ იგავები ესე, წარვიდა მიერ.

54. და მოვიდა სოფლად თუსა და ასწავებდა მათ შესაკრებელთა მათთა, და დაუკურდებოდა მათ და იტყოდეს: ვინაჲ არს ამისა სიბრძნე ესე და ძალნი? (54) მრ. 6,1. ლ. 4,16.

55. ანუ არა ესე არს ხურომსაჲ იგი ძმ? არა დედასა მისსა მარიამ პრქვან? და ძმათა მისთა — იაკობ და იოსებ და სიმონ და იუდა? (55) ი. 6,42.

56. და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ თანა არიან? ვინაჲ არს ამისა ყოველი ესე?

57. და სცთებოდეს მისა მიმართ. ხოლო იესუ პრქუა მათ: არა არს წინაჲსწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა სოფელსა თუსსა და სახლსა შინა თუსსა. (57) მრ. 6,4. ლ. 4,24. ი. 4,44.

58. და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათუს.

47. თესლად-თესლადისაჲ C. 48. უკუე C. 51. კულისხმა- C. 52. დამოწაფებული C. 51. დაუკურდებოდა C: ესმ C. 57. წინაჲსწარმეტყუელი C.

(1) მრ. 6,14.
ლ. 9,7.

1. მას უამსა შინა ესმა პეროდეს ჩოროროდსა პამბავი იესუსი,

2. და პრქუა მონათა თვსთა: ესე იოჰანე არს ნათლისმცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და ამისთვის ძალნი იგი იქმნებიან მისგან.

(3) მრ. 6,17.
ლ. 3,19.

3. რამეთუ პეროდე მაშინ შეიპყრა იოვანე, შებორკილა იგი და შეაყენა საპყრობილედ პეროდიაჲსთვის, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თვისისაჲსა.

4. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე: არა ჯერ-არს შენდა ცოლებად მაგისი.

5. და უნდა ლათუ მისი მოკლვად, და შეეშინა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი შეერაცხა იგი.

6. ხოლო რაჟამს შობისა დღენი იყვნეს პეროდესნი, როკვიდა ასული პეროდიაჲსი შორის, და სთნდა პეროდეს როკვად იგი მისი,

7. რომლისაგან ფიცით აღუთქუა მას მიცემად, რადცა სთხოოს.

8. ხოლო იგი წინაჲსწარ ბირებულ იყო დედისაგან თვისისა და პრქუა: მომეც მე აქა ლანკლითა თავი იოვანე ნათლისმცემლისაჲ.

9. და შე-ლათუ-წუხნა მეფე, ფიცისა მისთვის და მის თანა შეინაჲეთა ბრძანა მიცემად იგი მას.

10. და მიავლინა და მოჰკუეთა თავი იოვანეს საპყრობილეს შინა.

11. და მოართუეს თავი მისი ლანკლითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა დედასა თვისსა.

12. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარილეს გუამი მისი და დაჰფლეს, და მოვიდეს და უთხრეს იესუს.

(13) მრ. 6,32.
ლ. 9,10.

13. ხოლო ესმა რაჲ იესუს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა მიერ უდაბნოსა ადგილსა თვისაგან. და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდა მას მკურცხილ ქალაქებისაგან.

14. და გამოვიდა იესუ და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნა სნეულნი მათნი.

1. მაროდეს C: o- ვსი C. 6. იუკუნეს C. 8. ბირმბუელ C. 11. შიართუეს C. 14. ხნეულნი სხელნი C: მათნი მწაჲკურნი C#.

15. და ვითარცა შემწუხრდა, მოუკდეს მოწაფენი მისნი და პრქუეს მას: უდაბნო არს ადგილი ესე, და ჟამი გარდასრულ არს; განუტევე ერი ესე, რაჟთა წარვიდენ გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თვისისა საზრდელი.

16. ხოლო იესუ პრქუა მათ: არა უკმს მათ წარსლვამ; ეცით მაგათ თქუენ ჭამადი.

17. ხოლო მათ პრქუეს მას: არა გუაქუნს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი.

(17) მრ. 6,38.
ლ. 9,13. ი. 6,9.

18. ხოლო თავადმან პრქუა მათ: მომართუთ მე იგი აქა!

19. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ თივასა ზედა. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და მისცა მოწაფეთა თხსთა პური იგი, და მოწაფეთა მისცეს ერსა მას.

20. და ჭამეს ყოველთა და განძლეს; და აღილეს ნეშტი ნამუსრევისაჲ ათორმეტი გოდორი სავსე.

21. ხოლო რომელთა ჭამეს, იყვნეს მამანი ხუთ ათას, თვნიერ ყრმებისა და დედებისა.

22. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვამ ნავსა და წინაწარძღუანვად მისა წიაღკერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი.

23. და ვითარცა განუტევა ერი იგი, აღვიდა მთასა ლოცვად თხსაგან. და შე-რაჲ-მწუხრდა, მარტოჲ იპოვა მუნ.

(23) მრ. 6,46.
ი. 6,15.

24. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან, და იგუემებოდეს ღელვათაგან, რამეთუ ქარი იგი იყო პირით.

25. და მეოთხესა საკუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესუ სლვით.

26. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რაჲ ზღუასა ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: საუცარ რაჲმე არს. — და შიშისა მისგან ღაღატ-ყვეს.

27. მეყსეულად ეტყყოდა მათ იესუ და პრქუა: კადნიერ იყვენით! მე ვარ, ნუ გეშინინ!

19. იუზი C; მისცა|მისცემდა C. 22. მოწაფეთა C. 25. მათა C.

26. ზღუას C.

28. მიუგო პეტრე და რქუა მას: უფალო, უკუეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.

29. ხოლო მან პრქუა: მოვედ! და გარდავიდა ნავით პეტრე, ვიდოდა წყალთა ზედა და მოვიდა იესუსა.

30. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად, და ღალატ-ყო და თქუა: უფალო, მიცხენ მე!

31. მეყსეულად იესუ განყო კელი, უპყრა მას და თქუა: მცირედმორწმუნეო, რაჟსა შეორგულდი?

32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას, დაუცხრა ქარი იგი.

33. ხოლო რომელნი-იგი იყვნეს ნავსა მას შინა, მოუკდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჭეშმარიტად ძმ ღმრთისაჲ ხარ შენ.

(34) მრ. 6,53.

34. და განვიდეს და მოვიდეს ქუეყანასა მას გენესარეთისასა.

35. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა და წარავლინნეს ყოველსა მას სანახებსა და მოართუეს მას ყოველი ბოროტად ვნებული.

36. და ევედრებოდეს მას, რაჟთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისისასა. და რომელთა შეახეს, ცხონდეს.

15

(1) მრ. 7,1.

1. მაშინ მოუკდეს იესუს იერუსალმით ფარისეველნი და მწიგნობარნი და პრქუეს:

2. რაჟსათჳს მოწაფენი შენნი გარდავლენ სწავლასა მას მღდელთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჟამს პურსა ჭამედ.

3. მან მიუგო და პრქუა მათ: რაჟსათჳს თქუენცა გარდახუალთ მცნებასა ღმრთისასა სწავლისა თქუენისათჳს?

(4) გამ. 20,12;
21,17. ლევ. 20,9.
2შჯ. 5,16. იგ.
20,20. ზირ. 3,7.
მრ. 7,10. ეფ. 6,2

4. რამეთუ ღმერთმან თქუა: თავ-უყავ მამასა და დედასა; და რომელი ძურსა იტყოდის მამისათჳს ანუ დედისათჳს, სიკუდილით მოკუედინ.

15. მთართუეს C. 16. შე-ხოლო-ახონ C.

5. ხოლო თქვენ თქვთ: რომელმან პრქუას მამასა, გინა თუ დედასა თუსსა ნიჭითა, რომელ-რაადა ჩემგან სარგებელ გეყოს,
6. და არა თავ-პუყოს მამასა თუსსა, -- და შეურაცხ-პყავთ სიტყუაჲ ღმრთისაჲ სწავლისა თქუენისათუს.
7. ორგულნო, კეთილად წინაჲსწარმეტყუელებდა თქუენთუს ესაია და თქუა:
8. ერი ესე ბაგითა ხოლო მადიდებს მე, ხოლო გული მათი განშოვრებულ არს ჩემგან. (8) მრ. 7,6.
9. ცუდად მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა. (9) ეს. 29,13.
10. და მოუწოდა ერსა მას და პრქუა მათ: ისმინეთ და გულისხმა-ყავთ!
11. არა თუ რომელი შევალს პირით, შეაგინებს იგი კაცსა, არამედ რომელი გამოვალს პირისაგან, იგი შეაგინებს კაცსა.
12. მაშინ მოუკდეს მოწაფენი და პრქუეს მას: უწყი, რამეთუ ფარისეველთა ვითარ ესმა სიტყუაჲ შენი, დაბრკოლდეს?
13. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ყოველი ნერგი, რომელი არა დაჰნერგა მამამან ზეცათამა, აღმოიფხურეს. (13) ი. 15,2.
14. ხ- აცადეთ მათ: ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი. ხოლო ბრმაჲ ბრმასა თუ წინაუძღუნ, შესცთიან და ორნივე შთაცვეიან მთხრებლსა. (14) ეს. 42,19. იერ. 5,31. ლ. 6,39.
15. მიუგო პეტრე და პრქუა მას: გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი ეგე.
16. ხოლო იესუ პრქუა მას: აწ, თქუენცა უგულისხმოვე ხართა?
17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად მივალს და განსავალით განვალს?
18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს, იგი შეაგინებს კაცსა. (18) იაკ. 3,6.

5. თქუით C. 9. და C. კციოახ C. 10. გულისხმა- C. 15. გამოგუთარგმანე C. 16. უგულისხმოვე C. 15. გამოგუთარგმანე C#.

(19) დ. 6,50;
8,21. მრ. 7,21.

19. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულისსიტყუანი ბოროტნი, კაცის-კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილისწამებანი, გმობანი.

20. ესე არიან, რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა კელითა ჭამაჲ არა შეაგინებს კაცსა.

(21) მრ. 7,24.

21. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა ადგილთა ტუროსისა და სიდონისათა.

22. და დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათთაგან გამოვიდა, ღაღადებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.

23. ხოლო თავადმან არა მიუგო მას სიტყუაჲ. და მოუტდეს მას მოწაფენი და ეტყოდეს მას და პრქუეს: განუტევე ესე, რამეთუ შეგვდგს ჩუენ და ღაღადებს.

(24) ეს. 58,6.
იერ. 50,6. ეზკ.
34,5-6.
მ. 10,6.

24. ხოლო იესუ პრქუა მათ: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, გარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა.

25. ხოლო იგი მოუტდა, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!

26. ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მას: არა კეთილ არს მოღებაჲ პურისაჲ შვილთაგან და დადებად ძაღლთა.

27. ხოლო მან პრქუა: ჰე, უფალო, და რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭსა გარდამონაცვენებსა ტაბლისაგან უფალთა მათთაჲსა.

28. მაშინ მიუგო იესუ და პრქუა მას: ზ დედაკაცო! დიდ არს სარწმუნოებაჲ შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. — და განიკურნა ასული იგი მისი მიერ ჟამითგან.

29. და წარმოვიდა მიერ იესუ და მოვიდა ზღუსკიდესა მას გალილეაჲსასა, აღვიდა მთასა და დაჯდა მუნ.

(30) ეს. 35,5-6.

30. და მოუტდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვანდა მათ თანა მკვლობელები და ბრმები, ყრუნი და ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითოსახეთაგან სენთა შეპყრობილნი, და დასხნეს იგინი ფერკთა თანა იესუსთა, და განკურნნა იგინი.

22. ძმო C. 23. არათ C. შეკუდგს C. 27. გარდმონაცვენებსა C. 29. ზღუსკიდესა C. 30. დასხნეს იგი C.

31. ვიდრე უკურდაცა ერსა მას, ჰხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი და უტყუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს და აღიდებდეს ღმერთსა ისრაჴლისასა.

32. ხოლო იესუ მოუწოდა მოწაფეთა და პრქუა მათ: (32) მრ. 8,1.
მეწყალის ერი ესე, რამეთუ აწ, ესერა, სამი დღე არს, ვინაჲთგან მელიან მე და არაჲ აქუნს, რაჲმცა ჳამეს; და განტევებაჲ მათი უზმათაჲ არა მინებს, ნუუკუე დაცვენ გზასა ზედა.

33. ხოლო მოწაფეთა მისთა პრქუეს მას: ვინაჲ არს ჩუენდა უდაბნოსა ესოდენი პური, ვინაჲმცა განვაძლეთ ერი ესოდენი?

34. ხოლო იესუ პრქუა მათ: რაოდენი პური გაქუნსაქა? ხოლო მათ პრქუეს: შვიდი პური და მცირედ თევზი.

35. და უბრძანა ერსა მას დასხდომაჲ ქუეყანასა.

36. და მოიღო შვიდი იგი პური და თევზნი და ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, ხოლო მოწაფენი იგი მისცემდეს ერსა მას.

37. და ჳამეს ყოველთა და განძლეს; და მეტი იგი ნამუსრევი აღიღეს შვიდი სფვრიდი სავსე.

38. ხოლო რომელთა ჳამეს, იყვნეს ოთხ ათას მამანი, თჳნიერ ყრმებისა და ღედებისა.

39. და განუტევენა იგინი და აღვიდეს ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალასათა.

16

1. და მოუკდეს მას ფარისევლნი და სადუკეველნი, (1) მ. 12,38.
გამოსცდიდეს, განიკითხვიდეს მას, რაჲთა მრ. 8,11. 1
სასწაული ზეცით უჩუენოს მათ. კორ. 1,22.

2. ხოლო თავადმან მიუგო და პრქუა მათ: შე-რაჲ-მწუხრდის, სთქვთ: ყუდრო იყოს, რამეთუ წითს ცაჲ. (2) ლ. 12,54.

3. და განთიად სთქვთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცაჲ. ორგულნო, ცისა სამე პირი იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ ძალ-გისხენ გულისხმის-ყოფად.

31. უკურდაცა C. 2. მხოქვი C. 3. კულისკმის- C: სოქვი C.

- (4) ი. 2,1.
მ. 12,39.
- (5) მრ. 8,14.
- (6) მრ. 8,15.
ლ. 12,1.
- (13) დან. 7,13-
14. მრ. 8,27.
ლ. 9,18.
- (16) მ. 14,33.
მრ. 8,29.
ლ. 9,20. ი. 6,69.
4. ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, გარნა იონა წინაწარმეტყუელისაჲ. — და დაუტევნა იგინი და წარვიდა.
5. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და დაავიწყდა პურისა მოღებაჲ.
6. ხოლო იესუ პრქუა მათ: იგულეთ და ეკრძალებოდეთ ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.
7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუნს.
8. ვითარ გულისხმა-ყო იესუ, პრქუა მათ: რაჲსა ზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მცირედმორწმუნენო, რამეთუ: პური არა გუაქუნს?
9. არღა გულისხმა-გიყოფიეს, არცა გაკსოს ხუთი იგი ჯუეზაჲ ხუთ ათასთა და რავდენი გოდორი აღიღეთ?
10. და არცა შუდი იგი ჯუეზაჲ ოთხ ათასთა?
11. ვითარ არა გულისხმა-ჰყავთ, რამეთუ არა პურისათჳს გარქუ თქუენ: ეკრძაღენით ცომისა მისგან ფარისეველთაჲსა?
12. მაშინ გულისხმა-ყვეს, რამეთუ არა პრქუა მათ კრძალვაჲ ცომისაჲ, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთაჲსა და სადუკეველთაჲსა.
13. და მოვიდა იესუ კესარიად კერძო ფილიპჭსა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თჳსთა და პრქუა: რაჲ მრქჳან მე კაცთა, ვითარმედ: ვინ ვარ მე, ძე კაცისაჲ?
14. ხოლო მათ თქუეს: რომელთამე თქჳან იოვანე ნათლისმცემელი, რომელთამე — ელია, და რომელთამე — იერემია, ანუ ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.
15. მან პრქუა მათ: თქუენ რაჲ თქჳთ, ვითარმედ ვინ ვარ მე?
16. მიუგო სიმონ-პეტრე და პრქუა: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისაჲ.

7. გუაქუნს C. 8. გულისგმა- C. 9. გულისგმა- C. 10. ჯუეზაჲ C. 11. გულისგმა- C. 12. გულისგმა- C. 13. მრქჳან C. 14. თქუენ C. (თელია C. 16. ღ-ახა C: ცხოველისაჲ C.

17. მიუგო იესუ და პრქუა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ძეო იონაფსო, რამეთუ ჯორცთა და სისხლთა არა გამოვიცხადეს შენ, არამედ მამამან ჩემმან, რომელ არს ცათა შინა. (17) მ. 11,25,27.
18. და მეცა გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და მაგას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. (18) ლ. 22,31-32. 1 პეტ. 2,4. 1 კორ. 3,11.
19. და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი; და რომელი შეპკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს ცათა შინა, და რომელი გაპქსნა ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა. (19) მ. 18,18. ი. 20,23.
20. მაშინ ამცნო მოწაფეთა, რაჲთა არავის უთხრან, რამეთუ იგი არს იესუ ქრისტე. (20) მრ. 8,30.
21. მიერიოგან იწყო იესუ ჩუენებად მოწაფეთა თჳსთა, რამეთუ მისლვად იყო იერუსალმად და ფრიად ვნებად იყო მღდელთმოძღუართაგან და მოხუცებულთაგან და მწიგნობართაგან, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
22. და მოუცდა მას პეტრე, იწყო მისა ლალვად და თქუა: ლხინებამცა არს შენდა, უფალო, და ნუმცა იყოფის.
23. მიექცა პეტრეს და პრქუა: მართლუკუნიქეც ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ დამაბრკოლებელ ხარ შენ ჩემდა, რამეთუ არა ზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა (23) რომ. 8,7.
24. მაშინ პრქუა იესუ მოწაფეთა მისთა: რომელსა პნებავს კუალსა ჩემსა შედგომად, უვარ-ყავნ თავი თჳსი, აღილენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე. (24) მ. 10,38. მრ. 8,34. ლ. 14,27.
25. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებაჲ, მან წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.
26. რაჲმე სარგებელ ეყოს კაცსა, სოფელი თუ შეიძინოს და სული თჳსი წარიწყმიდოს? ანუ რაჲმე მისცეს კაცმან საჯსარად სულისა თჳსისათჳს?
27. რამეთუ ძქ კაცისაჲ მოსლვად არს დიდებითა მამისაჲთა ანგელოზთა თანა მისთა, და მაშინ მიაგოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ. (27) ფს. 61,13. ზაქ. 14,5. მ. 25,31. რომ. 2,6. გცხ. 19,14.

17. ჯოცთა C. 21. ჩუენებებად C. მღდელთმოძღუართაგან C. 23. ღ-ახსანა C. 24. კუა C. 26. თუხა C.

(28) მრ. 9,1.
ლ. 9,27.

28. მართლიად გეტყვ თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ ვემოხ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი სუფევასა თჳსსა.

17

(1) მრ. 9,2.
ლ. 9,28.

1. და შემდგომად მეექუსისა დღისა წარიყვანა იესუ პეტრე, იაკობ და იოვანე, ძმაჲ მისი, და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა მარტოჲ.

2. და იცვალა წინაშე მათსა, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე, და სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი.

3. და მუნქუეს ერუენნეს მათ მოსე და ელია; და ეტყოდეს მას.

4. მიუგო პეტრე იესუს დაჰრქუა: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამტალავარ: შენდა — ერთი და მოსშსა — ერთი და ელიაჲსა — ერთი.

(5) მჯ. 18,15.
მ. 3,17. ლ. 3,22.

5. და ვიდრე იგი ამას იტყოდალა, აჰა, ღრუბელმან ნათლისამან დააგრილა მათ, და მუნქუესვე კმაჲ იყო ღრუბლით გამო, და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მთნავს მე; ისმინეთ მაგისი!

6. და ვითარ ესმა მოწაფეთა, დაეარდეს პირსა ზედა მათსა და შეეშინა ფრიად.

7. და მოუცდა მათ იესუ, კელი შეახო და ჰრქუა: აღდეგით, ნუ გეშინინ!

8. და ვითარ აღიხილნეს თუალნი მათნი, არავინ იხილეს, გარნა იესუ ხოლო მარტოჲ.

9. და ვითარ გარდამოვიდოდეს იგინი მიერ მთით, ამცნო მათ იესუ და ჰრქუა: ნუ ვისუთხრობთ ხილვასა მას, ვიდრემდის ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

(10) მ. 11,14.
მრ. 9,11.

10. და ჰკითხვიდეს მას მოწაფენი და ჰრქუეს: რაჲმე უკუე მწიგნობართა თქჳან, ვითარმედ: ელიადა პირველად მოსლვად არს?

(14) მრ. 9,17.

11. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: ელია მოსლვად არს და ადგიდ-აგოს ყოველი.

3. მუნქუეს C. 4. შენდად C. 5. მუნქუესვე C. 10. უკვე C: თქჳან C.

12. ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ ელია მოვიდა და არა იცნეს იგი, არამედ უყვეს მას, რაოდენიცა უნდა. ეგრეცა ძე კაცისაჲ ვნებად არს მათგან.

13. მაშინ გულისხმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოვანესთჳს ნათლისმცემელისა პრქუა მათ.

14. და ვითარ მოვიდეს ერსა მას თანა, მო-ვინმე-უკდა მას კაცი, მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: ლ. 9,38.

15. უფალო, შეიწყალე ძმ ჩემი, რამეთუ ახლისპიროვან არს და ძვრ-ძვრად იგუემების, რამეთუ მრავალგზის შთავარდის ცეცხლსა და მრავალგზის — წყალსა.

16. და მოვართუ იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკურნებად მისა.

17. მიუგო იესუ და პრქუა მათ: მ ნათესავო ურწმუნოო და გულარძნილო, ვიდრემდის თქვენ თანა ვიყო? ვიდრემდის თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

18. და შეპრისხნა მას იესუ. და განვიდა მისგან ეშმაკი იგი, და განიკურნა წული იგი მიერ ჟამითგან.

19. მაშინ მოუკდეს მოწაფენი იესუს თჳსაგან და პრქუეს მას: ჩუენ რად ვერ უძლეთ განკდად მისა?

20. ხოლო მან პრქუა მათ: მცირედმორწმუნეობისა თქუენისათჳს. რამეთუ მართლიად გეტყვ თქვენ: გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ მდოგვსმარცუალოდენ, პრქუათ მთასა ამას: იცვალე ამიერ! და მუნ იცვალოს. და არა იყოს უძლურება თქუენდა. (20) მ. 21,21. მრ. 9,23; 11,23. ლ. 17,6.

[[21.]]

22. და ვიდრე იქცეოდეს იგინი გალილეას, პრქუა მათ იესუ: მიცემად არს ძე კაცისაჲ ჳელთა კაცთასა, (22) ლ. 9,22; 24,7.

23. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგომად ა. და შეზრუნდეს იგინი ფრიად.

24. და რაჟამს მოვიდეს იგინი კაფერნაომდ, მოუკდეს პეტრეს, რომელნი-იგი დიდრქამასა მოჰკდიდეს და პრქუეს მას: მოძლუარმან თქუენმან არა გამოსცის ხარკი ღრამისაჲ?

13. გულისხმა-ც. 15. ძემც: ივეუქებისც. 17. ნათესავიოც.

20. გაქრეოც: მდოგვსმარცუალოც. 21. დიდრეკმასაც.

25. და მან პრქუა მათ: ჰე. -- და ვითარ შევიდა იგი სახიდ, ასწრო მათ იესუ და პრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ, მეუფეთა ქუეყანისათა რომელთა გამოილიან ხარკი, ანუ თუ ზუერი: შვილთაგან, ანუ უცხოთაგან?

26. პრქუა მას: უცხოთაგან. — პრქუა მას იესუ: აწ უკუე აზნაურ არიან შვილნი იგი.

27. არამედ რაფთა არა დააბრკოლნეთ იგინი, მივედ ზღუასა და შთააგდე სამჭედური და რომელ პირველად აღმოკდეს თევზი, მოილე და ალაღე პირი მისი და ჰპოო მას შინა სასწორი, მოილე იგი და მიეც მათ ჩემ წილ და შენ წილ.

18

1. მას დღესა შინა მოუკდეს მოწაფენი იესუს და პრქუეს: ვინმე უფროჲს არს სასუფეველსა ცათასა?

(2) მრ. 9,36.

2. და მოუწოდა იესუ ყრმასა და დაადგინა მათ შორის

3. და პრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუნ: არა თუ იქცეთ და იქმნეთ, ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვდეთ სასუფეველსა ცათასა.

(4) მრ. 10,14. 1 კორ. 14,20.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმაჲ ესე, ესე არს უდიდეს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ყრმაჲ ერთი ესე ვითარი სახელად ჩემდა, მე შემეწყნაროს.

(6) მრ. 9,42. ლ. 17,1.

6. ხოლო რომელმან აცთუნოს ამათ მცირეთაგანი ერთი, რომელთა ვპრწამ მე, უმჯობე არს მისა, დამოთუმცა-ეკიდა მას ფქული ვირით საფქველი ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა უფსკრულთა ზღუათა.

(7) 1 კორ. 11,19.

7. ვაჲ ამის სოფლისა საცთურთაგან, რამეთუ მოსლვად არს საცთური; ხოლო ვაჲ მის კაცისა, რომლისაგან მოვიდეს საცთური იგი.

(8) მრ. 9,43.

8. უკუეთუ კელი შენი, გინა თუ ფერტი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე და განაგდე იგი შენგან: უმჯობე არს შენდა შესლვად ცხოვრებასა მკელობელისაჲ ანუ უკელოდსაჲ, ვიდრე არა ორთა კელთა, ანუ ორთა ფერტთა დგმასა და შთავრდომად ცეცხლსა საუკუნესა.

25. მრ. C. B. მოკუეთე C.

9. [დ]ა თუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიკადე იგი და განაგდე შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთთუალისაჲ შესლვად ცხოვრებასა, ვიდრელა არა ორთა თუალთა სხმასა და შთავრდომად გეჰენიასა ცეცხლისასა. (9) 2შჯ. 13,6-8. მ. 5,29.
10. ხ- ეკრძალენით, ნუ შეურაცხ-ჰყოფთ ერთსა კნინაკთა ამათგანსა. გეტყვ თქუენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა. (10) დ. 19,16. ფს. 33,8. ებრ. 1,14.
11. რამეთუ მოვიდა ძმ კაცისაჲ ცხოვნებად წარწყმედულისა. (11) მ. 10,6. ლ. 9,56.
12. რასა ჰგონებთ თქუენ: იყოს თუ ვინმე კაცი და ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არამე დაუტეოს ოთხმოცდაცხრამეტნი იგი მთასა ზედა და მივიდეს და ეძიებდეს შეცთომილსა მას? (12) ლ. 15,4.
13. და იყოს, თუ პოს იგი, მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ უხარინ მას ზედა უფროდს, ვიდრელა არა ოთხმოცდაცხრამეტთა მათ, რომელნი-იგი არა შეცთომილ იყვნენ.
14. ეგრე არა ნება არს მამისა ჩემისა ზეცათაჲსა, რადათამცა წარწყმიდა ერთი კნინაკთა მათგანი.
15. უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო მარტონი იყვნეთ. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ იგი შენი. (15) ლევ. 19,17. ლ. 17,3. იაკ. 5,19-20.
16. უკუეთუ არა ისმინოს შენი, მიიყვანე შენ თანა სხუაჲ ერთი, ანუ ორი, რადთა პირითა მოწამეთა ორთაჲთა, ანუ სამთაჲთა დამტკიცნეს ყოველი სიტყუაჲ. (16) 2შჯ. 17,6; 19,15. ი. 8,17. 2 კორ. 13,1. ებრ. 10,28.
17. უკუეთუ არა ისმინოს მათიცა, უთხარ კრებულსა; უკუეთუ კრებულისაჲცა არა ისმინოს, იყავნ შენდა, ვითარცა წარმართთაგანი და მეზუერმ.
18. მართლიად გეტყვ თქუენ: რავდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რავდენი განჯსნეთ ქუეყანასა ზედა, კსნილ იყოს იგი ცათა შინა. (18) მ. 16, 19. ი. 20,23.

9. თუალი C. 10. ცა' C. ცა' C. 13. ვიდრელარა C. 15. უკუეთუ' C. რადჟამს C. უკუეთუ' C. 16. სიტყუაჲ C. 17. მეზუერმ C.

(21) ლ. 17,4.

19. მერმე მართლიად გეტყვ თქუენ: ორნი თუ თქუენგანნი შეითქუნენ ქუეყანასა ზედა საქმისა ამის ყოვლისათჳს, რაჲცა ითხოონ, ეყოს მათ მამისა ჩემისაგან, რომელ არს ცათა შინა.

20. რამეთუ სადა არიან ორნი, ანუ სამნი შეკრებულ სახელისა ჩემისათჳს, მე მუნ ვარ შორის მათსა.

21. მაშინ მოუკდა მას პეტრე და პრქუა: უფალო, რაოდენგზის შემცოდოს მე ძმამან ჩემძან, და მიუტეო მას? შუდგზისა?

22. პრქუა მას იესუ: არა გეტყვ შენ ვიდრე შუდგზისადმდე, არამედ სამეოცდაათჯერ შუდგზის.

23. ამისთჳს ემსგავსა სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეფესა, რომელსა უნდა სიტყჳსა ადგინებაჲ მონათა თჳსთა თანა.

24. და ვითარ იწყო სიტყუად, წარმოუდგინეს მას ერთი თანამდები ბევრისა ქანქრისაჲ.

25. და ვითარ არარაჲ აქუნდა გარდაკდად, ბრძანა მისი უფალმან მან მისმან განსყიდაჲ, ცოლისა მისისაჲ, შვილთაჲ და ყოველი, რაჲცა ედვა მას, და გარდაზღვად მისა.

26. დავარდა მონაჲ იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულგრძელ იყავ ჩემ ზედა, და ყოველი მიგცე შენ.

27. შეეწყალა უფალსა მონაჲ იგი, და განუტევა იგი და თანანადები იგი მიუტევა მას.

28. და ვითარ გამოვიდა მონაჲ იგი, პოვა ერთი მოყუასთა მისთაგანი, რომელსა თანაედვა მისი ასი დრაჰკანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და ეტყოდა: მომეც მე, რაჲცა-იგი თანაგაც.

29. დავარდა მოყუასი იგი მისი და ევედრებოდა მას და ეტყოდა: სულგრძელ მექმენ ჩემ ზედა და მიგცე შენ.

30. ხოლო მან არა ინება, არამედ მივიდა და შესუა იგი საპყრობილესა, ვიდრემდის მოსცეს თანანადები იგი.

31. იხილეს რაჲ უკუე მოყუასთა მათ მისთა საქმე იგი, შეზრუნდეს ფრიად: მოვიდეს და მიუთხრეს საქმე იგი ყოველივე უფალსა მათსა.

19. ეტყუე C. 22. შუდგზის C. 27. თანადები C. 28. მოყუასთა C. 29. ნემსელები C. 30. შესვა C. 31. მოყუასთა C.

32. მოუწოდა მას უფალმან მისმან და პრქუა მას: მონათ უკეთურო, ყოველივე იგი თანანადებო მიგიტევე, რამეთუ მევედრებოდე მე;
33. არამე ღირდა შენდაცა შეწყალებად მოყუსისა მის შენისა, ვითარცა მე შენ შეგიწყალე?
34. და განრისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი მგუემელთა, ვიდრემდის მისცეს ყოველი, რაჲცა თანაედგა მას.
35. ეგრეცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, არა თუ მიუტეოთ კაცთა კაცად-კაცადმან ძმასა თვისსა გულთა თქუენითა.

19

1. და იყო, რაჟამს წარასრულნა იესუ სიტყუანი ესე, აღიძრა გალილეაჲთ და მოვიდა საზღვართა პურიასტანისათა, წიად იორდანესა. (1) მრ. 10,1.
2. მოსდ(ევ)და მას ერი მრავალი, და განკურნა იგინი მუნ.
3. და მოუკდეს მას ფარისეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: ჯერ-თუ-არს ვისამე განტევებაჲ ცოლისა თვისისაჲ ყოვლითა მიზეზითა?
4. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: არა აღმოგიკითხავს, რამეთუ რომელმან დაჰბადა დასაბამსა, მამალად და დედალად შექმნა იგინი? — და თქუა: (4) დ. 1,27. მრ. 10,6.
5. ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაჲ და დედაჲ და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყენენ ორნივე ჯორცად ერთად. (5) დ. 2,24. მრ. 10,7-8. 1 კორ. 6,16. ეფ. 5,31.
6. ამიერიტგან არღარა არიან ორ, არამედერთ ჯორც, აწუკუენ რომელნი-იგი ღმერთიმან შეაულუნა, კაცი ნუ განაყენებნ.
7. პრქუეს მას: ვითარმე უკუე მოსე ამცნო მიცემად წიგნი განსატევებელი და განტევებად? (7) 2მჯ. 24,1. 8. 5,31.
8. პრქუა მათ: მოსე გულფიცხელობისა თქუენისათვის ვიბრძანა დატევებაჲ ცოლთა თქუნთაჲ, ხოლო დასაბამითგან არა ეგრე იყო.

31 მკუემელთა C. 6. უკუე C. 7. მისქე C.

- (9) მ. 5,32.
მრ. 10,11.
ლ. 16,18.
9. ამენ გეტყვ თქუენ: ყოველმან, რომელმან დაუტეოს ცოლი თვისი, თუნიერად სიძვისა, და ცოლიყოს სხუაჲ, მან იმრუშოს; და რომელმან დატევებული ცოლიყოს, იგი იმრუშე(ბს).
10. პრქუეს მას მოწაფეთა მისთა: უკუეთუ ესრეთ არს ბრალი კაცი(საჲ) დედაკაცისა თ(ანა), უმჯობეს არს (არა)სუმაჲ ცოლისაჲ.
11. ხოლო მან პრქუა მ(ათ): არა ყოველთა და(ი)ტიიან სიტყუა(ჲ) ესე, არამედ რომელთა მ(ი)ცემულ არს.
- (12) ეს. 56, 3. 1
კორ. 7,7.
12. რამეთუ არიან საჭურის, რომელნი დედისმუცლითგან იშვნეს ეგრეთ; და არიან საჭურის, რომელნი კაცთაგან გამოისაჭურისნეს; და არიან საჭურის, რომელთა საჭურის იქმნეს თავნი თვისნი სასუფეველისათჳს ცათაჲსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტევედინ.
- (13) მრ. 10,13.
ლ. 18,15.
13. მაშინ მოართუეს მას ყრმები, რაჲთამცა ჳელი დასდვა მათ და აკურთხნა იგინი. და მოწაფეთა მათ შეპრისხნეს.
- (14) მ. 18,3.
14. ხოლო იესუ პრქუა მათ: აცადეთ ყრმები ეგე და ნუ აყენებთ მოსლვად ჩემდა, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ცათაჲ.
15. და დასდვა მათ ჳელი და წარვიდა მიერ.
- (16) მრ. 10,17.
ლ. 18,18.
16. და, აჰა, ერთი ვინმე მოუჳდა მას და პრქუა: მოძლუარ ქველისმოქმედ, რაჲ კეთილი ვქმნე, რაჲთა მაქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ?
- (17) იაკ. 1,17.
17. ხოლო მან პრქუა მას: რასა მკითხავ მე ქველისმოქმედებისათჳს? ერთ არს ქველისმოქმედ. უკუეთუ გნებავს ცხორებასა შესლვად, დაიმარხენ მცნებანი.
18. პრქუა მას: რომელნი? პრქუა მან, ვითარმედ: არა კაც-ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არცა ცილისწამო.
- (19) გამ. 20,12-16.
ლევ. 19,18.
შჯ. 5,16-17.
19. თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა, და შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი.
20. პრქუა მას ჳაბუკმან მან: ყოველი ესე დამიმარხავს სიყრმიტ ჩემითგან: მერმე რაჲლა მაკლს მე?

21. პრქუა მას იესუ: გნებავს თუ, რადთამცა სრულ იყავ, მივედ და განყიდე მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა და მოილო საფასე ცათა შინა, და მოედ და შემომიდეგ მე.
22. ხოლო ესმა რად უკუე ჭაბუკსა მას სიტყუაჲ ესე, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი ფასიერ ფრიად.
23. ხოლო იესუ პრქუა მოწაფეთა თვსთა: მართლიად მართალსა გეტყვ თქუნ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.
24. მერმე გეტყვ თქუნ: უადვილესა ზომთსაბლისაჲ კურელსა ნემსისასა განსლვაჲ, ვიდრე მდიდრისაჲ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.
25. ვითარ ესმა ესე მოწაფეთა მისთა, დაუკრდა ფრიად და ეტყოდეს: ვინმე უკუე შეუძლოს ცხორებად?
26. მიხედა იესუ და პრქუა მათ: კაცთაგან ესე (26) იობ. 42,2. ვერშესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან ყოველი შესაძლებელ არს.
27. მაშინ მიუგო პეტრე და პრქუა მას: აჰა, ესერა, ჩუენ (27) მრ. 10,28. დაუტევეთ ყოველი და შეგიტეთ შენ: რადმე უკუე ყოფად არს ჩუენდა? ლ. 18,28.
28. ხოლო იესუ პრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუნ, (28) ლ. 22,30. რამეთუ რომელნი-ევე შემომიდეგით მე, მერმესა მას შობასა, რაჟამს დაჯდეს ძე კაცისაჲ საყდართა ზედა დიდებისა მისისათა, დასხდეთ თქუნცა, ათორმეტნი, საყდართა ზედა და გასჯიდეთ ათორმეტთა ნათესავთა ისრაელისათა.
29. და ყოველსა, რომელსა დაეტეოს სახლი, ანუ ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ ცოლი, ანუ შვილნი, ანუ აგარაკები ჩემისა სახელისათუს, ასი წილი მოილოს მან და ცხორებაჲ საუკუნოჲ დაიმკვდროს.
30. ხოლო მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა, და (30) მრ. 10,31. უკუანანი წინა. ლ. 13,30.

21. გნებავ C. 22. უკუე C. 25. უკუე C. 27. უკუე C. 30. უკუანა C: უკუანანი C.

(1) მ. 21,33.

1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მამასახლისსა, რომელ გამოვიდა განთიადითგან დადგინებად მოქმედთა საყურძენსა თუსსა.
2. და აღთქუმა-ყო მოქმედთა მათ მიმართ თითოჲ სატირი დღისა და მიავლინნა იგინი საყურძენსა თუსსა.
3. და მოვიდა სამ ჟამს ოდენ და იხილნა სხუანი, მდგომარენი სავაჭროსა ზედა ცალიერად,
4. და ჰქუა მათ: მივედით თქუენცა საყურძენსა მას ჩემსა, და რაჲ-იგი ღირდეს, მიგცე თქუენ!
5. და იგინი მივიდეს. მერმე გამოვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა, და ყო ეგრევე.
6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა ვითარ გამოვიდა, პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რასა აქა სდევით დღე ყოელ ცუდად?
7. ჰრქუეს მას, რამეთუ: არავინ დაგუდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა საყურძენსა მას ჩემსა!
8. რაჟამს დამწუხრდა, ჰრქუა უფალმან მან საყურძენისამან ეზოჲსმოძღუარსა თუსსა: მოუწოდე მოქმედთა მათ და მიეც სასყიდელი მათი; იწყე უკუანაჲსკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე.
9. მო-რაჲ უკუე-ვიდეს მეათერთმეტისა მის ჟამისანი იგი, მიიღეს თითოჲ სატირი.
10. და ვითარ მოვიდეს პირველნი იგი, ჰკონებდეს, ვითარმედ უფროჲსი მიიღონ; და მიიღეს თითოჲვე სატირი მათცა.
11. და ვითარ მიიღეს, ტრტუნვიდეს მის მამასახლისისათუს,
12. და ჰრქუეს, ვითარმედ: ამით უკუანაჲსკნელთა ჟამ ერთ ხოლო ქმნეს და დამასწორენ ჩუენ იგინი, რომელთა ვიტურთეთ სიძძიმე დღისაჲ და სიცხჲ.
13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არა გეცრუევი შენ, არა სატირი აღვითქუა შენ?

5. მეცხრესა C. 6. რაჲჟამს C. უკუანაჲსკნელთაგან C. 9. მო-რაჲ უკუე-ვიდეს C. 12. იგინი იგი C. 13. მოყუასო C.

14. ხოლო თუ მნებავს უკუანააქსენელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ,
15. ანუ ვერ კელ-მეწიფების, რაჲ-იგი მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? თუალი შენი თუ უკეთურ არს, ხოლო მე უხვარ.
16. ესრეთ იყვნენ უკუანანი წინა, და წინანი უკუანა. (16) მ. 19,30; რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი — რჩეულ. 22,14.
17. და აღვიდოდა იესუ იერუსალმად, წარიყვანნა ათორმეტნი თუსაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:
18. ესერა, ახუალთ იერუსალმად, და ძმ კაცისაჲ მიეცეს მდღელთმოძღუართაგან და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილითა. (18) მრ. 10,33. ლ. 18,31.
19. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და გუემად და ჯუარ-ცუმად, და მესამესა დღესა აღდგეს. (19) მრ. 10,34. ი. 18,31-32.
20. მაშინ მოვიდა დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ ძითურთ თუსით, თავყუანის-სცემდა და ითხოვდა რასმე მისგან. (20) მრ. 10,35.
21. ხოლო მან პრქუა მას: რაჲ გნებავს? — ხოლო მან პრქუა მას: თქუ, რაჲთა დასხდენ ორნი ძენი ჩემნი, ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით შენსა სუფევასა შენსა.
22. მიუგო იესუ და პრქუა მას: არა უწყით, რასა ითხოვთ. გიძლავს შესუმად სასუმელისა მის, რომელსა მე შევესუმიდე, და ნათლის-ღებასა, რომელსა მენათელსვილებდე, ნათლის-ღებად? — პრქუეს მას: გვძლავს. (22) მ. 26,39,42.
23. პრქუა მათ იესუ: სასუმელი ჩემი შესუათ და ნათლის-ღებაჲ, რომელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ, ხოლო დაჯდომაჲ მარჯუენით ჩემსა არა ჩემი არს მიცემად, არამედ რომელთათუს განმზადებულ არს მამისა ჩემისაგან.
24. და ვითარ ესმა ათთა მათ, გული განიწყყეს ორთა მათ ძმათათუს. (24) მრ. 10,41. ლ. 22,24.
25. ხოლო იესუ მიუწოდა მათ და პრქუა: უწყით, რამეთუ მთავარნი იგი წარმართთანი ქუუფლნიან მათ, და მდიდარნი კელმწიფებედ მათ ზედა?

14. უკუანააქსენელსა C. 15. კელ-მეწიფების C. 16. უკუანანი C. 18. ახუალთ C. 19. გუემად C. 20. თუსით C. ითხოდა C. 21. მარჯუენით C. სუფევასა C. 23. პრქუა C: მარჯუენით C.

26. ხოლო თქვენ შორის არა ეგრე არს, არამედ რომელსა ენებოს თქვენ შორის, რაფთამცა დიდ იყო, იყავნ იგი თქუენდა მსახურ;
27. და რომელსა უნდეს თქუენ შორის, ვითარმცა წინა იყო, იყავნ იგი თქუენდა მონა.
- (28) მ. 26,28. ვითარცა ძე კაცისაჲ არა მოვიდა, რაფთამცა კმსახურა ვინმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისა თვისისა საკსრად მრავალთა წილ.
- ი. 11,51. ფლპ. 2,7-8.
29. და ვითარ გამოვიდოდეს იგინი იერიქოთ, შეუდგა მას ერი მრავალი.
- (29) მრ. 10,46. ლ. 18,35.
30. და ორნი ბრმანი სხდეს გზასა თანა. ესმა, რამეთუ იესუ წარმოვალს, ლალატყვეს და თქუეს: მიწყალენ ჩუენ, იესუ, ძეო დავითისო.
- (30) მ. 9,27.
31. ხოლო ერმან მან შეპრისხნა მათ, რაფთა დადუმნენ. მათ უფროჲს ლალატყვეს და თქუეს: უფალო, გვწყალენ ჩუენ, ძეო დავითისო!
32. და დადგა იესუ, კმა-უყო მათ და პრქუა: რა გნებავს, და გიყო თქუენ?
33. პრქუეს მას: უფალო, რაფთა აღმეხუნენ ჩუენ თუალნი ჩუენნი.
34. შეეწყალნეს იესუს და შეახო თუალთა მათთა, და მუნქუესვე აღეხილნეს და მისდევედეს მას.

21

- (1) მრ. 11,1. ლ. 19,29.
1. და რაჟამს მიეახლნეს იგინი იერუსალჴმდ, და მოვიდა ბეთზაგედ, მთასა მას ზეთისხილთასა, მაშინ იესუ წარავლინნა ორნი მოწაფეთა თუსთაგანნი
2. და პრქუა მათ: მივედით დაბასა იმას, რომელ არს პირსპირ თქუენსა, და მუნქუეს კპოთ ვირი დაბმული და კიცვ მის თანა; აპკსენით და მომკუარეთ!
3. და თუ გრქუას რაფმე ვინმე, თქუენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა მაგისსა უკმან ეგენი, -- და მუნქუესვე მოავლინნეს იგინი.
4. ხოლო ესე ყოველი იყო, რაფთა აღესრულოს სიჭყუაჲ იგი წინაწარმეტყუელისა თქუმული:

30. ჩუენ C. 31. დადუმნეს C. 33. ჩუენ თუალნი ჩუენნი C. 34. მათთა + მათთა C. 2. კიცუ C. 4. წინაწარმეტყუელისა C.

5. არკუთ ასულსა სიონისასა: აჰა, ესერა, მეუფე შენი მოვალს შენდა, მშვედ არს და ზეზის ვირსა და კიცუსა ვირსა. (5) ეს. 62,11. ზაქ. 9,9. ი. 12,15.
6. და წარვიდეს მოწაფენი იგი და ყვეს, ვითარცა უბრძანა მათ იესუ.
7. და მოჰკუარეს ვირი იგი და კიცვ, და დაასხეს სამოსელი მას ზედა, და აღჯდა მას. (7) მრ. 11,7.
8. და სიმრავლე იგი ერისაჲ დაჰფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოთა ხეთაგან და დაჰფენდეს გზასა ზედა. (8) ი. 12,13.
9. ხოლო ერი იგი, რომელი წინაუძლოდა და უკუანა შეუდგა, ლაღადებდეს და იტყოდეს: დიდებულ არს ძე დავითისი! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა და დიდებულ მაღალთა შინა! (9) ფს. 117,26. მრ. 11,10. ლ. 19,38.
10. და ვითარ შევიდა იგი იერუსალმში, შეიძრა ყოველი ქალაქი იგი და იტყოდა: ვინ არს ესე?
11. ხოლო ერმან მან პრქუა: ესე არს წინაწარმეტყველი იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაით.
12. და შევიდა იესუ ტაძრად და გამოასხა ყოველი მოფარდული და მომსყიდელები ტაძარსა მას შინა, და ტაბლები იგი თესლისმოფარდულთაჲ დაამკუა და საჯდომელები, რომელ ყიდდეს ტრედებსა. (12) მრ. 11,15. ლ. 19,45. ი. 2,14.
13. და პრქუა მათ: წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ თავყუანისაცემელ ეწოდოს; ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა. (13) ეს. 56,7. იერ. 7,11. მრ. 11,17. ლ. 19,46.
14. და მოუკდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა და განკურნნა იგინი.
15. იხილნეს რაჲ მღდელთმოძღუართა მათ და მწიგნობართა საკრველებანი იგი, რომელ ქმნნა, და ყმები იგი, რომელ ჯმობდა ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: დიდებაჲ ძესა დავითისსა,
16. გული განიწყეს და პრქუეს მას: გესმის, რასა ესენი იტყვან? [ხოლო] იესუ პრქუა მათ: არამე აღმოგიკითხავსა, ვითარმედ: პირითა ჩიჴლთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ? (16) ფს. 8,3.
17. დაუტევნა იგინი და განვიდ[ა] გარეშე ქალაქ[ს]ა ბეთანი[ა] [დ] და იყო მუნ.

18. განთიად, ვითარ აღმოვიდლოდა ქალაქად, შ(ე)ეშშია.

(19) მრ. 11, 13.

19. და ი(ხ)ილა ლელუ ერთი გზასა ზედა და მოვიდა მისა და არააპოვა, გარნა ფურცელი ხოლო, და პრქუა მას: ნულარამცა შენგან ნაყოფი გამოვალს უკუნისამდე! — და განჯმა მუნქუესვე ლელუ იგი.

20. იხილეს რაჲ მოწაფეთა, დაუკვრდა და თქუეს: ვითარ მეყსეულად განჯმა ლელუ ესე?!

(21) მ. 17, 20.

ლ. 17, 6.

იაკ. 1, 6.

21. მიუგო იესუ და პრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ: გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ამის ლელუსა(ჲ) ჰქმნეთ, არამედ მთასაცა თუ ამას პრქუათ: აღდეგ და შთავარდი ზღუასა! — იყოს.

(22) მ. 7, 7. მრ.

11, 24. ი. 14, 13.

22. და ყოველი, რაჲცა ითხოთ თაყუანის-ცემასა სარწმუნოებით, მოგეცეს თქუენ.

(23) მ. 7, 29.

მრ. 11, 28.

ლ. 20, 1-2.

23. და ვითარ მოვიდა იგი ტაძრად, მოუკდეს მას სწავლასა შინა მღდელთმოძღუარნი და მოხუცებულნი ერისანი და პრქუეს: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მიგცა შენ კელმწიფებაჲ ესე?

24. (მ)იუგო იესუ და პრქუა მათ: გკითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთ, და მითხართ მე, და მეცა გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ.

25. ნათლის-ცემაჲ იგი იოჰანესი ვინაჲ იყო: ზეცით იყო ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს: ვთქუათ თუ: ზეცით იყო, გურქუას: რად არა გრწმენა მისი?

(26) მ. 14, 5.

მრ. 6, 20.

26. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან იყო, გუემინის ერისაგან, რამეთუ იოვანე ყოველთა წინაწარმეტყუელად აქუნს.

27. და მიუგეს იესუს და პრქუეს: არა უწყით. — პრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ჰქმ.

28. რასა ჰგონებთ თქუენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე: და მიუკდა პირველსა მას და პრქუა: შვილო, მივედ დღეს, და იქმოდე საყურძენსა ჩემსა!

20. დაუკვრდა C; ლელუ C. 23. მღდელთმოძღუარნი C 24. კელმწიფებითაჲს C 26. უკუეთუ C; ვკუემინის C წინაწარმეტყუელად C აქეს C. 27. კელმწიფებითაჲს C 28. ძოც

29. ხოლო მან მიუგო და პრქუა: მივიდე, უფალო; და არა მივიდა.
30. და მივიდა ერთისა მის და პრქუა ეგრევე. ხოლო მან მიუგო და პრქუა: არა მინებს. — მერმელა შეინანა და მივიდა.
31. რომელმანმე ორთაგანმან ყო ნებაჲ მამისაჲ? — (31) ლ. 7,29.
პრქუეს მას: უკუანაჲსკნელმან. -- პრქუა მათ იესუ: მართლიად გეტყვ თქუნ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინაგიძღვან თქუნ სასუფეველსა ღმრთისასა.
32. რამეთუ მოვიდა თქუნდა იოვანე გზითა სიმართლისაჲთა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და მეძავთა პრწმენა მისი: ხოლო თქუნ იხილულა, არა შეინანეთ უკუანაჲსკნელ, რაჲთამცა გრწმენა მისი. (32) ლ. 3,12.
33. სხუაჲ იგავი ისმინეთ: კაცი ვინმე იყო მამასახლისი, რომელმან დაასხა ვენაკი და შეზღუდა იგი, და აღმოთხარა მას შინა ტაგარი, და ქმნა გოდოლი, და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა. (33) ფს. 79,9. ქებ. 8,11-12. ეს. 5,1. იერ. 2,21. მრ. 12,1. ლ. 20,9.
34. და რაჲმს მოეხოჟამინაყოფისაჲ, მოუვლინნა მონანი თჳსნი მოქმედთა მათ მიღებად ნაყოფისა მისისა.
35. და შეიპყრეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელსაჲმე სცეს, რომელნიმე მოკლნეს, რომელსაჲმე ქვაჲ დაჰკრიბეს. (35) მ. 5,12; 23,34,37.
36. მერმე მიუვლინნა სხუანი მონანი, უმრავლესნი მათსა, და მათცა ეგრეთვე უყვეს.
37. უკუანაჲსკნელდა მიუვლინა ძე თჳსი და თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისაგან.
38. ხოლო მოქმედთა მათ ვითარ იხილეს ძე იგი მისი, ზრახვა-ყვეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი, მოედით და მოვკლათ იგი და დავიპყრათ სამკვდრებელი იგი მისი. (38) მ. 26,4; 27,1.
39. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და განაგდეს გარემე საყურძენსა მას. (39) ებრ. 13,12.
40. რაჲმს უკუე მოვიდეს უფალი იგი მის საყურძენისაჲ, რაჲმე უყოს მოქმედთა მათ?

31. ევანგელ. მკხუჯეროც 32. მკხუჯეროც მსხიამსხიოც 33. მკხუჯეროც
იგი - მკხუჯეროც იგი 36. მსხიამსხიოც 38. იკვდრიოც.

41. პრქუეს მას: უკეთურნი იგი უკეთურადცა წარწყმიდნეს და საყურძენი იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინ მას ნაყოფი ჟამთა მათთა.

(42) ფს.
117,22-23.
ეს. 28,16.
მრ. 12,10.
ლ. 20,17.
სქ4,11.

42. პრქუა მათ იესუ: არასადა აღმოგიკითხავს წიგნსა: ესე ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა? უფლისა მიერ იყო ესე და არს საკრველ წინაშე თუალთა ჩუენთა.

43. ამისთვის გეტყვ თქუენ, რამეთუ მიგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისაჲ და მიეცეს ნათესავსა, რომელი იქმოდის ნაყოფთა მისთა.

(44) ეს. 8,14.
და6. 2,44-45. 1
პეტ. 2,7. რომ.
9,32.

44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განაბნიოს იგი.

45. და ვითარ ესმა მღდელთმოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავები იგი მისი, გულისხმა-ყვეს, რაჲსათს იტყვს.

46. და ეძიებდეს მას შეპყრობად და შეეშინა ერისა მისგან, რამეთუ, ვითარცა წინაწარმეტყუელი, შეერაცხა იგი.

22

1. და მიუგო იესუ მერმე და პრქუა მათ იგავით:

(2) იგ. 9,1-2.
ლ. 14,16. გცხ.
19,7.

2. მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა მეფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თვისისაჲ.

3. და წარავლინნა მონანი თვისნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწიდ, და არა ინებეს მოსლვად.

4. მერმე მიუვლინნა სხუანი მონანი და პრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: აჰა, ესერა, პური ჩემი დამიმზადებიეს, ზუარაკები ჩემი და უსხები ჩემი დამიკლავს, და ყოველი მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უდებ-ყვეს და წარვიდეს: რომელნიმე -- თუსა აგარაკად, რომელნიმე -- ვაჭრობად,

(7) ლ. 19,27.

6. და სხუათა მათ შეიპყრნეს მონანი იგი და მოსრნეს.

7. ხოლო მეუფე იგი განრისხნა და წარავლინაერი თუსი და მოსრნა კაცისძკლველნი იგი და ქალაქი მათი დაწუა.

45. ვულისკმა-ს 1. სასუფეველი ს. 6. მოსრნეს ს 7. მეუფეს ს

8. მაშინ პრქუა მონათა თუსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იქმნეს.
9. აწ განვედით განსავალთა ზედა გზათასა და რავდენიცა პპოთ, მოხადეთ ქორწილსა ამას!
10. და განვიდეს მონანი იგი გზებსა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რავდენიცა პოვეს: ბოროტნიცა და კეთილნიცა, და აღიესო ქორწილი იგი მინაჯითა.
11. რაჟამს შევიდა მეუფე იგი მოხილვად მინაჯეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელი არა მოსილ იყო სამოსლითა საქორწინითა.
12. და პრქუა მას: მოყუასო, ვითარმე შემოხუედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი ქორწილისაჲ? — ხოლო მან პირი დაიკრა.
13. მაშინ პრქუა მეუფემან მან მსახურთა: შეუკრენით მაგისნი ფერჯნი და კელნი და განჯადეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა! მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ.
14. რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედ არიან რჩეულნი. (14) მ. 20, 16.
15. მაშინ წარვიდეს ფარისეველნი და ზრახვა-ყვეს მისთვის, რაჲთამცა დაუდგეს მას მახე სიტყვთა. (15) მრ. 12, 13. ლ. 20, 20.
16. და მოუვლინნეს მას მოწაფენი იგი მათნი პეროდინელთა თანა და პრქუეს: მოძღუარ, უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ჭეშმარიტებით ასწავებ, და არაჲ გჭირს შენ არავისთვის, რამეთუ არა ხედავ პირსა კაცისასა.
17. აწ მარქუ ჩუენ: ვითარ ჯერ-გიჩს: წეს არს ხარკისა მიცემაჲ კეისრისა, ანუ არა?
18. ვითარ გულისხმა-ყო იესუ უკეთურებაჲ იგი მათი, პრქუა: რასა გამომცდით მე, მზაკუვარნო?
19. მიჩუენეთლა მე დრაჰკანი იგი ხარკისაჲ! — ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.
20. და პრქუა მათ იესუ: ვისი არს ესე ხატი და გარემომდსწერილი?
21. პრქუეს მას: კეისრისაჲ. მაშინ პრქუა მათ: მიეცით აწ კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. (21) მრ. 12, 17. რომ. 13, 7.

8. ჩინებულნი C. 12. მოყუახო C: შემოხუედ C. 15. სიტყუთა C. 16. არავისთვის C: პირსა + მის C. 16. გულისჯისა C 19. მართუხ C.

22. და ვითარ ესმა ესე, დაუკურდა და დაუტყვევეს იგი, და წარვიდეს.
- (23) მრ. 12, 18. ლ. 20, 27. სქ 23, 8. 23. მას დღესა შინა მოუკედეს სადუკეველნი, რომელთა თქვან, ვითარმედ: არა არს აღდგომაჲ. ჰკითხვიდეს მას
- (24) 2მჯ. 25, 5. მრ. 12, 19. ლ. 20, 28. 24. და პრქუეს: მოძღუარ, მოსე თქუა: მო-თუ ვინმე-კუდეს უშვილოჲ, ესიძენ მას ძმაჲ მისი ცოლსა მას მისსა ზედა და აღუდგინენ თესლი ძმასა მას თჳსსა.
25. აწ იყვნეს ჩუენ თანა შუდ ძმა. და პირველი იგი ქმარი მოკუდა და არა ესუა მას შვილ, დაუტყვევა ცოლი თჳსი ძმასა თჳსსა.
26. ეგრეცა მეორემან და მესამემან მიმეშუდემდე.
27. უკუანაჲსკნელლა ყოველთა მოკუდა დედაკაცი იგი.
28. აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა, რომლისა შუდთა მათგანისა იყოს ცოლად, რამეთუ ყოველთა მათ ესუა იგი?
29. მიუგო იესუ და პრქუა მათ: სცთ(ე)ბით და არა იცით წიგნი და არცაღა ძალი ლ(მრთისაჲ),
- (30) 1 კორ. 15, 44. 30. რამეთუ აღდგომასა მ(ა)ს არცა ცოლს-ისხმიდენ, არცა ქმრის-ვიდ(ო)დიან, არამედ, ვ(ითარცა) [ა]ნგელოზნი, იყვნენ ცათა შინა.
31. მკუდართა აღდგომისათჳს არა აღმოგვიკითხავს თქუმული იგი თქუენდა მომართ ღმრთისა მიერ, რომელ თქუა:
- (32) გამ. 3, 6. მრ. 12, 26. ლ. 20, 37. 32. [მ]ევარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? [ა]რა არს ღმერთი ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოელთაჲ.
33. და ვითარ ესმა ერსა მას, დაუკურდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი.
34. ხოლო ფარისეველთა, ვითარ ესმა, რამეთუ პირი დაუყო სადუკეველთა, შეერბეს ერთად.
- (35) მრ. 12, 28. ლ. 10, 25. 35. და ჰკითხა ერთმან მან მათგანმან შჯულისმდებელმან გამოცდით:
36. მოძღუარ, რომელი მცნებაჲ უდიდე(ს) არს შჯულსა შინა?

23. თქვან C 24. მისი C 25. ესვა C 27. მოუკუდა C

37. ხოლო მან პრქუა: 'შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. (37) 2შჯ. 6,5. მიქ. 6,8. მრ. 12,30. ლ. 10,27.
38. ესე არს დიდი და პირველი მცნებაჲ.
39. ხოლო მეორე, მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თჳსი. (39) ლევ. 19,18. მ. 5,43. მრ. 12,31.
40. ამათ ორთა მცნებათა შინა ყოველი შჯული და წინააღმართმეტყუელნი გამოაბენ.
41. კრებულ იყვნეს ყოველნი იგი ფარისეველნი. ჰკითხა მათ იესუ
42. და პრქუა: რასა ჰგონებთ თქუენ ქრისტესთჳს? ვისი ძე არს? — პრქუეს მას: დავითისი. (42) მრ. 12,35. ლ. 20,41.
43. პრქუა მათ: ვითარმე უკუე დავით სულითა უფლით ხადის და იტყვს:
44. პრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერჯთა შენთა? (44) ფს. 109,1. ლ. 20,42.
45. უკუეთუ დავით უფლით ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?
46. და ვერვინ შემძლებელ იყო მიგებად მისა, არცა იკადრა ვინ მიერთგან კითხვად მისა არღარა.

23

1. მაშინ ეტყოდა იესუ ერსა მას და მოწაფეთა თჳსთა
2. და პრქუა: საყდართა ზედა მოსესთა დასხდომილ არიან მწიგნობარნი და ფარისეველნი.
3. ყოველი, რაჲცა გრქუან თქუენ, ჰყოფდით და იმარხევდით, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქუან და არა ყვიან.
4. შეკრიან ტურთები მძიმე და ძნიად სატურთველი და დასდვიან ბეჭთა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა ჰნებავენ შეძრვად იგი. (4) ლ. 11,46. სქ 15,10.
5. ყოველთა საქმეთა მათთა იქმედ სახილველად კაცთა: ფართო იყვნინან სამოსელნი მათნი და განიგრძვიან ფესუები მათი. (5) რცხ. 15,38. 2შჯ. 22,12.

- (6) მრ. 12,39.
ლ. 11,43;20,46.
6. უყუარნ მათ მცნისთაობაჲ ტაძრობასა და ზემთაჯდომაჲ შესაკრებელთა შინა
7. და მოკითხვაჲ უბნებსა ზედა და რქუმაღ მათდა კაცთაგან: მოძღუარ!
- (8) იაკ. 3,1. 1
კორ. 3,4.
8. ხოლო თქუენ ნუ ჰირქუამთ თავთა თქუენთა მოძღუარს, რამეთუ ერთ არს თქუენი მოძღუარი, ხოლო თქუენ, ყოველნი, ძმანი ხართ.
- (9) მალ. 1,6.
9. და მამად თქუენდა ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთ არს მამაჲ თქუენი ზეცათაჲ.
10. და მოძღუარს ნუ ირქუამთ თავთა თქუენთა, რამეთუ ერთ არს მოძღუარი თქუენი ქრისტჳ.
11. და რომელი დიდ იყოს თქუენ შორის, იყავნ იგი თქუენდა მსახურ.
- (12) ლ. 14,11.
12. რამეთუ რომელმან აღიმადლოს თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.
- (13) ეზკ. 22,26.
ლ. 11,52.
13. ხოლო ვაჲ თქუენდა, მწიგნობართა და თარგმანთა ორგულთა, რამეთუ დაჰკსავთ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ არა შეხუალთ და არცა შემავალთა უტევებთ შესლვად.
- [[14.]]
15. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მოჰვლით ზღუასა და ჯმელსა, რაჲთამცა მოაქციეთ ვინმე ერთი; და რაჟამს მოიქცის, ჰყვით იგი ნაშობ გეჰენიამს ორწილ თქუენსა.
16. ვაჲ თქუენდა, მწიგნობართა ბრმათა, რამეთუ სთქვთ: რომელმან ფუცოს ტაძარსა, არარაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცო(ს) ოქროსა მას, რომელ არს ტაძარსა მას შინა, ჯერ(რ)-არს.
17. ცოფნო და ბრმანო, რაჲ უდიდეს არს: ოქროჲ ანუ ტაძარი იგი, რომელი განსწმედს ოქროსა მას?
18. და რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არაჲ არს; ხოლო რომელმან ფუცოს შესაწ(ი)რავსა მას, რომელ არს მას ზედა, ჯერ-არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რაჲ უფრო არს: შესაწირავი იგი, ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას? (19) გამ. 29,37.
20. აწ, რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცის მას და ყოველსა, რომელ არნ მას ზედა.
21. და რომელმან ფუცის ტაძარსა, ფუცის მას და რომელი მყოფ არნ მას შინა. (21) 26ჰტ. 6,2. ფს. 25,8.
22. და რომელმან ფუცის ცასა, ფუცის საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.
23. ვაჲ თქუნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მოიათევსით პიტნაკისაჲ, ცერეცოჲსაჲ და ძირაკისაჲ და დაგიტევებიეს უმჯობესი სჯულისაჲ: სამართალი და წყალობაჲ და სარწმუნობაჲ. ესე გიღირდა ყოფად, და იგი — არადატევებად. (23) ოს. 6,6. მიქ. 6,8. მ. 12,7. ლ. 11,42.
24. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ კურნაქსა და აქლემსა შთანსთქამთ!
25. ვაჲ თქუნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმლისასა და პარაფსიტისასა, ხოლო შინაგან სავსე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა.
26. ფარისეველნო ბრმანო, განწმიდეთ პირველად შინაგანი სასუმლისაჲ მის, რაჲთა იყოს გარეშეცა მისი წმიდა.
27. ვაჲ თქუნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მიმსგავსებულ ხართ სამარეთა განგლორწინილთა, რომელნი-იგი გარეშე შუენიერ ჩანან, ხოლო შინაგან სავსე არიან ძუალებითა მკუდართაჲთა და ყოვლითა არაწმიდებითა. (27) ლ. 11,44. სქ 23,3.
28. ეგრეცა თქუნ გარეშე უჩთ კაცთა მმარხველ, ხოლო შინაგან სავსე ხართ ზაკუვითა და უმჯულოებითა.
29. ვაჲ თქუნდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ აშენებთ თქუნ საფლავებსა მას წინაწარმეტყუელთასა, და განაშუენებთ სამარებსა მას მართალთასა.

30. და სთქვთ: ვიყვენით თუმცა ჩუენ დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამცა ზიარ ვიყვენით მათ თანა სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.
31. აწ თქუენვე ეწამებით თავთა თქუენთა, რამეთუ ნაშობნი ხართ, რომელთა მოწყვდნეს წინააღწარმეტყუელნი.
32. და თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთაჲ.
- (33) მ. 3,7. 33. გუელნო, ნაშობნო იქედნეთანო, ვითარმე განერნეთ სასჯელსა გეჰენიამასასა?
- (34) 2 მტ. 36,15-16. ლ. 11,49. 34. ამისთვის, აჰა, ესერა, მივაგლინნე თქუენდა წინაწარმეტყუელნი და ბრძენნი მწიგნობარნი, მათგანნი მოწყვდნეთ და ჯუარს-აცუნეთ, და მათგანნი ჰგუემნეთ შესაკრებელთა შინა თქუენთა და სდევნეთ ქალაქითი ქალაქად,
- (35) დ. 4,8. 2 მტ. 24,21-22. ლ. 11,51. 1 ი. 3,12. 35. რაჲთა მოვიდეს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა სისხლითგან აბელის მართლისაჲთ მისისხლამდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისი, რომელი-იგი მოჰკალთ შორის ტაძრისა მის და საკურთხეელისა.
36. მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.
- (37) 2 მჯ. 32,11-12. ლ. 13,34. 37. იერუსალმჲმ, იერუსალმჲმ, რომელმან მოსწყვდენ წინააღწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოციქულთა შენტა, რაოდენგზის მინდა შეკრებაჲ ნაშობთა შენტაჲ, ვითარცა ქათამმან შეიკრიბნის მართუენი ქუეშე ფრთეთა, და თქუენ არა ინებეთ!
- (38) ლ. 13,35. 38. აჰა, ეგერა, დაგმდების თქუენ სახლი თქუენი ოჯერი.
- (39) ფს. 117,26. მ. 21,9. 39. ხოლო გეტყვ თქუენ: ვერღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდის არა სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა.

24

- (1) მრ. 13,1. ლ. 21,5. 1. და გამოვიდა იესუ ტაძრით და წარვიდოდა. და მოუკდეს მას მოწაფენი თვისნი ჩუენებად მისა ნაქმნევისა მის ტაძრისაჲსა.

30. სოქეთი ს. იყენითი ს. 31. გეჰენიამასას ს. 34. ესრა ს. 35. დათხეული + დათხეული ს. 36. გეტყუე ს. 37. მოსწყუედენ ს. მართუენი ს. 39. გეტყუე 1. ზაქარიაჲსი ს.

2. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ხედავთა ამას ყოელსა? მართლიად გეტყვ თქუენ: არა დაშდეს აქა ქვაჲ ქვასა ზედა, რომელ არა დაირლუეს. (2) მრ. 13,2. ლ. 19,44; 21,6.
3. ჯდა რაჲ იგი მთასა მას ზედა ზეთისხილთასა, მოუჯდეს მას მოწაფენი თუსაგან და ეტყოდეს: მარქუ ჩუენ: ოდეს ყოფად არს ესე, და რაჲ სასწაული იყოს შენისა მოსლვისაჲ და აღსასრული ამის სოფლისაჲ? (4) მრ. 13,5. ლ. 21,8. ეფ. 5,6. 2 თეს. 2,3.
4. მიუგო იესუ და პრქუა მათ: იგულეთ, ნუვინ გაცთუნნეს თქუენ,
5. რამეთუ მრავალნი მოვიდენ სახელითა ჩემითა და იტყოდინან: მე ვარ ქრისტე, და მრავალნი აცთუნნენ.
6. ხოლო გესმოდინა ზოგნი და ჯმაჲ წყობათაჲ, ეკრძაღენით, ჩუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს ესე ყოველი, ხოლო აღსასრული არღა იყოს.
7. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა, და იყვენ სიყმილნი და წყუედანი და ძრვანი ადგილ-ადგიდ.
8. ხოლო ესე ყოველი იყოს დასაბამი საღმობათაჲ.
9. მაშინ მიგცენ თქუენ ჭირსა და მოგწყვდნენ თქუენ, და იყვენთ მოძულეებულ ყოველთაგან ნათესავთა სახელისა ჩემისათჳს. (9) მ. 10,17. მრ. 13,9. ლ. 21,12. ი. 15,20.
10. და მაშინ ცთენ მრავალნი და ურთიერთას არდაბაგებდენ და იძულეებდენ ურთიერთას.
11. და მრავალნი ცრუწინაწარმეტყუელნი აღდგენ და აცთუნენ მრავალნი.
12. და განმრავლებისათჳს უსჯულოებისაჲსა განწმეს სიყუარული მრავალთაჲ.
13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.
14. და იქადაგოს სახარებაჲ ესე სასუფეველისაჲ ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა ნათესავთა, და მაშინღა იყოს აღსასრული.
15. ხოლო რაჟამს იხილოთ ბილწი იგი ოჯრებისაჲ, რომელ თქუმულ არს დანიელ წინაღწარმეტყუელისაგან, მდგომარე ადგილსა მას წმიდასა, — რომელი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა-ჰყოფდინ! (15) დან. 9,27. მრ. 13,14. ლ. 21,20.

2. კეტყუე: დაირლუეს C 7. წელღანი C. 9. მიგცენ C. მოყწუედნენ C. 15. კულისკმა- C.

16. მაშინ პურიასტანისანი ივლტოდედ მთად!
17. და რომელნი ერდოებსა ზედა იყვნენ, ნუ გარდამოვლენან აღლებად რაჲსმე სახლისაგან თვისისა;
18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკუმოიქცევიან უკუმომართ აღებად სამოსლისა თვისისა.
19. ხოლო ვაჲ მუცელქმნულთა მათ და მაწოვნებელთა მათ დღეთა შინა!
20. ხოლო ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთარსა, ნუცა შაფათსა.
21. რამეთუ იყოს მაშინ ჭირი დიდი, რომელ არა ყოფილ არს დასაბამითგან სოფლისაჲთ მოაქამდე, არცაღა იყოს.
22. და არა თუმცა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი ჳორციელი; ხოლო რჩეულთათჳს შემოკლდენ დღენი იგი.
23. მაშინ თუ ვინმე გრქუას თქუენ: აჰა, ესერა, არს ქრისტე, — ანუ: ეგერა, — ნუ გრწამნ.
24. რამეთუ აღდგენ ცრუწინაწარმეტყუელნი და სცენ სასწაულებ დიდ და ნიშებ, რაჲთამცა აცთუნნეს, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა.
25. აჰა, ესერა, წინაჲსწარ გარქუ თქუენ.
26. უკუეთუ გრქუან თქუენ: აჰა, უდაბნოსა არს, — ნუ განხუალთ; — აჰა, ესერა, საუნჯეთა შინა არს, — ნუ გრწამნ.
27. რამეთუ, ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინდის მზისაღმოსავალთა და ბრწყინავენ დასავალამდე, ეგრეთ იყოს მოსლვაჲ ძისა კაცისაჲ.
28. რამეთუ სადაცა დაეცეს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.
29. მუნქუესვე შემდგომად ჳირისა მის მათ დღე-თაჲსა მზჳ დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი, და ვარსკულავნი გარდამოცვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.
30. და მაშინ გამოჩნდეს ნიში იგი ძისა კაცისაჲ ზეცას, და ეტყებდენ ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი, და იხილონ ძე კაცისაჲ მომავალი ღ(რ)უბელთა ზედა ც(ი)სათა ძალითა დ(ა) დიდებითა დიდითა.

(23) მრ. 13,21.
ლ. 17,23.

(28) ლ. 17,37.

(29) ეხ. 13,10.
ეზკ. 32,7. ივლ.
2,31. მრ. 13,24.
ლ. 21,25.

(30) ზაქ. 12,10.
მრ. 14,62. გცხ.
1,7.

31. და წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი ნესტჳთა დიდითა და 'შეკრიბნეს რჩეულნი(ი) თჳსნი ოთხთაგ(ან) ქართა კიდითგ(ან) ცათაჲთ კიდე(მ)დჳ მათა. (31) I კორ. 15,52. I თეს. 4,16.
32. ხოლო ლელ(ქ)საგან ცანთ იგ(ა)ვი ესე: რამეთუ რაჟამს რტონი მისნი დაჩჩვიან და ფურცელი გამობუტკონ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არნ არშ. (34) მრ. 13,30-31.
33. ეგრეცა თქუნ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა. (35) ეს. 51,6. 2 პეტ. 3,10.
34. მართლიად გეტყჳ თქუნ: არა წარკდეს ნათესავი ესე, ვიდრემდჳ ესე ყოველი იყოს.
35. ცანი და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არასადა წარკდენ.
36. ხოლო დღჳ იგი და ჟამი არავინ უწყის; არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მარტომან.
37. ვითარცა-იგი დღენი ნოესნი, ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ. (37) დ. 7,7. ლ. 17,26. I პეტ. 3,20.
38. რამეთუ ვითარცა იყვნე(ს) დღეთა მათ რღუნისწინათა: ჭამდ(ეს) და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განპქორწინებდეს მი-მუნ-დღემდჳ, რომელსა შევიდა ნოვე კიდობნად.
39. და არა უწყოდეს, ვიდრემდჳ მოიწია რღუნაჲ იგი და წარიხუნა ყოველნი. ეგრე იყოს მოსლვაჲ იგი ძისა კაცისაჲ.
40. მაშინ ორნი იყვენ აგარაკსა შინა: ერთი წარიყუანონ და ერთი დაუტეონ.
41. ორნი ფქვიდენ ფქვილთა: ერთი წარიყვანონ და ერთი დაუტეონ.
42. მღჳძარე იყენით, რამეთუ არა უწყით, რომელსა დღესა უფალი იგი თქუნეი მოვიდეს. (42) მ. 25,13. მრ. 13,33.
43. იგი უწყოდეთ, რამეთუ უწყოდა თუმცა მამა-სახლი(ს)მან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდოდა, არამცა უფლო დათხრად სახლისა თჳსისა. (43) ლ. 12,39. I თეს. 5,2. გცხ. 16,15.
44. ამისთჳს თქუნცა მზა იყენით, რამეთუ რომელსა არა პკონებდეთ ჟამსა, ძე კაცისაჲ მოვიდეს.

(45) ლ. 12,42. 1
კორ. 4,2.

45. (ვ)ინმე უკუე არს სარწმუნოა იგი მონაა და გონიერი, რომელ დაადგინა უფალმან ეზოსა თუსსა ზედა მიცემად როჭიკისა მათა ჟამსა.

(46) გცხ. 16,15.

46. ნეტარ იყოს მონაა იგი, რომლისაა მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

47. მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველსა ზედა დაადგინოს იგი.

48. უკუეთუ თქუას უკეთურმან მან მონამან გულსა შიდა თუსსა: ყოვნოს უფალმან ჩემმან მოსლვაა

49. და იწყოს გუემად მონა-მოყუასთა მათ თუსთა, ჭამდეს და სუმიდეს მომთრვალეთა თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი მის მონისაა დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელსა არა უწყოდის,

51. და განკუეთოს იგი და ნაწილი მისი ორგულთა თანა დადვას. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაა კბილთაა.

25

1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათაა ათთა ქალწულთა, რომელთა მოიხუნეს სანთელნი მათნი და გამოვიდეს წინამიგებებად სიძისა.

2. ხოლო ხუთნი იგი მათგანნი იყვნეს სულელ და ხუთნი — ბრძენ.

3. სულელთა მათ რა აღიხუნეს სანთელნი მათნი, არა აღდეს მათ თანა ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი საზეთითა მათითა სანთელთა მათთა თანა.

5. და ვითარ ყოენიდა სიძე იგი, მიერულა ყოველთა და დაიძინეს.

6. შუვალამეს ოდენ ჯმა იყო: აჰა, ესერა, სიძე, გამოედით და მიეგებოდეთ მას!

7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს სანთელნი იგი მათნი.

8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: გუეცით ჩუენცა ზეთი ზეთისა მაგის თქუენისა, რამეთუ სანთელნი ჩუენნი დაგვმრტებიან.

17. ვეჭყუე C 51. ვანკუეთოს C. 1. ხოდობა + და ხდობა C. 3. არა აღდეს სანთელნი C. 6. ხოდოც C. ოქუენისაა C. დაგვმრტებიან C

9. მიუცეს ბრძენთა მათ და პრქუეს: ნუუკუე ვერ გუეყოს რუენ და თქუენ: მივედით მოფარდულთა და იყიდეთ თქუენდა.
10. მი-რაფ-ვიდოდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე (10) ლ. 13,25.
იგი, და მზანი იგი შევიდეს მის თანა ქორწილსა მას, და დაეკშა კარი.
11. უკუნადასკნელ მოვიდეს სხუანი იგი ქალწულნი და იტყოდეს: უფალო, უფალო, განგვლე რუენ! (11) მ. 7,21.
12. ხოლო მან მიუგო და პრქუა: მართლიად გეტყვ თქუენ: არა გიცნი თქუენ. (12) ფს. 5,5.
აბკ. 1,13.
13. აწ მღვდარე იყვენით, რამეთუ არა უწყით დღე იგი, არცა ჟამი. (13) მრ. 13,33.
1 კორ. 16,13.
14. ვითარცა კაცსადა ეგულებინ გზად სლვად, მოუწოდა თუსთა მონათა და მისცა მათ ნაყოფი თუსი; (14) ლ. 19,12.
15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე — ორი, და რომელსამე — ერთი, თითოეულსა მსგავსად თუსისა ძალისა, და წარვიდა. (15) რომ. 12,6.
1 კორ. 12,7,11.
16. მუნქუესვე წარვიდა, რომელმან ხუთი ქანქარი მიიღო, იქმოდა მას და შესძინა სხუაჲ ხუთი.
17. ეგრეცა, რომელმან ორი მიიღო, შესძინა სხუაჲ ორი.
18. ხოლო რომელმან ერთი იგი მიიღო, წარვიდა და აღმოთხარა ქუეყანაჲ და დამალა ვეცხლი იგი უფლისა თუსისაჲ.
19. შემდგომად მრავლისა ჟამისა მოვიდა უფალი მათ მონათაჲ და ყო სიტყუა მათ თანა.
20. და მოვიდა, რომელსა ხუთი ქანქარი მიეღო, მოართუა მას სხუაჲ ხუთი ქანქარი და პრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა, ესერა, სხუაჲ ხუთი ქანქარი შევსძინე.
21. პრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ: შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა. (21) ეს. 61,7.
22. წარდგა, რომელსა-იგი ორი ქანქარი მიეღო, და პრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც, აჰა, ორი სხუაჲ ქანქარი შევსძინე.

23. პრქუა მას უფალმან მისმან: კეთილო მონაო, სახიერო და სარწმუნოო, მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ შენ, მრავალსა ზედა დავადგინო შენ. შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.

24. წარმოდგა, რომელსა ერთი ქანქარი მიელო, და თქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფიცხელ კაც ხარ შენ: მოიმკი, სადა არა სთესი, და შეიკრიბი, რომელ არა განვიბნევიან.

25. და შემეშინა, მივედ და დავჰვალ ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა, შენ თანა არს შენი.

26. მიუგო უფალმან მისმან და პრქუა მას: უკეთურო მონაო და მედგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიან,

27. ვიღირდა ვეცხლი იგი ჩემი მიცემად ვაჭართა, და მო-მცა-ვედ მე და მო-მცა-ვიღე ჩემი იგი აღნადგინებითურთ.

28. აწ მოუღეთ მას ქანქარი იგი და მიეცით, რომელსა აქუს ათი ქანქარი!

(29) მ. 13,12.
მრ. 4,25.
ლ. 8,18; 19,26.

29. რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს, ხოლო რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა-იგი აქუნდეს, მი-ვე-ელოს მისგან.

(30) მ. 24,31.

30. და მონაჲ იგი უკმარი განკადეთ ბნელსა მას გარე-სკნელსა. მუნ იყოს ტირილი და ღრჭუნაჲ კბილთაჲ.

(31) მ. 13,49;
16,27. სქ 1,11.

31. რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თვისითა და ყოველნი ანგელოზნი მის თანა, მაშინ დაჯდეს საყდართა ზედა დიდებისა მისისათა;

32. და შეკრიბნეს წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინეს იგინი ურთიერთას, ვითარცა მწყემსმანლა განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან.

(34) მ. 20,23.
(35) ეს. 58,7.

33. და დაადგინის ცხოვარნი იგი მარჯუენით მისსა, ხოლო თიკანნი – მარცხენით.

34. მაშინ პრქუას მეუფემან მან მარჯუენით კერძოთა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნი მაძისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ, რომელი-იგი განმზადებულ არს თქუენთვის სასუფეველი დაბადებითგან სოფლისაჲთ.

35. რამეთუ მშიოდა, და მეციით მე ჭამადი: მწყუროდა, და მასუთ მე: უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე: ეზკ. 18,7. 2 ტმ. 1,18.
36. შიშუელ ჰყავ და შემმოსეთ მე, სნეულ ვიყავ და მოხედეთ მე; საპყრობილეს ჰყავ და მოხუედით ჩემდა.
37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და პრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი, და გასუთ შენ?
38. ანუ ოდეს გიხილეთ შენ უცხო და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგმოსეთ?
39. ოდეს სადა გიხილეთ სნეული, ანუ საპყრობილეს შინა და მოვედით შენდა?
40. მიუგოს მეუფემან მან და პრქუას მათ: მართლიად გეტყვ თქუენ: რაოდენი-რაჲ უყავთ ერთსა ამას ძმათა ჩემთა მცირედთაგანსა, მე მიყავთ. (40) იგ. 14,31; 19,17. მ. 10,42.
41. მაშინ პრქუას მარცხენითკერძოთაცა მათ: წარგუალებთ ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისა და მსახურთა მისთა, (41) ფს. 6,9. ლ. 13,27.
42. რამეთუ მშიოდა, და არა მეციით მე ჭამადი: მწყუროდა, და არა მასუთ მე;
43. უცხო ვიყავ და არა შემიწყნარეთ: შიშუელ ვიყავ, და არა შემმოსეთ მე; სნეულ ვიყავ და საპყრობილეს შინა ვიყავ, და არა მოხუედით.
44. მაშინ მიუგონ მათცა და პრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი, ანუ წყურიელი, ანუ უცხო, ანუ შიშუელი, ანუ სნეული, ანუ საპყრობილესა შინა და არა გმსახურეთ შენ?
45. მიუგოს მათ და პრქუას: მართლიად გეტყვ თქუენ: სადა არა უყავთ ერთსა ამათ მცირედთაგანსა, არცა მე მიყავთ.
46. და მივიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი -- ცხორებასა საუკუნესა. (46) დან. 12,2. ი. 5,29.

36. შიშუელი C 40. ვაბჯეუ C. 40. მკეუენმან C: ვაბჯეუ C ერთსამას C.
43. მოხუედით C 41. შიშუელი C 43. ვაბჯეუ C

- (2) მრ. 14, 1. ლ. 22, 1. ი. 13, 1.
- (3) ფს. 2, 2. ი. 11, 47.
- (4) ფს. 40, 8.
- (6) მრ. 14, 3. ი. 11, 2; 12, 3.
- (11) 2შჯ. 15, 11.
- (14) მრ. 14, 10. ლ. 22, 4.
1. და იყო, რაჟამს წარასრულნა იესუ ყოველნი ესე სიტყუანი, პრქუა მოწაფეთა თუსთა:
 2. უწყით, რამეთუ ორისა დღისა შემდგომად ზატიკი ყოფადარს, და ძჲ კაცისაჲ მიცემად არს ჯუარ-ცუმად.
 3. მაშინ შეკრბეს მღდელთმოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას მღდელთმოძღურისასა, რომელსა ერქუა კაჲაფა,
 4. და ზრახვა-ყვეს, რაჲთამცა იესუ ზაკუვით შეიპყრეს და მოკლეს.
 5. და იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა შინა, რაჲთა არა ამბოხება იყოს შორის ერსა.
 6. ხოლო იესუ, ვითარ იყო ბეთანიას სახლსა სიმონისსა, განბოკლებულისასა,
 7. მოუკდა მას დედაკაცი, რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი დიდისსასყიდლისაჲ, და დაასხა თავსა ზედა მისსა, ვითარ ინაჲ-ედგა მას.
 8. იხილეს რაჲ მოწაფეთა, გული განუწყრა და იტყოდეს: რაჲსათუსიყო წარწყმედაჲ ამისნელსაცხებელისაჲ?
 9. რამეთუ ღირდა განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახაკთა.
 10. ხოლო ვითარ აგრძნა იესუ, პრქუა მათ: რაჲსათუს დააშრობთ დედაკაცსა მაგას? რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ:
 11. გლახაკნი მარადის თქუნენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუნენ თანა ვარ.
 12. რამეთუ დამასხა მე ამან ნელსაცხებელი ესე კორცთა ჩემთა ზედა, სამკუდროჲს-შემოსისა ჩემისათუს მიყო მე.
 13. ხოლო მართლიად გეტყვ თქუნენ, რამეთუ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოელსა სოფელსა, ითქუას, რომელ-ესე ყო ამანცა, საჯსენებელად მაგისა.
 14. მაშინ მივიდა ერთი ათორმეტთაგანი, რომელსა სახელი ერქუა იუდა სკარიოტელი, მღდელთმოძღუართა მათ

15. და პრეტუა: რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი თქუენ? და მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვეცხლი. (15) ზაქ. 11,13.
16. და მიერიტგან ეძიებდა განმარჯუებულსა ჟამსა, რაჲთამცა მისცა იგი მათ.
17. ხოლო პირველსა მას ბალარჯობასა მოუკდეს მოწაფენი იესუს და პრეტუეს: სადა გნებავს, დაგიმზადოთ შენ ჭამად ზატიკი ესე? (17) გაშ. 12,6,15. მრ. 14,12. ლ. 22,7.
18. და მან პრეტუა მათ: მივედით ვისამე ქალაქად და არქუთ მას: მოძლუარმან ეგრე თქუა: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო ზატიკი ესე მოწფითურთ ჩემით.
19. და ჟვეს ეგრე მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესუ, და დაუმზადეს მას ზატიკი იგი.
20. და ვითარ დამწუხრდა, ინაკ-იდგა ათორმეტთა მოწაფეთა თანა. (20) ლ. 22,14.
21. და ვითარ ჭამდეს იგინი, პრეტუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე. (21) ფს. 40,10. მრ. 14,18. ი. 13,21.
22. და დაწუხნეს ფრიად და იწყეს სიტყუად თითოეულად: ნუმცა მე ვარ, უფალო?
23. ხოლო მან მიუგო და პრეტუა: რომელმან შთამოყოს გელი ჩემ თანა პინაკსა, ამან მიმცეს მე.
24. ძმ სამე კაცისაჲ მივიდეს, ვითარცა წერილ არს მისთვის, ხოლო ვაჲ მას კაცსა, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის. კეთილმცა ყოფილ იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი. (24) ფს. 21,3. ეს. 53,3. დან. 9,26.
25. მიუგო იუდა, რომელ მიცემად ვიდოდა მას, და პრეტუა: ნუმცა მე ვარ, მოძლუარ? – პრეტუა მას: შენ სთქუ.
26. და იგინი ვითარ ჭამდეს, მოილო იესუ პური და აკურთხა, განტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და პრეტუა: მიიღეთ, ჭამეთ, რამეთუ ესე არს გორცი ჩემი! (26) მრ. 14,22. ლ. 22,19. 1 კორ. 11,24.
27. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და მისცა მათ და პრეტუა: სუთ ამისგან ყოველთა,
28. რამეთუ ესე არს სისხლი ჩემი აღთქემისაჲ, რომელ მრავალთათვის დაითხევის მისატივეებულად ცოდვათა. (28) მ. 20,28.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: არლარა ვსუა ამიერიტგან ამის ნაყოფისაგანი ვენაკისაჲ მი-მუნ-ღღემდე, რაჟამს ვსუა ეგე თქუენ თანა ახალი სასუფეველსა მამისა ჩემისასა.
30. და გალობით გამოვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.
- (31) ზაქ. 13,7. მრ. 14,27. ი. 16,32. 31. მიუგო მაშინ იესუ და პრქუა მათ: ყოველნივე დაპბრკოლდეთ ჩემდა მომართ ღამესა ამას, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და განიბნინენ ცხოვარნი სამწყსოჲსანი.
- (32) მ. 28,16. მრ. 14,28. 32. ხოლო რაჟამს აღვდგე, წარგიძლუე თქუენ გალილუად.
33. მიუგო პეტრე და პრქუა: ყოველნი თუ დაპბრკოლდენ შენდა მიმართ, ხოლო მე არასადა დავპრკოლდე შენდა მიმართ.
- (34) მრ. 14,30. ლ. 22,34. ი. 13,38. 34. პრქუა მას იესუ: მართლიად გეტყვ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათმის-ყივიდმდე, სამგზის უვარ-მყო მ(ე).
35. პრქუა მას პეტრე: სიკუდილიდა თუ შემხუედეს შენ თანა, არავე უვარ-გყო შენ. ეგრეცა ყოველთა მოწაფეთა თქუეს.
- (36) მრ. 14,32. ლ. 22,39. 36. მაშინ მოვიდა იესუ მათ თანა დაბასა, რომელსა სახელი ერქუა გესემანი, და პრქუა მოწაფეთა თუსთა: დასხედითმანდა, ვიდრემდის მივიდედა თაყუნის-ვსცე.
- (37) ფს. 114,3. ი. 12,27. 37. და წარიყვანა პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი, იწყო ზრუნვად და ურვად.
38. მაშინ პრქუა მათ: შეჭყუნებულ არს სული ჩემი მისიკუდიდმდე; მელოდეთ მე აქა და მღვძარე იყვენით ჩემ თანა.
- (39) მ. 20,22. ი. 5,30. ფლპ. 2,8. ებრ. 5,7-8. 39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თუსსა და ილოცვიდა და თქუა: მამათ ჩემო, მარჯუე თუ არს, თანაწარმკედინ ჩემგან სასუშელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ.
40. და მოვიდა მოწაფეთა და პოვნა ივინი მძინარენი და პრქუა პეტრეს: ეგოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ ღვძებად ჩემ თანა.

29. კუბუეუ C 33. თ C 34. კუბუეუ C 35. პეტრე C: შემხუედეს C. 38. მღვძარე C

41. იღვძებდით და თაყუანის-სცემდით, რაფთა არა შეხვდეთ განსაცდელსა; სული გულსმოდგინე არს, ხოლო კორცნი - უძღურ.

42. მერმე მეორედ მივიდა, თაყუანის-სცა და თქუა: მამაო ჩემო, ვერ თუ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანაწარსლვად ჩემდა, რაფთამცა არა შევსუ, იყავნ ნებაჲ შენი.

43. და მოვიდა კუალად და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ.

44. და დაუტევნა იგინი და მივიდა, თაყუანის-სცა მესამედ, იგივე სიტყუაჲ თქუა მერმე.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და განისუენეთ. აჰა, ესერა, მოიწია ჟამი, და ძე კაცისაჲ მიეცემის კელთა ცოდვილთასა.

46. აღდეგით და წარვიდეთ ამიერ. აჰა, ესერა, მოწევნულ არს მიმცემელი იგი ჩემი.

47. და ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა, ჯუდა, ერთი ათორმეტთაგანი, მოვიდა, და მის თანა ერი მრავალი მახვლოსანნი და წათოსანნი მღდელთმოდღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

(47) მრ. 14,43.
ლ. 22,47.
ი. 18,3.

48. ხოლო მიმცემელმან მან მისმან მისცა მათ სასწაული და ჰრქუა: რომელსაცა ამბორს-უყო, იგი არს. შეიპყართ იგი!

49. და მუნქუესვე მოუჯდა და ჰრქუა იესუს: გიხაროდენ, მოძღუარ! -- და ამბორს-უყო.

50. ხოლო იესუ ჰრქუა მას: მოყუასო, რომლისათუს მოსრულ ხარ? -- მაშინ მიუჯდეს და შეასხნეს კელნი იესუს და შეიპყრეს იგი.

51. და ერთმან ვინმე იესუსთანამან მიყო კელი, აღმოიკადა მახვლი თუსი და სცა მონასა მღდელთმოდღურისასა და წარაკუეთა ყური.

52. მაშინ ჰრქუა მას იესუ: მიაქციე მახვლი ევე ადვილადვე თუსა, რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიღოს მახვლი, მახვლითაცა მოწყდეს.

(52) ლ. 9,6.
გცხ. 13,10.

- (53) და 6. 7, 10. 53. ანუ ჰკონებ, ვითარმედ ვერშემძლებელ ვარ ვედრებად მამისა ჩემისა, და დაძიდგინოს მე აწ აქა უფროას ათორმეტი დასი ანგელოზთაჲ?
- (54) ფს. 21, 2. ეს. 53, 2. და 6. 9, 26. 54. და ვითარმე აღესრულოს წიგნები იგი, რამეთუ ესრე ჯერ-არს ყოფად?
55. მას ჟამსა შინა პრქუა იესუ ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვლითა და წათითა შეპყრობად ჩემდა; მარადლე ტაძარსა მას შინა ვჯედ თქუენ თანა და გასწავებდი, და არა შემიპყართ მე.
56. ხოლო ესე ყოველი იყო, რაჲთა აღესრულოს წიგნები იგი წინაწარმეტყუელთაჲ. — მაშინ მოწაფეთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.
- (57) მრ. 14, 53. ლ. 22, 54. 57. ხოლო მათ შეიპყრეს იესუ და მიიყვანეს კააფაჲს მღდელთმოდურისა, სადა მღდელთმოდლუარნი და მოხუცებულნი შეკრებულ იყვნეს.
58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორს ეზოდ მღდელთმოდურისა და შევიდა შინა, დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.
- (59) ფს. 26, 12; 34, 11. მრ. 14, 55. 59. და მღდელთმოდლუარნი იგი და ყოველი იგი კრებული ეძიებდეს ცრუჲს-წამებასა იესუსთჲს, რაჲთამცა მოაკუდინეს იგი,
60. და არა პოეს. და მრავალნი მოვიდეს ცრუმოწამენი. უკუანაასკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი
- (61) მ. 27, 40. მრ. 14, 58. ი. 2, 19. 61. და თქუეს: ამან თქუა: შემძლებელ ვარ დარლუევად ტაძრისა მის ღმრთისაჲსა და მესამესა დღესა აღშენებად.
62. აღდგა მღდელთმოდლუარი იგი და პრქუა მას: არას მიუგებ, რასა ესენი გასმენენ შენ?
- (63) ეს. 53, 7. სქ 8, 33. 63. ხოლო იესუ დუმნა. და მღდელთმოდლუარმან მან პრქუა მას: გაფუცებ შენ ღმრთისა ცხოელისა, რაჲთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა?
- (64) ფს. 109, 1. და 6. 7, 13. მ. 16, 27. ი. 6, 62 სქ 1, 11. რომ. 14, 11. 1 თეს. 4, 16. გცხ. 17. 64. პრქუა მას იესუ: შენ სთქუ. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერითგან იხილოთ თქუენ ძე კაცისაჲ მჯდომარჲ მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა

55. მახვლითა C. 57. მღდელთმოდლურისა C. 59. ცრუხ- C. 64. ძედდომარჲს

65. მაშინ მღდელთმოძღვარმან დაიპო სამოსელი თვისი და თქუა: ბასრობს; რადასალა გვკმს მოწამე? ეგერა, აწ გესმა ბასრობაჲ იგი მისი.
66. რაჲ ჯერ-გინს თქუენ? — ხოლო მათ მიუგეს და თქუეს: სიკუდილის თანამდებ არს.
67. მაშინ ნერწყვდეს პირსა მისსა და ჯურთითა (67) ეხ. 50,6; 53,3.
პცემდეს, და რომელნიმე ყურიმალსა სცემდეს
68. და ეტყოდეს: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ.
69. ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა მას. და მიუცდა მას ერთი მკევალი და პრქუა: შენცა იყავ იესუს თანა, გალილეველისა.
70. მან უვარ-ყო წინაშე ყოვლისა და თქუა: არა უწყი, (70) მრ. 14,68.
რასა იტყვ.
71. და ვითარ გამოვიდა იგი ბჭეთა, იხილა იგი სხუამან და პრქუა მათ, რომელნი მუნ დგეს: ესე იესუს თანა იყო, ნაზორეველისა.
72. და კუალად უვარ-ყო ფიცით, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი.
73. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მოუცდეს, რომელნი დგეს მუნ, და პრქუეს პეტრეს: ჭეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, რამეთუ სიტყუაჲცა შენი საცნაურ-გყოფს შენ.
74. მაშინ იწყო წყევად და ფიცად, ვითარმედ: არა (74) მრ. 14,72.
ვიცი კაცი ესე. — და მუნქუესვე ქათამი ყივა.
75. და მოეკენა სიტყუაჲ იგი იესუსი, რომელ პრქუა, ვითარმედ: ვიდრე ქათმის-ყივილამდე სამგზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ.

27

1. და ვითარ განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა (1) ფს. 2,2.
მღდელთმოძღვართა და ხუცესთა ერისათა იესუსთჳს, რადათამცა მოაკუდინეს იგი.
2. და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს პილატეს (2) მრ. 15,1.
ბჭესა. ლ. 23,1.

3. მაშინ იხილა ჯედა, მიმცემელმან მისმან, რამეთუ დაისაჯა, შეინანა და უკუნსცა ვეცხლი იგი მლდელთმოძღუართა და მოხუცებულთა.
4. და პრქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ პრქუეს: ჩუენდა რაჲ? შენ უწყი.
- (5) სქ 1, 18. 5. და დააგდო ვეცხლი იგი ტაძარსა მას და მივიდა და შიშუდილ-იბა.
6. ხოლო მლდელთმოძღუართა მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ღირს ესე დადებად საფასეთა, რამეთუ სასყიდელი სისხლისაჲ არს.
7. ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მით აგარაკი იგი მეკეცისაჲ საფლავად უცხოთა.
- (8) სქ 1, 19. 8. ამისთვის ერქუა აგარაკსა მას აგარაკ სისხლის მოდენდელად დღემდის.
- (9) იერ. 32, 9. ზაქ. 11, 12. 9. მაშინ აღესრულა სიტყუაჲ იგი იერემია წინაწარმეტყუელისა თქუმული: და მოიღეს ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი იგი პატიოსნისაჲ, რომელ-იგი სასყიდლის-ყვეს ძეთა ისრაჴლისათა.
10. და მისცეს იგი აგარაკისათვის მეკეცისა (ჲ)სა, ვითარცა მიბრძანა მე უფალმან.
- (11) მრ. 15, 2. ლ. 23, 3. ი. 18, 37. 1 ტმ. 6, 13. 11. ხოლო იესუ წ(ა)რდგა წინაშე მის ბჭისა. კითხვიდა მას და პრქუა: შენ ხარ მეუფჴ ჰურიათაჲ? — ხოლო იესუ პრქუა: შენ იტყვ.
- (12) მ. 26, 63. 12. და ვითარ ასმენდეს მას მლდელთმოძღუარნი იგი და მოხუცებულნი, არას მიუგებდა იგი.
13. მაშინ პრქუა მას პილატე: არა გესმის, რაოდენსა ესენი შეგწამებენ შენ?
14. და არა მიუგო მას არცა ერთსა სიტყუასა, ვითარმედ დაუკვრდებოდა ბჭესა მასცა ფრიად.
15. ხოლო დღესასწაულად-დღესასწაულად ჩუეულ იყო ბჭე იგი მიტევებად ერთისა პერობილისა ერსა მას, რომელცა პნებავნ.
16. პერობილ ვინმე იყო მაშინ წარჩინებული, რომელსა ერქუა ბარაბა.

9. აღესრულაჲ C 12. მლდელთმოძღუარნი C. 13. პილატე C. 14. დაუკვრდებოდა C. 16. ბარაბა C.

17. და ვითარცა შეკრებულ იყვნეს იგინი, პრქუა მათ პილატე: რომელი გნებავს, ორთაგანი მიგიტევოთქუენ: ბარაბაჲ, ანუ იესუ, რომელსა პრქჳან ქრისტე? (17) მ. 21, 11.
18. უწყოდა, რამეთუ შურობით მიეცა იგი.
19. და ვითარ ჯდა იგი საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან თჳსმან და პრქუა: რაჲ ძეს შენი და მაგის მართლისაჲ? რამეთუ მრავალი ჭირი შემხუედა მე დღეს ჩუენებით მაგისთჳს.
20. ხოლო მღღელთმოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა მას, რაჲთა მოითხოონ ბარაბა და იესუ წარწყმიდონ. (20) მრ. 15, 11. ლ. 23, 18. ი. 18, 40. სქ 3, 14.
21. მიუგო მსაჯულმან მან და პრქუა მათ: რომელი გნებავს ორთაგანი, და მიგიტევოთქუენ? ხოლო მათ თქუეს: ბარაბა.
22. ხოლო პრქუა მათ პილატე: აწ უკუე რაჲ ვყო იესუ, რომელსა პრქჳან ქრისტე? პრქუეს მას: ჯუარს-ეცუნ!
23. ხოლო მან პრქუა: რაჲ ძჳრი უქმნიეს? იგინი უმეტეს ღალადებდეს და იტყოდეს: ჯუარს-ეცუნ!
24. იხილა რაჲ პილატე, რამეთუ არას არგებდა, არამედ უფროჲსი ამბოხი იქმნებოდა, მოიღო წყალი და დაიბანნა კელნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან ამის მართლისაჲსა, თქუენ იგულეთ.
25. და მიუგო ყოველმან ერმან და თქუა: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და ჩუენთა შვილთა ზედა.
26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესუ გუემა და მისცა მათ, რაჲთა ჯუარს-აცუან. (26) მრ. 15, 15. ი. 19, 1.
27. მაშინ ერისა კაცთა მათ ბჭისათა წარიყვანეს იესუ ურაკპარაკად და შეკრიბეს მის ზედა ყოველი ნათესავი იგი.
28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შეპმოსეს მას.

17. პილატე C. ბარაბაჲ C. პრქჳან C. 20. ბარაბა C. 21. ბარაბა C. 22. პრქჳან C. ჯუარს-ეცუნ C. 23. ძჳრი C. ღალადებდეს C. ჯუარს-ეცუნ C. 24. სისხლისაგან C. სისხაგან C. 26. ბარაბა C.

29. და შექმნეს გვრგვნი ეკლისაჲ და დაადგეს თავსა მისსა და ლერწამი მარჯუენესა კელსა მისსა, და მუკლნი დაიდგნიან წინაშე მისა და ეკიცხევდ მას და ეტყვიდ: ვიხაროდენ, მეუფეო ჰურიათაო!

30. და პნერწყედეს მას და მოილიან ლერწამი იგი და სცემედ თავსა მისსა.

31. და რაჟამს განკიცხეს იგი, განსძარცუეს მას ქლამინდი იგი და შეჰმოსეს მას თვისივე სამოსელი და მიიყვანეს იგი ჯუარ-ცუმად.

32. და ვითარ გამოვიდოდეს, პოეს კაცი კვრინელი, რომელსა სახელი ერქუა სიმონ. ესე წარიქციეს, რაჲთა აღიკიდოს ჯუარი მისი.

(33) მრ. 15,22.
ლ. 23,33. ი. 19,17.
ებრ. 13,12.

33. და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა სახელი ერქუა გოლგოთა, რომელ არს თხემისა ადგილი.

(34) ფს. 68,22.

34. და მისცეს მას სუმად ღვნოჲ ნავლელრეული. და ვითარ გემოჲ იხილა, არა უნდა სუმად.

(35) ფს. 21,19.

35. ხოლო ჯუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი წილით, რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყუელისაჲ: განიყვეს სამოსელი ჩემი თავისა მათისა და კუართსა ჩემსა ზედა წილ-იგდეს.

36. და სხდეს მუნ და სცვიდეს.

37. და ადვეს თავსა ზედა მისსა ბრალად მისა დაწერილი, ვითარმედ: ესე არს მეუფე ჰურიათაჲ.

(38) ეს. 53,12.

38. მაშინ ჯუარს-აცუნეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი — მარჯუენით მისა და ერთი — მარცხენით.

(39) ფს. 21,8;
108,25.

39. ხოლო თანაწარმავალნი იგი ჰბასრობდეს მას და ხრიდეს თავსა მათსა

(40) მ. 26,61.
მრ. 14,58.

40. და ეტყოდეს: შ, რომელი დაარლუევდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშენებდ მას, განარინე თავი შენი; ძე თუ ხარ ღმრთისაჲ, გარდამოკედ ჯუარით!

41. ეგრეცა მღდელთმოძლუარნი იგი ეკიცხევდეს მწიგნობართა თანა და მოხუცებულთა და იტყოდეს:

42. სხუანი აცხოვნნა, თავისა თვისსაჲ ვერ უძლოს ცხოვნებად. უკუეთუ მეუფე ჰურიათაჲ არს, გარდამოკედინ აწ ჯუარით, და გურწმენეს იგი.

29. გურგვნი: მისსა C. ეტყუედ C. 30. პნერწყედეს C. 31. განსძარცუეს C. 34. ლერწამი C. 35. ვუარს-აცუეს C. 40. დაარლუევდა C. ლ-ახაჲ C.

43. რამეთუ ესვიდა ღმერთსა, აწ იკსენინ იგი, უკუეთუ პნებავს იგი, რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარ. (43) ფს. 21,9,18. სბრნე 2,18.
44. ეგრეცა ავაზაკნი იგი, რომელ ჯუარცუმულ იყვნეს მის თანა, აყუედრებდეს მას.
45. და მეექუსით ჟამითგან დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა მი-ცხრაჟამამდე. (45) ამ. 8,9.
46. და მეცხრესა ოდენ ჟამსა კმა-ყო იესუ კმითა დიდითა და თქუა: ღლი, ღლი! ლამა საბაკთანო? ესე არს: ღმერთო, ღმერთო ჩემო! რად დამაგდებ მე? (46) ფს. 21,2. მრ. 15,34.
47. და რომელთა ესმა, იტყოდეს: აჰა, ელიას უკმოხსესე.
48. და მეყსეულად მირბიოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბკლი, ალავსო ძმრითა და დაადგა ლერწამი და ასუმიდა მას. (48) ფს. 68,22. ი. 19,29.
49. ხოლო სხუანი ეტყოდეს: აცადეთ, ვიხილოთ, მოძი-ვიდეს ელია განრინებად მაგისა.
50. ხოლო იესუ კმა-ყო კმითა დიდითა და აღმოუტევა სული.
51. და, აჰა, კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან ზენაჲთგან მი-ქუენამდე, და ქუეყანაჲ შეიძრა, და ლოდნი განსთქდეს. (51) გამ. 26,31. 26შტ. 3,14. ებრ. 10,20.
52. და სამარენი აეხუნეს, და მრავალნი გორცნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს,
53. და გამოვიდეს სამარით და შემდგომად აღდგომისა მისისა შევიდეს წმიდასა ქალაქსა და ეჩუენნეს მრავალთა.
54. ხოლო ასისთავმან მან, და რომელნი სცვიდეს მის თანა იესუს, ვითარ იხილეს ძრვაჲ იგი, და რაჲ-იგი-იქმნა, შეეშინა ფრიად და თქუეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაჲ იყო ესე.
55. და იყვნეს მუნ დედანი მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი-იგი მოსდევდეს იესუს გალილეაჲთ მსახურებად მისა,
56. რომელ იყო მარიამ მაგდანელელი და მარიამ იაკობისი და იოსეფის დედაჲ, და დედაჲ ძეთა ზებედესთაჲ.

(57) მრ. 15, 42-43. ლ. 23, 50. ი. 19, 38.

57. და ვითარ დამწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიადთ, რომელსა სახელი ერქუა იოსებ, რამეთუ იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესუსა.

58. ესე მიუკდა პილატეს და მოსთხოვნა ჯორცნი იგი იესუსნი. მაშინ უბრძანა პილატე მიცემად მას.

59. და მოიხუნა ჯორცნი იგი იოსეფ და შევრავნა იგი არდაგსა წმიდასა.

60. და დადვა ახალსა შინა სამარესა თუსსა, რომელი იგი აღმოეკუეთა კლდესა შინა, და მოაგორვა ლოდი დიდი კარსა მას მის საფლავისასა და წარვიდა.

61. და იყო მუნ მარიაჲ მაგდანელელი და მერმე მარიამი, სხდეს წინაშე სამარესა მას.

62. ხვალისაგან, რომელ არს პარასკევისა შემდგომად, შეკრბეს მღელთმოძღუარნი და ფარისეველნი პილატესა

63. და პრქუეს: უფალო, მოვიკსენეთ ჩუენ, რამეთუ მან მაცთუნებელმან თქუა, ვიდრე ცოცხალდა იყო, ვითარმედ: მესამესა დღესა აღვდგე.

64. ბრძანე აწ დაკრძალვაჲ საფლავისაჲ მის მესამედ დღედმდე, ნუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი ღამე და წარიპარონ იგი და პრქუან ერსა მას, ვითარმედ: აღდგა იგი მკუდრეთით. და იყოს უკუანაჲსკნელი საცთური უძვრეს პირველისა.

65. პრქუა მათ პილატე: გაქუნს თქუენ დასი; მივედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.

66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

28

(1) მრ. 16, 1. ლ. 24, 1. ი. 20, 1.

1. მწუხრი შაფათსა, რომელი განთენებოდა ერთშაფათად, მოვიდა მარიაჲ მაგდანელელი და მერმე მარიამი ხილვად საფლავისა მის.

2. და, აჰა, ძრვაჲ იყო დიდ, რამეთუ ანგელოზი უფლისაჲ გარდამოკდა ზეცით, მოვიდა და გარდაგორვა ლოდი იგი კარისა მისგან და დაჯდა მას ზედა.

58. მაჰხოხივნა C. 60. თუხსა C. 64. უძერეს C. 65. ვაქუს C.

3. იყო ხილვად მისი, ვითარცა ელვად, და სამოსელი მისი სპეჭაკ იყო, ვითარცა თოვლი.
4. და საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს, ვითარცა მკუდარნი.
5. მიუგო ანგელოზმან მან და პრქუა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქუენ; უწყი, რამეთუ იესუს ჯჷარცუმულსა ეძიებთ. (5) მრ. 16,6.
6. არა აქა არს, არამედ აღდგა იგი, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ აღვილი იგი, სადა იღვა უფალი. (6) მ. 12,40; 16,21; 17,23.
7. და ადრე წარვედით და არქუთ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა და, აჰა, წინაგიძღუს თქუენ გალილეას, მუნ იხილოთ იგი. აჰა, ესერა, გარქუ თქუენ. (7) მ. 26,32. მრ. 14,28. ი. 21,1. სქ 1,3; 10,41. 1 კორ. 15,5.
8. და წარვიდეს ადრე-ადრე მიერ სამარით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.
9. და, აჰა, იესუ შეემთხვა მათ და პქუა: გიხაროდენ! — ხოლო იგინი მიუკდეს და შეუპყრნეს ფერკნი მისნი და თაყუანის-სცეს მას. (9) მრ. 16,9. ი. 20,14.
10. მაშინ პრქუა მათ იესუ: ნუ გეშინინ, მივედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რაჲთა მივიდენ გალილეად და მუნ მიხილონ მე. (10) ი. 20,17. ებრ. 2,11.
11. და ვითარ იგინი წარვიდეს, მუნქუესოდენ დასისა მისგანნი ვინმე მოვიდეს ქალაქად და მიუთხრეს მღდელთმოდღუართა მათ ყოველივე, რაჲცა-იგი იქმნა.
12. და შეკრბეს მღდელთმოდღუარნი იგი მოხუცებულეებითურთ, ზრახვა-ყვეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ
13. და პრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა.
14. და ღათუ ესმეს ესე ბჭესა მას, ჩუენ ვარწმუნოთ მას და თქუენ უზრუნველ-გყვნეთ.

5. ჯურჯულებსა C 6. ვითარცა C 7. წინაგიძღუს C. 9. შეემთხვა C. 11. იკობისჯივი C.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ვგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყუაჲ ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღენდელად დღემდის.

16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილეს, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესუ.

17. და ვითარცა იხილეს იგი, თაყუანის-სცეს მას; და რომელნიმე შეორგულდეს.

(18) მ. 11, 27. ლ.
1, 32. ი. 3, 35; 13, 3;
17, 2. 1 პეტ. 3, 22
რომ. 14, 9. ეფ.
1, 10. ფლპ. 2, 9.
კლს. 1, 16. ებრ.
2, 8. გვხ. 19, 16.

18. და მოუკდა მათ იესუ, ეტყოდა მათ და ჰრქუა: მოცემულ არს ჩემდა ყოველი კელმწიფებაჲ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა. ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქუენ.

19. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა,

20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოვლისა, რაოდენი გამცენ თქუენ. და, აჰა, ესერა, მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა.

სახარებაჲ მარკოზისი

1

1. დასაბამი სახარებისა იესუ ქრისტესი.
2. ვითარცა წერილ არს ესაჲა წინაწარმეტყუელსა: აჰა, ესერა, წარვაველინებ ანგელოზსა ჩემსა წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადოს გზაჲ შენი წინაშე პირსა შენსა. (2) მალ. 3,1. მ. 11,10. ლ. 7,27.
3. კმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა: განმზადეთ გზაჲ უფლისაჲ და წრფელს-პყოფდით ალაგთა მისთა, (3) ეს. 40,3. მ. 3,3. ლ. 3,4. ი. 1,23.
4. ხ- იყო იოვანე ნათლისმცემელი უდაბნოსა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მოსატევებელად ცოდვათა. (4) მ. 3,1. ლ. 3,3. ი. 1,31. სქ 13,24.
5. და განვიდოდა მისა ყოველი ჰურიასტანი სოფელი და იერუსალმელნი, და ყოველნი ნათელს-იღებდეს (მისგან) იორდანესა მდ(ი)ნარესა და აღ(ი)არებდეს ცოდვათა მათთა.
6. ხოლო იოვანე მოსილ იყ(ო) სტევითა აქლემისაჲთა, და სარტყელი ტყავისაჲ ერტყა წელთა მი(ს)თა, და ჭამდა მკალსა და თაფლსა ველურსა. (6) ლევ. 11,22. მ. 3,4.
7. და ქადაგებდა და იტყოდა, ვითარმედ: მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა არა ღირს ვარ მე დადრეკად და განჯსნად საბელთა კამლთა მისთასა. (7) ლ. 3,16. ი. 1,27.
8. მე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელს-გცეს თქუენ სულითა წმიდითა. (8) სქ 1,5; 2,4. 1 კორ. 12,13.
9. და იყო, მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაჲსაჲთ და ნათელ-ილო იორდანესა იოვანესგან. (9) მ. 3,13. ლ. 3,21.
10. და მუნქუეს ოდენ, ვითარ აღმოვიდოდა იგი მიერ წყლით, იხილნა ცანი განხუმულნი და სული ვარდამომაგალი, ვითარცა ტრედი, მის ზედა. (10) მ. 3,16. ლ. 3,21. ი. 1,32.
11. და კმაჲ ცით ვარდამო ესმა: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ მთნავ. (11) მ. 3,16. ლ. 3,21. ი. 1,32.
12. და მუნქუესვე სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ. (12) მ. 4,1. ლ. 4,1.

13. და იყო ი[გი] მუნ ორმოც დღე გამოცდად ეშმაკისაგან. და იყო იგი მკვცთა თანა, და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.
- (14) მ. 4, 12. ლ. 4, 14. ი. 4, 43. 14. ხოლო შემდგომად იოვანეს საპყრობილედ მიცემისა მოვიდა იესუ გალილეად, ქადაგებდა სახარებასა მას ღმრთისასა
- (15) მ. 4, 17. 15. და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულებულ არს უამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისაჲ.
- (16) მ. 4, 18. 16. და ვითარ წარვიდოდა ზღუსკიდესა გალილესასა, იხილა სიმონ და ანდრია, ძმაჲ სიმონისი, ისათხველიდეს სათხვევლითა ზღუასა, რამეთუ მთხვეარ იყვნეს.
17. და პრქუა მათ იესუ: მოედით და შემომიდევით მე, და გქმნეთქუნ, რაჲთა იყვნეთ თქუნ მონადირე კაცთა.
18. და მუნქუესვე დაუტევნეს ბადენი იგი და მისდევდეს მას.
19. და წარ-რე-ვიდა მცირედ და იხილა მან იაკობ ზებედესი და იოჰანე, ძმაჲ მისი, და იგინიცა ნავსა შინა გან-ოდენ-იგებდეს სათრომელთა.
20. და მუნქუესვე უწოდა მათ. ხოლო მათ მუნქუესვე დაუტევეს მამაჲ მათი ზებედე ნავსა შინა მორეწეთა თანა და მივიდეს შემდგომად მისა.
- (21) მ. 4, 13. ლ. 4, 31. 21. და შევიდეს კაფარნაომდ, და მუნქუესვე შაფათთა შინა ასწავებდა შესაკრებელთა შინა.
- (22) მ. 7, 28. ლ. 4, 32. 22. და დაკრვებულ იყვნეს მოძღურებასა მას მისსა ზედა, რამეთუ იყო მოძღურებად მათა ვითარ კელმწიფე და არა ვითარ მწიგნობარნი იგი მათნი.
- (23) ლ. 4, 33. 23. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი სულითა არაწმიდითა შეპყრობილი, და ლაღატ-ყო
- (24) და 6. 9, 24. მ. 8, 29. იაკ. 2, 19. 24. და თქუა: გუაცადე, რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესუ ნაზორეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიცი შენ, ვინ ხარ, წმიდაო ღმრთისაო!
25. და შეჰრისხნა მას იესუ და პრქუა: პირი დაიყავ და გამოვედ მაგისგან!

1-ი. ლ-ახსნაჲ 16. ზღუსკიდესაჲ. 20. ზებედეჲ 22. დაკრვებულჲ 2-ი. კუაცადეჲ

26. და დაჰკუეთა იგი სულმან არაწმიდამან და
ლალატ-ყო წმითა დიდითა და განვიდა მისგან.
27. და დაუკურდა ყოველთა, გამოეძიებდეს
ურთიერთას და იტყოდეს: რამე არს ესე სწავლაჲ
ახალი? რამეთუ კელმწიფებით არაწმიდათა მათ
სულთა უბრძანის, და დაემორჩილებიან მას.
28. და განჰდა ჰამბავი ესე მისი ყოველსა მას
გარემოჲს სოფლებსა გალილეაჲსასა.
29. და მუნქუესვე გამოვიდეს მიერ შესაკრებელით და (29) მ. 8, 14. ლ.
მოვიდეს სახედ სიმონისა და ანდრიაჲსა 4,38.
იაკობითურთ და იოჰანეთურთ.
30. ხოლო სიდედრი სიმონისი იდვა სიცხითა. და
მუნქუესვე პრქუეს მას მისთვის.
31. და მოვიდა, უპყრა ჯელი და აღადგინა და
დაუტევა იგი სიცხემან მან, და კმსახურებდა მათ.
32. და ვითარ დამწუხრდა, რაჟამს დაჰკდა მზე, (32) მ. 8, 16.
მოართუმიდეს მას ყოველსა სნეულებსა და ლ. 4,40.
ეშმაკეულებსა.
33. და ქალაქი იგი ყოველი შეკრებულ იყო წინაშე
კართა.
34. და განკურნა მრავალნი სნეულნი პირად- (34) მრ. 3, 12.
პირადთაგან სენტა და ეშმაკნი მრავალნი განჰაღნა; ლ. 4, 14. სქ
და არა უფლეს სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ 16, 17; 19, 15.
იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს.
35. და მსთუად განთიად აღდგა, გამოვიდა და მივი-
და უდაბნოსა ადგილსა და მუნ თაყუანის-სცემდა.
36. და მისდევდა მას სიმონ და მისთანანი იგი.
37. და რაჟამს პოეს იგი, პრქუეს მას, ვითარმედ:
ყოველნი გეძიებენ შენ.
38. და პრქუა მათ: მოვედით და მივიდეთ გარემო (38) ლ. 4, 43.
მახლობელთა მათცა დაბა-ქალაქთა, რაჲთა მუნცა
ვქადაგებდე, რამეთუ ამისთვის მოსრულ ვარ.
39. და ქადაგებდა შესაკრებელთა შინა მათთა
ყოველსა გალილეასა და ეშმაკთა განჰჰდიდა.
40. და მივიდა მისა განბოკლებული, ევედრებოდა (40) მ. 8, 2.
მას და მიუკლ-დადგმით ეტყოდა. ვითარმედ: გინდეს
თუ, ძალ-გიც განწმედად ჩემდა.

41. ხოლო იესუს შეეწყალა იგი, მიყო კელი, შეახო მას და პრქუა: მნებავს, განწმიდნი!
42. და ვითარცა პრქუა მას ესე, მუნქუესვე განეშორა მას განბოკლებაჲ იგი და განწმიდნა.
43. და შეპრისხნა მას, და მუნქუესვე გამოაძო იგი
44. და პრქუა მას: ნუვის უთხრობ, არამედ მიგუალე და უჩუენე თავი შენი მღდელსა და შეწირე განწმედისა შენისათჳს, რომელ ბრძანა მოსე საწამებელად მათდა.
45. ხოლო იგი ვითარ გამოვიდა, იწყო ქადაგებად ფრიად და მიმოდადებად სიტყჳსა მის და ვერლარა კელ-იწიფის მან ქალაქად ცხადად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყო. და მოვიდოდეს მისა ვინაჲვე.

2

ლ. 5,12.
(44)ლევ. 13,2.
ა. 8,4. ლ. 5,14.

- (1) მ. 9,1. 1. და მოვიდა მერმე კაფარნაომდ მცირეთა დღეთაგან, ხოლო ისმა, ვითარმედ სახლსა შინა არს.
2. და შეკრბეს მრავალნი, ვითარ ვერლარა დატეუნად ვერცა კართა გარეშე, და ეტყოდა მათ სიტყუასა მას.
- (3) მ. 9,2.
ლ. 5,18. 3. და მოვიდოდეს მისა და მოაქუნდა მისა განრლუეული, რომელ ზეაქუნდა ოთხთა.
4. და ვერ უძლეს მიახლებად ერისა მის გამო, გარდაარლვეს სართული სახლისაჲ მის, რომელსა შინა იყო, და განთხარეს და შთაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა განრლუეული იგი იდვა.
- (5) ებ. 43,25. 5. იხილა რაჲ იესუ სარწმუნოებაჲ იგი მათი, პრქუა განრლუეულსა მას: შვილო, მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი!
6. და იყვნეს ვინმე მწიგნობარნი მუნ მსხდომარეთაგანნი, განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა:
7. რად ესე ესრეთ გმობასა იტყჳს? ვინ შემძლებელ არს პიტევებად ცოდვათა, გარნა მარტოჲ ღმერთი?
- (8) ი. 2,24;
6,64. 8. და მუნქუესვე ცნა იესუ სულთა თჳსითა, რამეთუ ესრე ზრახვენ ივინი გულთა შინა მათთა: პრქუა მათ: რად ესრეთ ზრახავთ გულთა შინა თქუენტა?

9. რაჲ უადვილეს არს თქუმად განრლუეულსა: (9) მ. 9,5.
მიგეტევინენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ, ლ. 5,23.
ალილე ცხედარი შენი და ვიდოდე?
10. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფე არს ძმ კაცისაჲ ქუეყანასა ზედა მიტივეებად ცოდვათა, და პრქუა განრლუეულსა მას:
11. შენ გეტყვ: აღდეგ, ალილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!
12. და აღდგა მუნქუესვე, აღილო ცხედარი იგი და განვიდა წინაშე ყოველთა. დაკრვებულ იყვნეს, და აღიდეგდეს ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არასადა ესრეთ ვიხილეთ.
13. და განვიდა მერმე ზღვსკიდედ, და ყოველი იგი ერი მოვიდოდა მისა; და ასწავებდა მათ.
14. და წარვიდოდა იგი მიერ, იხილა ლევი აღფესი, (14) მ. 9,9.
მჯდომარე საზუერესა ზედა, და პრქუა მას: მომდევდ ლ. 5,27.
მე! — და აღდგა და შეუდგა მას.
15. და იყო ინაჯის-დგმასა მისსა შინა სახლსა მისსა, და მრავალთა მეზუერეთა და ცოდვილთა ინაჯ-ედგა იესუს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამეთუ იყვნეს მუნ მრავალ და მისდედეს მას.
16. მწიგნობარნი იგი ფარისეველთანი, იხილეს რაჲ იგი, რამეთუ ჭამდა მეზუერეთა თანა და ცოდვილთა, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რაჲსათჳს მეზუერეთა თანა და ცოდვილთა პჭამთ და პსუამთ?
17. და ვითარ ესმა იესუს, პრქუა მათ: არა უკმს (17) მ. 9,13.
ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა. არა მოს- ლ. 5,32. 1
რულ ვარ ჩინებად მართალთა, არამედ ცოდვილთა. ტმ. 1,15.
18. და იმარხვიდეს მოწაფენი იოვანესნი და (18) მ. 9,14.
ფარისეველთანი და პრქუეს მათ: რაჲსათჳს ლ. 5,33.
მოწაფენი იოვანესნი და ფარისეველთანი იმარხვენ, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?
19. პრქუა მათ იესუ: შემძლებელ არიანმე ნაშობნი ქორწილისანი, ვიდრე სიძე იგი მათ თანადა არს, მარხვად? რაოდენ ჟამ სიძე იგი მათ თანადა იყოს, ვერშემძლებელ არიან მარხვად.

12. მუნქუევე C. 13. ზღვსკიდედ C. 14. საზუერესა C. 15. დგმა- C.
მეზუერეთა C. 16. მეზუერეთა C.

- (21) მ. 9, 16.
ლ. 5, 36.
20. არამედ მოვიდენ დღენი, რაჟამს აღიღოს მათგან სიმჭ იგი, მაშინლა იმარხვიდენ მათ დღეთა შინა.
21. არავინ სადგმელი ნახევისა უმურკველისა და დადვის სამოსელსა ზედა ძუელსა; უკუეთუ არა, გამოიღლიძის სწორად თჳსა ახალმან მან ძუელისა მის და უძვრეს განხეთქილ იქმნის.
22. და არავინ შთაასხის ღვინო ახალი თხიერთა ძუელთა; უკუეთუ არა, განხეთქის ღვინომან თხიერნი იგი და ღვინო იგი დაითხიის, და თხიერნი იგი წარწყმიდიან; არამედ ღვინო ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.
- (23) მჯ. 23, 25.
მ. 12, 1. ლ. 6, 1.
23. და იყო, ვითარ თანაწარპვიდოდა იგი ყანობირსა შაფათსა შინა, და მოწაფეთა მისთა იწყეს სღვასა შინა მათსა სხურტად თავისა.
24. ხოლო ფარისეველნი ეტყოდეს მას: იხილე, რასა იქმან შაფათსა შინა, რომელ არა ჯერ-არს!
25. და მან პრქუა მათ: არამე სადა აღმოგიკითხავს თქუენ, რად-იგი ყო დავით, ოდეს-იგი უკმდა და შეემშია და მისთანათა მათ?
- (26) გამ. 29, 33.
ლევ. 24, 9. 1
მგ. 21, 7. მ.
12, 4. ლ. 6, 4.
26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღდელთმოდღურისა ზე და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამაჲ, გარნა მღდელთაჲ ხოლო, და სცა მისთანათაცა, რომელნი იყვნეს.
27. და ეტყოდა მათ: შაფათი კაცისათჳს დაებადა და არა კაცი შაფათისათჳს.
28. ხოლო უფალ არს ძმ კაცისაჲ შაფათსაცა.

3

- (1) მ. 12, 9.
ლ. 6, 6.
1. და შევიდა მერმე შესაკრებელსა შინა და იყო მუნ კაცი, რომელსა განკმელ ედგა კელი.
2. და უმზირდეს მას, უკუეთუცა შაფათსა შინა განკურნა იგი, რადთამცა შეასმინეს იგი.
3. და პრქუა კაცსა მას, რომელსა-იგი კელი განკმელ ედგა: წარმოდეგ შუვა!

4. და პრქუა მათ: რაჲ წეს არს შაფათსა შინა: ქველისსაქმჳ ანუ ძვრისსაქმჳ? სულისა ცხორებაჲ, ანუ წარწყმედაჲ? – ხოლო იგინი დუმნეს.
5. და მიხედა მათ მრისხანედ შეჭუვნებულად სიბრმესა მას ზედა გულისა მათისასა და პრქუა კაცსა მას: წარმოირათხ კელი შენი! – და წარმოირთხა, და განცოცხლდა კელი იგი მისი.
6. და გამოვიდეს ფარისეველნი მუნქუესვე (6) ი. 10,39. პეროდენათა თანა და ზრახვიდეს მისთვის, რაჲთამცა წარწყმიდეს იგი.
7. ხოლო იესუ მოწაფითურთ თუსით წარვიდა ზღუად კერძო; და მრავალი ერი გალილეაჲთ და პურიასტანით (7) მ. 4,25.
8. და იერუსალჳმით და იდუმიაჲთ და წიად იორდანისაჲთ და ტუროსით და სიდონით კერძოერი მრავალი, ესმოდა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოსრულ იყვნეს მისა.
9. და პრქუა მოწაფეთა თუსთა, რაჲთა ნავი მცირე დაალოდონ მას ერისა მის გამო, რაჲთა არა შეაიწრებდენ მას.
10. რამეთუ მრავალნი განკურნნა, არამედ ზედაცა დაესხმიედ მას, რაჲთამცა შე-ხოლო ვითარ-ახეს მას, რომელნი-იგი გუემულ იყვნეს.
11. და სულთა მათ არაწმიდათა ოდეს იხილიან იგი, (11) მ. 16,16. შეურდიან მას, ლალადებედ და იტყუედ, ვითარმედ: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ.
12. და ფრიად შეპრისხნის მათ, რაჲთამცა არა გამოაცხადეს იგი.
13. და აღვიდა იგი მათ და მოუწოდა, რომელნი სთნდეს მას; და იგინი მოვიდეს მისა.
14. და ყუნა იგინი ათორმეტ, რაჲთა იყვნენ იგინი მის თანა, და მოციქულ სახელი დასდვა მათ და რაჲთა წარავლინნოდის იგინი ქადაგებად, (14) მ. 10,1. ლ. 9,1.
15. და აქუნდეს ფლობაჲ განსხმად ეშმაკთა.
16. და დასდვა სახელი სიმონს პეტრე, (16) მ. 16,18.

17. და იაკობს ზებედესსა და იოვანეს, ძმასა იაკობისსა, და დასდვა მათ სახელი ბანერეგეს, რომელ არს: ძენი ქუხილისანი;
18. და ანდრიას და ფილიპეს, ბართლომეოსს და მათეს მეზუერესა და თომას და იაკობს ალფესსა და თადეოსს და სიმონს კანანელსა,
19. და იუდას სკარიოტელსა, რომელმანცა მისცა იგი.
- (21) ი. 10,20. 20. და მოვიდეს სახედ იგინი, და შეკრბა მერმე ერი იგი, ვითარმედ ვერ სცალნ პურის-ჭამადცა.
21. და ვითარ ესმა თვსთა მათ, გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განცთა.
- (22) მ. 9,34. ლ. 11,15. 22. და მწიგნობარნი იგი იერუსალჴმით მოსრულნი იტყოდეს, ვითარმედ: ბელზებული არს მის თანა, და მთავრითა მით ეშმაკთაფთა განაჴდის იგი ეშმაკთა.
23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა მათ: ვითარმე შემძლებელ არს ეშმაკი ეშმაკისა განჯდად?
- (24) მ. 12,25. ლ. 11,17. 24. და თუ მეუფებაჲ თვსა თავსა ზედა განიყოს, ვერ უძლოს დადგომად მეუფებამან მან.
25. და თუ სახლი თავსა თვსსა ზედა განიყოს, ვერ უძლოს სახლმან მან დადგომად.
26. და თუ ეშმაკი ეშმაკსა განაჴდის და გავთულ არს თავსა ზედა თვსსა, ვერღარა უძლოს დადგომად, არამედ აღსრულებულ არს.
27. არცა უძლის ვინ შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჴურჴელი მისი იავარ-ყვის, ვიდრე არა პირველ შეკრას ძლიერი იგი და მაშინლა სახლი იგი მისი იავარ-ყოს.
- (28) მ. 12,31. ლ. 12,10. 1 ი. 5,16. ებრ. 10,26. 28. მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა შეცოდებანი და გმობანი, რავდენცა გმობდენ:
29. ხოლო რომელი ჰგმობდეს სულსა წმიდასა, არა მიეტეოს უკუნისამდე, არამედ თანამდებ იყოს ცოდვასა საუკუნესა.
30. რამეთუ თქუეს: სული არაწმიდაჲ არს მის თანა.

18. ბარილომეოსი. მარკოზი. თადეოსი. 22. იმელ-მითი. 24. მეუფეებანი

31. და მოვიდეს ძმანი მისნი და დედაჲ მისი და დადგეს გარე და შეავლინეს ხადად მისა. (31) მ. 12, 46. ლ. 8, 19.
32. და სხდა ერი გარემო მისსა და პრქუეს მას: აჰა, ესერა, დედაჲ შენი და ძმანი შენნი გეძიებენ შენ.
33. მიუგო მათ და პრქუა: ვინ არს დედაჲ ჩემი ანუ ძმანი ჩემნი?
34. და მიხედა გარემო მისა მოწაფეთა თუსთა მსხდომარეთა და თქუა: აჰა, დედაჲ ჩემი და ძმანი ჩემნი!
35. რამეთუ რომელმან ყოს ნებაჲ ღმრთისაჲ, იგი არს ძმაჲ ჩემი და დაჲ ჩემი და დედაჲ ჩემი.

4

1. მერმე იწყო სწავლად ზღუსკიდესა; და შეკრბა მისა ერი მრავალი, და იგი აჯდა ნავსა და დაჯდა ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი მის თანა ზღუასა თანა ქუეყანასა ზედა იყო. (1) მ. 12, 1. ლ. 8, 4.
2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:
3. ისმინეთ: აჰა, გამოვიდა მთესვარი თესვად.
4. და იყო, თესვასა მას რომელიმე დავარდა გზასა თანა, და მოვიდეს მფრინველნი და შეჭამეს იგი.
5. და სხუაჲ დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო სისქე მიწისაჲ ფრიად, და მუნქუესვე აღმოსცენდა, არა ედვა მას სიზრქჳ.
6. ხოლო აღმობრწყინებასა მზისასა დასცხა მას, რამეთუ ძირ არა დაებნეს, და განკმა.
7. და სხუაჲ დავარდა ეკალთა შინა; აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშდვეს იგი, და ნაყოფი არა გამოჰცა.
8. და სხუაჲ დავარდა ქუეყანასა კეთილსა და გამოსცის ნაყოფი აღმოცენებული და აღორძინებული, და გამოიღის ერთმან ოცდაათი და სამმოცი და ასი.
9. და იტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

10. რაჟამს უკუე იყო მარტოდ, ჰკითხეს მას, რომელ იყვნეს გარემოჲს მისსა ათორმეტითურთ, იგავები იგი.
- (11) მ. 11,25; 16,17. 1
კორ. 2,10. 11. და ჰრქუა მათ: თქუენდა მიცემულ არს ცნობად საიდუმლოჲ იგი სასუფეველისა მის ღმრთისაჲ, ხოლო მათ გარეწართა — იგავით სიტყუად.
- (12) ეხ. 6,9-10. მ. 13,14. ლ. 8,10. ი. 12,40. 12. რაჲთა ხედვით ხედვიდენ და ვერ იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ, ნუუკუე მოიქცენ და მიეტევოს მათ.
13. და ჰრქუა მათ: არავე იცით იგავი ესე და უკუე ყოველნი იგავნი ვითარმე გულისხმა-ჰყვნეთ?
- (14) მ. 13,18. ლ. 8,11. 14. მოესვარმან მან სიტყუად დასთესის.
15. ხოლო ესენი არიან გზისათანანი, სადა-იგი დაეთესნეს სიტყუანი, და რაჟამს ისმინიან მისი, მოვიდის ეშმაკი და მიულის სიტყუად იგი დათესული მათდამიმართი.
- (16) ეხ. 42,20. ეზკ. 33,31. ი. 5,35. 16. და ესენი არიან კლდოვანსა ზედა დათესულნი: რომელთა რაჟამს ისმინიან სიტყუად იგი, და მუნქუესვე სიხარულით შეიწყნარიან;
17. და არა უბნ მათ ძირ, არამედ საწუთრო არიედ; მერმე, რაჟამს შეემთხვის ჭირი, ანუ დევნულებაჲ სიტყუსა მისთჳს, მუნქუესვე ცთიან.
18. და რომელნი-იგი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესე არიან: რომელთა სიტყუად იგი ისმინიან.
- (19) ლ. 12,15. 1 ტმ. 6,9. 19. და ზრუნვათა ამის სოფლისათა და საცთურმან სიმდიდრისამან, რომელ შეერინიან, შეაშთვიან სიტყუად იგი, და უნაყოფო იქმნის.
20. და ესე არიან, რომელნი ქუეყანასა მას კეთილსა დაეთესნეს: რომელთა ისმინიან სიტყუად იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოილიან: ერთმან — ოცდაათი, ერთმან — სამმეოცი და ერთმან — ასი.
- (21) მ. 5,15. ლ. 8,16. 21. და ჰრქუა მათ: მო-ნუ ვინ-ილის სანთელი და ქუე შედგის კვმირსა. ანუ ცხედარსა ქუეშე? არამედ რაჲთა სასანთლესა ზედა დაიდგას.
- (22) მ. 10,26. ლ. 8,17; 12,2. 22. რამეთუ არა არს საიდუმლოჲ, რომელიმცა არა განცხადნა, და არცა დაფარული რაჲ არს, რომელი არა გამოსჩნდეს.

10. რაჟამს: უკუე 12. ისმოდის: გულისგმა-ც 13. გულისგმა-ც 17. შეემთხვის: სიტყუასა 21. კვმირსა 22. არაჲ-ც

23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!
24. და ეტყოდა მათ: იგულეთ, რად-ეგე გესმის, რამეთუ რომლითა საწყაულითა პწყვიდეთ, მითვე მოგაწყოს თქვენ და შეგემატოს თქვენ, რომელთა-ეგე გესმის. (24) მ. 7,2. ლ. 6,38.
25. რომელსა-იგი აქუნდეს, მოეცეს მას; და რომელსა არა აქუნდეს, რომელი-იგი აქუნდეს, მიეღოს მისგან. (25) მ. 13,12; 25,29. ლ. 8,18; 19,26.
26. და იტყოდა: ესრე არს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა კაცმანლა დასთესის თესლი ქუეყანასა ზედა
27. და მან დაიძინის; და აღდგის ღამე და დღე, და თესლი იგი აღორძინდებინ, ვითარ არა უწყინ მან,
28. რამეთუ თავით თვსით ქუეყანამან მან გამოიღის ნაყოფი: პირველად თივაჲ, მერმე თავი, მაშინლა სრული იფქლი თავსა მას შინა.
29. ხოლო რაჟამს დამწიფდის ნაყოფი იგი, მუნქუესვე მიაველინის მღული, რამეთუ მოწევენულ არნ მკაჲ მისი.
30. და ეტყოდა: ვითარ ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისაჲ? ანუ რომლისა თანა იგავისა დაუდვათ იგი? (30) მ. 13,31. ლ. 13,18.
31. ვითარცა მარცუალი მდოვკსაჲ, რომელი-იგი დაეთესის ქუეყანასა ზედა, უმცირეს არს ყოველთა თესლთა, რომელ არს ქუეყანასა ზედა.
32. და რაჟამს დაეთესის, აღმოსცენდის და იქმნის იგი უფროჲს ყოველთა მხალთა და აღუტევენის რტონი დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არნ აჩრდილსა მისსა ქუეშე მფრინველთაცა ცისათა დადგრომად.
33. და ესევეითართა მით იგავებითა ეტყოდა მათ სიწყუასა, რაოდენ შემძლებელ იყვნეს სმენად. (33) მ. 13,34.
34. და იგავისა ვარეშე არას ეტყოდა მათ; ხოლო თვსაგან მოწაფეთა თვსთა განუმარტებნ ყოველსა.
35. და პრქუა მათ მას დღესა შინა, რაჟამს შემწუხრდა: მოედით და წიაღვკდეთ მიერ. (35) მ. 8,23. ლ. 8,22.
36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყუანეს იგი, ვითარ იყო ნავსა მას შინა,

37. და იყო ნიავექარი ქარისა დიდისაჲ და გარდაასხმიდა ლელვათა ნავსა მას, და აღ-ოდენმცა-იესო იგი.

38. ხოლო იგი თავადი წვა თავით კერძო სასთაულსა ზედა. და განალძეს და პრქუეს მას: მოძლუარ, არა გჭირს შენ, რამეთუ წარვწყმდებით?

(39) იობ.
26,12. ფს.
88,10.

39. და განილძა და შეპრისხნა ქარსა და ზლუასა და პრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ! -- და დასცხრა ქარი იგი, და იყო დაყუდება დიდ.

40. და პრქუა მათ: რად ეგდენ გულმედგარ ხართ და არლარა გაქუნს სარწმუნოებაჲ?

41. და შეეშინა შიშითა დიდითა და იტყოდეს: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნი და ზლუაჲცა ერჩიან მას?

5

(1) მ. 8,28.
ლ. 8,26.

1. და წიაღჲდა მიერ წიაღ ზლუასა, სოფელსა მას გერგესეველთასა.

2. და ვითარ გამოჲდა იგი მიერ ნავით, მუნქუესვე გამოეგებვოდა მას სამარობნით კაცი სულითა არაწმიდითა,

3. რომელი მყოფ იყო სამარობანსა და ვერცა ჯაჭვთა ვერლარავინ უძლის შეკრვად მისა.

4. რამეთუ მრავალი ბორკილი და ჯაჭვ, რომლითა შეკრიან იგი, განეხეთქა და დაემუსრა, და არავინ უძლო დამორჩილებად მისა.

5. და მარადის დღე და ღამე სამარობანსა შინა და მათათა შინა იყო, ლალადებნ და ქვითა დაიტვნენ.

6. და ვითარცა იხილა იესუ შორით, მირბიოდა და თაყუანის-სცა მას,

7. და ლალაჲ-ყო კმითა დიდითა და თქუა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეო ღმრთისა მალლისაო? გაფუცებ შენ ღმრთისა, ნუ მგუემ მე!

8. რამეთუ ეტყოდა მას: განკედ, სულლო არაწმიდაო, მაგის კაცისაგან!

38. განალძეს. 39. განილძეს. 40. სარწმუნოებაჲ. 5. დღეოც. 7. მკვერც.

9. და ჰკითხვიდა მას: რაა არს სახელი შენი? – და პრქუა მან: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ ჩუენ.

10. და ევედრებოდა მას ფრიად, რაჟთა არა მიაგლინნეს იგინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორებისაჲ დიდი, მძოვარი მთასა თანა.

12. და ევედრებოდეს მას და პრქუეს: მიგუავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რაჟთა შევიდეთ მათა.

13. და იესუ უბრძანა მათ. და გამოჲდა სულეზი იგი არაწმიდეზი და შეჲდა ღორებსა მას. და მიიმართა კოლტმან მან კლდით კერძო ზღუასა; ხოლო იყო ვითარ ორ ათას ოდენ და დაიშთვებოდეს ზღუასა შინა.

14. ხოლო მეღორენი იგი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და აგარაკებსა. და გამოვიდეს იგინი ხილვად, რაჲ-იგი ქმნულ იყო.

15. და მოვიდეს იესუმსა და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარჲ და მოსილი გონებულად, რომლისა თანა-იგი იყო ლეგეონ, და შეეშინა მათ.

16. და მიუთხრეს მათ, რომელნი-იგი ხედვიდეს, ვითარ-იგი იყო ეშმაკეულისა მისთვის და ღორებისათვის.

17. და იწყეს ვედრებად მისა წარსლვად საზღვრით მათით.

18. და ვითარ-იგი აღვიდოდა იგი ნავსა, ევედრებოდა მას, რომელი-იგი ეშმაკეულ ყოფილ იყო.

19. და არა უფლო მას, არამედ პრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა შენთა მიმართ და მიუთხარ მათ, რაოდენი შენ უფალმან გიყო, და შევიწყალა შენ.

20. და წარვიდა, იწყო ქადაგებად ათქალაქს შინა, რაოდენი უყო მას იესუ; და ყოველთა უკურდა.

21. და ვითარ წიაღმოჲდა იესუმერმე წიაღმოკერძო, შეკრბა ერი მრავალი მის თანა. და იყო იგი ზღვსკიდესა.

22. და, აჰა, მო-ვინმე-ვიდა ერთი შესაკრებელთმთავარი, რომელსა სახელი ერქუა იაფროს; და ვითარ იხილა იგი, შეურდა ფერცთა მისთა.

23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, რამეთუ: ასული ჩემი აღესრულების, რაფთა მოხვდე და კელი დასდვა მას, რაფთა განერეს და ცხონდეს.

24. და წარვიდა მის თანა. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაიწრებდეს მას.

(25) მ. 9,20.

25. და დედაკაცი ვინმე იყო და შტნობასა ზედა ათორმეტ წელ.

26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა და მოელია მას ყოველი ნაყოფი მისი და არარაად რგებულ იყო, არამედ უფროდს უძრეს იყო.

27. ესმა რაჲ უკუე იესუსი, მოვიდა იგი შორის ერსა მას უკუანაკერძო და შეახო სამოსელსა მისსა.

28. რამეთუ იტყოდა გულსა თვისსა, ვითარმედ: სამოსელსა ზოლო თუ მისსა შევახო, ვცხონდე.

29. და მუნქუესვე განჭმა წყაროდ იგი სისხლისა მის მისისაჲ, და ეგონა ჯორცთა მისთა, რამეთუ განკურნებულ არს გუემისა მისგან.

(30) ლ. 8,45.

30. და მუნქუესვე ცნა იესუ გულსა თვისსა მისგან ძალი გამოსრული და მიექცა ერსა მას და ეტყოდა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

31. და ეტყოდეს მოწაფენი მისნი: ხედავა ერსა ამას, რამეთუ შეგაიწრებენ შენ, და იტყვ: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

32. და მიმოდისტუანვიდა იესუ, რაფთამცა იხილა, რომელმან ესე ყო.

33. ხოლო დედაკაცი იგი შეშინდა და ძრწოდა მისთვის, რომელი-იგი ყო მან იდუმალ. გულისხმა-ეყო მას, რომელი-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეურდა მას და უთხრა მას ყოველი ჭეშმარიტი.

34. ხოლო იესუ ჰრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მძუდობით და იყავ შენ ცოცხლებით გუემისა მისგან შენისა.

23. მხოვდე C. 27. უკუე C. უკუანაკერძო C. 29. სისხლისა C. გუემისა C. 31. გულისხმა- C.

35. და ვიდრე იგი ამას ეტყოდება, მო-ვინმე-ვიდეს (35) ლ. 8,49.
შესაკრებელთათვისა მისგან და თქუეს: ასული იგი შენი მოკუდა, რაჲსა მოაშრომებ მოძღუარსა?
36. ხოლო იესუს ვითარ ესმა სიტყუაჲ იგი თქუმული, პრქუა მთავარსა მას შესაკრებელისასა: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო!
37. და არავის უფლო მიდევნებად მის თანა, გარნა პეტრეს და იაკობს და იოვანეს, ძმასა იაკობისსა.
38. და მოვიდეს სახლსა მას შესაკრებელთათვისასა და იხილა ჟღავილი და მტირალნი და მკვობარნი ფრიად.
39. და შევიდა და პრქუა მათ: რაჲსა შეშფოთვილ ხართ და სტირთ? ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.
40. და იგინი ეკიცხევდეს მას. ხოლო მან გამოასხა ყოველი და მიიყვანა მამაჲ მის ყრმისაჲ და დედაჲ მისი და თჳსთანანი და შევიდა, სადა იდგა ყრმაჲ იგი,
41. და უპყრა კელი მის ყრმისაჲ და პრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს გამოთარგმანებით: ქალა, შენ გეტყვ: აღდგე!
42. და მუნქუესვე აღდგა ქალი იგი და ვიდოდა, რამეთუ იყო იგი ვითარ ათორმეტის წლის. და დაუკრდა მათ საკრველითა დიდითა.
43. და ამცნო მათ ფრიად, რაჲთა არავინ აგრძნეს, და უბრძანა მათ ცემად მისა პური.

6

1. და გამოვიდა იგი მიერ და მოვიდა სოფლად თჳსა, და მისდევდეს მას მოწაფენი მისნი. (1) მ. 13,54. ლ. 4,16.
2. და ვითარ იყო შაფათი, იწყო სწავლად შესაკრებელსა შინა მათსა. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, ჰმალდა მოძღურებაჲ იგი მისი და იტყოდეს: ვინაჲ არს ესე, და რაჲ არს სიბრძნე მისი, რომელ მოცემულ არს მას, და ძალნი ესე, რომელნი კელთა მისთავან იქმნებინან? (2) მ. 7,28. მრ. 1,27.

36. თქუმული C. 39. მომკუდარა არს C. 42. დაუკრდა C: საკრველითა C.

- (3) ლ. 4,22.
ი. 6,42. 3. არა იგი არს ხუროჲ, ძმ მარიამისი, და ძმად იაკობისი და იოსჳსი და იუდაასი და სიმონისი? და დანი მისნი არა აქა ჩუენ თანა არიან? და ცთებოდეს მისა მიმართ.
- (4) იერ. 12,6. 8.
13,57. ლ. 4,24.
ი. 4,44. 4. ხოლო იესუ ეტყოდა: არა არს წინაწარმეტყუელი უპატიო, გარნა სოფელსა თვისსა და ნათესავთა შორის თვისთა.
5. და ვერ ჳელ-ეწიფა მას ვერცა ერთისა ძალისა ყოფად, გარნა მცირედთა სნეულთა ჳელი დასდვა და განკურნა იგინი.
- (6) მ. 9,35. 6. და უკვრდა ურწმუნობაჲ იგი მათი და მოჳვლიდა დაბნებსა მას გარემოჲს და ასწავებდა.
- (7) მ. 10,1.
ლ. 9,1. 7. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად ორ-ორისაჲ და მისცა მათ ფლობაჲ სულთა ზედა არაწმიდათა.
8. და ამცნო მათ, რაჲთა არაჲ მიიღონ მათ თანა გზად, გარნა კუერთხი ხოლო: ნუ გუდაჲ, ნუ პური, ნუცა სარტყელსა შინა პილენძი.
9. არამედ სანდალნიმცა გასხენ, და ნუ შეიმოსთ მრჩობლსა კუართსა.
10. და ეტყოდა მათ: რომელსა შეხვდეთ სახლსა, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვამდე მიერ.
- (11) მ. 10,14.
ლ. 9,5.
სქ 13,51; 18,6. 11. და რომელმან ადგილმან არა შეგიწყარნეს თქუენ და არცა ისმინოს თქუენი, რაჟამს გამოხვდოდით მიერ, დაიყარეთ მტუერი, რომელი იყოს ქუეშე ფერკთა თქუენტა, საწამებელად მათა.
12. და გამოვიდეს იგინი და ქადაგებდეს, რაჲთამცა შეინანეს.
- (13) იაკ. 5,14. 13. და ეშმაკებსა მრავალსა განჳკდიდეს და სცხებდეს ზეთსა მრავალთა სნეულთა, და განიკურნებოდეს.
- (14) მ. 14,1.
ლ. 9,7. 14. და ესმა მეფესა ჰეროდეს, რამეთუ განცხადნა სახელი იესუსი, და იტყოდა, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი მკუდრეთით აღდგა, და ამისთვის იქმნებიან ძალნი ესე მის გამო.
15. ხოლო სხუანი იტყოდეს, ვითარმედ: ელია არს; რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი არს, ვითარცა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

16. ესმა რაჲ პეროდეს, თქუა, რამეთუ: რომელსა-იგი მე თავი მოვჰკუეთე იოვანეს, იგი აღდგომილ არს.
17. რამეთუ თავადმან პეროდე მიაველინა და შეიპყრა იოვანე და კრულ-ყო იგი საპყრობილესა შინა პეროდიაჲსთჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თჳსისაჲსა, რამეთუ იგი ცოლ-იყო. (17) ლ. 3,19.
18. რამეთუ ეტყოდა იოვანე პეროდეს, ვითარმედ: არა ჯერ-არს შენდა, ვითარმცა ცოლად შენდა გესუა ძმისცოლი. (18) ლევ. 18,16; 20,21.
19. ხოლო პეროდია პემტერა მას და უნდა მოკლვაჲ მისი და ვერ ჯელს-იწიფებდა,
20. რამეთუ პეროდეს ეშინოდა იოვანესა, რამეთუ გულითად უწყოდა კაცი იგი მართლად და წმიდად და ეკრძალებოდა მას და ისმინის მისი და ფრიადცა ყვის და წადნიერად ერჩინ მას. (20) მ. 21,26.
21. და იყო დღე მარჯუეჲ, ოდეს პეროდე ჟამსა შობისა თჳსისაჲსა ტაძრობას-ჰყოფდა მდიდართა თანა და ათასისთავთა თანა და მთავართა თანა გალილეაჲსათა.
22. და შევიდა ასული პეროდიაჲსი და როკვიდა; და სთნდა პეროდეს და თანამეინაჲეთა მათ მისთა. პრქუა ქალსა მას: მთხოვე მე, რაჲცა გნებავს, და მიგცე შენ.
23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რაჲცა მთხოო, მიგცე შენ ვიდრე ზოგადმდე სამეუფოჲსა ჩემისა.
24. და გამოვიდა და პრქუა დედასა თჳსსა: რაჲ ვსთხოო მას? ხოლო მან პრქუა მას: თავი იოვანე ნათლისმცემლისაჲ.
25. და შევიდა მუნქუესვე მწრაფლ მეფისა და პრქუა მას: აწვე მნებავს, რაჲთა მომცე მე ლანკლასა ზედა თავი იოვანესი, ნათლისმცემლისაჲ.
26. და დაწუხნა მეფე იგი, ხოლო ფიცისათჳს და მეოხნეთა მათთჳს არა ეცრუა მას.
27. და მუნქუესვე მიაველინა მეფემან მეხარბჳ და უბრძანა მოკუეთაჲ თავისა მისისაჲ.

19. პეროდე C. 21. მარჯუეჲ C. პეროდეჲ C. 22. მრთიდაჲსი C. 23. სემისაჲ C. 26. მათოჲს C. 27. მეხარბჳ C.

28. და წარვიდა და მოჰკუეთა მან თავი საპურობილეს შინა და მოართუა თავი მისი ლანკლასა ზედა და მისცა ქალსა მას, და ქალმან მისცა დედასა თუსსა.
- (30) ლ. 9, 10. 29. და ვითარ ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს გუამი იგი მისი და დადვეს სამარესა შინა.
30. და შეკრბეს მოციქულნი იგი იესუსა და უთხრეს ყოველი, რავდენი ქმნეს და ასწავეს.
- (32) მ. 14, 13. ლ. 9, 10. 31. და პრქუა მათ: მოედით თქუენ თუსაგან ადგიდ უდაბნოდ და განისუენეთ მცირედ! — რამეთუ მრავალ იყვნეს, რომელნი-იგი მოვიდოდეს და წარვიდოდეს, და ვერცა პურის-ჭამად ჰცალნ.
32. და წარვიდეს უდაბნოდ ადგიდ ნავითა თუსაგან.
33. და იხილნეს იგინი მიმავალნი და იცნნეს იგინი მრავალთა; და მკურცხილნი ყოველთაგან ქალაქთა მირბიოდეს მუნ, და შეკრბეს და მიუტდეს მათ მუნ.
- (34) მ. 9, 36. 34. და გამოვიდა, იხილა ერი მრავალი და წყალობა-ყო მათ ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემს. და იწყოს სწავლად მათდა ფრიად.
- (35) მ. 14, 17. ლ. 9, 13. ო. 6, 9. 35. და ვითარ ჟამი მრავალი დაიყო, მოუტდეს მას მოწაფენი და პრქუეს, ვითარმედ: უდაბნოდ არს ადგილი, და ჟამი მრავალი დაყოფილ არს.
36. განუტევენ იგინი, რაჟთა მივიდენ გარემოსა აგარაკებსა და დაბნებსა და იყიდონ თავისა თუსისათუს, რაჟ ჭამონ.
37. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ეცით თქუენ მათ ჭამადი. — და პრქუეს მას: წარ-თუ-ვიდეთ და ვიყიდოთ ორასის დრაჰკნის პური და ვსცეთ მათ ჭამად?
38. მან პრქუა მათ: რავდენი კუეზაჲ გაქუს? მივედით და იხილეთ! — და ვითარ იხილეს, უთხრეს: ხუთ კუეზა და ორ თევზ.
39. და უბრძანა მათ ინაჯით დასხდომად ყოველთაჲ მეოხნედ-მეოხნედ მწუანვილსა ზედა თივასა.
40. და ინაჯ-იდგეს პურისმტეებმან ას-ასმან და ერგასის-ერგასისმან.

41. და მოიღო ხუთი იგი ჯუეზაჲ პური და ორნი თევზნი, და აღიხილა ცად, აკურთხა და განტეხნა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თჳსთა, რამთამცა დაუგეს მათ; და ორი იგი თევზი განუყო ყოველთა.
42. და ჭამეს ყოველთა და განძღეს.
43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი; და თევზთაჲ მათცა.
44. ხოლო იყენეს მჭამელნი იგი მის პურისანი ხუთათას კაც.
45. და მუნქუესვე აჲძულა მოწაფეთა თჳსთა აღსლვად ნავსა და წარძლუანვად ბეთსაიდად, ვიდრე განტევებადმდე ერისა მის.
46. და ვითარ იჯმნა თავადმან ერისა მისგან, აღჯდა მთად თავყანის-ცემად. (46) მ. 14,23.
47. და ვითარ შემწუხრდა, იყო ნავი საშოვალ ზღუასა, და იგი ხოლო მარტოჲ იყო ქუეყანასა ზედა. (47) ი. 6,16.
48. და იხილნა იგინი საარებულნი ლელვისა მისგან ნავისა, რამეთუ ქარი წინაუკუმო იყო. და მეოთხესა ოდენ საჯუმილაგსა ღამისასა მოვიდა მათა, ვიდრედა ზღუასა ზედა და უნდა თანაწარსლვად მათდა.
49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი მავალი ზღუასა ზედა, საუცარს რასმე პკონებდეს და ლალატ-ყვეს.
50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მუნქუესვე სიტყუად იწყო მათდა მიმართ და პრქუა მათ: მტკიცე იყვენით, მე ვარ, ნუ გეშინინ!
51. და აღჯდა მათ თანა ნავსა მას და დასცხრა ქარი იგი. და უმეტეს გულთა შინა მათთა დაუკრდებოდა.
52. რამეთუ ვერ გულისხმა-ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ გულნი მათნი შესულებულ იყვნეს. (52) მრ. 7,18.
53. და წიაღჯდეს იგინი ქუეყანად და მოვიდეს გენესარედ. (53) მ. 14,34.
54. და ვითარ გამოჯდეს იგინი მიერ ნავით, მუნქუესვე იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა.
55. და მირბიოდეს ყოველსა გარემოჲს დაბნებსა მას და იწყეს ცხედრებითა სნეულეებისა მიმოდადებად, სადაცა ესმინ, ვითარმედ: მუნ არს. (55) მ. 4,24.

46. მისკანც: 50. იქყო + იქყო C. 51. დაუკრდებოდა C

52. გულისხმა- C

56. და რომელსა შევიდის დაბნებსა, ანუ ქალაქებსა, ანუ აგარაკებსა, უბნებსა ზედა დასდგმიდეს სნეულებსა და ევედრებოდეს მას, რაფთამცა ფესუსა ხოლო სამოსლისა მისისასა შეახეს. და რავდენტაცა შეახეს მას, ცხონდებოდეს.

7

(1) მ. 15,1.

1. და შეკრბეს მისა მწიგნობარნი და ფარისეველნი, რომელნიმე მოსრულ იყვნეს იერუსალჴმით.
2. იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი, რამეთუ ურიდად, კელითა უბანელითა ჭამდეს პურსა, და ივინი ჰვმობდეს მათ,
3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა პურიათა წუსწუთ თუ არა დაიბანნიან კელნი, არა ჭამიან პური, რამეთუ უპყრიეს მათ მღდელთმოძღურებაჲ მღდელთა მათთაჲ.

4. და სავაჭროდთა შევლენედ, ვიდრე არა განიბანნიან, არა ჭამიან. და სხუაჲცა მრავალი არს, რომელი უსწავიეს მარხვად: განბანაჲ სასუმელთაჲ და სტამანთაჲ და ქუაბთაჲ და ცხედართაჲ.

5. მაშინლა ჰკითხვიდეს მას ფარისეველნი იგი და მწიგნობარნი: რაჲსათჳს მოწაფენი შენნი არა ვლენან მსგავსად მოძღურებისა მის მღდელთაჲსა, არამედ უბანელითა კელითა ჭამენ პურსა?

(6) მ. 15,8.

6. ხოლო მან მიუგო და პრქუა: კეთილად სამე წინაწარმეტყუელებდა ესაია თქუენთჳს, ორგულთა, ვითარცა წერილ არს: ერი ესე ბაგითა ხოლო მადიდებს მე, ხოლო გული მათი შორად განყენებულ არს ჩემგან.

(7) ეხ. 29,13.
ტიტ. 1,14.

7. ცუდად მსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.

8. რამეთუ დაგიტყვებიეს მცნებაჲ ღმრთისაჲ და გიპყრიეს სწავლაჲ კაცთაჲ.

9. და ეტყოდა მათ: კეთილად ეცრუებით მცნებასა ღმრთისასა, რაფთა მცნებაჲ თქუენი დაამტკიცოთ.

10. რამეთუ მოსე გრქუა: თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, და რომელი ძკრს-იტყოდის მამისათჳს, ანუ დედისა, სიკუდილით მოკუედიან. (10) გამ. 20, 12; 21, 17. ზირ. 3, 7. მ. 15, 4.
11. ხოლო თქუენ პთქვთ: უკუეთუ ვინმე პრქუას კაცმან მამასა თჳსსა. ანუ დედასა თჳსსა: კორბან, რომელ არს ნიჭ, რომელიცა-რაჲ ჩემგან სარგებელ გეყოს,
12. და არღარა უფლით მას არარაჲს-ყოფად მამისა, გინა დედისა.
13. და შეურაცხ-გიყოფიეს სიტყუაჲ ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა, რომელ ასწავეთ, და სხუასაცა მსგავსსა ესემლევანსა მრავალსა იქმთ.
14. და მოუწოდა ყოველსა ერსა და ეტყოდა მათ: გესმოდენ ჩემი ყოველთა და გულისხმა-ყავთ.
15. არაჲ არს გარეშე კაცისა შემავალი, რომელმანმცა შეუძლო მას შებილწებად, არამედ რომელ გამოვალს მისგან, იგი არს შემაბილწებელი კაცისაჲ. (15) მ. 15, 11. რომ. 14, 17. ტიტ. 1, 15.
- [[16.]]
17. და რაჟამს შევიდა იგი სახიდ ერისა მისგან, პკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს.
18. და პრქუა მათ: ესრევე თქუენცა უგულისხმოლა ხართ და არღა გულისხმა-გიყოფიეს, რამეთუ ყოველი, რომელი გარეშე შევალს კაცისა, ვერშემძლებელ არს მისა შებილწებად?
19. რამეთუ არა შევალს გულსა მისსა, არამედ მუცელსა, და განსავალსა განვალს და განსწმედს ყოველთა ჭამულთა.
20. და ეტყოდა მათ, რამეთუ: რომელ კაცისაგან გამოვალს, მან შემაბილწის კაცი,
21. რამეთუ შინაგან გულისაგან ზრახვანი კაცთანი უკეთურნი გამოვლენ. მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი, (21) დ. 8, 21. იგ. 6, 14. იერ. 17, 9. მ. 15, 19.
22. ანგაპრებანი, უკეთურებანი, ზაკუვანი, ბილწებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი.

10. მობტ C 11. გულისხმა- C 15. რ-ლისკა C 18. უკულისკილია C. გულისხმა- C 22. ამპარტავანებანებანი C

23. ყოველი ესე ძკრი შინაგან გამოვალს და შეაბილწებს კაცსა.
- (24) მ. 15, 21. 24. და აღდგა მიერ და წარვიდა საზღვართა ტუროსისათა და სიდონისათა. და შევიდა სახიდ და არავისა უნდა გამოცხადების, და ვერ დაეფარა იგი.
25. ესმა დედაკაცსა ერთსა, რომლისაჲ ასული გუემულ იყო ეშმაკისაგან, შეურდა ფერტა მისთა.
26. ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ასური ფუნიკელი ნათესავით, და ევედრებოდა მას, რაჲთამცა ეშმაკი იგი განჯადა ასულისა მისისაგან.
27. და იესუ პრქუა მას: აცადე პირველად განძლომად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღებად პური შვილთაგან და დაღებად ძალთა.
28. მან მიუგო და პრქუა: ჰე, უფალო, რამეთუ ძალღნიცა ტაბლასა ქუეშე ჭამედ ნაბიჭსა ყრმათასა.
29. ხოლო იესუ პრქუა მას: და ამის სიტყუსათჳს გუალე! გამოჯდა ეშმაკი იგი ასულისაგან შენისა.
30. და მივიდა სახიდ თჳსა, პოვა ეშმაკი იგი განსრული და ასული იგი დაგდებული ცხედარსა ზედა.
- (31) მ. 15, 29.
(37) ეს. 35, 6. 31. და მერმე გამოვიდა საზღვრით ტუროსისაჲთ და სიდონისაჲთ, მოვიდა იგი ზღუასა მას გალილეაჲსასა, საშოვალ საზღვართა ათქალაქისათა.
32. და ევედრებოდეს, რომელთა მოელო ყრმაჲ ერთი უტყჳ, რაჲთამცა ჳელი დასდვა მას.
33. და გა-რე-იყვანა იგი ერისა მისგან მარტოდ და დაასხნა თითნი მისნი მის ზედა და პნერწყუა ყურთა შინა მისთა და შეახო ენასა მისსა
34. და აღიხილნა ცად, სულთ-ითქუნა და პრქუა მას: ეფუათა! -- რომელ არს: განგეხუნედ.
35. და მუნქუესჳე განეხუნეს მას სასმენელნი მისნი, და განეჯსნა კრულებაჲ იგი ენისა მისისაჲ, და იტყოდა მართლ.
36. და ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან. ხოლო იგი რაოდენ ამცნებდა მათ, უფროჲს უმეტესად ქადაგებდეს.

23. ძკრი C 24. ტუროსისათა C 26. ფუნიკელი C: ნათესავი C. 29. ხოლო ... მას - C: გუალე + და C 31. ტუროსისაჲთ C. 33. და + და C 34. პრქუა იოქუა C გახვთხუნედ C

37. და უმეტესად განუკვრდებოდა და იტყოდეს: კეთილად ყო ყოველი, რამეთუ ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს.

8

1. ხოლო მათ დღეთა შინა მერმე მრავალი ერი იყო და არარაჲ აქუნდა, რაჲმცა ჭამეს; მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და პრქუა მათ: (1) მ. 15,32.
2. მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ სამი დღე არს, ვინაჲთგან ესენი ჩემ თანა დადგომილ არიან და არაჲ აქუნს, რაჲმცა ჭამეს.
3. და წარ-თუ-უტევენე იგინი უზმით სახიდ თვსა, შეპგუსნეს მათ გზას, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.
4. პრქუეს მას მოწაფეთა თვსთა: ვინაჲ შეუძლო შენ მათ აქა განძღებად პურითა უდაბნოსა ზედა?
5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუნს თქვენ პური? — ხოლო მათ პრქუეს: შუდ.
6. და უბრძანა ერსა მას ინაჯით-დასხდომაჲ ქუეყანასა ზედა და მოიხუნა შუდნი იგი პურნი, კმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რაჲთა დაუგონ; და დაუგეს ერსა მას.
7. და თევზნიცა ჰქონდეს მცირედ და იგინიცა აკურთხნა და ბრძანა დაგებაჲ.
8. და ჭამეს და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრვეი შუდი გოდორი სავესე.
9. რამეთუ იყვნეს, რომელთა-იგი ჭამეს, ვითარ ოთხ ათას ოდენ, — და განუტევენა იგინი
10. და მუნქუესვე აღჯდა ნავსა მოწაფითურთ თვსით და მოვიდა დალმანუთად კერძო. (10) მ. 15,39.
11. და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს სიტყვს-გამოძიებად მისგან, ეძიებდეს სასწაულს ზეცით, რამეთუ გამოსცდიდეს მას. (11) მ. 16,1.
12. და სულთ-ითქუნა სუღითა თვსითა და თქუა: რაჲსათვსნათესავი ესე სასწაულს ეძიებს? მართლიად გეტყვ თქვენ: არასადა ეცეს ნათესავსა ამას სასწაულ.

13. და დაუტყვენა იგინი და მერმე აღცდა ნავსა მას და წიაღცდა მიერ.
14. და დაავიწყდა თანამიღებად პური, გარნა ერთ ხოლო კუეზა აქუნდა მათ თანა ნავსა მას შინა.
- (15) მ. 16,6.
ლ. 12.1.
15. და ამცნებდა მათ და ეტყოდა: ეკრძაღენით ცომისაგან ფარისეველთაჲსა და თბისა მისგან ჰეროდიანთაჲსა.
16. და იგინი განიზრახვიდეს გულთა შინა მათთა და ურთიერთას იტყოდეს, რამეთუ: პური არა გუაქუს.
17. და გულისხმა-ყო იესუ და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს განჰიზრახავთ, რამეთუ პური არა გუაქუს, მცირედმორწმუნენო? არღა გიცნობიეს, არცა გულისხმა-გიყოფიეს? შესულებულვედა არიან გულნი თქუენნი.
- (18) მრ. 6,38.
ი. 6,9.
18. თუალ ვასხენ და არა ხედავთ, და ყურ გადგან და არა ვესმის, და არა გაქსოს,
19. ოდეს-იგი ხუთი კუეზაჲ განუტყხე ხუთ ათასსა, რავდენი კუელი სავსე წატეხისაჲ აღიღეთ? — ჰრქუეს მას: ათორმეტი.
20. მერმე: ოდეს-იგი შუდი კუეზაჲ — ოთხ ათასსა მას, რაოდენი გოდორი სავსე ნეშტი აღიღეთ? — ხოლო მათ ჰრქუეს: შუდი.
21. და ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისხმა-გიყოფიეს?
22. და მოვიდეს იგინი ბეთსაიდად და მოართუეს მას ბრმაჲ და ევედრებოდეს მას, რაჲთამცა კელი შეახომას.
23. და უპყრა კელი ბრმასა მას და განიყვანა გარეშე დაბასა, ჰნერწყუა თუალთა მისთა და დაასხნა კელნი მისნი და ჰკითხვიდა მას: ხედავ რას?
24. აღიხილნა და თქუა: ვხედავ კაცებსა, ვითარცა ხეებსა მავალსა.
25. მერმე კუალად დაასხნა კელნი თუალთა ზედა მისთა, და აღიხილნა დაწყნარებულად და იხედვიდა სრულიად ყოველსა.
26. და წარავლინა იგი სახიდ თჳსა და ჰრქუა მას: ნუცა დაბასა მას შეხუალ.

17. გულისხმა-ც 21. გულისხმა-ც გულისხმა-ც 22. მოართუეს 23. გარეშე 24. თვალთა 25.

27. და გამოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი სოფლებსა მას კესარიადსა ფილიპშსასა და პკითხვიდა მგზავრ მოწაფეთა თჳსთა და პრქუა: რაჲ თქჳნ ჩემთჳს კაცთა, ვითარმედ: ვინ ვარ მე? (27) მ. 16,13. ლ. 9,18.
28. ხოლო მათ მიუგეს და პრქუეს: იოვანე ნათლისმცემელი; და სხუათა: ელია, და რომელთამე: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.
29. მან პრქუა მათ: თქუნ რაჲ თქჳთ, ვინ ვარ? მიუგო მას პეტრე და პრქუა: შენ ხარ ქრისტჳ.
30. მან შეპრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრობდენ მისთჳს.
31. და იწყო სწავლად მათდა, რამეთუ ჯერ-არს ძესა კაცისასა ფრიად ვნებად და შეურაცხებად, და მოხუცებულთაგან და მღდელთმოდღუართაგან და მწიგნობართაგან მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
32. და განცხადებულად სიტყუასა ამას იტყოდა. და გა-რე-იდგინა იგი პეტრე და იწყო მისა ლაღვად.
33. ხოლო იგი მოიქცა და იხილნა მოწაფენი თჳსნი, შეპრისხნა პეტრეს და პრქუა: უკუნიქეც ჩემგან, ეშმაკო, რამეთუ არა პზრახავ შენ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.
34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფითურთ თჳსით და პრქუა მათ: რომელსა პნებაეს კუალსა ჩემსა სლვად, უვარ-ყავნ თავი თჳსი, აღიღენ ჯუარი თჳსი და შემომიდეგინ მე.
35. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თჳსისა ცხორებაჲ, მან წარწყმიდოს იგი; ხოლო რომელმან წარწყმიდოს თავი თჳსი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს, მან განარინოს იგი.
36. რაჲმე სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და განიჳუას სული თჳსი.
37. ანუ რაჲ მისცეს კაცმან ნაცვალად სულისა თჳსისათჳს? (37) ფს. 48,9.

(38) მ. 10, 33.
ლ. 9, 26. 1 ო.
2, 23. რომ.
1, 16. 2 ტმ.
2, 12.

38. რამეთუ რომელსა სარცხუნელ-უნდე მე და სიტყუანი ჩემნი, ნათესავსა ამას შორის, მოძრუშესა და ცოდვილსა, ძესა კაცისასა სარცხუნელ-უნდეს იგი, რაჟამს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისაჲთა და ანგელოზთა თანა წმიდათა.

9

(1) მ. 16, 28.
ლ. 9, 27.

1. და პრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ: არიან ვინმე მდგომარენი აქა, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ, მოსლული ძალითა.

(2) მ. 17, 1.

2. და შემდგომად ექუსისა დლისა წარიყვანა იესუ პეტრე და იაკობ და იოვანე და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თხსაგან და სხუაფერ იქმნა წინაშე მათსა.

3. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე სპეტაკ ფრიად, რომელ მურკვალმან ქუეყანასა ზედა ვერ უძლოს ესრე განსპეტაკებად.

4. და ეჩუენა მას ელია მოსჭთურთ, დგეს და ეტყოდეს იესუს.

5. და მიუგო პეტრე და პრქუა იესუს: პრაბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფაჲ; და ვქმნეთ სამი ტალავარი: ერთი — შენდად, ერთი — მოსჭსად, ერთი — ელიაჲსად.

6. რამეთუ არა უწყოდა, რაჲმცა მიუგო, რამეთუ შეშინებულ იყვნეს.

7. და იყო ღრუბელი მაგრილობელად მათა, და კმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, ისმინეთ მისი!

8. და მეყსეულად მიმოდაიხილეს და არღარავინ იხილეს, არამედ იესუ ხოლო მათ თანა.

9. და გარდამოსლვასა მას მათსა მიერ მთითა ამცნო მათ, რაჲთა არავის უთხრან, რაჲ-იგი იხილეს, გარნა რაჟამს ძე კაცისაჲ მკუდრეთით აღდგეს.

10. და სიტყუაჲ იგი დაიმარხეს და ურთიერთას გამოეძიებდეს, ვითარმედ: რაჲ არს ესე: რაჟამს მკუდრეთით აღდგეს?

11. ჰკითხვიდეს მას და პრქუეს: ვითარმე თქვან მწიგნობართა: ელიაღა მოსულად არს პირველად? (11) მ. 17,10.
12. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ელიაღა მოვიდეს პირველად და ადგიდ-აგოს ყოველი; და ვითარ წერილ არს ძესა ზედა კაცისასა, რაათა ფრიად იენოს და შეურაცხ იქმნეს. (12) ფს. 21,7. ეს.53,3. დან. 7,13; 9,26.
13. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა, და ჰუყვეს მას, რაოდენიცა უნდა, ვითარცა წერილ არს მისთვის. (13) მალ. 3,23. მ. 17,12.
14. და ვითარ მოვიდეს მოწაფეთა თანა, იხილეს ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი იგი სიტყვს-გამომეძიებულად შედგომილ იყვნეს მათა.
15. და მეყსეულად ყოველმან მან ერმან იხილა, შეცბუნდეს და მირბიოდეს და მოიკითხვიდეს მას.
16. და ჰკითხა მათ: რასა ჰცდებით ურთიერთას? (17) მ. 17,14. ლ. 9,38.
17. და მიუგო ერისა მისგანმან ერთმან და პრქუა: მოძღუარ, მოვიყვანე ძე ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყვ.
18. და სადაცა დააპყრის იგი, დაჰკუეთის, და პეროინ და იღრჭენ კბილთა და განჯმებინ. და ვარქუ მოწაფეთა შენთა, რაათამცა განაყენეს იგი, და ვერ შეუძლეს.
19. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: მ, ნათესავო ურწმუნო! ვიდრემდე თქუენ თანა ვიყო? მო-ღამართუთ იგი მე!
20. და მოართუეს იგი მას. და ვითარ იხილა იგი, მეყსეულად სულმან მან დაჰკუეთა იგი; და ვითარ დაეცა ქუეყანასა ზედა, გორვიდა და პეროოდა.
21. და ჰკითხა მამასა მას მისსა: რაოდენ ჟამ არს, ვინაფთგან ყოფილ არს ესე მაგისა? — ხოლო მან პრქუა: სიყრმიტგან.
22. და მრავალგზის ცეცხლსა შთააგდის და წყალსა, რაათამცა წარწყმიდა იგი, არამედ გიძლავს თუ რამე, შეგუეწიე ჩუენ და წყალობა-ყავ ჩუენ ზედა.
23. ხოლო იესუ პრქუა მას: გიძლავს თუ, ყოველი შესაძლებელ არს, რომელსა პრწამს. (23) მ. 17,20; 21,22.

11. ვითარმეძკედ C: ელიაღა C 12. მღაა C 13. მღაა C 18. დაჰკუეთის C 20. მოართუეს C დაჰკუეთა C 22. შეგუეწიე C.

24. და მუნქუესვე ღალატ-ყო მამამან მის ყრმისამა და თქუა: მრწამს, მეწიე ურწმუნოებასა.

25. იხილა რად იესუ, რამეთუ შეჰკრებოდა მას ერი იგი, შეჰპრისხნა სულსა მას და ჰრქუა: შენ გეტყვ, უტყუსა და ყრუსა სულსა, მე გიბრძანებ შენ: განკვედ მაგისგან და ნულარა შეხუალ მაგისა!

26. და ღალატ-ყო ფრიად, ატრბანა და განვიდა; და იქმნა იგი, ვითარცა მკუდარი, რამეთუ მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ მოკუდაო.

27. ხოლო იესუ უპყრა ჯელი, აღადგინა იგი, და აღდგა.

28. და რაჟამს შევიდა იგი სახედ, მოწაფენი მისნი მარტოდ კითხვიდეს მას: რად ჩუენ ვერ უძლეთ მას განკვად?

29. და ჰრქუა მათ: ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა.

30. და ვითარ მიერ გამოვიდოდეს, თანაწარვიდოდეს გალილეასა, და არა უნდა, რაჲთამცა იცნა ვინ,

(31) მ. 17,22.
ლ. 9,22; 24,7.

31. რამეთუ ასწავებდა მოწაფეთა და ეტყოდა მათ: ძე კაცისაჲ მიცემად არს ჯელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და ვითარცა მოკლან იგი, მესამესა დღესა აღდგეს.

32. და იგინი არა მეცნიერ იყვნეს სიტყუასა მას და ეშინოდა კითხვად მისა.

33. და მოვიდა კაჲარნაომდ, ვითარცა შევიდა სახედ, ჰკითხვიდა მათ: რასა-იგი მგზავრ იტყოდეთ ურთიერთას.

34. ხოლო იგინი დუმნეს, რამეთუ ურთიერთას მგზავრ იტყოდეს; ვითარმედ: ვინ უფროჲს არს?

35. და დაჯდა და [მ]ოუწოდა ათორმეტთა და ჰრქუა მათ: რომელსა პნებავს, ვითარმცა პირველ იყო, იყავნ იგი ყოველთა უკუანა და ყოველთა მსახურ.

(36) მ. 18,5.
ლ. 9,48.

36. და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი შორის მათსა და შეიტყუბო იგი და ჰრქუა მათ:

37. რომელმან ესევეითართ[ა] ყრმათაგანი შე-იწყნაროს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, შემიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

38. მიუგო მას იოვანე და პრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განჰკვდიდა, რომელ ჩუენ თანა არა ვალს, და ვაყენებდით მას. (38) ლ. 9,49.
39. ხოლო იესუ პრქუა: ნუ აყენებთ მას, რამეთუ არავინ არს, რომელ მან ყოს ძალი სახელითა ჩემითა და კელ-იწიფოს ძკრის-სიტყუად. (39) 1 კორ. 12,3.
40. რამეთუ რომელ-იგი არა არს მტერ ჩუენდა, ჩუენ კერძო არს.
41. ხოლო რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისაჲ სახელისათჳს, რამეთუ ქრისტჳსნი ხართ, მართლიად გეტყვ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი. (41) მ. 10,42.
42. და რომელ-მან აცთუნოს ერთი მცირეთაგანი, რომელთა ვჰრწამ მე, უმჯობეს არს უფროჲს მისა, დამო-თუმცა-ება საფქვლე ლოდი ყელსა და შთა-მცა-ვარდა იგი ზღუსაჲ. (42) 2შჯ. 13,6-10. მ. 18,6. ლ. 17,1.
43. და თუ ვაცთუნებდეს შენ კელი შენი, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთკელისა ცხორებასა შესლვაჲ, ვიდრელა ორთა კელთა დგმასა და მისლვად ცეცხლსა მას დაუშრეტელსა. (43) მ. 5,29; 18,8.
- [[44.]] (44) ეს. 66,24.
45. და თუ ფერკი შენი ვაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი: უკეთეს არს შენდა ცხორებასა შესლვაჲ მკელობელისაჲ, ვიდრელა არა ორთა ფერკთა დგმასა და მისლვად გეჰენიასა.
- [[46.]]
47. და თუ თუალი შენი ვაცთუნებდეს შენ, აღმოიკადე იგი: უმჯობეს არს ერთთუალისა შესლვაჲ სასუფეველსა ღმრთისასა, ვიდრელა არა ორთა თუალთა სხმასა და მისლვად გეჰენიასა.
48. სადა მატლი იგი მათი არა აღესრულების, და ცეცხლი მათი არა დაშრტების.
49. რამეთუ ყოველი ცეცხლითა დაიშარილოს. (49) ლევ. 2,13. ეზკ. 43,24.
50. კეთილ არს მარილი: უკუეთუ მარილი განწბილდეს, რაჲთამე შეიშარილოს? გაქუს თქუენ მარილი და მშუდობასა ჰყოფდით ურთიერთას. (50) მ. 5,13. რომ. 14,19. კლს. 4,6.

38. მოძღუარ 39. ძკრისიტყუად 41. ვახვას 42. საფქვლე
 43. მოიკუეთე 47. თუალი 48. ერთთუალისა 49. აღესრულა

1. და აღდგა მიერ და მოვიდა სა(ზ)ღვართა ჰურიასტანისათა წიად იორდანესა, და თანაუვიდოდა მას ერი მრავალი, და, ვითარ ჩუეულ იყო, ასწავებდა მათ.
- (2) მ. 19,3. 2. და მოუჭდეს მას ფარისეველი და ჰკითხვიდეს მას: [ჯ]ერ-თუ-არს ქმრისა ცოლისა დატევებაჲ? — რამეთუ გამოსცდიდეს მას.
- (4) 2მჯ. 24,1. მ. 5,31. ლ. 16,18. 3. მან მიუგო და პრქუა მათ: რაჲ გამცნო თქუენ მოსე?
4. ხოლო მათ პრქუეს: მოსე ბრძანა წიგნი განსატევებელი დაწერად და განტიევებად.
5. მიუგო იესუ და პრქუა მათ: გულფიცხელობისა თქუენისათჳს დაწერა მცნებაჲ ესე.
- (6) დ. 1,27. მ. 19,4. 6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისაჲთ მამლად და დედლად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა:
- (7) 1 კორ. 6,16. 7. ამისთჳს დაუტეოს კაცად-კაცადმან მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი და შეეყოს ცოლსა თჳსსა,
- (8) დ. 2,24. 8. და იყვნენ ორნი ერთ ჳორც. ამიერთგან არლარა არიან ორ, არამედ ერთ ჳორც.
- (9) 1 კორ. 7,10. 9. აწ რომელ ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაყენებნ.
10. და სახლსა შინა მერმე ამისთჳს მოწაფენი მისნი ჰკითხვიდეს მას.
11. და პრქუა მათ: და-თუ-უტეოს დედაკაცმან ქმარი თჳსი და ცოლ-ეყოს სხუასა, იმრუშოს.
12. და მამაკაცმან თუ დაუტეოს ცოლი თჳსი და ცოლ-იყოს სხუაჲ, იმრუშოს.
- (13) მ. 19,13. ლ. 18,15. 13. და მოართუმიდეს მას ყრმებსა, რაჲთამცა ჳელი დასდვა მათ; ხოლო მოწაფენი პრისხვიდეს მომრთუმელთა მათ.
- (14) მ. 18,4. 1 ჳეტ. 2,2. 1 კორ. 14,20. 14. იხილა რაჲ იესუ, შეპრისხნა და პრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.
- (15) მ. 11,25. 15. მართლიად გეტყჳ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ, ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

3. მიხეც 11. სხუასა C. 13. მომრთუმელითა C

16. და შეიტყებნა იგინი და დასდვა კელი მათ ზედა და აკურთხნა იგინი. (16) მ. 19, 15.
17. და ვითარ გამოვიდოდა იგი გზად, მირბიოდა ვინმე ერთი, იმუკლნა, ევედრებოდა მას და კითხვიდა: მოძლუარ ქველისმოქმედ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოდ დავიმკვდრო? (17) მ. 19, 16. ლ. 18, 18.
18. ხოლო იესუ პრქუა მას: რაჲსა მეტყვ მე ქველისმოქმედით? არა ვინ არს ქველისმოქმედი, გარნა მარტოჲ ღმერთი.
19. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-პკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა. (19) გამ. 20, 12-17. 2შჯ. 5, 17. მ. 5, 21. ლ. 18, 20.
20. ხოლო მან მიუგო და პრქუა მას: მოძლუარ, ესე ყოველი მიყოფიეს სიჭაბუკით ჩემითგან.
21. და იესუ მიხედა მას და შეუყუარდა იგი და პრქუა მას: ერთლა გაკლს შენ: გუალე, რაჲცა გიც, განყიდე და მიეც გლახაკთა და მოილო შენ საფასე ცათა შინა და აღიდე ჯუარი, მოვედ და შემომიდეგ მე. (21) მ. 6, 19.
22. ხოლო იგი დაწუხნა სიტყუასა მას ზედა და წარვიდა მწუხარედ, რამეთუ იყო იგი ნაყოფიერ ფრიად.
23. და მიხედა იესუ და პრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვითარ ძნელ არს ფასიერთაჲ შესულაჲ სასუფეველსა ღმრთისასა! (23) იობ. 31, 24. იაკ. 2, 5. 1 ტმ. 6, 17.
24. და მოწაფენი იგი მისნი დასულებულ იყუნეს სიტყუასა მას მისსა ზედა, ხოლო იესუ მერმე მიუგო და პრქუა მათ: შვილნო, რავდენ ძნელ არს ფასისმოსავთაჲ სასუფეველსა ღმრთისასა შესლვაჲ!
25. უადვილეს არს ზომსაბელისა განსლვაჲ კურელსა ნემსისასა, ვიდრელა არა მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესულად.
26. და მათ უფროჲს დაუკვრდებოდა და იტყოდეს ურთიერთას: და ვინმე უძლოს ცხორებად? (26) მ. 19, 27. ლ. 18, 28.
27. მიხედა რაჲ იესუ და პრქუა მათ: კაცთაგან ვერშესაძლებელ არს, ხოლო ღმრთისაგან არა ეგრე, არამედ ყოველი შესაძლებელ არს ღმრთისაგან. (27) იობ. 42, 2.
28. იწყო მისა სიტყუად პეტრე: აჰა, ესერა, ჩუენ დაუტყვევთ ყოველი და შევიდგთ შენ. (28) მ. 19, 27. ლ. 18, 28.

17. მოძლუარქმედ. 20. მოძლუარ. 22. სიტყუასა. 21. იყუნეს. 26. დაუკვრდებოდა. 28. პეტრე.

29. მიუგო მას იესუ და პრქუა: მართლიად გეტყვ თქუნ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი, გინა ძმანი, ანუ დანი, ანუ მამაჲ, ანუ დედაჲ, ანუ შვილნი, ანუ აგარაკი ჩემთჳს, გინა თუ სახარებისა ამისთჳს,
30. ვითარმცა არა მოილო ასი წილი აწ უამსა ამას სახლები და ძმანი და დანი და დედაჲ და შვილნი და აგარაკები დევნულებითურთ და საუკუნესა მას მომავალსა ცხორებაჲ საუკუნჳ.

(31) მ. 19,30.
ლ. 13,30.

31. რამეთუ მრავალნი იყვნენ წინანი უკუანა, და უკუანანი — წინა.

32. და იყვნეს იგინი გზასა, აღვიდოდეს იერუსალჳმდ და წარუძღუა მათ იესუ, და დაკრვებულ იყვნეს და იგინი შეუდგეს მას და ეშინოდა. და წარიყვანნა მერმე ათორმეტნი იგი და იწყო მათა სიტყუად, რაჲ-იგი შემთხუევად იყო მერმე მისა,

(33) მ. 20,18.
ლ. 18,31.

33. ვითარმედ: ესერა, აღხუალთ იერუსალჳმდ, და ძე კაცისაჲ მიცემად არს მღდელთმოდღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილითა და მისცენ იგი წარმართთა.

34. და ეციხვედენ მას და სტანჯვიდენ მას და ჰნერ-წყვდენ მას და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

(35) მ. 20,20.

35. და მოუჭდეს მას იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, და პრქუეს: მოძღუარ, გუნებავს, რაჲთა, რაჲცა გთხოთ, მიყო ჩუენ.

36. ხოლო მან პრქუა მათ: რაჲ გნებავს ჩემგან ყოფად თქუნდა?

37. მათ პრქუეს მას: მოგუეც ჩუენ, რაჲთა დავსხდეთ მარჯულ შენსა და მარცხლ დიდებასა შენსა.

38. მიუგო იესუ და პრქუა მათ: არა უწყით, რასა ითხოვთ. გიძლავს სასუმელისა შესუმად, რომელ ჩემდა შესუმად არს, ანუ ნათლის-ღებაჲ, რომელსა მე ნათლის-ღებად ვალ?

39. მათ პრქუეს: გვძლავს. პრქუა მათ იესუ: სასუმელი იგი, რომელ ჩემდა შესუმად არს, შესუათ, და ნათლის-ღებაჲ, რომელსა მე ნათლის-ღებად ვალ, ნათელს-ილოთ,

29. ეტყუე C: აგარაკი C. 32: იყვენეს C: ო-მღმდ C: წარუძღვა C: დაკრვებულ C: შემთხუევად C. 33: ო-მღმდ C. 39. ვუძლავს C

40. ხოლო დაჯდომამ მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა ჩემი არს მიცემაჲ, არამედ რომელთათჳს განმზადებულ არს.
41. და ვითარ ესმა ათთა მათ, იწყეს გულისწყრომად იაკობისთჳს და იოვანესთჳს. (41) მ. 20,24. ლ. 22,24.
42. ხოლო მან მოუწოდა და პრქუა მათ: უწყით, რამეთუ რომელნი პგონებენ მთავრობად წარმართთა ზედა, ეუფლნენ მათ, და მდიდარნი კელმწიფებდენ მათ ზედა?
43. ხოლო თქუნ შორის არა ეგრე იყოს, არამედ რომელსა უნდეს, რაჲთამცა იყო დიდ თქუნ შორის, იყავნ თქუნდა მსახურ:
44. და რომელსა უნდეს თქუნგანსა, რაჲთამცა იყო წინა, იყავნ ყოველთა მონა. (44) მრ. 9,35.
45. რამეთუ ძე კაცისაჲცა არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა ვისგანმე, არამედ მსახურებად და მიცემად თავისა თჳსისა საკსრად მრავალთა წილ. (45) ი. 13,15. 1 პეტ. 5,3. ფლპ. 2,7.
46. და მოვიდეს იერიქოდ. და ვითარ გამოვიდოდა იერიქოჲთ მოწაფითურთ თჳსით და ერი მრავალი, ძმ ტიმოთე, ბარტიმე, ბრმამ, ჯდა იგი გზასა თანა მთხოველად. (46) 20,29.
47. და ვითარ ესმა, რამეთუ იესუ ნაზ(ო)რეველი არს, იწყო ღალადებად და სიტყუად: ძეო დავითისო, მიწყალე მე!
48. პრისხვიდეს მას მრავალნი, რაჲთამცა დადუმნა; ხოლო იგი ჯეკმა უფროჲს ღალადებდა და იტყოდა: ძეო დავითისო, მიწყალე მე!
49. და ფერკი დაიპყრა იესუ და პრქუა მოწოდებაჲ მისი. და მოუწოდეს ბრმასა მას და პრქუეს: აღდეგ, ნუ გეშინინ, გიწესს.
50. მან დააგდო ფიჩჳ თჳსი, აღდგა და მივიდა იესუსა.
51. და მიუგო მას იესუ და პრქუა: რაჲ გნებავეს, და გიყო შენ? ხოლო ბრმამან მან პრქუა მას: პრაბბონი, რაჲთა აღვიხილნე.
52. და პრქუა: გუალე, სარწმუნოებაჲმან შენმან გაცხოვნა შენ. და მუნქუესვე აღიხილნა და მისდევდა მას.

(1) მ. 21,1.
ლ. 19,29.

1. და რაყამს მიეახლნეს იერუსალმად, ბეთზავედ და ბეთანიად, მთასა ოდენ ზეთისხილთასა, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი

2. და პრქუა მათ: მივედით დაბასა მას, რომელ არს პირსპირ თქუენსა; და მუნქუეს, ვითარცა შეხუდეთ მუნ, ხ-პოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცთაგანი არა დაჯდომილ არს; აღჰკსენით იგი და მომგუარეთ მე.

3. და გრქუას თუ რაჲ ვინმე თქუენ, არქუთ თქუენ, ვითარმედ: უფალსა მაგისსა უკმს, და ადრე მომიძლუანოს იგი აქა.

4. მი-რაჲ-ვიდეს, და პოეს კიცვ დაბმული კართა თანა უბანსა ზედა და აღკსნიდეს მას.

5. და რომელნიმე მუნ მდგომარენი ეტყოდეს მათ: რასა იქმთ? რად აჰკსნით კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ პრქუეს, ვითარცა უბრძანა მათ იესუ: და მიუტევეს მათ.

(7) მ. 21,7.
ლ. 19,35.

7. და მოჰგუარეს კიცვ იგი იესუს. და დაასხეს მას ზედა სამოსელი მათი და დაჯდა მას ზედა.

(8) ი. 12,13.

8. და მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა და სხუანი რტოებსა მოჰკაფდეს ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

(9) ფს. 117,26.

9. და რომელნი-იგი წინაუძლოდეს და რომელნი უკუანა შეუდგეს, დაღადებდეს და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალსა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა!

10. კურთხეულ არს, რომელ მოსლვად არს — სუფევაჲ მამისა ჩუენისაჲ დავითისი! მშუდობაჲ ცათა შინა და დიდებაჲ მაღალთა შინა!

11. და შევიდა იერუსალმად სამღდელოსა მას (... გ)ამოვიდა ბეთანიად ათორმეტითურთ.

12. და (...) და შეემშია.

13. და იხი[ლა ...] ფურცლოვანი, მოვიდა, რაჲთამცა პოვა ... და ვითარცა მოვიდა, არარაჲ პოვა, გარნა ფურცელი ხოლო, რამეთუ არა იყო ჟამი ლედუსაჲ.

1. ი-მღმდ 2. შეხუდეთ 3. კიცვ 4. 1. კიცვ 5. კიცვ 6. მშუდობა 7. ი-მღმდ 8

14. მიუგო და ... შენგან ნუმცა ვინ
15. ... შევიდა სამღდელოსა ... სა შინა ტაბლები იგი მე(კერმეთაჲ და) სავრძლები იგი ტრედისმოფარდულთაჲ დაამკუა. (15) მ. 21, 12. ლ. 19, 45. ი. 2, 14.
16. და არა ვის უფლობდა, ვითარმცა ვის შინაგანაქუნდა ჭურჭელი სამღდელოთ.
17. და ასწავებდა მათ და ეტყოდა: წერილ არს, ვითარმედ: სახლსა ჩემსა სახლ თავყუანი(ს)-საცემელ ეწოდო(ს) ყოველთა ნათესავთა, ხოლო თქუენ გიყოფიეს ქუაბ ავაზაკთა. (17) ეხ. 56, 7. იერ. 7, 11.
18. და ესმა მღდელთმოძღუართა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, რაჲთამცა წარწყმიდეს იგი; და ეშინოდა მისა, რამეთუ ყოველსა მას ერსა დაუკვრდებოდა მოძღურებაჲ იგი მისი.
19. და ვითარ შემწუხრდის, გამოვიდიან გარე ქალაქსა.
20. და ვითარ თანაწარჰვიდოდეს დილითი, იხილეს ლელუ იგი განკმელი ძირითურთ.
21. და მოექსენა პეტრეს და პრქუა მას: მოძღუარ, აჰა, ლელუ იგი, რომელსა ჰწყევე, განვმა.
22. მიუგო იესუ და პრქუა მას:
23. გაქუნდეს თუ სარწმუნოებაჲ ღმრთისაჲ, მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელმანცა პრქუას მთასა ამას აღფხურად და შთაგდებად ზღუასა და არა შეორგულდეს გულსა თვისსა, არამედ პრწმენეს, რამეთუ რომელსა იტყვს, ვითარმედ იყოს იგი.
24. ამისთვის გეტყვ თქუენ: ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმენინ, ვითარმედ მოიღეთ, და გეყოს თქუენ. (24) მ. 7, 7. ლ. 11, 9. ი. 14, 13.
25. და რაჟამს დასდგეთ თავყუანის-ცემად, მიუტევეთ, რაჲცა თანა-ვის-ედვას, რაჲთა მამამანცა თქუენმან ზეცათამან მოგიტევენეს თქუენ შეცოდებანი თქუენნი. (25) ზირ. 28, 2. მ. 6, 14. ეფ. 4, 32. კლს. 3, 13.
- [[26.]]

(27) მ. 21,23.
ლ. 20,1.

27. და მივიდეს მერმე იერუსალჴმდ. და სამღდელოსა შინავითარვიდოდა, მოუკდეს მას მღდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი

28. და ეტყოდეს: რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მიგცა შენ კელმწიფებაჲ ესე?

29. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: ვნებაჲს, თუ მეცა გკითხო თქუენ ერთი სიტყუაჲ, მომიგეთ მე, და გითხრა თქუენ მეცა, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ;

30. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ცით გარდამო იყო, ანუ კაცთაგან? მითხართ მე.

31. და განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: ვთქუათ, თუ: ცით გარდამო იყო, გურქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა ვრწმენა მისი?

32. უკუეთუ ვთქუათ, თუ: კაცთაგან, — ეშინოდა ერისაგან, რამეთუ ყოველსა წინაწარმეტყუელად აქუნდა იოვანე, რამეთუ ჭეშმარიტად წინაწარმეტყუელი იყო.

33. და მიუგეს იესუს და პრქუეს: არა უწყით. და მიუგო იესუ და პრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას.

12

(1) ფს. 79,9.
ქებ. 8,12. ეს.
5,1. მ. 21,33.

1. და იწყო იგავით სიტყუად მათა: ვენაკი დაასხა კაცმან და გარემოჲს მოზღუდა და აღმოთხარა ტაგარი და ქმნა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა და წარვიდა.

2. და მიუვლინა მოქმედთა მათ ჟამსა მონაჲ, რაჲთა მოქმედთა მათგან მოიღოს ნაყოფი ვენაკისაჲ მის.

(3) მ. 5,12;
23,34.

3. ხოლო მათ შეიპყრეს იგი, გუემეს და წარავლინეს იგი ცუდი.

4. და მერმე მიუვლინა მათ სხუაჲ მონაჲ, და იგიცა წარავლინეს გინებული.

5. და მერმე სხუაჲ მიავლინა, და მოკლეს; და მრავალნი სხუანიცა — რომელნიმე გუემნეს, რომელნიმე . . მიწყუნდეს.

27. ი-მღმდღ 29. სიტყუაჲს. 32. წინაწარმეტყუელად 3. კუემეს 4. სხუაჲ 5. კუემნეს

6. მერმე ერთლა ძმ ესუა საყუარელი, მიუვლინა უკუანადასკნელს და თქუა, ვითარმედ: შეიკდიმონ ძისა ჩემისაგან.
7. ხოლო მათ მოქმედთა იხილეს რაჲ იგი მიმავალი მათა, თქუეს, ვითარმედ: ესე არს მკვდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და ჩუენდა იყოს სამკვდრებელი იგი.
8. და შეიპყრეს და მოკლეს და განაგდეს იგი გარეშე საყურძენსა მას. (7) მ. 26,3-4.
9. რაჲმე უკუე უყოს უფალმან მის ვენაჯისამან? მოვიდეს და წარწყმიდნეს მოქმედნი იგი მის ვენაჯისანი და მისცეს ვენაჯი იგი სხუათა.
10. წერილიცა ესე არავე აღმოგიკითხავსა: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ კიდეთა. (8) ებრ. 13,12.
11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკრველ წინაშე თუალთა ჩუენთა. (10) მ. 21,42.
12. და ეძიებდეს მას შეპყრობად და შეეშინა ერისაგან, გულისხმა-ყვეს, რამეთუ მათთვის თქუა იგავი ესე. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.
13. და მოავლინეს მისა ფარისეველთაგანი ვინმე და პეროდთანთაგანი, რაჲთამცა მონადირეს იგი სიტყვთა. (11) ფს. 117, 22-23.
14. ხოლო იგინი ვითარ მოვიდეს, იწყეს კითხვად მისა ზაკით და პრქუეს: მოძლუარ, უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ ხარ და არარაჲ გჭირს შენ რომლისათვისვე, რამეთუ არა თუალთ-აღებ პირსა კაცისასა, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ. აწ მარქუ ჩუენ: ჯერ-არს თუ ხარკისა კეისარსა მიცემაჲ, ანუ არა მივსცეთ?
15. ხოლო მან უწყოდა ზაკულებაჲ იგი მათი და პრქუა მათ: რაჲსა გამომცდით მე, მზაკუვარნო? მომართუეთ მე დრაჰკანი, რაჲთა ვიხილო. (13) მ. 22,15. ლ. 20,20.
16. ხოლო მათ მოართუეს. და პრქუა მათ: ვისი არს ხატი ესე, ანუ ზედადაწერილი? მათ პრქუეს: კეისრისაჲ.

7. მკვდრი C 11. საყურველ C: თუალთა C 12. გულისხმა- C 13. სიტყუთა C 14. თუალთ- C 15. მომართო C 16. მოართუეს C

- (17) მ. 22, 21. 17. და მოუგო იესუ და პრქუა მათ: მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა! -- და დაუკრდა მათ მას ზედა.
- (18) ლ. 70, 27. 18. და მოვიდეს სადუკეველნი მისა, რომელთა თქვან, აღდგომაჲ არა არსო, და ჰკითხეს მას და პრქუეს:
- (19) 28ჟ. 25, 5. 19. მოძღუარ, მოსე დაგვწერა ჩუენ: ძმაჲ თუ ვისიმე მ. 22, 24. ლ. მოკუდეს და ესუას მას ცოლი, და შეილი არა დაშდეს, 20, 28. რაჲთა შეირთოს ძმამან ცოლი იგი მისი და აღუდგინოს თესლი ძმასა მას თხსსა.
20. შუდ ძმა იყვნეს. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა და არა დაუტევა მკვდრი;
21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა იგიცა (ა) და არა დაუტევა მანცა მკვდრი; და მესამემან — ეგრევე;
22. და შუდთავე არა დაუტევეს მკვდრი. უკუანაჲსკნელ ყოველთა დედაკაცი იგი მოკუდა.
23. აღდგომასა მას, რაჟამს აღდგენ, რომლისა მათგანისა იყოს ცოლად, რამეთუ შუდთავე მათ ესუა იგი ცოლად?
24. (მ)იუგო იესუ და პრქუა მათ: არა ამისთვის სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი და არცა ძალი ღმრთისაჲ?
25. (რამეთუ) ოდეს მკუდრეთით აღდგენ, არცა იქორწინებოდინ, არცა განჰქორწინებდენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა.
- (26) გამ. 3, 6. მ. 22, 32. 26. ხოლო მკუდარნი რამეთუ აღდგენ, არა ლ. 20, 37. აღმოგიკითხავსა წიგნსა მას მოსესსა, მაყულოვანსა ზედა ვითარ ეტყოდა მას ღმერთი და პრქუა: მე ვარ ღმერთი აბრაამისი, ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი?
27. არა არს ღმერთი მკუდართაჲ, არამედ ცხოველთაჲ. აწ თქუენ ფრიად სცთებით.
- (28) მ. 22, 35. 28. და მიუჯდა მას ერთი მწიგნობართაგანი, ლ. 10, 25. რომელსა ესმოდა მათი ჳმაჲ, იხილა რაჲ მან, რამეთუ კეთილად მიუგო მათ, ჰკითხა მას: რომელი არს პირველი მცნებაჲ?

17. დაუკრდა C 18. იქუან C 19. მოძღუარ C 20. მკუდრი C 21. მოკუდა C 22. შედითავე C 23. იქორწინებოდინ C

29. პრქუა მას იესუ: პირველად ყოვლისა: გესმოდენ ისრაშლსა: უფალი ღმერთი ჩუენი ერთი არს. (29) მ. 22,37. ლ. 10,27.
30. და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა. ესე არს პირველი მცნებაჲ. (30) მზჯ. 6,4-5.
31. და მეორე, მსგავსი მისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი შენი. უფროჲს ამათსა სხუაჲ მცნებაჲ არა არს. (31) ლევ. 19,18. მ. 5,43. იაკ. 2,8. რომ. 13,9. გლტ. 5,14.
32. და პრქუა მას მწიგნობარმან მა(ნ): კეთილად, მოძღუარ, ჭეშმარიტად სთქუ, რამეთუ ერთ არს, და არა არს სხუაჲ მისა გარეშე;
33. და შეყუარებად იგი ყოვლითა გულითა და ყოვლითა ძალითა და ყოვლითა გულისხმითა, და შეყუარებად მოყუასი ვითარცა თავი თუსი, და უფროჲს არს ყოელთა მრგულიად დასაწუველთა და მსხუერპლთა.
34. და იესუ ვითარ იხილა, რამეთუ გონებულად მოუგო, პრქუა მას: არა შორს ხარ სასუფეველისაგან ღმრთისაჲსა. და არავინ არღარა იკადრა კითხვად მისა.
35. და მიუგო იესუ და ეტყოდა სწავლასა მას სამღდელოსა შინა: ვითარ თქუან მწიგნობართა, ვითარმედ: ქრისტე ძე არს დავითისი? (35) მ. 22,41. ლ. 20,41.
36. რამეთუ თავადმან დავით თქუა სულითა წმიდითა: პრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა, ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა. (36) ფს. 109,1.
37. თავადი დავით ეტყჳს მას უფლით, და ვითარ ძმ მისი არს? — და მრავალი ერი ისმენდა მისა წადიერად.
38. და ეტყოდა მათ სწავლასა მას შინა მისსა: ეკრძალენით მწიგნობართაგან, რომელთა პნებაჲს სამოსლითა შუენიერითა სლვაჲ და მოკითხვას ეძიებენ უბნებსა ზედა.
39. და პირველად საჯდომელსა შესაკრებელთა შინა და მკნისთაობასა ტაძრობასა: (39) მ. 23,6. ლ. 11,43. ეზკ. 22,25. ლ. 20,47.

33. გულისხმითა C. -მრგულიად ყოელთა C. 35. იჯყოდა C. თქუან C: არს C 36. შენი C 38. მოკითხვას C: ეძიებენ C

- (41) ლ. 21, 1. 40. რომელნი შეშჯამენ სახლთა ქურივთასა და მიზეზით განგრძელებულად თაყუანის-სცემედ, რომელთა მოიღონ უმეტესი საშჯელი.
41. დადგა იესუ წინაშე ფასისშესაწირავსა და ხედვიდა, ვითარ ერი იგი დასდებდა კერმასა ფასისშესაწირავსა მას ზედა. და მრავალთა მდიდართა დადევს დიდადი.
42. და მოვიდა ერთი ქურივი გლახაკი და დასხნა ორნი ფშიტნი, რომელ არს დანგ ერთ.
43. და მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და პრქუა მათ: მართლიად გეტყვ თქუენ, რამეთუ ქურივმან გლახაკმან უფროჲს ყოველთასა შეწირა შესაწირავსა ამას ზედა.
44. რამეთუ ყოველთა მათ ნეშტისაგან მათისა შემოწირეს, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვისისა ყოველივე, რაჲცა ედვა, შეწირა ყოველივე საცხორებელი თვისი.

13

- (1) მ. 24, 1. ლ. 21, 5. 1. და ვითარ გამოვიდოდა იგი ტაძრით, პრქუა მას ერთმან მოწაფეთა მისთაგანმან: მოძღუარ, იხილე, რაბამნი ქვანი არიან ესე და რაბამი შენებული!
- (2) ლ. 19, 44; 21, 6. 2. და მიუგო იესუ და პრქუა მათ: ხედავთ ამათ დიდ-დიდთა შენებულთა? არა დაშდეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელ არა დაირლუეს.
3. და ვითარ ჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, ჰკითხვიდეს მას თვსაგან პეტრე და იაკობ და იოვანე და ანდრეა:
4. მითხარ ჩუენ, ოდეს იყოს ესე, და რაჲ სასწაული იყოს, ოდეს ესე ყოველი აღესრულებოდის?
- (5) მ. 24, 4 ლ. 21, 8. ეფ. 5, 6. 2 თეს. 2, 3. 5. და მიუგო მათ იესუ და იწყო სიტყუად: იგულეთ, გაცთუნნეს ნუვინ თქუენ.
6. რამეთუ მრავალნი მოვიდენ სახელითა ჩემითა და თქუან, ვითარმედ: მე ვარ, და მრავალნი აცთუნნენ.

12. დანჯკდავ C 41. თხზი + თხზი C 1. მთწაფეთი C 2. დიდ-დიდთა/დიდითა C

7. ხოლო რაჟამს გესმოდის თქუენ პრძოლაჲ და კმაჲ წყობისაჲ, ნუ აღტყდებით, რამეთუ ყოფად არს, ხოლო აღსასრული არღა იყოს.

8. აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა; და იყოს ძრვა აღგიდ-აღგიდ და სიყმილი და წყუედაჲ. ხოლო ესე იყოს დასაბამ საღმობათა.

9. და მიგცნენ თქუენ კრებულებსა და შესაკრებელთა შინა მათთა გგუემდენ თქუენ და წინაშე მსაჯულთა და მეფეთა წარგადგინნენ თქუენ საწამებელად მათა და ყოველთა ნათესავთა.

(9) ი. 15,20.

10. ხოლო პირველად იქადაგოს სახარებაჲ ესე.

11. და რაჟამს მოჰყვანდეთ თქუენ და მიგცემდენ თქუენ, ნუ წინააღწარ ზრუნავთ, რასა იტყოდით; არამედ რაჲცა მოგცეს თქუენ მას ჟამსა შინა, მასცა იტყოდეთ, რამეთუ არა თქუენ ხართ მეტყუელნი იგი, არამედ სული წმიდაჲ.

(11) მ. 10,19.
ლ. 12,11.

12. ხოლო მისცეს ძმამან ძმაჲ სიკუდიდ და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა თუსთა ზედა და მოწყუდნენ იგინი.

13. და იყვნეთ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათუს; და რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

14. ხოლო რაჟამს იხილოთ ბილწი იგი მოოკრებისაჲ მდგომარე, სადა არა ჯერ-იყოს, — რომელი-იგი აღმოიკითხვიდეს, გულისხმა-ჰყოფდინ, — მაშინ ჰურიასტანისანი წარივლტოდეთ მთასა.

(14) დან. 9,27.
მ. 24,15. ლ.
21,20.

15. და რომელ ერდოებსა ზედა იყვნენ, ნუ გარდამოვლენედ სახიდ, ნუცა შევლენედ აღებად რაჲსმე სახლისაგან თუსისა.

16. რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უკემოიქცევინ კუალსა აღლებად სამოსლისა თუსისა.

17. ხოლო ვაჲ მუცელქმნულთა მათ და მაწონებელთა მათ დღეთა შინა.

18. ხოლო ილოცევდით, რაჲთა არა იყოს სივლტოლაჲ თქუენი ზამთრის.

8. წყუედაჲ C 9. და კვექმდენ C 12. მიწყუედნენ C 14. გულისხმა- C.

19. რამეთუ იყვნენ დღენი იგი ჭირისანი, რომელ არა ყოფილ არს ეგევითარი დასაბამითგან, ვინაჲთგან დაჰბადა ლმერთმან, მიაქამდე და მერმეცა არა იყოს.
20. და თუმცა არა შეამოკლნა დღენი იგი, ვერმცა განერა ყოველი კორციელი; არამედ რჩეულთათჳს, რომელნი გამოირჩინა, შეამოკლნა დღენი იგი.
- (21) მ. 24,23. ლ. 17,23. 21. და მაშინ გრქუას თუ ვინმე თქუენ: აჰა, ესერა, აქა არს ქრისტჳ, — გინა თუ: ეგერა, — ნუ გრწამნ.
22. რამეთუ აღდგენ ცრუქრისტენი და ცრუწინაწარმეტყუელნი დაჰცენ სასწაულებ და ნიშებ საცთუნებელად, შე-თუმცა-უძლეს, რჩეულთაცა.
23. ხოლო თქუენ ეკრძაღენით, რამეთუ, ესერა, წინაჲსწარ გითხარ თქუენ ყოველი.
- (24) ეხ. 13,10. ეზკ. 32,7. ივლ. 2,31. მ. 24,29. ლ. 21,25. 24. არამედ მათ დღეთა შინა შემდგომად ჭირისა მის მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი;
25. და მასკულაენი ზეცით დამოცვენებულ იყვნენ, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.
- (26) მ. 24,30. გცხ. 1,7. 26. და მაშინ იხილონ ძმჳ კაცისაჲ, მომავალი ღრუბლითა ძალითა დიდითა და დიდებითა.
27. და მაშინ წარავლინნეს ანგელოზნი თჳსნი და შეკრიბნეს რჩეულნი იგი ოთხთა ქართაგან კიდითგან ქუეყანისაჲთ კიდემდე ცისად.
28. ხოლო ლელუსაგან გულისხმა-ყავთ იგავი ესე: რაჟამს რტონი მისნი მოლბიან, და გამოაქუნ ფურცელი, უწყოდეთ, რამეთუ ახლო არნ არჳ.
29. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, გულისხმა-ყავთ, რამეთუ ახლოს არს კართა ზედა.
- (30) მ. 24,34. 30. მართლიად გეტყჳ თქუენ, რამეთუ არა წარკდეს ნათესავი ესე, ვიდრემდის არა ყოველი ესე იყოს.
31. ცაჲ და ქუეყანაჲ წარკდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარკდენ.
32. ხოლო დღისა მისთჳს და ჟამისა არა ვინ უწყის, არცა ანგელოზთა ცათა შინა, არცა ძემან, გარნა მამამან ხოლო მარტომან.

20. კამბოიჲსინაჲ C 25. დამოცვენებუ C 28. ლელუსაგან C. კულისხმა- C. 29. თქუე C. კულისხმა- C. 30. გერეუ C

33. ხოლო ხედველით და იღვძებლით და თაყუანის-
სცემლით, რამეთუ არა უწყით, ოდეს იყოს უამი იგი. (33) მ. 24,42;
25,13.
34. ვითარცა კაცი რად გზად ვალნ, დაუტევის
სახლი თვისი და მისცის კელმწიფებად მონათა თვსთა
და კაცად-კაცადსა საქმე თვისი და მეკარესა ამცნის,
რადთამცა მღვდარე იყო.
34. აწ მღვდარე იყვენით, რამეთუ არა უწყით, ოდეს
უფალი იგი სახლისაჲ მის მოვიდეს: მწუხრი, ანუ
შუვალამეს, ანუ ქათმის-ყვილს, ანუ განთიად;
35. ნუუკუე მოვიდეს მყის და გპოვნეს თქუენ
მძინარენი.
36. რომელსა-ესე თქუენ გეცყვ, ყოველთა ვეცყვ:
მღვდარე იყვესით.

14

1. და იყო დღესასწაული იგი ვნებათაჲ შემდგომად
ორისა დღისა. ეძიებდეს მღდელთმოძღუარნი იგი და
მწიგნობარნი, ვითარმცა ზაკუვით შეიპყრეს იგი და
მოკლეს. (1) მ. 26,2. ლ.
22,1.
2. იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, ნუუკუე
ამბოხებაჲ იყოს ერისაჲ.
3. და ვითარ იყო იგი ბეთანიას, სახლსა სიმონის
განბოკლებულისასა, და ინაჯ-ედგა, მოვიდა დედაკაცი
ერთი, რომელსა აქუნდა შიშითა ნელსაცხებელი
ნარდიონი პატოოსანი, დიდძლისასყიდლისაჲ, მოილო და
დაასხა თავსა მისსა. (3) მ. 26,7. ი.
11,2; 12,3.
4. ხოლო იყვნეს ვინმე მუნ, რომელთა გული
უწყრებოდა და იტყოდეს ურთიერთას: რადსათჳს
იყო წარწყმედაჲ ესე?
5. რამეთუ ჯერ-იყო განსყიდად ნელსა(ც)ხებელი ესე
სამასის დრაჰკნის და მიცემად გლახაკთა. — და
პრისხვიდეს მას.
6. {ხოლო} იესუ პრქუა: აცადეთ მაგას და ნუ
დააშრობთ, რამეთუ კეთილი საქმე ქმნა მაგან
ჩემთვის.

33. იღვძებლით C 34. მღვდარე C 36. ვაბრუე C: ყოველითა ვაბრუე - C:
მღვდარე C 3. (რ)-ლი-იგი C: განბოკლებულისა C: და - C

7. რამეთუ გლახაკნი მარადის თქუენ თანა არიან. და რაჟამს გენებოს, ჯელმწიფე ხართ მათა კეთილისყოფად, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

8. რომელი-იგი აქუნდა მაგას, ყო, წარმოიძლუნა ნელსაცხებელისა ცხებაჲ კორცთა ჩემთა სამკუდროჲსა მის შესამოსელად.

9. ხოლო მართლიად გეტყვ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაჲ ესე ყოველსა სოფელსა, და რომელი-ესე ყო ამან, მიმოგანითქუას საცსენებელად მაგისა.

(10) მ. 26,14.
ლ. 22,4.

10. და იუდა სკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, მივიდა მღდელთმოდლუართა, რაჲთამცა მისცა იგი.

11. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად. და ეძიებდა, ვითარმცა განმარჯუებულად მისცა იგი.

(12) მ. 26,17.
ლ. 22,7.

12. და პირველსა მას დღესა ბალარჯობისასა, რაჟამს ვნებათასა მას დაჰკლვიდეს, პრქუეს მას მოწაფეთა მისთა: სადა გნებავეს, მივიდეთ და დაგიმზადოთ, რაჲთა ჰჭამო ზატიკი იგი?

13. და წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი და პრქუა მათ: წარვედით თქუენ ქალაქად, და შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგვნითა წყალი ზეედგას, შეუდევით, და ვიდრეცა შევიდეს,

14. არქუთ მამასახლისსა მის სახლისასა, ვითარმედ: მოძლუარმან ეგრე თქუა: სადა არს ვანი იგი ჩემი, სადა ვნებათაჲ იგი მოწაფეთა ჩემთა თანა შევჭამო?

15. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დიდი, დაგებული და განმზადებული; მუნ დაგვმზადეთ ჩუენ.

16. და წარვიდეს დამზადებად მისა მოწაფენი იგი და შევიდეს ქალაქად და პოეს, ვითარცა პრქუა მათ, და დამზადეს ვნებათაჲ იგი.

17. და რაჟამს დამწუხრდა, მოვიდა ათორმეტიოურთ.

(18) ფს. 40,10.
მ. 26,20. ლ.
22,14. ი. 13,21.

18. და ვითარ ინაჲ-ედგა მათ და ჭამდეს, პრქუა მათ იესუ: მართლიად გეტყვ თქუენ: ერთმან თქუენგანმან მიმცეს მე, რომელ ჭამს ჩემ თანა.

19. ხოლო მათ იწყეს ზრუნვად და სიტყუად მისა თითოეულმან: ნუმცა მე ვარ, უფალო? -- და სხუამან: ნუმცა მე ვარ?

20. ხოლო მან მიუგო და პრქუა მათ: ერთმან ათორმეტთაგანმან, რომელმან შთამოყოს ჩემ თანა პინაკსა, მან მიმცეს მე.

21. რამეთუ ძე კაცისაჲ მისლვად არს, ვითარცა წერილ არს მისთვის; ხოლო ვაჲ მის კაცისაჲ, რომლისაგან ძე კაცისაჲ მიეცემის; უმჯობეს იყო მისა, არათუმცა შობილ იყო კაცი იგი.

22. და ვიდრე ჭამდესლა, მოილო პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ და პრქუა: მიიღეთ, ესე არს ჯორცი ჩემი!

(22) მ. 26,26.
ლ. 22,19. 1
კორ. 11,24.

23. და მოილო სასუმელი, კმადლობდა და მისცა მათ, და სუეს მისგანი ყოველთა.

24. და პრქუა მათ: ესე არს სისხლი ჩემი შჯულისაჲ, რომელ მრავალთათჳს დაითხვეის.

25. მართლიად გეტყჳ თქუენ, რამეთუ არლარა ვსუა ნაყოფისაგანი ვენაკისაჲ ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს-იგი ვსუა ახალი სასუფეველსა შინა ღმრთისასა.

26. და კმადლობდეს და გამოვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა.

27. და პრქუა მათ იესუ, ვითარმედ: ყოველნი, თქუენ, დაპბრკოლდეთ ჩემდა მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დავსცე მწყემსი, და ცხოვარნი განიბნინენ.

(27) ზაქ. 13,7.
მ. 26,31.
ი. 16,32.

28. არამედ რაჟამს აღვდგე, წინაღსწარ თქუენსა მივიდე გალილუად.

(28) მრ. 16,7.

29. ხოლო პეტრე მიუგო და პრქუა მას: ყოველნი ღათუ დაბრკოლდენ, ხოლო მე არა.

30. და პრქუა მას იესუ: მართლიად გეტყჳ შენ, რამეთუ დღეს ღამესა ამას ვიდრე ქათმისა ორგზის ყივიდმდე სამგზის უვარ-მყო მე.

(30) მ. 26,34.
ლ. 22,34.
ი. 13,38.

31. ხოლო პეტრე ფრიად უმეტესად ხ- იტყოდა, ვითარმედ: შე-ღათუ-მხუედეს შენ თანა სიკუდილი, არავე უვარ-გყო შენ. -- ეგრეცა ყოველნი იტყოდეს.

- (32) მ. 26,36.
ლ. 22,39. 32. და მოვიდეს დაბასა, რომელსა სახელი ერქუა გესემანი, და პრქუა მოწაფეთა თჳსთა: დასხედით აქა, ვიდრემდის თაყუანის-ვსცე.
33. და მიიყვანნა მის თანა პეტრე და იაკობ და იოვანე და იწყო გულისსიტიყუად და ურვად.
34. და პრქუა მათ: შეჭუნებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდიდმდე: ელოდეთ აქა და იღძვებდით!
35. და წარვიდა კნინ და დავარდა ქუეყანასა და ილოცვიდა: უკუეთუ ჯერ-არს, რათამცა გარეწარჰქდა მას ჟამი იგი.
- (36) მ. 26,39.
ფლპ. 2,8. ებრ. 5,7-8. 36. და იტყოდა: აბბა მამაო, ყოველი შესაძლებელ არს შენდა: გარეწარმცოდე მე სასუმელი ესე. ხოლო არა რაჲ-იგი მე მნებაგს, არამედ რაჲ — შენ.
37. და მოვიდა და პოვნა იგინი მძინარენი და პრქუა პეტრეს: სიმონ, გძინავსა? და ვერ უძლე ჟამ ერთ ღძებად?
- (38) ლ. 22,40. 38. მღჳძარე იყვენით და ილოცევდით, რათა არა შეხჳდეთ განსაცდელსა. სული გულსმოდგინე არს, ხოლო ჯორცნი — უძლურ.
39. და მერმე წარვიდა, თაყუანის-სცა და იგივე სიტყუაჲ თქუა.
40. და მოიქცა და პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყვნეს თუალნი მათნი დამძიმებულ, და არა უწყოდეს, რამცა მიუგეს მას.
41. და მოვიდა მესამედ და პრქუა მათ: დაიძინეთ ამიერიტგან და განისუენეთ. აღესრულა და მოიწია ჟამი. აჰა, ესერა, მიეცემის ძმ კაცისაჲ ჳელთა ცოდვილთასა.
42. აღდეგით, წარვიდეთ. აჰა, ესერა, მიმცემელი იგი ჩემი მოახლებულ არს.
- (43) მ. 26,47.
ლ. 22,47.
ი. 18,3. 43. და ვიდრე იგი ამას იტყოდალა, მოიწია იუდა, ერთი ათორმეტთაგანი, და მის თანა ერი მახვლოსნები და წათოსნები მღდეღთმოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა.
44. და მიეცა მიმცემელსა მას მისსა სასწაული და პრქუა მათ: რომელ მე მოვიკითხო, იგი არს, შეიპყართ იგი და წარიყვანეთ კრძალულად.

45. და მუნქუესევე მოუკდა მას და პრქუა: მოძლუარ!
-- და მოიკითხა იგი.
46. ხოლო მათ შეასხნეს კელნი მათნი და შეიპყრეს იგი.
47. და ერთმან ვინმე მის თანა მდგომარემან აღმოიკადა მახული და სცა მონასა მლდელთ-მოძლურისასა და წარჰკუეთა ყური.
48. მიუგო იესუ და პრქუა მათ: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახულითა და წათითა შეპყრობად ჩემდა.
49. მარადღე თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა მას შინა, გასწავებდ თქუენ და არა შემიპყართ მე; არამედ რაათა აღესრულოს წიგნები იგი წინაწარმეტყუელთაჲ.
50. და დაუტევეს იგი ყოველთა და ივლტოდეს.
51. და ერთი ვინმე ჭაბუკი მისდევდა მას და ემოსა არდაგი შიშულივ. და ჭაბუკთა შეიპყრეს იგი.
52. ხოლო მან მიუტევა არდაგი იგი და შიშული ივლტოდა მათგან.
53. და მიიყვანეს იგი მლდელთმოძლურისა კაიაფაჲსა. (49) იობ. 19,13. ფს. 21,7; 68,9; 87,9. ეს. 53,12.
- და მივიდეს მის თანა მლდელთმოძლუარნი, მოხუცებულნი და მწიგნობარნი.
54. და პეტრე შორს მისდევდა მას ვიდრე შინა ეზომდე მლდელთმოძლურისა, დაჯდა იგი მსახურთა თანა და იკუსვოდა მგზებელსა მას.
55. ხოლო მლდელთმოძლუარნი იგი და ყოველი კრებული ეძიებდეს იესუსთვის წამებას, რაათამცა მოკლეს იგი, და ვერ ჰპოვებდეს. (53) მ. 26,57.
56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთვის, და არა ერთ იყო წამებაჲ იგი მათი.
57. და რომელნიმე აღდგეს, ცრუსა წამებდეს მისთვის და იტყოდეს,
58. ვითარმედ: ჩუენ გუესმა მაგისგან, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: მე დავარღვო ტაძარი ესე კელითქმნული და მესამესა დღესა სხუაჲ, კელითუქმნელი, აღვაშენო. (55) ფს. 26,12; 34,11. მ. 26,59.
59. და ეგრეცა არავე ერთი იყო წამებაჲ იგი მათი.

60. და აღდგა მღვდელთმოდლუარი იგი მათი შორის, ჰკითხა იესუს და პრქუა: არას მოუგებ, რასა ესენი შეგწამებენ შენ?

(61) ეს. 53,7. სქ 8,32.
ებრ. 1,5.

61. ხოლო იგი დუმნა და არას მიუგებდა მათ. მერმე მღვდელთმოდლუარი იგი ჰკითხვიდა მას სიტყუასა მეორედ და პრქუა: შენ ხარ ქრისტჳ, ძჳ კურთხეულისაჲ?

(62) მ. 26,64. 2 თეს. 1,10.

62. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მას: შენ სთქუ, ვითარმედ მე ვარ. და იხილოთ ძჳ კაცისაჲ მარჯუენით მჯდომარე ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

63. ხოლო მღვდელთმოდლუარმან დამოიპო კუართი თუსი და თქუა: რასაღა გკვმან მოწამებ?

64. გესმა ყოველთა ბასრობაჲ იგი მისი. ვითარ გიჩს თქუენ? — და ყოველთა დასაჯეს იგი — ყვეს თანამდებ სიკუდილისა.

65. და იწყეს რომელთამე ნერწყუვად პირსა მისსა და ფირჳ დაჰბურიან პირსა მისსა, პრეკედ მას და ეტყუედ: გვწინაწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? — და მსახურნი იგი სცემდეს ღაწუსა მისსა.

(66) მ. 26,69.
ლ. 22,56.
ი. 18,25.

66. და იყო პეტრე ეზოსა მას შინა; მოვიდა ერთი მკეველთაგანი მღვდელთმოდლურისათაჲ.

67. და იხილა იგი მკუსოლარე, მიხედა მას და პრქუა: შენცა ნაზორეველისა იესუს თანა იყავ.

68. ხოლო მან უვარ-ყო და პრქუა მას: არცა ვიცი და არცა უწყი, რასა-ეგე შენ იტყვ. — და გამოვიდა იგი გარეშე ეზოსა.

69. და მკეველმან მან იხილა იგი, იწყო სიტყუად, რომელ დგეს მუნ, ვითარმედ: ესე მათგანივეა.

70. ხოლო მან უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა ჟამისა რომელნი-იგი გარემოჲს დგეს მისა, ეტყოდეს პეტრეს: ჭეშმარიტად მათგანი ხარ, რამეთუ ხარვე გალილეველ.

71. ხოლო მან იწყო წყევად და ფიცად, ვითარმედ: არა*

62. ცითაჲ 63. მოწამებ. 65. ნერწყუვად. ქრისტჳ

* აქედან C-საკლავა ფურცლები.

19. * და პნერწყუვიდეს მას და დაიდგნიან მუკლნი და თაყუანის-სცემედ მას.
20. და რასჟამს დაასრულეს ბასრობაჲ იგი მის ზედა, განჰძარცუეს ძოწეული იგი და შეჰმოსეს მას სამოსელი თვისი და გამოიყვანეს იგი ჯუარ-ცუმად.
21. და წარიქციეს პაპრაკად თანაწარმავალი ვინმე სკომონ კვრენელი, მომავალი აგარაკით, მამაჲ აღექსანდრესი და ჰრუფჴსი, რაჲთამცა აღიკიდა ჯუარი იგი მისი. (21) მ. 27,32. ლ. 23,26.
22. და მოიღეს იგი გოლგოთასა, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი. (22) მ. 27,33. ლ. 23,33. ი. 19,17. ებრ. 13,12.
23. და მისცეს სუმად მუროვანი ღვინო, და მან არა მიიღო. (23) ფს. 68,22.
24. და ჯუარს-აცუეს და განიყვეს სამოსელი მისი და წილ-იგდეს მას ზედა, ვისმცა რაჲ ხუედა. (24) ფს. 21,19. ი. 19,24.
25. და იყო ჟამი მესამე და ჯუარს-აცუეს იგი.
26. და ზედა დაწერა ბრალდმისა: ესე მუუფჴჴურიათაჲ. (26) მ. 27,37.
27. და მის თანა ჯუარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი — მარჯუენით მისა და ერთი — მარცხენით მისა.
28. და აღესრულა წერილი იგი, რომელ თქუა, ვითარმედ: უსჯულოთა თანა შეირაცხა. (28) ეს. 53,12.
29. და რომელნი თანაწარჰვიდოდეს, ეკიცხევდეს მას, ხრიდეს თავსა და იტყოდეს: ვაჲ, რომელ-იგი დაარღუევდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა აღაშწნებდ, (29) ფს. 68,21. მ. 26, 61; 27,40. მრ. 14,58. ლ. 22,37. ი. 2,19.
30. განირინე თავი შენი და გარდამოკედ მაგიერ ჯუარით.
31. ეგრეცა მღდელთმოძღუარნი იგი ეკიცხევდეს ურთიერთას მწიგნობართა თანა და იტყოდეს: სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ იცხოვნოს.
32. ქრისტჴ, მეუფჴ ისრაჴლისაჲ, გარდამოკედინ აწ ჯუარით, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს იგი. და რომელნი-იგი მის თანა ჯუარცუმულ იყვნეს, ივინიცა აყუედრებდეს.

19. თაყუანის- C 20. განჰძარცუეს C 21. კვრენელი C 22.

გოლგოთათასა C: არს - C 24. აცუეს C: ხუედა C 25. აცუეს C.

27. მისსა C 28. თქუა C 29. დაარღუედა C 32. აყუედრებდეს C.

* აქედან ვარსებდება C.

33. და იყო ვითარ მეექუსე უამი, დაბნელდა ყოველსა ქუეყანასა ზედა მეცხრე უამადმდე.
- (34) ფს. 21,2. მ. 27,46. 34. და მეცხრესა უამსა კმა-ყო კმითა დიდითა იესუ და თქუა: ელოი, ელოი, ელმანა საბაქთანი? რომელ არს გამოთარგმანებით: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაჲსა დამაგდებ მე?
35. და რომელთამე თანამდგომარეთა ვითარ ესმა, იტყოდეს: აჰა, ელიას უკმობს.
- (36) ფს. 68,22. მ. 27,48. 36. და მირბიოდეს და აღავსეს ღრუბელი ძმრითა და დაადგეს ლერწამი და ასუმიდეს მას და თქუეს: აცადეთ, ვიხილოთ, მო-ძი-ვიდეს ელია გარდამოვსნად მაგისა.
37. ხოლო იესუ აღუტევა კმაჲ და აღმობერა სული.
38. და კრეტსაბმელი ტაძრისაჲ მის განიპო ორგან: ზეთგან ქუენამდე.
39. იხილა რაჲ ასისტავმან მან, რომელი-იგი თანაუდგა მას, რამეთუ ლაღატ-ყო და აღმოუტევა სული, თქუა: ჭეშმარიტად კაცი ესე ძე ღმრთისაჲ იყო.
40. და იყვნეს მუნ დედანიცა, რომელ შორით ხედვიდეს და რომელ იყო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობის მცირისაჲ და იოსეს დედაჲ და სალომე,
41. რომელნი-იგი გალილუასლა იყო, მაშინვე შეუდგეს მას, და სხუებიცა მრავალნი დედანი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალჴმდ.
- (42) მ. 27,57. 42. და ვითარ დამწუხრდა, — რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს შაფათისა წინა, —
- (43) ლ. 23,50. მ. 19,38. 43. მოვიდა იოსეჲ არიმათიელი, პატიოსანი მზრახვალი, რამეთუ იგიცა მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა შესლვად პილატესა და გამოითხოვნა კორცნი იგი იესუსნი.
44. ხოლო პილატეს უკურდა, ვითარმედ ვითარ ადრე მოკუდა, და მოუწოდა მტარვალსა მას და ჰკითხა, თუ: ადრე მოკუდა?
45. და ვითარ აგრძნა მტარვალისა მისგან, მიჰმადლნა კორცნი იგი იოსეჲს.

36. *სლოაჲ. გარდამქსნადჲ.*

46. და იყიდა მუნქუესვე არდაგი და დადვა იგი სამარესა შინა, რომელ იყო გამოკუეთილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა მას სამარისასა.

47. ხოლო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობისი (47) მ. 27, 61. და იოსჴსი ხედვიდეს, სადა დასდებდეს.

16

1. და ვითარ წარკდა შაფათი იგი, მარიამ მაგდანელმან და მარიამ იაკობისმა და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რაფთამცა მოვ(ი)დეს და სცხეს მა(ს).

(1) მ. 28, 1.
ლ. 24, 1. ი. 20, 1.

2. და მსთუად გა(ნ)თიად ერთშაფათსა მას მოვიდეს სამარესა მას ზედა აღმოსლვასა ოდენ მზისასა

3. და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე გარდაგვგორვოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან სამარისაჲსა?

4. და მიხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი, რამეთუ დიდ იყო ფრიად.

5. და შევიდეს სამარესა მას, იხილეს ჭაბუკი ერთი, მჯდომარე მარჯუენით კერძო, რომელ მოსილ იყო სამოსლითა სპეტაკითა, და დაუკვრდა. (5) ი. 20, 12.

6. და მან პრქუა მათ: ნუ გეშინინ! იესუს ეძიებთ ნაზორეველსა, რომელ ჯუარცუმულ არს; აღდგა, არა აქა არს. იხილეთ, ეგერა, ადგილი მისი, სადა დადვეს იგი.

7. და მივედით და არქუთ მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: წარგიძლეს თქუენ გალილეად, და მუნ იხილოთ იგი, ვითარცა გრქუა თქუენ. (7) მ. 26, 32. მრ. 14, 28.

8. და ვითარ ესმა ესე, გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ სამარით. რამეთუ შეშინებულ იყვნეს და დაკვრებულ და არავის უთხრეს, რამეთუ ეშინოდა.

[[9-20.]]

სახარებად ლუკასი

1

1. რამეთუ მრავალთა ჯელ-ყვეს ზეგარდამო განწესებად თხრობისაჲ მის საქმეთა მათთჳს დამტკიცებულთა ჩუენდა მომართ,

(2) 1 ი. 1,1.
ებრ.2,3.

2. ვითარცა მოგუასწავეს ჩუენ, რომელნი დასაბამით თუალითმზილველ და მსახურ ექმნენს სიტყუასა მას,

(5) 1 მტ. 24,10.
ნემ. 12,17.

3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი დასაბამითგან შედგომილ ვიყავ ყოველითა ჭეშმარიტებითა, განწესებულად მიწერად შენდა, მკნეო ღმრთისმოყუარეო.

4. რადთა გულისხმა-ჰყო სიტყუათაჲ მათ, რომელთა დაემოწაფე, ჭეშმარიტებით.

5. ხ-იყო დღეთა მათ პეროდე მეუფისა მის ჰურიასტანისათა მღდელი ვინმე, სახელით ზაქარია, დასისა მისგან აბიასი, და ცოლი მისი ასულთაგანი აპრონისთაჲ, და სახელი მისი ელისაბედ.

6. და იყვნეს ორნივე მართალ წინაშე უფლისა, ვიდოდეს ყოველთა შინა მცნებათა და სამართალთა ღმრთისათა, უბიწო იყვნეს,

7. და არა ესუა მათ შვილ, რამეთუ ელისაბეთ ბერწ იყო, და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა თჳსთა.

8. და იყო მღდელობასა მას მისსა, განწესებულსა მას დღეთა მსახურებასა მისსა წინაშე ღმრთისა.

(9) გამ.30,7.
ლევ.16,17.
ებრ.9,6.

9. მსგავსად მღდელობისა ხუედა მას კუმევად საკუმეველისა, შევიდა ტაძარსა მას უფლისასა.

10. და ყოველი იგი სიმრავლე თაყუანის-სცემდა გარეშე ჟამსა მას საკუმეველთასა.

11. გამოეცხადა მას ანგელოზნი უფლისაჲ, მდგომარე მარჯულ საკურთხეველისა მის საკუმეველთაჲსა.

12. და შეძრწუნდა ზაქარია, ვითარცა იხილ{ა}, და შიში დაეცა მის ზედა.

13. პრქუა მას ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, ზაქარია, რამეთუ სასმენელ იქმნეს ლოცვანი შენნი და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშვეს შენ ძმ და უწოდი მას სახელი იოვანე.

2. მიჯვანწავეს C. 4. კელისკისა C. 5. სახელი C. 6. ღ-ახათა C.

14. და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულება, და მრავალთა უხაროდის შობაჲ იგი მისი.
15. რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და ღუნოჲ და სათრობელი და იყი არა სუას და სულითა წმიდითა სავსე იყოს მიერვე მუცლით დედისა თვისისაჲთ.
16. და მრავალნი ძეთა მათგან ისრაჴლისათა მოაქცინეს უფლისა მიმართ ღმრთისა მათისა.
17. და იგი თავადი წარმოუძღუეს წინაშე მისა სულითა და ძალითა ელიაჲსითა მოქცევაჲდ გულთა მამათა შკლთა მიმართ, ურჩნი გონიერებასა მართალთასა განმზადებად უფლისა ერი განგებული.
18. და პრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რაჲთა უწყოდი ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა?
19. მიუგო ანგელოზმან და პრქუა: მე ვარ ანგელოზი გაბრიელ, რომელი ვდგა წინაშე ღმრთისა, და მოვივლინე სიტყუად შენდა და ხარებად შენდა ესე.
20. და, აჰა, იყო დადუმებულ და ვერ იტყოდი მიდღემდის, რომელსა ესე იყოს, ამისთვის, რამეთუ არა გრწმენა სიტყუათა ჩემთაჲ, რომელნი აღესრულნენ ჟამსა თვისსა.
21. და ერი იგი ელოდა ზაქარიას, დაკვრვებულ იყუნეს დაყოვნებასა მას მისსა ტაძარსა მას შინა.
22. და ვითარცა გამოვიდა, ვერ ეტყოდა მათ, და გულისხმა-ყვეს, ვითარმედ ხილვაჲ იხილა ტაძარსა მას. და იგი მოასწავებდა მათ, და იგი დგა დადუმებული.
23. და იყო, ვითარცა აღივსნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი, წარვიდა სახიდ თვისა.
24. და შემდგომად დღეთა მათმიუდგა ელისაბეთ, ცოლი მისი, და იმაღვიდა თავსა თვისსა ხუთ თთუე და თქუა,
25. რამეთუ: ესე ქმნა უფალმან ჩემდა მომართ დღეთა მათ, რომელთა მომხედა მე აჯოცად საყუედრელი ჩემი კაცთა შორის.
26. და თთუესა მას მეექუსესა მიივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქსა გალი-ლეველთასა, რომელსა სახელი ერქუა ნაზარეთ,

(14)ლ.1,58.
ი.5,35.

(17)ეს.40,3
მალ.3,24
მრ.1,3; 9,12.
ი. 1,23.

16. იმ-ლისათაჲ 17. წარმოუძღუეს. მამათაჲ 22. კელისკმა-ც.
21. დაკვრვებულ: იქუხეს. 24. თთუე 26. თთუესა

- (27) მ.1,18. 27. ქალწულისა, განთხოვილისა კაცისა, რომელსა სახელი ერქუა იოსეფ, სახლისაგან დავითისა, და სახელი ქალწულისაჲ მის მა(რი)ამ.
28. და მოვიდ(ა) მისა და პრქუა: გიხაროდენ, მ(ხი)არულო! უფალი შენ თანა!
29. და იგი (სი)ტყუასა მას აღიძრა და განიზრახვიდა, ვითარმედ: ვითარმე რაჲ არს მოკითხვაჲ ესე?
30. და პრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინიან, მარიამ, რამეთუ კჳოე მაღლი წინაშე ღმრთისა.
- (31) ეს.7,14. მათ 1,21. 31. და, აჰა, მიუდგე და შევე ძე და უწოდი სახელი მისი იესუ.
- (32) 2 მფ.7,12. ფს. 131,11. ეს. 9,16. 32. ესე იყოს დიდ და ძე მაღლის ერქუას, და მოსცეს მას უფალმან ღმერთმან მაღლი — საყდარი დავითის, მამისა თვისისაჲ,
- (33) 1 მფ. 22,10. ფს. 44,7; 88,37. ეს. 9,6. იერ. 23,5. დან. 2,44; 7,14. მიქ. 4,7. 33. და მეუფებდეს ზედა სახლსა მას იაკობისსა უკუნისამდე, და მეუფებისა მისისაჲ არა იყოს დასასრულ.
34. და პრქუა მარიამ ანგელოზსა მას: ვითარ იყოს ესე, რამეთუ მამაკაცი არა ვიცი?
- (35) და 6. 9,24. 35. მიუგო ანგელოზმან მან და პრქუა მას: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მაღლისაჲ გფარვიდეს შენ, რამეთუ რომელ-იგი შობად არს, წმიდა არს და ძე ღმრთის იწოდის.
36. და, აჰა, ელისაბეთცა მიდგომილ არს, ნათესავი შენი, სიბერესა თვისსა, და ესე მეექუსე თთუე არს მისი, რომელსა-იგი ბერწ ერქუა.
37. რამეთუ არა არს უძლურება ღმრთისა მიერ ყოველსა სიტყუასა.
38. და თქუა მარიამ: აჰა, ესერა, (ვდგა) მკვევალი უფლისაჲ; იყავნ ჩემდა მსგავსად სიტყუსა შენისა! — და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი.
39. აღდგა მარიამ ღღეთა მათ და წარვიდა მწრაფლ მთითკერძოსა ქალაქსა მას ჯუდაჲსსა.
40. და შევიდა სახლსა მას ზაქარიასსა და მოიკითხა ელისაბეთი.

27. მისსა C. 28. თქუა C. 29. დაარღუედა C. 30. გეშინის C. 32. აუკუდრებდეს C. : ღმრთისა + მთერ C. 32. თუხთხთა C. 33. იაკობისა C. 35. ძრ C. 36. თთუე C.

41. და იყო, ვითარცა ესმა მოკითხვად იგი მარიაჲსი ელისაბეთს, აღიმღერნა ყრმამან მუცელსა მისსა. და აღივსო ელისაბეთ სულითა წმიდითა.
42. და კმითა მალლითა ღაღატ-ყო და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისაჲ!
43. და ვინაჲ არს ესე ჩემდა, ვითარცა მოვიდა დედაჲ უფლისა ჩემისაჲ ჩემდა?
44. რამეთუ, აჰა, ესერა, ვითარცა იყო კმაჲ მოკითხვისა შენისაჲ ყურთა მომართ ჩემთა, აღიმღერნა სიხარულით ყრმამან ამან მუცელსა ჩემსა.
45. და ნეტარ იყოს, რომელსა პრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულება თქუმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ.
46. და თქუა მარიამ: აღიდებს სული ჩემი უფალსა, (46) ეს.61,10.
აბკ. 3,18.
47. და იხარებდინ სული ჩემი ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა,
48. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მკველისა თვისისა: რამეთუ, აჰა, ესერა, ამიერიტგან მნატრიდენ მე ყოველი თესლები ქუეყანისანი;
49. რამეთუ ყო ჩემდამო დიდ-დიდნი ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი.
50. და წყალობაჲ მისი თესლითი თესლად მოშიშთა მისთათს; (50) ფს.102,17.
51. ყო ძლიერებაჲ მკლავითა თვისითა: განაბნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა; (51) ფს.32,10;
76,15. ეს. 52,10.
52. გარდამოსთხინა ძლიერნი საყდართაგან და აღამაღლნა მდაბალნი; (52) |ობ. 5,11.
ეს. 66,2.
53. მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განავლინნა ცუდნი; (53) | მფ. 2,5.
ფს. 33,11. 8,5,6.
54. შეიწყნარა ისრაჳლი, მონაჲ თვისი, მოკსენებად წყალობისა თვისისა. (54) ფს. 97,3.
ეს. 41,8.
55. ვითარცა ეტყოდა მამასა ჩუენსა აბრაჰამს და ნათესავსა მისსა უკუნისამდე. (55) დ. 17,19;
22,18. ფს.
131,11.
56. და დადგა მარიამი მის თანა სამ თთუე ოდენ და მიიქცა სახიდ თვისა.

57. და ელისაბეთისნი აღივსნეს ღღენი შობისანი, და შვა ძე.

58. და ესმა გარემო ნათესავ-ტომთა მისთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობაჲ მის თანა, და უხაროდა მის თანა.

59. და იყო, მერვესა მას ღღესა მოვიდეს წინა-დაცუეთად ყრმისა მის და ვითარმცა უწოდეს მას სახელი სახელად მამისა მისისა ზაქარიაჲსა.

60. მიუგო ღედამა(ნ) მისმან და თქუა: არა, არამედ (ერ)ქუნ მაგას იო(ჰა)ნე.

61. და პრქუეს მას, რამეთუ: არავინ არს ნათესავსა შენ(სა), რომელსამცა ერქუა სახელი იოჰანე.

62. თუალს-უყოფდეს მამასა მისსა, რაჲმე უნდეს სახელი რქუმად მას.

63. და მოითხოვა ფიცარი და დაწერა და თქუა: იოვანე არს სახელი მაგისი. და უკვრდა ყოველთა.

64. და აღელღ მეყსეულად პირი მისი და ენაჲ მისი, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა.

65. და დაეცა შიში დიდი ყოველთა მათ ზედა, რომელთა ესმა ესე და რომელნი დამკვდრებულ იყვნეს გარემო მათსა, და ყოველსა მას მთითკერძოსა პურიასტანისასა მიეთხრა ყოველი ესე სიტყუაჲ.

66. და დაიდვეს ყოველთა, რომელთა ესმოდა, გულთა მათთა და იტყოდეს: რაჲმე რაჲ იყოს ყრმაჲ ესე? — და ჰელი უფლისაჲ იყო მის თანა.

67. და ზაქარია, მამაჲ მისი, აღივსო სულითა წმიდითა, წინაწარმეტყუელებდა და თქუა:

(68) მ. 1,21.

68. კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჴლისაჲ, რამეთუ მოხედნა და ყო ჴსნაჲ ერისა თვისისაჲ.

(69) ფს. 131,17.
ეზკ. 29,21.

69. და აღადგინა რქაჲ ცხოვრებისაჲ შორის სახლსა დავითის, მონისა თვისისა:

(70) ს. 71,4.
იერ. 23,6; 30,8-10.

70. ვითარცა იტყოდა პირითა წმიდათაჲთა საუკუნოდ წინაწარმეტყუელთა მისთაჲთა,

71. ჴსნად მტერთა ჩუენთაგან და ჴელთაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთაჲსა;

72. ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა, მოკსენებად აღთქუმაჲ თჳსი წმიდაჲ: (72)დ22,16,26,3. ლევ. 26,42. იერ. 31,32.
73. ფიცი, რომელ ეფუცა აბრაამსა, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა (73)ებრ. 6,13.
74. უშიშად ჳელთაგან მტერთაჲსა ჳსნილთ(ა), (74)რომ. 8,15. ებრ.2,15.
75. მსახურებად მისა სიწმიდით და სიმართლით წინაშე მისა ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩუენისათა. (75)1 პეტ. 1,15. ეფ. 4,24.
76. (დ)ა შენ, ყრმაო, წინაჲსწარმეტყუელ მაღლის იწოდო, რამეთუ წარჰძღუე წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა, (76)ლ.1,17.
77. მიცემად მეცნიერებაჲ ცხორებისაჲ ერსა თჳსსა, მიტევებად ცოდვათა მათთა,
78. მოწლებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისაჲთა, რომლითა მოგუძინნეს ჩუენ მზემან აღმომავალმან მაღლით (78)იერ. 23,5. ზაქ. 3,18.
79. გამოცხადებად მათდა, რომელნი ბნელსა და აჩრდილსა სიკუდილისასა სხენან წარმართებად ჩუენდა გზასა მშჳდობისასა.
80. და ყრმაჲ იგი ორძნდებოდა და განძლიერდებოდა სულითა და იყოფოდა უდაბნოთა ვიდრე დღედ გამოცხადებად მისა ისრაჴლსა.

2

1. და იყო, დღეთა მათ გამოჳდა ბრძანებაჲ აგუსტოს კეისრისაგან — აღწერაჲ ყოვლისა სოფლისაჲ.
2. ესე პირველი სოფლის-აღწერაჲ იყო მსაჯულებასა მას ასურთა ზედა კვრინწყსა.
3. და მივიდოდეს ყოველნი და აღიწერებოდეს თითოეულად თჳსსა ქალაქსა.
4. აღვიდა იოსეფცა გალილეაჲთ, ქალაქით ნაზარეთით, პურიასტანდ, ქალაქად დავითისა, რომელსა პრქჳან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ნათესავისა დავითისი, (4)1 მფ. 16,1,4. ი. 7,42.
5. შთაწერად მარიამითურთ, რომელი-იგი თხოილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ.

76. ერმა 27. მისსაჴ 28. თჳჳა C 29. დაარღუედა C 32. აყუეიდრებდეს C . 79. მშჳდობისასა C 4. პრქჳან C

6. და იყო, ვიდრე იგინი იყვნეს მუნ, აღივსნეს დღენი შობისა მისისანი.
- (7) მ.2, 1. 7. და შვა ძე იგი თუსი პირმშოჲ და შეგრაგნა იგი და შთააწვინა ბაგასა, რამეთუ არა იყო მათდა აღგილ სავანესა მას.
8. და მწყემსნი იყვნეს მასვე აღგილსა გარე მყოფნი, რომელნი ჯუმილვიდეს ჯუმილვათა ღამისათა სამწყსოთა თუსთასა.
9. და ანგელოზი უფლისაჲ დაადგა მათ, და დიდებაჲ უფლისაჲ გამობრწყინდა მათ ზედა, და შეეშინა შიშითა დიდითა.
10. და პრქუა მათ ანგელოზმან: ნუ გეშინინ, რამეთუ, აჰა, გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელ იყოს ყოვლისა მის ერისა:
11. რამეთუ იშვა თქუენდა დღეს მკსნელი, რომელ არს ცხებულ უფალი, ქალაქსა მას დავითისსა.
12. და ესე სასწაულ თქუენდა: ჰპოოთ ყრმაჲ იგი წარგრაგნილი სახუვეველთა, მწოლარე ბაგასა.
13. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ზეცისათაჲ, რომელნი აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს:
- (14) ებ.2,4; 44,23; 49,13; 57,19.
მიქ. 4,3. ლ. 19,38. რომ. 5,1.
14. დიდებაჲ მალალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშუდობაჲ, კაცთა შორის სათნოებაჲ!
15. და იყო, ვითარ აღიმაღლეს მათგან ანგელოზთა მათ ცად, იტყოდეს ურთიერთას მწყემსნი იგი: მო და მივიდეთ ბეთლემდმდე და ვიხილოთ, რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რომელ იყო, რომელ უფალმან გუაცნობა ჩუენ.
16. და მოვიდეს მწრაფლ და პოეს მარიამი და იოსები და ყრმაჲ იგი, შთაწვინილი ბაგასა.
17. და მოეგონა სიტყუსაჲ მის, რომელ ითქუა მათდა მიმართ ყრმისა მისთს.
18. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, დაუკვრდებოდა სიტყუათაჲ მათ, რომელთა ეტყოდეს მათ მწყემსნი იგი.

*6. იგინი) იგი C B. ჯუმილდეს C 11. მშვიდიობაჲ C
18. დაუკვრდებოდა C.*

19. ხოლო მარიამი ყოველსა მას სიტყუასა დაჰმარხვიდა და გულისხმა-ჰყოფდა გულსა თვისსა.
20. და მიიქცეს მწყემსნი იგი, აღიდებდეს და აქებდეს ღმერთსა ყოველსა ამას ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა მიეთხრა მათ.
21. და ვითარცა აღივსნეს დღენი რვანი წინა-დაცუეთისა მისისანი, პრქუეს მას სახელი იესუ, რომელ წოდებულ იყო ანგელოზისა მისგან, ვიდრე არღა შთავერდომილ იყო იგი მუცელსა. (21)დ. 17,12. ლევ. 12,3. მ. 1,21.
22. და ვითარცა აღესრულნეს დღენი განწმედისა მათისანი მსგავსად შჯულისა მის მოსესისა, აღიყვანეს იგი იერუსალმმდ წარდგინებად წინაშე უფლისა,
23. ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა, ვითარმედ: ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშობ, წმიდა უფლისა ეწოდოს, (23)გამ.13,2,12; 22,28;34,19. რცხ. 8,16.
24. და მიცემად მსხუერპლისა, მსგავსად ვითარცა ბრძანებულ არს შჯულსა უფლისასა, სწორნი გურიტთანი, ანუ მართუენი ტრედთანი. (24) ლევ.12,6,8.
25. და, აჰა, იყო კაც ერთ იერუსალმმს, რომლისა სახელი სჰემონ, და იყო კაცი იგი მართალ და მოშიშ და მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაჴლისათჳს; და სული წმიდაჲ იყო მის თანა. (25) ლ.24,21.
26. და იყო მისა ბრძანებულ სულისა მიერ წმიდისა არახილვად სიკუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ.
27. და მოვიდა სულითა ტაძარსა მას, და ვითარცა მოიყვანეს მშობელთა მათ ყრმაჲ იგი იესუ ყოფად მათა მსგავსად ჩუეულებისა შჯულისაჲსა მის ზედა.
28. და მან მიიქუა იგი მჭართა თჳსთა, აკურთხევდა ღმერთსა და თქუა:
29. აწ განუტეო მონაჲ შენი, უფალო, მსგავსად სიტყჳსა შენისა მშუდლობით:
30. რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი, (30)დ.49,18. 1 მფ. 2,1. ფს. 97,3. ეხ. 52,10.

19. გულისხმა-ჰყოფდა. 21. მართუენი. 25. იმ-ღმს. რ-ღსა. იმღლისაჲსა. მის თანა-ქისთაჲსა

31. რომელ განუმზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა:
- (32) ეს. 9, 1; 42, 6; 60, 3. სქ 13, 47.
32. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა და დიდებაჲ ერისა შენისა ისრაჴლისაჲ.
33. და იყვნეს მამაჲ მისი და დედაჲ მისი დაკრეველულ ზედა სიტყუათა მათ, რომელ ითქუნეს მის ზედა.
- (34) ეს. 8, 14. 2. 21, 44. 1 პეტ. 2, 7. რომ. 9, 32.
34. და აკურთხნა იგინი სუმეონ და პრქუა მარიამს: აჰა, ესე დგას დაცემად და აღმართებად მრავალთა შორის ისრაჴლსა და სასწაულად ჯდომისა.
- (35) იო 19, 25.
35. და შენსა თავსა განვლოს მახვლმან, რაჲთა გამოცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი.
36. და მუნ იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანუელისი, ნათესავისაგან ასჭრისი. ესე გარდასრულ იყო დღეთა მრავალთა. ცხორებულ იყო ქმრისა თვისისა თანა შუდ წელ სიქალწულითგან თვისით.
- (37) 1 ტმ. 5, 5.
37. და ესე იყო ქურივ ვითარ თთხმეოცდაოთხ წელ, რომელი არა განეშორებოდა ტაძარსა მას, მარხვითა და ლოცვითა კმსახურებდა დღე და ღამე.
38. და ესეცა მასვე ჟამსა აღდგა და კმადლობდა უფალსა და ეტყოდა მისთვის ყოველთა, რომელნი მოელოდეს ჯსნასა მას ისრაჴლისასა.
39. და ვითარცა აღასრულეს ყოველივე მსგავსად შჯულისა მის უფლისაჲსა, მიიქცეს მუნვე გალილეად, ქალაქსა მათსა, ნაზარეთდ.
- (40) ლ. 2, 52.
40. და ყრმაჲ იგი იესუ აღორძნდებოდა და განძლიერდებოდა და აღივსებოდა სიბრძნითა, და მადლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა.
- (41) გამ. 23, 17; 34, 23.
41. და აღვიდიან მშობელნი მისნი წლად-წლად იერუსალჴმდ დღესასწაულსა მას ზატიკისასა.
42. და ვითარ დაეყვნეს მისნი წელნი ათორმეტნი, აღსლვასა მათსა იერუსალჴმდ მსგავსად ჩუეულებისა დღესასწაულისა მის,
43. და ვითარცა აღასრულნეს დღენი იგი, და მოიქცეს და აღვიდა იესუ ყრმაჲ იერუსალჴმდ, და არა უწყოდეს მშობელთა მისთა,

32. წარმართთაჲ C. შენისაჲ C. 33. დაკრეველულ C. 35. მახვლმან C. 37. დიდებ და ღამეჲ C. 11. იტ- ლმდ C. 42. იტ- ლმდ C. 43. იტ- ლმდ C

44. ჰკონებდეს, ვითარმედ თანამოგზაურთა თანა იყო. და ვითარ მივლეს დღის ერთის გზაჲ, ეძიებდეს მას ნათესავთა თანა და მეცნიერთა თანა;
45. და ვითარ არა პოეს, მიიქცეს მუნვე იერუსალჴმდ მოძიებად მისა.
46. და იყო, შემდგომად სამისა დღისა პოეს იგი ტაძარსა მას, რამეთუ ჯდა მოძლუართა მათ თანა, ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ.
47. და დაუკვრდებოდა ყოველთა, რომელთა ესმოდა სიბრძნე მისი და სიტყუს-გებაჲ მისი. (47) მ.7,28. მრ.1,22. ლ.4,32. ი.7,15.
48. და ხედვედ მას და დასულებიან. და ჰრქუა მას დედამან მისმან: შვილო, რაჲ საქმჴ მაქმენ ჩუენ? აჰა, ესერა, მამაჲ შენი და მე, გუელმოდა და გეძიებდით შენ.
49. და ჰრქუა მათ: რაჲსა მეძიებდით მე? არა უწყოდეთ, რამეთუ სახლსა მამისა ჩემისასა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ? (49) მალ.3,1.
50. და მათ არა ცნეს სიტყუაჲ მისი, რომელსა ეტყოდა მათ. (50) ლ.9,45.
51. და გარდავიდა მათ თანა და მივიდა ნაზარეთა და იყო დამორჩილებულ მათა. და დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თვისსა.
52. და იესუ აღორძნდებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა. (52) ლ.2,40.

3

1. მებათხუთმეტესა წელსა უფლებასა ტიბერია კეისრისასა, მსაჯულებასა პონტიელისა პილატჴსსა პურიასტანსა ზედა და მიოთხისა მის კელმწიფებისა გალილეელთა ზედა პეროდესსა და ფილიპეს, ძმისა მისისა, მიოთხისა მის კელმწიფისა ტურელთა და ტრაქონელთა სოფელსა მას და მეოთხისა მის კელმწიფისა ლუსანიაჲსა აბიინელთა ზედა,
2. და მდღელთმოძლურებასა მას ანაჲსსა და კაჲაჲჲსა იყო სიტყუაჲ უფლისაჲ იოვანეს ზედა, ძესა ზაქარიაჲსსა, უდაბნოსა მას.

45. იმ-ლმდC 17. დაუკვრდებოდაC: ხიკყუს-გებასა მისისაC

- (3) მ.3,1.
მრ.1,4. 3. და მოვიდა გარემო ყოველსა მას სოფლებსა იორდანისასა, ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატყევებელად,
- (4) მ.3,3.
მრ.1,3. ი.1,23. 4. ვითარცა წერილ არს წიგნსა სიტყუათა ესაჲა წინაწარმეტყუელისათა: კმაჲ მლაღადებელისაჲ უდაბნოსა ზედა: განჰმზადეთ გზაჲ უფლისაჲ და წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი.
- (6) ეს.40,3-5. 5. ყოველი კვენები აღმოვისოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ, და იყვენ ძნელოვანნი ადვილად და ღვრლოვანნი გზად წრფელად.
- (7) მ.3,7. 6. და იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარებაჲ ღმრთისაჲ.
- (8) მ.3,9; 8,11.
ი.8,39. 7. ხ- ეტყოდა ერსა მას, გამომავალსა ნათლის-ლებად მისგან: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გასწავა თქუენ სივლტოლაჲ რისხვისა მისგან მომავალისა?
- (9) მ.3,10; 7,19.
ი.15,6. 8. ყავთ ამიერიტგან ნაყოფი, ღირსი სინანულისაჲ, და ნულარა იტყვთ, ვითარმედ: არს მამად ჩუენდა აბრაამი. ამას გეტყვ თქუენ, რამეთუ შემძლებელ არს ღმერთი აღდგინებად ქვათა ამათგან ნაშობად აბრაამისა.
- (11) იაკ. 2,15.
ი.3,17. 2
კორ. 8,14. 9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს; ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.
- (12) მათ,21,32. 10. და ჰკითხვიდა მას ერი იგი და ეტყოდეს: და რაჲმე ვყოთ?
11. მიუგო და პრქუა მათ: რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ ერთი მას, რომელსა არა აქუნდეს; და რომელსა აქუნდეს საზრდელი, ეგრევე მსგავსად ყავნ.
12. მოვიდეს მისა მეზუერენიცა ნათლის-ლებად და პრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რაჲ ვყოთ?
13. ხოლო მან პრქუა: ნურას უფროჲს განწესებულისა თქუენისა იქმთ.
14. ჰკითხვიდეს მას ერად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და რაჲმე ვყოთ? - და მან პრქუა მათ: ნუ ვის აჭირვებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყავნ როჭიკი თქუენი.

15. და ვითარცა მოელოდა ერი იგი და განი-
ზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოვანესთვის,
ნუუკუე იგი არს ქრისტე,
16. მიუგო ყოველთა და ეტყოდა: მე ნათელს-გცემ
თქუენ წყლითა; მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა
არა ვარ ღირს კამლთა მისთა ტურთვად; მან ნათელს-
გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა, (16) მ.3,11.
მრ.1,7. ი.1,15.
სქ 1,5.
17. რომლისა ნინაბი კელთა შინა მისთა, განწმიდოს
კალოდ მისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თუსსა,
ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა უშრეტითა. (17) მ.3,12.
18. და ფრიად სხუასაცა მრავალსა კლოცვიდა და
ახარებდა ერსა მას.
19. ხოლო პეროდე ოთხთა საბრძანებელთა
მთავარსა, რამეთუ ამხილებდა მას პეროდიასთვის,
ცოლისა ძმისა მისისა, და ყოვლისა მისთვის, რომელი
ქმნა ბოროტი პეროდე, (19) მ. 14,3.
მრ. 6,17.
20. შესძინა ესეცა მას ყოველსა თანა და შეაყენა
იოვანე საპყრობილესა.
21. და იყო ნათლის-ღებასა მას ყოვლისა ერისასა, და
იესუცა ნათელ-ილო და ილოცვიდა, განეხუნეს ცანი, (21) მ.3,16.
მრ.1,10. ი.1,32.
22. და გარდამოკდა სული წმიდაჲ კორციელითა
ხილვითა, ვითარცა ტრედი, მის ზედა, და კმაჲ იყო
ზეცით და თქუა: შენ ხარ ძმ ჩემი საყუარელი, შენ
სათნო-გიყავ.
23. და თავადსა იესუს ეწყო ოდენ მეოცდაათესა
წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა,
იაკობისა, ელისა, (23) მ.13,55.
მრ.6,3. ლ.4,22.
ი.6,42.
24. მატთანისა, ლევისა, მელქისა, იანშსა, იოსეფისა,
25. მატათისა, ამოსისა, ნაუმისა, ესლისა, ნაგშსა,
26. მათისა, მატათისა, სემეისა, იოსეფისა, იუდაჲსა,
27. ოანნაჲსა, რშსა(ჲსა), ზორობაბელისა,
(ს)ალათიელისა, (ნე)რისა,
28. მელქისა, ადდისა, კო(სა)მისა. ელმო(და)დისა,
წ(რისა),
29. იესუჲსა, ე(ლი)აზარისა, იო(რა)მისა, მატათისა,
ლევისა,

30. სუმეონისა, იუდაასა, იოსეფისა, იონანისა, ელიაკიმისა,
 31. მელეაასა, მენანისა, მატთანისა, ნათანისა, დავითისა,
 32. იესესა, იობედისა, ბოოსისა, სალმონისა, ნაასონისა,
 33. ამინადაბისა, არამისა, აღმეაასა, არნეაასა, ესრომისა, ფარეზისა, იუდაასა,
 (34)დ.11,24-26. 34. იაკობისა, ისაკისა, აბრაამისა, თარაასა, ნაქორისა,
 (35)დ.11,20-22. 35. სირუქისა, რაგავისა, ფალექისა, ებერისა, სალაასა,
 (36)დ.5,28-29.; 36. კაინანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოფსა, 6,10; 11,10. ლამექისა,
 (37)დ.5,12. 37. მათუსალაასა, ენუქისა, იარედისა, მალილელისა, კაინანისა,
 (38)დ.5,3. 38. ენოსისა, სჭთისა, ადამისა და ღმრთისა.

4

- (1)მ.4,1.
 მრ.1,12. 1. ხოლო იესუ, სავსე სულითა წმიდითა, მოიქცა იორდანით, და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.
 2. და ორმოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარაჲ ჭამა მათ დღეთა შინა. და აღ-რად-ესრულნეს დღენი იგი, შეემშია.
 3. პრქუა მას ეშმაკმან მან: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქვათა ამათ, რადთა იქმნენ პურ.
 (4)2მჯ.8,3.
 მ.4,4. 4. მიუგო იესუ და პრქუა მას: წერილ არს: არა ხოლო თუ პურითა ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვთა ღმრთისაჲთა.
 5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი(ი) სუფევანი სოფლისანი გამოხატვითა უამისაჲთა.
 6. და პრქუა მას: შენ მიქცე ამის ყოვლისა ჯელმწიფებაჲ და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომელსა მინდეს, მივსცე ეგე:

7. უკუეთუ შენ თაყუანის-მცე ჩემ წინაშე, (ი)ყოს შენდა ყოველი.
8. (მი)უგო იესუ და პრქუა მას: წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა კმსახურებდე. (8) 2შჯ. 10,20. მ.4,10.
9. (დ)ა მოიყვანა იგი იერუსალჴმდ, დაადგინა იგი გოდოლსა ზედა მის ტაძრისასა და პრქუა მას: ძე თუ ხარ ღმრთისაჲ, გარდავარდი ამიერ!
10. რამეთუ წერილ არს: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთს დაცვად შენდა; (10) მ.4,6.
11. კელითა მათითა აღგიპყრან შენ, რაჲთა არასადა წარსცე ქვასა ფერკი შენი. (11) ფს. 90,11-12.
12. მიუგო და პრქუა მას იესუ, რამეთუ: თქუმულ არს: არა განსცადო უფალი ღმერთი შენი. (12) 2შჯ. 6,16. მ.4,7.
13. და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ჟამად რავდენადმდე.
14. და მოიქცა იესუ ძალითა სულისა წმიდისაჲთა გალილჲად: და ჰამბავი განჴდა მისთს ყოველსა მას გარემო სოფლებსა. (14) მ.4,12. მრ.1,14. ი.4,43.
15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.
16. და მოვიდა ნაზარეთა, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ იყო იგი, დღესა შაფათსა შესაკრებელსა მათსა, და მისცეს მას წიგნი ესაჲა წინაწარმეტყუელისაჲ. (16) მ.13,54. მრ.6,1.
17. აღდგა და განყო წიგნი იგი კითხვად და პოვა ადგილი, რომელსა წერილ იყო:
18. სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათსცა მცხო მე, მახარებელად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულითა, ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა ახილვად, განვლინებად მომსრალთა განტევებისა.
19. და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებულნი. (19) ეს.61,1-2.
20. და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჯდა: და თუალნი ყოვლისა კრებულისანი მას ხედვიდეს.

21. და იწყრო სიტყუად მათა, ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი მისი ყურთა მიმართ თქუენთა.

22. [დ]ა ყოველნი ეწამებოდეს მას და უკვრდა სიტყუათა მათ მისთა ზედა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, და ეტყოდეს: ანუ არა ესე არსა ძმ იოსებისი?

23. და თავადმან პრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი! რავდენი გუესმა საქმე კაფარნაომს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა!

(24) მ.13,57.
მრ.6,4. ი.4,44.

24. ხოლო თავადმან პრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თვისსა სოფელსა.

(25) 3 მფ. 17, 10.
იაკ. 5, 17.

25. ხოლო ჭეშმარიტსა გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალნი ქურიენი იყვნეს დღეთა ელიაძსთა ისრაჴლსა შორის, ოდეს-იგი დაეკშნეს ცანი სამ წელ და ექუს თუე, რაჴამს-იგი იყო სიყმილი ყოველსა ქუეყანასა.

26. და არა ვის ერთისა მათგანისა მიივილინა ელია, გარნა სარეფთად სიდონიაძსა, დედაკაცისა ქურივისა.

(27) 4 მფ. 5, 14.

27. და მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ისრაჴლსა შორის ელისეს ზე, წინაძსწარმეტყუელისა, და არავინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური.

28. და აღივსნეს ყოველნი გულის-წყრომითა, რომელნი-იგი იყვნეს შესაკრებელსა მას შინა, ესმოდა რაჴ ესე.

29. და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი ვიდრე წუერადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო, რაჴთა გარდააგდონ იგი.

30. ხოლო თავადმან განვლო შორის მათსა და წარვიდა.

(31) მ. 4, 13.
მრ. 1, 21. 32. მ. 7, 28.
მრ. 1, 22. ლ. 2, 47.

31. და შთავიდა კაფარნაომდ, ქალაქად გალილეაძსა, და ასწავებდა მათ შაბათსა შინა.

32. და უკვრდა მოძღურებაჴ იგი მისი, რამეთუ კელმწიფებით იყო სიტყუაჴ მისი.

33. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცთ, რომელსა თანა იყო სული არაწმიდაჲ, და ღალატ-ყო ჳმითა დიდითა: (33) მრ. 1, 23.
34. ეჰა, რაჲ არს ჩემი და შენი, იესუ ნაზორეველო? მოხუედ წარწყმედად ჩუენდა, გიცით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.
35. და შეპრისხნა მას იესუ და პრქუა: პირი დაიყავ და გავედ მაგისგან! — და დასცა იგი შორის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არარაჲ აენო მას.
36. და იყო განკურვებაჲ მათ ყოველთა ზედა და ზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაჲ არს სიტყუაჲ ესე, რამეთუ კელმწიფებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არაწმიდათა, და განვლენ?
37. და მიმოეფინებოდა ჰამბავი მისი ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა.
38. და აღდგა მის კრებულისაგან და შევ(ი)და სახლსა სიმონის(სსა; ხოლო) სიდედრი სიმონისი შეპყრობილ იყო სიტხისაგან დიდისა. და უთხრეს მას მისთვის. (38) მ. 8, 14. მრ. 1, 29.
39. და დაადგა მას ზედა და შეპრისხნა სიტხესა მას. და დაუტევა იგი მეყსეულად, და აღდგა და კმსახურებდა მას.
40. {დ}ა დასლვასა ოდენ მზისასა რავდენტა აქუნდა უძღურები იგი თითოსახეთაგან სენტა, მოიყვანნეს მისა, ხოლო თავადმან კაცად-კაცადსა მათსა დასდგა კელი და განკურნა იგინი. (40) მ. 8, 16. მრ. 1, 32.
41. და გამოვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, დაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძჳ ღმრთისა ცხოელისაჲ. --- და შეპრისხნა მათ და არა უტევებდა სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ ესე არს ქრისტჳ. (41) მრ. 1, 34; 3, 12.
42. და ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი ეძიებდა მას და მოვიდეს მისა და იყენებდეს მას, რაჲთამცა არა წარვიდა მათგან.
43. ხოლო თავადმან პრქუა მათ, ვითარმედ: სხუათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოვივლიანე. (43) მრ. 1, 38.

44. და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილეაჲსათა.

5

1. და იყო, ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისასა გენესარეთისასა.

2. და იხილნა ორნი ნავნი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა; ხოლო მესათხეველენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა მათი:ა.

3. და შევიდა ერთსა ნავსა, რომელ იყო სიმონისი, და უბრძანა შე-რე-დგინებაჲ მცირედ და დაჟდა და ასწავებდა ნავით გამოერსა მას.

4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, პრქუა სიმონს: შეავლინე ღრმად და სდევით ბადე თქუენი ნადირებად.

5. მიუგო სიმონ და პრქუა: მოძღუარ, ღამე ყოველ დავშუერით და არარაჲ მოვიდეთ; ხოლო აწ სიტყვთა შენითა გარდაუტეოთ ბადე.

6. და ესე ყვეს და შეაყენეს თევზისა სიმრავლე დიდი, და განსთქდებოდეს ბადენი მათნი.

7. და წამს-უყოფდეს, რომელნი იყვნეს ერთსა მას ნავსა, რაჲთა მოვიდენ და შეეწინენ მათ. და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნავნი, ვიდრემდე დაინთქმოდეს იგინი.

8. ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეურდა მუკლთა იესუჲსთა და პრქუა: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარი მე, უფალო.

9. რამეთუ განკვრევაჲმან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა, რომელნი შეაყენნა.

10. ეგრევე იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი, რომელნი იყვნეს ზიარნი სიმონისნი. და იესუ პრქუა სიმონს: ნუ გეშინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.

11. და გამოადგინეს ნავი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მისდევდეს მას.
12. და იყო, ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქ-თავანსა, და, აჰა, კაცი კეთროვნებითა სავსე, ვითარცა იხილა მან იესუ, დავარდა პირსა ზედა თუსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა. (12) მ.8,2. მრ.1,4.
13. და განყო ჳელი, შეახო და პრქუა: მნებავს, განწმიდნი! – და მეყსეულად განეშორა კეთროვნებად მისგან.
14. და თავადმან ამცნო მას, რაჲთა არავის უთხრას, არამედ: წარვედ და უჩუენე თავი შენი მლდელსა და შეწირე განწმედისა შენისათუს, ვითარცა ბრძანა მოსე საწამებელად. (14) ლევ.14,3-4. მ.8,4. მრ.1,44.
15. და უფრომად მიმოედებოდა სიძყუაჲ იგი მისი და შეჰკრებოდა ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებათა მათთაგან.
16. ხოლო თავადი განეშორის უდაბნოდ და ილოცავნ.
17. და იყო ერთსა შინა დღესა, და თავადი ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ ფარისეველნი, რჩულისმოძლუარნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ყოვლისაგან დაბნებისა გალილუას(ა) და ჰურიასტანისა და იერუსალმშმისა, და ძალი ღმრთისაჲ იყო განკურნებად მათდა.
18. და, აჰა, ესერა, კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრლუეულ, და უნდა შეღებაჲ მისი და დადგმაჲ წინაშე მისა (18) მ.9,2. მრ.2,3.
19. და ვერ პოვეს, ვინაჲმცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღკდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კაცი იგი და შთაუტევეს იგი ცხედრითურთ წინაშე იესუსა.
20. და იხილა იესუ სარწმუნოებაჲ მათი და პრქუა მას: კაცო, მიგეტევენედ შენ ცოდვანი შენნი!
21. და იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისეველთა: ვინ არს ესე, რომელი იტყვს გმობასა? ვის ჳელ-ეწიფების მიტევებად, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

22. გულისხმა-ყვნა იესუ გულისზრახვანი მათნი, მიუვო და პრქუა მათ: რასა-ეგე ზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

23. რაჲ უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ და ვიდოდე?

24. არამედ რაჲთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფებაჲ აქუნს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტყეებად ცოდვათა, -- და პრქუა განრლუეულსა მას: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!

25. და მესეულად აღდგა წინაშე მათსა და აღილო ცხედარი, რომელსა ზედა იდგა, და წარვიდა სახედ თჳსა და ადიდებდა ღმერთსა.

26. და განკვრებამან შეიპყრნა ყოველნი და ადიდებდეს ღმერთსა. და შიში დაეცა მათ ზედა და იტყოდეს, რამეთუ: ვიხილეთ უდიდესი დიდებაჲ დღეს.

(27) მ.9,9.
მრ.2,14.

27. და ამისა შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერე, სახელით ლევი, საზუერესა ზედა და პრქუა მას: მომდევი მე!

28. და მან დაუტევა ყოველი და მისდევდა მას.

29. და უმზადა ლევი პური დიდი იესუს სახლსა შინა მისსა. და იყო კრებული დიდი მეზუერეთაჲ და სხუათაჲ, რომელნი იყვნეს მათ თანა, ინაჯითმსხდომარეთაჲ.

30. და ტრტვნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რაჲსათჳს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჭამთ და სუამთ?

31. მიუვო იესუ და პრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიედ.

(32) მ.9,13.
მრ.2,17.

32. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რაჲთა შეინანონ.

33. ხილო მათ პრქუეს მას: რაჲსათჳს მოწაფენი იოვანესნი იმარხვენ ზედაჲსზედა და ვედრებასა ჰყოფენ და ფარისეველთანი, ხილო მოწაფენი შენნი ჭამენ და სუემენ?

34. ხოლო იესუ პრქუა მათ: ნუუკუე კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიდრემდე სიძე მათ თანა არს, რაჲთა ამარხვებდეს მათ?

35. მოვლენან დლენი, ოდეს ამალდდეს მათგან სიძე და მაშინ იმარხვიდენ მათ დლეთა შინა.

36. და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა ახლისაჲ დაადგის სამოსელსა ძუელსა, რაჲთა არა ახ(ა)ლი იგი განაპოს, ძუელსა მას ვერ შეჰგავს სადგმელი ახლისა სამოსლისაჲ.

(36) მ.9,16.
მ.2,21.

37. და არავინ შთაასხის ღვინოჲ ახალი თხიერთა ძუელთა, რაჲთა არა განსთქდენ თხიერნი იგი, და ღვინოჲ იგი დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ.

38. არამედ ღვინოჲ ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნივე დაიმარხნენ.

39. და არავინ სუამნ ძუელსა ღვინოსა და მეყსეულად პნებავნ ახალი, რამეთუ თქუს: ძუელი უტკბილეს არს.

6

1. და იყო შაფათსა მეორესა, და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოჰჭრიდეს თავსა კოილისასა, მუსრვიდეს ჯელითა და ჭამდეს.

(1) 2მჯ.23,25.
მ.12,1. მ.2,23.

2. ხოლო რომელთამე ფარისეველთა პრქუეს მათ: რაჲსა ზამთ, რომელი არა ჯერ-არს შაფათსა შინა?

3. მიუგო იესუ და პრქუა მათ: არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რომელ-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეემშია მას და მისთანათა,

(3) 1 მფ.21,7.
მ.12,4. მ.2,26.

4. ვითარ-იგი შევიდა ტაძრად ღმრთისა და პურნი იგი შესაწირავთანი შეჭამნა და სცა მისთანათაცა, რომელთაჲ არა ჯერ-იყო ჭამად, გარნა მდღელთა ხოლო?

(4) გამ.29,32
ლევ.8,31;24,9.
მ.12,4. მ.2,26.

5. და ეტყოდა მათ: უფალ არს ძმ კაცისაჲ შაფათისაცა.

37. ლუხია C: ლუხია C. 38. ლუხია C 39. ლუხია C თქუს C 2. შაფათისა/ქისა C 4. მდღელთა C

(6) მ.12,9
მრ.3,1.

6. და იყო, სხუასა შაფათსა შევიდა იესუ შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა. და იყო მუნ კაცი, რომელსა ჯელი მარჯუენამ განკმელ ედგა.

7. უმზირდეს მწიგნობარნი და ფარისეველნი, რადთამცა შაფათსა განკურნა, რადთა პოონ და შეასმინონ იგი.

8. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და პრქუა კაცსა მას, რომელსა ჯელი განკმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის.

9. და იესუ პრქუა მათ: გკითხო თქუენ სიტყუამ: რად ჯერ-არს შაფათსა შინა: კეთილისა საქმე, ანუ ბოროტისამ? სულისა ცხორებამ, ანუ მოკლვამ?

10. და მიხედა ყოველთა მათ და პრქუა კაცსა მას: განირათხ ჯელი შენი! — ხოლო მან განირთხა, და მოეგო ჯელი მისი, ვითარცა იგი სხუამ.

11. ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და ზრახვიდეს ურთიერთას, უკუეთუმცა უყვეს რად იესუს.

12. და იყო მათ დღეთა და განვიდა თავადი ლოცვად მთად კერძო და ღამესა ათევდა ლოცვითა ღმრთისა მიმართ.

(13) მათ 10,1.
მრ.3,13.

13. და ოდეს განთენა, მოუწოდა მოწაფეთა თუსთა და გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულ უწოდა:

14. სიმონ, რომელსა პრქვან პეტრე, და ანდრია, ძმამ მისი, იაკობ და იოვანე, ფილიპე და ბართლომე.

15. მათეოზ და თომა, იაკობ აღფესი და სიმონ მოშურნე,

16. და იუდა (ი)აკობისი და იუდა ისკარიოტელი, რომელი-იგი იყო გამომცემელი.

(17) მ.4,25.

17. და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ერთსა ველსა, და ერი მოწაფეთა მისთამ და სხუამ (ე)რისა სიმრავლე ფრიად პურიასტანით და იერუსალმშით და ზღვსკიდისამთ, ტვროსით და სიდონით,

14. იაკობისი 15. სიმონი 17. სხუამ: ი-ტომო: ზღვსკიდისამთ

18. რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა; და ურვილნი სულთაგან არაწმიდათა განიკურნებოდეს.
19. და ყოველი იგი ერი ეძიებდეს შეახლებად მისა, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან, და განკურნებდა ყოველთა. (19) მრ.5,30.
20. და თავადმან აღიხილნა თუალნი თვისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენია სასუფეველი ღმრთისაჲ.
21. ნეტარ ხართ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით; (21) ეს.55,1; 61,2; 65,13.
22. ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგასხნენ და გაყუედრებდენ თქუენ და განჯადონ სახელი თქუენი, ვითარცა ბოროტთაჲ, ძისათჳს კაცისა. (22) მ.5,11.
23. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ, აჰა, ესერა, სასყიდელი თქუენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ ესრევე უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი. (23) 2 მშტ. 36,16. ნემ. 9,26. ეს.35,10.
24. ხოლო ვაჲ თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებდეს ნუგეშინის-ცემაჲ თქუენი;
25. ვაჲ თქუენდა, განმადლარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვაჲ თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და სტიროდით; (25) იგ.14,13. ეს.65,13.
26. ვაჲ თქუენდა, რამეთუ რაჟამს კეთილსა გეტყოდიან თქუენ ყოველნი კაცი, რამეთუ ესრევე კეთილსა უყოფდეს ცრუწინაწარმეტყუელთა მამანი მათნი. (26) ეს.30.10. ი.7,7.
27. არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა გესმეს: გიყუარდედ მტერნი თქუენნი, კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა (27) გამ.23,4. იგ.25,21. მ.5,44.
28. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლავრობდენ თქუენ.

- (29) მ.5,39.
რომ.12,17. 1
კორ.6,7.
29. რომელმან გცეს ყურიმაღსა შენსა, მიუპყარ ერთიკერძოცა: და რომელი მივიღებდეს სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.
30. ყოველსა, რომელი გახვოდეს, მიეც, და რომელი მივიღებდეს, ნუ მოჰკდი.
- (31) ტობ.4,45.
მ.7,12.
31. და ვითარცა-იგი თქუენ გნებავს, რაჲთა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრევე მსგავსად ჰყოფდით.
32. და უკუეთუ გიყუარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რაჲ არს მაღლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყუარეთა მათთა ჰყუარობენ.
33. და უკუეთუ კეთილისმყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდეთ, რომელი მაღლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ.
34. და უკუეთუ ავასხებდეთ მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მოღებასა, რომელი მაღლია თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებენ, რაჲთა მოიღონ სწორი.
- (35) 2მჯ.15,8.
მ.5,45.
35. ხოლო თქუენ გიყუარდედ მ(ტ)ერნი თქუენნი, კეთილსა უყოფდით და ავასხებდით, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყვნეთ ძე მაღლი(ს), რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმაღლოთ(ა)თხსცა და უკეთურთა.
- (36) მ.5,48.
36. იყვენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამაჲ თქუენი მოწყალე არს.
- (37) მ.7,2.
რომ.2,1. 1
კორ. 4,5
37. ნუ განიკითხავთ, რაჲთა არა განიკითხნეთ, და ნუ დასჯით, რაჲთა არა დაისაჯნეთ. მიუტევენით, და მოგეტევენენ,
- (38) იგ 19,17.
მ.7,2. მრ. 4,24.
38. მიეცით, და მოგეცეს. საწყაული კეთილი და ზეგარდათხეული მოგცენ წიაღთა თქუენთა. მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყეთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.
- (39) ეს.41,19.
მ.15,14.
39. ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ ჰელ-ეწიფებისა ბრმასა ბრმისა წინაძღუანვად, არამეა ორნივე ჯურღუმულსა შთაცვვენ?
- (40) მ.10,24.
ი.13,16; 15,20,
40. არა არს მოწაფე უფროჲს მოძღურისა, ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყავს, ვითარცა მოძღუარი იქსი.

41. რაჲსა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა (41) 8,7,3.
შენისასა და დვრესა თუალისა*

49. ** და იყო დაცემაჲ სახლისაჲ მის დიდ.

7

1. და ვითარცა აღასრულნა იესუ სიტყუანი ესე სასმენელთა მიმართ ერისათა, შევიდა კაფარნაომდ.

2. და ასისთავისა ვისმე მონაჲ სნეულ იყო და მიახნდა აღსრულებად, რომელი იყო პატიოსან მისა.

(1) 8,8,5.

3. და ესმა მას იესუსთჳს და მიაველინა მისა მოხუცებულნი პურიათანი ვედრებად მისა, რაჲთა მოვიდეს და განკურნოს მონაჲ იგი მისი.

4. ხოლო რომელნი-იგი მივიდეს იესუსა, პლოცვიდეს მას მწრაფლ და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს, რომელ ესე პყო მისთჳს,

5. რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი და შესაკრებელი ესე მან აღმიშენა ჩუენ.

6. და იესუ წარვიდა მათ თანა; ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მოაველინნა ასისთავემან მან მეგობარნი და პრქუა მას: უფალო, ნუ მოშურები, რამეთუ არა ვარ ღირს, რაჲთა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხუდე.

7. რომლისაგან არცა თავი ჩემი ღირს-მიჩნდა მისლვად შენდა; არამედ თქუ სიტყვთ, და განიკურნოს მონაჲ ესე ჩემი.

8. რამეთუ მეცა კაცი ვარ ჳელმწიფებასა ქუეშე განწესებულ და მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი; და ვპრქჳ მას: წარვედ! — და წარვიდის; და სხუასა ვპრქჳ: მოვედ! — და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ყავ ესე! — და ყვის.

9. ვითარცა ესმა ესე იესუს, უკვრდა სარწმუნოებაჲ იგი მისი, მიექცა ერსა მას და პრქუა: ამენ ვეტყჳ თქუენ, არცა ისრაჳლსა შორის ვპოე ესოდენი სარწმუნოებაჲ.

41. თუალსა C

4. რომელი C. 1. შემოხუდე C. 8. ვპრქუქ C. ვპრქუქ C. 6. ვეტყუ C.

* აქედან C - საკლია ერთი ფურცელი.

** აქედან გრძელდება C.

10. და მიიქცეს, რომელნი-იგი მოსრულ იყვნეს, სახიდ თჳსა და პოეს მონაჲ იგი მისი ცოცხალი.

11. და იყო ამისა შემდგომად, და წარვიდა ქალაქად, რომელსა პრქჳან ნაიდ, და თანაუვიდოდეს მოწაფენი მისნი და ერი მრავალი.

12. და მიეახლა ბჭეთა ქალაქისათა, და, აჰა, ესერა, გამოაქუნდა მკუდარი, ძმ მხოლოდშობილი დედისა თჳსისაჲ, და იგი იყო ქურივ; და ერი მრავალი იყო ქალაქისაჲ მის თანა.

13. და იხილა დედაკაცი იგი იესუ, შეეწყალა იგი და პრქჳა: ნუ სტირ.

14. და მოვიდა ცხედარსა მას და შეახო. ხოლო რომელთა აქუნდა ცხედარი იგი, დადგეს. და პრქჳა მას: შენ გეტყჳ, აღდეგ!

15. და ზეადღა მკუდარი იგი და იწყო სიტყუად; და მისცა იგი დედასა თჳსსა.

(16) ლ. 1, 68.
ი. 6, 14.

16. შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს: ვითარმედ წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომილ არს ჩუენ შორის და რამეთუ მოხედვა-ყო ღმერთმან ერსა თჳსსა.

17. და განეფინა სიტყუაჲ ესე ყოველსა პურიასტანსა მისთჳს და ყოველსა მას გარემოსოფლებსა.

(18) მ. 11, 2.

18. და უთხრეს მოწაფეთა მისთა იოვანეს ამის ყოვლისათჳს.

(19) ლ. 49, 10.
ეს. 35, 4.
დან, 9, 24. ი. 6, 14.

19. და მოუწოდა იოვანე ორთა მოწაფეთა თჳსთა და მიავლინნა იესუჲსა და პრქჳა: შენ ხარა მომავალი, ანუ სხუასა მოველოდით?

20. და მი-რაჲ-ვიდეს მისა კაცნი იგი, პრქჳეს: იოვანე ნათლისმცემელმან მომავლინნა შენდა და თქჳა: შენ ხარა მომავალი იგი, ანუ სხუასა მოველოდით?

21. მას ჟამსა შინა განკურნნა მრავალნი სნეულებათაგან და საღმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლებდა ხედვასა.

(22) ფს. 145, 8.
ეს. 29, 18; 35, 5;
42, 7; 61, 1.
მ. 11, 5. ლ. 4. 18.

22. და მიუგო და პრქჳა მათ იესუ: მივედით და უთხარით იოვანეს, რაჲ-ესე იხილეთ და გესმა: ბრმანი აღიხილვენ, მკელობენნი ვლენან, კეთიროვანნი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხარების.

10. მიიქცეს 11. პრქჳან 16. თჳსსა 19. მოწაფეთა 20. იგი + და 22. ეხარების.

23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ. (23) ეს.8,14. მ.11,6.1პეტ.2,8.
24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოვანესნი, იწყო იესუ სიტყუად ერისა მიმართ იოვანესთვის: რაჲსა გამოხუედით ხილვად უდაბნოდ? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?
25. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? კაცისა, ჩჩულითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა, ესერა, რომელნი სამოსლითა და საშუებელითა არიან, სამეუფოთა შინა არიან.
26. არამედ რაჲსა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქუნ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.
27. რამეთუ ესე არს, რომლისათჳს წერილ არს: აჰა, ესერა, მე წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა. (27) მალ.3,1. მ.11,10. მრ.1,2.
28. გეტყვ თქუნ: უფროჲს შობილთაგანი დედათასა იოვანესა წინაწარმეტყუელთაგანისა არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათასა უფროს მისა არს. (28) მ.11,11.
29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერეთა და განამართლეს ღმერთი და ნათელ-ილეს ნათლის-ცემითა იოვანესითა. (29) მ.21,31.
30. ხოლო ფარისეველთა და რჩულისაგანთა ზრახვაჲ ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს თავისა თჳსისა, რამეთუ არა ნათელ-ილეს მისგან. (30) სქ.20,27.
31. ვის გამსგავსნე კაცი ამის ნათესავისანი, და ვისა არიან მსგავს? (31) მ.11,16.
32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდო-მარეთა, რომელნი მოუწენედ მოყუასთა თჳსთა და ეტყვენ: გისტჳნევდით თქუნ, და არა მოჰრო-კევდით; გიგოდებდით, და არა სტიროდეთ.
33. რამეთუ მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი, არცა ჭამდა და არცა სუმიდა, და იტყვთ: ეშმაკეულ არს.

25. ჩჩულითა: საშუებელითა: 26. მრ: ვებრე: 28. სასუფეველსა: უყვს: წინაწარმეტყუელთაგანი: 29. მეზუერეთა: 32. მოუწენედ: თუხთა: გისტჳნევდით:

34. მოვიდა ძე კაცისაჲ, ჭამს და სუამს, და იტყუთ: აჰა, კაცი მჭამელი და ღვინისმსუმელი, მეგობარი მეზუერეთა (და ცო)დვილთაჲ.

35. და განმართლდა სიბრძნე შვილთაგან მათთა.

36. ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რაჲთა ჭამოს პური მის თანა; და შევიდა სახლსა მას ფარისეველისასა და დაჯდა.

(37) მ.26,7.
მრ.14,3.
ი.11,2; 12,3.

37. და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელი იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა ფარისეველისასა, მოიღო ალაბასტრი ნელსაცხებლისაჲ

38. და დადგა ფერკთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დაღვობად ცრემლითა ფერკთა მისთა და თმითა თავისა თვისისაჲთა წარჰკოცდა და ამბორს-უყოფდა ფერკთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

(39) ლ.15,2.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა ხადა მას, თქუა გულსა თვისსა: ესე თუმცა იყო წინაწარმეტყუელი, უწყოდამცა, რაბამი დედაკაცი შეეხების მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესუ და პრქუა: სიმონ, მაქუს რაჲმე სიტყუად შენდა. — ხოლო მან პრქუა: მოძღუარ, იტყოდე!

41. და პრქუა: ორნი თანამდებნი იყვნეს მავასხებელისა ვისნიმე. ერთსა თანაედვა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას — ერგასისი.

42. და ვითარ არარაჲ აქუნდა მათ, რაჲ მისცენ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ, ვინ უფროჲს შეიყუაროს იგი?

43. მიუგო სიმონ და პრქუა: მე ესრეთ ვჰკონებ, ვითარმედ რომელსაცა-იგი უფროჲსი მიუტევა. — ხოლო თავადმან პრქუა მას: მართლიად საჯე.

44. და მოექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერკთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დააღვინა ფერკნი ჩემნი და თმითა თვისითა წარმკოცნა;

35. განმართლდა სიბრძნე ღვინისმსუმელი. 37. ალაბასტრი 39. რ-ლუკა: 44. სიმონს.

45. ამბორის-ყოფა არა მომეც მე, ხოლო ესე; ვინაჲთგან შემოვიდა, არა დააცადებს ამბორის-ყოფითა ფერკთა ჩემთაჲთა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი მცხო მე.

47. რომლისა მადლისათჳს გეტყჳ შენ: მიეტევენენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.

48. და პრქუა მას: მიგეტევენენ შენ შეცოდებანი შენნი!

49. და იწყეს მის თანა მინაჲკეთა სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტევებს?

50. პრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. გუალე, ვიდოდე მშჳდობით!

8

1. და იყო, ამისა შემდგომად თავადი ვიდოდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძღურებათა, მარიამ, რომელსა ერქუა მაგდანელი, რომლისაგან შჳდნი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

(2) მრ. 15,40; 16,9.

3. და იოჰანა, ცოლი ქოზაჲსი, ეზოჲსმოძღურისა ეროდესი, და სუსანა და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა.

4. ხოლო რომელი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდეს მისა, და ეტყოდა მათ იგავით:

(4) მ. 13,2-3. მრ. 4,1-2.

5. გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თჳსისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჭამეს იგი.

6. და სხუაჲ დავარდა კლდესა ზედა და აღმოსცენდა და განჳმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა[ჲ].

7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.
8. და სხუად დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი ასი წილი. ამას ეტყოდა კმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!
9. ჰკითხეს მას მოწაფეთა: რაჲ არს იგავი ესე?
- (10) ეხ. 6,9-10.
მ. 13,14. მრ. 4,12.
ი. 12,40.
10. ხოლო თავადმან პრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობაჲ სასუფეველისა ღმრთისაჲ, ხოლო სხუათა — იგავით, რაჲთა ხედვიდენ და ვერ იხილონ, ესმოდის და ვერ გულისხმა-ყონ.
11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუად იგი ღმრთისაჲ.
- (12) მ. 13,19.
მრ. 4,15.
12. ხოლო გზასა ზედა იგი არიან, რომელთა ესმის, და მერმე მოვიდის ეშმაკი და მოულის სიტყუად იგი გულისაგან მათისა, რაჲთა არა პრწმენეს და ცხონდენ.
- (13) ეხ. 33,31.
13. ხოლო რომელი-იგი კლდესა ზედა, — იგი, რომელთა ისმინიან, სიხარულით შეიწყნარიან, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ჟამ ერთ პრწმენა და ჟამსა განსაცდელისასა განაგდიან.
- (14) მ. 13,22.
მრ. 4,18; 10,23.
ლ. 18,23. 1
ტმ. 6,9.
14. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შიდა დავარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუად და ზრუნვისაგან და სიმდიდრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენედ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნის.
15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა, — რომელთა გულითა კეთილითა და სახიერიითა ისმინიან სიტყუად და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოიღიან მოთმინებითა.
- (16) მ. 5,15.
მრ. 4,21.
ლ. 11,33.
16. არა ვინ სანთელი აღანთის და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შედგიან, არამედ სასანთლესა ზედა დადგიან, რაჲთა შემაგალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.
- (17) იობ. 12,22.
მ. 10,26. ლ. 12,2.
17. რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და არცა საიდუმლოჲ, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.
- (18) მ. 13,12.;
25,29. მრ. 4,25.
18. იხილეთ უკუე, ვითარ ისმენთ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და, რომელსა-იგი ჰკონიეს, ვითარმედ აქუნს, მო-ვე-ელოს მას.

10. გულისგმა- C. 18. და რომელსა-იგი ჰკონიეს - C.

19. მოვიდეს მისა დედა და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხვევად მისა ერისა მისგან. (19) მ.12,46. მრ. 3,31.
20. უთხრეს მას და ეტყოდეს: დედა შენი და ძმანი შენნი გარეშე დგანან და გეძიებენ შენ და ხილვად შენი პნებავს.
21. ხოლო თავადმან პრქუა მათ: დედა ჩემი და ძმანი ჩემნი ესენი არიან, რომელთა სიტყუაჲ ღმრთისაჲ ისმინონ და ყონ იგი.
22. და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწაფენი მის თანა, და პრქუა მათ: განვედით წიაღკერძო ტბასა მას! — და აღვიდეს. (22) მ.8,23. მრ. 4,35.
23. და მი-რაჲ-ვიდოდეს იგინი ნავითა, მიეძინა. და გარდამოჴდა არმური ქარისაჲ ზღუასა ზედა და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს.
24. და მოუკდეს და განაღძქეს და ეტყოდეს: მოძლუარ, წარვწყმდებით. — ხოლო თავადი აღდგა და შეპრისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალთასა; და დასცხრეს, და იყო დაყუდება დიდ.
25. და პრქუა მათ: სადა არს სარწმუნოებაჲ თქუენი? — ხოლო მათ შეეშინა და დაუკვრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქართაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას? (25) იობ. 26,12. ფს. 88,10.
26. და განვიდეს სოფელსა მას გერგესეველთასა, რომელი არს წიაღ იორდანესა და გალილეასა. (26) მ.8,28. მრ.5,1.
27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად, მო-ვინმე-ეგებვოდა კაცი ქალაქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემოსა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.
28. და ვითარცა იხილა იესუ, ლაღატ-ყო და შეურდა ფერჯთა მისთა და ჳმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესუ, ძეთ ღმრთისა მალლისაო? გვეედრები, ნუ მტანჯავ მე.
29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არაწმიდასა განსლვად კაცისა მისგან; რამეთუ მრავალგზის წარიტაცის, და შებორკილიან იგი ჯაჭვთა და საკრველითა და სცვედ, და განხეთქის საკრველი და იღვენებინ ეშმაკისა მისგან უდაბნოთა.

19. შემთხვევად C 24. განაღძქეს C; და + და C. 25 დაუკვრდა C. 28. ფერჯთა/ფერჯთა C

30. ჰკითხა მას იესუ: რაჲ არს სახელი შენი? -- ხოლო მან პრქუა: ლეგეონ, -- რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნეს მისა.
31. და ევედრებოდეს მას, რაჲთა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვაჲ.
32. და იყო მუნ კოლტი ღორთაჲ მრავალი, მძოვარი მთასა გარე; და ევედრებოდეს მას, რაჲთა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვაჲ. და თავადმან უბრძანა მათ.
33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ზღუად და დაიშთვნეს.
34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.
35. და მოვიდეს ხილვად, რომელი-იგი ექმნა, და მოვიდეს იესუჲსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, შემოსილი, გონიერი ფერკთა თანა იესუჲსთა, და შეეშინა.
36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხონდა ეშმაკეული იგი.
37. და ევედრებოდა მას ყოველი იგი სიმრავლე სოფლებისაჲ მის გერგესეველთაჲ, რაჲთა წარვიდეს საზღვართაგან მათთა, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე.
38. ხოლო ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნეს, რაჲთა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და პრქუა:
39. მიიქეც სახიდ შენდა და მიუთხარ, რავდენი გიყო შენ ღმერთმან. -- და წარვიდა და ყოველსა მას ქალაქებსა ქადაგებდა, რაჲ-იგი ყო მისთვის იესუ.
40. და მიქცევასა მას იესუჲსსა მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ მოელოდეს მას.
41. და, აჰა, ესერა, მოვიდა კაცი და სახელი მისი იაროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებელისაჲ; და დავარდა ფერკთა თანა იესუჲსთა და ევედრებოდა მას, რაჲთა შევიდეს სახედ მისა.

(41) მ. 9, 18.
მრ. 5, 22.

42. რამეთუ ასული მარტოა ესუა მას, რომელი იყო ათორმეტ წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა ოდენ მისსა ერი შეკრებოდა მისა.

43. და იყო ვინმე დედაკაცი წყაროთა სისხლისადათა ათორმეტ წლითგან, რომელი ვერვისგან განიკურნა.

44. და მოუჭდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა. და მეყსეულად დასცხრა წყარო იგი სისხლისა მისისაჲ.

45. და თქუა იესუ: ვინ შემახო მე? — ვითარ ყოველნი (45) მრ.5,30.

უვარებდეს, პრქუა პეტრე: მოძღუარ, ერნი გარემოგადგან შენ და შეგაიწრებენ, და შენ იტყვ: ვინ შემახო მე?

46. ხოლო იესუ პრქუა: შე-ვინ-მე-მახო, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან.

47. და იხილა რაჲ დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეურდა, რომლისა ბრალისათჳს შეახო მას და უთხრა წინაშე ყოვლისა ერისა და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა.

48. ხოლო იესუ პრქუა მას: ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, ვიდოდე მშჳდობით!

49. და ვითარ იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა (49) მრ. 5, 35.

შესაკრებელისმთავრისაჲ მის და პრქუა: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძღუარსა.

50. ხოლო იესუს ვითარცა ესმა, პრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.

51. და ვითარცა მოვიდა სახლსა მას, არა ვინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე, იაკობ და იოვანე, და მამაჲ და დედაჲ მის ყრმისაჲ.

52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს. ხოლო იესუ პრქუა მათ: ნუ სტირთ, რამეთუ ყრმაჲ ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

53. ხოლო იგინი კბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი და უპყრა კელი ყრმისაჲ მის და კმა-ყო: ყრმაო, აღდეგ!

55. და მოიქცა სული ყრმისაჲ მის, და მეყსეულად აღდგა. და უბრძანა, რაეთა სცენ მას ჭამადი.

55. ჭამადი + მას,ჭამადი C.

56. და განუკურდებოდა მამა-დედათა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რაჟთა არავის უთხრან საქმე იგი.

9

(1) მ. 10, 1.
მრ. 3, 13; 6, 7.

1. და მოუწოდა ათორმეტთა მათ და მისცა მათ ძალი და ჭელმწიფებაჲ ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნებად.

2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძღურთა.

3. და პრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა: ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

4. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგერით და მიერ გამოედით.

(5) მ. 10, 14.
მრ. 6, 11.
სქ 13, 51.

5. და რავდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ, და გამო-რაჲ-ხვდოდით მიერ ქალაქით, მტუერი ფერკთაგან თქუენტა განიყარეთ საწამებელად მათდა.

6. და გამოვიდეს და მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და განჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა.

(7) მ. 14.

7. ხ- ესმა ეროდეს მეოთხედმთავარსა საქმჲ იგი, რომელ მის მიერ იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოვანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით.

8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა, და სხუანი იტყოდეს: წინაწარმეტყუელთაგანი პირ-ველთაჲ აღდგომილ არს.

(9) ლ. 23, 8.

9. ხოლო ეროდე თქუა: იოვანეს მე თავი მოვჰკუეთე, ხოლო ესე ვინაჲ არს, რომლისათჳს ესე ვითარი (მ)ესმის, არა ვიცი, -- და უნდა ხილვაჲ მისი.

(10) მ. 14, 13.
მრ. 6, 32.

10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესუს, რავდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განაშორა თჳსაგან ადგილსა ქალაქისასა, რომელსა პრქვან ბეთსაიდა.

56. განუკურდებოდა ო. 2. დ-და ო. 1 შესხედით ო. 5. გამო-რა-ხ-ვდოდით ო. 10. პრქვან ო.

11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდა მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათვის ღმრთისა, და რავდენთა უკმდა განკურნებაჲ, განკურნებაჲ.

12. და ვითარცა იწყო ღღემან მიდრეკად, მოუკდეს მოწაფენი და პრქუეს მას: განუტევე ერი ესე, რაათა წარვიდენ გარემო დაბნებსა და დაადგრენ მუნ და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ.

13. ხოლო იესუ პრქუა მათ: თქუენ ეცით მაგათ ჭამადი! — და მათ პრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროჲს, გარნა ხუთ კუეზა პური და ორი თევზი, გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი.

(13) მ. 14, 17.
მრ. 6, 38. ი. 6, 9.

14. რამეთუ იყენეს კაცნი, ვითარ ხუთ ათას ოდენ. პრქუა იესუ მოწაფეთა თვსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტედ ერგასეული.

15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს იგი ყოველი.

16. ხოლო თავადმან მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაათა დაუგონ ერსა მას.

17. და ჭამეს და განძლეს ყოველნი, და აღიღეს, რომელი დაუშთა მათ ნამუსრევი, ათორმეტი გოდორი.

18. და იყო ლოცვასა მისსა თვსაგან, და მის თანა იყენეს მოწაფენი მისნი. პკითხვიდა მათ და პრქუა: ვინ ვპგონიე მე ერსა ამას, რაჲ თქვან ჩემთვის ყოფაჲ?

(18) მ. 16, 13.
მრ. 8, 27.

19. ხოლო მათ მიუგეს და თქუეს: იოვანე ნათლისმცემელი; და სხუათა — ელია; და რომელნიმე იტყოდეს: წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

20. ხოლო იესუ პრქუა მათ: თქუენ ვინ ვგონიე მე? — მიუგო პეტრე და თქუა: ცხებული ღმრთისაჲ.

(20) ი. 6, 69.

21. ხოლო თავადი შეპრისხნა მათ და ამცნო, რაათა არა ვის უთხრან ესე.

13. კარნა! 17. თვალნი: გოდორი/გოდორი. 18. მახსა/მისა: თქვან 20. გკონიეს.

- (22) მ.17,22. 22. და პრქუა, ვითარმედ: ჯერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნებაჲ და შეურაცხ-ყოფაჲ მოხუცებულთაგან და მღვდელთმოდლუართა და მწიგნობართა, მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.
- (23) მათ 10,38: 16,24. მრ.8,34. ლ.14,27. 23. და ეტყოდა ყოველთა: რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯუარი თვისი დღითი დღედ და მომდევდინ მე.
- (25) მ.16,26. მრ.8,36. 24. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თვისისა განრინებად, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს თავი თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი.
- (26) მ.10,33. მრ.8,38. ლ.12,9.2 ტმ.2,12. 25. რაჲმე სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თვისი წარიწყმიდა, გინა იზღვია?
- (28) მ.17,1. მრ.9,2. 26. რომელსა სირცხულ-უნჩდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთა, ამას ძემან კაცისამან არცხნოს, ოდეს მოვიდეს დიდებითა თვისითა და მამისაჲთა და წმიდათა ანგელოზთაჲთა.
- (31) ლ. 22,37. ლ.22,37. 27. გეტყვ თქუენ ჭეშმარიტად: არიან ვინმე მანდა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოჲ სიკუდილისაჲ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ.
- (32) 2 პეტ.1,16. 28. და იყო შემდგომად სიტყუათა ამათ, ვითარ რვა ოდენ დღე, და წარიყვანა იესუ პეტრე, იაკობ და იოვანე და აღვიდა მთასა ლოცვად.
29. და იყო ლოცვასა მას მისსა ხილვაჲ პირისა მისისაჲ სხუასახე, და სამოსელი მისი სპეტაკ და ელვარე.
30. და, აჰა, ესერა, ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია,
31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლვასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალმს.
32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რაჲ-იღვძეს, იხილეს დიდებაჲ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარვნი.

25. კინა/კინა 27. ძისსა^ა C. 28. თქვა C. 29. დაარღუდა C. 32. აუედრებდეს C. 26 არცხუნის C. 27. გეტყუ C. 29. სხუასახე C. ელვარე C. 30. მისი C. 32. გან-რაჲ-იღვძეს C.

33. და იყო, განშორებასა მას მისსა მათგან პრქუა პეტრე იესუს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფად; ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მოსქსა და ერთი ელიამსა, რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.

34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა, ღრუბელი აგრილობდა მათ, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას.

35. და ჯმაჲ იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძმ ჩემი საყუარელი, ამისი ისმინეთ!

(35) 28ჯ. 18, 15.
8, 3, 17; 17, 5.

36. და ესე რაჲ იყო ჯმაჲ, იესუ იპოვა მარტოჲ. და მათ დაიდუმეს და არარაჲ ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რაჲ იხილეს.

37. და იყო, მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მითთ მოეგებვოდა მას ერი მრავალი.

38 და, აჰა, კაცმან ვინმე ღალატ-ყო ერსა მას შორის და თქუა: მოძღუარ, გვედრები შენ მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ეგე ხოლო მარტოჲ მივის.

(38) მათ 17, 14.
მრ. 9, 17.

39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მეყსეულად ღალატ-ყვის და დაჰკუეთის იგი, და პერიონ, და ძნად განეშორის მისგან და შემუსრის იგი.

40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რათამცა განაშორეს იგი, და ვერ შეუძლეს.

41. ხოლო იესუ პრქუა: მ, ნათესავი გულარძნილი! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა და თავს-ვიდებდე თქუენსა? მომგუარე მე აქა ძმ შენი!

42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დაჰკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძწოლებდა მას. შეპრისხნა იესუ სულსა მას არაწმიდასა, და განიკურნა ყრმაჲ იგი, და მისცა იგი მამასა თჳსსა.

43. და განუკურდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა და ყოველნი დაკურვებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმიოდა იესუ. ხოლო იესუ პრქუა მოწაფეთა თჳსთა:

44. და ისხენით სიტყუანი ესე ყურთა თქუენტა, რამეთუ ძმ კაცისაჲ მიცემად არს ჳელთა კაცთასა.

(44) მ. 17, 22.
მრ. 9, 31.

33. პეტრე C; ტელიამსა C 35. ძმ C. საყუარელი C. 39. დაჰკუეთის C
43. განუკურდებოდა C.

- (45) ლ.2.50. 45. ხოლო ივინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა მას, და იყო დაფარულ მათგან, რაჟთა ვერ გულისხმა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა ამის სიტყვსათჳს.
- (46) მ. 18, 1, მრ. 9, 33. 46. შევიდა მათდა გულისსიტყუაჲცა: ვინჲ იყოს უდიდეს შორის მათსა?
47. ხოლო იესუ იცნოდა გულისზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმაჲ და დაადგინა იგი წინაშე მისა
- (48) მ. 10, 40; 18, 5. მრ. 9, 37. 1 თეს. 4, 8. 48. და პრქუა: რომელმან შეიწყნაროს ესე ყრმაჲ სახელითა ჩემითა, მე შემეიწყნარა; და რომელმან მე შემეიწყნაროს, შეიწყნარა მომავლინებელი ჩემი, რამეთუ უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.
- (49) მრ. 9, 38. 49. მიუგო იოვანე და პრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემოგვტქს ჩუენ.
- (50) ფილ-ლიპ. 1, 18. 50. პრქუა მას იესუ: ნუ აყენებთ მას, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.
- (51) მრ. 16, 19. სქ 1, 2. 51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა აღმალლებისა მისისათა და თავადმან დაამტკიცა პირი თჳსი აღსლვად იერუსალჴმდ.
52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა. და ივინი წარვიდეს და მივიდეს დაბასა სამარიტელთასა, რაჟთა მო-რაჲმე-უმზადონ მას.
- (53) ი. 4, 9.. 53. და არა შეიწყნარნეს ივინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჴმდ.
- (54) 4 მფ. 1, 10, 12. 54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ იაკობ და იოვანე, პრქუეს: უფალო, გუნებაგს, ვითარმცა ვთქუთ, რაჟთა გარდამოვდეს ცეცხლი ზეცით და ავოცნეს ივინი.
55. მიექცა, შეპრისხნა მათ და თქუა: არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართ თქუენ?
- (56) მ. 18, 11. ი. 3, 17. 56. რამეთუ ძჴ კაცისაჲ არა მოვიდა სულთა კაცთასა წარწყმედად, არამედ ცხოვრებად. -- და წარვიდეს სხუასა დაბასა.
- (57) მ. 8, 19. 57. და იყო, სლვასა მათსა გზასა ზედა პრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხუალ.

45. გულისხმა-ც. სიტყუასათჳს. 51. დღეთა. C. იმ-ლმდ. 52. მისისა. C. 53. იმ-მდ. 54. მოწაფეთა. 56. წარწყმედ

58. პრქუა მას იესუ: მელთა ჯურელი უჩნს და ფრინველთა ცისათა საყუდელი, ხოლო ძესა კაცისასა არა უჩნს, სადა თავი მიიდრიკოს.

59. ხოლო სხუასა პრქუა: მომდევდი მე! -- და მან პრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

60. პრქუა მას იესუ: აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოდევ სასუფეველი ღმრთისაჲ. (60) მ.8,22.

61. ხოლო პრქუა მას სხუამანცა: მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჯმნაჲ სახლეულთა ჩემთაგან.

62. პრქუა მას იესუ: არავინ დასდვის კელი საცნველსა და ხედავენ გარეუკუნ და წარმართებულ არნ სასუფეველსა ღმრთისასა.

10

1. ამისა შემდგომად გამოაჩინნა უფალმან სხუანი სამეოცდაათორმეტნი და წარავლინნა იგინი ორორი წინაშე მისა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულებოდა მათ შესლვაჲ.

2. და ეტყოდა მათ: სამკალი ფრიად არს და მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რაჲთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თვსსა. (2) მ. 9,37. ი. 4,35.

3. წარვედით! აჰა, ესერა, მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა. (3) მ.10,16.

4. ნუ წარგაქუნ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერკთაჲ და ნუ ვის გზასა ზედა მოიკითხავთ. (4) 4 მფ.4,29. მ.10,10.

5. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, პირველად თქუთ: მშუდობაჲ სახლსა ამას! (5) მ.10,12. მრ. 6,10.

6. და უკუეთუ იყოს მუნ ძე მშუდობისაჲ, განისუენოს მის ზედა მშუდობამან თქუენმან, უკუეთუ არა, -- თქუენდავე მოიქეცინ.

7. მასვე სახლსა შინა იყვენით, ჭამდით და სუემდით მათ თანა. რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვსისა, ნუ მიხუალთ სახლითი სახლად. (7) 2მჯ. 24,14. მ.10,10. 1 ტმ.5,18.

8. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და შეგიწყნარნენ თქვენ, ჭამდით წინადაგებულსა თქვენსა.

9. და განჰკურნებდით მას შინა უძლურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქვენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

10. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქვენ, გამო-რაჲ-ხვდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

(11) მ. 10, 14. სქ 13, 51.

11. აჰა, ესერა, მტუერი, რომელ აღგუეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყარეთ თქუენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

(12) მ. 11, 24.

12. გეტყვ თქუენ: სოდომელთაჲ უმოლხინეს იყოს მას ღღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

(13) ე. ს. 23, 1. ე. ზ. 3, 6; 26, 2. მ. 11, 21.

13. ვაჲ შენდა, ქორაზინ, და ვაჲ შენდა, ბეთსაიდა, რამეთუ ტუროსს და სიდონს თუმცა ექმნნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, პირველმცა ძაძითა და ნაცართა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

14. რამეთუ ტუროსსა და სიდონსა უმოლხინეს ეყოს, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაფარნაუმ, ნუ ცამდე აჰმალღებდი, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჰკდე.

(16) რ. ც. ს. 16, 11. მ. 10, 40. ლ. 9, 48. ი. 13, 20.

16. რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვნეს, მან მე შეურაცხ-მყოს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-მყოს მომავლინებელი ჩემი.

17. და მოიქცეს სამეოცდაათორმეტნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუემორჩილებიან სახელითა შენითა.

18. პრქუა მათ იესუ: ვხედევდ ეშმაკსა, ვითარცა ელვასა, ზეცით გარდამოვრდომილსა.

(19) ფ. ს. 90, 13. 1 ი. 2, 13.

19. აჰა, მიგეც თქუენ კელმწიფებაჲ დათრგუნვად გუელთა და ღრიაკალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და არარაჲ თქუენ გავნოს.

20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარის, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან თქუენ, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა. (20) ეს.4,3. დან,12,1. ფლკ.4,3.
21. მას უამსა შინა იხარებდა იესუ სულითა წმიდითა და თქუა: აგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩულთა ყრმათა. პე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე. (21) ეს.32,4. მ.11,25.1 კორ. 1,21. 2 კორ. 4,3.
22. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს ძმ, გარნა მამამან, და არავინ იცის, მამაჲ ვინ არს, გარნა ძემან; და ვისაცა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.
23. და მიექცა ჰოწაფეთა თვსაგან და პრქუა: ნეტარ არიან თუალნი, რომელნი ხედვენ, და ყურნი, რომელთა ესმის, რომელი თქუენ გესმის. (23) მ.13,16.
24. ხოლო გეტყვ თქუენ: მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვის და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა. (24) 1 პეტ.1,10.
25. და, აჰა, ესერა, რჩულისმეცნიერი ვინმე აღდგა და გამოსცდიდა მას და ეტყოდა: მოძღუარ, რაჲ ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკუდრო? (25) მ.22,35. მრ.12,28.
26. ხოლო თავადმან პრქუა მას: რჩულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხი?
27. ხოლო მან პრქუა: შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი, ვითარცა თავი თუსი. (27) ლევ.19,18. 2მჯ.6,5. მ.22,37. მრ.12,29,
28. პრქუა მას იესუ: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე. (28) ლევ.18,15.
29. ხოლო მას უნდა თავი თუსი განმართლებად და პრქუა: და ვინ არს მოყუას ჩემდა?
30. მიუგო იესუ და პრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალმით იერიქოდ, და ავაზაკსი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს და დაუტევეს იგი მწყუდარი.

21. 110. 23. მოწაფეთა 23. თვალნი 30. 11-ღმერთი. ვახსარცუეს

(31) სქ 10, 28.

31. მღვდელი ვინმე უთავიდოდა მას გზასა და მიემთხვა და იხილა იგი და თანაწარჰკადა.

32. და ეგრევე ლევიტელი მასვე ადგილსა მოვიდა, იხილა იგი და თანაწარჰკადა.

33. მერმე სამარიტელი ვინმე წარმოვიდოდა და მოვიდა მასვე ადგილსა და იხილა იგი და შეეწყალა.

34. და მოუკდა მას და შეუხვა წყლული იგი და დაასხა ზეთი და ღვინო და აღსუა იგი კარაულსა თჳსსა და მოიყვანა იგი ყოველთასა მას სადგურსა და ილუაწა იგი.

35. და ხვალისაგან, გამო-რაჲ-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურისა მოლუაწესა მას და ჰრქუა: ილუაწე ეგე და, სხუაჲ თუ რაჲმე წარაგო უმეტესი, მორაჲ-ვიდე, მიგცე შენ.

36. ვინ ამათ სამთაგანი გგონიეს მოყუას მისა, რომელი-იგი შევარდა კელთა ავაზაკთასა?

37. ხოლო მან ჰრქუა: რომელმან ყო წყალობაჲ მის თანა. — ჰრქუა მას იესუ: ვიდოდე და ჰყოფდ შენ-ცა ეგრეთვე და სცხონდე.

(38) ი. 11, 1; 12, 2

38. და ვითარცა წარვიდეს ესენი და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, იყო ვინმე დედაკაცი, რომლისა სახელი მართაჲ, და შეიყვანა თავადი სახიდ თჳსა.

39. და იყო დაჲ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი ჯდა ფერტთა თანა იესუმსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

40. ხოლო მართაჲ მიმოდა ზრუნვიდა მრავლისათჳს მსახურებასა, ზედამიადგა და ჰრქუა: უფალო, არა ილუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტოჲ დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას, რაჲთა შემეწოდის მე.

41. მიუგო იესუ და ჰრქუა: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს; აქა მცირედი არს საკმარ.

42. ხოლო მარიამ კეთილი ნაყოფი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან.

1. და იყო, ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, პრქუა ვინმე მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ჩუენ ლოცვად, ვითარცა იოვანე ასწავა მოწაფეთა თვსთა.
2. ხოლო თავადმან პრქუა მათ: რაჟამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო ზეცათაო, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევაჲ შენი, იყავნ ნებაჲ შენი. (2) მ.6,9. (3) იგ.30,8.
3. პური ჩუენი თანაარსობისაჲ მომეც ჩუენ დღითი დღედ.
4. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევენთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვარებ ჩუენ გასაცდელსა. (4) 1 პეტ.5,8. 2 პეტ.2,9. 1 კორ.10,13.
5. და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუვალამეს და პრქუას: მეგობარო, მავასხენ მე სამნი პურნი,
6. რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არა მაქუს, რაჲ დაუგო მას.
7. მან მიუგოს შინაგამომართ და პრქუას: ნუ შრომასა მახუედრებ მე, რამეთუ კარი დაკშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალ-მიც აღდგომად შენდა.
8. გეტყვ თქუენ: დაღათუ ვერ ძალ-უც აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარი მისი, წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მისცეს, რავდენი უკმდეს მას.
9. ხოლო მე გეტყვ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და პპოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ. (9) მ.7,7; 21,22. მრ.11,24. ი.14,13. იაკ.1,6.
10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძიებდეს, პოოს, და რომელი ირეკდეს, განგელოს.
11. ვის უკუე თქუენგანსა მამასა ესუას ძმ და სთხოვდეს პურსა, ნუუკუე ქვაჲ მისცესა მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუ თევზისა წილ გუელი მისცეს მასა? (11) მ.7,9.
12. გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუ ღრიაკალი მისცეს მასა?

- (13) ებრ. 12,9. 13. უკუეთუ თქუნენ, უკეთურთა, იცით საცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუნთა, რავდენ უფროჲს მამამან მოსცეს ზეცით სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას.
- (14) მ. 9,32.; 12,22. 14. და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუ. და იყო, განსლვასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუჲ იგი. და უკურდა ყოველსა მას ერსა.
- (15) მ. 9,3; 12,24. მრ. 3,22. 15. ხოლო რომელთამე მათგანთა თქუნეს: ბელ-ზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთაჲთა, განასხამს ეშმაკთა.
- (16) 1 კორ. 1,22. 16. და სხუანი ვინმე გამოცდით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.
- (17) მ. 12,25. მრ. 3,24. 17. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და პრქჳა მათ: ყოველი მეუფებაჲ, რომელი თავსა თუსსა განევთის, მოოვრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.
18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თუსსა განევთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფებაჲ მისი? რამეთუ იტყუთ ჩემთვის, ვითარმედ ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა.
19. უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუნენი რაჲთა განასხმენ? ამისთვის იგინივე მსაჯულ თქუნდა გექმნენ.
- (20) გამ. 8,19. და 6,2,44. 20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისაჲთა განვასხამ ეშმაკთა, მოწვეწულ არსა თქუნ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ?
21. რაჟამს ძლიერი შეჭურვილი სცვიდეს ეზოსა თუსსა, მშუდობით არნ ნაყოფი მისი.
22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედამოუტდეს და სძლის მას, საჭურველი მისი მოულის, რომელსა-იგი ესვიდა, და ნატყუნავი მისი განუყვის.
23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეიკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს.
- (24) მ. 12,43; 24. რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოის და თქუს: მივიქცე ს(ახ)ლსა ჩემსა, ვინაჲც(ა) გამოვედო.
25. და მო(ვი)დის და პოის იგი გა(ნ)შუენებული.

26. წარვიდის და მოიყვან(ნ)ის სხუანი შუდნი სულნი უბოროტესნი მისა და მივიდის და დაიმკვდრის მას შინა და იქმნის უკუანაჲსკ(ნ)ელი კაცისაჲ მის უძრეს პირველისა. (26) 2 პეტ, 2, 20. ებრ. 6, 4; 10, 26.
27. და იყო, ვიდრე იტყოდალა იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან კმაჲ ერსა მას შორის და რქუა: ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტერთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდ! (27) ლ. 1, 48/
28. ხოლო თავადმან პრქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუაჲ ღმრთისაჲ და დაიმარხონ.
29. და ვითარცა შეჰკრებებოდა მას ერი იგი, იწყო სიტყუად მათა: ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მათ, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისაჲ. (29) ი. 2, 1. 8. 13, 39.
30. ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს ძე კაცისაჲ ნათესავსა ამას.
31. დედოფალი სამხრისაჲ აღდგეს სარჩელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დასჯიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კიდით ქუეყანისაჲთ სმენად სიბრძნისა სოლომონისა; და, აჰა, ესერა, უფროჲს სოლომონისა არს აქა. (31) 3 მფ. 10, 1, 4. 26 მტ. 9, 1. მათ 12, 42.
32. კაცი ნინეველნი აღდგენ სარჩელსა მას ნათესავისა მის თანა და დასჯიდეს მათ, რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონაჲსსა. და, აჰა, უფროჲს იონაჲსა არს აქა. (32) ი. 3, 5. 8. 12, 41.
33. არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფ(ა)რულად, არამედ სასა(ნ)თლესა ზედა, რაჲთა შემავ(ა)ლნი ხედვიდენ ნათელსა. (33) მ. 5, 15. მრ. 4, 21.
34. სანთელი გუამისა(ჲ) არს თუალი შენი; უ(კ)უეთუ თუალი შე(ნი) განმარტებულ არ(ს), ყოველი გუამი შენი ნა(თ)ელ იყოს. (34) მ. 6, 22.
35. იხილე, ნუჟუე ნათელი შენ შორის ბნელ იყოს.
36. უკუეთ(უ) გუამი შენი ყოველი ნათ(ე)ლ არს და არარაჲ ა(ქ)უნდეს ადგილი რაჲმე ბნელისაჲ, იყოს იგი ყოვლად ნათელ, ვითარცა-იგი ყოვლად სანთელი ელვითა, განგანათლოს შენ.

26. მისაქმნისა C. 29. არს C. 32. იონაჲსსა იონაჲსა C. 32. აღდგეს C. დასჯიდეს C: იონაჲსა C. 34. თუალი C.

37. და ვითარცა თავადი იტყოდა ამას, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი, რადთა პური ჭამოს მის თანა; და შევიდა და დაჯდა.

(38) მრ.7,3.

38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკვრდა, რამეთუ პირველად არა იბანა ვიდრე სადილობამდე.

(39) მ.23,24.

39. ჰრქუა მას უფალმან: აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუმელისაჲ და პინაკისაჲ განსწმიდით, და შინაგანი თქუენი სავსე არს ნატაცებითა და უკეთურებითა.

40. უგუნურნო, ანუ არა რომელმან-იგი გარეშე შექმნა, მანცა შინაგანი შექმნა?

41. გარნა რომელი-ესე ჯერ-არს, მიეცით მოწყალეებაჲ, და, აჰა, ყოველი თქუენი წმიდა არს.

42. არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, რამეთუ ათეულსა აღილებთ პიტნაკისასა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანაწარჰვალთ სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

(43) მ.23,6-7.
მრ.12,38-39.
ლ.20,46.

43. ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქუენ ზემოჯდომაჲ შესაკრებელთა შორის და მოკითხვაჲ უბანთა ზედა.

44. ვაჲ თქუენდა, რამეთუ ხართ, ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენ და არა იციან.

45. მი-ვინმე-უგო რჩულისმეცნიერმან და ჰრქუა მას: მოძღუარ, მაგას რაჲ იტყვ, ჩუენცა მაგინებ.

(46) მ.23,4.
სქ 15,10.

46. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: და თქუენდაცა, რჩულისმეცნიერთა, ვაჲ არს, რამეთუ აჰკიდით კაცსა ტურთი ძნად სატურთავი და თქუენ ერთითა თითითა არა შეახით ტურთსა მას.

47. ვაჲ თქუენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა წინაწარმეტყუელთასა, ხოლო მამათა თქუენთა მოწყვდნეს იგინი.

48. ეწამებით სამე და თანა-სათნო-ეყოფით საქმეთა მამათა თქუენთასა; მათ მოწყვდნეს იგინი, და თქუენ საფლავებსა მათსა აშენებთ.

37. და' C 38. უკვრდა C 43. ვითარცა C 45. მოძღუარ C 47. მოწყვდნეს C 48. მამათა C: მოწყვდნეს C.

49. ამისთვისცა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინენ მათდა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, მათგანნი მოწყვდნენ და დევნენ, (49) 2 ვმტ. 36,15. 6ემ.9,26. 8.23,34.
50. რაჲთა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთაჲ, დათხეული დასაბამითგან სოფლისაჲთ ნათესავისა ამისგან, (51) დ.4,8,2 ვმტ. 24,21. 8.23,35.
51. სისხლითგან აბელისით ვიდრე სისხლადმდე ზაქარიაჲსა, ძისა ბარუქისა, რომელი წარწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა. ჰე, გეტყვ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან. (52) 8.23,13.
52. ვაჲ თქუენდა, რჩულისმოძღუარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შე- არა-ხუალთ და შემავალთა აყენებთ.
53. და ეტყოდა მათ თავადი ამას წინაშე ყოვლისა მის ერისა; იწყეს მწიგნობართა მათ და ფარი- სეველთა განზრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყუაჲ იგი და ჰგმობდეს მას მრავლისათჳს სიტყჳსა.
54. და უმზირდეს მას პოვნად რასმე სიტყუასა პირისაგან მისისა, რაჲთა შეასმინონ იგი.

12

1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დასთრგუნვიდესცა ურთიერთას. იწყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თჳსთა: ეკრ- ძალენით თავთა თქუენთა ცომისა მისგან ფარი- სეველთაჲსა, რომელ არს ორგულეზაჲ. (1) 8.16,6. მრ.8,15.
2. ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, და დამალული, რომელი არა საცნაურ იყოს. (2) 8.10,26. მრ.4,22. ლ. 8,17.
3. ამისთვის რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს; რომელსა ყურსა ეტყოდი საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერდოთა ზედა.
4. ხოლო ვეტყვ თქუენ, მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ჯორცნი და ამისა შემდგომად არარაჲ აქუს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუენ. (4) ეს.8,12; 51,7. იერ.1,8. 8.10,28.

51. წარწეხილდაც. 36C: გეტყუეც 52. შე-არა-ხუალთც. 53. სიტყუასც. 4. ვალჯუეც: მოწყვდნენც

5. ხოლო გიჟუნო თქუნ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუედისა კელ-ეწიფების შთავდებად გეჰენიასა. ჰე, გეტყვ თქუნ, მისა გეშინოდენ.
- (6) მათ 10,29. 6. ანუ არა ხუთი სირი განიციდების ორის დანგის? და ერთიცა მათგანი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა.
- (7) ლ.21,18. 7. არამედ თმანიცა თავისა თქუნისანი ყოველნი გარაცხილ არიან. ნუუკუე გეშინინ: მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.
- (8) მ.10,32. 8. ხოლო გეტყვ თქუნ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.
- (9) მრ.8,38. ლ. 9,26. 2 ტმ. 2,12. 9. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვყო იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.
- (10) მ.12,31. მრ.3,28. 1 ი. 5,16. 10. და ყოველმან რომელმან თქუას სიტყუაჲ ძისათჳს კაცისა, მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს.
- (11) მ.10,19. მრ.13,11. 11. და ოდეს შეგიყვანენ თქუნ შესაკრებელთა წინაშე და მთავართა და კელმწიფეთა, ნუ ზრუნავთ: ვითარ, ანუ რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, ანუ რაჲ ვთქუათ?
12. რამეთუ სული წმიდაჲ გასწავებდეს თქუნ მას ჟამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.
13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძლუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რაჲთა განმეყოს მე სამკუდრებელსა.
14. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუნ ზედა?
- (15) მრ.4,19. 1 ტმ.6,9. 15. და ეტყოდა მათ: ეკრძალენით და დაიცვენით თავნი თქუნნი ყოვლისაგან ანგაჰრებისა, რამეთუ არა ნამეტავისაგან ვისისამე არს ცხოვრებაჲ მისი ნაყოფთა მათგან.
16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა: კაცისაჲ ვისიმე მდიდრისაჲ ნაყოფიერ იყო აგარაკი.
17. და განიზრახა გულსა თჳსსა და თქუა: რაჲმე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა დავეკრიბო ნაყოფი ესე ჩემი?

5. გიჟუნო C. 8. გეტყუე C. 9. ღ-ახათა C. 11. კელმწიფეთა C. 13. სამკუდრებელსა C. 15. ყოვლისაგა C.

18. დავარღვნიე საუნჯენი ჩემნი და უფროდსნი აღვაშენნე და შეეკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი ჩემი და კეთილი ჩემი.
19. და ვრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუნს ყოველი კეთილი დაუნჯებული მრავალთა წელთაჲ: განისუენე, ჭამე, სუ და იხარებდ.
20. პრქუა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას ღამესა მიგიღონ სული შენი შენგან; რომელი-ეგე მოიმზადე, ვისა იყოს?
21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თვისისა, და არა ღმრთისა მიმართ განმდიდრდებოდის.
22. და პრქუა მოწაფეთა თვსთა: ამენ გეტყვ თქუნ: ნუ ზრუნავთ სულისა თქუნისათჳს, რაჲ პჭამოთ, ნუცა ჯორცთა თქუნთა, რაჲ შეიმოსოთ,
23. რამეთუ სული უფროდს არს საზრდელისა და ჯორცნი — სამოსლისა.
24. განიცადენით ყორანნი, რამეთუ არცა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუნს საუნჯეჲ, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ. რავდენ თქუნ უმჯობეს ხართ მფრინველთასა?
25. ვინმე უკუე თქუნგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ქასაკსა თვსსა წყრთა ერთ?
26. უკუეთუ არცა უმცირესსა შემძლებელ ხართ?
27. განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძნდის: არცა შურებინ, არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუნ, რამეთუ არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი.
28. უკუეთუ ველსა გარე თივაჲ, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთაეგზნეს, ღმერთმან ესრეთ შეამკო, რავდენ თქუნ უფროდს, მცირედ-მორწმუნენო?
29. და თქუნ ნუ ეძიებთ, რაჲ პჭამოთ და რაჲ სუათ, და ნუცა განსცხრებით,
30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლივნი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუნმან იცის, რომელი გიჯმს ამათ ყოველთაგანი.

(19) 1 კორ. 15,32.

(20) იობ. 20,22.
ფს. 38,7.
იერ. 17,11.

(21) მ. 6,20. 1
ტმ. 6,19.

(22) ფს. 54,23.
მ. 6,25.
1 პეტ. 5,7.

(24) ფს. 103.27-
28.

- (31) მ.6,33.
მრ.10,30, 31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა და ესე ყოველი შეგეძინოს.
32. ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუნმან მოცემად თქუნდა სასუფეველი.
- (33) მ.6,20. 33. განყიდეთ მონაგები თქუენი და მიეცით ქველისსაქმე; ყავთ თავისა თქუენისა საფასჲ, რომელი არა დაძუელდეს, მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მლილმან გარყუნის.
34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყვნენ გულნი თქუენნი.
- (35) 1 პეტ. 1,31.
ეფ.3,16. 35. იყვნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღნთებულ.
36. და თქუნ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიან უფალსა თვისსა, ოდეს მოვიდეს ქორ-წილისაგან, რაჟთა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას.
37. ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი და პოვნეს იგინი ესრეთ მღვდარენი; ამენ გეტყვ თქუნ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი და წარმოუდგეს და ჰმსახურებდეს მათ.
38. და ღათუ მეორესა საკუმილაგსა და მესამესა მოვიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყვნენ იგინი.
- (39) მ.24.43. 2
პეტ.3.10. 1
თეს.5,2.
გცხ.16,15. 39. ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვიდეს, იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად გუერდი სახლისა თვისსაჲ.
40. და თქუნცა იყვენით განმზადებულ, რამეთუ ჟამსა, რომელსა არა ჰგონებდეთ, ძმ კაცისაჲ მოვიდეს.
41. პრქუა მას პეტრე: უფალო, ჩუნდა მომართ იგავსა ამას იტყვა, ანუ ყოველთა მიმართ?
- (42) მ.24,45. 42. და პრქუა უფალმან: ვინმე იყოს მნე იგი სარწმუნოჲ, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თვსთა ზედა მიცემად ჟამსა იფქლისა საწყაული?
43. ნეტარ არს იგი მონაჲ, რომლისაჲ მოვიდეს უფალი იგი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

39. იღვძებდამცა C 41. პეტრე BC 42. იფქლისასა C 43. გეტყვე C.

44. ამენ გეტყვ თქუენ, მრავალთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.
45. უკუეთუ თქუას მონამან მან: ყოენის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყოს გუემად მონათა და მკეველთა და ჭამად და სუმად და დათრობად.
46. მოვიდეს უფალი იგი მონისაჲ მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და უამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი, და ნაწილი მისი ურწმუნოთა თანა დადვას.
47. ხოლო მონამან მან რომელმან იცის ნებაჲ უფლისა თვისისაჲ და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს ფრიად. (47) იოან.15,22.
48. ხოლო რომელმან არა იცოდის და ქმნეს რამეჲ ღირსი ტანჯვისაჲ, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა იძიოს მისგან, და რომელსა მიეცეს ფრიად, უმეტესი მოჰკადონ მას.
49. ცეცხლისა მიფენად მოვედ ქუეყანასა და რაჲ მნებავს, რაჲთა აწვე ალევზნას!
50. ხოლო ნათლის-ღებაჲ მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურვებულ ვარ, ვიდრემდე აღესრულოს! (50) მ.20,22.
51. ეგრე ჰგონებთა, ვითარმედ მშუდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვ თქუენ, არამედ განყოფა(ღ).
52. რამეთუ იყვნენ ამიერიტგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი — ორთაგან და ორნი — სამთაგან;
53. და განეშოროს მამაჲ ძისაგან და ძე — მამისაგან, და დედაჲ — ასულისაგან და ასული — დედისაგან, და დედამთილი — ძისცილისაგან მისისა და სძალი — დედამთილისაგან თვისისა. (53) მიქ.7,6.
54. ეტყოდა ერსაცა მას: რაჟამს იხილით ღრუბელი აღმომავალი, მყესეულად სთქუთ, ვითარმედ: წუმაჲ მოაქუს, — და არნ ეგრეთ. (54) მ.16,2.
55. და რაჟამს სამხრით ქრინ, სთქუთ, ვითარმედ ხორშაკი იყოს, და არნ ეგრე.

15. ეკუდად C. 16. ვამი C. 18. იკუკისა C. 52. ამიერიტგან + იყვნენ C: განყოფილ + და C. 51. ხოქუთ C. 55. ხორშაკი იყოს C#.

- (58) მ.5,25.
56. მზაკუვარნო, პირი ცისა და ქუეყანისაჲ იცით გამოცდად, ხოლო ჟამი ესე ვითარ არა გამოიცადით?
57. ანუ რაჲსა თავით თჳსით არა შჯით მართალსა?
58. რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავრისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუკუე მიგიტორიოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ სეფეკაცსა, და სეფეკაცმან მიგცეს შენ საპყრობილედ.
59. გეტყვ შენ, ვითარმედ: არა გამოხვდე შენ მიერ, ვიდრემდის უკუანაჲსკნელიცა იგი მი-ვე-სცე შენ მწულილი.

13

1. მო-ვინმე-სრულ იყვნეს მას ჟამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათთჳს, რომელთაჲ-იგი სისხლი პილატე შეჰპრია მსხუერპლთა თანა.
2. მიუგო იესუ და პრქუა მათ: ეგრე გგონიესა, ვითარმედ გალილეველნი იგი უფროჲს ყოველთა გალილეველთა იყვნეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ევნო მათ?
3. გეტყვ თქუნენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევესახედ ყოველნი წარსწყმდეთ.
4. ანუ იგი, რომელ ათორმეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოწყვდნა, ჰგონებთა, ვითარმედ იგინი ხოლო თანამდებ იყვნეს უფროჲს ყოველთა კაცთასა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალჴმს?
5. გეტყვ თქუნენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.
- (6) ეს. 5,2.
6. და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლელჳ ვისმე ედგა ნერგი სავენაჯესა თჳსსა, და მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა.
- (7) მ. 21,19.
7. და პრქუა ვენაჯისმოქმედსა მას: აჰა, ესერა, სამი წელი არს, ვინაჲთგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლელჳსა ამას შინა და არა ვპოვე. მოჰკუეთე ეგე, რაჲსათჳს ქუეყანაჲ დაუპყრია უქმად?

8. ხოლო მან მიუგო და ჰქუა მას: უფალო, უტევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოვნო მაგას და სკორე დაუდგა,

9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე ეგე.

10. და ასწავებდა მათ შესაკრებელსა ერთსა შაფათსა შინა.

11. და, აჰა, ესერა, დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძღურებისაჲ ათორმეტ წლითგან; და იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო მას ყოვლითურთ ზეახილვად.

12. იხილა იგი იესუ, მოუწოდა და ჰრქუა მას: დედაკაცო, განტევებულ ხარ უძღურებისაგან შენისა.

13. და დაასხნა ჯელნი მისნი მის ზედა, და მეყსეულად აღემართა და ვიდოდა, და აღიღებდა ღმერთსა.

14. მიუგო შესაკრებელთმთავარმან რისხვით, რამეთუ შაფათსა განკურნა იგი იესუ, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმე; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდეთ და ნუ დღესა შაფათსა.

(14) გამ. 20,9.

15. მიუგო მას უფალმან და ჰრქუა: ორგულნო, კაცად-კაცადმან თქუენმან არა აჰქსნისა კარი, ანუ ვირი ბაგათაგან თუსთა და წარიბის და ასუს მას წყალი?

16. ხოლო ესე ასული აბრაამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაკსა, აჰა, ესერა, ათურამეტი წელი არს; არა ჯერი-იყო განკდად საკრველთაგან მისთა დღესა შაფათსა?

17. და ამას რაჲ იტყოდა თავადი, ჰრცხუენოდა ყოველთა წინააღმდეგომთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებათა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

18. და ეტყოდა უფალი: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ და ვისა მსგავს არს იგი?

(18) მ. 13,31.
მრ. 4,30.

19. მსგავს არს იგი მარცუალსა მდოგუსასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა მტილსა თუსსა; და აღორძნდა და იქმნა იგი ხე, და მფრინველთა ცისათა დაიმკვდრეს რტოთა მისთა.

6. არაჲ C 7. პრქუა|თქუა C; არაჲ C. 19. მდოგუსასა C; ხეშ C. დაიმკვდრეს C

- (20) მ. 13,33. 20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისაჲ?
21. მსგავს არს სასუფეველი ცომსა, რომელი მოილო დედაკაცმან და შეპრთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუენოს ყოველი.
- (22) მ. 9,35. მრ. 6,6. 22. და მიმოვიდოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალმდ.
23. და პრქუა ვინმე მას: უფალო, უკუეთუ მცირედ არიან ცხორებულნი? — ხოლო თავადმან პრქუა მათ:
- (24) მ. 7,13. 24. ილუაწეთ შესლვად იწრომსა მისგან კარისა. ხოლო გეტყვ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ შეუძლონ.
- (25) მ. 7,23;25,10. ლ. 6,46. 25. ვინაძეთან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკვას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყოთ რეკად კარსა და იტყოდით: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ! და მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ.
26. მაშინ იწყოთ სიტყუად: ვჭამდით წინაშე შენსა და ვსუმდით და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ.
- (27) ფს. 6,9. მ. 25,41. 1 კორ. 8,3. 2 კმ. 2,19. 27. და გრქუას: არა გიცნი, ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი სიცრუისანი!
28. მუნ იყოს ტირილი და ღრჭენაჲ კბილთაჲ, რაჟამს იხილოთ აბრაამი, ისაკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა, და თქუენ — განსხმულნი გარე.
- (29) მ. 19,30. მრ. 10,31. სქ 10,45; 28,28. 29. და მოვიდოდიან მზისაღმოსავალით და მზისდასავალით, ჩრდილოეთ და სამხრით და ინაგ-იდგმიდენ სასუფეველსა ღმრთისასა.
30. და, აჰა, ესერა, არიან უკუანაჲსკენელნი, რომელ იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკუანაჲსკენელ.
31. მას ღლესა შინა მო-ვინმე-უკედეს იესუს ფარი-სეველნი და ეტყოდეს მას: განვედ და წარვედ ამიერ, რამეთუ ეროდე გეძიებს შენ მოკლვად.

22. ა-მღმდ C. 26. ვსუემდით C. 28. წინაწარმეტყუელნი C. 29. იკმდენ C

32. ხოლო თავადმან პრქუა მათ: მივედით და არქუთ მელსა მას: აჰა, ესერა, განვასხამ ემმაკთა და კურნებასა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზეგე აღვესრულები.

33. ხოლო ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარნა იერუსალჴმს წარწყმედად.

34. იერუსალჴმ, იერუსალჴმ, რომელმან მოსწყვდენ წინაწარმეტყუელნი და ქვაჲ დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რავდენგზის მინდა შეკრებაჲ შეილთა შენთაჲ, ვითარცასახედ მფრინველმან თუსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე მისთა, და არა ინებეთ!

(34) მ. 23.37.

35. აჰა, ესერა, დაუტევნეთ თქუენ სახლნი თქუენნი ოკრად. გეტყვ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერიტგან, ვიდრემდის სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა!

14

1. და იყო, მო-რაჲ-ვიდოდა იგი სახლსა ვისამე მთავრისა ფარისეველისასა ჭამად პურისა, და იგინი უმზირდეს მას.

2. და, აჰა, ესერა, იყო ვინმე წყლითა მანკიერთა წინაშე მისა.

3. მიუგო იესუ და პრქუა რჩულისმოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუეთუ ჯერ-არს შაფათსა შინა კურნებაჲ?

4. ხოლო იგინი დუმნეს. მოიყვანა იგი და განკურნა და განუტევა იგი.

5. და პრქუა მათ: ვის თქუენგანისა ძჴ, ანუ კარი ჯურღუმულსა შთავარდეს, არამე მეყსეულად აღმოიქუასა იგი დღესა შაფათსა?

6. და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთვის.

7. და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შეისწავებდა, ვითარ-იგი ზემოჯდომასა ირჩევდეს, და ეტყოდა მათ:

33. წინაწარმეტყუელი C. ო-ბღმს C. ო-ბმდ C#. 34. ო-ბღმ, ო-ბმ C. მოსწყუდენ C. მართუენი C. 35. დაუტევნით C. კურთხეულ C. 1. უმზირდესქუეზადებდეს C. 3. რჩულისმოძღუართა C.

(8) იგ.25,6.

8. რაჟამს გხადოს ვინმე ქორწილსა, ნუ დასჯდები პირველსა საინაჯესა, ნუუკუე უპატიოსნესი ვინმე შენსა იყოს ჩინებულ;

9. და მოვიდეს შენდა, რომელმან-იგი შენ და მას გხადა, და გრქუას შენ: ადგილ-ეც ამას! მაშინ იწყოს სირცხულით უკუანაფსკნელსა ადგილსა დაპყრობად.

10. არამედ გხადოს თუ ვინმე, მივედ და დაჯედ უკუანაფსკნელსა ადგილსა, რაჟთა მოვიდეს, რომელმან-იგი გხადა შენ და გრქუას: მეგობარო, აღ-რე-გუალე ზემოკერძო! მაშინ იყოს შენდა დიდება წინაშე ყოველთა მებინაჯეთა.

(11) მათ.23,12.
ლ.18,14.

11. რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს, იგი ამაღლდეს.

(12) ტობ.4,7.
იგ.3,27-28.

12. ეტყოდა მასცა, რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სადილსა, გინა სერსა, ნუ ხადი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა შენთა მდიდართა, ნუუკუე მათცა გხადონ შენ კუალად, და გექმნეს შენ იგი მოსაგებელ.

13. არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სადილსა, ხადე შენ გლახაკთა უმეტართა, მკელობელთა, ბრმათა,

14. და ნეტარ იყო, რამეთუ არარაჲ აქუნს, რაჲმცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა.

15. ესმა ვისმე მის თანა მებინაჯესა ესე და ჰრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან ჭამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა.

(16)9,1-2.
მ.22.2.
გცხ.19,9.

16. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და უწოდა მრავალთა.

17. და წარავლინა მონაჲ თვისი ჟამსა პურისასა და ჰრქუა ჩინებულთა მათ მოსლვაჲ, რამეთუ, ესერა, მზა არს ყოველი.

18. და იწყოს ყოველმან თითოეულმან ჯმნად. პირველმან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედამაც მისლვად და ხილვად. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ მე შენგან.

19. და სხუამან თქუა: უღელი კართაჲ ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცდად მათდა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.
20. და მერმე სხუამან თქუა: ცოლი შევირთე და მის გამო ვერ კელ-მეწიფების მისლვად.
21. და მოვიდა მონაჲ იგი და უთხრა უფალსა თვისსა ყოველი ესე. მაშინ განრისხნა სახლისა უფალი იგი და პრქუა მონასა მას თვისსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა, და გლახაკნი უცხონი და ბრძანი და მკელობელნი შემოიყვანენ აქა. (21) მ.5,3. 1 კორ. 1,27-28.
22. და პრქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანებული შენი, და ადგილი არსლა.
23. და პრქუა უფალმან მან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვაჲ, რაჲთა აღივსოს სახლი ესე ჩემი.
24. ხოლო გეტყვ თქუენ: არავინ მათგანმან კაცმან გემოჲ იხილოს სერობისა მისგან ჩემისა. (24) მ.22.8.
25. და შეკრებოდა მისა ერი მრავალი. და მიექცა და პრქუა მათ:
26. რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამაჲ თვისი და დედაჲ თვისი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კუალად თავიცა თვისი, ვერ კელ-მეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა. (26) მ.10,37.
27. და რომელმან არა აღიღოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ კელ-მეწიფების) მოწაფე-ყოფად) ჩემდა. (27) მ.10,38; 16,24 მრ.8,34. ლ.9,23. 2 ტმ.3,12.
28. ვისმე უკუე (თქუენ) განსა უნდ(ეს გო)დლისა შენება(ჲ, ა)რამე პირვე(ლად) დაჯდესა და (აღი)რაცხოს, რავ(დე)ნი წარჯდეს, (უკ)უეთუაქუნს, რაჲთა კმა-ეყოს მ(ას), ვიდრე აღსრულება(ა)მდე.
29. ნუუკუ(ე) დადვას სა(ფუ)ძველი და ვერ (შეუძლო)ს აღსრულებად (და) ყოველნი რომელნი ხედვი(დე)ნ მას, იწყონ კიც(ხე)ვად მისა
30. და თქუან, (ვითარმედ): კაცმან ამან (იწყ)ო შწნებად დ(ა ვერ შე)უძლო აღს(რ)ულებად.
31. და ანუ მეუფე, რომელი მი(უ)ვალს სხუას(ამე) უფესა ბრძ(ოლ)ად, არამე პი(რვე)ლად დაჯდეს და განირაცხოს, (თუ) შესაძლებელ ა(რს) ათითა ათასითა შემთხუევად ოცითა ათასითა მომავალისა მის ზედა?

32. უკუეთუ არა, ვიდრე შირსლა იყოს, მოციქულნი მიუვლინნეს და მოიკითხოს იგი მშუდობით.

33. ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თვისისა, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე-ყოფად ჩემდა.

(34) მ.5,13.
მრ.9,50.

34. კეთილ არს მარილი იგი. უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაჟთა დაიმარილოს?

35. არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარეგანდვან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ესმოდენ!

15

1. და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა.

2. და ტრტუნვიდეს ფარისეველნი და იტყოდეს, ვითარმედესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჭამს და სუამს.

3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას:

(4) მ.18,12.

4. ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმდეს ერთი მათგანი, არამე დაუტევენსა ოთხმოცდაცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდის პოოს იგი.

5. და პოოს რაჲ იგი, დაისუას მკართა თვსთა ზედა სიხარულით.

6. და მო-რაჲ-ვიდეს იგი სახედ, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და პრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული.

7. გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს, ვიდრე ოთხმოცდაცხრამეტთა მათ მართალთა, რომელთა არა უკმს სინანული.

8. გინა დედაკაცსა, რომელსა აქუნდეს დრაქმჳ ათი, რომელ არს საჭირი, რომელმან წარწყმიდოს დრაქმჳ ერთი, არამე აღანთოსა სანთელი და მოაგოს სახლი და ეძიებდეს გულსმოდგინედ, ვიდრემდე პოს იგი?

9. და პოს რაჲ, მოუწოდის მეგობართა და მოძმეთა და პრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე დრაქმჳ იგი, რომელ წარწყმდა.

10. გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.

11. მერმე ეტყოდა და პრქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე.

12. და პრქუა მამასა თუსსა უმრწემესმან მან: მომეც მე ნაწილი ს: ჰკუდრებელისაჲ. — და განუყო მათ საცხორებელი.

13. და შემდგომად არამრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი მისი, რამეთუ ცხონდებოდა არაწმიდებით.

14. და ვითარცა წარწყმიდა მან ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა. და იწყო მოკლებად.

15. და სოფელსა ერთსა მივიდა და შეეყო ერთსა მოქალაქეთაგანსა, ხოლო მან წარავლინა იგი ველად თუსა ძოვნად ღორთა.

16. და სწადინ აღვსებად მუცლისა თუსისა რქისა მისგან, რომელსა ჭამედ ღორნი, და არავინ სცის მას.

17. მოდგა გონებასა თუსსა და თქუა: რავდენტა მორეწეთა მამისა ჩემისათა გარდაერევის პური, და მე აქა სიყმილითა წარვწყმდები.

18. აღდგე, წარვიდე მამისა ჩემისა და ვპრქუა მას: მამაო, ვცოდე ცათა შინა და წინაშე შენსა.

19. და არა ღირს ვარ წოდებად შვილად შენდა. შემრაცხე მე, ვითარცა ერთი მორეწეთა შენთაგანი.

20. და აღდგა და მოვიდა მამისა თუსისა. და ვიდრე შორსლა იყო, იხილა იგი მამამან და შეეწყალა, და აღდგა და სრბით მიეგებვოდა და შეეხზა ყელსა მისსა, ამბორს-უყო.

(24) ეფ. 2, 1;
5, 14. კლხ. 2. 13.
გცხ. 3, 1.

21. და პრქუა მას ძემან: მამაო, ვცოდე ცათა შინა და წინაშე შენსა და არა ღირს ვარ წოდებად ძედ შენდა.
22. პრქუა მამამან მონათა თუსთა: გამოართუთ მაგას კუართი იგი წინაჲ და შთააცუთ მაგას, მიეცით ბეჭედი კელსა მაგისსა და კამლი — ფერკთა მაგისთა.
23. და მოიბთ კარი იგი უსხი და დაკალთ და ვჭამოთ და ვიშუებდეთ.
24. რამეთუ ესე ძმ ჩემი მომკუდარ იყო და ცხომდა, წარწყმედულ იყო და იპოვა. და იწყეს შუებად.
25. და იყო უხუცესი ძმ მისი აგარაკსა. ვითარ მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა კმაჲ სახიობისაჲ და პარით მემღერთაჲ.
26. მოუწოდა ერთსა მონათა მისთაგანსა და პრქუა: რაჲ არს ესე?
27. და მან პრქუა მას: რამეთუ ძმაჲ შენი მოსლულ არს, და დაკლა კარი იგი უსხი მამამან შენმან, რამეთუ ცოცხალ იყო და იპოვა.
28. განრისხნა და არა უნდა შესლვის. და მამაჲ იგი გამოვიდა, ევედრებოდა მას.
29. მიუგო და პრქუა მამასა მას მისსა: ესე რავდენნი წელნი არიან, ვინაჲთგან გმონე შენ და არასადა გარდაგიკედ მცნებათა შენთა; თიკანი ერთი არასადა მომეც მე, რაჲთამცა ვიხარე მეგობართა ჩემთა თანა.
30. რაჟამს მოვიდა ძმ იგი შენი, რომელმან შეჭამა საცხორებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას კარი იგი უსხი.
31. პრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ და ყოველი, რაჲ ჩემი არს, შენი არს.
32. არამედ შუებად და სიხარულად ჯერ-არს, რამეთუ ძმაჲ ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედილ იყო და იპოვა.

16

1. და ეტყოდა მოწაფეთა მათ: კაც ერთ იყო მდიდარ და ესუა მას ეზოჲს მოძღუარ. და შეასმინეს იგი, ვითარცა განმბნეველი ნაყოფთა მისთაჲ.

23. ვიშუებდეთ 24. შუებად C. 1. ეზოის მოძღუარ C

2. მოუწოდა და პრქუა მას: რაჲ არს ესე, რომელ მესმის შენთვის? მომეც რიცხვ სამნოჲსა შენისაჲ, რამეთუ არღარა ყოფად ხარ ჩემდა ეზოჲსმოძღუარ.
3. თქუა ეზოჲსმოძღუარმან მან გულსა თვისსა: რაჲმე ვყო, რამეთუ უფალი ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა მიძლავს, თხოვად მრცხუენის.
4. უწყი, რაჲ ვყო, რაჲთა რაჲჲმს გარდავდგე სამნოსა ამას, შემიწყნარონ მე სახლებსა მათსა.
5. და მოუწოდა თითოეულად, ვის რაჲ თანაედგა უფლისა მისისაჲ: პრქუა პირველსა მას: რავდენ-რაჲ თანაგაც უფლისა ჩემისაჲ?
6. და მან პრქუა: ასი მარი ზეთი. და პრქუა მას: მიიღე წიგნი შენი და დაჯედ, დაწერე ადრე-ადრე ერგასისი.
7. მერმე პრქუა სხუასა: შენ რავდენი-რაჲ თანაგაც? და მან პრქუა: ასი სათუელი იფქლი. და პრქუა მას: მიიღე წიგნი შენი და დაჯედ და დაწერე ოთხმეოცი.
8. და აქო უფალმან მნე იგი სიცრუისაჲ, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ შვილნი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფროჲს შვილთა ნათლისათა ნათესავთა თვსთა შორის.
9. და მე თქუენ გეტყვ: იყვენით თავებისა თქუენისა მეგობრებ ფასისაგან სიცრუვისა, რაჲთა, რაჲჲმს მოაკლდეს იგი, შეგიწყნარნენ თქუენ საყოფელთა მათ საუკუნეთა. (9) მ.6,1; 19,21.
10. რომელი მცირესა ზედა სარწმუნო არს, მრავალსა ზედა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ იყოს, მრავალსა ზედაცა ცრუ იყოს. (10) მათ 25,21.
11. უკუეთუ აწ სიცრუესა მას მამონაჲსსა არა სარწმუნო იპო-ვენით, ჭემმარიტი იგი თქუენდა ვის პრწმენეს?
12. და თუ უცხოსა მას არა სარწმუნო იქმნეთ, თქუენი იგი ვინ მოქცეს თქუენ?
13. არავინ მონამან შეუძლის ორთა უფალთა მონებად, რამეთუ ერთი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, ანუ ერთსა ადიდებდეს და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ შეუძლოთ ღმრთისა მონებად და მამონაჲსა. (13) მ.6,24.

- (14) 1 ტმ.6,10. 14. ვითარცა ესმა ესე ყოველთა მათ ფარისეველთა, რამეთუ ვეცხლისმოყუარე იყვნეს, განკიცხეს იგი.
- (15) 18ფ. 16,7. იერ.11,20. 15. და პრქუა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმართლებთ თავთა თქუენტა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან უწყნის გულნი თქუენნი, რამეთუ რომელი წინაშე კაცთა მალლოვ არს, პილწ არს წინაშე ღმრთისა.
- (16) მ.11,12. 16. შჯული იგი და წინაწარმეტყუელნი იოვანესითგანი: მიერითგან სასუფეველი ღმრთისაჲ ეხარების და ყოველივე მას ჰმძლავრობს.
- (17) ეს. 40,8. 17. ხოლო უადვილეს არს ცისა და ქუეყანისა წარსლვაჲ, ვიდრე არა შჯულისაგან ერთი სასწაული დავრდომად.
- (18) 2შჯ. 24,1. მ.19,9. 18. ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თვისი და სხუაჲ შეირთოს, იმრუშოს; და რომელმან განტევებული შეირთოს, მან იმრუშოს.
19. კაც ერთ ვინმე იყო მდიდარ და იმოსებოდა ძოწეულითა და ზეეზითა და იხარებდა მარადის ბრწყინვალედ.
20. და გლახაკიცა ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი იდვა ბჭეთა თანა მისთა დამღიერებული.
21. და სწადინ განძლომად ნაბიჭვევისა მისგან, რომელი გარდამოვარდის ტაბლისაგან მის მდიდრისაჲსა, არამედ ძალღნიცა ჰლოშნიდეს ზუზლასამისსა.
22. და იყო, ვითარ მოკუდა გლახაკი იგი, და მიიქუეს იგი ანგელოზთა წიაღთა აბრაამისთა, მოკუდა მდიდარი იგიცა და დაეფლა.
23. და ჯოჯოხეთით აღიხილნა თუალნი თვისნი, ვიდრე იგი იყო ტანჯვასა შინა, იხილა აბრაამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა.
24. და მან ჯმა-ყო და თქუა: მამაო აბრაამ, შემიწყალე მე და მოავლინე ლაზარე, რაჲთა დააწოს წუერი თითისა მისისაჲ წყალსა და განავრილოს ენასა ჩემსა, რამეთუ ვიარები ალსა მას შინა.

25. და პრქუა მას აბრაამ: შულო, მოიკსენე, რამეთუ მიილე კეთილი ცხოვრებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე ძურნი იგი. აწ ესერა, ესე აქა ნუგეშინისცემულ არს, და შენ მანდა იარები. (25) იობ. 21, 7, 13.
26. და ზედა ამას ყოველსა მთხრებლ დიდ არს შორის ჩუენსა და თქუენსა. და თუ ვისმე უნდეს ამიერ წიაღსლვად თქუენდა, ვერ წიაღცდენ, და არცა მაგიერნი წიაღ-ჩუენდამო-სლვად.
27. და პრქუა: აწ გევედრები შენ, მამაო მ აბრაამ, რაფთა მიავლინო ეგე სახედ მამისა ჩემისა.
28. არიან მუნ ჩემნი ძმანი ხუთნი, არწმუნოს მათ, რაფთა არა მოვიდენ იგინიცა აღგილსა ამას სატანჯველისასა.
29. და თქუა აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარ-მეტყუელნი, მათი ისმინენ. (29) ი. 5, 39, 45.
30. და მან პრქუა: არა, მამაო აბრაამ, გარნა მკუდრეთით თუ ვინმე მივიდეს მათა, და შეინანონ.
31. და პრქუა მას: უკუეთუ მოსესი და წინაწარ-მეტყუელთაჲ არა ისმინონ, დალათუ მკუდრეთით ვინმე აღდგეს, არავე პრწმენეს.

17

1. პრქუა მოწაფეთა მათ თუსთა: არა ეგების არამოსლვაჲ საცთურისაჲ, ხოლო ვაჲ მისა, რომლისა ძლით მოვიდეს. (1) მ. 18, 6. მრ. 9, 42.
2. უადვილესმცა იყო, ქვაჲ ფქვისაჲ დამოეკიდა ყელსა მისსა და შთა-მცა-ვარდა ზლუასა, ვიდრე არა ერთისა მათ მცირეთაგანისა დაბრკოლებასა.
3. ხ- ეკრძალენით თავთა თქუენთა. უკუეთუ ცოდოს ძმამან შენმან, შეპრისხენ მას; და თუ შეინანოს, მიუტევე მას. (3) ლევ. 19, 17. მ. 18, 15. იაკ. 5, 19.
4. და თუ შუდგზის დღესა შინა შეგცოდოს შენ და შუდგზისვე მოიქცეს შენდა და თქუას: ვინანი, მიუტევე მას.
5. და რქუეს მოციქულთა მათ: შემძინე ჩუენ სარწმუნოებაჲ!

(6) მ. 17, 20;
21, 21. მრ. 11, 23.

6. და პრქუა უფალმან: უკუეთუ გაქუნდეს სარ-
წმუნობაჲ მდოგვსმარცუალ ოდენ და პრქუათ
ლელუსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზლუასა, --
და ისმინოს თქუენი.

7. ვისმე თქუენგანსა ესუას მონაჲ, ჳნვიდეს, ანუ
მწყსიდეს, რომელი ვითარცა შემოვიდეს ველით,
პრქუასმე მას: ადრე-ადრე წარმოკედ, ინაჯ-იდგ!

8. არამედ ესრე სამე პრქუას მას: მზა-მიყავ, რაჲ
ვჭამო, და წარმოკედ, სარტყელი შეირატყ და
მსახურე, ვიდრემდის ვჭამო და ვსუა, და ჳამე და სუ
შენცა.

9. ნუთუ მადლ რაჲ იპყრას მონისაჲ მის, რამეთუ ყო
ყოველი იგი ბრძანებული?

(10) იობ. 22, 3;
35, 7. 1 კორ.
9, 16.

10. ეგრეცა თქუენ, რაჟამს ჰყოთ ყოველი იგი
ბრძანებული თქუენდა მიმართ, თქუთ, ვითარმედ:
მონანი უკმარნი ვართ; რაჲ თანაგუედვა ყოფად, ვყავთ.

(11) ი. 4, 4.

11. და იყო მისლვასა მისსა იერუსალმმდ, და თვთ
განვიდოდა შორის სამარიასა და გალილეასა.

(12) ლევ. 13, 46.

12. ვითარ შევიდოდა დაბასა რომელსამე, შე-
ემთხუნეს მას ათნი კაცნი განბოკლებულნი,
რომელნი დადგეს შორით,

13. აღიმალღეს ჳმაჲ და იტყოდეს: იესუ მოძლუარ,
შეგვწყალენ ჩუენ!

(14) ლევ. 14, 2.
მ. 8, 4. მრ. 1, 44.
ლ. 5, 14.

14. და ვითარცა იხილნა იგინი, პრქუა მათ: მივედით,
ურჩუნენით თავნი მლდელთა მათ. — და იყო,
ვითარცა წარვიდეს, მუნქუესვე განწმიდნეს.

15. და ერთმან მათგანმან ვითარცა იხილა, რამეთუ
განიკურნა, მიიქცა მუნვე და აღიდებდა ღმერთსა.

16. დავარდა ზედა პირსა თვსსა ფერჯთა თანა მისთა
და ჳმადლობდა მას. და თვთ იგი იყო სამარიტელ.

17. მიუგო იესუ და პრქუა: არა ესენი ათნი
განწმიდნეს? აწ ცხრანი იგი სადა არიან?

18. რამეთუ არა იპოვნეს მოქცევად და დიდებისა
მიცემად ღმრთისა, გარნა უცხოთესლი ესე ხოლო.

19. და პრქუა მას: აღდეგ და წარვედ! სარწმუ-
ნობამან შენმან გაცხოვნა შენ.

20. ვითარცა ჰკითხეს ფარისეველთა მათ, ვითარმედ: ოდეს მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ, — მიუგო მან და პრქუა: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისაჲ ზმნით;
21. და არა თქუან, ვითარმედ: აჰა, ესერა, აჰა არს, გინა თუ: მუნ, — რამეთუ, აჰა, ესერა, სასუფეველი ღმრთისაჲ თქუენ თანა არს.
22. პრქუა მოწაფეთა მათცა: მოვიდენ დღენი, და გწადოდის თქუენ ხილვად დღე ერთი დღეთაგან ძისა კაცისათა და ვერ იხილოთ.
23. და თუ გრქუან თქუენ, ვითარმედ: აჰა, ესერა, აჰა არს, გინა თუ: მუნ, — ნუ გრწამნ. (23) მ.24,23. მრ. 13,21.
24. რამეთუ ვითარცა ელვაჲ რაჲ გამობრწყინებულ ცათა შინა ქუეშე ცასა გამობრწყინდის, ეგრეცა ძე კაცისაჲ დღესა მას თჳსსა.
25. ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიად ვნებაჲ და შეურაცხებაჲ ნათესავისა ამის. (25) მ.16,21; 17,22; 20,18. მრ.8,31.
26. და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრე იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა: (26) დ.7,7. მ.24,37. 1 პეტ. 3,20.
27. ჭამდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს ვიდრე დღემდე შესლვად ნოესა კიდობანსა მას. და მოიწია წყლით-რღუნაჲ და წარწყმიდნა ყოველნი.
28. და ეგრეთვე ვითარცა იყო დღეთა ლოთისთა: ჭამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს. (28) დ.19,14,24.
29. და რომელსა დღესა გამოვიდა ლოთ სოდომით, აწჳმა ზეცით ცეცხლი და წუმწუბი და წარწყმიდნა ყოველნი.
30. ეგრე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისაჲ გამოცხადნეს.
31. მას დღესა შინა, რომელი იყოს ერდოსა ზედა და ჭურჭელი მისი სახლსა შინა, ნუ გარდამოვალნ აღებად რაჲსამე; და რომელი ველსა გარე, ნუ უკმოიქცევენ კუალად.
32. მოიკსენეთ ცოლისა ლოთისი. (32) დ.19,26. სბრნ.10,7. (33)

- მ.10,39.
მრ.8,35. ლ.
9,24. ი.12,25.
33. რამეთუ რომელსა უნდეს თავისა თვისისა განრინებაჲ, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი.
33. გეტყვ თქუენ: ორნი იყენენ ცხედარსა ერთსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი დაეტევოს;
- (35) მ.24,41. 35. ორნი ფქვილენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშთეს.
- [[36.]]
- (37) მ.24,28. 37. და მიუგეს და პრქუეს: ვიდრე, უფალო? ხოლო თავადმან პრქუამათ: სადაცა კორცნი, მუნცა ორბები შეკრბეს.

18

- (1) რომ.12.12.
ეფ.6,18. 1 თეს.
5,17.
1. ეტყოდა მათ იგავსაცა, ვითარ-იგი ჯერ-არს მარადის მათდა ლოცვაჲ და არა მოწყინებაჲ ლოცვასა შინა.
2. და ეტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდა და კაცთაგან არა პრცხუენოდა.
3. და ქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა. და მოვიდის მისა და ეტყვნ: მისაჯე მე წინამოსა-ჯულისაგან ჩემისა.
4. და არა ისმინის მისი ვიდრე რომლად ჟამადმდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა თვისსა: და ღათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენის.
5. ამისთვის, რამეთუ შურომასა მახუედრებს მე მარადის ქურივი ესე, უსაჯო მას, რაათა არა მოვიდოდის და მაწყინებდეს მე.
6. და პრქუა მათ უფალმან: ისმინეთ, რასა-იგი მსაჯული სიცრუვისაჲ იტყვს.
- (7) ფს.9,19.
ლ.11,9.
მცხ.6,10.
7. ხოლო ღმერთმან არამე ყოსა შურის-გებაჲ რჩეულთა მისთაჲ, რომელნი ღალადებენ მისა ღლე და ღამე, და სულგრძელ არს მათ ზედა.
8. გეტყვ თქუენ: ყოს შურის-გებაჲ მათთვის ადრე. ხოლო მო-რაჲ-ვიდეს ძე კაცისაჲ, პოოსმე რაჲ სარწმუნოებაჲ ქუეყანასა ზედა?

9. თქუა ვიეთდაშე მიმართ იგავი ესე, რომელნი ესვენ თავთა თუსთა, ვითარმედ მართალ არიან და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა, (7) ლ. 16, 15.
10. ვითარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე.
11. ფარისეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა: (11) ეს. 58, 3. გცხ. 3, 17.
 ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარ სხუანი კაცნი მტაცებელ, ცრუ, მემრუშე, გინა ვითარ ესე მეზუერე,
12. ვიმარხავ ორგზის შაფათსა შინა, ათეულსა შეესწირავ ყოვლისაგან მონაგებისა ჩემისა.
13. ხოლო მეზუერე იგი შორს დგა და არა იკადრებდა თუალთაცა ზეახილვად, არამედ იცემდა მკერდსა და იტყოდა: უფალო, მილხინე მე, ცოდვილსა ამას.
14. გეტყვ თქუენ: გარდამოვიდა იგი განმართლებული სახედ თუსა, ვიდრე ფარისეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმაღლოს თავი თუსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თუსი, იგი ამაღლდეს.
15. მოჰპურიდეს მას ყრმებსა, რაჲთა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ. (15) მ. 19, 13. მრ. 10, 13.
16. ხოლო იესუ მოუწოდა მათ და პრქუა: აცადეთ ყრმათა მაგათ მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართაჲ არს სასუფეველი ღმრთისაჲ. (16) მ. 18, 3; 19, 14. 1 პეტ. 2, 2. 1 კორ. 14, 20. მ. 19, 16. მრ. 10, 17.
17. ამენ გეტყვ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.
18. და ჰკითხა ვინმე მთავარმან და პრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე, რაჲთა ცხორებაჲ საუკუნოჲ დავიმკვდრო?
19. პრქუა მას იესუ: რასა მეტყვ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოჲ ღმერთი.
20. მცნებანი იცნი: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა. (20) გამ. 20, 12-16. 2 მჯ. 5, 17.

10. მესხურეც. 11. მეზურეერეც 13. მესხურეც: თვალთაცა 14. კლავეუც
 16. ექმნეც 19. მესხურეც. სახიერიერთიც

21. ხოლო მან პრქუა: ეგე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან.
- (22) 1 ტმ.6,18-19. 22. ესმა რაჲ ესე იესუს, პრქუა მას: ერთილა ესე გაკლს შენ: ყოველი, რაჲ გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოედ და შემომიდეგ მე.
23. ხ- ესმა რაჲ ესე მას, შეწუხნა. რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.
- (24) იგ.11.28. მ.19,23. მრ. 10,23. 1 ტმ. 6,9-10. 24. ვითარცა იხილა იგი იესუ, თქუა, ვითარმედ: ძნიად შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა, რომელსა აქუნდეს საფასჲ.
25. უადვილეს არს მანქანისსაბელი კურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად.
26. ხოლო რომელთა-იგი ესმა, პრქუეს: და ვისმე კელ-ეწიფების ცხორების?
27. მიუგო იესუ და პრქუა: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.
- (28) მ.19,27. მრ.10,28. 28. პრქუა პეტრე: აჰა, ესერა, ჩუენ დაუტევეთ ყოველივე თვისი და შეგიოქთ შენ.
29. პრქუა მათ: ამენ გეტყვ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტეოს სახლი, გინა მამა-დედანი, გინა ძმანი, გინა ცოლი, გინა შეილნი სასუფეველისათჳს ღმრთისაჲსა.
30. რომელმან არა მოილოს მრავალი წილი ჟამსა ამას და საუკუნესა მას — მომავალსა ცხორებაჲსა საუკუნოჲ.
- (31) ფს.21,7. მ.20,18. მრ.10,33. 31. და წარიყვანნა ათორმეტნი იგი და პრქუა მათ: აჰა, ესერა, აღვალ იერუსალჲმდ, და აღესრულნენ ყოველნი წინაწარმეტყუელთა დაწერილნი ძესა ზედა კაცისასა:
- (32) ეს. 53,7. 32. რამეთუ მიეცეს კელთა წარმართთასა, და ეკიცხევდენ მას, და იგინოს, და ჰნერწყუვიდენ მას
33. და სტანჯვიდენ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.
34. და მათ არა გულისხმა-ყვეს ესე, არამედ იყო სიტყუაჲ იგი დაფარულ მათგან. და არა იცოდეს თქუმული იგი.

22. ხაუჯე C., ხასუფეველი C..30. რომელმან არა -C 31. იმ-ღმდ C. 31. გულისკმა-C.

35. და იყო, ვითარცა მიეახლნეს ივინი იერიქოდ, (35) მ.20,29.
ბრძაჲ ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად. მრ.10,46.
36. ვითარცა ესმა, რამეთუ ერი წარმოვალს,
ჰკითხვიდა: რამე არს ესე?
37. და უთხრეს მას, ვითარმედ: იესუ ნაზარეველი
წარმოვალს.
38. ხოლო მან დაღაბ-ყო და თქუა: იესუ, ძეო
დავითისო, შემიწყალე მე!
39. და რომელნი წინაუძლოდეს, პრისხვიდეს მას,
რამთა დადუმნეს. ხოლო იგი უფროჲს დაღადებდა
და იტყოდა: იესუ, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!
40. დაღდა იესუ და ბრძანა მოწოდებაჲ მისი. და
ვითარცა მიეახლა, ჰკითხა მას:
41. რაჲ გნებაეს, და გიყო შენ? ხოლო მან პრქუა:
უფალო, რამთა აღმიხილნე თუაღნი.
42. ხოლო იესუ პრქუა: აღიხილენ; სარწმუნოებამან
შენმან გაცხოვნა შენ.
43. და მეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და
ადიდებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილა და
აქებდეს ღმერთსა.

19

1. და შევიდა და განვიდა იერიქოჲთ.
2. და, აჰა, ესერა, კაცი ვინმე, და სახელი — ზაქე, და
იყო იგი მთავარი მეზუერეთაჲ, და იყო იგი მდიდარ
ფრიად.
3. და უნდა ხილვაჲ იესუსი, ვითარ ვინძი არს, და ვერ
უძლო ხილვად ერისა მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო
მცირე.
4. და წარბიოდა წინა და აღჯდა ლელუსულელსა.
5. და ვითარცა მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესუ და
პრქუა მას: ზაქე, ისწრაფე და გარდამოჯედ, რამეთუ
დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფაჲ.
6. ისწრაფა და გარდამოჯდა და შეიყვანა იგი
სიხარულით.

41. თუაღნი C. 2. მეზუერეთაჲ C. 3. ი-უსი C. 4. აღჯდა C.
5. პრქუა ჰიქუა C.

7. ვითარცა იხილეს ყოველთა, დრტუნვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა თანა შევიდა დადრგომად.
- (8) გამ.21,37. 8. აღდგა ზაქე და პრქუა უფალსა: აჰა, უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთაჲ მივსცე გლახაკთა; და უკუეთუ ვისმე ცილი დავსდევ, მივაგო ოთხი წილი.
9. პრქუა მას იესუ: დღეს იქმნა ცხორებაჲ სახლისაჲ ამის, რამეთუ ესეცა ნაშობი აბრაჰამის არს.
- (10) მ.18,11. 10. [რამეთუ მ]ოვიდა ძმ კაცის[ა]ჲ მოძიებად წა[რ]წყმედულისა.
11. [და] ვითარცა ესმოდა ერსა [მ]ას, შესძინა და თქუა იგავი ამისთ[ვ]ს, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალმსა, და ჰკონებდეს იგინი, ვითარმედ მესყუულად [გ]ამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისაჲ.
- (12) მ. 25.14. 12. [და] პრქუა მათ: კაცი ვი[ნმ]ე აზნაური წა[რე]იდა შორსა სოფელსა მოღებად თავისა თვისისა მეუფებისა და მოქცევად.
13. და მოუწოდა ათთა მონათა და მისცა მათ ათი მნაჲ და პრქუა მათ: ვაჭრობდით ამა[ს], ვიდრემდე მოვიდეთ.
14. ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდ[ა] იგი და მიაველინ[ეს] მოციქულნი შედგომად მისა დ[ა] პრქუეს მას: არ[ა] გუნებავს მაგ[ისი] მეუფებაჲ ჩუენ ზედა:
15. და იყო მოქცევასა მას მისსა, მო-რაჲ-აქუნდა მეუფებაჲ თვისი, და ბრძანა მოწოდებაჲ მონათაჲ მათ, რომელთა მისცა ვეცხლი იგი, რაჲთა უწყოდის, რაჲ-იგი ივაჭრეს.
16. და მოვიდა პირველი იგი და პრქუა: უფალო, შენმან მან ვეცხლმან ათი სხუაჲ შესძინა სასწორი.
- (17) ლ.16,10. 17. პრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ. იყავ შენ ჰელმწიფე ათთა ზედა ქალაქთა.
18. და მოვიდა მეორე იგი და პრქუა: უფალო, ვეცხლმან შენმან სხუაჲლა ხუთი სასწორი ყო.
19. პრქუა მასცა: და იყავ შენცა ხუთთა ზედა ქალაქთა.

20. და მოვიდა მესამე იგი და პრქუა: უფალო, აჰა, ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუღარსა,
21. რამეთუ მეშინოდა, ვითარმედ კაცი ხარსასტიკი: მოილი, რომელი არა დასდვი, და მოიმკი, რომელი არა დასთესი.
22. პრქუა მას: პირისა შენისაგან გსაჯო, მონაო ურწმუნოო: იცოდე, რამეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვილი, რომელი არა დავდვი, და მოვიმკი, სადა არა განვსთესი. (22) იობ. 15, 16. ბ. 12, 37.
23. და რაჲსათჳს არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჭროსა, და მოვედ მე და ვახშითურთ ვქმენ იგი?
24. და წინაშემდგომელთა მათ პრქუა: მიუღეთ იგი და მიეცით, რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი.
25. და მათ პრქუეს მას: უფალო, აქუს ათი სასწორი.
26. ხოლო გეტყვ თქუენ: რომელსა აქუნდეს, მიეცეს; ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ეღოს მისგან. (26) ბ. 13, 12; 25, 29. მრ. 4, 25. ლ. 8, 18.
27. ხოლო მტერნი, რომელთა არა უნდა მეუფებაჲ ჩემი მათ ზედა, მომგუარენით მე აქა და მოწყვდენით წინაშე ჩემსა. (27) ბ. 22, 7.
28. და ესე ვითარცა წართქუა, ვიდოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა იერუსალჳმდ.
29. და იყო, ვითარცა მიეახლა ბეთზაგედ და ბეთანიად, მათსა თანა, რომელსა პრქუან ზეთისხილთაჲ, წარავლინნა ორნი მოწაფეთა მისთაგანნი (29) ბ. 21, 1. მრ. 11, 1.
30. და პრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელსა შეხვდეთ, ჰპოთ კიც დაბმული, რომელსა არავინ დაჯდომილ არს; აჰქსენით და მომგუარეთ მე.
31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: რაჲსათჳს აჰქსენით? ესრეთ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე.
32. და ვითარცა წარვიდეს, რომელსა-იგი მიაველინნა, პოვეს ეგრეთ, ვითარცა-იგი პრქუა მათ.

- (35) მ.21,7.
მრ.11,7.
ი.12,14.
33. და აპქსნიდეს იგინი კიცუსა მას. პრქუეს მათ უფალთა მათთა: რაჲსათჳს აპქსნით კიცუსა მაგას?
34. ხოლო მათ პრქუეს, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე.
35. და მოჰგუარეს იგი იესუს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას და დასუეს მას ზედა.
36. და ვითარ შევიდოდეს იგინი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა.
37. და ვითარცა მიიწინეს იგინი შთასავალსა მას მთისა მის ზეთისხილთასა, იწყო ყოველმან (სიმრავლე)მან მოწაფეთამან სიხარულით ქებად მისა კმითა დიდითა ყოველთათჳს, რომელნი იხილვნეს ძალნი.
38. და იტყოდეს: კურთხეულ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა! მშუდობაჲ ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა!
39. და ფარისეველნი ვინმე ერისა მისგანნი ეტყოდეს მას: მოძღუარ, შეპრისხენ მოწაფეთა შენთა, რაჲთა დადუმნენ.
- (38) ფს.
117,26. ლ.2,14.
ეფ. 2,14.
40. ხოლო იესუ მიუგო და პრქუა მათ: გეტყვ თქუენ, დალათუ ესენი დადუმნენ, ქვანი ლალადებდენვე.
41. და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა
42. და იტყოდა: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშუდობაჲ იგი შენი! ხოლო აწ დაეფარა თუალთაგან შენთა.
- (40) აბკ.2,11.
43. რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგან შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარემოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოვლით კერძო.
44. და განგადონ შენ, და შვილნი გარემოჲს შენსა დაეცნენ, და არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა შენ შორის ამისთჳს, რამეთუ არა გულისხმა-ჰყავ ჟამი მოხედვისა შენისაჲ.
- (43) ეს. 29,3.
იერ.6,6.
ეზკ.21,27.
მ.22,7. ლ.21,6.
45. და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად, რომელნი ჰყიდდეს ტრედებსა.
- (45) მ.21,12.
მრ.11,15.
ი.2,15.

33. მათქმას 35. დაასხეს | დაას: დასუეს. 37. ზეთისხილთაჲსა: სიმრავლეუმანქმან. 41. გულისხმა-: 42. თუალთაგან. 44. ამისთჳს + ამისთჳს.

46. და პრქუა მათ: წერილ არს: იყოს სახლი ჩემი სახლ სალოცველ, ხოლო თქვენ პყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა. (46) ეს. 56,7. იერ. 7,11,3 მფ. 8,29.
47. და იყო მუნ და ასწავებდა დღითი დღე ტაძარსა მას შინა. ხოლო მღდელთმოძღუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს წარწყმედად.
48. და ვერას კპოვებდეს, რაჲ უყონ, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან.

20

1. და იყო, მათ ოღეთა ოდენ ასწავებდა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა მას შინა. ზედამოუკდეს მღდელთმოძღუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულთურთ, (1) მ.21,23. მრ.11,27.
2. ეტყოდეს მას და პრქუეს: მითხარ ჩუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ კელმწიფებაჲ ესე?
3. მიუგო იესუ და პრქუა: გკითხო თქუენ სიტყუაჲ, და მითხართ მე:
4. ნათლის-ცემაჲ იოვანესი ზეცით იყო, ანუ კაცთაგან?
5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკუეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით არს, მრქუას ჩუენ: რაჲსათჳს არა გრწმენა მისი?
6. უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვაჲ დამკრიბოს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოვანე წინაჲსწარმეტყუელად. (6) მ.14,5.
7. და მიუგეს და პრქუეს: არა ვიცით, ვინაჲ იყო.
8. და იესუ პრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა მე ამას ვიქმ.
9. და იწყო იგავით სიტყუად მათლა: კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი და მისცა მოქმედთა და წარვიდა იგი მრავალთა ჟამთა. (9) ეს. 5,1. იერ. 2,21. მ.21, კ33. მრ. 12,1.
10. და ჟამსა თჳსსა მიაველინა მოქმედთა მათ მონაჲ თჳსი, რაჲთა ნაყოფისა მისგანი მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს, ტანჯეს და წარავლინეს იგი ცალიერი.

16. იყო C. 3. სიტყუაჲ C. 6. ვიქ-ოი C. 6. იოვანესი: წ-ნსწყლდ C

11. და შესძინა მივლინებად სხუაჲ მონაჲ. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წარავლინეს ცუდი.
12. მერმე კუალად მიავლინა მესამე. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდვეს წყლულებაჲ და გამოაძეს იგი.
13. და თქუა უფალმან ვენაჯისამან: რაჲ ვყო? მივავლინო ძმ ჩემი საყუარელი, ვინ იცის, ამისა შეიკდიმონ.
- (14) ებრ. 1,2. 14. ხოლო ვითარცა იხილეს ქუეყანისმოქმედთა მათ, ზრახვიდეს ურთიერთას: ესე არს მკვდრი, მოვკლათ იგი, რაჲთა ჩუენდა იყოს სამკვდრებელი.
- (15) ებრ. 13,12. 15. და განიყვანეს იგი გარეშე სავენაჯესა მას და მოკლეს. აწ რაჲ უყოს მათ უფალმან სავენაჯისამან?
16. მოვიდეს და წარწყმიდნეს ქუეყანისმოქმედნი იგი და მისცეს ვენაჯი იგი სხუათა. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე, თქუეს: ნუ იყოფინ!
- (17) ფს. 117,22. ეს. 2816. მ. 21,42 მრ. 12,10. სქ 4,11. 1 პეტ. 2,6. რომ. 9,33. 17. ხოლო თავადმან მიხედა მათ და ჰრქუა: ვითარ არს წერილი ესე: ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავ საკიდურთა?
18. ყოველი რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქროს.
19. და უნდა მღდელთმოდღუართა მათ და მწიგნობართა დასხმად კელთა მათთა მას ჟამსა შინა, რამეთუ ეშინოდა ერისა მის, რამეთუ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ მათთჳს თქუა იგავი ესე.
- (20) მ. 22,15. მრ. 12,13. 20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართალ იტყოდეს თავთა თჳსთა, რაჲთა პოონ რაჲმე სიტყუაჲ მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და კელმწიფებასა მთავრისასა.
21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, ვიცით, რამეთუ სამართალსა იტყჳ და ასწავებ და არავის თუალთ-აღებ, არამედ ჭეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.
22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად, ანუ არა?
23. და გულისხმა-ყო ზაკულებაჲ იგი მათი და ჰრქუა მათ: რაჲსათჳს გამომცდით მე?

11. გუემეს C. 13. ძემ C. 15. კარწმე C. 17. მათ და პრქუა - C. 19. გულისხმა - C. 20. სიტყუაჲ C. 21. თუალთ - C. 23. გულისხმა - C.

24. მიხუენეთ მე დრაპკანი! ვისი არს ხატი და ზედა-წერილი? ხოლო მათ მიუგეს და პრქუეს: კეისრისაჲ.
25. და იესუ პრქუა მათ: აწ უკუე მიეცით კეისრისაჲ კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა. (25) მ.17,27; 22,21.რომ.13,7.
26. და ვერარაჲ უპოვეს სიტყუს-გებაჲ წინაშე ერისა მის. და უკვრდა სიტყუს-გებაჲ იგი მისი და დადუმნეს.
27. მო-ვინმე-უკდეს მას ჟამსა შინა სადუკეველნი, რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომაჲ არა არსო. პკითხეს მას და ეტყოდეს: (27) მ.22,23. მრ.12,18. სქ23,8.
28. მოძლუარ, მოსე ესრე დამიწერა ჩუენ: უკუეთუ ვისამე მოკუდეს ძმაჲ და ესუას ცოლი და იგი უშვილო იყოს, რაჲთა შეირთოს ცოლი იგი მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თესსა. (28) მ.25,5.
29. შუდნი ძმანი იყვნეს ჩუენ შორის. პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილოჲ.
30. და მეორემან და მესამემან.
31. და მოწყდეს უშვილონი. ეგრევე შუდთა მათ, და არა დაშთა შეილი.
32. და მათსა შემდგომად მოკუდა დედაკაციცა იგი.
33. აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლად, რამეთუ შუდთავე ესუა იგი ცოლად?
34. მიუგო იესუ და პრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებნიან და განპქორწინებენ;
35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნეს საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მკუდრეთით, არცა იქორწინებოდნიან, არცა განპქორწინებდენ.
36. არცა სიკუდიდ მერმე ჳელეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.
37. ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაყულოვანსა მას ზედა, ვითარ-იგი ეტყუს უფალსა ღმერთსა აბრაამისსა, ღმერთსა ისაკისსა და ღმერთსა იაკობისსა, (37) გამ.3,6,16. მ.22,32. მრ.12,26.
38. რამეთუ ღმერთი არა არს მკუდართაჲ, არამედ ცხოელთაჲ, რამეთუ ყოელნი ცხოელარიან მის წინაშე.

24. მიხუენეთი: პრქუის 26. სიტყუეს - 28. უკუეთუ 35. მამითხუევად 37. ღ-მც

39. მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და პრქუეს; მოძლუარ, კეთილად სთქუ.
- (40) მ.22,42. მრ.12,35. 40. და ვერლარა იკადრეს კითხვად მისა მიერიოთგან, და პრქუა მათ უფალმან:
41. ვითარ უკუე იტყვან თქუენგანნი ვინმე ქრისტესა ძედ დავითისად.
- (42) მ.22,44. 42. რამეთუ თვთ იგი დავით იტყვს წიგნსა ფსალმუნთასა: პრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა,
- (43) ფს. 109,1. 43. ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუე ფერკთა შენთა.
44. თვთიგი დავით უფლითხადის, დავითარძემისიარს?
45. და ვითარ ესმოდა ესე ყოველსა მას ერსა, პრქუა მოწაფეთა თვსთა:
- (46) მ.23,6. მრ.12,38-39. ლ.11,43. 46. ეკრძალენით მწიგნობართა, რომელთა ჰნებაეს სამოსლითა სღვაჲ და რომელთა ჰნებაეს უბანთა ზედა მოკითხვაჲ და პირველჯდომაჲ კრებულსა შორის და ზემოჯდომაჲ პურსა ზედა,
47. რომელნი შეჰკამენ სახლსა ქურივთასა და მიზეზით შორადილოცვენ. ამათ მიიღონ უმეტესი სარჩელი.

21

- (1) მარკ 12,41. 1. მიხედა და იხილა, რომელნი დასდებდეს შესაწირავსა ფასისსაცავსა მას მდიდარნი.
2. და იხილა ვინმე ქურივი გლახაკი, რომელმან დადვა ორი მწულილი.
- (3) 2 კორ. 8,12. 3. და თქუა იესუ: ჭეშმარიტად გეტყვ თქუენ, რამეთუ ქურივმან გლახაკმან უმეტეს ყოველთასა შეწირა.
4. რამეთუ ამათ ყოველთა ნამეტავისაგან მათისა შეწირეს დასადებელსა ამას, ხოლო ამან ნაკლულევანებისაგან თვსისა ყოველი, რაჲცა აქუნდა საცხორებელი, შეწირა.
- (5) მ.24.1. მრ. 13,1. 5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისა მისთვის, ვითარმედ: ქვითა კეთილითა და პატიოსნითა შენებულ არს; და თქუა:

39. მოძლურ. 43. შენი. 3. გეტყუ. 4. ნამეტავისაგან.

6. ხედავთა ამას? მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა დაშთეს ქვაჲ ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუს.
7. ჰკითხეს მოწაფეთა: მოძღუარ, ოდეს იყოს, და რაჲ არს სასწაული, ოდეს ესე ყოფად არს?
8. ხოლო თავადმან პრქუა: იხილეთ, ნუუკუე სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდინ სახელითა ჩემითა და იტყოდინ, ვითარმედ მე ვარ; და ჟამი მოწევნულ არს, ნუ მიხუალთ შედგომად მათდა.
9. ოდეს გესმოდინ ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ-არს ყოფად, და არღა მესეულად იყოს აღსასრული.
10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგენ ნათესავნი ნათესავსა ზედა და მეუფებაჲ მეუფებასა ზედა; (6) 3 მფ. 9,7. ლ. 19,44.
11. და იყვნენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილდ-ადგილდ, სიყმილნი და სრვანი, საშინელებანი ზეცით, სასწაულნი დიდ-დიდნი იყვნენ.
12. ხოლო ამათ ყოველთა წინა დაგასხნენ თქუენ ზედა კელნი მათნი და გდევნიდენ დამიგცნენ თქუენ შესაკრებელთა და საპყრობილესა, მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანებდენ თქუენ სახელისა ჩემისათჳს.
13. და გექმნეს თქუენ ესე საწამებელ.
14. დაისხენით ესენი გულთა თქუენთა, რადთა არა წინაჲსწარ იწურთიდეთ, რაჲ სიტყუაჲ მიუგოთ, (8) მ. 24,4. მრ. 13,5. 1 ი. 4,1. ეფ. 5,6. 2 თეს. 2,3.
15. რამეთუ მოგცეს თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღდგომად და სიტყუს-გებად ყოველთა წინააღმდგომთა თქუენთა.
16. რამეთუ მიგცნენ თქუენ მამა-დედათაგან და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა, და მოჰკლვიდენ თქუენგანთა; (10) ეს. 19,2.
17. და იყვნეთ თქუენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.
18. და თმაჲ თავისა თქუენისაჲ ცუდად არა წარწყმდეს.
19. მოთმინებთა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი. (12) მ. 10,17; 24,9. მრ. 13,9. ი. 15,20.
- (14) ლ. 12,11.
- (15) გამ. 4,12. საქმ. 6,10.
- (16) მიქ. 7,6.
- (19) მ. 10,22.

(20) და6.9,27.
ივლ.3,4; 4,15.
ამ. 5,20; 8,9.
სოფ. 1,15. მ.24

20. რაჟამს იხილით იერუსალმში გარემოდგომილი ერისაგან, მაშინ გულისხმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჯრებად მისი.

21. მაშინ რომელნი ჰურიასტანს იყვნენ, ივლტოდედ მთად კერძო; და რომელნი იყვნენ შუვა მისა, განივლტოდედ; რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შევლენედ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურის-გებისანი არიან, რაათა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვაჲ მუცელქმნულთა და რომელნი აწობდენ მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს ჭირი დიდი მაშინ ქუეყანასა ზედა და რისხვაჲ ერსა მას.

24. და დაეცნენ პირითა მახულისაჲთა, და წარიტყუნენ ყოველთა მიმართ წარმართთა; და იერუსალმში დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ჟამნი წარმართთანი.

25. [დ]ა იყოს სასწაული მზესა და მთოვარესა და ვარსკულავთა, შეკრებაჲ თესლებისაჲ განკრევიტა ოხრისაჲთა, ვითარცა ზღუსაგან და ძრვისა;

26. სულითა კაცთაჲთა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

(27) და6.7,10.
მარკ 13,26.

27. და მაშინ იხილონ ძე კაცისაჲ, მომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

(28) რომ.8,23.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით კეღნი, რამეთუ მოწვევულ არს გამოცხნაჲ თქუენი*.

22

15. [მით]* ქუმიდა პასქასა ამას ჭამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა.

20. გულისხმა-ც. 21. ივლტოდედ. იყვნედ. 24. წარიტყუნენ. ი-ში. 25. ვარსკულავთა. ზღუსაგან. 26. შეიძრნენ. 28. თვალნი. ც.

* აქედან ც-საკლია ფურცლები.

* აქედან გობილდება. ც.

16. ხოლო გეტყვ თქვენ: არლარა ვჭამო ამისგან, (16) სქ 10,41.
ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა ღმრთისასა.
17. და მოილო სასუმელი, ჰმადლობდა და თქუა:
მიიღეთ ესე და განიყავთ თავისა თქუენისა.
18. ხოლო გეტყვ თქვენ: ამიერიტგან არლარა ვსუა
ნაყოფისაგან ვენაჯისა, ვიდრემდე სასუფეველი
ღმრთისაჲ მოვიდეს.
19. და მოილო პური, ჰმადლობდა და განტეხა, მისცა (19) მ. 26,26.
მათ და პრქუა: ესე არს ჯორცი ჩემი თქუენთ(ს)
მიცემული; ამას ჰყოფდით ჩემდა მოსაკსენებლად. მრ. 14,22. 1
კორ. 11,24.
20. ეგრევე სასუმელი შემდგომად სერობისა და
თქუა: ესე სასუმელი — ახ(ა)ლი რჩული სისხლისა
ჩემისაჲ თქუენთს დათხეული.
21. ხოლო, აჰა, კელი განმცემელისა ჩემისაჲ ჩემ (21) ფს. 40,10.
თანა ტაბლასა ზედა. მ. 26,22-23.
22. ძმ სამე კაცისაჲ მსგავსად განჩინებულისა (22) სქ 2,23;
მისისა წარვალს, ხოლო ვაჲ არს კაცისაჲ მის, ვის
მიერ მიეცემის იგი! 4,28.
23. (დ)ა მათ იწყეს ძიებად ურთიერთას: ვინმე არს
მათგანი, რომელსა ეგულების ესე ყოფად?
24. და იყო ცილობაჲცა მათ შორის, ვითარმედ ვინმე
იყოს დიდ მათგანი?
25. ხოლო თავადმან პრქუა მათ: მეფენი წარ-
მართთანი უფლებდენ მათ ზედა, და რომელთა
კელმწიფებაჲ აქუს მათ ზედა, ქველისმოქმედ
პრქვან.
26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი
იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი
— ვითარცა მსახური.
27. ვინ არს უფალი: რომელი ინაკით ზის, ანუ (27) ფილ. 2,7.
რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი ინაკით ზის?
ხოლო მე ვარ თქუენ შორის, ვითარცა მსახური.
28. თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა
განსაცდელთა შინა ჩემთა.
29. და მე აღვითქუამ თქუენ, ვითარცა მე აღმითქუა
მამამან ჩემმან სასუფეველი,

- (30) მ.19,28. 1 კორ. 6,2. გამ. 3,21;20,4. 30. რაფთა სჭამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ჩემსა ზედა სასუფეველსა შინა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტნი საყდართა და სჯიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრაჴლისათა.
- (31) 1 პეტ. 5,8. 31. სიმონ, სიმონ, აჰა, ესერა, ეშმაკმან გამოგიტხოვნა თქუენ აღცრად, ვითარცა იფქლი.
- (32) მ.16.18. ი.17,15. 32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რაფთა არა მოგაკლდეს სარწმუნოებაჲ შენი, და შენ ოდესმე მიექცე და განამტკიცენ ძმანი შენნი.
33. ხოლო მან პრქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და მოსიკუდილდ.
- (34) მ.26.34. მრ.14,30. ი. 13,38. 34. ხოლო თავადმან პრქუა: გეტყვ შენ, პეტრე: არღა ეყვილოს ქათამსა დღეს, ვიდრემდე სამგზის უვარმყო მე, ვითარმედ არა მიცი მე.
- (35) მ.10,9-10. მრ.6,8. ლ.9,3; 10,4. 35. და პრქუა მათ: ოდეს წარგავლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა და ფერკთშესასხმელისა, ნუ გაკლდა რაჲ თქუენ? ხოლო მათ თქუეს: არაჲ გუაკდა.
36. და მერმე თქუა: არამედ აწ რომელსა აქუნდეს ბალანტი, აღიღენ; ეგრევე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განყიდენ სამოსელი თვისი და იყიდენ მახვლი.
- (37) ეს. 53,12. მრ. 15,28. 37. გეტყვ თქუენ: ესე ხოლო წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, ვითარმედ ურჩულოთა თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთვის აღსასრული იყოს.
38. ხოლო მათ რქუეს: უფალო, აჰა, ესერა, არიან ორ დანაკ. ხოლო თავადმან პრქუა: კმა არს.
- (39) მ.26,36. მრ.14,32. ი. 18,1. 39. და გამოვიდა მიერ და წარვიდა, ვითარცა ჩუეულებაჲ აქუნდა, მთასა ზეთისხილთასა, და მისდევდეს მას მოწაფენი მისნი.
- (40) მ.26,41. მრ.14,38. 40. და მი-რაჲ-ვიდა ადგილსა მას, და პრქუა მათ: ილოცევდით, რაფთა არა შეხვდეთ განსაცდელსა.
41. და თავადი განეშორა მათგან, ვითარ ქვისსა-ტყორცებულ ოდენ, დაიდგნა მუჯლნი, ილოცვიდა
42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნებაჲ ჩემი, არამედ ნებაჲ შენი იყავნ!

[[43.]]

[[44.]]

32. განამტკიცენ C. 34. გეტყუ C. 35. ფერკთშესასხმელისა C: 36. ვაშკარანისა C.

45. და აღდგა მიერ ლოცვით და მოვიდა მოწაფეთა თხსთა და პონა იგინი მძინარენი მწუხარებისა მისგან
46. და პრქუა მათ: რაჲსა გძინავს? აღდეგით და ილოცევდით, რაჲთა არა შეხვდეთ განსაცდელსა.
47. და ვიდრე იგი ამას იტყოდა, აჰა, ერი და რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორმეტთაგანი, წინაუძლოდა მათ და მიეახლა იესუს, ამბორის-ყოფად მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათ და პრქუა: რომელსა მე ამბორს-უყო, იგი არს.
48. ხოლო იესუ პრქუა მათ: იუდა ამბორის-ყოფითა მისცემს ძესა კაცისასა?
49. იხილეს რაჲ მისთანათა საქმე ესე, პრქუეს მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახვლითა?
50. და სცა ვინმე ერთმან მათგანმან მონასა მღდელთმოდურისასა და წარჰკუეთა ყური მისი მარჯუენე.
51. მიუგო იესუ და პრქუა მათ: აცადეთ აქამომდე! — და შეახო კელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.
52. პრქუა იესუ მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთმოდუართა და ერისთავთა მის ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა მოსრულ ხართ მახვლითა და წათებითა.
53. დღითი დღედ თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა შინა, და არა გაჰყავთ კელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ჟამი თქუენი და კელმწიფებაჲ ბნელისაჲ.
54. და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს იგი სახლსა მღდელთმოდურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.
55. და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა და გარემო-ასხდეს იგინი, და დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.
56. და იხილა იგი მკვეალმან ვინმე მჯდომარე ნათელსა მას და თქუა: ესეცა მის თანავე იყო.
57. ხოლო მან უარ-ყო და თქუა: ღედაკაცო, არა ვიცი იგი.
58. და მცირედრე იხილა იგი სხუამან და პრქუა: შენცა მათთანაჲ ხარ. — ხოლო პეტრე თქუა: კაცნო, არა ვარ მათთანაჲ.

(47) მ.26,47.
მრ.14,43.
ი.18,3.

(54) მ.6,57.
მრ.14,54.
ი.18,24.

59. და ვითარ წარჳდა უამი ერთი, სხუად ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ჭეშმარიტად ესეცა მათთანაჲვე იყო, და რამეთუ გალილეველ არს.

60. ხოლო პეტრე პრქუა მას: კაცო, არა ვიცი, რასა იტყვ. — და მყესეულად ვიდრე იტყოდალა იგი ამას, ქათამი ყივა.

(61) მ.26,34.
მრ.14,30,72.
ი.13,38.

61. და მოექცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეცენა პეტრეს სიტყუად იგი უფლისაჲ, რომელ პრქუა მას, ვითარმედ: ვიდრე ქათმისა ცმობადმდე უვარ-მყო მე სამგზის, ვითარმედ: არა ვიცი მე.

62. და გავიდა გარე, ტიროდა მწარედ.

(63) მ.26,67.
მრ.14,65.

63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესუ, ეკიცხევდეს მას და სცემდეს

64. და ეტყოდეს: წინაჲსწარმეტყუელებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ?

65. და სხუასა მრავალსა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთვის.

(66) ფს.2,2.
მ.27,2. მრ.15,1.
ი.18,28.

66. და ვითარცა განთენა დღე, შეკრბეს მოხუცებულნი და მლდელთმოძღუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს იგი შესაკრებელსა მათსა

67. და ეტყოდეს: უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. ხ- პრქუა მათ იესუ: უკუეთუ გითხრა, არა გრწმენეს;

68. და უკუეთუ გკითხო თქუენ, ვერაჲ მომიგოთ, გინა განმიტეოთ.

(69) ფს.109,1.
დან.7,13. მ.26,64.
მრ.14,62. ი.6,62.

69. ამიერიტოგან იყოს ძმ კაცისაჲ მჯდომარჲ მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა.

70. და პრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძე ღმრთისაჲ? — პრქუა მათ: თქუენ იტყვთ, რამეთუ მე ვარ.

71. და მათ თქუეს: რაჲლა გვკმს წამებაჲ? ჩუენ თვთ გუესმა პირისაგან მისისა.

59. სხუად 60. მსხიქსთი: კაცნი 61. წმწმწმწმწმწმწმ 62. ეტყოდეს 63. უკუეთუ 64. უკუეთუ 65. მარჯუენით 70. უკუე 71. კუესისა

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა. (1) მ.27,2. მრ.15,1. ი.18,28.
2. და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ვპოეთ, რომელი გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა და აყენებდა ხარკისა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თვსსა, ვითარმედ ქრისტე იგი არს მუჟუჴ. (2) მ.22,21.
3. ხოლო პილატე ჰკითხვიდა მას და პრქუა: შენ ხარ მუჟუჴ ჰურიათაჲ? — მან მიუგო და პრქუა: შენსთქუ. (3) მ.27,11. მრ.15,2. ი.18,33. 1 ტმ.6,13. გამ. 1,5.
4. პრქუა პილატე მლდეღთმოძღუართა მათ და სიმრავლესა მას: არას ვპოებ ბრალსა კაცისა ამის თანა.
5. და იგინი განკრძალულ იყვნეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღძრავს ერსა და ასწავებს ყოველსა ჰურიასტანსა; იწყო გალილეაჲთ და მოაქამდე.
6. ხოლო პილატეს ვითარცა ესმა გალილეაჲსაჲ, ჰკითხა, ვითარმედ: გალილეველ არს კაცი ესე?
7. და ვითარცა აგრძნა, ვითარმედ საბრძანებელისაგან პეროდესი არს, მიუძღუნა იგი პეროდეს, რამეთუ იგიცა იერუსალჴმს იყო მათ დღეთა შინა.
8. და პეროდე ვითარცა იხილა იესუ, განიხარა დიდად, რამეთუ სწადოდა მრავლით ჟამითგან ხილვაჲ მისი, რამეთუ მრავლით ჟამითგან სწადოდა მისთვის სასწაულის-ხილვად მისგან. (8) ლ.9,9
9. ჰკითხვიდა მას სიტყუათა მრავალთა, და მან არარაჲ მიუგო მას.
10. დგეს მლდეღთმოძღუარნი იგი და მწიგნობარნი, განკრძალულად ძურსა იტყოდეს მისთვის.
11. შეურაცხ-ყო იგი პეროდეცა ერთთურთ თვისით, განბასრა იგი და შეჰმოსა სამოსელი სპეტაკი და მიუძღუნა მუნვე პილატეს. (11) ეს. 53,3.
12. და იმოყურნეს პეროდე და პილატე მას დღესა შინა, რამეთუ წინა მტერ იყვნეს ურთიერთას.
13. მოუწოდა პილატე მლდეღთმოძღუართა მათ და მთავართა და ერსა მას

(14) მ.27,23.
მრ.15,14. ო.
18,38; 19,4.

14. და პრქუა მათ: მოიყვანეთ, წარმოადგინეთ ჩემ წინაშე კაცი ესე, ვითარცა განმდრეკელი ერისაჲ მაგის, და, აჰა, ესერა, თქუენ წინაშე ვიკითხე და ბრალი არაჲ ვპოვე კაცისა მაგის თანა, რომელსა თქუენ ძვრსა იტყვთ მაგისთვის,

15. არამედ არცა პეროდე, რამეთუ მიუძღუანე ეგე მას, და აწ არაჲ სიკუდილისსაქმმ შუქმნიეს მაგას.

16. განვსწავლო ეგე და განუტეო.

17. რამეთუ თანაედვა დღესასწაულად-დღესასწაულად ერთი მიტევებად მათდა.

(18) მ.27,20.
მრ.15,11.
ო.18,40. სქ
3,14.

18. და ღალადებდა ყოველი იგი სიმრავლე და იტყოდეს: აღილე ეგე და განუტევე ჩუენდა ბარაბაჲ,

19. რომელ-იგი აღძრვისათვის რაჲსმე ქალაქსა შინა და კაცის-კლვისათვის შეეყენებულ იყო საპყრობილესა შინა.

20. მერმე პილატე იწყო სიტყუად, რამეთუ უნდა განტევებაჲ მისი.

21. და იგინი უფროჲს ღალადებდეს და იტყოდეს: ჯჷარს-აცუ ეგე!

22. და მან სამგზის პრქუა მათ: რაჲ ძვრ-უქმნიეს ამას? არაჲ ბრალი ვპოვე ამის თანა. ვსწავლო ეგე და განუტეო.

23. და იგინი აწუევედეს კმითა დიდითა და გამოითხოვდეს ჯჷარ-ცუმად. და განძლიერდებოდეს კმანი მათნი და მღდელთმომძღუართანი მათ.

24. და პილატე განაჩინა აღსრულებად თხოვაჲ იგი მათი.

25. განუტევა მათდა ბარაბაჲ იგი, რომელი აღძრვისათვის და კაცის-კლვისათვის შეეყენა საპყრობილესა, რომელსაცა-იგი ითხოვდეს, და იესუ მიუტევა ნებასა მათსა.

26. ვითარცა წარიყვანეს იგი, შეიპყრეს ვინმე სიმონ კვრინელი, რომელი მოვიდოდა აგარაკით, და დასდევს ჯჷარი იგი მას ზედა მიღებად კუალსა იესუსსა.

14. ბრალ C 15. სიკუდილისსაქმმ C. 20. სიტყუად C. 22. ძვრ C. 26. ი-ჯსა C.

27. და მისდევდა მას სიმრავლე ერისაჲ მის და დედებისაჲ, რომელნი ტიროდეს და ეტყებდეს მას.
28. მიექცა იესუ და პრქუა მათ: ასულნო იერუსალმმისანო, ნუ სტიროთ ჩემდა, არამედ სტიროდეთ თავთა თქუენთა და ზედა ნაშობთა თქუენთა,
29. რამეთუ მოვიდენ დღენი, რომელთა შინა იტყოდიან, ვითარმედ: ნეტარ ბერწთა და მუცელთა, რომელთა არა შვეს, და ძუძუთა, რომელთა არა აწოეს!
30. მას ჟამსა იწყონ სიტყუად მათთა მიმართ: დამეცენით ჩუენ ზედა! — და ბორცუთა, ვითარმედ: დამფარენით ჩუენ.
31. უკუეთუ ძელსა ნედლსა ამას უყოფენ, კმელსა მას რაჲმელა უყონ?
32. მოჰყვანდეს სხუანიცა ორნი ძურისმოქმედნი მის თანა.
33. ვითარცა მიეახლნეს ადგილსა მას, რომელსა ერქუმის თხემ, და მუნ ჯუარს-აცუნეს იგი და ძურისმოქმედნი იგი, რომელიმე — მარჯუენით და რომელიმე — მარცხენით ჯუარს-აცუნეს.
34. და იესუ თქუა: მამაო, მიუტევე მაგათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმან. — განიყვეს სამოსელი მისი და წილ-იგდეს.
35. და დგა ერი და ხედვიდა. ხ- ეკიცხევდეს მთავარი იგი მათ თანა და იტყოდეს: სხუანი განარინნა, განირინენ თავიცა თჳსი, უკუეთუ არს ძმ ღმრთისაჲ რჩეული.
36. ხ- ეკიცხევდეს მას ერისა კაცნიცა იგი, წარდგიან წინაშე, მიუპყრიან მას ძმარი
37. და ეტყვედ: უკუეთუ შენ ხარ მეუფე პურიათაჲ, იკსენ თავი შენი.
38. და იყო წიგნი წერილი მას ზედა ბერძლითა და ფრომინებრითა და ებრაელეებრითა, ვითარმედ: ესე არს მეუფე პურიათაჲ.

(30) ეს. 2, 19.
ოს. 10, 8. გამ.
6, 16; 9, 6.

(33) მ. 27, 33.
მრ. 15, 22.
ი. 19, 17.

(34) ფს. 21, 19.
მ. 5, 44; 27, 35.
მრ. 15, 24.
ი. 19, 23.

28. იმ-ლმსნი C. 30. დამფარენინ C. 32. სხუანიცა C. 33. რომელ C:
ძურისმოქმედნი C: რომელნიმე C: რომელნიმე C. 35. სხუანი C

39. ხოლო ერთი დამოკიდებულთა მათგანი ძვრისმოქმედთაჲ ჰგმობდა მას და ეტყოდა: არა შენ ხარ ქრისტე იგი? ივსენ თავი შენი და ჩუენცა.

40. მიუგო მოყუასმან მან რისხვით და პრქუა: არა გეშინის შენ ღმრთისა, რამეთუ მასვე ტანჯვასა შინა ხარ?

41. რამეთუ ჩუენდა მართლ ღირსად საქმეთა ჩუენთაებრ მომეგების ჩუენ, ხოლო ამას უწესოჲ არაჲ უქმნიეს.

(42) მ.16,28.

42. და პრქუა იესუს: მომივსენე მე, უფალო, რაჟამს მოხვდოდი სუფევითა მით შენითა.

43. და პრქუა მას იესუ: მართლიად გეტყვ შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა მას.

(44) ამ.8,9.

44. და იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ, და ბნელ იქმნა ყოველსა ქუეყანასა ვიდრე ცხრა ჟამადმდე.

45. დაბნელდა მზე, და განიპო ეზოჲ ტაძრისაჲ მის ორგან.

(46) ფს.30,6.

46. და ჳმა-ყო იესუ ჳმითა დიდითა და თქუა: მამაო, ჳელთა შენთა შეეჳვედრებ სულსა ჩემსა. ესე ვითარცა თქუა, აღმოუტევა სული.

47. ვითარცა იხილა ასისთავმან, რაჲ-იგი იქმნა, ადიდებდა ღმერთსა და თქუა: ნანდვლვე კაცი ესე მართალ იყო.

48. და ყოველნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ხილვასა მას და რაჲ-იგი იქმნა, იცემდეს მკერდსა და გარეუკუნიქცეოდეს.

49. დგეს ყოველნი მეცნიერნი მისნი შორსგანრე, და დედანი იგი, რომელნი მოსდევდეს მას გალილეათ, ხედვიდეს მას.

(50) მ. 27,57.

მრ.15,43.

ი.19,38.

50. და, აჳა, კაცი ერთი, რომელსა ერქუა იოსეფ, რომელი-იგი იყო მთავარმზრახვალთაგანი, კაცი კეთილ და მართალ,

51. ესე არა შერთულ იყო ზრახვასა და საქმესა მათსა, რომელი-იგი იყო არიმათიათ, ქალაქით ჰურიასტანით, რომელ-იგიცა მოელოდა [სასუ]-ფეველსა ღმრთისასა.

52. (ე)სე წარდგა წინაშე პილატესა და მოითხოვნა კორცნი იესუმსნი,

53. და გარდამოიხუნა და წარგრაგნა არდაგსა და დადვა იგი გამოკუეთილსა მას სამარესა, რომელსა არავინ დადებულ იყო.

54. და დღე იგი იყო პარასკევ და განთენებოდა შაფათა(ღ).

55. (და) მისდევდეს მას დედანი იგი, რომელნი მოსრულ იყვნეს მის თანა გალილეათ; ხედვიდეს სამარესა მას, და ვითარ დასხნეს კორცნი მისნი,

56. წარვიდეს და დამზადეს საკუმეველი და ნელსაცლებელი და შაფათსა მას დადუმნეს მცნებისა მისთვის. (56)გამ.20,10.

24

1. ხოლო ერთშაფათსა მას, მსთუად განთიად მოვიდეს სამარესა მას, მოიღეს საკუმეველი იგი, რომელ დამზადეს, და სხუანიცა დედანი მათ თანა. (1) მ.28,1. მრ.16,1.ი.20,1. (6) მ.27,22.

2. და პოეს ლოდი იგი გარდაგორვებული სამარისა მისგან.

3. და შევიდეს შინა, არა პოვნეს კორცნი იგი უფლისა იესუმსნი.

4. და იყო დაკრვებასა მათსა მისთვის, და, აჰა, ორ კაც გამოჩნდეს სამოსლითა ბრწყინვალითა.

5. და ვითარ შეშინებულ იყვნეს, დავარდეს პირსა ზედა თვისსა ქუეყანად; პრქუეს მათ: რაჲსა ეძიებთ ცხოელსა მას მკუდართა თანა?

6. არა აქა არს, არამედ აღდგა. მოიკსენეთ, ვითარ-იგი გეტყოდა თქუენ, ვიდრე იგი იყო გალილუას.

7. და თქუა, ვითარმედ: თანააც ძესა კაცისასა მიცემად კელთა კაცთა ცოდვილთასა ჯუარ-ცუმად და მესამესა დღესა აღდგომად. (7) მრ.9,31. ლ.9,22.

8. და მოიკსენნეს სიტყუანი მისნი.

9. და მიექცეს და მიუთხრეს ესე ყოველი ათერთ-მეტთა მათ და სხუათა ყოველთა.

10. და იყვნეს მარიამ მაგდანელი და იოშანა და მარიამ იაკობისი და სხუანი იგი მათ თანა, რომელთა უთხრეს ესე მოციქულთა მათ.
11. და უჩნდეს მათ წინაშე, ვითარცა სიჩქურე, სიტყუანი მათნი და არა პრწყმენა მათი.
- (12) ი.20,6. 12. ხოლო პეტრე აღდგა, მირბიოდა სამარესა მას და შთახედნა და იხილნა მჩუარნი იგი ხოლო, რომელ ისხნეს, და წარვიდა გონებასა თუსსა დაკრევებული საქმისა მისთუს.
- (13) მრ.16,20. 13. და, აჰა, ორნი მათგანნი მივიდოდეს მასვე დღესა შინა დაბასა ერთსა, რომელი შორავს იერუსალჴმსა ასსამეოც ასპარეზ, და იყო სახელი მისი ემმაუს.
14. და იგინი იტყოდეს ურთიერთას ყოველთა მათთუს ყოფილთა.
15. და იყო, იტყოდეს რაჲ ურთიერთას და გამოეძიებდეს, თავადი იესუ მიეახლა და მივიდოდა მათ თანა.
16. და თუალნი მათნი შეპყრობილ იყვნეს, რაჲთა არა იცნან იგი.
17. და პრქუა მათ: რაჲ არიან სიტყუანი ეგე, რომელთა პჯდებით ურთიერთას გზასა მაგას და მწუხარე ხართ?
18. მიუგო ერთმან მათგანმან, რომელსა სახელი ერქუა კლეოპა, და პრქუა მას: შენ ხოლო მწირ ხარ იერუსალჴმს და არა აგრძენ, რაჲ იქმნა მას შინა დღეთა ამათ შინა?
- (19) მ.21,11.
ლ.7,16. ი.3,2;
6,14. სქ2,22. 19. და პრქუა მათ: რომელი? — და მათ პრქუეს: იესუჲსთუს ნაზორეველისა, რომელი-იგი იქმნა კაც წინაწარმეტყუელ, ძლიერ საქმითა და სიტყუათა წინაშე ღმრთისა და ყოვლისა მის ერისა.
20. ვითარ მისცეს იგი მღდელთმობლუართა მათ და მთავართა ჩუენთა სასჯელსა მას სიკუდილისასა და ჯუარს-აცუეს.
- (21) ლ.2,25. სქ
26,6. 21. და ჩუენ ვესევედით, ვითარმედ იგი არს, რომელმან იცხნეს ისრაჴლი: და ამას ყოველსა ზედა ესე მესამე დღე არს, ვინაჲთგან იქმნა.

11. სიტყუანი C. 13. იმ-ღმსა C. 16. თუალნი C. 17. სიტყუანი C. 18. ი-მღმს C: მას შინა ქმშინ C. 2. წინაწარმეტყუელ C. 20. -აცუეს C. 21. იცხნა C.

22. არამედ დედათაცა ვიეთმე ჩუენგანთა დამაკრვეს ჩუენ, რომელნი მსთუად განთიადსა მას მივიდეს სამარესა მას

23. და არა პოვნეს ჯორცნი მისნი. მოვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ხილვაჲ ანგელოზთაჲ ვიხილეთ, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: ცხოველ არს.

24. და წარვიდეს რომელნიმე ჩუენგანნიცა სამარესა მას და პოეს ეგრევე, ვითარცა დედათა მათ თქუეს, ხოლო იგი ვერ იხილეს.

25. და მან პრქუა მათ: მ, უგუნურნო და დაშ-
თომილნო სარწმუნოებასა ყოველთა, რომელთა
იტყოდეს წინააღმართმეტყუელნი იგი!

(25)დ.3,15;22,18;
49,10-11. რცხ.
21,9. ფს.21,7;
68,10;21,27. ეს.
50,6;53,3.

26. არა მითვე ყოვლითა ჯერ-იყო ვნებად ქრისტესა და შესლვად დიდებასა თქსა?

(26) ფს. 15,8-10.
ეს. 40,10. იერ.
23,5;33,15.

27. და იწყო მოსჭსითგან და ყოველთა წინაწარმეტყუელთა და გამოუთარგმანებდა მათ ყოველთა წიგნთაგან, რომელთა წერილ არს მისთს.

ესკ. 34,23;
37,24. დან.
9,24. მიქ. 7,20.

28. ვითარცა მიეახლნეს დაბასა მას, რომელსა მივიდოდეს, და მან მიზეზ-ყო შორადრე წარსლვად.

29. და აძულეს მას და პრქუ(ეს): ჩუენ თანა იყავ, რამეთუ მწუხრ და მიდრეკილ არს მზე. — და შევი-
და დაყოფად მათ თანა.

30. და იყო, ვითარცა ინაკ-იდგა მათ თანა, მოილო პური, აკურთხა, განტეხა და მისცა მათ.

31. და თუაღნი მათნი განეხუნეს და იცნეს იგი. და იგი მიეფარა მათგან.

32. და იტყოდეს ურთიერთას: არა გულნი ჩუენნი განჯურვებულ იყვნეს, ვიდრე-იგი გუეტყოდა ჩუენ და ვითარ განგვმარტებდა ჩუენ წიგნებსა?

33. და აღდგეს მასვე ჟამსა და მიიქცეს იერუსალმდ და პოვნეს შეკრებულ ათერთმეტნი იგი და რომელნი მათ თანა იყვნეს,

34. რომელთა ჰკითხეს მათ, ვითარმედ: ნანდკლ აღდგა უფალი და ეჩუნა სიმონს.

27. წინაწარმეტყუელთაჲ C: რომელთაჲ C 29. აძულეს C 31. თუაღნი C 33. ი-მდ C

(36) მრ.6,14.
ი. 20,19.
სქ 13,31. 1
კორ. 15,5.

35. და იგინი უთხრობდეს მათ, რაჲ-იგი მგზავრ იყო და ვითარ გამოეცხადა მათ განტეხასა მას პურისასა.

36. ვიდრე იგინი ამას იტყოდეს ოდენ, თავადი იესუ დადგა შორის მათსა და პრქუა მათ: მშჳდობაჲ ჩემი თქუენ თანა! მე ვარ, ნუ გეშინინ!

37. შეძრწუნდეს და შეშინდეს, ჰგონებდეს, ვითარმედ საუცარ რაჲმე ეჩუენა.

38. და პრქუა: რაჲსა შესძრწუნდებით, და რაჲსა ზრახვანი შევლენან გულთა თქუენთა?

39. იხილენით კელნი ჩემნი და ფერკნი, რამეთუ მე იგივე ვარ. კელი შემახეთ და მიხილეთ, რამეთუ სულსა ხოლო ვორც და ძუალ არა არნ, ვითარცა-ესე მე მხედავთ, რამეთუ ჩემ თანა არს.

40. დაესე ვითარცა თქუა, უჩუენნამათ კელნი და ფერკნი.

41. და ვიდრე ორგულებდესლა სიხარულითა მით და უკვრდა, პრქუა მათ: გაქუს რაჲ აქა ჭამად?

42. და მათ მიუპყრეს თევზისა მწუარისაჲ და გოლი თაფლი.

43. და მოილო, ჭამა მათ წინაშე და ნეშტი იგი მისცა მათ

(44) მ. 16,21.

44. და პრქუა მათ: სიტყუანი ესე არიან, რომელთა გეტყოდე თქუენ, ვიდრე თქუენ თანა ვიყავ, ვითარმედ: ჯერ-არს აღსრულებად ყოველთა მათ წერილთაჲ მჯუულსა მას მოსესსა და წინაწარ-მტყუელთასა და ფსალმუნთასა ჩემთს.

(456) ი. 5,39.

45. მაშინ განუხუნა გონებანი მათნი გულისხმის-ყოფად წიგნებისა

(46) ეს. 53,4.
ლ. 24,27.

46. (და) პრქუა მათ, რამეთუ: ესრე ჯერ-იყო ვნებად ქრისტჳსა და აღდგომად მკუდრეთით მესამესა დღესა

47. და ქადაგებად სახელითა მისითა სინანული და მიტევებაჲ ცოდვათაჲ ყოველთა მიმართ ნათესავთა, იწყო იერუსალჳმით,

48. და თქუენ მოწამე ხართ ამას ყოველსა.

(49) ი. 14,16;
15,26; სქ 1,4,8.

49. და, აჰა, მე მივაგლინებ აღთქუმასა მამისა ჩემისასა თქუენ ზედა. და თქუენ დასხედით ქალაქსა ამას იერუსალჳმსა, ვიდრემდე შთაიციუათ ძალი მალლით.

41. უკვრდა C. 43. წინაწარმტყუელთასა C. 45. გულისხმის- C. 47. ი-მღმთი C. 49. ი-მღმთა C.

50. გამოიყვანნა იგინი ბეთანიადმდე და აღიპყრნა
კელნი თუსნი და აკურთხნა იგინი.

51. და იყო, კურთხევასა მას ოდენ განეყენა მათგან. (51) მრ. 16, 19.

52. და მათ თაყუანის-სცეს მას, მიიქცეს იერუ-
სალმდ სიხარულითა დიდითა. სქ 1, 9.

53. და იყვნეს მარადის ტაძარსა მას შინა (და
აკურთხე(ვდეს) ღმერთსა.

{სახარება იოვანე}სი

1

- (1) იგ. 8, 22. 1 იო 1, 1-2. 1. პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთ იყო სიტყუაჲ იგი.
- (3) დ. 1, 3. ფს. 32, 6. 2. ესე იყო დასაბამითგან ღმრთისა თანა.
- (5) ი. 3, 19. 3. ყოველივე მის მიერ იქმნა, და მისსა გარეშე არარაჲ იქმნა, რომელ-რაჲ იქმნა.
- (6) მ. 3, 1. 4. მის მიერ ცხორებაჲ იყო და ცხორებაჲ იგი იყო ნათელ კაცთა.
- (9) ეხ. 60, 1. 5. და ნათელი იგი ბნელსა შინა ნათობს, და ბნელი იგი მას ვერ ეწია.
- (11) მ. 15, 24. 6. და იყო კაც ერთ მოვლინებულ ღმრთისა მიე(რ), და სახელი მისი იოვანე.
- (12) რომ. 8, 15. გლტ. 3, 26. 7. ესე მოვიდა წამებად, რაჲთა წამოს მის ნათლისათჳს, რაჲთა ყოველთა პრწმენეს მის გამო.
- (13) ი. 3, 5. 8. არა თუ იგი იყო ნათელი, არამედ რაჲთა წამოს მის ნათლისათჳს.
- (14) მ. 1, 16; 17, 2. ი. 17, 24. 2. კორ. 3, 9. ებრ. 2, 11. 9. ხ- იყო ნათელი იგი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად.
- (15) მ. 3, 11. 10. სოფელსა ამას იყო, და სოფელი მის მიერ იქმნა, და სოფელმან იგი არა იცნა.
11. თჳსთა მათ მოვიდა, და თჳსთა მათ არა შეიწყნარეს.
12. ხოლო რომელთა შეიწყნარეს იგი, მისცა მათ კელმწიფებაჲ ნაშობ ღმრთის ყოფად, რომელთა პრწმენეს სახელი მისი.
13. რომელნი არა სისხლთაგან და არცა ნებითა კორცთაჲთა და არცა ნებითა მამაკაცისაჲთა, არამედ ღმრთისა მიერ იშვნეს.
14. და სიტყუაჲ იგი კორციელ იქმნა და დაემკდრა ჩუენ თანა, და ვიხილეთ დიდებაჲ მისი, დიდებაჲ ვითარცა მხოლოდშობილისაჲ მამისა მიერ, სავსე მადლითა და ჭეშმარიტებითა.
15. იოვანე წამებს მისთჳს, ლაღატ-ყო და თქუა: ესე იყო, რომლისათჳს ვთქუ: რომელ-იგი ჩემსა შემდგომად მოსლვად არს, წინა ჩემსა იყო, რამეთუ იყოვე წინა ჩემსა.

16. რამეთუ სავსებისა მისისაგან მოვიღეთ ჩუენ ყოველთა მადლი მადლისა წილ (16) ეფ.1,6. კლს.1,19.
17. რამეთუ შჯული იგი ჳელითა მოსესითა მოეცა, მადლი და ჳეშმარიტებაჲ იესუ ქრისტეს მიერ იქმნა. (17) გამ.20,1. რომ.3,24.
18. ღმერთი ვერვინ სადა იხილა, გარნა მხოლოდ შობილმან ძემან, რომელ არს წიაღთა მამისათა, მან გამოთქუა. (18) გამ/33,20. 1 ი.4,12. 1 ტმ. 6,16.
19. (ღ) ა ესე არს წამებაჲ იოვანესი, რაჟამს მიავლინეს მისა პურიათა იერუსალჳმით მღდელნი და ლეეიტელნი, რაჲთა ჳკითხონ მას, ვითარმედ: ვინ ხარ? (19) ი.5,33.
20. და აღიარა და არა უვარ-ყო; აღიარა, ვითარმედ: მე არა ქრისტჳ ვარ. (20) ი.3,28. სქ 13,25.
21. და ჳკითხეს მას: უკუეთუ ვინ ხარ შენ? ელია ხარ? და პრქუა: არა. წინაწარმეტყუელი იგი ხარ შენ? მიუგო: არა.
22. უკუე მითხარ ჩუენ, ვინ ხარ შენ, რაჲთა მიუთხრათ მომავლინებელთა მათ ჩუენთა, რაჲ ვპრქუათ შენთვის?
23. მე ჳმაჲ ღალადებისაჲ უდაბნოსა: წრფელ-ყავთ გზაჲ უფლისაჲ, ვითარცა თქუა ესაჲა წინა-მსწარმეტყუელმან. (23) ეს. 40,3. მ.3,3. მრ. 1,3.
24. და რომელნი-იგი მიევლინეს, ფარისეველთა მათგანნი იყვნეს.
25. ჳკითხეს მას და პრქუეს: და რაჲსა ნათელ-სცემ, უკუეთუ შენ არა ხარ ქრისტჳ და არცა ელია და არცა წინაწარმეტყუელი იგი?
26. მიუგო მათ იოანე და პრქუა: მე ნათელს-გცემ თქუენ წყლითა; შორის თქუენსა დგას, რომელი-იგი თქუენ არა იცით,
27. რომელი-იგი ჩემსა შემდგომად მოსლევად არს, რომლისა არა ღირს ვარ, ვითარმცა განუჳსნენ საბელნი ჳამლთა მისთანნი.
28. ესე ბეთაბრას იყო, წიაღ იორდანესა, სადა-იგი იოვანე ნათელს-სცემდა.
29. ხვალისაგან ხედვიდა იესუს, რამეთუ მოვიდოდა მისა, და თქუა: აჳა, ესერა, კრავი იგი ღმრთისაჲ, რომელმან აღჯოცნეს ცოდვანი სოფლისანი.

18. (ღ)-ი. 19. იმ-ღმით. 21. წინაწარმეტყუელი 26. თანხე.

30. ესე არს, რომლისათვის-იგი მე გეგყოდე: შემდგომად ჩემსა მოვალს კაცი, რომელ წინა ჩემსა იყო, რამეთუ იყო წინავე ჩემსა.

31. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რაჟთა გამოეცხადოს ისრაჴლსა, ამისთვის მოვედ მე წყლითა ნათლის-ცემად.

(32) მ.3,16.

მრ.1,10.

ლ.3,22. ი.6,27.

32. წამა იოვანე და თქუა: ვხედვედ სულსა მას, რამეთუ გარდამოვიდოდა, ვითარცა ტრედი, ზეცით და დაადგრა მას ზედა.

33. და მე არა ვიცოდე იგი, არამედ რომელმან მომავლინა მე ნათლის-ცემად წყლითა, მან მრქუა მე: რომელსა ზედა იხილო სული იგი, გარდამომავალი და დადგრომილი მას ზედა, იგი არს, რომელი ნათელ-სცემდეს სულითა წმიდითა.

34. და მე ვიხილე და ვწამე, ვითარმედ ესე არს ძე იგი ღმრთისაჲ.

35. ხვალისაგან დგა იოჰანე და მოწაფეთა მისთაგანნი ორნი.

36. და ხედვიდა იესუს, რამეთუ მოვიდოდა; თქუა: აჰა, ესერა, ქრისტე, კრავი ღმრთისაჲ.

37. ესმა მისგან ორთა მათ მოწაფეთა, რამეთუ იტყოდა, და შეუდგეს იესუს.

38. მიექცა იესუ და იხილნა იგინი, რამეთუ შეუდგეს მას; პრქუა მათ: რასა ეძიებთ? — მათ პრქუეს მას: რაბი, რომელ გამოითარგმანების: მოძღუარ, სადა არს სავანე შენი?

39. პრქუა მათ: მოვედით და იხილეთ. მოვიდეს და იხილეს, სადა იყო სავანე მისი, და მის თანა დაიყოვნეს მას დღესა, რამეთუ ჟამი იყო ვითარ მეთჳ.

40. იყო ანდრია, ძმაჲ პეტრესი, ერთი ორთა მათგანი, რომელთა ესმა იოჰანესგან, და შეუდგეს კუალსა მისსა.

41. პოვა მან პირველ ძმაჲ იგი თუსი სიმონ და პრქუა მას: ვპოვეთ მესია, რომელ გამოითარგმანების: ქრისტე.

42. ამან მოიყვანა ივინი იესუსა. მიხედა მას იესუ და პრქუა: შენ ხარა სიმონ, ძე იონაასი? შენ გერქუას კეფა, რომელ ითარგმანების: კლდჲ.

43. ხვალისაგან, ვითარ უნდა გამოსლვად გალილეად, პოვა ფილიპე და პრქუა მას იესუ: მომდევდ მე. (43) მ.16,18.

44. და იყო ფილიპე ბეთსადაათ, ქალაქით ანდრიაასით და პეტრესით.

45. პოვა ფილიპე ნათანაშლი და პრქუა მას: რომლისათჳს დაწერა მოსე შჯულსა მას და წინაწარმეტყუელთა, ვპოეთ იესუ, ძე იოსეფისი, ნაზარეთით.

46. პრქუა მას ნათანაელ: და ნაზარეთით ეგებისმე რაჲ კეთილი რაჲმე ყოფად? — პრქუა მას ფილიპე: მოვედ და იხილე. (46)დ.49,10.

47. ვითარცა იხილა იესუ ნათანაშლი, რამეთუ მოვიდოდა მისა, თქუა მისთჳს: აჰა, ჭეშმარიტად ისრაშლიტელი, რომლისა თანა ზაკუვაჲ არა არს.

48. პრქუა მას ნათანაელ: ვინაჲ მიცი მე? მიუგო იესუ და პრქუა მას: ვიდრე ფილიპეს მიწოდებადმდე შენდა, რამეთუ იყავ ლელუსა მას ქუეშე, გიხილე შენ.

49. მიუგო ნათანაელ და პრქუა: რაბი, შენ ხარა ძჲ ღმრთისაჲ, შენ ხარ მეუფე ისრაშლისაჲ?

50. მიუგო მას იესუ და პრქუა: ამისთჳს, რამეთუ გარქუ შენ, ვითარმედ: გიხილე შენ ლელუსა მას ქუეშე, და გრწამს, უდიდესილა ამისა იხილო.

51. და პრქუა მას: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: იხილნეთ ცანი განხუმულნი და ანგელოზნი ღმრთისანი, რამეთუ აღვიდოდიან და გარდა-მოვიდოდიან ძესა ზედა კაცისასა.

23ჟ. 18,15.
ფს.39,8. ეს. 4,2;
7,14; 9,5; 40,11;
45,8; 53,1.
იერ. 23,5; 33,14.
ეზკ. 34,23; 37,24.
დან. 9,24. მიქ. 5,1.
ზაქ. 9,9.

(52) დ.28,12.

2

1. და მესამესა დღესა ქორწილი იყო კანას გალილეაჲსასა, და მუნ იყო დედაჲ იესუჲსი.

2. მიხადეს იესუს და მოწაფეთაცა მისთა ქორწილსა მას.

3. და მოკლებასა ღვინისასა პრქუა დედამან იესუს: ღვინო არა აქუნს.
4. პრქუა მას იესუ: რაჲ ძეს შენი და ჩემი, დედაკაცო? არლა მოწვევულ არს უამი ჩემი.
5. პრქუა დედამან მისმან მსახურთა მათ: რაჲ გრქუას თქუენ, ყავთ.
6. მუნ დგეს ტაკუკნი მარმარილოდსანი ექუსნი განსაწმედელად პურიათა მათ; შთაისხის თითო-ეულმან მათგანმან ორ, ანუ თუ სამ საწყაულ.
7. პრქუა მათ იესუ: აღავსენით ტაკუკნი ეგე წყლითა! — და აღავსნეს იგინი.
8. და პრქუა მათ: აღმოიღეთ და მოართუთ პურისა უფალსა და მთავარსა ამის ტაძრისასა! — და მათ მოართუეს.
9. და ვითარცა გემოჲ იხილა მთავარმან მან — წყალი იგი ღვინოდ გარდაქეული, — და არა უწყოდა, ვინაჲ იყო, გარნა მსახურთა მათ ხოლო უწყოდეს, მიუგო სიძესა მას მთავარმან მან მის ტაძრისამან
10. და პქუა: ყოველმან კაცმან კეთილი ღვინოჲ პირველ ამსახურის და, რაჟამს დაითრვნიან, მაშინ ჯერკუალიცა. შენ დაჰმარხე ღვინოჲ კეთილი მოაქამდე.
11. ესე ყო დასაბამ სასწაულთა იესუ კანას გალილეადსასა და გამოაცხადა დიდებოჲ თვისი, და პრწმენა მისი მოწაფეთა მისთა.
12. ამისა შემდგომად შთავიდა იესუ კაფერნაომდ, იგი თავადი და დედაჲ მისი და ძმანი მისნი, და მუნ იყო არამრავალ დღე.
13. და იყო დღესასწაული იგი პურიათაჲ მო-ახლებულ, და აღვიდა იესუ იერუსალჴმდ.
14. და პოვა ტაძარსა მას, რამეთუ ფრდიდეს ზროხასა და ცხოვარსა და ტრედსა, და კერ-მისმცვალებელნი, რამეთუ სხდეს.
15. და ქმნა შოლტი საბლისაჲ და გამოასხა ყოველი ტაძრისაგან: და ცხოვარი და ზროხაჲ; და პილენძი თესლისმოფარდულთა მათ განუბნია და ტაბლები იგი დაამქუა.

(13) 2შჯ. 16, 1.

(14) მ. 21, 12.
მრ. 11, 15.
ლ. 19, 45.

3. ღვინოსასა: ღვინოჲ 7. აღავსენის 8. მოართუეს 10. ღვინოჲ 11. სასწაულთაჲ: კანას 13. ო-მდამდ 14. კერმისმცვალებელნი 15.

16. და რომელნი-იგი ტრედსა ფრდიდეს, პრქუა მათ: განილეთ ეგე ამიერ და ნუ შეიქმთ სახლსა მამისა ჩემისასა სავაჭროდ.
17. მაშინ მოიკსენეს მოწაფეთა მათ მისთა, ვითარმედ წერილ არს: შურმან სახლისა შენისამან შემჭამოს მე. (17) ფს. 68, 10.
18. მიუგეს ჰურიათა მათ და პრქუეს მას: რაჲ სასწაულ გვჩუენო ჩუენ, რამეთუ მაგას იქმ?
19. მიუგო იესუ და პრქუა: დაარღვეთ ტაძარი ესე, და მესამესა დღესა აღეპმართო ეგე. (19) მ. 26, 61; 27, 40. მრ. 14, 58; 15, 29.
20. პრქუეს მას ჰურიათა მათ: ორმოცდაექუსსა წელსა აღიშენა ტაძარი ეგე. და შენ სამსა დღესა) აპმართო ესე?
21. ხოლო იგი იტყოდა ტაძრად ჯორცთა მათ თუსთა.
22. და რაჟამს აღდგა მკუდრეთით, მოეკსენა მოწაფეთა მისი, ვითარმედ ესე არს, რომელსა-იგი იტყოდა, და პრწმენა წერილისაჲ მის და სიტყუსაჲ მის, რომელ თქუა იესუ. (22) ფს. 15, 8. ეს. 55, 3. მ. 17, 23. სქ 2, 25; 13, 34.
23. და ვითარ იყო იერუსალმის დღესასწაულსა მას, მრავალთა პრწმენა სახელი მისი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა იქმოდა.
24. ხოლო თავადი იესუ არას არწმუნებდა თავსა თუსსა მათ ამისთვის, რამეთუ თვთ უწყოდა, რამეთუ ყოველთა უწყოდეს იგი. (24) მ. 9, 4. მრ. 2, 8.
25. და არცა უკმდა რაჲ მას, ვითარმცა წამა ვინმე კაცისა მისთვის, რამეთუ თვთ უწყოდა, რაჲ იყო კაცისა მის თანა. (25) ფს. 7, 10. იერ. 11, 20. ი. 6, 64.

3

1. და იყო კაცი ერთი ფარისეველთა მათგანი, ნიკოდემოზ სახელი მისი, მთავარი ჰურიათაჲ. (1) ი. 7, 50; 19, 39.
2. ესე მოვიდა მისა ღამე და პრქუა მას: რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოვლინებულ ხარ შენ მოძღურად, რამეთუ ვერვის კელ-ეწიფების ესე ვითართა სასწაულთა ყოფად, რომელთა შენ იქმ, არა თუ ღმერთი იყოს მის თანა.

16. ჩემისასა)სახსა C 18. კვჩუენო C. 19. დაარღვეოთ C. 20. აკმართო C. 23. ა-მღმს C.

- (3) იაკ. 1, 18. 1
პეტ. 1, 23. 2
კორ. 5, 17.
გლტ. 6, 15.
ტიტ. 3, 5.
3. მიუგო იესუ და პრქუა მას: მართლიად მართალსა გეტყვ შენ: არა თუ ვინ იშვეს ზეგარდამო, ვერ შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა.
4. პრქუა მას ნიკოდემოზ: ვითარ ეგებობს კაცისა მოხუცებულისა ზეგარდამო შობაჲ? ეგებობსმე მუცელსა დედისა თჳს(ი)სასა მეორედ შესლვად და გამოშ(ო)ბად?
5. მიუგო იესუ და პრქუა: მართლიად მართალსა გეტყვ შენ: უკუეთუ არავინ იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ შევიდეს სასუფეველსა ღმრთისასა.
- (6) რომ. 8, 15.
6. რამეთუ შობილი ჯორცთაგან ჯორც არს, და შობილი სულისაგან სულ არს.
7. შენ ნუ გიკვრნ, რამეთუ გარქუ შენ, ვითარმედ ჯერ-არს თქუენდა შობაჲ ზეგარდამო.
- (8) კლს. 3, 3.
8. რამეთუ ქარი, სადა უნებს, ქრის, და ჳმაჲ მისი გესმის, ხოლო არა უწყი, ვინაჲ მოვალნ, ანუ ვიდრე ვალნ. ეგრეცა ყოველი შობილი სულისაგან.
9. მიუგო ნიკოდემოს და პრქუა მას: ვითარ ეგებობს ეგე ყოფად?
10. მიუგო იესუ და პრქუა: შენ ხარ მოძღუარი ისრაჴლისაჲ და ეგე არა იცი?
11. მართლიად მართალსა გეტყვ შენ, რამეთუ რაჲ უწყით, მას ვიტყვთ, და რაჲ ვიხილეთ, ვწამებთ, და წამებასა მას ჩუენსა არა შეიწყნარებთ.
12. ხოლო აწ ქუეყანისაჲ ესელა გარქუ თქუენ, და არა გრწამს, ვითარ უკუე ზეცისაჲ გრქუა, გრწმენეს?
- (13) იგ. 30, 4.
ი. 6, 62.
13. და არავინ აჯდა ცად, არა თუ რომელი-იგი გარდამოჯდა ზეცით — ძე კაცისაჲ —, რომელ არს ცათა შინა.
- (14) რცხ. 21, 9.
ი. 12, 32.
14. და ვითარცა მოსე აღამაღლა გუელი იგი უდაბნოსა მას, ეგრე ამალღებად ჯერ-არს ძისა კაცისაჲსა,
15. რამეთუ ყოველსა რომელსა პრწმენეს იგი, მიიღოს ცხორებაჲ საუკუნიოჲ.
- (16) ეს. 9, 5. მრ.
16, 16. ი. 6, 40. 1
ი. 4, 9-10.
16. რამეთუ ესრე შეიყუარა ღმერთმან სოფელი, ვიდრემდე ძე თჳსი მხოლოდშობილი მას ზედა მისცა, რამეთუ ყოველსა რომელსა პრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ მიიღოს ცხორებაჲ საუკუნიოჲ.

4. მოტელსა C 5. გეტყუე C 5. სულისაგან C 7. ვიკურნ C 11. გეტყუე C. ვიწყუეთ C 16. მხოლოდშობილი C

17. რამეთუ არა ეგრე მოაგლინა ღმერთმან ძმ თვისი სოფლად, რადთამცა დასაჯა სოფელი, არამედ რადთა იცხნეს სოფელი მის გამო.
18. რომელსა პრწმენეს იგი, არა დაისაჯოს, და რომელსა არა პრწმენეს იგი, აწვე დასჯილ არს, რამეთუ არა პრწმენა სახელი მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისაჲ.
19. და ესე არს სასჯელი, რამეთუ ნათელი მოვიდა სოფლად, რამეთუ შეიყუარეს კაცთა ბნელი უფროჲს ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვნეს საქმენი მათნი ბოროტნი. (19) ი. 1,5;8,12
20. რამეთუ ყოველი რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი და არა მოვიდის ნათლად, რადთა არა ემხილნენ საქმენი მისნი.
21. ხოლო რომელი ჰყოფნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათლად, რადთა განცხადნენ საქმენი მისნი, რამეთუ ღმრთისა მიერ ქმნულ არიან.
22. ამისა შემდგომად მოვიდა იესუ და მოწაფენი მისნი ქუეყანასა მას პურიასტანისასა და მუნ იქცეოდა მოწაფითურთ და ნათელს-სცემდა.
23. მუნ იყო იოჰანეცა ენმნს, მახლობლად სალიმსა, რამეთუ წყალნი მრავალნი იყვნეს მუნ, და მოვიდეს და ნათელს-იღებდეს.
24. რამეთუ არღა შეეგდო იოჰანე საპყრობილესა.
25. ხოლო იყო გამოძიება მოწაფეთა მათ იოვანესთა პურიათა მიმართ განწმედისათჳს.
26. მოვიდეს იოჰანესა და პრქუეს მას: რაბი, რომელი-იგი იყო შენ თანა წიად იორდანესა, რომლისათჳს შენ სწამე, აჰა, იგი ნათელს-სცემს და ყოველნი მივლენან მისა. (26) ი. 1,27.
27. მიუგო იოვანე და პრქუა: ვერშემძლებულ არს კაცი მოღებად თავით თჳსით არარაჲ, არა თუ მოცემულ იყოს მისა ზეცით გარდამო. (27) ი. 6,65.
28. თქუენ თვთი მოწამე ხართ ჩემდა, რამეთუ გარქუ თქუენ, ვითარმედ: არა ვარ მე ქრისტე, არამედ მოვლინებულ ვარ წინა მისა. (28) ი. 1,20. სქ 13,25.

- (29) მ. 22,2.
ფ. 5,25,27. 29. რამეთუ რომლისაჲ არნ სძალი, იგი არნ სიძმ; ხოლო მიყუარი სიძისაჲ მის, რომელი დვან და ისმენნ მისსა, სიხარულით იხარებნ ჳმასა მის სიძისასა. აწ ესე სიხარული, რომელ ჩემი არს, აღსრულებულ არს.
- (31) ი. 8,23.
რომ. 9,5.
ფ. 1,21. 30. მისა ჯერ-არს აღორძინებაჲ და ჩემდა დაკლებაჲ.
- (32) ი. 8,26. 31. ზეგარდამომავალი ყოველთა უყუთა არს. რომელი ქუეყანისა ამისგანი არს, ქუეყანისაგან არს და ქუეყანისასა იტყვს; რომელი ზეცით გარდამოვალს,
- (33) 1 ი. 5,10.
რომ. 3,4. 32. რაჲცა იხილა და ესმა, წამებს, და წამებასა მას მისსა არავინ შეიწყნარებს.
- (34) ი. 1,16.
ფ. 4,7. 33. რომელმან შეიწყნაროს წამებაჲ მისი, აღიბეჭდა, ვითარმედ ღმერთი ჳეშმარიტ არს.
- (35) და 6,7,14.
მ. 28,18. 34. რამეთუ რომელი-იგი ღმერთმან მოავლინა, სიტყუათა ღმრთისათა იტყვს, რამეთუ არა ზომით მისცა ღმერთმან სული იგი.
- (36) აბკ. 2,4. 35. მამასა უყუარს ძე და ყოველი მისცა ჳელთა მისთა.
36. რომელსა ჰრწმენეს ძმ, მიიღოს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და რომელსა არა ჰრწმენეს ძმ, არა იხილოს ცხორებაჲ, არამედ რისხვაჲ ღმრთისაჲ დაადგრეს მას ზედა.

4

- (1) ი. 3,26. 1. ვითარცა გულისხმა-ყო უფალმან, ვითარმედ ესმა ფარისეველთა მათ, რამეთუ იესუ უმრავლესთა დაიმოწაფებს და ნათელ-სცემს უფროჲს იოვანესა,
2. არა თუ თვით იესუ ნათელ-სცემდა, არამედ მოწაფენი მისნი,
3. დაუტევა ჰურიასტანი ქუეყანაჲ და მივიდა მერმე გალილეად.
4. და იყო მისა თანაწარსლვად სამარიასა
- (5) დ. 33,19;
48,22.
ისნ. 24,32. 5. მივიდა იგი ქალაქსა ერთსა სამარიტელთასა, რომელსა სახელი ერქუა სჯქარ, მახლობელად დაბასა მას, რომელ მისცა იაკობ ძესა თვისსა იოსეფს.
6. და მუნ იყო წყაროჲ ერთი იაკობისი, და იესუ, დამაშურალი გზისა მისგან, ჯდა წყაროსა მას თანა. და იყო უამი მეექუსმ.

34. სიტყუათა C. 1. გულისკმა C.

7. მოვალს დედაკაც ერთ სამარიამთ ვსებად წყლისა. პრქუა მას იესუ: მასუ მე.
8. რამეთუ მოწაფენი მისნი შესლულ იყვნეს ქალაქად, რაათა საზრდელი იყიდონ.
9. პრქუა მას დედაკაცმან მან სამარიტელმან: შენ (9) 4 მფ. 17, 24. ჰურიია ხარ, ვითარ ჩემგან სუმად ითხოვ, ლ. 9, 53. დედაკაცისა ამისგან სამარიტელისა? რამეთუ არასადა მიეახლნიან ჰურიანი სამარიტელთა.
10. მიუგო მას იესუ და პრქუა: უკუეთუმცა უწყოდე (10) ეს. 12, 3; შენ ნიჭი იგი ღმრთისაჲ და ვინ არს, რომელი გეტყვს 44, 3. ზაქ. 14, 8. შენ, ვითარმედ: მასუ მე, შენმცა ითხოე მისგან, ქცა ხოლო თუმცა შენ წყალი იგი ცხოელი.
11. პრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, შენ სარწყული არა გაქუს, და ჯურღმული ესე ღრმა არს. აწ ვინაჲ გაქუს შენ წყალი ცხოელი?
12. ნუთუ უდიდეს ხარ შენ მამისა მის ჩუენისა იაკობისა, რომელმან ესე ჯურღმული მოგუცა ჩუენ? და თავადი მაგისგან სუმიდა და ძენი მისნი და საცხოვარი მისი.
13. მიუგო მას იესუ და პრქუა: ყოველი რომელი სუმიდეს მაგის წყლისაგან, მერმცა სწყუროდისვე.
14. ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი ვსცე მას, არა სწყუროდის უკუნისამდე. ხოლო წყალი იგი, რომელი ვსცე მას, ეყოს მას წყარო წყლისა აღმოდინებულისაჲ ცხორებასა მას საუკუნესა.
15. პრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, მეც მე წყალი ეგე, რაათა არა მწყუროდის და არცა მოვიდე აქა ვსებად წყლისა.
16. პრქუა მას იესუ: მივედ და მოხადე ქმარსა შენსა და მოვედ აქა.
17. მიუგო დედაკაცმან მან და პრქუა: არა მივის მე ქმარ. — პრქუა მას იესუ: კეთილად სთქუ, ვითარმედ არა მივის მე ქმარ,
18. რამეთუ ხუთ ქმარ ცვალებულ არს შენდა, და რომელი-იგი აწ გივის, არა არს იგი შენი ქმარი: ეგე მართალი სთქუ.

19. პრქუა მას დედაკაცმან მან: უფალო, ვჰკონებ, ვითარმედ წინაწარმეტყუელ ხარ შენ.
- (20) 2მჯ. 12,6; 16,6. 3მჯ. 9,3. 20. მამანი იგი ჩუენნი მთასა ამას ზედა თაყუანის-სცემდეს, და თქუენ იტყვოთ, ვითარმედ: იერუსალმშმ ხოლო არს ადგილი, სადა ღირს თაყუანის-სცემაჲ.
21. პრქუა მას იესუ: დედაკაცო, შენ გრწმენინ ჩემი, რამეთუ მოვიდენ ჟამნი, რაჟამს არცა მთასა ამას, არცა იერუსალმშმსა თაყუანის-სცემდენ მამა(სა).
- (22) დ. 12,3. 4 მჯ. 17,20. ეს. 2,3. რომ. 9,5. 22. თქუენ თაყუანის-სცემთ მას, რომელი არა იცით, ჩუენ თაყუანის-ვსცემთ, რომელი-იგი ვიცით, რამეთუ კსნა(ჲ) ჰურიათაჲ არს.
23. ხოლო მოვლენან ჟამნი, და აწვე არს, რაჟამს ჭემმარიტნი თაყუანისმცემელნი თაყუანის-სცემდენ მამასა სულითა და ჭემმარიტებითა, რამეთუ მამაჲცა ეგვევითართა თაყუანისმცემელთა ეძიებს.
- (24) 2. კლს. 3,17. ფლპ. 3,3. 24. სული ღმერთ არს, და თაყუანისმცემელთა მისთა სულითა და ჭემმარიტებითა ღირს თაყუანის-სცემაჲ.
25. პრქუა დედაკაცმან მან: უწყი, რამეთუ მესია მოვალს, რომელსა პრქვან ქრისტჲ. რაჟამს მოვიდეს, მან გვთხრას ჩუენ ყოველი. პრქუა მას იესუ: მე ვარ, რომელი-ესე გეტყვ შენ. -- და ამას სიტყუასა მოიწინეს მოწაფენი მისნი და დაუკრდა, რამეთუ დედაკაცსა მას ეტყოდა. ხოლო არა ვინ პრქუა მათგანმან, ვითარმედ: რასა ეძიებ, ანუ რასა ეტყვ მაგას?
28. დაუტევა სარწყული იგი თვის დედაკაცმან მან და შევიდა ქალაქად, პრქუა კაცებსა მას:
29. მოედით და იხილეთ კაცი ერთი, რომელმან მრქუა მე ყოველივე, რაჲცა მექმნა, ნუუკუე იგი იყოს ქრისტჲ იგი?
30. გამოვიდოდეს ქალაქისამისგან და მოვიდოდეს მისა.
31. და ვიდრე არღა მოსრულ იყვნეს მისა, ევედრებოდეს მას და ეტყოდეს მოწაფენი მისნი: მოძღუარ, პური ჭამე!
32. მან პრქუა მათ: მე საჭმელი მაქუს ჭამად, რომელი თქუენ არა იცით.

20. ო. სტომხ. 21. ო. მსა. თაყუანისმცემელნი. ო. თაყუანისმცემელთა ო. 21. ჳემმარიტებითა ო. 25. გუთხრას ო. 26. გერყუ ო. 27. დიას ო. მარქუა ო. 28. სარწყული ო. 29. ო. ლ.

33. იტყოდეს მოწაფენი იგი ურთიერთა(ს): ნუთუ მობართუა ვინ მაგას ჭამად?

34. პრქუა მათ იესუ: ჩემი სა(ჭ)მელი იგი არს, რაფთა ვყ(ო) ნებაჲ მისი, რომელმან მო(მ)ავლინა მე, და აღვა(ს)რულნე საქმენი მის(ნი).

35. არა თქუენ სთქუთ, ვითარმედ: ოთხ თუელა, და მკა(ღ) მოიწიოს? აჰა, გეტყ(ვ) თქუენ: აღიხილენით თუალნი თქუენნი და იხილეთ ყანობირი ეგე, რამეთუ განთეთრებულ არიან და ახან მკად.

36. და რომელმან მომკოს, სასყიდელი მიიღოს და შეკრიბოს ნაყოფი ცხოვრებასა მას საუკუნესა, რაფთა მთესველი იგი და მომკალი იხარებდენ ერთად.

37. ამით არს სიტყუაჲ იგი ჭეშმარიტ, რამეთუ სხუაჲ არს, რომელი სთესავს, და სხუაჲ არს, რომელმან მომკოს.

38. მე წარგავლინებ თქუენ მომკად, რომელსა არა თქუენ შუერით, სხუანი დაშურეს, და თქუენ ნაშრომსა მათსა შეხუდით. (38) მათ 9,37. ლ. 10,2.

39. და ქალაქისა მისგან სამარიტელთაჲსა მრავალთა პრწმენა იგი სიტყუთა დედაკაცისა მის წამებითა, ვითარმედ: მრქუა მე ყოველივე, რაფცა მექმნა.

40. და ვითარცა მოვიდეს მისა სამარიტელნი იგი, ევედრებოდეს მას ყოფად მათ თანა. და იყო მუნ ორ დღე.

41. და უფროჲს და უმეტეს მრავალთა პრწმენა მისი სიტყუათა მისთათს.

42. და ეტყოდეს დედაკაცსა მას: არა ამიერითგან სიტყუთა შენითა გურწამს, რამეთუ ჩუენ თვთ გუესმის მაგისგან და უწყით, რამეთუ ეგე არს ჭეშმარიტად მცხნელი სოფლისაჲ.

43. და ორისა დღისა შემდგომად მოვიდა მიერ და წარვიდა გალილეად. (43) მ.4,12. მრ. 1,14.

44. რამეთუ თვთ თავადმან წამა, ვითარმედ: წინაწარმეტყუელი თვისსა სოფელსა შეურაცხ არნ. (44) მ.13,57. მრ. 6,4. ლ.4,24.

35. ე- (ღ) C. თუალნი C 37. სხუა' C 38. შეხუდით C 10. მისსა C 33. მობართუა C 42. გუესმის C 44. წინაწარმეტყუელი C

45. ხოლო რაჟამს-იგი მივიდა გალილეად, შეიწყნარეს იგი გალილეველთა მათ, რამეთუ ეხილვაცა მრავალი სასწაული, რომელ ქმნა იერუსალჴმს დღესასწაულსა მას, რამეთუ იგინიცა მისრულ იყვნეს დღესასწაულსა მას.

(46)ი.2,11.

46. მივიდა მერმე კანას გალილეადსასა, სადა-იგი გარდააქცია წყალი ღვინოდ. და მუნ იყო სეფეწულ ერთ, რომლისა ძმ თვისი იღვა სნეული კაფერნაომს.

47. მას ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოსლულ არს პურიასტანით გალილეად, მოვიდა მისა და ევედრებოდა, რაათა გარდავიდეს და განკურნოს ძმ იგი მისი, რამეთუ მიახდა სიკუდიდ.

48. პრქუა მას იესუ: უკუეთუ ნიშ და სასწაულ არა იხილოთ, არა გრწმენეს.

49. პრქუა მას სეფეწულმან მან: უფალო, გარდამოვედ, ვიდრე არღა მომკუდარ არს ყრმაჲ იგი ჩემი.

50. პრქუა მას იესუ: ვიდოდე, ძე იგი შენი ცოცხალ არს. — და პრწმენა კაცსა მას სიტყუად მისი, რომელ პრქუა, და წარვიდა.

51. და ვითარ გარდამოვიდოდა, მოეგებვოდეს მას მონანი მისნი სიხარულით და თქუეს, ვითარმედ: ყრმაჲ იგი შენი ცოცხალ არს. ჰკითხვიდა მათ ჟამისა მისთჳს: რომელსა მოჰქარდა? — პქუეს მას: გუ-შინ მეშუდესა ჟამსა დაუტევა იგი სიცხემან.

53. მოეგონა მამასა მისსა ჟამი იგი, რომელსა პრქუა მას იესუ, ვითარმედ: ძე შენი ცოცხალ არს. და პრწმენა მას თავადსა და ყოველსა სახლსა მისსა.

54. ესე მერმე მეორე სასწაული ყო იესუ, მოსრულ პურიასტანით გალილეად.

5

1. ამისა შემდგომად დღესასწაული იყო პურიათაჲ, და აღვიდა იესუ იერუსალჴმდ.

2. და იყო იერუსალჴმს ცხოვართსაბანელსა მას, რომელსა ერქუმის ჰებრაელეპრ ბეთესდა, ხუთ ეზოდ იყო,

45. ი-წლმს C. 46. კანას C. გალილეუადსა C. 48. არაჲ C. 50. სიტყუად C. 53. და + და C. 1. იმ-მდ C. 2. იმ-ლმს C

3. რომელსა დავრდომილი ისხა სიმრავლჳ ფრიად სნეულთაჲ, ბრმათაჲ, განკმელთაჲ, მკელობელთაჲ, რომელნი მოელოდეს წყლისა მის აღმრლუევასა.

[[4.]]

5. და მუნ იყო კაცი ერთი, რომელსა ათურამეტი წელი დაეყო სნეულებასა შინა.

6. იგი ვითარცა იხილა იესუ, რამეთუ დავრდომილი იდგა, უწყოდა, რამეთუ მრავალი ჟამი დაეყო მუნმდე, პრქუა მას: გნებავს, ვითარმცა ცოცხალ იქმენ?

7. პრქუა მას სნეულმან მან: უფალო, კაც არა ვინ მაქუს, რაჲთა, რაჲჲმს წყალი ესე აღიმრლუეს, შთამცა-მაგდო ს.ა.ბ.ანელსა მას. ვიდრე მე მივტონტმანებდი, სხუაჲ ჩემსა უადრეს შთაჯდის.

8. პრქუა მას იესუ: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და წარვედ!

9. და განიკურნა კაცი იგი და აღდგა, აღილო ცხედარი თვისი და იქცეოდა. და იყო შაფათი დღე იგი.

10. პრქუეს პურიათა მათ განკურნებულსა მას: (10) იერ. 17, 22. შაფათი არს და არა წეს იყო შენდა აღკიდებად ცხედრისა მაგის.

11. მიუგო და პრქუა მათ: რომელმან-იგი განმკურნა, მან მრქუა მე: აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე.

12. ჰკითხვიდეს მას: ვინ არს კაცი იგი, რომელმან გრქუა შენ: აღილე ცხედარი შენი და იქცეოდე?

13. ხოლო განკურნებულმან მან არა უწყოდა, ვინ იყო, რამეთუ იესუ მიპრიდა ამბოხისა მისგან მოადვილსა მას.

14. ამისა შემდგომად პოვა იგი იესუ ტაძარსა მას და პრქუა მას: აჰა, ეგერა, განკურნებულ ხარ, ნულარა სცოდავ, რაჲთა არა უძრესი გეყოს.

15. წარვიდა კაცი იგი და უთხრა პურიათა მათ, ვითარმედ: იესუ იყო, რომელმან-იგი განმკურნა მე.

16. და ამისთვის სდევნიდეს იესუს პურიანი იგი, რამეთუ ამას იქმოდა შაფათსა შინა.

17. მიუგო მათ იესუ: მამაჲ ჩემი მოაქაჟამადმდე იქმნ და მეცა ვიქმ. (17) ი. 9, 4; 14, 10.

(18) ი.7,30.

18. ამისთვის უფროდს ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად, რამეთუ არა ხოლო შაფათია დაჯსნისათვის, არამედ რამეთუ მამად თვისა იწმებდა ღმერთსა და თავსა თვისსა ასწორობდა ღმერთსა.

19. მიუგო იესუ და პრქუა მათ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: ვერ კელ-ეწიფების ძესა კაცისასა საქმედ თავით თვისით არარაჲ, არა თუ იხილის, რასა მამად იქმნ, რამეთუ რასაც იგი იქმს, მისა მსგავსადცა ძჳ იქმს.

20. რამეთუ მამასა უყუარს ძე და ყოველსავე უჩუენებს მას, რასაცა იგი იქმს, და უდიდესლა ამისსა უჩუენნეს მას საქმენი, რაჲთა თქუენ გიკვრდეს.

21. რამეთუ ვითარცა მამამან აღადგინნეს მკუდარნი და ცხოელ-ყვნეს, ეგრეცა ძემან, რომელთაჲ უნდეს, ცხოელ-ყვნეს.

(22) მ.28,18. სქ
13,31. 1
ქეტ.4,5.
(23) 1 ი.2,23.

22. და არცა მამად შჯიდეს ვის, არამედ სასჯელი ყოველი მისცა ძესა,

23. რაჲთა ყოველნი პატივისა უყოფდენ ძესა, ვითარცა პატივისა უყოფენ მამასა. რომელმან აღიღოს ძე, აღიღოს მამაცა, მომავლინებელი მისი.

24. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელმან სიტყუაჲ ჩემი ისმინოს და პრწმენეს იგი, რომელმან მომავლინა მე, მიიღოს ცხოვრებაჲ იგი საუკუნოჲ, და სასჯელსა არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს სიკუდილისაგან ცხოვრებად.

25. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ მოვალს ჟამი, და აწვე არს, ოდეს მკუდართა ესმოდის კმაჲ ძისა მის ღმრთისაჲ: და რომელთა ესმოდის, ცხონდენ.

26. რამეთუ ვითარცა მამასა აქუს ცხოვრებაჲ თავისა თვისისა თანა, ეგრევე მისცა ძესა, რაჲთა აქუნდეს ცხოვრებაჲ თავისა თვისისა თანა.

(27) და6.7,14.

27. და კელმწიფებაჲ მოსცა მას, რაჲთა შჯიდეს, და რამეთუ ძე კაცისაჲ არს.

(28) ეს.26,19.
დან.12,2. 1
კორ. 15,52.

28. ესე რაჲსა გიკვრს? რამეთუ მოვიდეს ჟამი, რომელსა ყოველნი რომელნი ისხნენ სამარეებსა, ისმინონ კმისა მისისაჲ.

18. ასქარობდაC 21 მსისნC. 21. უყოფდესC. 23. ჟამნიC. ისხნენ|ისხნენ C.

29. და გამოვიდოდინან კეთილისა მოქმედნი (29) მ.25,46.
 აღდგომად ცხორებისად, და ძვრისა მოქმედნი — გცხ.14,11.
 აღდგომად სასჯელისად.
30. არა კელ-მეწიფების მე თავით ჩემით არარაჲ, (30) მ.26,39.
 არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი. და სასჯელი ჩემი
 მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა,
 არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისასა.
31. უკუეთუ მე ვწამო ჩემთვის, და წამებაჲ ჩემი არა
 ჭეშმარიტ არს.
32. სხუაჲ არს, რომელი წამებს ჩემთვის, და თქუენ (32) მ. 3,17.
 იცით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი, რომელ
 წამა ჩემთვის.
33. თქუენ მიუვლინეთ იოვანესა, და ვ-ი ჭეშ-
 მარიტებისა მისთვის.
34. ხოლო მე არა კაცისაგან მოვიღებ წამებასა,
 არამედ ამას ვიტყვ, რაჲთა თქუენ განერნეთ.
35. იგი იყო სანთელი, რომელი აღნთებული
 ნათობდა, და თქუენ ინებეთ უამ ერთ მხიარულ-
 ყოფაჲ ნათელსა მისსა.
36. ხოლო მე მაქუს წამებაჲ უფროჲს იოვანესა,
 რაჲთა საქმენი იგი, რომელ მომცნა მამამან, რაჲთა
 აღეასრულნენ იგინი. იგივე საქმენი, რომელთა ვიქმ,
 წამებენ ჩემთვის, რამეთუ მამამან მომავლინა მე.
37. და რომელმან მომავლინა მე მამამან, იგი წამებს
 ჩემთვის. თქუენ არასადა კმაჲ მისი გესმა და არცა
 ელვაჲ მისი გიხილავს.
38. და არცა სიტყუანი მისნი არიან თქუენ შორის
 დამკვდრებულ, რამეთუ რომელი მან მოავლინა,
 თქუენ არა გრწამს.
39. გამოიძიეთ წიგნები, რამეთუ თქუენ ჰგონებთ (39) 2მჯ. 18,15.
 მათ გამო დაპყრობად ცხორებისა მის საუკუნოჲსა;
 ეს. 9,4; 53,1.
 და იგინი არიან, რომელნი წამებენ ჩემთვის,
 რომლითა ჰგონებთ ჩემთვის დაპყრობად ცხორებისა.
40. და თქუენ არა ვნებავს მოსლვად ჩემდა, რაჲთა (40) ი.1,11;3,19.
 ცხორებაჲ გაქუნდეს.
41. მე დიდებასა კაცთაგან არა მოვიღებ.

42. არამედ გიცნი თქუნ, რამეთუ სიყუარული ღმრთისაჲ არა გაქუს.

43. მოვედ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, და არა შემიწყნარებთ მე. სხუად თუ ვინმე მოვიდეს თვისითა სახელითა, იგი შეიწყნაროთ.

(44) ი.12,43.

44. ვითარ შეუძლოთ სარწმუნოებად, რამეთუ დიდებასა ურთიერთას მიიღებთ და დიდებასა მხოლოდსა ღმრთისასა არა ეძიებთ?

(45) დ.3,15;
12,3; 18,18;
49,10; 22,18,15

45. ნუ ჰგონებთ, ვითარმცა მე ძკრისმეტყუელ-რაჲმე-ვყავ თქუნთვს წინაშე ღმრთისა; არს, რომელი ძკრისმეტყუელ არს თქუნთვს, მოსე, რომელსა-იგი თქუნ ესავთ.

46. უკუეთუმცა თქუნ გრწმენა მოსესი, გრწმენამცა ჩემიცა, რამეთუ მან ჩემთვს დაწერა.

47. უკუეთუ მისთაჲ მათ დაწერილთაჲ არა გრწამს, ვითარ ჩემთა ამათ სიტყუათაჲ გრწმენეს?

6

1. ამისა შემდგომად წარვიდა იესუ წიად ზღუასა მას გალილეაჲთ კერძო ტიბერიაჲსასა.

2. და შეუდგა მას ერი მრავალი, რამეთუ ხედვიდეს სასწაულთა მათ, რომელთა ჰყოფდა სნეულთა ზედა.

3. აცდა მთასა იესუ და მუნ დაჯდა მოწაფითურთ.

(4) გამ.12,18.

4. და იყო მოახლებულ დღესასწაული იგი პურიათაჲ.

(5) მ.14,16.
მრ.6,35-36.
ლუკმ9,12.

5. აღიხილნა თუალნი თვისნი იესუ და იხილა ერი მრავალი, რომელ მოვიდოდა მისა. რქუა ფილიპეს: ვინაჲ უყიდოთ პური, რაჲთა ჭამონ?

6. ამას ეტყოდა გამოცდით, ხოლო თვთ უწყოდა, რაჲ-იგი ეგულეზოდა ყოფად.

7. მიუგო მას ფილიპე: ორასისა დრაჰკნისაჲ პური ვერ ეყოს მათ, და ღათუ თითოეულად მცირედ რაჲ მიიღონ.

8. რქუა მას ერთმან მოწაფეთაგანმან, ანდრია, ძმამან სვმონ-კლდისამან:

9. არს აქა ყრმაჲ ერთი, რომელსა აქუს ხუთ ცუეზა ქრთილის და ორ თევზ, ხოლო ესე რაჲ მყოფ არს ესდენსა ამას?

1. ზღაასა: ტებერიაჲსასა 7. თითოეულად 8. მისამან 9.

10. პრქუა იესუ: ინაჯ-უდგთ კაცებსა მაგას. და იყო დიდად თივლოვან ადგილი იგი, და ინაჯ-იდგა კაცებმა მან, რიცხუთ ხუთ ათასმან.

11. და მოილო პური იგი იესუ, კმადლობდა და განუყო მეინაქეთა მათ. ეგრეცა თევზთა მათგან, რავდენცა უნდა.

12. და ვითარცა განძლეს, პრქუა მოწაფეთა მათ თუსთა: შეკრიბეთ ნეშტი ნამუსრევისაჲ მაგის, რაჲთა არაჲ წარწყმდეს.

13. შეკრიბეს და აღავსეს ნამუსრევითა მით ათორმეტი კუელი ხუთთა მათ ქრთილისა პურთაგან, რომელ დაშთა მჭამელთა მათგან. (13) მრ.8,19.

14. ხოლო კაცებმან მან ვითარცა იხილა სასწაული იგი, რომელ ქმნა, იტყოდეს: ჭეშმარიტად ესე არს წინაჲსწარმეტყუელი, რომელი მოსლვად იყოსოფლად. (14) 2მჯ.18,15. მ.11,3.

15. იესუ ვითარცა გულისხმა-ყო, რამეთუ ეგულეობდა წარტაცებაჲ მისი, რაჲთამცა ყუეს მეუფე, მიპრიდა მერმე მთად კერძო მარტომან.

16. და ვითარცა დამწუხრდა, გარდამოჯდეს მოწაფენი მისნი ზღუსკიდესა მას

17. და შესხდეს ნავსა, წიაღვიდოდეს ზღუასა მას კაპარნაუმდ კერძო. და, აჰა, დაბნელდა, და ვიდრე არღა მოწევენულ იყო მათა იესუ, (17) მ.14,22. მრ.6,47,27. მ.3,17.

18. და ზღუაჲ იგი ძლიერთა ქართაგან აღირლოდა. ი.1,32; 10,36.

19. და შესლულ იყვნეს ვითარ ოცდახუთ ოდენ ასპარეზ, ანუ ოცდაათ, ხედვიდეს იესუს, რამეთუ ვიდოდა ზღუასა მას და მოეახლა ნავსა მას. შეპრწუნდეს დიდად.

20. და პრქუა მათ: მე ვარ, ნუ გეშინინ!

21. და უნდა აღსლვაჲ მისი ნავსა მას. და მეყსეულად მიიწია ნავი იგი ქუეყანასა მას, რომელსა მივიდოდეს.

22. ხვალისაგან ერი იგი, რომელ დგა წიაღ ზღუასა მას, ხედვიდა, რამეთუ სხუა ნავ არა იყო მუნ, გარნა ერთი ხოლო, რომელსა შინა იყვნეს მოწაფენი იგი იესუსნი, რამეთუ არა შესრულ იყო იესუ მოწაფეთა მათ თუსთა თანა ნავსა მას, გარნა მოწაფენი იგი ხოლო მისნი წარვიდეს.

16. გარდაიჯდეს C: ზღუსკიდესა C. 17. მათაქითი C.

23. სხუანი ნავნი მოვიდოდეს ტიბერიათ მახლობელად ადგილსა მას, სადა-იგი პური ჭამეს.

24. და ვითარ იხილა ერმან მან, რამეთუ იესუ არა მუნ შინა არს და არცა მოწაფენი მისნი, მიიქციეს ნავი იგი და მივიდეს კაპარნაუმდ მოძიებად იესუჲსა.

25. და ვითარცა პოეს იგი წიად ზღუასა მას, პრქუეს მას: პრაბი, ოდეს მოხუედ აქა?

26. მიუგო მათ იესუ და პრქუა: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: მეძიებდით მე არა თუ სასწაულისა ხილვისათჳს, არამედ რამეთუ ჰჭამეთ პურისა მისგან და განსძელით.

27. წარვედით, იქმოდეთ ნუ წარსაწყმედელსა მას ჭამადსა, არამედ საჭმელსა მას, რომელი დაშთეს ცხორებასა მას საუკუნესა, რომელი ძემან კაცისამან მოგცეს თქუენ, რამეთუ ესე მამამან დაჰბეჭდა ღმერთმან.

28. პრქუეს მას: რაჲ ვყოთ, რაჲთა საქმეთა ღმრთისათა ვიქმოდით?

(29) ი. 17, 3. 1
ი. 3, 23.

29. მიუგო მათ იესუ და პრქუა: ესე არიან საქმენი ღმრთისანი, რაჲთა გრწმენეს იგი, რომელმან მომავლინა მე.

30. ჰქუეს მას: რაჲ სასწაულ ჰყო, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს? რაჲ ჰქმნე?

(31) ფს. 77, 24.
გამ. 16, 14-15.
რცხ. 11, 7.
სბრ. 16, 20. 1
კორ. 10, 3.

31. მამათა მათ ჭამეს მანანაჲ იგი უდაბნოსა მას, ვითარცა წერილ არს: პური ცათაჲ მოსცა მათ ჭამად.

32. პრქუა მათ იესუ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: არა თუ მოსე მოგცა თქუენ პური იგი ზეცით, არამედ მამამან ჩემმან მოგცეს თქუენ პური ზეცით ჭეშმარიტი.

33. რამეთუ პური ღმრთისა მიერ არს, რომელი გარდამოვალს ზეცით და ცხორებასა მისცემს სოფელსა.

34. პრქუეს: უფალო, გუეც ჩუენ პური იგი ყოველსაჲმსა.

(35) ი. 4, 14; 7, 37.

35. ხოლო პრქუა მათ იესუ: მე ვარ პური ცხორებისაჲ: რომელი მოვიდეს ჩემდა, არა შიოდის, და რომელსა ვპრწმენე მე, არასადა სწყუროდის.

23. ტიბერიათი C 24. კაპარნაუმდ C 25. ზღუასა C 27. მამან C 26. თქუენ C 28. ვყო C 30. პრქუეს C 31 მამათ C 32. მამან C 35. მსწეროდის C

36. არამედ რამეთუ გარქუ თქუნს, რამეთუ: მიხილეთ მე და არა გრწამს.
37. ყოველი, რომელი მომცეს მე მამამან, ჩემდა მოვიდენ: და რომელი მოვიდეს ჩემდა, არა განვაძო გარე.
38. რამეთუ გარდამოვკედ ზეცით, არა თუ ვითარმცა ნებაჲ ჩემი ვყავ, არამედ ნებაჲ მისი, რომელმან მომავლინა მე. (38) მ.26.39. ი.8,29.
39. ესე არს ნებაჲ მომავლინებელისა ჩემისაჲ, რამეთუ ყოველი, რომელი მომცა მე მამამან, არა წარეწყმიდო მათგანი, არამედ აღვადგინო იგი დღესა მას უკუანაჲსკნელსა. (39) ი.10,28.
40. ესე არს ნებაჲ მამისა ჩემისაჲ, რაჲთა ყოველმან, რომელმან იხილოს ძმ და პრწმენეს იგი, მიიღოს ცხორებაჲ საუკუნოჲ, და მე აღვადგინო იგი დღესა მას უკუანაჲსკნელსა.
41. დრტყნვიდეს მისთვის პურიანი იგი, რამეთუ თქუა: მე ვარ პური იგი გარდამოსრული ზეცით,
42. და იტყოდეს: არა ესე არს იესუ, ძმ იოსეფისი, რომლისაჲ ვიცით დედაჲ და მამაჲ? აწ ვითარ იტყვს, ვითარმედ: მე ცით გარდამოვკედ? (42) მ.13,55.
43. მიუგო იესუ და პრქუა მათ: რაჲსა სდრტყნავთ ურთიერთას?
44. ვერვის კელ-ეწიფების მოსლვად ჩემდა, არა თუ მამამან, რომელმან მომავლინა, მიიზიდოს იგი, და მე აღვადგინო იგი დღესა მას უკუანაჲსკნელსა.
45. წერილ არს წინაწარმეტყუელთა: და იყვნენ ყოველნი განსწავლულ ღმრთისა მიერ. ყოველსა რომელსა ესმეს მამისაგან და ისწაოს, მოვიდეს ჩემდა. (45) ეს.54,13. იერ.31,33.
46. არა თუ მამაჲ ვის უხილავს, გარნა რომელი-იგი არს ღმრთისაგან, მან იხილა მამაჲ. (46) მ.11,27.
47. მართლიად მართალსა გეტყვ თქუნს: რომელსა პრწმენეს, მოიღოს ცხორებაჲ იგი საუკუნმ.
48. მე ვარ პური ცხორებისაჲ.
49. მამათა თქუნთა: ჭამეს მანანაჲ უდაბნოსა და მოწყდეს. (49) ი.6,31.

50. ესე არს პური იგი ზეცით გარდამოსრული, რამეთუ რომელმან ჭამოს ამისგან, არა მოკუდეს.

51. მე ვარ პური ცხოველი, რომელი ზეცით გარდამოვკედ. რომელმან ჭამოს პურისა ამისგან, ცხონდეს უკუნისამდე. და პური იგი, რომელი მე მივსცე, ჯორცი ჩემი არს, რომელი მე მივსცე ცხორებისათს სოფლისაჲსა.

52. პედებოდეს ურთიერთას პურიანი იგი და იტყოდეს: ვითარ შემძლებელ არს ესე მოცემად ჩუენდა ჯორცი იგი თუსი ჭამად?

(53) მ.26,25.

53. პრქუა მათ იესუ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: არა თუ პჭამოთ ჯორცი ძისა კაცისაჲ და სუათ სისხლი მისი, არა გაქუნდეს ცხორებაჲ თავთა თქუენთაჲ.

54. რომელმან ჭამოს ჯორცი ჩემი და სუას სისხლი ჩემი, აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ, მე აღვადგინო იგი დღესა მას უკუანაჲსკნელსა.

55. რამეთუ ჯორცი ჩემი ჭეშმარიტი არს საჭმელი, და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი არს სასუმელი.

56. რომელმან ჭამოს ჯორცი ჩემი და სუას სისხლი ჩემი, ჩემ თანა დაიმკვდროს, და მე — მის თანა.

57. ვითარცა მომავლინა მე მამამან ცხოველმან, და მე ცხოველ ვარ მამისა თანა; და რომელმან ჭამოს ჯორცი ჩემი, იგი ცხონდეს ჩემ გამო.

58. ესე არს პური ზეცით გარდამოსრული, არა ეგრე, ვითარ-იგი ჭამეს მამათა თქუენთა მანანაჲ იგი და მოწყდეს. რომელმან ჭამოს პური ესე, ცხონდეს უკუნისამდე.

59. ამას ეტყოდა ერსა მას სწავლასა მას შინა კაფარნაუმს.

60. და მრავალთა მოწაფეთა მისთაგანთა ვითარცა ესმა, იტყოდეს და თქუეს: ფიცხელ არს სიტყუაჲ ეგე-ვინ უძლოს სმენად მაგის?

61. ვითარცა გულისხმა-ყო იესუ თავით თუსით, ვითარმედ დრტუნვენ მისთს მოწაფენი იგი მისნი, პრქუა: ეგე დაგაბრკოლებს თქუენ?

51. ზეცოც. ცხონდესც. 53. კელც. 54. სუსც. ცხორებაიკ 58. მოწყდეს ც 61. მოწაფენც

62. აწ უკუეთუ იხილოთ ძმ კაცისაჲ, რამეთუ არღვიდოდის, სადა იყო პირველ? (62) მ.26,64. ი.3,13. ეფ.4,8.
63. სული არს განმაცხოველებელი, ჳორცი არას არგებს. სიტყუასა, რომელსა გეტყოდე მე თქუენ, სული არს და ცხორება არს. (63) რომ.8,2. 2 კორ. 3,6.
64. რამეთუ უწყოდა იესუ დასაბამითგან ვინ არიან, რომელთა არა ჰრწმენეს, და ვინ არს, რომელმან მისცეს იგი. (64) მრ.2,8. იო,2,24.
65. და თქუა: ამისთვის გეტყოდე თქუენ, ვითარმედ: ვერვინ მოვიდეს ჩემდა, არა თუ მიცემულ იყოს მისა მამისა მიერ ჩემისა. (65) ი.3,27.
66. ამის გამო მრავალნი მოწაფეთა მისთაგანნი უკუნდგეს და არა იქცეოდეს მის თანა.
67. ჰრქუა იესუ ათორმეტთა მათ მოწაფეთა: ნუუკუე თქუენცა გნებავს წარსლვად?
68. მიუგო სჳმონ-პეტრე და ჰრქუა: უფალო, ვიდრე ვიდეთ? სიტყუაჲ ცხორებისა საუკუნოჲსაჲ გაქუს.
69. და ჩუენ გურწმენა და გიცანთ, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძმ ღმრთისაჲ. (69) მ.16,16. მრ.8,29. ლ.9,20.
70. მიუგო მათ იესუ: არა თქუენ ათორმეტნი გამოგიჩიენ? და ერთი თქუენგანი ეშმაკი არს. (70) ლ.6,13.
71. და იტყოდა იუდა სჳმონის სკარიოტელისათუს, რამეთუ მას ეგულეობდა მიცემად მისი და იგი იყო ერთი ათორმეტთაგანი.

7

1. და ამისა შემდგომად იქცეოდა იესუ გალილეას, რამეთუ არა უნდა, ვითარმცა ჰურიასტანს იქცეოდა, რამეთუ ეძიებდეს მას ჰურიანი იგი მოკლვად.
2. და იყო მახლობელ დღესასწაული იგი ჰურიათა ტალავრობისაჲ. (2) ლევ.23,34.
3. ჰრქუეს მას ძმათა მისთა: წარვედ ამიერ და მივედ ჰურიასტანდ, რადთა მოწაფეთა მათ იხილნენ საქმენი ეგე, რომელთა იქმ.

65. მათიდე C 70. მათქმ-ვათ C# 71. თუდა C; 2. იყოიყო C პ. ჰურიასტანდ C

4. რამეთუ არა არს, რომელი დაფარულად რას ვინ იქმნ და გამოაჩინებნ თავსა თვსსა კადნიერ-ყოფად. უკუეთუ მაგას იქმ, გამოუცხადე თავი შენი სოფელსა.
5. რამეთუ ძმათა მისთაცა არავე პრწმენა მისი.
6. პრქუა მათ იესუ: ჟამი ჩემი არღა მოწვევულ არს, ხოლო თქუენი ჟამი ყოველსა ჟამსა განმზადებულ არს.
- (7) ი.3,19.
7. ვერ კელ-ეწიფების სოფელსა ამას მოძულეზაძ თქუენი, ხოლო მე ვსძულ, რამეთუ ვამხილებ მას, რამეთუ საქმენი მისნი ბოროტ არიან.
8. თქუენ აღვედით, მე არა აღვიდე დღესასწაულსა ამას, რამეთუ ჩემი ჟამი არღა აღვსებულ არს.
9. ესე ვითარცა თქუა, თავადი დადგა მუნვე გალილეას.
10. ვითარცა აღვიდეს ძმანი მისნი, მაშინ თვთცა აღვიდა დღესასწაულსა მას არა ცხადად, არამედ ფარულად.
11. და ჰურიანი იგი ეძიებდეს დღესასწაულსა მას და იტყოდეს: სადამე არს იგი?
- (12) სოან,9,16.
12. და დრტუნვაძ იყო შორის ერსა მას მისთვს. რომელნიმე იტყოდეს, ვითარმედ: კეთილ არს: სხუანი იტყოდეს: არა, არამედ აცთუნებს ერსა ამას.
- (13) ი.12,42.
13. და ვერვინ განცხადებულად იტყოდა მისთვს შიშისათვს ჰურიათაძსა.
14. განზოგებასა ოდენ მის დღესასწაულისასა აღვიდოდა იესუ ტაძარსა მას და ასწავებდა.
15. და დაუკვრდებოდა ჰურიათა მათ და იტყოდეს: ვითარმე წიგნი იცის ამან, რამეთუ უსწავიეს მებრ არა?
- (16) ი.8,28; 12,49; 14,24.
16. მიუგო მათ იესუ და პრქუა: ჩემი ესე მოძლურებაძ არა არს ჩემი, არამედ მისი არს, რომელმან მომავლინა მე.
- (17) ი.8,47.
17. უკუეთუ უნდეს ვისმე ნებისა მისისა ყოფად, გულისხმა-ყავნ მოძლურებისაძ ამის: ღმრთისაგან თუ არს, ანუ მე თავით ჩემით ვიტყვ.
18. რომელი თავით თვსით იტყვნ, დიდებასა თავისა თვსისასა ეძიებნ; რამეთუ რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თვსისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და ზაკუვა არა არს მის თანა.

19. არა მოსე მოქცა თქუენ შჯული, და არავინ თქუენგანი პყოფს შჯულსა მას. რაჲსა მეძიებთ მე მოკლვად? (19) გამ.20,1. ი.5,18.
20. მიუგეს ერმან მან და პრქუა: ეშმაკი არს შენ თანა. ვინ გეძიებს შენ მოკლვად?
21. მიუგო იესუ და პრქუა მათ: ერთ საქმე ვქმენ, და გიკვრს ამისთვის.
22. მოსე მოგცა თქუენ წინადაცუეთაჲ, რამეთუ არა მოსესგან იყო, არამედ მამათა მათგან, და დღესა შაფათსა წინადასცუითთ კაცსა. (22) დ.17,10. ლევ.12,3.
23. უკუეთუ წინადაცუთის კაცსა დღესა შაფათსა, რაჲთა შჯული იგი მოსესი ნუმცა დაჰქსნდების, ჩემდა გული გიწყრების, რამეთუ სრულიად კაცი განვაცხოველე შაფათსა შინა?
24. ნუ თუალთ-ხუმით შჯით, არამედ მართალი საშჯელსი შაჯეთ. (24) 2შჯ.1,17.; 16,19.
25. იტყოდეს ვინძე იერუსალმელთაგანნი: არა ესე იგი არს, რომელსა ეძიებდეს მოკლვად?
26. აჰა, ესერა, განცხადებულად იტყვს, და არას ეტყვს მაგას. ნუთუ ჭეშმარიტად უცნობიეს მთავართა მათ, ვითარმედ ესე არს ქრისტჳ იგი?
27. არამედ ესე ვიცით, ვინაჲ არს. ხოლო ქრისტჳ იგი რაჲჲამს მოვიდეს, არავინ უწყის, ვინაჲ იყოს. (27) მ.13,55.
28. ღალატ-ყო იესუ ტაძარსა მას შინა, ასწაუებდა და ეტყოდა: მეცა მიცით და უწყით, ვინაჲ ვარი; და თავით ჩემით არა მოსრულ ვარ, არამედ ჭეშმარიტ არს, რომელმან მომავლინა მე, რომელი-იგი თქუენ არა იცით. (28) ი.8,42.
29. მე ვიცი იგი, რამეთუ მისგან ვარ, და მან მომავლინა მე.
30. და ეგულვა მისი შეპყრობაჲ, და გამოვიდა კელთა მათთაგან, და არავინ მიყო მისა კელი, რამეთუ არღა მოწვევულ იყო ჟამი მისი. (30) ი.8,20.
31. და მრავალთა მის ერისაგანთა პრწმენა მისი და იტყოდეს: ქრისტჳ იგი რაჲჲამს მოვიდეს, ნუთუ უმეტესსა სასწაულსა რას პყოფდეს, რომელესე იქმს? (31) ი.8,30.

32. და ესმა ფარისეველთა მათ დრტუნვაჲ ერისაჲ მის მისთვის. წარავლინეს მღდელთმოძღუართა მათ და ფარისეველთა მსახურნი, რაჲთამცა შეიპყრეს იგი.
33. პრქუა იესუ: მცირედ უამ თქუენ თანა ვარი და მივალ მომავლინებელისა ჩემისა.
- (34) ი.13,33. 34. მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ; და სადა-იგი ვარ მე, თქუენ ვერ მოხვდეთ.
35. იტყოდეს ჰურიანი იგი ურთიერთას: ვიდრემე ეგულების მისლვად, და ჩუენ ვერ ვპოვოთ ეგე? ნუკუე მიმოგანბნეულთა მათ წარმართთა მივიდეს და ასწავებდეს წარმართთა მათ?
36. რაჲარსიტიყუაჲ ესე, რომელ თქუა: მეძიებდეთ მე და არა მპოვოთ, და სადა-იგი ვარ მე, თქუენ ვერ მოხვდეთ?
- (37) ლევ.23,36. ი.4,14. გცხ. 22,17. ეს.12,3. იელ.4,18. 37. დასასრულსა მას დღესა დიდისა მის დღესასწაულისასა დგა იესუ, ლაღადებდა და იტყოდა: პწყურის თუ ვისმე, მოვედინ ჩემდა, — სუნ.
38. რომელსა პრწმენეს ჩემდამო, ვითარცა იტყვს წიგნი, მდინარენი მუცლისა მისისაგან გამოდიოდინ წყალთა ცხოველთანი.
- (39) ეს.44,3. იელ.3,1. ზაქ.12, 10. სქ2,17,33. 39. ამას იტყოდა სულისა მისთვის, რომელ მოღებად იყო, რომელთა პრწმენა იგი, რამეთუ არღა იყო სული, რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო.
- (40) მ.26,5. ლ.2,4. 40. რომელთამე ერისა მისგანთა ვითარცა ესმოდა სიტყუაჲ ესე, იტყოდეს: ესე არს ჭეშმარიტი წინაწარმეტყუელი:
41. სხუანი იტყოდეს: ესე არს ქრისტჲ იგი; ხოლო ზოგნი იტყოდეს: ნუ გალილეაჲთ მოსლვად არს ქრისტჲ?
42. არა წიგნი იტყვან, ვითარმედ ნათესავისაგან დავითისი და ბეთლემით დაბით, სადა-იგი დავით იყო, მიერ მოსლვად არს ქრისტჲ?
- (43) ი.9,16. 43. და იყო წვალება შორის ერსა მას მისთვის.
44. და რომელთამე უნდა შეპყრობაჲ მისი, ხოლო ვერვინ მიყო მისა ჳელი.
45. და მოვიდეს მუნვე მსახურნი იგი მღდელთანი და ფარისეველთანი და პრქუეს მათ ამათ: რად არა მოიყვანეთ იგი?

46. მიუგეს მსახურთა მათ და პრქუეს: არასადა ეგრე ვის უთქუამს კაცსა, ვითარ მას კაცსა.

47. მიუგეს ფარისეველთა მათ და პრქუეს: ნუთუ თქუენცა შესცეთით?

48. ნუთუ მთავართა მათგანსა ვის პრწმენა მისი ანუ თუ ფარისეველთაგანსა?

49. ხოლო იგი ამბობებდა აღრეული, რომელთა არა იციან შჯული, შეჩუენებულ არიან.

50. პრქუა ნიკოდემოს მათ, რომელი-იგი მოსრულ იყო მისა ღამშ წინააღსწარ, და იგი იყო ერთი მათგანი: (50) ი.3,1.

51. ნუთუ შჯული ჩუენი და შჯის კაცსა, არა თუ ესმეს პირველ მისგან, ანუ თუ გულისხმა-ყონ, რასა იქმს? (51) 2შჯ.1,17; 17,8.

52. მიუგეს მას და პრქუეს: ნუთუ შენცა გალილეველ ხარ? გამოიძიე და იხილე, რამეთუ წინაწარმეტყუელი გალილეაჲთ არა აღდგეს.

8

[[7,53 — 8,11]]

12. მერმე ეტყოდა იესუ და პრქუა: მე ვარ ნათელი სოფლისაჲ. რომელი მომდევდეს მე, ბნელსა არა ვიდოდის, არამედ მიიღოს ნათელი ცხორებისაჲ. (12) ი.1,5; 9,5. 1 ი.1,5.

13. პრქუეს ფარისეველთა მათ: შენ თავისა შენისათჳს სწამებ, და წამებდა შენი არა არს ჭეშმარიტ.

14. მიუგო იესუ და პრქუა მათ: და თუ ვწამებ თავისა ჩემისათჳს, ჭეშმარიტ არს წამებდა ჩემი, რამეთუ უწყი, ვინაჲ მოსულ, ანუ ვიდრე ვალ.

15. თქუენ კორცთაებრ შჯით, ხოლო მე არავის ვშჯი.

16. და თუ ვშჯი, საშჯელი ჩემი ჭეშმარიტ არს, რამეთუ არა ვარ მარტოჲ, არამედ მე და მომავლინებელი ჩემი მამაჲ.

17. და შჯულსაცა თქუენსა წერილ არს, ვითარმედ: ორთა კაცთა წამებდა ჭეშმარიტ არს. (17) 2შჯ. 19,15; 17ჲ. 18. 162 კორ. 13,1. ებრ. 10,25.

18. მე ვარ, რომელი ვწამებ ჩემთჳს, და წამებს ჩემთჳს მომავლინებელი ჩემი მამაჲ. (18) ებ. 42,1. ი.5,32.

19. პრქუეს მას: სადა არს მამაჲ შენი? მიუგო იესუ და პრქუა მათ: არცა მე მიციოთ, არცა მამაჲ ჩემი. უკუეთუმცა მე მიციოდეთ, ვინ უწყის, მამაჲცამცა ჩემი იციოდეთ.

20. ამას სიტყუასა ეტყოდა სახლსა მას შინა საფასისასა, რაჟამს ასწავებდა ტაძარსა მას შინა, და არავინ შეიპყრა იგი, რამეთუ არღა მოწვევულ იყო ჟამი მისი.

(21) ი. 13, 33.

21. პრქუა მათ: მე ვარ იესუ. მე წარვალ, და მეძიებდეთ მე და არა მპოოთ, და ცოდვათა შინა თქუენტა მოსწყდეთ, რამეთუ მე ვიდრე-იგი მივალ, თქუენ ვერ მოხვდეთ.

22. იტყოდეს პურიანი იგი: ნუთუ მოიკლავს თავსა თუსსა, რამეთუ იტყუს: ვიდრე-იგი მე მივალ, თქუენ ვერ მოხვდეთ?

(23) ი. 3, 31.
კლს. 3, 1.

23. და პრქუა მათ: თქუენ ქუესკნელისა მისგანნი ხართ, და მე ზესკნელისა მისგანი ვარ; თქუენ ამის სოფლისაგანნი ხართ, მე არა ვარ ამის სოფლისაგანი.

24. ხოლო გარქუ თქუენ, ვითარმედ: ცოდვათა შინა თქუენტა მოსწყდეთ; უკუეთუ არა გრწმენეს ჩემი, ვითარმედ მე ვარ, მოსწყდეთ ცოდვათა შინა თქუენტა.

25. პრქუეს მას: შენ ვინ ხარ? პრქუა მათ იესუ: პირველ ესე, რამეთუ გეტყვცა თქუენ.

26. მრავალი მაქუს თქუენტუს სიტყუაჲ და სასჯელი, ხოლო რომელმან მომავლინა მე მამამან, ჭეშმარიტ არს, და მე რაჲ მესმა მისგან, მას ვეტყვ სოფელსა ამას.

27. და არა გულისხმა-ყვეს, რამეთუ მამისა თუსისათუს ეტყოდა მათ.

(28) ი. 7, 16; 12, 32.

28. პრქუა მათ იესუ: რაჟამს აღამაღლოთ ძე კაცისაჲ, მაშინ გულისხმა-ჰყოთ, რამეთუ მე ვარ და თავით ჩემით არას ვიქმ, არამედ ვითარცა მასწავლა მე მამამან, მას ვიტყვ.

29. და რომელმან მომავლინა მე, ჩემ თანა არს; არა დაუტევებიე მე მარტოჲ, რამეთუ მე სათნოებათა მისთა ვჰყოფ მარადის.

30. ამას ვითარცა იტყოდა, მრავალთა პრწყენა მისი.

31. პრქუა იესუ პურიათა მათ მორწმუნეთა: უკუეთუ თქუენ დაადგრეთ სიტყუათა ჩემთა, ჭეშმარიტნი მოწაფენი ჩემნი იყვნეთ.
32. და გულისხმა-ჰყოთ ჭეშმარიტებაჲ, და ჭეშმარიტებაჲმან განგათავისუფლნეს თქუენ. (32) ებ. 42,7; 61,1. რომ. 6,14.
33. მიუგეს მას და პრქუეს: ნათესავნი აბრაამისნი ვართ და არასადა ვის ვჰმონეთ; ვითარ შენ იტყვ, ვითარმედ: თავისუფალ იქმნეთ?
34. მიუგო იესუ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: რამეთუ ყოველი, რომელი იქმს ცოდვასა, მონა არს ცოდვისა. (34) 2პეტ. 2.19. რომ. 6,16.
35. და მონამან არა დაიმკვდრის უკუნისამდე სახლსა შინა, ხოლო ძემან დაიმკვდრის უკუნისამდე. (35) დ. 21.10/
36. უკუეთუ ძემან თქუენ განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ.
37. უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაამისნი ხართ, ხოლო მეძიებთ მე მოკლვად, რამეთუ სიტყუაჲ ჩემი ვერ დაიტია თქუენ შორის.
38. მე რაჲ ვიხილე მამისა ჩემისა თანა, ვიტყვ; და თქუენ რაჲ გესმა მამისა თქუენისაგან, იქმთ.
39. მიუგეს და პრქუეს მას: მამაჲ ჩუენი აბრაამი არს. მიუგო იესუ და პრქუა: უკუეთუმცა შეილნი აბრაამისნი იყვნით, საქმეთამცა აბრაამისთა იქმოდეთ. (39) რომ. 4,16.
40. ხოლო აწ მეძიებთ მე მოკლვად, კაცსა ერთსა, რომელი ჭეშმარიტსა ვეტყვ, რაჲ მესმა მამისაგან ჩემისა. ეგე აბრაამმან არა ქმნა.
41. თქუენ იქმთ საქმეთა მამისა თქუენისათა. პრქუეს მას: ჩუენ სიძვისაგან არა შობილ ვართ, ერთი არს მამაჲ ჩუენი — ღმერთი. (41) ი. 3,8.
42. პრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ღმერთი იყო მამაჲ თქუენი, გიყუარდი სამემცა მე, რამეთუ მე ღმრთისაგან გამოვედ და არა თუ თავით თჳსით მოვედ, არამედ მან მომავლინა მე.
43. რად არა სიტყუანი ჩემნი გულისხმა-ჰყვენით? ამისთვის, რამეთუ ვერშემძლებელ ხართ სმენად სიტყუათა ჩემთა.

31. უკუეთუ: იერემი 32. გულისხმა 36. უკუეთუ: თავისუფალ
 39. უკუეთუმცა 40. აბრაამნი 42. უკუეთუმცა: ვიყარდი 43.
 გულისხმა C.

44. თქვენ მამისა ეშმაკისაგანნი ხართ და გულის-
თქუმათა მამისა თქუენისათა გნებავს საქმედ; იგი
კაცისმკლველი იყო დასაბამითგან და ჭეშმატებასა
არა დაადგრა, რამეთუ არა არს ჭეშმარიტებად მის
თანა. რაჟამს იტყვნ ცრუსა, თუსთა მათ მიმართ
იტყვნ, რამეთუ ცრუ არს და მამაჲცა მისი.

45. ხოლო მე რამეთუ ჭეშმარიტსა გეტყვ, არა
გრწამს ჩემი.

46. ვინ თქუენგანი შემეტყუების მე ცოდვათათჳს?
უკუეთუ ჭეშმარიტსა გეტყვ, ვითარ არა გრწამს ჩემი?

(47) ი. 10, 27. 1
ი. 4, 6.

47. რომელი-იგი არს ღმრთისაგან, სიტყუათა
ღმრთისათა ისმენს, და თქუენ ამისთჳს არა გესმის,
რამეთუ არა ხართ ღმრთისაგანნი.

48. მიუგეს ჰურიათა მათ და ჰრქუეს მას: არა
კეთილად ვთქუთ, ვითარმედ: სამარიტელ ხარ, და
ეშმაკი არს შენ თანა?

49. მიუგო იესუ და ჰრქუა: ჩემ თანა ეშმაკი არა არს,
არამედ პატივ-უყოფ მამასა ჩემსა, და თქუენ
მაგინებთ მე.

50. მე არა ვეძიებ დიდებასა ჩემსა; არს, რომელმან
იძიოს და საჯოს.

51. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: უკუეთუ
ვინმე სიტყუანი ჩემნი დაიმარხნეს, სიკუდილი არა
იხილოს უკუნისამდე.

52. ჰრქუეს მას ჰურიათა მათ: აწ უწყით, რამეთუ
ეშმაკი არს შენ თანა: აბრაამი მოკუდა და
წინაწარმეტყუელნიცა იგი, და შენ იტყვ: სიტყუანი
ჩემნი თუ ვინმე ისმინნეს, არა იხილოს გემოჲ
სიკუდილისაჲ უკუნისამდე.

53. ნუთუ შენ უდიდეს ხარ, მამისა ჩუენისა აბრაამისა,
რომელი-იგი მოკუდა, და წინააღმართმეტყუელნიცა
იგი მოწყდეს? აწ შენ ვინ გგონიეს თავი შენი?

(54) ი. 16. 4.
სქ 3, 13.

54. მიუგო იესუ და ჰრქუა: მე თუ ვადიდებდე თავსა
ჩემსა, დიდებაჲ ჩემი არარაჲ არს. არს მამაჲ,
რომელმან მადიდოს მე, რომლისათჳს თქუენ იტყვთ,
ღმერთი ჩუენი არს.

16. შემეტყუების C; უკუეთუ C 17. სიტყუათა C. 51. სიტყუანი C: 52.
წინაწარმეტყუელნიცა C.

55. და არა გიცნობიეს იგი, ხოლო მე ვიცი იგი; და თუ ვთქუა, თუ: არა ვიცი იგი, თქუენებრ ცრუ ვიპოო, არამედ ვიცი იგი და სიტყუათა მისთა ვიმარხავ.
56. აბრაამს, მამასა თქუენსა, სწადოდა ხილვად (56) დ.15,6. დღისა ჩემისაჲ, იხილა და განიხარა.
57. პრქუეს მას ჰურიათა მათ: ერგასის წელ არლა არს შენი, და აბრაამი იხილუა?
58. პრქუა მათ იესუ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: წინავე აბრაამისა ყოფამდე ვიყავ მე.
59. ქეები აღილეს, რაჲთამცა დაჰკრიბეს მის ზედა. იესუ მიჰრიდა და განვიდა ტაძრისა მისგან.

9

1. და ვითარ წარვიდოდა, იხილა კაცი ერთი -- ბრმაჲ შობითგანი.
2. ჰკითხეს მას მოწაფეთა მათ მისთა და პრქუეს: პრაბბი, ვისი ბრალი არს: ამისი, ანუ მშობელთა თსთაჲ, რამეთუ ბრმაჲ იშუა?
3. მიუგო იესუ: არა მაგისი ბრალი არს და არცა მშობელთა მაგისთაჲ, არამედ რაჲთა განცხადნენ საქმენი ღმრთისანი მაგის ზედა.
4. და ჩუენდა ჯერ-არს საქმედ საქმისა, რომელმან (4) ი.4,34; 12,35. მომავლინა მე, ვიდრე დღისი არს; მოვალს ღამე, რომელსა ვერვინ იქმოდის.
5. ვიდრე სოფელსა ამას ვარ, ნათელ ვარ სოფლისა. (5) ებ.42,6. ი.1,5; 8,12.
6. ესე ვითარცა თქუა, ნერწყუა ქუეყანასა და შექმნა თიკაჲ ნერწყუსა მისგან და ჰგოზა თიკაჲ იგი ზედა თუალთა ბრმისა მის (6) ი.11,37.
7. და პრქუა მას: მივედ და მოიბანე ემბაზსა მას სილოამს, რომელ ითარგმანების: მოვლინებულ. მივიდა, დაიბანა, მოვიდა და ხედვიდა. (7) ნემ.3,15.
8. ხოლო მეზობელთა მათ და რომელთა ეხილვა იგი პირველ, რამეთუ მთხოველ იყო, იტყოდეს: არა ესე იგი არს, რომელი-იგი ჯდა და ითხოვდა?
9. ზოგნი იტყოდეს: იგი არს; სხუანი იტყოდეს: არა, არამედ მსგავსი მისი არს. იგი იტყოდა: მე ვარ.

10. პრქუეს მას: და ვითარ აღგეხუნეს თუალნი შენნი?

11. მან მიუგო: რომელსა-იგი იესუ პრქჳან, თიჯაჲ ქმნა და მომგოზა თუალთა ჩემთა და მრქუა მე: მივედ სილოამდ და მოიბანე. მივედ და მოვიბანე და ვხედავ.

12. პრქუეს მას: სადა არს იგი? პრქუა მათ: არა უწყი.

13. მოიყვანეს იგი წინაშე ფარისეველთა მათ, რომელი-იგი ოდესმე ბრმა იყო.

14. და იყო შაფათი, რაჟამს ქმნა თიჯაჲ იგი იესუ და აღუხილნა თუალნი ბრმისანი მის.

15. მერმე ჰკითხვიდეს მას ფარისეველნი იგი და ეტყოდეს, ვითარმედ: ვითარ ხედავ? და მან პრქუამათ: თიჯაჲ დამდვა თუალთა ჩემთა, და მოვიბანე და ვხედავ.

(16) ი.7,43.

16. თქუეს ვიეთმე ფარისეველთა მათგანთა: არა არს კაცი იგი ღმრთისა მიერ, რამეთუ შაფათსა არა იმარხავს. ზოგნი იტყოდეს: ვითარმე შემძლებელ არს კაცი ცოდვილი ესევითარისა სასწაულისა ყოფად? — და იყო წვალება შორის მათსა.

(17) ლ.7,16.
ი.4,19.

17. მერმე პრქუეს ბრმასა მას: შენ ვითარ იტყვ მისთვის, რამეთუ აღვიხილნა თუალნი შენნი? — და მან პრქუა: წინაწარმეტყუელი არს.

18. და ჰურიათა მათ არა პრწმენა მისი, ვითარმედ ბრმა იყო და აღუხილნა, ვიდრემდე მოუწოდეს მშობელთა აღხილულისა მის.

19. ჰკითხვიდეს მათ და პრქუეს: ესე არს ძმ იგი თქუენი, რომლისათვის თქუენ სთქუთ, ვითარმედ ბრმა იშვა? აწ ვითარ ხედავს?

20. მიუგეს მშობელთა მისთა და პრქუეს: უწყით, რამეთუ ესე არს ძმ იგი ჩუენი და რამეთუ ბრმა იშვა.

21. ხოლო აწ ვითარ ხედავს, არა უწყით; ანუ ვინ აღუხილნა თუალნი მაგისნი, ჩუენ არა უწყით, მაგას ჰკითხეთ, გასრულებულ არს, თვთ თავისა თვისისათვის თქუნ.

(22) ი.12,42.

22. ესე თქუეს მშობელთა მისთა, რამეთუ ეშინოდა ჰურიათა მათგან, რამეთუ აღთქუმა-ეყო ჰურიათა მათგან: უკუეთუ აღ-ვინმე-იაროს იგი ქრისტედ, განკდეს კრებულისაგან.

10. თუალნი 11. პრქუანს: თუალთა 14. თუალნი 15. თუალთა 16. ესევითარისა 17. წინაწარმეტყუელი 20. იშუგა 21. თუალნი 22. ქრულ

23. ამისთვის თქვენს მშობელთა მისთა, ვითარმედ: გასრულებულ არს, მაგას ჰკითხეთ.
24. მერმე მეორედ მოხადეს კაცსა მას, რომელი-იგი ოდესმე ბრმა იყო, და პრქუეს მას: მიეც დიდებაჲ ღმერთსა; ჩუენ უწყით, რამეთუ კაცი იგი ცოდვილ არს.
25. და მან პრქუა: ცოდვილ თუ არს, არა უწყი; ხოლო ერთი ესე უწყი, რამეთუ ბრმა ვიყავ და აწ ვხედავ.
26. მერმე პრქუეს მას: რაჲ გიყო შენ და რაჲთა აღგიხილნა თუალნი შენნი?
27. მიუგო მათ: აწ, ესერა, გარქუ თქუენ, და არა გესმა; რაჲსა გნებაჲს მეორედ სმენად? ნუთუ თქუენცა გნებაჲს მისა მოწაფე-ყოფად?
28. მათ განბასრეს იგი და თქუეს: შენმცა ხარ მისა მოწაფე, ჩუენ მოსეს მოწაფენი ვართ.
29. ჩუენ უწყით, რამეთუ მოსეს ეტყოდა ღმერთი, (29) გამ.3,6. ხოლო ესე არა ვიცით, ვინაჲ არს.
30. მიუგო კაცმან მან და პრქუა: ეგევე საკრველ არს, რამეთუ არა უწყით თქუენ, ვინაჲ არს ეგე, და ჩემნი თუალნი აღმიხილნა.
31. უწყი, რამეთუ ღმერთმან ცოდვილთაჲ არა ისმინის, გარნა თუ ღმრთისმსახურ ვინმე იყოს და ნებასა მისსა ჰყოფდეს, მისი ისმინოს. (31) იგ.15,29. ეს.1,15. მიქ.3,4.
32. საუკუნითგან არავის ასმიეს, თუ აღ-ვინმე-უხილნა თუალნი ბრმისანი, შობითგან ბრმად შობილისანი. (32) ეს.42,7.
33. თუმცა არა იყო ღმრთისა მიერ, ვერმცა შემძლებელ იყო ყოფად რაჲსმე.
34. მიუგეს და პრქუეს მას: ცოდვასა შინა შობილ ხარ შენ ყოვლადვე და შენცა გუმოდლური ჩუენ? – და განჯადეს იგი გარე.
35. ესმა იესუს, ვითარმედ განჯადეს იგი გარე. და ვითარცა პოვა იგი, პრქუა მას: შენ გრწამს ძე ღმრთისაჲ?
36. მან მიუგო და პრქუა: უფალო, ვინ არს, რაჲთა მრწმენეს იგი?

23. თქუეს C 25. არსკას C 26. თუალნი C 30. საკრველ C. უწყით C. თუალნი C 32. შობილისაჲ C

37. პრქუა მას იესუ: და იხილე იგი, და რომელი გეტყვს, იგი არს.
- (39) 8.11,25. 2. 38. და მან პრქუა: მრწამს, უფალო, და თაყუანის-სცა მას. კორ. 3,14.
39. და თქუა იესუ: სასჯელად მოვედ სოფლისა ამის, რამეთუ რომელნი არა ხედვიდეს, ხედვიდენ, და რომელნი ხედვიდეს, დაბრმენ.
- (41) ი. 15,22. 40. ესმა ვიეთმე ფარისეველთაგანთა, რომელნი მის თანა იყვნეს, და პრქუეს მას: ნუუკუე ჩუენცა ბრმა ვართ?
41. პრქუა მათ იესუ: უკუეთუმცა ბრმა იყვენით, არამცა ბრალ-გება: ხოლო აწ იტყვთ, ვითარმედ: ვხედავთ, და ცოდვაჲ თქუენი თქუენ თანა დამტკიცებულ არს.

10

1. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: რომელი არა შევიდეს კარით ეზოსა ცხოვართასა, არამედ სხვთ შთაყდეს, იგი მპარავი არს და ავაზაკი.
2. ხოლო რომელი შევიდეს კარით, მწყემსი არნ იგი ცხოვართაჲ.
3. მას მეკარემან განულის, და ცხოვართა მათ ვმისა მისისაჲ ესმინ, და თუსთა მათ ცხოვართა უწუნეს სახელით, და გამოისხნის იგინი.
4. და წინაწარუძღვს მათ, და ცხოვარნი იგი მისდევედ მას, რამეთუ იცნიან ვმაჲ მისი.
5. ხოლო უცხოსა არა მისდევედ, არამედ ივლტიედ მისგან, რამეთუ არა იცნიან ვმაჲ უცხოჲსაჲ მის.
6. ესე იგავი პრქუა მათ იესუ, და მათ არა ცნეს, რაჲ არს, რასა ეტყოდა მათ.
7. მერმე პრქუა მათ იესუ: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ მე ვარ კარი ცხოვართაჲ.
- (8) იერ. 23,1; 50,6. ეზკ. 34,2. 8. ყოველნი, რომელნი ჩემსა წინა მოვიდეს, მპარავნი იყვნეს და ავაზაკნი, და არა ისმინეს მათი ცხოვართა მათ.
- (9) ფს. 22,2. 9. მე ვარ კარი: ჩემ გამო თუ ვინმე შევიდეს, ცხონდეს; შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი პოოს.

39. ხედვიდეს/ხედვიდენ C. 3. ცხოვართაჲ C. 4. იცნიან C.

10. მპარავი სხუად არა მოვიდეს, გარნა თუ იპაროს, დაკლას და წარწყმიდოს. მე მოვედ, რაათა ცხოვრებაა აქუნდეს და უმეტეს აქუნდეს.
11. მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან თავი თვის დადვის საცხოვართა თვსთა ზედა. (11) ფს. 22, 1. ეს. 40 11. ეზკ. 34, 13; 37, 24. 1 პერ. 2, 25; 5, 4.
12. ხოლო სასყიდლითი იგი არა არნ მწყემსი, რომლისაა არა არიედ თვსნი ცხოვარნი. ვითარცა იხილის მგელი მომავალი, დაუტევნის საცხოვარნი და ივლტინ, და მგელმან წარიტაცნის და განაბნინის.
13. რამეთუ სასყიდლით დადგინებულ არნ და არარაა ჰჭირნ ცხოვართა მათთვს.
14. მე ვარ მწყემსი კეთილი და ვიცნი ჩემნი იგი, და მიციან მე ჩემთა მათ. (14) ეზკ. 34, 11. 2 ტმ. 2, 19.
15. ვითარცა მიცის მე მამამან ჩემმან, ვიცი მეცა მამა და თავი ჩემი დავდვა ზედა საცხოვართა მათ.
16. და სხუაცა ცხოვარ არიან ჩემნი, რომელ არა არიან ამის ბაკისანი, და იგინიცა ჯერ-არიან ჩემდა მოყვანებად აქა, და ჯმისა ჩემისაა ისმინონ და იყვნენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს. (16) ეზკ. 37, 22.
17. ამისთვს უყუარ მე მამასა ჩემსა, რამეთუ მე დავდვა თავი ჩემი, რაათა მერმე აღვილო იგი. (17) ეს. 53, 11.
18. ვერვინ მიიღოს იგი ჩემგან, არამედ მე დავდვა იგი თავით ჩემით. კელმწიფება მაქუს დადებად იგი და კელმწიფება მაქუს აღლებად იგი. ესე მცნებაა მაქუს მამისა ჩემისაგან. (18) იო 2, 19; 14, 31.
19. მერმე წვალებაა იყო შორის ჰურიათა მათ სიტყუათა ამათთვს.
20. და იტყოდეს მრავალნი მათგანნი: ეშმაკი არს მის თანა და ბორგის. რაჲსა ისმენთ მისსა? (20) მრ. 3, 21. იო., 7, 20.
21. ზოგნი იტყოდეს: ესე ვითარნი სიტყუანი არა ეშმაკულნი არიან. ნუთუ ეშმაკი შემძლებელ არს თუალთა ბრმისათა ახილვად?
22. იყო სატფური იგი იერუსალმს, და ზამთარი იყო. (22) 1 მრ. 4, 59.
23. და იქცეოდა იესუ ტაძარსა მას და სტოასა სოლომონისსა.

24. გარემოადგეს პურიანი იგი და ეტყოდეს: ვიდრემდის წარმკდი სულთა ჩუენთა? უკუეთუ შენ ხარ ქრისტე იგი, მარქუ ჩუენ განცხადებულად.
- (25) ი.5,36. 25. მიუგო მათ იესუ და პრქუა: გარქუ თქუენ, და არა გრწმენა ჩემი; საქმეთა რომელთა ვიქმ სახელითა მამისა ჩემისაჲთა, ესენი წამებენ ჩემთს.
- (26) ი.8,19. 1 იო 4,6. 26. ხოლო თქუენ არა გრწამს, რამეთუ არა ხართ ცხოვართა ჩემთაგანნი.
27. ცხოვართა ჩემთა კმისა ჩემისაჲ ესმის, და მე ვიცნი იგინი, და მომდევენ.
28. და მე მივსცე მათ ცხორებაჲ საუკუნოჲ, და არა წარწყმდენ უკუნისამდე, და არავინ მიმტაცნეს იგინი კელთაგან ჩემთა.
- (29) 2მჯ.33,3. 29. მამამან ჩემმან რომელმან მომცნა იგინი, უდიდეს ყოველთასა არს, და ვერვინ მიმტაცნეს იგინი კელთაგან მამისა ჩემისათა.
30. მე და მამაჲ ჩემი ერთ ვართ.
- (31) ი.5,18. 31. ქვები აღილეს, რაჲთამცა დაქოლეს იგი.
32. მიუგო მათ იესუ: მრავალი საქმე კეთილი გიჩუენე თქუენ მამისა ჩემისა მიერ; რომლისა სახისათჳს ქვასა დამკრებთ მე?
33. მიუგეს პურიათა მათ: კეთილისა საქმისათჳს ქვასა არა დაგკრებთ შენ, არამედ გმობისათჳს, რამეთუ შენ კაც ხარ და თავსა თჳსსა ღმერთად გამოაჩინებ.
- (34) ფს.81,6. 34. მიუგო მათ იესუ: არა შჯულსა თქუენსა წერილ არს: მე ვთქუ: ღმერთნი ხართ?
35. უკუეთუ მათ ღმერთ პრქუა, რომელთა მიმართ სიტყუაჲ იგი ღმრთისაჲ იყო, და ვერ ეგების დაქსნად წერილისა მის,
- (36) ი.6,27. 36. ხოლო რომელი მამამან განწყმიდა და მოავლინა სოფლად, თქუენ იტყვთ, ვითარმედ: ჰგომობ, რამეთუ გარქუ, ვითარმედ ძე ღმრთისაჲ ვარ.
37. თუ არა ვიქ საქმეთა მამისა ჩემისათა, ნუ გრწამს ჩემი.

38. უკუეთუ ვიქმ, და ღათუ ჩემი არა გრწამს, (38)ი.14,10;1721.
საქმეთა ამათ თუ გრწმენინ, რაათა უწყოდით და
გულისხმა-პყოთ, რამეთუ მამაჲ -- ჩემდა, და მე --
მამისა.
39. მერმე ეძიებდეს მას შეპყრობად, და განვიდა
კელთა მათთაგან და წარვიდა მერმე.
40. და წიაღდა იორდანესა, ადგილსა მას, სადა იყო (40)ი.1,28.
პირველ იოვანე და ნათელ-სცემდა, და მუნ იყო-
ფოდა.
41. და მოვიდეს მრავალნი მისა და ეტყოდეს, (41)ი.5,33.
რამეთუ იოვანე სასწაულ არაჲ ყო, ხოლო ყოველი,
რაჲ თქუა იოვანე ამისთვის, ჭეშმარიტ იყო.
42. და მრავალთა პრწმენა მისი მუნ.

11

1. და იყო ვინმე სნეულ ლაზარე ბეთანიადთ, დაბით (1) მ.26,7. მრ.
მარიამისით და მართაჲსით, დისა მისისა. 14,3. ი.12,3.
2. ესე იგი მარიამი არს, რომელმან სცხო უფალსა
ნელსაცხებელი და წარპჯოცნა ფერკნი თმითა
მისითა, რომლისაჲ ძმაჲ მისი ლაზარე სნეულ იყო.
3. მიაველინეს მისა დათა მისთა და პრქუეს: უფალო,
აჰა, ესერა, რომელი-ესე შენ გიყუარს, სნეულ არს.
4. ვითარცა ესმა იესუს, თქუა: იგი სნეულეზაჲ არა არს (4) ი. 9,3.
სასიკუდინე, არამედ დიდებისათუს ღმრთისაჲსა,
რაათა იდიდოს ძმ ღმრთისაჲ მის გამო.
5. და უყუარდა იესუს მარიამი და მართა, დაჲ მისი,
და ლაზარე.
6. ვითარცა ესმა, ვითარმედ სნეულ არს, ადგილ-
იპყრა მუნ, სადა იყო, ორ დღე.
7. მერმე, ამისა შემდგომად, პრქუა მოწაფეთა
თუსთა: მოვედით, მივიდეთ მერმე პურიასტანდ.
8. პრქუეს მას მოწაფეთა მათ: მოძლუარ, აწლა (8) ი.10,31.
გეძიებდეს შენ პურიანი ქვისა დაკრებად, და მერმე
მიხუალ მუნვე?
9. მიუკო იესუ: არა ათორმეტჳ ჟამ არს დლისაჲ? (9) ი.9,4.
უკუეთუ ვინმე ვიდიდის დლისი, არა უბრკუმეს,
რამეთუ ნათელსა ამის სოფლისასა ხედავს.

(10) ი.12,35.

10. და თუ ვინმე ვიდოდის ღამე, უბრკუმეს, რამეთუ ნათელი არა არნ მას შინა.
11. ესე ვითარცა თქუა, ამისა შემდგომად პრქუა მათ: ლაზარე, მეგობარმან ჩუენმან, დაიძინა, არამედ მე მივიდე და განვალუძო იგი.
12. პრქუეს მას მოწაფეთა მათ: უკუეთუ სძინავს, ცხონდეს.
13. ხოლო იესუ სიკუდილისა მისისათვის თქუა, და მათ ეგრე ეგონა, მძინარებასა ძილისასა ნუ იტყოდა
14. მაშინ პრქუა მათ იესუ განცხადებულად: ლაზარე მოკუდა.
15. და მე მიხარის თქუენთვის, რადთა თქუენ გრწმენეს, რამეთუ მე არა მუნ ვიყავ. ხოლო აწ მო და მივიდეთ მისა.
16. პრქუა თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, მოღვამთა თვსთა: მივიდეთ ჩუენცა, რადთა მის თანა მოვკუდეთ.
17. მოვიდა იესუ და პოვა ოთხდღისაჲ სამარესა შინა.
18. და იყო ბეთანიაჲ მახლობელ იერუსალჴმისა ვითარ ათხუთმეტ ასპარეზ ოდენ.
19. მრავალნი პურიათა მათგანნი მოსრულ იყვნეს მარიამისა და მართაჲსა, რადთამცა ნუგეშინის-სცეს მათ ძმისა მის მათისათვის.
20. მართას ვითარცა ესმა, ვითარმედ იესუ მოვალს, მიეგებოდა მას, ხოლო მარიამი ჯდა მუნვე სახლსა შინა.
21. პრქუა მართა იესუს: უფალო, აქა თუ[მ]ცა იყავ, ძმაჲ იგი ჩემი არამცა მოკუდა.
22. არამედ აწცა უწყი: რაოდენი-რად სთხოო ღმერთსა, მოგცეს შენ ღმერთმან.
23. პრქუა მას იესუ: აღდგეს ძმაჲ იგი შენი.
24. პრქუა მას მართა: უწყი, რამეთუ აღდგეს აღდგომასა მას უკუანაჲსკნელსა დღესა.
25. პრქუა მას იესუ: მე ვარ აღდგომაჲ და ცხორებაჲ, რომელსა ვრწმენე მე, და ღათუ მოკუედეს, ცხონდეს.
26. და ყოველი, რომელი ცოცხალ იყოს და პრწმენეს ჩემი, არა მოკუედეს უკუნისამდე. გრწამს ესე?

(24) იოზ.19,15-26.
 ეს.26,19.
 ეზკ.37,4.
 დან.12,2.

(26) ი.6,54.

11. ვანკელუძი C 17. სასამარესა შინა C. 18. ი-მისა C 19. უგეშინისცეს C. 20. მართაჲს C 21. მართაჲ C: იყა C: არამცა მოკუდა C 24. მართაჲ C.

27. პრქუა მას: ჰე, უფალო, მე მრწამს, რამეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ, რომელი მისდევად ხარ სოფლად.

(27) ბ.16,16.

28. და ვითარცა ესე თქუა, წარვიდა და მისხდა მარიამს, დასა თვისსა, ფარულად და პრქუა: მოძღუარი აქა არს და გიწესს შენ.

29. მას ვითარცა ესმა, აღდგა ადრე და მივიდა მისა.

30. არღა მოსრულ იყო იესუ დაბასა მას, არამედ იყო მუნვე ადგილსა მას, რომელსა მიეგებვოდა მართა.

31. ხოლო ჰურიანი იგი, რომელნი იყვნეს მის თანა სახლსა მას და ნუგეშინის-სცემდეს მას, და ვითარცა იხილეს მარიამი, რამეთუ აღდგა ადრე-ადრე და განვიდა, განვიდეს იგინიცა, და მისდევდეს, ჰგონებდეს, ვითარმედ სამარედ მივალს ტირიდ მუნ.

32. ხოლო მარიამი ვითარცა მივიდა მუნ, სადა-იგი იყო იესუ, და იხილა იგი, შეურდა ფერკთა მისთა და პრქუა: უფალო, თუმცა აქა ყოფილ იყავ, არამცა მოკუდა ძმაჲ იგი ჩემი.

33. იესუ ვითარცა იხილა იგი, რამეთუ ტიროდა, და რომელნი-იგი მის თანა ჰურიანი იყვნეს ტიროდეს, აღიძრა სულითა თვისითა, ვითარცა განრისხებული

34. და თქუა: სადა დასდევით იგი? — პრქუეს მას: უფალო, მოვედ და იხილე.

35. და ცრემლოდა იესუ.

36. და იტყოდეს ჰურიანი იგი: იხილეთ, ვითარ სამე უყუარდა იგი!

37. რომელნიმე მათგანნი იტყოდეს: ვერმეცა შეუძლო ამან, რომელმან აღუხილნა თუაღნი ბრმისანი მის, ყოფად, რაჲთამცა ესეცა არა მოკუდა?

(37) იო/9,6.

38. იესუ მერმე, განრისხებული გონებასა თვისსა, მოვიდა სამარედ. იყო ქუაბი ერთი და ლოდი ერთი და იდგა მას ზედა.

39. და პრქუა მათ იესუ: აღიღეთ ლოდი ეგე. — პრქუა მას მართა, დამან მის მკუდრისამან: უფალო, აწ ყროდის, რამეთუ ოთხისა დღისაჲ არს.

40. პრქუა მას იესუ: არა გარქუ შენ: ვრწმენეს თუ, იხილო დიდებაჲ ღმრთისაჲ?

41. და ვითარცა აღიღეს ლოდი იგი, და იესუ აღიხილნა თუალნი თჳსნი ზეცად და თქუა: მამაო, გმადლობ შენ, რამეთუ ისმინე ჩემი.

42. და მე უწყოდე, რამეთუ ყოველსა უამსა ისმინი ჩემი, არამედ ერისა ამისთჳს, რომელი გარემო დგას, უყოფ, რაჲთა პრწმენეს, რამეთუ შენ მომავლინე მე.

43. ესე ვითარ თქუა, კმითა მალლითა ღაღატ-ყო და თქუა: ლაზარე, აღდეგ და გამოგუალე!

44. და გამოვიდა მკუდარი იგი, კრული ფერკით, კელით რეზითა, და პირი მისი დახუეულ იყო სუდრითა. პრქუა მათ იესუ: განჰკჳსენით ეგე და აცადეთ წარსლვად.

45. და მრავალნი ჰურიათა მათგანნი რომელნი მოსრულ იყვნეს მარიამეთა, ვითარცა იხილეს, რაჲ-იგი ქმნა, პრწმენა მისი.

46. და რომელნიმე მათგანნი მივიდეს ფარისე-ველთა მათ და უთხრეს მათ, რაჲ-იგი ქმნა იესუ.

(47) მათ 26,3.
მრ. 14,1.

47. და შეკრბეს მღდელთმოძღუარნი და ფარისეველნი ჰურაკპარაკსა და თქუეს: რაჲ ყვოთ, რამეთუ კაცი იგი მრავალთა სასწაულთა ჰყოფს?

48. უკუეთუ მიუშუათ ესრეთ, ყოველთა პრწმენეს იგი, და მოვიდენ ბერძენნი და აღკოცონ ნათესავი ჩუენი და ადგილი ესე.

49. ერთი ვინმე მათგანი, რომელსა სახელი ერქუა კაჲაფა, რომელი-იგი მღდელთმოძღუარ იყო წელიწადისა მის, პრქუა მათ: თქუენ არაჲ იციოთ,

(50) ი. 18,14.

50. და არცა შე-რაჲ-გირაცხიეს, რამეთუ უმჯობეს არს ჩუენდა, კაცი თუ ერთი მოკუდეს ერისა ამის წილ, და ნუმცა ყოველი ესე ნათესავი წარწყმდების.

51. ხოლო ესე არა თავით თჳსით თქუა, არამედ მღდელთმოძღუარ იყო წელიწადისა მის, წინა-წარმეტყუელებით თქუა, რამეთუ მოსიკუდიდ იყო იესუ ზედა ნათესავსა მას.

(52) ი. 10,16.
ეფ. 2,13.

52. არა თუ ნათესავსა ამას ზედა, არამედ რაჲთა შვილნი იგიცა განზნეულნი შეკრიბნეს ერთად.

(53) მ. 21,38.

53. და მიერ დღითგან ზრახვიდეს, ვითარმცა მოკლეს იგი.

11. თველნი C. 11. დახეულნი

54. და იესუ მიერთვან არღარა ცხადად იქცეოდა შორის ჰურიათა მათ, არამედ წარვიდა მიერ ქუეყანასა ერთსა, რომელ მახლობელ იყო უდაბნოსა ქალაქსა ერთსა, რომელსა ერქუა ეფრაიმ, და მუნ იქცეოდა მოწაფითურთ.

55. და მახლობელ იყო ზატიკი იგი ჰურიათაჲ, და მრავალნი აღვიდეს წინაჲსწარ ზატიკისა მის იერუსალჴმდ, რაჲთა განიწმიდონ თავი თჳსი.

(55) 26 მტ. 30, 17.

56. ეძიებდეს იესუს ხილვად და იტყოდეს ურთიერთას, რომელნი დგეს ტაძარსა მას შინა: ვითარ ჰგონებთ თქუენ, არამე მოვიდეს დღესასწაულსა ამას?

57. ამცნეს მღდელთმოდღუართა მათ და ფარისეველთა, თუ ვინმე უწყოდის, სადა არს, ვკთხარნ, — რაჲთა შეიპყრან იგი.

12

1. ხოლო იესუ წინა ექუსით დღით ზატიკისა მის მოვიდა ბეთანიად, სადა-იგი იყო ლაზარე მომკუდარი, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

(1) მ. 16, 6.
მრ. 14, 3. ი. 12, 2.

2. და დაუმზადეს მუნ სერი, და კმსახურებდა მას მართა და ლაზარე, ერთი მეინავეთავანი, — მის თანა.

(2) ლ. 10, 40.

3. ხოლო მარიამ მოილო ლიტრაჲ ერთი ნელსაცხებელი ლარდიონი რჩეული მრავალსასყიდლისაჲ, სცხო ფერკთა იესუსთა და თმითა თჳსითა წარჰკოცდა ფერკთა მისთა, და სახლი იგი აღივისო სურნელებითა მით ნელსაცხებლისაჲთა.

4. პრქუა ერთმან ვინმე მოწაფეთავანმან, იუდა სკარიოტელმან, რომელსა ეგულებოდა მიცემაჲ მისი:

5. რაჲსა არა ნელსაცხებელი ეგე განიყიდა სამასის დრაჰკნის და მიეცა გლაზაკთა?

6. ესე თქუა, არა თუ გლაზაკთაჲ რაჲ გულს-ედგა მას, არამედ რამეთუ მპარავი იყო, და გუადრუცი იგი მის თანა იყო, და რაჲ-იგი შთაიდებოდა, მას აქუნ.

(6) ი. 13, 29.

(7) 2შჯ.15,11.

7. პრქუა იესუ: მიუტყვევ მაგას, რაჲთა დღესა მას სამკუდროჲსა შემოსისა ჩემისათჳს დაჰმარხოს ეგე.

8. გლაზაკნი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე მარადის არა თქუენ თანა ვარ.

9. ავრძნა ერმან მრავალმან ჰურიათაგანმან, რამეთუ მუნ არს, მივიდეს არა თუ იესუსთჳს ხოლო, არამედ რაჲთა ლაზარეცა იხილონ, რომელი-იგი აღადგინა მკუდრეთით.

10. ზრახვა ყვეს მღდელთმოძღუართა მათ, რაჲთამცა ლაზარეცა მოკლეს.

11. რამეთუ მის გამო მრავალნი ჰურიათა მათგანნი მივიდოდეს და პრწმენა.

12. ხვალისაგან სიმრავლჳ ერისაჲ მის რომელ მოსრულ იყო დღესასწაულსა მას, ვითარცა ესმა, რამეთუ იესუ მოვალს იერუსალჳმდ,

(13) მ.21,8.
ლ. 19,36.

13. აღიღეს რტოები ფინიკისაჲ და განვიდეს წინამიგებებად მისა: დაღებდეს და იტყოდეს: მსანნა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაჲთა და მეუფჳ ისრაჳლისაჲ!

14. და პოვა იესუ ვირი ერთი და დაჯდა მას ზედა, ვითარცა წერილ არს:

(15) ზაქ.9,9.
ეს.62,11.მ.21,5.

15. გიხაროდენ, ასულო სიონისაო! აჰა, მეუფე შენი მოვალს და ზეზის კიცუსა ვირსა.

16. და ესე არა ცნეს მოწაფეთა მისთა პირველ; ხოლო რაჟამს იდიდა იესუ, მაშინ მოიჯსენეს, რამეთუ ესრე წერილ იყო მის ზედა, და ესე უფლეს მას.

17. და ერი იგი ეწამებოდა, რომელ იყო მის თანა, რაჟამს ლაზარეს უწოდა სამართი და აღადგინა იგი მკუდრეთით.

18. ამისთჳს მიეგებვოდა ერი იგი, რამეთუ ესმინა, ვითარმედ ესევეითარი სასწაული ექმნა მას.

19. ხოლო ფარისეველნი იგი იტყოდეს ურთიერთას: ხედავთ, რამეთუ არარას ირგებთ? აჰა, სოფელი ყოველი შეუდგს მას.

20. იყენეს მუნ წარმართთაგანნიცა, რომელნი აღსრულ იყენეს თაყუანის-ცემად დღესასწაულსა მას.

12. ი-მძღ. 13. ყვანაკობაჲ.

21. იგინი მიუჯდეს ფილიპეს, რომელ ბეთსადადამთ გალილეველთადათ იყო, ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უფალო, გუნებავს იესუს ხილვადა.
22. მოვიდა ფილიპე და უთხრა ანდრიას; ანდრია და ფილიპე პრქუეს იესუს.
23. ხოლო იესუ მიუგო მათ და პრქუა: მოწევნულ არს ჟამი, რადათა იდიდოს ძე კაცისადა.
24. მართლიად მართალსა გეტყვ თქუნენ: არა თუ მარცუალი იფქლისადა დავარდეს ქუეყანასა და მოკუდეს, იგი ხოლო ეგოს; უკუეთუ მოკუდეს, მრავალი ნაყოფი გამოიღოს.
25. რომელსა უყუარს თავი თვისი, განუტეოს იგი. და რომელსა სძულდეს თავი თვისი სოფელსა ამას, ცხორებასა მას საუკუნესა დაიმკუდროს იგი. (25) მ.10,39. მრ.8,35. ლ.9,24; 14,27.
26. თუ ვინმე მე მსახურებს, მე მომდევდინ; და სადა-იგი მე ვარ, მუნ მსახური იგი ჩემი იყოს. მე თუ ვინმე მსახუროს, პატივ-უყოს მას მამამან ჩემმან. (26) ი.17,24.
27. ხოლო აწ სული ჩემი აღძრულ არს, და რადა ვთქუა? მამაო, განმარინე მე ჟამისა ამისგან. არამედ ამისთვის მოვედ ჟამსა ამას. (27) მ.26,38. ებრ.5,7.
28. მამაო, ადიდე სახელი შენი! — მოვიდა კმადა ზე-ციოთ: გადიდე და მერმე გადიდო.
29. და ერი იგი რომელ დგა, ესმოდა და იტყოდეს: ქუხილ არს; და სხუანი იტყოდეს: ანგელოზი ეტყვს მას.
30. მიუგო იესუ და თქუა: არა ჩემთვის მოვიდა კმადა ესე, არამედ თქუნეთს.
31. აწ არს სასჯელი სოფლისადა, აწ მთავარი ამის სოფლისადა დაეცეს. (31) ი.14,3; 16,11.
32. და მე მას ჟამსა აღვიმალლო ქუეყანით, ყოველი მოვიზიდო ჩემდა. (32) ი.3,4.
33. ამას ეტყოდა, მოასწავებდა, რომლითა სიკუდილითა მოსიკუდიდ იყო.
34. მიუგო მას ერმან მან: ჩუენ გუესმა შჯულისაგან, ვითარმედ ქრისტჳ უკუნისამდე დგეს. და შენ ვითარ იტყვ, ვითარმედ: აღმალლებადა ჯერ-არს ძისა კაცისადა? ვინ არს იგი ძე კაცისადა? (34) 2 მფ. 7,13. ფს.88,37. ეს.9.6. ებკ.37,25. და6.2,44; 7,14, მიქ.5,1. ლ.1,33.

21. გალილეველთადათ ი. 25. დაიმკუდროს ი. 34. გუესმა ი.

35. პრქუა მათ იესუ: მცირედ ჟამლა ნათელი თქუენ თანა არს. ვიდოდეთ, ვიდრელა ნათელი თქუენ თანა არს, რაათა არა გეწიოს თქუენ ბნელი, რამეთუ რომელი ვალნ ბნელსა, არა უწყინ, ვიდრე ვალნ.

36. ვიდრე ნათელი თქუენ თანა არს, გრწმენინ ნათლისაჲ მის, რაათა ნაშობ ნათლის იყენეთ. -- ამას ეტყოდა იესუ და წარვიდა და მიეფარა მათგან.

37. და ესთენი სასწაული ექმნა მათ წინაშე, და მათ არა პრწმენა მისი,

(38) ეს.53,1.
რომ.10,16.

38. რაათა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაჲა წინაწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: უფალთ, ვისმე პრწმენა სასმენელთა ჩუენთაჲ? ანუ მკლავი უფლისაჲ ვის გამოეცხადა?

39. ამისთჳს არა პრწმენა, რამეთუ მერმეტა თქუა ესაია,

(40) ეს. 6,9-10.
მ.13,14.
მრ. 4,12. ლ.
8,10. სქ28,26.
რომ.11,8.

40. ვითარმედ: დაუბრმნა თუალნი მათნი, და შეუსულიბნა გულნი მათნი, რაათა არა ხედვიდენ თუალითა და გულისხმა-ყონ გულითა და მოიქცენ, და განგკურნე იგინი.

41. ესე თქუა ესაჲა, რამეთუ იხილა დიდებაჲ მისი და იტყოდა მისთჳს.

42. ხოლო მთავართა მათგანცა მრავალთა პრწმენა მისი, და ფარისეველთა მათგან ვერ გამოაცხადიან, რაათა არა განვარდენ ერისა მისგან.

(43) ი. 5,44.

43. რამეთუ შეიყუარეს დიდებაჲ კაცთაჲ უფროჲს ვიდრე დიდებაჲ ღმრთისაჲ.

44. და იესუ დაღადებდა და იტყოდა: რომელსა ვრწმენე მე, არა მე ვპრწმენე, არამედ იგი, რომელმან მომავლინა მე.

45. და რომელმან მიხილოს მე, იხილოს მომავლინებელი იგი ჩემი.

(46) ი.3,19.

46. მე, ნათელი სოფლისაჲ, მოვედ, რაათა ყოველსა რომელსა ვპრწმენე, ბნელსა შინა არა დაშთეს.

(47) ი.3,17.

47. უკუეთუ ვინმე მისმინნეს სიტყუანი ჩემნი და არა დაიმარხნეს, მე არა ვსჯი მას, რამეთუ არა მოვედ, ვითარმეტა დავსაჯე სოფელი, არამედ რაათა ვიქსნე სოფელი.

35. თანაჲ ჟოაC 36. თანაჲ ჟოაC 39. არა C 40. თვალნიC გულისკებაC

48. რომელმან შეურაცხ-მყოს მე და არა შეიწყნარნეს სიტყუანი ჩემნი, არს, რომელმან საჯოს იგი: სიტყუასა მას, რომელსა ჰუეტყოდე, მან დასაჯოს იგი დღესა მას უკუანადასკნელსა. (48) მრ. 16, 16.
49. რამეთუ მე თავით ჩემით არას ვიტყოდე, მან მამცნო მე, რად ვთქუა და რასა ვიტყოდი. (49) ი. 14, 10.
50. და უწყი, რამეთუ მცნებაჲ მისი ცხორება არს საუკუნო. რომელსა უყუარ მე, ვითარცა მამცნო მე მამამა, ეგრე ვიტყვ.

13

1. წინადაწარ დღესასწაულსა მის ზატიკისასა უწყოდა იესუ, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი მისი, რადთა იცვალოს ამიერ სოფლით მამისა; შეიყუარნა თჳსნი იგი, რომელ სოფელსა ამას არიან, სრულიად შეიყუარნა იგინი. (1) მ. 26, 2. მრ. 14, 1.
2. და ვითარცა სერისა ჟამი იყო, ეშმაკსა შთაეგდო გულსა თჳსსა, რადთა მისცეს იგი იუდა სიმონისმან, სკარიოტელმან.
3. უწყოდა იესუ, რამეთუ ყოველი მისცა მამამან ჳელთა მისთა, და რამეთუ ღმრთისაგან გამოვიდა და ღმრთისა მივალს. (3) მათ 11, 27; 28, 18.
4. აღდგა სერისა მისგან და დადვა სამოსელი თჳსი და აღიღო მჩუარი ერთი, მოირტყა. (4) ლ. 17, 8; 22, 27.
5. და შემდგომად მოიღო წყალი, შთაასხა კონქსა და იწყო ბანად ფერტთა მათ მოწაფეთასა და წარჰკოცდა მჩურითა მით, რომელ მოერტყა.
6. მოვალს სიმონ-პეტრესა; და მან ჰრქუა მას: უფალო, შენ დაჰბანა ფერტთა ჩემთა?
7. მიუგო მას იესუ და ჰრქუა: რასა-ესე მე ვიქმ, აწ არა უწყი, ხოლო მერმე უწყოდი.
8. ჰრქუა მას პეტრე: არა დამბანე ფერტნი ჩემნი უკუნისამდე: მიუგო იესუ: თუ არა დაგბანო, არა გაქუნდეს ჩემ თანა ნაწილი.
9. ჰრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ნუ ხოლო ფერტნი ჩემნი, არამედ ჳელნი და თავიცა.

- (10) ი. 15, 3. 10. პრქუა მას იესუ: ბანილსა მას არა უკმს ბანა, გარნა ფერტა ხოლო ბანაჲ, რამეთუ ყოვლად წმიდა არს, და თქუენ წმიდა ხართ, ხოლო არა ყოველნი.
 11. რამეთუ უწყოდა, რომელი-იგი მიცემად ვიდოდა მას. ამისთვის თქუა, ვითარმედ: არა ყოველნი წმიდა ხართ.
 12. და მას ჟამსა დაჰბანნა ფერტნი მათნი, აღილო სამოსელი თვისი და მერმე ინაჯიდგა. და პრქუა მათ: უწყით, რაჲ-ესე ვყავ თქუენდა მიმართ?
- (13) 1 კორ. 8, 6; 12, 3. ფლპ. 2, 11. 13. თქუენ მხადით მე მოძღურით და უფლით, და კეთილად სიტქოთ, რამეთუ ვარვე ეგრე.
 14. უკუეთუ მე დაგბანნე ფერტნი თქუენნი, რომელ-ესე უფალ და მოძღუარ ვარ, და თქუენცა თანა-გაც ურთიერთას დაბანაჲ ფერტთაჲ.
 15. რამეთუ სახე ერთ მიგეც თქუენ: ვითარცა-ესე თქუენდა მიმართ ვყავ, და თქუენცა ჰყოფდით.
- (16) მათ 10, 24. ლ. 6, 40. ი. 15, 20. 16. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თვისისა, და არცა მოციქული უფროჲს მომავლინებელისა თვისისა.
 17. უკუეთუ სცნათ, უსანატრელეს იყვნეთ, თუ ჰყოფდეთ ამას.
- (18) ფს. 40, 10/ სქ 1, 16. 18. არა თქუენ ყოველთათვის ვიტყვ, რამეთუ მე გიცნი, რომელნი-ეგე გამოგირჩიენ, არამედ რაჲთა აღესრულოს წერილი იგი, ვითარმედ: რომელი ჭამდა პურსა ჩემ თანა, მან დაასრულა ჩემ თანა ტყუვილი.
- (19) ი. 14, 29. 19. ამიერიტგან გეტყვ თქუენ, ვიდრე არლა ყოფილ არს, რაჲთა რაჟამს იყოს, გრწმენეს, ვითარმედ მე ვარ.
- (20) მ. 10, 40. ლ. 10, 16. 20. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ: რომელმან შეიწყნაროს, რომელი მე წარვაგლინო, მე შემიწყნაროს; რომელმან მე შემიწყნაროს, შემიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.
- (21) მ. 26, 21. მრ. 14, 18. ლ. 22, 21. 21. ესე ვითარცა თქუა იესუ, აღიძრა სულითა თვისითა, წამა და თქუა: მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ ერთი თქუენგანი მიმცემს მე.
 22. შეიხილნეს ურთიერთას მოწაფეთა მისთა და შეზრუნდეს: ვისთვისმე იტყვს?

ԿՐՏՈՒՄԸ ԾԱՌԱՅ
 ԵՎԵՐԿԸ ԴՅՈՒ ԴԵՍՈՒ
 ԲԵՐՈՒՄԻ ԲԵՆ ԺԵ
 ԴԵՅՈՒՄԸՆ ԲԻՆ
 ԺԵՐԵՆԵՐԸ ԴԵՆ
 ԴՅՈՒՄԸ ԿԵՐԵՐԸ

() ԵՎՈՒՄԻ ԿՐՈՒՄԸ
 ԲՈՒՄ ԲԵՐՈՒՄԸ ԿՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ

ԵՆ ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ

ԿՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ

() ԵՆ ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ
 ԿԵՐՈՒՄԸ ԿԵՐՈՒՄԸ

23. და იყო ერთი მოწაფეთა მისთავანი, რომელსა ინაგ-ეღვა იესუს თანა, რომელი-იგი უყუარდა იესუს. (23) ი.21,20.
24. თუალ-უყვნა მას სიმონ-პეტრე, რაათა ჰკითხოს, ვინ არს, რომლისათჳს იტყუს?
25. და იგი მიეყრდნა მკერდსა იესუსსა და პრქუა: უფალო, ვინ არს?
26. მიუგო იესუ და პრქუა: იგი არს, რომელსა მე დავაწო შესასუმელი და მივსცე. — და დააწო შესასუმელი და მისცა იუდას სკარიოტელსა.
27. და შემდგომად შესასუმელისა მის მაშინ შევიდა ეშმაკი. და პრქუა მას იესუ: აწ რაჲ გეგულები საქმედ, იქმოდე ადრე!
28. და ესე არა ვინ გულისხმა-ყო მენაგეთა მისთავანმან, რაჲსათჳს პრქუა მას.
29. რომელნიმე ჰგონებდეს, რამეთუ გუადრუცი იგი აქუნდა იუდას, და პრქუა იესუ: გჳყიდე, ნუ რაჲ გჳკმდეს დღესასწაულსა ამას, ანუ თუ გლახაკთა რაჲ მიცემად.
30. და ვითარცა მიიღო შესასუმელი იგი, განვიდა გარე. და იყო ღამე.
31. და ვითარცა განვიდა, თქუა იესუ: აწ იდიდა ძმ კაცისაჲ, და ღმერთი იდიდა მის თანა. (31) ი.12,33.
32. და რამეთუ იდიდა მის თანა, და ღმერთმან ადიდოს იგი თავისა თჳსისა თანა დამყისადილოს იგი.
33. შეიღწო ჩემნო, წუთ ერთ ჟამ თქუნ თანა ვარ. მეძიებდეთ მე და, ვითარცა ვარქუ მე ჰურიათა მათ: ვიდრე-იგი მივალ, თქუნ ვერ მოხვდეთ; და აწ თქუნ გეტყვ: (33) ი.7,3; 8,21.
34. მცნებასა ახალსა მიგცემ თქუნ, რაათა იყუარობდეთ ურთიერთას, ვითარცა შეგიყუარენ მე თქუნ, რაათა თქუნცა იყუარობდეთ ურთიერთას. (34) ი.15,12. 1 ი.3,11. 1 თეს.4,9.
35. ამით უწყოდინან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკუეთუ იყუარობდეთ ურთიერთას.

23. მოწაფეთა 24. თუალ-: -პეტრე 25. ი-უსა 26. დავაწო 27. ეშმაკი 28. გულისხმა 29. ვადრუცი: რაო + რაად 32. თავისა + თავისა

36. პრქუა მას სიმონ-პეტრე: უფალო, ვიდრე ხუალ? მიუგო იესუ: ვიდრე-იგი მე მივალ, შენ ვერ მომდევდე აწვე, ხოლო მერმე მომდევდე.

37. პრქუა მას პეტრე: უფალო, რაჲსა ვერ მიგდევდე? აწვე თავი ჩემი დავდვა შენ ზედა.

(38) მ.26,34.
მრ. 14,30.
ლ.22,34.

38. მიუგო იესუ: თავი შენი სამე დასდვა ჩემ ზედა? მართლიად მართალსა გეტყვ შენ: არლა ქათამსა ეყვივოს, უვარ-მყო მე სამგზის.

14

1. ნუ შეძრწუნდებიედ გულნი თქუენნი, არამედ გრწმენინ ღმერთი და ჩემი გრწმენინ.

2. სახლსა მამისა ჩემისასა მრავალ სადგურ არს. უკუეთუმცა არა გარქუ თქუენ, ვითარმედ: მივალ და განგიმზადო თქუენ ადგილი.

(3) ი. 17,24. 1
თეს. 4,17.

3. და თუ მივიდე, განგიმზადო თქუენ ადგილი და მერმე მოვიდე და წარგიყვანნე თქუენ ჩემ თანა, რაჲთა, სადა-იგი მე ვიყო, მუნცა თქუენ იყვნეთ.

4. და ვიდრე-იგი მივალ, უწყით და გზაჲცა იცით.

5. პრქუა მას თომა: უფალო, არა უწყით, ვიდრე-იგი მიხუალ, და ვითარმე გზაჲ იგი უწყოდით?

(6) ეს. 35,8.
ი. 1,14,17; 6,33,40;
8,32; 10,28; 11,25.
1 ი. 5,20. ეფ. 1,13.

6. პრქუა მას იესუ: მე ვარ გზაჲ და ჭეშმარიტებაჲ და ცხოვრებაჲ. ვერვინ მივიდეს მამისა, არა თუ ჩემ გამო.

7. და თუმცა მე იცოდეთ, იცოდეთმცა მამაჲცა ჩემი. და ამიერიტგან იცანთ და იხილეთ იგი.

8. პრქუა ფილიპე: უფალო, გვჩუენე ჩუენ მამაჲ, და კმა არს ჩუენდა.

9. პრქუა მას იესუ: ესთენ ყამ თქუენ თანა ვარ, და არა მიცით მე, ფილიპე? რომელმან მიხილა მე, იხილა მამაჲ, და შენ ვითარ იტყვ: გვჩუენე ჩუენ მამაჲ?

10. არა გრწამს, რამეთუ მე მამისა თანა, და მამაჲ ჩემ თანა არს? სიტყუათა, რომელთა გეტყვ, არა თავით ჩემით გეტყვ, არამედ მამაჲ, რომელი ჩემ თანა დამკვდრებულ არს, იგი იქმს საქმეთა.

38. ვერჯეუ C. 2. ჩემისა C. 5. მიხუალ C. 8. ვერჩუენე C. 10. სიტყუათა C. ვარჯეუ C.

11. გრწამს ჩემი, რამეთუ მე მამისა თანა, და მამა ჩემ თანა? უკუეთუ არა, საქმეთა მათ გამო თუ გრწმენინ ჩემი.

12. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელსა ვპრწმენე მე, საქმეთა მათ, რომელთა მე ვიქმ, იგიცა იქმოდის და უდიდესლა ამათსა იქმოდის, რამეთუ მე მამისა მივალ.

13. და რასა ითხოვდეთ სახელითა ჩემითა, ვყო იგი, რაჟთა იდიდოს მამაჲ ძისა თანა.

[[14.]]

15. უკუეთუ გიყუარდე მე, მცნებანი ჩემნი დაიმარხენით.

16. და მე უღოცვიდე მამასა და სხუაჲ ნუგე- შინისმცემელი მოგცეს თქუენ, რაჟთა თქუენ თანა დაიმკვდროს უკუნისამდე.

17. სული ეგე ჭეშმარიტებისაჲ, რომელი სოფელმან ვერ შეიწყნაროს იგი, რამეთუ არა იხილოს და არცა იცნას იგი, ხოლო თქუენ იცანთ იგი, რამეთუ თქუენ თანა დამკვდრებულ არს და თქუენ თანაცა იყოს.

18. არა დაგიტევენე თქუენ ობლად, მოვალ თქუენდა.

19. მცირედლა ჟამ, და სოფელი ესე არღარა მხედვიდეს მე, ხოლო თქუენ მხედვიდეთ, რამეთუ მე ცხოელ ვარ, და თქუენცა ცხოელ ყოფად ხართ.

20. მას დღესა უწყოდით თქუენ, რამეთუ მე მამისა თანა, და თქუენ ჩემ თანა, და მე თქუენ თანა.

21. რომელსა აქუნდენ მცნებანი ჩემნი და დაიმარხნეს იგინი, იგი არს, რომელსა უყუარ მე, და რომელსა უყუარდე მე, საყუარელ იყოს იგი მამისა ჩემისა, და მე შევიყუარო იგი და გამოუცხადო მას თავი ჩემი.

22. პრქუა მას იუდა, არაისკარიოტელმან: უფალო, რაჲ არს, რამეთუ ჩუენდა გეგულების გამოცხადების და არა სოფელსა?

23. მიუგო იესუ და პრქუა: უკუეთუ ვისმე უყუარ მე, სიტყუაჲ ჩემი დაიმარხოს, და მამამან ჩემმან შეიყუაროს იგი, და მისა მოვიდეთ და მისა დავადგრეთ.

(13) მ.7,7.
მრ.11,24. ლ.
1,9. ი. 15,;
16,23. იაკ.1,6.

(17) ი. 16,13. 1
კორ. 2,14.

(19) ი. 11,25. 1
თნს.4,14.

(23) ზაკ. 2,10.
1 კორ. 3,16.
გცხ.3,20.

- (24) ი. 12,49. 24. და რომელსა არა უყუარდე მე, სიტყუანი ჩემნი არა დაიმარხნეს, და სიტყუა ჩემი, რომელი გესმის, არა არს ჩემი, არამედ მამისაჲ, რომელმან მომავლინა მე.
25. ამას გეტყოდე თქუენ, ვიდრე-ესე თქუენ თანა ვარ.
- (26) ი. 15,26. 26. ხოლო ნუგეშინისმცემელი იგი სული წმიდაჲ, რომელ მოგივლინოს მამამან სახელითა ჩემითა, მან გასწაოს თქუენ ყოველი და მოგაკსენოს თქუენ ყოველი, რავდენი გარქუ თქუენ.
- (27) ფლპ. 4,7 27. მშუდობასა დაგიტევებ თქუენ, მშუდობასა ჩემსა მიგცემ თქუენ, არა ვითარმცა სოფელმან მიგცა, მიგცემ თქუენ. ნუ შეძრწუნდებოდე გულნი თქუენნი, და ნუცა დაჰმედგრდებით.
28. გესმა, რამეთუ გარქუ თქუენ, ვითარმედ: მივალ და მოვალ თქუენდა. უკუეთუმცა გიყუარდი მე, იხარეთ სამემცა, ვითარმედ მე მამისა მივალ, რამეთუ მამაჲ ჩემი უდიდეს არს ჩემსა.
29. და აწ გარქუ თქუენ, ვიდრე ყოფადმდე, რაჲთა, ოდეს იყოს, გრწმენეს.
- (30) ი. 12,31; 16,11. 30. არღარა მრავალსა გეტყოდი თქუენ; მოვალს მთავარი ამის სოფლისაჲ და ჩემ თანა არაჲ პოოს.
- (31) ი. 10,18. ებრ. 10,7. 31. არამედ რაჲთა ცნას სოფელმან, რამეთუ მიყუარს მამაჲ, და ვითარცა მამცნო მე მამამან, ეგრე ვიქმ. აღდეგით, წარვიდეთ ამიერ

15

- (1) მ. 15,13. გლტ. 5,22. 1. მე ვარ ვენაჲი ჭეშმარიტი, და მამაჲ ჩემი მოქმედი არს.
2. ყოველმან ვენაჲმან, რომელ ჩემ თანა დამკვდრებულ არს, და არა გამოიღოს ნაყოფი, მოჰკუეთოს იგი; და ყოველმან რომელმან გამოიღოს ნაყოფი, განწმიდოს იგი და უფროჲსი ნაყოფი გამოიღოს.
- (3) ი. 13,10 1 ი. 2,7. 3. თქუენ აწვე წმიდა ხართ სიტყუსა მისთვის, რომელსა გეტყოდე თქუენ.
4. დაადგერით ჩემ თანა, და მე თქუენ თანა: ვითარცა ვენაჲმან ვერ გამოიღოს ნაყოფი თავით თვისით, არა თუ დამტკიცებულ არნ ძირსა ზედა, ეგრეცა თქუენ, არა თუ ჩემ თანა დამტკიცებულ იყვნეთ.

26. მამან C 27. მშუდობასა C. 29. ყოფადმდე C. 31. მიყურს C. 2. დამკვდრებულ C. 4. იყვნეთ C.

5. მე ვარ ვენაჯი, და თქვენ რტონი. რომელი დამტკიცებულ იყოს ჩემ თანა, და მე მის თანა, მან გამოიღოს ნაყოფი ფრიად, რამეთუ თვნიერ ჩემსა ვერ შეუძლოთ ყოფად. (5) სქ 4,12.
6. არა თუ ვინმე დაადგრა ჩემ თანა, განვარდა იგი გარე ვითარცა ვაზი, განკმა, და შეკრიბონ იგი და ცეცხლთა დაასხან იგი, და დაიწუას. (6) ეზკ. 15,4. 2.3,10; 7,19.
7. უკუეთუ დაადგრეთ ჩემ თანა, და სიტყუანი ჩემნი თქვენ თანა დაადგრენ, რაჲცა გინდეს, ითხოვდით, და გეყოს თქვენ. (7) ი. 14,13; 16,23. 1 ი. 3,22.
8. ამით იღიდა მამაჲ ჩემი, რაჲთა ნაყოფი დიდი გამოიღოთ და იყვნეთ ჩემდა მოწაფე.
9. ვითარცა შემიყუარა მე მამამან, და მე შეგიყუარენ თქვენ, მტკიცედ ეგენით სიყუარულსა მას ჩემსა.
10. უკუეთუ დაიმარხნეთ მცნებანი ჩემნი, ეგნეთ სიყუარულსა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავიმარხენ და ვჰგიე სიყუარულსა მისსა.
11. ამას გეტყოდი თქვენ, რაჲთა სიხარული ჩემი გაქუნდეს, და სიხარული თქუენი აღივსოს.
12. ესე არს მცნებაჲ ჩემი, რაჲთა თქვენ იყუარობდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქვენ. (12) ი. 3,34. 1 ი. 3,11; 4,21.
13. ხ- უფროჲს ამისა სიყუარული არა ვის აქუნ, ვითარმცა თავი თვისი დადვა მეგობართა ზედა თვსთა. ეფ. 5,2. 1 თეს. 4,9.
14. თქვენ მეგობარნი ჩემნი ხართ, უკუეთუ ჰყოფდეთ, რასა-ესე მე გამცნებ თქვენ.
15. არლარა გრქუა თქვენ მონა, რამეთუ მონამან არა უწყინ, რასა იქმნ უფალი თვისი, ხოლო თქვენ გიწოდე მეგობრად, რამეთუ ყოველი, რაჲ მესმა მამისა ჩემისაგან, გარქუ თქვენ. (15) ეფ. 1,9; 3,5.
16. არა თუ თქვენ გამომირჩიეთ მე, არამედ მე გამოვირჩიენ თქვენ და დაგსხენ თქვენ, რაჲთა თქვენ წარხვდეთ და ნაყოფისგამომღებელ იყვნეთ, და ნაყოფი იგი თქუენი ეგენ: და რაჲ ითხოოთ მამისა ჩემისაგან სახელითა ჩემითა, მოგცეს თქვენ. (16) მრ. 16,15.
17. ამას გამცნებ თქვენ, რაჲთა იყუარობდეთ ურთიერთას.

10. ვჰგიეხ. 13. ამისხა. 17. იყუარობდით.

- (18) 1 ი. 3, 13. 18. უკუეთუ სოფელმან თქუენ მოვიძულოს, უწყოდეთ, რამეთუ პირველ მე მომიძულა.
19. უკუეთუმცა სოფლისა ამისგანნი იყვენით, სოფელსა ამას თვისნიმცა უყუარდეს; ხოლო რამეთუ არა ხართ სოფლისაგანნი, არამედ მე გამოვიგირიენ სოფლისაგან, ამისთვის სძულთ თქუენ სოფელსა.
- (20) მ. 10, 24; 24, 9. მრ. 13, 9. ლ. 21, 12. ი. 13, 16. 20. მოიგსენეთ სიტყვსაჲ მის, რომელსა გეტყოდეთ თქუენ, რამეთუ: არა არს მონაჲ უფროჲს უფლისა თვისსა. უკუეთუ მე მდევნეს, თქუენცა გდევნენ; უკუეთუ სიტყუაჲ ჩემი დაიმარხეს, თქუენიცა დაიმარხონ.
- (21) ი. 16, 3. 21. არამედ ესე ყოველი ყონ თქუენდა მიმართ სახელისა ჩემისათვის, რამეთუ არა იციან იგი, რომელმან მომავლინა მე.
22. უკუეთუმცა მე არა მოსრულ ვიყავ და ვეტყოდეთ მათ, ბრალმცა არა იყო მათდა; ხოლო აწ მიზეზ არა არს ცოდვათა მათათვის.
23. რომელსა მე ვსძულდე, მამაჲცა ჩემი სძულს.
24. უკუეთუმცა საქმენი იგი არა მექმნეს მათ შორის, რომელ სხუამან არავინ ქმნა, ბრალმცა არა იყო მათდა, ხოლო აწ მიხილეს და მომიძულეს მეცა და მამაჲცა ჩემი.
- (25) ფს. 68, 5; 34, 39. 25. არამედ რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელ შეჯულსა მათსა წერილ არს, ვითარმედ: მომიძულეს მე ცუდად.
- (26) ლ. 24, 49. ი. 14, 26. 26. ხოლო რაჲმას მოვიდეს ნუგეშინისმცემელი იგი, რომელ მოვივლინო თქუენ მამისა მიერ, სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, რომელ მამისაგან გამოვალს, მან წამოს ჩემთვის.
- (27) სქე 1, 8; 2, 32. 1 პეტ. 5, 1. 27. და თქუენ მოწამე ხართ, რამეთუ დასაბამითგან ჩემ თანა ხართ.

16

1. ამას გეტყოდეთ, რაჲთა არა დაჰბრკოლდეთ.
2. კრებულით მათით განგჳადნენ თქუენ. არამედ მოვიდეს ჟამი, რამეთუ ყოველი, რომელი მოგკლვიდეს თქუენ, შეირაცხოს, ვითარცა სამსახურებელი წინაშე ღმრთისა.

*19. სოფლისაგანნი/სოფლისაგანნი 20. მისი 25. თუქათ * მ-ს*

3. და ამას გიყოფენ თქვენ, რამეთუ არა იცნეს მამამ, (3) ი. 15, 21.
არცა მე.
4. ხოლო ამასცა გეტყოდე თქვენ, რაჟთა რაჟამს (4) მ. 9, 15.
მოვიდეს ჟამი, მოიწასენოთ ესე, რამეთუ მე გარქუ
თქვენ. ესე დასაბამითგან არა გარქუ თქვენ,
რამეთუ თქვენ თანა ვიყავ.
5. ხოლო აწ მივალ მომავლინებელისა ჩემისა, და არავინ (5) ი. 7, 33.
თქუნგანი მკითხავს მე, ვითარმედ: ვიდრე ხუალ?
6. ხოლო ამასლა გეტყოდე თქვენ: მწუხარებამან
ალავსნა გულნი თქუნნი.
7. არამედ ჭეშმარიტებასა გეტყვ თქვენ: უმჯობე (7) ი. 15, 26.
არს თქუნდა, მე თუ მივიდე; უკუეთუ მე არა მივიდე,
ნუგეშინისმცემელი იგი არა მოვიდეს თქუნდა;
უკუეთუ მივიდე, მოგივლინო იგი თქუნდა.
8. და იგი მოვიდეს და ამხილოს სოფელსა ცოდ-
ვათათს და სიმართლისათს და სასჯელისათს:
9. ცოდვათათს, რამეთუ არა პრწმენა ჩემი;
10. სიმართლისათს, რამეთუ მე მამისა ჩემისა
მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე.
11. სასჯელისათს, რამეთუ მთავარი ამის (11) ი. 12, 31;
სოფლისაჲ დასჯილ არს. 14, 30. კლს. 2, 15.
12. მერმეცა მრავალი მაქუს სიტყუაჲ თქუნდა,
ხოლო ვერ შეუძლოთ დატევაჲ აწვე.
13. რაჟამს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაჲ, (13) მ. 10, 19.
გიძლოდის თქუნ ყოვლითა ჭეშმარიტებითა,
რამეთუ არა თავით თვისით რას იტყოდის, არამედ
რავდენი ესმეს, იტყოდის და მოსლვათაჲ მათ
გითხრას თქუნ.
14. მან მე მადიდოს, რამეთუ ჩემისაგან მიიღოს და
გითხრას თქუნ.
15. რამეთუ ყოველივე, რაჲ აქუს მამასა, ჩემი არს. (15) ი. 17, 20.
ამისთვის გარქუ თქუნ, რამეთუ ჩემისაგან მიიღოს
და გითხრას თქუნ.
16. კნინდა, არღარა მიხილოთ მე; და მერმე
მცირედლა, და მიხილოთ მე, და მე მივალ მამისა
ჩემისა.

17. იტყოდეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი ურთიერთას: რაჲ არს ესე, რომელსა გუეტყვს ჩუენ, ვითარმედ: მცირედ, და არა მიხილოთ მე; კნინლა და მიხილოთ მე: და მე მამისა მივალ?

18. და იტყოდეს: რაჲ არს 'მცირედლა' იგი? არა უწყით, რასა იტყვს.

19. ცნა იესუ, რამეთუ უნდა მისა კითხვად, და პრქუა მათ: მაგისტვს რასა გამოეძიებთ ურთიერთას, რამეთუ გარქუ თქუენ, ვითარმედ: კნინლა, და არლა მიხილოთ მე; და მერმე: მცირედლა, და მიხილოთ მე?

20. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ სტიროდით და ჰგოდებდეთ თქუენ, და სოფელსა უხაროდის, თქუენ ჰწუხდეთ, ხოლო მწუხარებაჲ თქუენი სიხარულად გექმნეს.

21. დედაკაცი რაჟამს შობნ, მწუხარება არნ მისა, რამეთუ მოწევენულ არნ ჟამი მისი. ხოლო რაჟამს შვის ყმაჲ, არლარა მოიკსენის მწუხარებაჲ იგი სიხარულისა მისთვს, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა.

(22)ლ.24,41,52.
ი.20,20. 1
ჰეტ.1,8.23
8.7,7. მრ.11,24.
ლ.11,9.ი.14,13;
15,7.იკ.1,6.

22. და თქუენ აწ მწუხარე ხართ, ხოლო მერმე გიხილნე თქუენ, და უხაროდის გულთა თქუენთა, და სიხარული იგი თქუენი ვერვინ მიგილოს თქუენგან.

23. და მას დღესა მე არა მკითხვიდეთ. მართლიად მართალსა გეტყვ თქუენ, რამეთუ რაჲცა ითხოლოთ მამისა ჩემისაგან სახელითა ჩემითა, მოგცეს თქუენ.

24. აქამომდე არაჲ ითხოეთ სახელითა ჩემითა. ითხოეთ და მოილოთ, რაჲთა სიხარული თქუენი სავსე იყოს.

25. ამას იგავით გეტყოდე თქუენ; მოვიდეს ჟამი, რაჟამს არლარა იგავით გეტყოდი თქუენ, არამედ განცხადებულად მამისაჲ გითხრა თქუენ.

(26) რომ.8,34.

26. მას დღესა ითხოვდეთ სახელითა ჩემითა, და არა გრქუა თქუენ, ვითარმედ: მე ვჰკითხო მამასა თქუენთვს.

(27)ი.17,25.32
მ.26,31.მრ.14,27.

27. რამეთუ თვთ მამასა უყუართ თქუენ, რამეთუ თქუენ მე შემეყუარეთ და გრწმენა, ვითარმედ მე ღმრთისაგან მოვედ.

17. გუერგუსი 22. გიხილნი 24. აქამდენი 25. რაჟამსი.

28. გამოვედ მამისაგან და მოვედ სოფლად, მერმე დაუტევებ სოფელსა და მივალ მამისა.

29. პრქუეს მას მოწაფეთა მათ: აჰა, აწ განცხადებულად იტყვ და იგავსა არცა ერთსა რას იტყვ.

30. აწ უწყით, რამეთუ იცი ყოველი და არა საჯმარ არს, ვითარმცა ვინმე გკითხა რაჲ შენ. ამისთვის გურწამს, რამეთუ ღმრთისაგან მოხუედ.

31. მიუგო მათ იესუ და პრქუა: აწ გრწამს?

32. აჰა, მოვიდენ ჟამნი და მოსრულ არს, რამეთუ განიბნინეთ თითოეულად ადგილდ თვსა, და მე მარტოჲ დამიტიეთ; და არა ვარ მე მარტოჲ, რამეთუ მამაჲ ჩემ თანა არს.

33. ამას გეტყოდე თქუენ, რაჲთა ჩემ თანა მშუდობა გაქუნდეს. სოფელსა ამას იწროებით იყვნეთ, არამედ ნუგეშინისცემულ იყვნეთ, რამეთუ მე ვსძლე სოფელსა.

(33) 1 იო, 4, 4;
5, 4. 1 კორ. 15, 57.

17

1. ამას იტყოდა იესუ და აღიხილნა თუალნი თვსნი ზეცად და თქუა: მამაო, მოწევნულ არს ჟამი, აღიდე ძმ შენი, რაჲთა ძემანცა შენმან გადიდოს შენ.

(1) ი. 12, 23.

2. ვითარცა მიეც კელმწიფებაჲ ყოველსა ზედა ჯორციელსა, რაჲთა ყოველი რომელი მიეც მას, მისცეს მათ ცხორებაჲ საუკუნე.

(2) და 6, 7, 14.
მ. 28, 18.
ებრ. 2, 5-8.

3. რაჲთა გიცნან შენ მხოლოჲ ჭეშმარიტი ღმერთი და რომელი მოავლინე იესუ ქრისტე.

(3) ი. 6, 29.
1 ი. 3, 23.

4. მე შენ გადიდე ქუეყანასა ზედა, საქმმ აღვასრულე, რომელი მომეც მე, რაჲთა ვყო.

5. და აწ მადიდე მე, მამაო, შენ თანა დიდებითა მით, რომელ მაქუნდა წინაჲსწარ შესაქმედმდე სოფლისა შენგან.

(5) გცხ. 5, 12

6. გამოუცხადე სახელი შენი კაცთა, რომელნი მომცენ მე სოფლისაგან: შენნი იყვნეს, და მე მომცენ ივინი, და სიტყუაჲ შენი დაიმარხეს.

(6) ი. 18, 9.

7. აწ უწყიან, რამეთუ ყოველი, რაჲ მომეც, მე მივეც მათ,

- (8) ი. 16, 27. 8. და მათ შეიწყნარეს ჭეშმარიტად, ვითარმედ შენგან მოვედ, და პრწმენა, ვითარმედ შენ მომავლინე მე.
9. აწ მე მათთვის გლოცავ, და არა თუ სოფლისათვის გლოცავ, არამედ ამათთვის, რომელნი მომცენ მე, რამეთუ შენნი არიან.
- (10) ი. 16, 15. 10. და ჩემი ყოველი შენი არს, და შენი ჩემია, და დიდებულ ვარ მე მათ ზედა.
- (11) ი. 10, 30. ეფ. 4, 3. 11. და მე არღარა ვარ სოფელსა, და ესენი სოფელსა არიან, და მე შენდა მივალ, მაშაო წმიდაო, და იცვენ ესენი სახელითა შენითა, რომლითა მომცენ მე, რაჲთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ.
- (12) ფს. 108, 17, 8. ი. 18, 9. 12. ვიდრე ვიყავ სოფელსა ამას, მე დავიცვენ იგინი სახელითა შენითა, რომლითა მომცენ მე, დავიცვენ იგინი, და არავინ მათგანი წარწყმდა, გარნა შვილი იგი წარსაწყმედელისაჲ, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი.
13. ხოლო აწ შენდა მივალ და ამას ვიტყვ სოფელსა ამას, რაჲთა აქუნდეს სიხარული ჩემი სახსებით თავთა თუსთა თანა.
- (14) ი. 8, 23. 14. მე მივეც მათ სიტყუაჲ შენი, და სოფელმან მოიძულნა იგინი, რამეთუ არა სოფლისა ამისგანნი არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.
15. ხოლო არა ესრე გევედრები, ვითარმცა აღიხუნეს სოფლისაგან, არამედ რაჲთა დაიცვენ ესენი ბოროტისაგან.
16. სოფლისა ამისგანნი არა არიან, ვითარცა მე არა სოფლისაგანი ვარ.
- (17) ფს. 118, 142. ი. 14, 6. 17. წმიდა-ყვენ ესენი ჭეშმარიტებითა, რამეთუ შენი სიტყუაჲ ჭეშმარიტება არს.
- (18) ებ. 61, 1. 18. ვითარცა მე მომავლინე სოფლად, და მეცა წარვაგლინე იგინი სოფლად.
- (19) ებრ. 9, 14. 19. და მათ ზედა განვსწმედ თავსა ჩემსა, რაჲთა იყვნენ იგინიცა განწმედილ ჭეშმარიტებითა.
20. და არა ამათთვის ხოლო გლოცავ, არამედ ყოველთა მორწმუნეთათვის სიტყუთა მათითა ჩემდა მომართ,

21. რაფთა ყოველნი ერთ იყვნენ, ვითარცა შენ, (21) ი. 17, 11.
 მამაჲ, ჩემ თანა, და მე შენ თანა, რაფთა ივინიცა
 ჩუენ თანა იყვნენ, რაფთა სოფელსაცა ჰრწმენეს,
 რამეთუ შენ მომავლინე მე.
22. და მე დიდებაჲ იგი, რომელი მომეც, მივსცე მათ,
 რაფთა იყვნენ ერთ, ვითარცა ჩუენ ერთ ვართ.
23. მე მათდა, და შენ ჩემდა, რაფთა იყვნენ ივინი
 სრულ ერთად, და ცნას სოფელმან, რამეთუ შენ
 მომავლინე მე, და მე შევიყუარნე ივინი, ვითარცა
 შენ მე შემეყუარე.
24. მამაო, რომელ-ესე მომცენ მე, მნებავეს, რაფთა, (24) ი. 12, 26.
 სადაცა მე ვიყო, ივინიცა ჩემ თანა იყვნენ, რაფთა
 ხედვიდენ დიდებასა ჩემსა, რომელი მომეც მე,
 რამეთუ შევიყუარე მე წინავე სოფლისა შესა-
 ქმედმდე.
25. მამაო მართალო, და სოფელმან შენ არა გიცნა,
 ხოლო მე გიცან შენ, და მათ მიცნეს მე, რამეთუ შენ
 მომავლინე მე.
26. და ვაცნობე მათ სახელი შენი, და ვაცნობო,
 რამეთუ სიყუარულითა მით, რომლითა შემეყუარე
 მე, მათ თანა იყოს, და მეცა — მათ თანა.

18

1. ესე ვითარ თქუა იესუ, განვიდა მოწაფითურთ (1) მ. 26, 36.
 თჳსით წიალ ჳევსა მას კედრონისასა, სადა-იგი იყო
 მტილი, რომელსა შევიდა თჳთ და მოწაფენიცა მისნი.
2. იცოდა იუდაცა, მიმცემელმან მისმან, ადგილი
 იგი, რამეთუ მრავალგზის მისრულ იყო მუნ იესუ
 მოწაფითურთ თჳსით.
3. და იუდა წარიყვანა მის თანა გუნდი ერთი, და (3) მათ 26, 47.
 მლდელთმოდუართა მათ და ფარისეველთაგანნი
 მსახურნი, მოვალს მუნ ლამპრებითა და სანთ-
 ლეებითა და მახვლებითა.
4. ხოლო იესუ ვითარცა იხილა ყოველი იგი
 მომავალი მისა, გამოვიდა და ჰრქუა მათ: რასა
 ეძიებთ?

21. იყვნენ C. 21. შესაქმედმდე C. 1. მოწაწაფენიცა C. 1. მისა მის ჴსა
 C. რაფთა C.

5. მიუგეს მას: იესუს ნაზორეველსა. -- პრქუა მათ იესუ: მე ვარ. დგა იუდაცა მათ თანა, რომელი მისცემდა მას.

6. ვითარცა პრქუა მათ: მე ვარ, -- უკუმართ ვიდოდეს და დაეცნეს ქუეყანასა.

7. მერმე ჰკითხა მათ: ვის ეძიებთ? და მათ პრქუეს: იესუს ნაზორეველსა.

8. მიუგო მათ იესუ: გარქუ თქუენ, ვითარმედ: მე ვარ. უკუეთუ მე მეძიებთ, აცადეთ მაგათ წარსლვად.

(9) ი. 17, 612.

9. რაათა აღესრულოს სიტყუაჲ იგი, რომელ თქუა. ვითარმედ: რომელნი მომცენ მე, არა ვინ წარვწყმიდო მათგანი.

(10) მ. 26, 51.

10. ხოლო სიმონ-პეტრეს რამეთუ აქუნდა მახული, აღმოიკადა იგი და სცა მლდელთმოძღურისა მონასა და წარჰკუეთა ყური მარჯუენაჲ. და იყო სახელი მონისაჲ მის მაღქოს.

11. პრქუა იესუ პეტრეს: მიაქციე მახული ეგე მუნვე ქარქაშსა თუსსა! სასუმელი იგი, რომელ მომეც, მამაო, არა ვსუა მე იგი?

12. ხოლო გუნდმან მან და ათასისთავმან მან და მსახურთა მათ პურიათა შეიპყრეს იესუ და შეკრეს.

(13) მ. 26, 57.

მრ. 14, 53.

ლ. 22, 54.

13. და მიიყვანეს იგი პირველ ანნაჲსა, და იგი იყო სიმამრი კაჲაფაჲსა, რომელი-იგი იყო მლდელთ-მოძღუარ წელიწადისა მის.

(14) ი. 11, 50.

14. ესე იგი კაჲაფა იყო, რომელმან აზრახა პურიათა, ვითარმედ: უმჯობე არს ერთისა კაცისა სიკუდილი ერსა ამას ზედა.

15. შეუდგეს სიმონ-პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე. და მოწაფე იგი, რამეთუ მეცნიერ იყო მლდელთმოძღურისა მის, შევიდა იესუს თანა, შევიდა ეზოსა მას მლდელთმოძღურისასა.

16. და პეტრე დგა გარეშე ბჭეთა მათ. გამოვიდა სხუაჲ იგი მოწაფე, რომელი-იგი იყო მეცნიერ მლდელთმოძღურისა მის, და პრქუა ქალსა მას მეკარესა და შეიყვანა პეტრე.

(17) მ. 26, 69.

მრ. 14, 66.

ლ. 22, 56.

17. პრქუა მეკარემან მან მკვეალმან პეტრეს: ნუთუ შენცა მის კაცისა მოწაფეთაგანი ხარ? -- და მან პრქუა: არა.

17. ი. ვსც. 17. მოწაფეთაგანიც

18. დგეს მუნ მსახურნი იგი და მონანი, და ეგზნა, რამეთუ ყინელ იყო, და პიკუსოდეს. დგა მათ თანა პეტრეცა და პიკუსოდა.

19. და მლდელთმოძღუარმან მან ჰკითხა იესუს მოწაფეთა მისთათს და მოძღურებისა მისისათს.

20. მიუგო მას იესუ და პრქუა: მე განცხადებულად ვეცოდე სოფელსა, მე მარადის ვასწავებდ ერსა მას ტაძარსა მას შინა, სადა ყოველნი იგი პურიანი შეკრბიან, და დაფარულად არას ვიცოდე.

21. რაჟსა მკითხავთ მე? ჰკითხეთ მათ, რომელთა ესმა, რასა ვეცოდე მათ. აჰა, მათ უწყიან, რაჟ ვარქუ მათ.

22. ვითარცა ესე რქუა მათ, ერთმან მსახურთაგანმან მუნ მდგომარემან სცა ლაწუსა იესუს და პრქუა: ესრე სიჩყუას-უგებ მლდელთმოძღუარსა მაგას?

23. და იესუ პრქუა მას: ბოროტი თუ რაჟმე ვთქუ, წამე ბოროტისა მისთს; უკუეთუ კეთილი, რაჟსა მცემ მე?

24. და მიუძღუნა იგი კრული ანა კაიაფას მლდელთმოძღუარსა.

(24) მ. 26,57.
მ.27,2. მრ. 14,53.
ლ. 22,54.

25. და სიმონ-პეტრე დგა მუნ და იკუსოდა. პრქუეს მას: ნუთუ შენცა მოწაფეთა მისთაგანი ხარ? — მან უვარ-ყო და თქუა: არა.

26. და პრქუა ერთმან ვინმე მლდელთმოძღურისა მონამან, — ნათესავი იყო მისი, რომელსა წარჰკუეთა პეტრე ყური, — არა მე გიხილე მტილსა მას მის თანა?

27. მერმე უვარ-ყო პეტრე. და მუნქუესვე ქათამი ყივა ხოლო.

28. და მოჰყვანდა იესუ სახლით კაჟაფაჟსით ტაძრად მსაჯულისა მის. და იყო განთიად ოდენ. და იგინი არა შევიდეს ტაძარსა მას, რაჟთა არა შეიგინენ, არამედ რაჟთა შეჭამონ ზატიკი იგი.

(28) მ. 27,2.
მრ. 15,1
ლ. 22,66.

29. გამოვიდა მათდა პილატეცა და პრქუა: რას ძურის-საქმესა შესწამებთ კაცსა მაგას?

30. მიუგეს და პრქუეს მას: არა თუმცა ძურისმოქმედ იყო კაცი იგი, არამცა მიგეციოთ იგი შენ.

31. პრქუა მათ პილატე: თქუენ მიიყვანეთ ეგე და მსგავსად შჯულისა თქუენისა დასაჯეთ. - პრქუეს მას პური-ათა მათ: ჩუენდა არა წეს-არს მოკლვად არავისა.

- (32) მ.20,19. 32. რაფთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი იესუსი, რომელ თქუა მოსწავებით, რომლითა სიკუდილითა მოსიკუდიდ იყო.
- (33) მ.27,11. 33. შევიდა მეორედ ტაძართა მათ პილატე, მიუწოდა მრ.15,2.ლ.23,3. იესუს და პრქუა: შენ ხარ მეუფე იგი ჰურიათაჲ?
34. მიუგო იესუ: შენით თავით იტყვ მაგას, ანუ სხუათა ვიეთ გრქუეს შენ ჩემთვის?
35. პრქუა პილატე: ნუთუ მე ჰურია ვარ? ნათესავთა შენთა და მლდელთმოძღუართა მომცეს შენ კელთა ჩემთა. რაჲ საქმე გიქმნიეს შენ?
- (36) დაწ.2,44. 36. მიუგო იესუ და პრქუა: ჩემი მეუფებაჲ არა ამის სოფლისაგანი არს. უკუეთუმცა ამის სოფლისაგანი იყო მეუფებაჲ ჩემი, მსახურნი იგიმცა ჩემნი ჰბრძოდეს, რაფთამცა არა მივეცი ჰურიათა. ხოლო აწ მეუფებაჲ ჩემი არა ამის სოფლისაგანი არს.
- (37) 1 ტმ.6,13. 37. პრქუა მას პილატე: უკუეთუ ეგრე არს, მეუფე ხარ შენ? მიუგო იესუ: შენ სთქუ, ვითარმედ მეუფე ვარ. ხოლო მე ამისთვის ვიშევ და ამისთვისცა მოვედ სოფლად, რაფთა ვწამო ჭეშმარიტებისათვის. ყოველი რომელი ჭეშმარიტებისაგან არს, ესმის კმისა ჩემისაჲ.
38. პრქუა მას პილატე: რაჲ არს ჭეშმარიტებაჲ? — და ესე ვითარ თქუა, მერმე გამოვიდა გარე და პრქუა ჰურიათა მათ: მე არცა ერთსა რას ბრალსა ვჰპოებ მაგის თანა.
- (39) მ.27,15. 39. ხოლო არს თქუენი ჩუეულებაჲ, რაფთა ერთი მრ.15,6. მიგიტეო თქუენ დღესასწაულსა ამას. ინებეთ, ლ.23,17. რაფთა მიგიტეო თქუენ მეუფე იგი ჰურიათაჲ.
- (40) სქ3,14. 40. დადატ-ყვეს ყოველთავე და იტყოდეს: ნუ ეგე, არამედ ბარაბაჲ. — და ბარაბაჲ იგი იყო ავაზაკ.

19

- (1) მ.27,23. მრ.15,14. 1. მას ჟამსა მიიყვანა იესუ პილატე. და გუემა იგი. ლ.23,4. სქ13,28. 2. და ერისა კაცთა მათ ქმნეს გვრგვნი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და შეჰმოსეს მას ძოწეული.

38. პილატე მ. 35. პილატე მ. 36. მეუფე(ბა) მ. 36. მეუფე მ. 1. პილატე მ. 2. გურგუნი მ.

3. და მოვიდიან მის წინაშე და ეტყვიან: გიხაროდენ, მეუფეო პურიათაო! -- და დაწუსა სცემდეს მას.
4. გამოვიდა მერმე პილატე და პრეტუა მათ: აჰა, გამოგუარო იგი გარე, რადთა გულისხმა-ჰყოთ, რამეთუ მე ბრალსა მის თანა არას ეპკობებ.
5. გამოვიდა იესუ, და ედგა გვრგვნი ეკლისაჲ და ემოსა სამოსელი ძოწეული. პრეტუა პილატე: აჰა, კაცი იგი!
6. ვითარცა იხილეს იგი მღვდელთმძღვართა მათ და მსახურთა, ღალატ-ყვეს და იტყოდეს: ჯუარს-აცუთ, ჯუარს-აცუთ ეგე! -- პრეტუა პილატე: მიი-ყვანეთ ეგე და თქუნენ ჯუარს-აცუთ, რამეთუ მაგას თანა ბრალსა არას ეპკობებ.
7. მიუგეს მას პურიათა მათ: ჩუენ შჯული გუაქუს, და მსგავსად შჯულისა ჩუენისა თანააც მაგას სიკუდილი, რამეთუ თავი თუსი ძე ღმრთის ყო. (7) 28ჟ. 18, 20.
8. ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე პილატეს, უფროჲს შეეშინა.
9. შევიდა მუნვე ტაძართა მათ და პრეტუა იესუს: ვინაჲ ხარ? -- ხოლო იესუ არაჲ მიუგო. (9) ეს. 53, 7. ი. 18, 33.
10. პრეტუა პილატე: არას მომიგებ მე? არა უწყი, რამეთუ ფლობა მაქუს ჯუარს-ცუმაჲ შენი და კელ-მეწიფების განტევებაჲ შენი.
11. მიუგო იესუ: არამცა გაქუნდა კელმწიფებაჲ ჩემ ზედა არცა ერთ, არა თუმცა მოცემულ იყო შენდა ზეგარდამო. ამისთჳს რომელმან მიმცა მე შენ, უფროჲსი ბრალი აქუს. (11) ლ. 22, 53.
12. ამისთჳს უნდა პილატეს განტევებაჲ მისი, და პურიანი იგი ღალადებდეს და იტყოდეს: ეგე თუ განუტევეო, არა მიყუარ ხარ კეისრისა: ყოველი, რომელი მეუფედ გამოაჩინებნ თავსა თუსსა, მცდომ არნ იგი კეისრისა.
13. ხოლო პილატეს ვითარცა ესმა სიტყუაჲ ესე, გამოჰგუარა იესუ გარე და დაჯდა საყდარსა მას ზედა, ადგილსა მას, რომელსა ერქუმის ქვაფენილი, რომელ არს ებრაელებრ კაპპათა.

3. კარგედ C. 4. პილატე C. 4. გულისხმა C. 5. ვურგვნი C. 6. პილატე C. ეგე C. ბრალ C. 10. -მწიფების C.

14. და იყო პარასკევი ზატიკისაჲ მის; და იყო ვითარ ექუს ჟამ ოდენ. და პრქუა პურიათა მათ: აჰა, მეუფე თქუენი თქუენდა!

15. და იგინი ღალადებდეს: აღილე, აღილე და ჯუარს-აცუ! — პრქუა მათ პილატე: მეუფე ეგე თქუენი მე ჯუარს-ვაცუა? — მიუგეს მღდელთმოდღუართა მათ და პრქუეს: არა გვეის ჩუენ მეუფე, გარნა კეისარი.

16. მაშინ მისცა იგი ჳელთა მათთა, რაჲთა ჯუარს-ეცუას. და მათ წარიყვანეს იგი.

(17) მ. 27, 33.
მრ. 15, 22 ლ. 23, 33
ებრ. 13, 12.

17. და მიჰყვანდა, და ეკიდა მას თუსი იგი ჯუარი, და აღვიდოდა ადგილსა მას, რომელსა პრქუან თხემ, რომელსა ერქუმის ებრაელებრ გოლგოლთა.

18. სადა ჯუარს-აცუეს იგი, და მის თანა ორნი სხუანი, იმიერ და ამიერ და საშოვალ იესუ.

19. დაწერა ფიცარსა პილატე და დადვა ზედა ჯუარსა მას. და წერილ იყო: იესუ ნაზარეველი, მეუფე პურიათაჲ.

20. იგი ფიცარი წარიკითხეს პურიათა მრავალთა, რამეთუ მახლობელ იყო ქალაქსა მას ადგილი იგი, სადა ჯუარს-ეცუა იესუ. და წერილ იყო ებრაელებრ, ფრომინებრ და ბერძლ.

21. პრქუეს პილატეს მღდელთმოდღუართა მათ პურიათა: ნუ დასწერ, ვითარმედ: მეუფე პურიათაჲ, არამედ რამეთუ იტყოდა, ვითარმედ: მე ვარ მეუფე პურიათაჲ.

22. მიუგო პილატე: რაჲ დავწერე, დავწერე.

(23) მ. 27, 35.
მრ. 15, 24 ლ. 23, 34.

23. და ერისა კაცთა მათ, ვითარცა ჯუარს-აცუეს იესუ, წარმოიღეს სამოსელი მისი და განიყვეს ოთხად ნაწილად, თითოეულად ერისა კაცთა მათ ნაწილად. ხოლო კუართი იგი, რამეთუ იყო უკერველ, მიერვე გამოქსოილ ყოვლადვე,

(24) ფს. 21, 19.

24. თქუეს ურთიერთას: არა განვაპოთ ეგე, არამედ წილ-ვიგდოთ მაგას ზედა, ვისაცა იყოს, რაჲთა აღესრულოს წერილი იგი: განიყვეს სამოსელი ჩემი მათად და ზედა კუართსა ჩემსა წილ-იგდეს. და ერისა კაცთა მათ ესე ყვეს.

13. გარსც 15. აღიღწც - აცუც: პილატც: ეაცვა: გუვისც. 17. პრქუანც. 19. პილატც

25. და დგეს ჯუარსა მას თანა იესუსა დედაჲ მისი, (25) ლ. 2,35.
და დედისდაჲ მისი, მარიამ კლეოპაჲსი და მარიამ
მაგდალწენელი.
26. იესუ ვითარცა იხილა დედაჲ იგი და მოწაფჲ,
რომელი უყუარდა, რამეთუ დგა მახლობელად,
პრქუა დედასა: დედაკაცო, აჰა, ძმ შენი!
27. და მოწაფესა მას პრქუა: აჰა, დედაჲ შენი! — მიერ
ჟამითგან წარიყვანა იგი სახედ თჳს(ა).
28. ამისა შემდგომად იხილა იესუ, რამეთუ (28) ფს. 68,22.
ყოველივე აღსრულებულ არს, თქუა: მწყურის. მ.27,48.
29. და მუნ დგა ჭურჭერი ერთი საგსე ძმრითა. დ(ა) მათ
ალავსეს ღ(რ)უბელი ერთი ძ(მ)რითა და ნავლითა და
ყუ(ა)ვილი დაღვეს დ(ა) მიუპყრეს პ(ირ)სა მისსა.
30. ვითარცა მიიღო იესუ ძმარი იგი ნავლითურთ,
თქუა: ყოველივე აღსრულებულ არს. — და მიიდრიკა
თავი და აღმოუტევა სული.
31. ხოლო პურიათა მათ, რამეთუ პარასკევი იყო, (31) 2შჯ. 21,23.
რადთა არა მუნვე დაადგრენ ჯორცნი იგი, შაფათისა
მისთჳს, რამეთუ იყო დიდ დღე იგი მის შაფათისაჲ,
პევედრებოდეს პილატეს, რადთა დამუსრნენ წვენი
მათნი და აღიხუნენ.
32. მოვიდეს ერისა კაცნი იგი და პირველსა მას
დაუმუსრნეს წვენი; ეგრეცა ერთსა მას, რომელ მის
თანა ჯუარცუმულ იყვნეს.
33. ხოლო ვითარცა მოვიდეს იესუსა და იხილეს,
რამეთუ მუნქუეს ოდენ მომკუდარ იყო, არა
დაუმუსრნეს წვენი მისნი.
34. ხოლო ერთმან ვინმე ერისაგანმან ლახურიტა
უგმირა გუერდსა მისსა, და გამოჰდა ადრე-ადრე
სისხლი და წყალი.
35. და რომელმან იხილა, წამა, და ჭეშმარიტ არს
წამებაჲ მისი, და მან უწყის, რამეთუ ჭეშმარიტს(ა)
იტყჳს, რადთა თქუენცა გრწმენეს.
36. ესე იყო, რადთა აღესრულოს წერილი იგი, (36) გამ. 12,46.
ვითარმედ: ძუალი მისი არა შეიმუ(ს)როს. რცხ. 9,12.

21. მდღელთმთხდურთა C. 23. ყ-ლდვე C. 25. ი-უსსა C. მისიხი C. 26.
დედაკა- C. 31. დამოსრნენ C. 32. ერთისა კაცნი C. წვენი C. 33. ი-უსა C.
34. გუერდსა C. 36. წმრილი C.

- (37) ზაქ.12,10. გცხ.1,7. 37. და მერმე სხუაჲ წიგნი ი(ტ)ყჳს: ჰხედვიდენ (მ)ას, რომელსა-იგი უ(გუ)მირეს.
- (38) მ.27,57. მრ.15,43.ლ.23,50. 38. ამისა შემდგომ(ა)დ ევედრებოდ(ა) პილატეს იოსე(ფ) არიმათიელი, რომელი მოწაფე ყოფილ იყო იესუმსა ფარულად, შიშისათჳს ჰურიათაჲსა, რაჲთა გარდამოიხუნეს ჯორცნი იგი იესუმსნი. და ბრძანა პილატე.
- (39) ი.3,2; 7,50. 39. მოვიდა ნიკოდემოსცა, რომელი მოსრულ იყო ღამე იესუმსა პირველ, და მოიღო მური, შეწავებული პალოათურთ, ვითარ ას ლიტრა.
40. გარდამოიხუნეს ჯორცნი იგი იესუმსნი და შეგრაგნეს იგი მიწართა საკუმეველითურთ, ვითარცა ჩუეულებაჲ აქუნდა ჰურიათა და ლუწოლაჲ სამკუდროთა.
41. და იყო ადგილსა მას, რომელსა ჯუარს-აცუეს, მტილი, და მტილსა მას შინა სამარე ახალი, რომელ არავინ დადებულ იყო მუნ.
42. და პარასკევისა მისთჳს ჰურიათაჲსა, რამეთუ ახლოს იყო სამარე იგი, სადა დადვეს იესუ.

20

- (1) მ.28,1. მრ.16,1.ლ.24,1. 1. და ერთშაფათსა მას მარიამ მაგდანელი მოვალს განთიად რიჟურაჟუ ოდენ სამარესა მას და იხილა ლოდი იგი აღღებული კარისა მისგან საფლავისაჲსა.
2. მაშინღა სრბით მივიდა სიმონ-პეტრესა და ერთისა მის მოწფისა, რომელი უყუარდა იესუს, და ჰრქჳა მათ: აიღეს უფალი სამარისა მისგან და არა უწყი, სადა დადვეს იგი.
3. გამოვიდა პეტრე და ერთი იგი მოწაფე და მივიდოდეს სამარესა მას.
4. რბოდეს ორნივე ერთად. და ერთი იგი მოწაფე წინაწაჰთქრა უადრეს პეტრესა და მიიწია პირველ სამარესა მას.
5. შთახედა და იხილნა მიუარნი იგი, ხოლო შინა არა შევიდა.

6. მივიდა სიმონ-პეტრეცა შემდგომად მისა და (6) ლ.24,12.
 შევიდა სამარესა მას და იხილნა მჩუარნი იგი,
 რამეთუ ისხნეს.
7. და ვარშამაგი იგი, რომელ იყო თავსა მისსა, არა
 სხუათა მათ მჩუართა თანა იდვა, არამედ თჳსა
 შეკეცილი ერთსა ადგილსა.
8. მაშინ მოვიდა ერთი იგიცა მოწაფე, რომელ მოსრულ
 იყო წინადასწარ სამარესა მას, იხილა და პრწმენა.
9. რამეთუ არღა მეცნიერ იყო წიგნთა, ვითარმედ (9) ფს.15,10.
 ჯერ-არს მისა მკუდრეთით ადგომად. ებ.53,11.ა.2,1
10. შეკრბეს ერთად მერმე მოწაფენი იგი.
11. ხოლო მარიამ დგა გარეშე სამარესა მას თანა (11) მ.28,1.
 და ტიროდა. და ვიდრე-იგი ტიროდა, ს. ჰედნა მრ.16,5.
 სამარესა მას
12. და იხილნა ორნი ანგელოზნი, მოსილნი
 სპეტაკითა, რამეთუ სხდეს ერთი თავით და ერთი
 ფერკით, სადა ისხნეს კორცნი იგი იესუმსნი.
13. და მათ პრქუეს მას: დედაკაცო, რად სტირ?
 პრქუა მათ: რამეთუ აჲდეს უფალი ჩემი სამა-
 რისაგან, და არა უწყი, სადა დადვეს იგი.
14. და ესე ვითარცა თქუა, მიიქცა გარე და იხილა (14) მ.28,9.
 იესუმდგომარე და არა უწყოდა, რამეთუ იესუ(არს). მრ.16,9.
15. პრქუა მას იესუ: დედაკაცო, რად სტირ? ვის
 ეძიებ? — იგი ესრე პგონებდა, ვითარმედ მემტილე
 იგი არს. პრქუა მას: უფალო, შენ თუ აღილე იგი,
 მითხარ, სადა დასდევ, და მე აღვილო იგი.
16. პრქუა მას იესუ: მარიამ! — და იგი მოექცა და
 პრქუა მას ებრაელებრ: პრაბბუნი, რომელ
 ითარგმანების: მოძლუარ.
17. პრქუა მას იესუ: ნუ მომეხეები, რამეთუ არღა
 ასრულ ვარ მამისა ჩემისა; არამედ მივედ ძმათა
 ჩემთა და არქუ მათ: აღვალ მამისა ჩემისა და მამისა
 თქუენისა, ღმრთისა ჩემისა და ღმრთისა თქუენისა. (17) ფს.21,23.
 მ.28,10.
 რომ.8,29.
 ებრ.2,11.
18. მოვალს მარიამ მაგდალწენელი და ახარებს
 მოწაფეთა მათ, ვითარმედ იხილა მან უფალი, და
 ესე პრქუა მას.

6. იხნეს C. 7. ვარშამაგი C. 11. ვარშმე C. 12. სპეტაკითა C. 14.
 მდგომარო C: არა - C. 15. დასდეს C. 16. მაგდალწენელი C

- (19) მრ. 16, 14. ლ. 24, 36. სქ 13, 31. 1 კორ. 15, 5, 7. 19. და მწუხრი დღესა მას ერთშაფათისასა შევიდა იესუ ბჭეთა ვშულთა, სადა-იგი შეკრებულ იყვნეს მოწაფენი შიშისათჳს ჰურიათაჲსა, მოვიდა იესუ, დადგა შორის მათსა და პრქუა მათ: მშჯღობაჲ თქუენ თანა!
- (20) ი. 16, 22 20. ვითარცა ესე თქუა, უჩუენნა კელნი და გუერდნი, და განიხარეს მოწაფეთა მათ, ვითარცა იხილეს უფალი.
- (21) ი. 17, 18. 21. პრქუა მათ მერმე: მშჯღობაჲ თქუენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, და მეცა წარგავლინებ თქუენ.
22. და ესე ვითარცა თქუა, შთაჰბერა და თქუა: მიიღეთ სული წმიდაჲ!
- (23) მ. 16, 19; 18, 18. 23. მი-თუ ვისმე-უტივენეთ ცოდვანი, მიეტივენენ ცოდვანი მათნი; და რომელთანი პყრობილ-ჰყვენეთ, პყრობილ იყვნედ.
24. ხოლო თომა, ერთი ათორმეტთა მათგანი, რომელსა ერქუა მარჩბივ, არა მათ თანა იყო, რაჟამს მოვიდა იესუ.
- (25) ი. 19, 34. 25. უთხრობდეს სხუანი იგი მოწაფენი, ვითარმედ: ვიხილეთ უფალი. — და მან პრქუა მათ: არა თუ ვიხილო კელთა მისთა სასწაული სამსჭუალთაჲ მათ და შთავჳადო თითი ჩემი ადგილსა მას სამსჭუალთასა და შევახო კელი ჩემი გუერდთა მისთა, არა მრწმენეს.
26. და შემდგომად (რ)ვისა დღისა შეკრბეს კუალად მოწაფენი მისნი, და თომაცა მათ თანა. შევიდა იესუ მათ თანა ბჭეთა ვშულთა და დადგა შორის მათსა და პრქუა: მშჯღობაჲ თქუენ თანა!
27. მაშინ პრქუა თომას: მოყვენ თითნი შენნი და შემახე აქა და იხილენ კელნი ჩემნი და მოყავ კელი შენი და შთაკადე გუერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ.
28. მიუგო და პრქუა თომა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!
- (29) 1 პეტ. 1, 8. 2 კორ. 5, 7. 29. პრქუა მას იესუ: რამეთუ მიხილე და გრწმენა; ნეტარ, რომელთა არა უხილავ და პრწმენეს.

30. მრავალ სხუაცა სასწაულ ყო იესუ წინაშე მოწაფეთა მათ თვსთა, რომელ არა წერილ არს წიგნსა ამას. (30) ი.21,25.
31. ხოლო რავდენი დაიწერა, რაათა გრწმენეს, რამეთუ იესუ ქრისტე არს ძმ ღმრთისაჲ, და რაათა გრწმენეს და ცხორებაჲ საუკუნოჲ მოიღოთ სახელითა მისითა. (31) ი.3,15. რომ.15,4.

21

1. ამისა შემდგომად მერმე განუცხადა იესუ თავი თვისი მოწაფეთა თვსთა ზღუასა მას ზედა ტიბერიაჲსასა, და განეცხადა ესრე: (1) მ.28,7.
2. იყვნეს ერთად სიმონ-პეტრე და თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ, და ნათანაელ, რომელ იყო კანა გალილეაჲსაჲთ, და ძენი ზებედესნი და სხუანი მოწაფეთა მათგანნი ორნი.
3. პრქუა მათ სიმონ-პეტრე: მივიდუ თევზობად. პრქუეს მას: მივიდეთ ჩუენცა შენ თანა. და გამოვიდეს და აღვდეს ნავსა. მას ღამესა არცა ერთ იპყრეს.
4. ვითარცა განთენა, დგა იესუ ზღვსკიდესა მას, ხოლო არა იცნეს იესუ მოწაფეთა მათ, ვითარმედ იესუ არს. (4) ლ.24,16.
5. პრქუა მათ იესუ: ყრმანო, გაქუს რაჲ ჭამადი? — მიუგეს და პრქუეს: არა.
6. პრქუა მათ: სდევითლა მარჯულ კერძო ნავისა მაგის სათრომელი ეგე და პპოოთ. — სდვეს და ვერ უძლებდეს გამოზიდვად სიმრავლითა მით თევზთაჲთა.
7. პრქუა მოწაფემან მან, რომელი უყუარდა იესუს, პეტრეს: უფალი არს. — სიმონ-პეტრეს ვითარცა ესმა, ვითარმედ უფალი არს, მოირტყა საბრადნელი, რამეთუ შიშუელ იყო, და შთავარდა ზღუასა.
8. და სხუანი იგი მოწაფენი მოვიდოდეს ნავითა, რამეთუ არა შორს იყვნეს კმელად, არამედ ვითარ ორას წყრთა ოდენ, მოეთრია ბადე იგი თევზე-ბითურთ.

9. ვითარცა გამოვიდეს კმელად, ჰხედვენ: ნაკუერცხალი იდვა და თევზი ერთი მის ზედა და პური.

10. პრქუა მათ იესუ: მომართუთ თევზთა მაგათგან, რომელ თქუენ იპყართ აწ.

11. შევიდა სიმონ-პეტრე და გამოზიდვიდა სათრომელსა მას კმელად სავსესა დიდ-დიდითა თევზებითა, ასერგასისდასამითა. ესთენითა სავსე იყო და არა განსთქდა ბადე იგი.

12. პრქუა იესუ: მოედით, ვისადილნეთ. — და ვერვინ მოწაფეთაგანი იკადრებდა კითხვად მისა, ვითარმედ: შენ ვინ ხარ? უწყოდეს, რამეთუ უფალი არს.

(13) სქ 10,41.

13. მოილო პური იგი იესუ და მისცემდა მათ, ეგრეცა თევზსა მას.

14. ესე სამგზის განეცხადა იესუ მოწაფეთა მათ, ვინაჲთგან აღდგა მკუდრეთით.

15. და ვითარ ისადილნეს, პრქუა სიმონ-პეტრეს იესუ: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მე უმეტეს ამათსა? — პრქუა მან: ჰე, უფალო, შენ უწყი, რამეთუ მიყუარ შენ. პრქუა მას: დამწყსენ კრავნი ჩემნი.

(16) სქ 20,28. 1 პეტ. 5,2.

16. მერმე პრქუა მას: სიმონ იონაჲსო, გიყუარ მე? — პრქუა მას: ჰე, უფალო, რამეთუ მიყუარ შენ. — პრქუა მას: დამწყსენ საცხოვარნი ჩემნი.

17. პრქუა მას სამგზის: სიმონ ღონაჲსო, გიყუარ მე? — დაწუხნა პეტრე, რამეთუ პრქუა მას სამგზის: გიყუარ მე? — და პრქუა მას: უფალო, შენ ყოველი უწყი და შენ ყოველი სცნი და რამეთუ მიყუარ შენ. — პრქუა მას იესუ: დამწყსენ ცხოვარნი ჩემნი.

(18) 2 პეტ. 1,14.

18. მართლიად მართალსა გეტყვ შენ, რამეთუ ვიდრე ყრმა იყავ, თავით შეირტყვი სარტყელი და მიხვდი, ვიდრეცა გნებავნ. ხოლო რაჟამს დაჰბერდე, აღვიპყრნენ ჯელნი და სხუანი შეგარტყმიდენ და მიგიყვანებდენ, სადაჲთ შენ არა გინდეს.

19. ესე თქუა, რამეთუ მოასწავებდა, რომლითა სიკუდილითა ადიდოს ღმერთი. და ესე ვითარცა თქუა, პრქუა მას: მომდევდი მე!

20. მიექცა პეტრე და იხილა მოწაფე იგი, რომელ უყუარდა იესუს, რამეთუ მისდევდა, რომელცა მიყრდნა მკერდსა და ჰკითხა: უფალო, ვინ არს მიმცემელი შენი? (20) ი. 13,23.
21. ესე ვითარ იხილა პეტრე, პრქუა იესუს: უფალო, ამისა რაჲ?
22. პრქუა მას იესუ: უკუეთუ მინდეს, რაჲთა დგეს ეგე ჩემდა მოსლვადმდე. შენდა რაჲ? შენ მომდევდ მე.
23. და განცდა სიტყუაჲ იგი ძმათა მიმართ, ვითარმედ მოწაფე იგი არა მოკუდეს. და არა პრქუა მას იესუ: არა მოკუდეს, არამედ: თუ მინდეს, ვითარმედ თუ დგეს ჩემდა მოსლვადმდე.
24. ესე არს მოწაფე იგი, რომელი წამებს მისთვის, რომელმანცა აღწერა ესე, და უწყით, რამეთუ ჭეშმარიტ არს წამებაჲ მისი. (24) ი. 19,35.
25. ხოლო არს სხუაცა მრავალ, რავდენი ქმნა იესუ, რომელი თუმცა აღწერილ იყო თითოეულად, ვერმცა სოფელმან ამან დაიჭია დაწერილი იგი წიგნები. (25) ი. 20,30.

ლექსიკონი

(შეადგინა ელგუჯა გიუნაშვილმა)

აბა მრკ. 14,36 მამაო
აგარაკი მ. 13,24 ყანა, მინდორი
ადგილ-გება მ. 17,11 მოწესრიგება
ადგილის-პყრობა ი. 11,6 გაჩერება,
დადგომა
ადგილის-ცემა ლ. 14,9 ადგილის
დათმობა
ადგინება-მ მ. 18,23 აქ: ანგარიშ-
სწორება (სიტყვას ადგინებამ)
ადგილ-ი ლ. 3,5 სწორი
ადრე-ადრე მ. 28,8 ადრიანად; ი.
11,31 ძალიან სწრაფად
აზნაური მ. 17,26 თავისუფალი
ალბასტრ-ი ლ. 7,37 ერთგვარი
ჭურჭელი
ალაგ-ი მრკ. 1,3 ბილიკი
ამბოხ-ი მ. 27,24 შფოთი
ამბოხება-მ მ. 26,5 შფოთი
ამენ მ. 13,17 ჭეშმარიტად
ამიერ მ. 4,6 აქედან; ი. 13,1 ამ
ამიერიდან მ. 19,6 ამ დროიდან
არა-მ მ. 15,32 არაფერი
არაშე მ. 12,11 განა არ
არაშედ მრკ. 9,8 თუ არა
არარა-მ მრკ. 5,26 არაფერი
არასადა მ. 7,23 არასოდეს
არაძლება-მ მ. 4,23 უძღლურება
არგან-ი მ. 10,10 ჯოხი
არდაბაგება-მ მ. 24,10 გაცემა,
ლალატი
არდავ-ი მ. 27,59 ტილო
არე-მ მ. 24,32 გაზაფხული
არმურ-ი ლ. 8,23 გრივალი
არლა მ. 16,9 ჯერ კიდევ არ

ასპარეზ-ი მ. 24,14 მანძილის
საზომი ერთეული (175 ნაბიჯი)
ასურ-ი ლ. 2,2 სირიელი
აღბეჭდვა ი. 3,33 ბეჭდის დასმა,
დამბეჭდება
აღდგინება მ. 12,11 აყენება
აღვსება ლ. 1,23 შესრულება
აღთქუმა მ. 20,13 შეპირება
აღთქუმის-ყოფა მ. 20,2 შეპირება
აღმართება ი. 2,19 აშენება
აღმოკუეთა მ. 27,60 ამოჭრა
აღმოფხურა მ. 13,29 აქ:
ამოგლეჯა
აღმოკდა მ. 18,9 ამოღება,
ამოგდება
აღმრღევეა ი. 5,7 შეძვრა,
აღელვება
აღმღერება ლ. 1,41 ათამაშება
აღნადგინებ-ი მ. 25,27 მოგება,
პროცენტი
აღორძინება მრკ. 4,8 გაზრდა
აღოკრება მ. 12,25 მოოხრება
აღპყრობა მ. 4,6 აწვევა, აშვერა
აღრაცხილ-ი მ. 10,30 დათვლილი
აღ-რე-გუაღლე ლ. 14,10 ადი ცო-
ტათი ზემოთ
აღრღევეა ი. 6,18 აღელვება
(ზღვისა)
აღსაარება/ასაარება მრკ. 115; მ.
3,6 აღიარება
აღსრულება მ. 2,19 სიკვდილი
აღტევება მრკ. 15,37 აშვება
აღტყლომა მრკ. 13,7 შეშინება,
შეძრწუნება
აღფხურა-მ მრკ. 11,23 მოსპობა

აღქუმა მ. 4,6 აყვანა
აღშფოთებულ-ი მ. 9,23
შეშფოთებული, შეძრული
აღცრა ლ. 22,31 გაცრა, გაცხ-
რილვა
აღძრვა მ. 19,1 წასვლა; ლ. 23,5
წაქეზება
აღწერა ი. 21,24 დაწერა
აღწერილ-ი ლ. 10,20 დაწერილი
აღზუმა მ. 2,11 აღება
(მრავლისა); მ. 20,33 ახელა
(თვალებისა)
აღკლომა მ. 8,23 ასვლა
ახან მკად მ. 8,23 მკის დრო
ახლოსაა
ახლისპიროვან-ი მ. 17,15
მივარეული
აღჯოცა ი. 1,29 მოსპობა
აჩრდილ-ი მრკ. 4,32 ჩრდილი
აწ მ. 7,20 ახლა
აჰა მ. 1,20 აი
ბალანტ-ი ლ. 10,4 ჩანთა
ბალარგობა-მ მ. 26,17
უცომოების დღესასწაული
ბანილ-ი ი. 13,10 დაბანილი
ბასრობა მ. 26,65 დაცინვა
ბელზებულ-ი/ბერზებულ-ი მ. 12,24
ემშაკთა მთავარი
ბერძენ-ი ი. 11,48 რომაელი
ბერძლ-ი ლ. 23,38 ბერძნული
ბილწება-მ მრკ. 7,22
გარყენილება
ბირებულ-ი მ. 14,8 დარიგებული
ბორგა ი. 10,20 შეშლა, შეცდომა
ბრალ-ი ლ. 8,47 მიზეზი, დანაშა-
ული
ბრალის-ბმა ი. 9,41 დანაშაულის
ჩადენა
ბრკუმა ი. 11,10 წაბორძიება
ბლუარ-ი მ. 12,42 სამხრეთი

ბჭე-მ მ. 7,13 კარი, კარიბჭე;
